




F

საქართველო

საქართველოს
საქართველოს



5-6

2005



ქართული
ანტიკური
ბიბლიოთეკა

1992

საუნჯე

(129)

საქართველო-
დასავლეთი
ქართული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი
ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა
კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2005, № 5-6



შინაარსი

პროზა და პოეზია

ალექსანდრ ხურბინი. გალალაიკების სასაფლაო. არასასიყვარულო რომანი. თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ	3
კარლ ლუგოვიჩი. ავსტრიული პოეზია. გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა	71
სპი. (დიდი ბრიტანეთი). მიმწეხრი. ნოველა. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	86
იაკონური პოეზია. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	91
ბაბრატ შინაშა. ბაკობილი ძმა. აფხაზური პროზა. გაგრძელება თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ	99
კოლ ელუარი. XX საუკუნის ფრანგული პოეზიიდან. ფრანგულიდან თარგმნა რენე კალანდიამ	127
მიგელ დე უნამუნო. „საში სამოქალაქო ნოველა და ერთი პროლოგი“ ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ	137
რუსული პოეზია. თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა	179
ვალენტინ რასკუტინი. რუდოლფიო. თარგმნა ჯუმბურ თითმერიამ	182
გეორგ ბიუსნერი. კსენის მხარის მალემსობლი. გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ	195

წერილები

ალექსანდრ ბლოკი. „შეუძლია თუ არა ინტელიგენციას, ითანამშრომლოს ბოლშევიკებთან?“ თარგმნა ნანა ახოზაძემ	196
ერნესტ კეზინგუეი. ადამიანის ქრედი. თარგმნა ჯუმბურ თითმერიამ	219
ივრა კერტსი. ეპრიტა. თარგმნა ილია გასვიანმა	227
ალბერ კამიუ. ფიქრები ბილიოტინაზე. თარგმნა ჯუმბურ თითმერიამ	236
იანუშ კორჩაკი. სიბრძნე ბავშვისა. თარგმნა ზაურ კილაძემ	257
თეიმურაზ ნადარეიშვილი. ზოგიერთი მოსაზრება „კამლატის“ ცალკეული ადგილების თარგმნის შესახებ	288
მამა სერაფიმე (როუზის) კლავინელი წიგნიდან „არა ამ სოფლისაგან“. თარგმნა თინათინ ლომსაძემ	317



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ნანა ღარჩია-გოლჭვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
მანანა ამისულაშვილი
ნანა ასოზაძე
ჯემალ აჟიაშვილი
ნანა ბართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეზულაძე
დალი ფანჯიქიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი
ვაჟა ჩორღელი
პ/მმ მღივიანი

ქურნალი დაისტამბა სავარტველოს კულტურის, სკორტისა და კვლთა
დაცვის საინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ალექსანდრ ხურბინი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბალაიკების სასაფლაო

თარგმნა ნორარ ხუნდაძემ

ჩრდილი — მუზიზღება!

ავტორი

(არასასიყვარულო რომანი)

ქალაქი ნელა მოცოცავდა ღამიდან, ღამეც ზუსტად ასევე, აუჩქარებლად ტოვებდა ქალაქს, ანუ ჯერ კიდევ არ ტოვებდა, — მხოლოდ ემზადებოდა მის დასატოვებლად. შუქნიშნები სევდიანად უპაჭუნებდნენ ერთმანეთს თვალს, ხან ხვრეტდნენ სიბნელეს, ხან ბლუჯა-ბლუჯა ფლეთდნენ და სინათლეს კმატებდნენ ჯერ ისევ მკრთალ რიჟრაჟს. მათ ოდნავ შეელოდნენ ნეონის რამდენიმე ფირნიში და ჟანგმოდებულ, მორყეულ ბოძებზე დაკიდული უღიმღამო, აქა-იქ შემობრუნებული ფარნები. ქალაქიდან დაძრულ ღამეს ფარებით ხვრეტდნენ ავტომობილებიც, ტროლეიბუსებიცა და ტრამვაებიც, რომელთაც თავიანთი სალონებით ელექტრობის ყვითელი შუქი მოჰქონდათ.

მთვლემარე ადამიანები ავსებდნენ სივრცეში გადასაადგილებელ ამ სატრანსპორტო საშუალებებს და მათი მეშვეობით მოძრაობდნენ დროში — ღამიდან დილაში, საღამოდან ხვალისდელ დღეში, თანაც ჯერ კიდევ ხეირიანად დაუმდგარი დღევანდელი დღიდან. და რა განსხვავება იქნება დღევანდელ და გუშინდელ დღეებს შორის, სრულად არც ერთმა მათგანმა არ იცის. მაგრამ ბევრი იმედოვნებს, ან თავის ღმერთს ლოცვით ევედრება, რომ მათ შორის დიდი განსხვავება არ იყოს, ანდა შესამჩნევად უარესი არც ერთი მათგანი არ გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ამის იმედი მაქვს, რადგან მიმავალი ღამე ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა საუკეთესო და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემს ცხოვრებაში გატარებულ ღამეთა უმრავლესობა არ ყოფილა საუკეთესო, ეს ღამეც არაფრით განსხვავდებოდა, ხოლო როგორი იქნება სხვა ღამეები, არ შემიძლია ვიფარაუდო და ვიმარჩიელო (თუმცა, ცხადია, ვცრუობ — ამაზე ბევრს ვმარჩიელობ).

საქართველოს
ალექსანდრის
ეროვნული
ბიბლიოთეკა


და გავდივარ ღამიდან, რომელიც საცაა უნდა გაქრეს, გავდივარ სხვა ქალაქელ მშრომელებთან ერთად და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ის მიხარია, რომ სულ რაღაც ათიოდე წუთის შემდეგ შინ ვიქნები. უფრო სწორად, შინ — არა, რაკი შინიდან მოფდივარ, მაგრამ ჩემს დაკეტილ ოთახში, ჩემს საკუთარ საცხოვრებელ ფართში, რაც ალბათ ჩვენს და კონკრეტულად ჩემს პირობებში არის სასწაული, მხოლოდ მეორე სახლი. მაგრამ ვინა თქვა, რომ შეიძლება სახლი ერთადერთი იყოს და მხოლოდ იქ, სადაც შენ შინ იმყოფები? სახლი სახლია, შენობაა, კედლების, იატაკის, ჭერის, კარების, ბოქლომის გარკვეული რაოდენობაა. თანაც თუ გასაღები ჯიბეში გიდევს.

ღამიდან დღეში ყველა ქალაქელი მშრომელი როდი გამოდის. ბევრი მკაცრად საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. მათ განვლეს საკუთარი ბობოქარი შრომითი ღამე და ახლა შინ ბრუნდებიან, რათა ბოლომდე მიათრიონ, მათი ცხოვრებისეული ფილოსოფიის თანახმად, უინტერესო დღე, რომელიც დასვენებას, უფრო სწორად, ძილს (თავდავიწყებას) ანუ ფაქტობრივად არაფერს უნდა დაეთმოს. ხოლო საღამოს, როცა ღამე კვლავ მოუახლოვდება ქალაქს, დაიპყრობს მას და ჩაბლუჯავს, ისინი გამოიღვიძებენ, გამოფხიზლდებიან, სამფეროვანი პასტით კბილებს გაიხეხავენ და შეიძლება თბილი წყალიც გადაივლონ, რათა გამოაცოცხლონ თავიანთი თვლემამორეული, პირიქით ცხოვრებას მიუჩვეველი სხეულები და სულები, ცხოვრებას — არა დღის სინათლეზე, არამედ ღამის სიბნელეში. ცივ აბაზანაში ფეხებს ჩაპყოფენ, ონკანებს ბოლომდე გააღებენ და გაიფიქრებენ, რომ ადამიანისთვის ამქვეყნად არაფერია გამდინარე წყლის ჩქერზე უკეთესი. წყლის თაყვანისმცემელნი უმეტესად ღამის ადამიანები არიან. დარაჯები, მეძავები, ღამით მოვაჭრეები, ტაქსის მძღოლები, რომლებიც საღამოდან დიღამდე მუშაობას ამჯობინებენ. ან ცოტაა ამ ქვეყნად შავი მუშა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ბნელ დროს საქმიანობს, რომელსაც მოკლე, მაგრამ მჟღერი სახელი — ღამე ჰქვია, როცა უმრავლესობა ჩვენგანი იბადება, სძინავს და კვდება?

სიტყვა „ღამე“-ს ვუწოდებ მჟღერი და სრულიად უადგილოდ გამახსენდა ციტატა, ნახევრად მეკობრული გვარის მქონე უურნალისტთა კავშირის ერთი აწ გარდაცვლილი წევრის — ფლინკისა „რუსული ხალხური მჟღერი სიტყვა «ГОВНО» — ოდესღაც დაუწერია ამ პატივცემულ აწ გარდაცვლილ წევრს.

სხვათა შორის, „ღამე“ მდედრობითი სქესის სიტყვაა. ალბათ ეს ჰაიპარად და მთლად შემთხვევით არ მომხდარა. დღე მამაკაცის დროა, ღამე ქალებს ეკუთვნით და არა მხოლოდ გარკვეული ყოფაქცევის და გარკვეული საქმიანობის ქალებს, არამედ ყველა ქალს, ქალებს, როგორც კლასს. მათი უფლებები ღამით შედის ძალაში. ღამით დგება მათი დრო. ღამით ვლინდება მათი ძალა.

თუმცა ახლა ქალები არ გვაინტერესებს, არც ფართო გაგებით და არც ის ქალები, შრომაში გატარებული ღამიდან პასიური დასვენების დღისკენ რომ მიემართებიან. ისინი ჩვენს შესახვედრად მოემართებიან. ჩვენი მთვლემარე თვალთახედვის წინ ჩაივლიან და გაქრებიან, უნაღეს ქო დიღის კარიბჭესთან განზავდებიან და სავსებით შესაძლებელია,



რომ ველარასოდეს შევხვდეთ მათ, ველარასოდეს ვნახოთ და სრულიად უეჭველად, რასაც წყალი არ გაუვა — ველარასოდეს გავიწყობოთ უფრო ახლოს და ხანმოკლე დროში. არც არაფერია გულდასაწყვეტი, ვინაიდან რა ნაყოფი უნდა გამოიღოს ღამისა და დღის ადამიანების, ჩაცნობთამ? საზრიანსა და სახეიროს ვერაფერს მოგვცემს. მით უმეტეს — თუ თქვენ არც ერთი მხარეა დაინტერესებული: დღისეულ ცხოვრებას ხომ ღამეულ ცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვს.

ასე რომ, საუბარი იმათ არ შეეხება, თუმცა, ცხადია, იმათაც ეხებათ. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, ერთ ვინმეზე როცა ვლაპარაკობთ, ჩვენი ნათქვამი უცილობლად სხვებმაც ეხებათ. თუნდაც მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობდე, ერთდროულად სხვა ვინმეზედაც საუბრობ, ვინც შენთან არის დაკავშირებული, ის კიდევ ვიღაცის მახლობელია.

ჰოდა, ასე შემდეგ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ასე გრძელდება. ეს კავშირები ან შენვე გიბრუნდება, ან ადამიანთა მასებში იკარგება და უკვალოდ ქრება. ცის თაღს უერთდება. რადგანაც კავშირი ნიშნავს დაკავშირებას, აქედან გამომდინარე, რაც მეტია კავშირი, მით ნაკლებია თავისუფლების ხარისხი. მრავალრიცხოვანი კავშირით თავის მოწონება კი მხოლოდ ბრძევებს შეუძლიათ.

მაგრამ რას იზამ? კავშირები გარდაუვალი კატეგორიაა. გინდა თუ არ გინდა, იძულებული ხარ, ადამიანთა შორის, მათს ვიწრო, თავს მოხვეულ გარემოში იცხოვრო, მათი თანდასწრებით იცხოვრო თუ ზოგიერთის შენთან ყოფნას ადვილად და შეუმჩნეველად ეგუები, თუ მეორის შენთან ყოფნას აღიქვამ, როგორც რაღაც გარდაუვალობას და ურიგლები მას, მესამის შენთან თანაარსებობა აუტანელი და მიუღებელი ხდება, ვინაიდან იგი მართო თავისი არსებობითაც კა შენს ჩვეულებრივ ცხოვრებას თელების ქუჩის კომპარად ან რომელიღაც სხვა საშინელებად აქცევს.

ჰოდა ქალი ლელიაც — ჩემი მრავალჯერადი ცოლი და მეგობარი, სწორედ ამნაირ არასასურველ და აუტანელ ადამიანებს განეკუთვნება, იმ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრება და არა მხოლოდ ცხოვრება კომპარად მიქციეს. ჩემთვის გასაგებია, რომ ლელია ასეა მოწყობილი, ჩასახვისასაა ასე ჩაფიქრებული. გავება კი მუდამ გამშვიდებს გარკვეული დროით. ისინიც კი, ვის ცხოვრებასაც ლელია შეხებია, ჩემს ფსიქიკაზე უფრო დადებით ზემოქმედებას ახდენენ, ვიდრე უარყოფითს, — და ეს ხდება ცოცხალი მაგალითით. ისინი ხომ ყველანი და ყოველთვის სადღაც ახლოს იმყოფებოდნენ და ფეხებში მეზღანდებოდნენ, არადა, მათთვის რომ გეკითხათ, პირიქით, მე ვეზღანდებოდი მათ ფეხებში. ვერც გაიგებ რომელი ჩვენგანია მართალი. ყველას თავისი, ინდივიდუალური სიმართლე აქვს, ისევე, როგორც ყველას საკუთარი ღმერთი ჰყავს, რომლის ძალზე მიახლოებითი მსგავსებით არის შექმნილი ადამიანი. სწორედ ამიტომაც, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. თუმცა საერთოდ მაინც ერთნაირები არიან. იმდენად ერთნაირები, რომ პირველი ხილვისთანავე მათი დამახსოვრება შეუძლებელი ხდება. თუნდაც კინომსახიობებისა, სპიკერებისაც კი. არაფერს ვამბობ იმათ შესახებ, ვინც ქუჩაში ან სადმე, ხალხმრავალ ადგილზე შეგვხვდრია, — ისინი საერთოდ უცებ ქრებიან მესხიერებიდანაც და

ცხოვრებიდანაც, როგორც კი გადიან მხედველობის არეიდან. და რამდენიც არ უნდა ათვალეო ისინი დილაადრიან მარცხენა სანაპიროდან მარჯვენა სანაპიროსკენ მიმავალმა, ამოდ დაშვრები. ისინი/უსათუოდ სხლტებიან ხუთწუთიანი ერთად მგზავრობის შემდეგ, როგორც კი ქალაქის მოსწორებულ ცენტრში ფეხს ასფალტზე დასდგამენ და სიბნელეში ჩაყვინთავენ. სიბნელე კი ამ დროს ჯერაც ჩაშუქებულია, თუმცა უკვე შეპარვოდა ოდნავ მბჟუტავი შუქი — მბჟუტავი შუქი კი არა, — დილის რიურაჟი, რა თქმა უნდა. მე კიდევ ვიმგზავრებ ცოტა ხანს, ზემოთკენ, ცენტრიდან აღმოსავლეთისკენ და გორაზე ჩამოვალ. ხუთ წუთს მარტოკა ვივლი სახლამდე, ყველასგან გამოცალკავებული და ფიქრებაფორიაქებული: ლელიამ კვლავ გამომაძევა, როგორც წყალი გამოაძევებს ხოლმე უცხო სხეულს. ლელია ცხოვრებისეულ გარემოსა ჰგავს, რომელიც ან გამოაძევებს უცხო სხეულს, ან შთანთქავს, შეიწოვს მას, ლელიაც ხან მაძევებდა, ხან მნთქავდა და ეს მრავალწლიანი დავიდარაბა დიდი ხანია მობეზრდა ჩემს უცხო სხეულს. თვითონ არ გავეცლებოდი, ბოლოს და ბოლოს გამაგდებენ, ხოლო ვინმეს დადანაშაულება იმაში, რომ მე კვლავ გამომაძევეს ჩვეული გარემოდან, კაცმა რომ თქვას, არ შეიძლებოდა. საქმე აქამდე არ უნდა მიმეყვანა, ეს არ უნდა დაძეშვა. დიდი ხანია, ვგრძნობდი, რომ საამისო ვადა ახლოვდებოდა, მაწვებოდა, თუ რამდენიმე ხნით მაინც თვითონ არ გავეცლებოდი, ბოლოს და ბოლოს გამაგდებდნენ, ხოლო როცა გაგაგდებენ, უკან დაბრუნება გაცილებით ძნელი ხდება. მე ეს ვიცი, რადგან მრავალჯერ ვყოფილვარ გამოგდებული, თუნდაც დიდი ხნის წინ.

უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, დავასწრებდი ხოლმე წასვლას. ამას დასწრებას ვეძახდი, პრევენტულ წასვლას. და ისე ვიქცეოდი, როგორც ბრძენი ბიბლიური იობი — ბოროტებას გავერიდებოდი ხოლმე, ჰოდა — ბოროტებაც საყრდენ წერტილს კარგავდა და ჰაერში ისე გადიოდა, როგორც ორთქლი ვადის ხოლმე მოუხეშავი ორთქმავლის სასტვენნიდან.

ცხადია, ბოროტება სამუდამოდ და მთლიანად არ გამოდიოდა და გასაგები იყო, რომ როდისმე ისევ დაგროვდებოდა ლელიაში, მაგრამ მანამდე შესაძლებელი იქნებოდა დავბრუნებულიყავი და როგორმე მეცხოვრა ისე, რომ ბოროტებას ვერ შევემჩნიე და დავეგესლე. ახლა კი შევცდი. მარცხი მომივიდა. საკუთარ თავში ჩავიძირე, ერთბაშად უამრავი საქმე გამომიჩნდა, პირადად ჩემი გასაკეთებელი. შეიძლება ეს ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ იმდენი წვრილმანი დაგროვდა, და იმდენ დროს, ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვდა, რომ მაგრად ჩავიძირე. მხედველობაში მაქვს ცხრა კბილის მკურნალობა, ახალი შარვლის ყიდვა, ყოველთვის გრძელი და ფართხუნა რომ მომდის, ახალი ქვეყნის, ახალი პასპორტის, და კაცმა რომ არ იცის, რატომ, რა მიზეზითა და საბაბით, საზღვარგარეთული პასპორტის აღებაც. მე ამ ეგრეთწოდებულ საქმეებს ციებიანივით შევეჭიდე, ვცადე მათი თავიდან მოშორება — და ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი გაზეთის ხელახალი გაყიდვა-შესყიდვის ფონზე. არავინ იცოდა, ვმონაწილეობდით თუ არა გაზეთის გაყიდვაში და ეს ყველას ჩახმახივით წკიაზე შეყენებულ და ნერვულ მდგომარეობაში ამყოფებდა, თითქოსდა ჰაერში ჩამოკიდებულნი საკუთარი ღერძის გარშემო საფრენად ყოფილიყვნენ

მზად. მთელ ამ ყოველდღიურ მწებვარე ყოფაში საჭირო ყურადღება ლელიას ვერ დავუთმე. და იმ ერთობ მნიშვნელოვან მდგომარეობას, რომ ის ჩუხჩუხებდა და დულდა და სახურავი ეხდებოდა, თუმცა გარეგნულად ლელია უფრო მშვიდად გამოიყურებოდა, ვინემ ყოველთვის და ჩვეულებრივ. ეს კი უკვე ავისმომასწავებელი ნიშანი იყო. მაგრამ მე არც მისი ნიშნების და არც მისი ყრუ სიმშვიდიდან მამაშვილის სუფთად დამუხტული ემოციების თავი არ მქონდა. ჰოდა, მივიღე კიდევ რაც დავიმსახურე. დამსახურებულზე მეტიც კი.

თვითონ საერთოდ დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ არ დამიმსახურებია. ამგვარი ტალღისებური რამ. შესმის, რომ სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია (საინტერესოა, სიძულვილიდან სიყვარულამდე რამდენია?). მაგრამ მთელი სიცოცხლე გაატარო ისე, რომ ასე ვთქვათ, ილახლაყო ერთნაბიჯიან სივრცეში, თანაც არა სიყვარულსა და სიძულვილს შორის, არამედ იმათ შორის, რომ ხან გიტანენ, ხან კი ვერა...

არა, უნდა ვაღიარო, რომ როცა საქმე ცუდადაა, როცა ვინმე გვიკვდება, ან სხვა რამე უბედურება გვემართება, ლელიას გარეშე ფონს ვერ გავდივართ. მაგრამ ხომ არ შეიძლება, სულ უბედურება გვჭირდეს? ხანდახან გამოერევა დღეები და წუთები, როცა ცუდი რამ არ ხდება, მეტ-ნაკლებად კარგად მიგვიდის საქმე. მაშინ მასთან ცხოვრება, ერთ დახშულ მცირეგაბარითიან სივრცეში და ერთ, ასევე საერთო, დახშულ დროში — აუტანელია.

მე მაინც არ მინდა მისი მოკვლა. უფრო სწორად, მოკვლა კი მინდა, მაგრამ მხოლოდ წარმოდგენაში, არა სერიოზულად, პლატონურად. დიახ, ხანდახან ვფიქრობ ამაზე. მიმაჩნია, რომ ლელიას მოკვლა არ იქნებოდა ცუდი გამოსავალი ჩემთვის, თვითონ ლელიასთვის და ზოგი სხვა ვინმესთვისაც. ბევრი, ვინც ლელიას უდროო სიკვდილს გაიგებს, ივიშიშებს, ერთხანს იგლოვებს და შემდეგ შვეებით მოითქვამს სულს, ისინი ხომ განთავისუფლებიან ლელიასგან. მისგან განთავისუფლება კი სხვაგვარად შეუძლებელი იყო. შეუძლებელი კი იმიტომ იყო, რომ იგი არავის აკავებდა და არც შეიტყუებდა ხოლმე თავის ბადეში. ყველანი თავისით ცდილობდნენ მასთან შეღწევას, სურდათ, მისთვის დაეთმოთ თავიანთი თავისუფლება, თავიანთი ინდივიდუალობა და განკერძოებულობა, თავიანთი სიყვარული, სული, სხეული და მთელი დანარჩენი შიგნეული მისთვის გადაეცათ. რომელიღაც ეტაპზე ლელია ძალზე მიმზიდველი ხდება, სრულიად განსხვავებულ, მოულოდნელ ადამიანთათვის, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის პირთათვის. არა, ერთსქესოვანი ფიზიკური სიყვარულისადმი მიდრეკილება ლელიას არ ახასიათებს და არა სწამს. ქალებს იგი უყვართ, ამ სიტყვის საუკეთესო და უმაღლესი გაგებით, მაგრამ ისე უანგაროდ და ურცხვად, აჯობებდა, ისინი დროგამოშვებით მასთან დაწოლილიყვნენ. არის რაღაც არაბუნებრივი ქალთა სიყვარულსა და ერთგულებაში. ქალებს მათი ჯურისანი არ უნდა უყვარდეთ, სჯობს, ათვალწუნებული ჰყავდეთ ერთმანეთი. ისინი მეტოქეთა მდგომარეობაში უნდა იყვნენ, დაე, იყოს ეს შეუგნებელი. მაგრამ ინსტინქტური. ასეთი რამ დააკისრა მათ ბუნებამ. ბუნება კი, როგორც ცნობილია, დედაა, ბევრს არ ითმენს და უმჯობესია, ბუნების

საწინააღმდეგო ნაბიჯი არ გადავდგათ, თუნდაც შუბი გვეჭიროს ხელში, იმიტომ, რომ იმათ, ვინც ბუნების საწინააღმდეგოს სჩადის, ბუნება სიცარიელედ აქცევს, თუმცა სიცარიელესაც ვერ იტანს, კვლავ ავსებს და ბუნებრივი სახით აღადგენს თავის (და არა ჩვენს) კავშირებს, მაგრამ უკვე ჩვენი გვერდის ავლით, უჩვენოდ და, თუ ადამიანური კავშირის გარეშე ცხოვრება მაინც შესაძლებელია, მაშინვე ბუნებრივი აღარაფერი გვრჩება, გარდა იმისა, რომ შევწყვიტოთ ~~საწინააღმდეგო~~ საწინააღმდეგო აღარაფერი გვრჩება, გარდა იმისა, რომ შევწყვიტოთ საწინააღმდეგო აღარაფერი გვრჩება, მშვიდი სიკვდილის გარდა. სიკვდილი კი არავის უნდა, გარდა ავადმყოფებისა, რომელთაც სწეულების გამო სუიციდური შეტევები მოსდით. მით უმეტეს, ნაადრევ სიკვდილს არავინ ისურვებს, მოკვდინების მოსურნენი, ცხადია, არიან. ასეთი უამრავია. თუნდაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯე ან ცალკე ქალაქი, ადმინისტრაციული ერთეული დაუარსე, სადღაც, მივარდნილ ადგილას, დასაკარგავში, ან ზღვაში. ჰოდა, გამოდის, რომ მე ერთი იმათგანი ვარ. დიან, ლელიას მოკვლის სურვილი ჩემში ფარულად არსებობს, თუმცა ჯერჯერობით არ ინთება. ვაითუ მხოლოდ ჯერჯერობით? მაგრამ რა მოხდება მას შემდეგ, როცა ეს ჯერჯერობით აღარ იარსებებს?

ამ კითხვაზე პასუხის ძიება დროის უაზრო ფლანგვაა, ანუ სიცოცხლეზე ნელა, თანდათანობით უარის თქმაა. მეორე მხრივ, რა არის დროის უაზრო ფლანგვა? ცხოვრება წარმავალი კატეგორიაა. შენ კბილებს იხეხავ, ცხოვრება კი სწორედ ამ დროს მიდის. კბილების ხეხვა სასარგებლო მაინც არის. ავიღოთ თუნდაც წვერის პარსვა — ეს ხომ სრულიად უსარგებლო საქმიანობაა. გაიპარსავ და ისევ ამოვა, უფრო ხშირადაც კი. დრო კი ამ პროცესზე იკარგება. მე სულ მენანება ასე უაზროდ დროის კარგვა:

როცა ლელია ჩემს შეკითხვაზე: „საით გაგიწევია“? მათსუხობს: „საპარიკმახეროში. ფეხები უნდა გაეიპარსო“, საერთოდ ცუდად ვხდები, რადგან ლელიასთვის დროის უაზრო ფლანგვაზე რაიმეს ახსნა პრინციპში შეუძლებელია. იგი დარწმუნებულია, ადამიანს დრო იმიტომ ეძლევა, რომ დახარჯოს. დახარჯოს ისე, როგორც მოესურვება, თორემ ის მაინც წავა. წავა შენი მონაწილეობის გარეშე, ეს კი საწყენია და არაპრაქტიკული. ჩვენ კი ისედაც მთლიანად დროზე ვართ დამოკიდებული, მის ტყვეობაში ვიმყოფებით. გისოსების იქით ვყავართ გამომწყვდეული. დროში რატომღა უნდა ვიხრაკებოდეთ, როგორც კონსერვი ტომატში ან საკუთარ წვენში?

ცხადია, ძნელია, ცოლის ამ პრინციპებსა და ცხოვრებისეულ კრედიტს არსებითი რამ დაუპირისპირო, როგორ უნდა განვასხვავოთ უაზრო ხარჯვა აზრიანისგან? ვის შეუძლია ამის შეფასება? ეს ალბათ მხოლოდ თვითონ უნდა გააკეთოს, თანაც შემდეგ, პოსტფაქტუმ, როგორც ახლა ამბობენ, ბითუმად. როცა სიცოცხლის მთელი დრო გაივლის და მისგან დარჩება პატარა, სრულიად უმნიშვნელო ნაწილი, მხოლოდ მაშინ შეგეძლება განსაზღვრო — დრო უაზროდ ფლანგე თუ არა. თუ უაზროდ ფლანგე, მაინც არ ისურვებ, გამოუტყდე საკუთარ თავს, რადგან ამის აღიარება იმის აღიარებას ნიშნავს, რომ შენმა სიცოცხლემ ისე ჩაიარა, არ შემდგარა, არ გაამართლა, ხელი მოგვეცარა და შეიძლებოდა, საერ-

თოდ არ დაბადებულიყავი და არ შეგეწუსებინა დედა, მეანეები, აღმზრ-
დელები, მასწავლებლები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, კიდევ ერთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა, ~~რამდენიც~~ არ
უნდა იტყვილო ტვინი, შეუძლებელია. შეგეძლო, არ დაბადებულიყავი
თუ არ შეგეძლო? და რა მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყავი ~~მშობლები~~?
არა რომელიმე მომენტიდან, იმ მომენტიდან, ცხოვრებიდან ~~შენი ბუ-~~
ნებრივი თუ ხელოვნური წასვლის შემდეგ კი არა, არამედ არასოდეს.
ხმამალლა რომ ვთქვათ, შეიცვლებოდა სამყარო შენი არ დაბადებით,
შენი არყოფნითა და არ მონაწილეობით მის ცხოვრებაში, თუ შეუმჩ-
ნეველი დარჩებოდი? და ვის გაუშრობდა სისხლს ლელია? ვისთან იქნე-
ბოდა მთელი ეს წლები, ვის გააძევებდა და დაიბრუნებდა? ან დედ-
მამა? ვისი მშობლები იქნებოდნენ ისინი? სხვა ვაჟიშვილის მშობლები
თუ ქალიშვილისა? თუ ვერ დაიბადებოდი იმიტომ, რომ ისინი ერთმა-
ნეთს ვერ შეხვდნენ? და იმათი არშეხვედრა განდებოდა ერთადერთი,
თუმცა სრულიად საკმარისი მიზეზი იმისა, რომ შენ არ დაბადებულ-
ყავი. ისიც ხომ შეიძლებოდა, მათი მშობლები, შენი ბებიები და ბაბუ-
ები ვერ შეხვედროდნენ ერთმანეთს, აგრეთვე ბებიებისა და ბაბუების
მშობლებიც.

არა, ასე შეიძლება შორს შევტოპოთ და ადამ და ევამდე მივალ-
წით, რომელთაც უმცირესი შანსიც არ ჰქონდათ, ერთმანეთს არ შეხ-
ვედროდნენ. ამიტომ არ გვაინტერესებს ისინი. მათ არჩევანი არ ჰქო-
ნიათ. მათ არჩევანის უფლებაც არ ჰქონიათ. ჩვენს უბედურ, სხვის
მონა-მორჩილ წინაპრებს, აღვილი შესაძლებელია, ერთმანეთი არც
უყვარდათ და შეერთდნენ იმიტომ, რომ, როგორც იტყვიან, მარტოობას
გაექცნენ. ბავშვებიც იმიტომ გააჩინეს. ხოლო დიდი ხანია დადასტუ-
რებულია, რომ უსიყვარულოდ გაჩენილ ბავშვებს ბედი არ უღიმის და
უმჯობესია, სულაც არ დაიბადონ. მათმა შვილებმა ეს პირველებმა
დაადასტურეს.

სხვისას ვერ გეტყვით, მე კი რომ არ დაბადებულიყავი და არ
მეცოცხლა, ყველაზე მეტად დამენანებოდა ყოველივე ის, რაც პირველია,
რაც შემემთხვა და გარდამხდა პირველად. მეორე და ყველა მომდევნო
შემთხვევა შეიძლება, გააჩუქო, დაივიწყო, დაუნანებლად არაფრად
ჩააგდო. პირველები კი არ გემეტება.

დავინახე, რომ ჩვენი ახალგაზრდა კატა ტიშკა ჩვეულებისამებრ
გავარდა აივანზე და ჩაყუნცდა. ოთხივე თათი, მუცელი და კუდი თოვ-
ლში ამოიგანგლა. ეს იყო პირველი თოვლი მის ცხოვრებაში და ამან
გადარია. გადარია თავისი სიქათქათითა და მსუსხავი სიცივიტ, სიცი-
ვით, როგორიც ყოველად მოულოდნელი იყო ასეთი ქათქათა და ფაფუ-
კი სუბსტანციისაგან.

ცხოვრების პირველმა შთაბეჭდილებებმა მეც განმაცვიფრა — ბა-
ვშობისასაც და ჭაბუკობისასაც. მერმე, მართალი გითხრათ, აღარ მა-
ნცვიფრებდა თვით პირველი შემთხვევებიც კი. ეს ალბათ იმის გამო
ხდებოდა, რომ პირველი შთაბეჭდილებები ფაქტობრივად აღარ შემომ-
რჩა. რაც არ უნდა მომხდარიყო და რაც არ უნდა შემემთხვეოდა, რომ

ჩავფიქრებოდი, ყოველთვის გულსაკლავ დასკვნამდე მივდიოდი, რომ თუ არა ზუსტად ასეთი რამ, სადღაც ამის მსგავსი მაინც უკვე გადამხდენოდა თავს. ოდნავ არა ისე, ოდნავ არა იქ, ოდნავ არა/ის, მაგრამ გადამხდენია. სხვა საქმეა დასაწყისი — სტარტი და დასრულების უღიანი გაქანება.

ბიზნისი

ხის ეტლის ხისავე ბორბლების გრუხუნი. ეტლი წაბლისფერი, ღრეჩიანი იატაკი გარდიგარდმო მოძრაობს. შეუძლებელია გაიგო, რადგრიალია, საიდან მოდის დანაწევრებული რიტმი, რომელშიც მიხტუნაობს ეტლი და ცახცახებენ ღაწვები და მოთხოვნა ყვირილითა და ტირილით — აგორეთ, კიდევ აგორეთ ეტლი. უსმენ და ისევ და ისევ ვერ გაგიგია — რა არის ეს, ასე საშინლად რომ ძაგძაგებს, აკაკუნებს და ბრახუნობს? სად ქრება ხმაური და ძაგძაგი, როცა ეტლი ფიცრების გარდიგარდმო კი არა, გასწვრივ მოძრაობს?

და ხედი, გზიდან ერთბაშად რომ გადაგეშლება რაღაც წარმოუდგენლად უზარმაზარ რამეზე, რომელსაც ვერც თვალი სწვდება, ვერც გონება, და სადღაც შორს, ქვემოთ გაწოლილა ლილისფერ, მზეზე მოხასხასე ნისლში. საკმარისი იყო ამის დანახვა, რომ დავიწყებას მისცემოდა, უკან დაეხია ყველა სატანჯველს, რომლებიც, მეგონა, მუდამ მეხსომებოდა. დავიწყებას უკვე იმიტომ ველარ მიეცემოდა, რომ არასოდეს შეწყდებოდა. გახურებული, ბენზინით აყროლებული „ზიმი“-ტაქსი დაკლაკნილ გზაზე მიქრის, — მერე, ბევრი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ეს იყო ყირიმის ძველი გზა, ახალი გზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი — მარჯვნივ, მარცხნივ, მაღლა. მოსახვევი მოსახვევს მოსდევს, ზიგზაგი — ზიგზაგს. და მე სულ უფრო ხშირად ვხმუი მაგრად მოკუმული პირით: „დე-ე-ე“, — რომ გააჩერონ მანქანა, — და გულისგამწვრილებლად ვპეტელებ ღია კარიდან — ქვიანი მიწისკენ თავდახრილი, ისე, რომ ზღურბლზე არ გადავდივარ და მიწაზე ფეხს არ ვდგამ. და როგორც კი მანქანა ისევ დაიძრება, სიჩქარეს უმატებს და შემდგომ ვირაჟს ასრულებს, მე ისევ ცუდად ვხდები და გულისრევას ვგრძნობ, ვწუწუნებ, დედას ვსთხოვ, ვეხვეწები: „დედა, ჩავიდეთ მანქანიდან, ფეხით ვივლი, არაფერია, რომ შორი გზა გვაქვს გასავლელი, არაფერია, რომ აღმართია, მე შემიძლია ვიარო, ოღონდ ჩავიდეთ მანქანიდან. ჩავიდეთ“.

... და თითებით გოგონას ძუძუს კერტზე შეხება, დამყოლ და ხორკლიან კერტზე და რბილ მკერდზე. თექვსმეტი წლის გოგონას რბილი მკერდი ჰქონდა — თვითონაც ერთობ ფუმფულა იყო. სქელი და მსუქანი კი არა, არამედ ფუმფულა. თბილი ტურები, ალერსიანი გამობედვა სათვალის სიღრმიდან, ნარნარი სიარული, ალერსიანი ხმა, საამო სახელით — ოლია. ყოველმხრივ რბილი იყო და მტკიცე, თითქმის გაავებით წარმოთქმული „არა“, თუ თავს ზედმეტი რამის უფლებას მისცემდი, ან იმას, რაც მას ზედმეტად მიაჩნდა. ის არ ამბობდა საყოველთაოდ მიღებულ „არ გინდას“. ამბობდა „არა“-ს და ჩემს ხელს მკერდზე აბრუნებდა. მისი გაგებით, ეს დასაშვები იყო. ალბათ, ასე მოსწონდა და სიამოვნებდა. გული მწყდება ჩემს მეორე შთაბეჭდილებაზე. ისიც პირველი შთაბეჭდილება იყო, მკერდიდან მიღებული. ოლიას შემდეგ გავიცანი ერთი ქალი, — როგორ გავიცანი, უკვე აღარ მახსოვს და,

აღბათ, ველარ გავიხსენებ — ეტყობა, ძალზე უფერულად და უბრალოდ მოხდა ჩვენი გაცნობა. ქალი ჩემზე უფროსი იყო და ჰყავდა ჭირვეული სულელი შვილი. ქალმა ჩემს თვალწინ, მზის სინათლეზე გაიხადა ბიუსტპალტერი შეიხსნა და სკამის საზურგეზე მოისროლა, სადაც იგი, როგორც მავთულებში, ისე გაიხლართა. მე დავინახე ორი დამჭკნარი, მის სხეულზე დაკიდებული თოპრაკი, რომლებიც აქეთ-იქნით ლაყვლებულ ბდნენ და რეზინის დაჩუტულ ბურთებს მოჰგავდნენ, რომლებშიც თითქოსდა შემთხვევით ჩარჩენილიყო ჰაერი. ეს იმდენად არ ჰგავდა ჩემს წარმოდგენაში ქალის მკერდს, ოლიას მკერდს, რომ ვერ დავიმახსოვრე მთავარი — როგორ დავკარგე ბიჭობა. არავითარი შთაბეჭდილება ამ ისტორიული ფაქტიდან თუ აქტიდან არ დამრჩენია და შეგრძნებებშიც ვერ შემოვიინახე. ისე გამაოცა ამ უფორმო, უბადრუკმა თოპრაკებმა. მე მათზე გამუდმებით ვფიქრობდი, კანითაც ვგრძნობდი, მუდამ შეხახუნებოდნენ და ხელს მიშლიდნენ, მთელი გულისყურით მეფიქრა მთავარზე.

დიახ, დამენანებოდა ეს შთაბეჭდილებები, ქვეყანაზე რომ არ გავჩენილიყავი და ისინი არ განმეცადა. ცხოვრება კი, ვფიქრობ, არ შეიცვლებოდა. აღბათ ის ქალი სხვა ლაწირაკ ბიჭს იპოვიდა, რაკი მას მიდრეკილება ჰქონდა მცირეწლოვან პარტნიორებთან ურთიერთობისა. შეიძლება ოლია არ ამკიდებოდა და არ მოწყობილიყო იმ ინსტიტუტის სასადილოში, სადაც მე ჩავირიცხე სასწავლებლად. ეს კი არადა, ხუთასი კილომეტრის იქითაც გამომედეგნა, მიუხედავად იმისა, რომ მე იგი მივატოვე, ერთხელაც მომბეზრდა მასთან ყოფნა, როგორღაც ვიპოვე საჭირო საბაბი და გადავწყვიტე, მიმეტოვებინა... სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა იყო, ქალი რომ მივატოვე. თუმცა მე თუ არა, სხვა მაინც მიატოვებდა, მე კი ვერ შევხვდებოდი ოცდაათი წლის შემდეგ მაღაზიაში, სადაც გამყიდველად მუშაობდა და ჰყავდა სამი შვილი, სამივე სხვადასხვა ქმრისგან. და ამდენივე შვილიშვილის ბებიაც იყო. სხვა მხრივ რა შეიცვლებოდა? არაფერი. აღბათ, რაღაც მიკროსკოპულ, სხვისთვის შეუმჩნეველ წვრილმანებში თუ მოხდებოდა რამე ცვლილება. შეუმჩნეველი იმიტომ, რომ რა წვრილმანებისგან შედგება ქაოსი? ცხადია, შეუმჩნეველი წვრილმანებისგან.

რა შუაშია აქ ქაოსი? იმ შუაშია, რომ ცხოვრება ბიოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობ, ქაოსია. დროში ცოცხალ არსებათა გადაადგილებაც ქაოსურია, და არავითარი მათი გადახრანი და დოლები სხვადასხვა მხარეს არაფერს ჰმატებენ და აკლებენ. და საერთოდ, დიდ ქაოსში არაფერს ცვლიან. დიდი ქაოსისთვის უმნიშვნელოა, როგორი მცირე ქაოსებისგან შესდგება. მისთვის უმნიშვნელოა, რამდენია ეს მცირე ქაოსი. მისთვის მთავარია, ეს მცირე ქაოსები არსებობდნენ, ჩნდებოდნენ, სახეს იცვლიდნენ, ქრებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ. ქაოსების ორომტრიალის გარეშე შეიძლება, ჰარმონია დამყარდეს უცვებ. მაშინ უკვე დამყარდება სრული და საბოლოო წესრიგი, ლოგიკურად ჩამწყკრივდება რანჟირის მიხედვით ან მიზეზ-შედეგობრივ მწყკრივში სწორებით მარჯვნივ და წავა თავისი, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული რიგით და არავითარი ცხოვრება არ დარჩება შეუმჩნეველი. და ვერავითარი არდაბადება ვერ ჩაივლის ჰარმონიის ყოვლისმხილველი თვალის

შეუნიშნავად, სამყაროსეული პარმონიისა, დიდ ქაოსს რომ ენაცვლება, უფრო სწორად — მისი წიაღიდან გამოვა რაღაც ყოვლისშემძლე ძალის მიერ დაშოშმინებული და დამშვიდებული.

და ეს საშინელება იქნება. იმიტომ, რომ ქაოსი შანსს აძლევს ყველას, ვისაც პარმონიის ბატონობისას არაფრის იმედია. იქნებამ შანსს გაუჩინოს ისეთებს, როგორც მე ვარ. განსაკუთრებით ამ შანსს თუ ვერა, ეს უკვე ჩვენი პირადი საქმეა, ჩვენი პირადი უბედურება და თავსატეხია, ან პირიქით, ჩვენი პირადი მიღწევაა. შანსების გამოყენება და ვერგამოყენება მთელი მეცნიერებაა. მართალია, ეს მეცნიერება ვერავის ვერაფერს ასწავლის. შემოთავაზებული შანსი (საინტერესოა, ვის მიერ) რაიმე შემთხვევის ჩაურევლად პრაქტიკულად შეუძლებელია. კი მაგრამ, რა არის შემთხვევა? ალბათ ქაოსის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ტიპური გამოვლინება, რომელიც მეცნიერებას არ ემორჩილება და შესწავლას არ ექვემდებარება.

სამაგიეროდ, პარმონიის გამარჯვების შემდეგ, თუ დავუშვებთ, რომ ქაოსის კაპიტულაცია საბოლოო იქნება, აბსოლუტური უმრავლესობა შვებას იგრძნობს. ბოლოს და ბოლოს, მომჯობინდება, რაც მანამდე არასდროს მომხდარა. ოღონდ ამ უმრავლესობაში უნდა იყო. მას უნდა ეკუთვნოდეს, თავი ხალხის განუყოფელ ნაწილად უნდა მიგაჩნდეს, საკუთარი ხალხისა. ეს გრძნობა ყველასა და ყოველივეს არ გააჩნია. ვილაცას იგი დაბადებისთანავე ებოძება, როგორც, ცხოვრების უფასო დანამატი, ვილაცა მას ადრეული ბავშვობისას იძენს სწორი პატრიოტული აღზრდის პროცესში, ვილაცას მისი ნატამალიც არ გააჩნია და სიცოცხლის ბოლომდე ვერ გაიგებს ამ უმაღლესი გრძნობის რაობას.

ალბათ, მეც ასეთი ვარ. არც დაბადებით მერგუნა იგი და არც აღზრდით. მე ამ პატრიოტული რაღაცების გარეშე მზრდიდნენ, უპირატესობას უკომენტარო, შეუფერადებელ რეალობას ანიჭებდნენ — რეალობა და ფაქტები კი ასეთიაო: დაიბადე მოსკოვში, ცხოვრობ უკრაინაში, თუ კულტურას ფლობ, რუსულია, ეროვნებით, გვაპატიე, მაგრამ წმინდა სისხლის ებრაელი ხარ, ყოველგვარი მინარევებისა და ეგზოტიკის გარეშე. პოდა, გაიზარდე დიდი, ნუ იქნები ფლიდი, როგორსაც შეიგრძნობ თავს, ისეთი გაიზარდები და ის კაცი დადგები. პოდა, მე გავიზარდე, მაგრამ არავინ ვარ, ვერ შევიგრძენი, ვინ ვარ. არც რუსი ვარ, არც უკრაინელი, არც ებრაელი. კლასიკოსის ოდნავი პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, გამოვა: „მე მხოლოდ მე ვარ, სხვა არავინ“. ძალზე დამაჯერებლად და მოკრძალებულად არ ჟღერს, მაგრამ, მეტ-ნაკლებად მაინც დამაჯერებელია. თუ არ დავიწყებთ სიტყვებში იმის გამოჩინვას, რაც მათში არ არის. ასე გამოვიდა და ვინ არის ამაში დამნაშავე, მნიშვნელობა არა აქვს. ჩემი მშობლები თუ მე, თუ სათადარიგო ნაწილებით დაშლილი დიადი, ძლიერი და ურყევი საბჭოთა კავშირი. თუ რაიმე მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ იმას, რომ თავს არც ერთი ხალხის ნაწილად არ ვგრძნობ და არც ერთ ხალხს თავის ნაწილად არ მივაჩნევარ. ხოლო შემოჩამთვლილი ხალხების საუკეთესო წარმომადგენლები, ვინც დაჯილდოებულია მკვეთრი ეროვნული ყნოსვითა და ალლოთი, უმაღვე გრძნობენ, რომ მე იმათი არა ვარ, რომ მე მათთვის უცხო ვარ და არა ახლობელი, რომ არავითარ მათ ნაწილს არ წარმოვადგენ. ერთი

შეხედვისთანავე გრძობენ, რომ ამგვარი ნაწილი არაფერში ესაჭიროებათ, ვერ გამოიყენებენ. და სჯობია, ვერ ამჩნევდნენ მას, სრული იგნორირება უყონ. მათი შეუნიშნაობა ჩემთვის უფრო ძნელია. საერთოდ არ უნდა გავიხედო, ისინი მუდამ ჩემს წინაშე არიან. მე ერთილად მიმიძლია, ისეთი გამომეტყველება მივიღო, თითქოს ვერ ვამჩნევდე მათ. თუმცა ჩემი გამომეტყველება ნაკლებად დამაჯერებელია, ცხარეხარეხარე მათებით გამოძდის, თანაც არა ჩემი წარმატებით. ცხადია, ამ გამომეტყველებით ვარღვევ ჰარმონიას, მთელი სამი ხალხის (რასაკვირველია, დიდი ხალხის) ერთიანობისა და ერთსულოვნების წინააღმდეგ ვცოდავ. მე იმას ვარღვევ, რაც ჯერ არ არსებობს და არც არის მოსალოდნელი, და იმისავე საწინააღმდეგოდ ვცოდავ.

ერთი სიტყვით, მე თუ მკითხავთ, ქაოსზე უკეთესი არაფერია და არც იქნება რამე. ქაოსი ბრძნულად არის მოწყობილი და ჩემს გარემომცველ სინამდვილეში ქაოსის ყველაზე კაშკაშა წარმომადგენელი ლეღიაა.

ის ქაოსის უბრალო წარმომადგენელი კი არა, — მისი სრულყოფილებიანი ელჩი და კვლავმწარმოებელია. ისეთების გარეშე, როგორც არის ლეღია, ქაოსი გამოიფიტებოდა და ბუნებაში თავის არსებობას შეწყვეტდა. ლეღიასა და მის მსგავს ადამიანებთან ურთიერთობაში იგი მუდმივად ახლდება, ივსება და სრულყოფილი ხდება. ეს ადამიანები ქაოსის ვირუსმატარებლები არიან. ისინი საკუთარ თავში ატარებენ ქაოსს. ამიტომ ბევრი ისეთი მინარევი აქვთ, ღმერთმა ყველას აშოროს. ქაოსის ხალხის გამოცნობა ძნელია. არ აქვთ განსაკუთრებული ნიშნები. და თვით სიბერის დროისთვისაც მათს სახეებსა და მთელს მათს გარეგნობაზე ცხოვრება არ ტოვებს არავითარ ნიშანს, არავითარ განმასხვავებელ თვისებას. რადგანაც დრო არა მხოლოდ კარგი მკურნალია, არამედ საუკეთესო პათოლოგანატომიცაა, ყოველივე ამასთან ერთად იგი რიგიანი შემნიღბავი ხალათიცაა. ხდება ხოლმე, ხედავ ვინმე კეთილი გამომეტყველების მოხუცს, ვისგანაც მთელ კილომეტრზე ვრცელდება სიკეთის, ინტელიგენტურობის და აუარება სხვა დადებითი ტალღა, — როგორიცაა კეთილსურნელება, და სურვილი გიჩნდება, გაზეთში მისი საქებარი წერილი გამოაქვეყნო. მოიძიებ ცნობებს მასზე, ეპოქის ადამიანთა დოკუმენტებში ჩაიხედავ და ეს კეთილი დოქტორი, თოვლის ბაბუა, ისეთი ფანტასტიკური არამზადა გამოდგება, ისეთი სისხლისმსმელი არამზადა, რომ უცებ არც კი დაიჯერებ, მაგრამ თუკი დაიჯერე, ეცდები, დაუძღურებულსაც კი თავი აარიდო, შორიდან შემოუარო, რომ სინდისის საწინააღმდეგოდ არ უთხრა „გამარჯობა“, არ მოიკითხო, არ უსურვო ის, რაც არ გსურს.

ჰო, მართლა, ლეღია როგორღაც განასხვავებს ერთმანეთისგან ქაოსით და ქაოსისთვის შობილ თავისიანებს. რამდენიმე წლის წინ, როცა მხარეთა ორმხრივი თანხმობის შედეგად კიდევ ერთხელ გავიყარეთ, ლეღიამ მითხრა:

— მომბეზრდა იდიოტობის კითხვა (მაშინ იგი ჩვენი გაზეთის ლიტერატურული რედაქტორი იყო), როგორ უნდა გავიგო, აი, ეს: „ჩინობილელები, რომლებსაც მეოთხე რეაქტორის ავბედითი ფრთა შეეხოთ, უკეთესის ღირსნი არიან“? ან ეს: „კალოშები და თავზე ტიუბიტეიკა?“ მორჩა. მინდა, ბანდიტს მივთხოვდე, ბანდიტის ცოლი გავხდე.

მართლაც ბანდიტს გაჰყვა ცოლად. სავსებით ნატურალურ განგსტერს და ორგანიზებულ დამნაშავეს. თუმცა შეხედულად ეს იყო თანამედროვე წარმატებული კაცი, ანუ ბატონი. გაუგებარია, რაში იყო წარმატებული, მაგრამ წარმატებული და ბატონი რომ იყო, კილომეტრის სიშორიდანაც ჩანდა მანქანითა და მანერებითაც. ეს ყველაფერი თავმდაბალი, ზედმეტად მშვიდი კაცი. ლელიას ნაზავს შეიძლება ითქვას, შეყვარებული კაცის თვალებით უცქეროდა, თუმცა მასზე გაცილებით ახალგაზრდა იყო. გაცნობისას მოკრძალებით შემომცინოდა, სახელითა და მამის სახელით მომმართავდა, რამდენადაც შეეძლო, ჩემთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ასეთი რამ კარგად უხერხებოდა. აღმოჩნდა, რომ კაფკასაც იცნობდა, კამიუსაც, კურკოვსაც და სხვებსაც, ჰაიდელბერგსაც კი, მოკლედ რომ ითქვას, მომეწონა, გახარებული ვიყავი ლელიას გამო, გავიხარე, რომ ამჯერად კარგი კაცის ხელში მოხვედრილიყო და მისი ცხოვრება სხვაგვარად, უკეთესად წარიმართებოდა. და არა ისე, როგორც ჩემთან. და მადლობა ღმერთს, არც არასდროს განახლდებოდა, გამქირდავდაც კი ვუთხარი — კი მაგრამ, აკი ბანდიტს უნდა გაჰყოლოდი ცოლად, ვილაც ფილომეცნიერების კანდიდატი კი შეგიჩვენია, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელიც ყოფილა?

— კანდიდატი! — მითხრა ლელიამ. — რას ამბობ! შეიძლება ითქვას, ნამდვილი, რაფინირებული ბანდიტია. მის მოღვაწეობას ინტერპოლი იცნობს. ყოველთვიურად მინისტრთა კაბინეტს ხვდება და ყველაზე ელიტარულ ბანდიტურ წრეებში საპატიო ვინმედ ითვლება. როგორც ამბობენ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

მაშინ მისთვის მაინცდამაინც არ დამიჯერებია. დავასკვენი, რომ ეს ლელიას ჩვეულებრივი ხუმრობა იყო. ფანტასტიური ხუმრობა ხუმრობისთვის. თუმცა დავიჯერე, როცა ერთხელ შინ მოვიდა სისხლით მოთხვრილი და სახედალურჯებული, საშინლად აწეწილ-დაწეწილი, თითქმის შიშველი, წინდა კი ეცვა, მაგრამ ფეხსაცმელი მხოლოდ ცალ ფეხზე ეცვა.

— უნდოდათ, გამეცა, — საქმიანად მითხრა ლელიამ. — მცემეს და არა მართო მცემეს. მაგრამ მაინც არ გავეცი. მით უმეტეს, რომ წარმოდგენაც არა მაქვს, საერთოდ სად იმყოფება, ცოცხალია თუ არა.

— არ იცი, შენი ქმარი ცოცხალია თუ მკვდარი?

— არ ვიცი, — თქვა ლელიამ. — თვეზე მეტია, არ მინახავს. მისი ამბავი არ გამიგია. და არც რაიმე ცნობა მომეპოვება.

საბოლოოდ მაინც გამოიჩინა, რომ ლელიას ქმარი ცოცხალი აღარ იყო. ბანდიტებს კაშკაშა, საინტერესო, მაგრამ მოკლენის სიცოცხლე აქვთ და ყველაფერი შემოტრიალდა — ხომ არ შემეძლო, ლელია ასეთ მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში დამეტოვებინა და ისევ მამაში წავედით. მე წინ შევედი, ლელია უკან მომყვა. გავაბოტე საჩრჩილე საგანზე — ნოხზე და ჩვენ დავქორწინდით. რაიონული მამის თანამშრომელმა გვითხრა: „ისევ თქვენა ხართ?“ და წიგნი მოგვიჩოჩა, რომელშიც ხელი უნდა მოგვეწერა და რომლის მეოთხედი ჩვენი ავტოგრაფებით იყო შევსებული.

მაგრამ არ მახსოვს, ეს მორიგი ხელმოწერა როდის გავაკეთეთ, სამი თუ ოთხი-ხუთი წლის წინ. სამაგიეროდ ახლა სულაც არ ვნალვლობ ამ სრულიად ახალ „მორიგ“ ნაბიჯს იმ აზრით, რომ ლელიამ ისევ გამომაძევა და მე, გულწრფელად გითხრათ, არც კი ვიცი, ^{კარგია} ეს ჩემთვის, თუ ცუდი. უფრო კი მგონია, რომ კარგია. ამოდ რომ არ ვფიქრობდი დროდადრო ერთი და იგივე სიტყვებით ერთს ^{მე} ვწმინდებდი: „ღმერთო ჩემო, როგორ მომბეზრდა, ნუთუ ეს ყველაფერი ^{მე} ჩემს ან ლელიას სიკვდილამდე გაგრძელდება და გაიწელება“.

მართალი რომ ითქვას, ლელიას არასოდეს ვეუბნებოდი, რას ვფიქრობდი ჩვენს თანაცხოვრებაზე. ისე კი მინდოდა მეთქვა, ყველაფერი მეთქვა. ბევრჯერ დავაპირე კიდევ. შესაფერის წუთს ვეძებდი. ვემზადებოდი და ვსწავლობდი ტექსტს, რომ ერთხელ და სამუდამოდ წარმოემთქვა და მერმე დამევიწყებინა. და ამით დამემთავრებინა. ყოფილა შემთხვევა ლელიასთან ოთახში შევსულვარ სრულ საომარ მზადყოფნაში. შევსულვარ სათქმელმომზადებული, მაგრამ რაღაცა აუცილებლად მიშლიდა ხელს, რომელიღაც თავმომაბეზრებელი, თავხედი ჩრჩილი, გამოვეკიდებოდი მოსაკლავად, ხელებს ვატყაპუნებდი ჰაერში, ამასობაში კი სადღაც მიქრებოდა პათოსი და ველარაფერს ვეუბნებოდი. რატომღაც ჩემთვის უფრო ადვილი იყო, არაფერი მეთქვა, უფრო ადვილი იყო, წავსულიყავი და რაღაც დროის შემდეგ შეუმჩნეველად დავბრუნებულიყავი, ყოველგვარი მისი ნებართვისა და თანხმობის გარეშე, იმიტომ რომ, ნებართვა რომ მეთხოვა, ლელია არას მიპასუხებდა და მიპასუხებდა ისე, რომ თავის პასუხს ვერც შეამჩნევდა. ყოველთვის ვერც მე მაამჩნევდა. მხოლოდ პერიოდულად მაამჩნევდა ხოლმე. ამ პერიოდებს არც ჩემთან ჰქონდა რაიმე დამოკიდებულება, არც მასთან და არც ჩვენს ზოგოქარ, წყვეტილ ოჯახურ ცხოვრებასთან, რომელიც ჩაკეტილ წრეში მიედინებოდა, იმიტომ, რომ ჩაუკეტავი წრე წრე აღარ არის. ჰოდა, კარგიც არის, თუ ლელია მაამჩნევს სიყვარულისთვისაც, სიძულვილისთვისაც და გასაძევებლადაც, — თავისთავად ეს, შეიძლება ითქვას, წმიდათაწმიდაა, წმიდა ამბავია. ის, რომ ლელიას არ ვეუბნები, რისი თქმაც მსურს; სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ან მისი დაკარგვის მეშინია. ახლა უკვე არაფრისა მეშინია. ერთი მხრივ, საერთოდ არაფრისა, მეორის მხრივ კი — არც იმისა, პირადად მე რა მომივა ლელიას გამო, მისი ყოფნისა და არყოფნის გამო ჩემს ცხოვრებაში, სადაც უკვე იყო ლელიას ყოფნაც და არყოფნაც; თანაც არაერთხელ, იმდენად არაერთხელ, რომ რაღაცნაირად გულგრილი გავხდი ყოველივე იმისადმი, რაც მას ოდნავ მაინც უხება. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენ მაინც მოვახერხეთ დიდხანს გვეცხოვრა ერთად, ძალიან დიდხანს და თითქმის მთელი ეს „დიდხანს“ გვეცხოვრა არაორდინალურად, სახელდობრ, გვეცხოვრა უსიყვარულოდ, ე. ი. სიყვარულის გარეშე კი არა, არამედ ურთიერთსიყვარულის გარეშე. ურთიერთსიყვარული ჩვენ მხოლოდ დასაწყისში გვქონდა, ერთი-ორი წელიწადი, ხოლო შემდგომ წლებში რა გვქონდა — განმარტებას არ ექვემდებარება, რა გულსატკენიც არ უნდა იყოს ამის აღიარება.

თუმცა ხანდახან ვკარგავ გულგრილობის დამცავ საკუთარ ფორმას და ლელიასთვისაც ხელმისაწვდომი ვხდები და ლელიაც მწვდება, რა-

საც ყოველთვის აღვიქვამ, როგორც მოულოდნელობას. საბედნიეროდ, შემდეგ ყველაფერი თავისთავად გვარდება, წონასწორდება და თავის ადგილს უბრუნდება. გაწონასწორება ჩემში ხდება და დღესაც სწორედ ამ წონასწორობას ვერ მპატიობს. გულგრილობა ხომ ძლიერი გრძნობაა. ქალი მამაკაცს პატიობს ყველაფერს — ლოფობას, უსაქმურობას, სისულელეს. გულგრილობის პატიობს ვერ მპატიობს.

მე ეს ვიცი, ამის თაობაზე მელაპარაკა ჩემი სიყრმის მეგობარი, ამჟამად ქალაქის მთავარი ნარკოლოგი და დიდი გამოცდილების მქონე ფსიქოანალიტიკოსი, ჟენია ბოლოვინი. ის კი ტყუილს არ იტყვის. მან ჩვენი მეგობრობის ნახევარი ლოტობას გადააჩვია. თავისი ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობის მანძილზე რაღა არ უნახავს. ხშირად იმეორებს: „გულგრილობა უძლიერესი გრძნობაა“. მე კი დავუმატებ — ყრუ და საიმედო დაცვაც არის. მაგალითად, მე სხვა არავითარი გრძნობა არ გამაჩნია. გულგრილობა ჩემი ერთადერთი ჯავშანია. ჩემი ერთადერთი, მეტ-ნაკლებად საიმედო ფარია. თუმცა, რაც მართალია, მართალია, გულგრილობა მახვილის მაგივრობას ვერ გასწევს, ხოლო ფარი მახვილის გარეშე იარაღი არ არის.

მე ესეც ვიცი. თუმცა იარაღიც არ მჭირდება. იარაღი ომში გამოიყენება, თავდასხმისთვისაა საჭირო. თავდაცვის იარაღი თეთრი ძაფით ნაკერი უხეში ტყუილია, სიცრუეა. ზოგიერთი სულელისათვის, ბრიყვისათვის თავდაცვის იარაღი არ არსებობს, როგორც არ არსებობს თავდასხმის ფარი. ჩემთვის კი მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ უიარაღოც დაცული ვარ. მაინც დაცული ვარ. შეიძლება სრულად არა, მაგრამ რამდენადმე მაინც დაცული ვარ. სრულად არავინაა დაცული.

ღიას, მამასადამე, რაკი ასე თუ ისე დაცულად მიმაჩნია თავი, ლეღიასაც არაფერს ვეუბნები, თუმცა კარგახანია მოვწვდი და მზად ვარ ვუთხრა. ოღონდ მეშინია, ჩემი სიტყვებით საკუთარი დაცვა არ გავანადგურო, რადგან სიტყვები უკვე თავდასხმისათვის გამოიყენება და წარმატებითაც შეასრულებენ იარაღის მაგივრობას. ხოლო როცა იარაღს, ნებისმიერ იარაღს იყენებ, ე. ი. მოწინააღმდეგეს ესხმი თავს, ესხმი და იხსნები. ეს წესია და გამონაკლისი არ არსებობს. მე არ მიწადავინახა, მირჩევნია, ყრუ თავდაცვაზე გადავიდე და წინასწარ მომზადებულ პოზიციებს შევაფარო თავი. თუმცა არაფერი მაქვს მომზადებული და არც პოზიცია ჰქვია მას.

ბენზინით აყროლებული სამარშრუტო ავტობუსით მივჯაყჯაყებ. არც კი ვიცი, რა ხდება იქ, ჩემს, ლამაზად რომ ვთქვა, სტუდიაში. ხოლო უფრო უბრალოდ — მცირეოჯახიან ბინაში, რომლის საერთო ფართობია ოცდაერთი კვადრატული მეტრი. ყველა საბჭოთა კანონის დარღვევით, რაღაც მანქანებით ოდესღაც შევძელი ამ ბინის შენარჩუნება ისე, რომ არც დავფიქრებულვარ, რატომ ვაკეთებდი ამას. იქნებ ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ ეს ბინა ზედმეტი არ იქნებოდა და ჩემს მომავალ შვილებს გამოადგებოდათ. თუმცა საკმაოდ სწრაფად გამოირკვა, რომ ეს ბინა ჯერ თავად მე მჭირდებოდა და რომ ქვეყნიერების ავტოპილოტს მინდობილი, ძალიან ჭკვიანურად ვმოქმედებდი და ხრიკები ამაოდ არ გამომიყენებია.


დიდი ხანია, იქ აღარ ვყოფილვარ, ჩემს ეგრეთ წოდებულ ბინაში. თუმცა იქვე ვმუშაობ, მუდამ ჩემი თვალთახედვის არეშია. იქ მაცივარი გამორთულია, ალბათ იმდენი მტვერია დაგროვილი, ვერც შეხვალ და ვერც გამოხვალ, უფრო მეტიც — სული შეგეხუთება. კედლებზე ალბათ ჩრჩილიც დაცოცავს, წყვილ-წყვილად სხედან ჭერსა და იატაკზე და ურცხვად მრავლდებიან. მაგრამ იქ სიჩუმეა და არავინ ჭეჭნის — დედას დაბალი დივან-საწოლი. თუ ზედ პირაღმა დაწვები, დაინახავ წლობით დაგროვილი იმავე მტვრისგან განაცრისფერებულ და დროთა განმავლობაში დამსკდარ ჭერს, მაგრამ სამაგიეროდ იტაცებს თვალსა და ყურადღებას, თუ ჭერს ძალიან მიაშტერდები, თითქოს მნუსხავსო, აზროვნების უნარს გართმევს. სწორედ ეს წართმევა მჭირდება მე.

ოღონდ ახლა ბინაში უნდა მოვასხურო რაღაც საზიზღრობა. „ანტიჩრჩილი“, იქ, ფანჯრის რაფაზე, მგონი, რაღაც ფლაკონი დვას. მერე როგორღაც შეიძლება ცხოვრება.

ჩემს ამ მცირეოჯახებიან სახლში მხოლოდ ჩემი ბინა როდია ამ მდგომარეობაში და ცარიელი, ბოლო წლებში ბინებმა თანდათანობით, მაგრამ საკმაოდ ჩქარა იწყეს დაცარიელება, მათმა ბინადრებმა კი გაქრობა. ეს საერთო მოვლენა მხოლოდ ადრე აშენებულ ტიპიურ სახლებს ეხებოდა. არც თუ ისე შორეულ წარსულში ბინების დიდი ნაკლებობა იყო და ხალხი ათწლეულობით იდგა ბინის რიგში. ისინი შევიწროებულად, როგორც მაშინ ამბობდნენ, არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდნენ. და ამ უამრავი ხალხიდან ბევრს რიგი არ უწევდა. ახლა კი — არა მხოლოდ პირველი სართულის ბინები იქცა მალაზიებად, საპარიკმახეროებად, აფთიაქებად და საწყობებად, არამედ ზემო სართულებიც ცარიელია. იქ არავინ ცხოვრობს და არც არავინ აპირებს თუნდაც დროებით ცხოვრებას. ქვეყნის მოსახლეობა არსებითად მცირდება — იხოცება ან გარბის აქედან, ბინის პრობლემას კი, იმ ძველ მარადიულ საყოფაცხოვრებო საკითხს, სამშენებლო ორგანიზაციები დამოუკიდებლად წყვეტენ, ყოველგვარი მიზანმიმართული ღონისძიებების გარეშე.

მე შავ დნებრს გავცქერი და თან ამ საკითხზე ვფიქრობ. დნებრი ჯერ არ განათებულა. და არც განათდება, სანამ მის ზემოთ ზეცა არ აკაშკაშდება. პარალელურად მე სხვა რამეზედაც ვფიქრობ. ვცდილობ, პასუხი გავცე კითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა შეუძლებელია, უფრო სწორად, პასუხის გაცემა, როგორც მოგეპრიანება, თანაც შეიძლება, საერთოდ არ უპასუხო, დაივიწყო და მორჩა. კითხვა ასეთია: ჩემი ამასწინანდელი სიზმარი დაკავშირებულია თუ არა იმასთან, რაც ცხოვრებაში მოხდა? და საერთოდ რას შეიძლება ნიშნავდეს ის სიზმარი, თუ ჩემი სიზმრები არაფერს ნიშნავს?


კნუტი მესიზმრა, პაწაწკინტელა, ჯერაც ძუძუმწოვარა. იგი გულშემზარავად, ისტერიულად კნაოდა, ხმა ეხრინწებოდა. პატარა ცხოველები ასე მხოლოდ მაშინ ყვირიან, როცა შიათ, როცა შიმშილის გაძლება აღარ ძალუძთ ან როცა დედას ჰკარგავენ და შეშინებულები ვერ პოულობენ. მე დავიხარე და თითით მივვალერსე. ეს იყო ყველაფერი, რის გაკეთებაც მისთვის შემეძლო. რომ მეჭმია, არაფერი მქონდა, კნუტს კნავილი არ შეუწყვეტია, უკან გამომყვა ცახცახა, გაბანჯგვლული თა-



თებით. და ჩვენ ტრამვაის გაჩერებამდე მივედით. კნუტი ახტა და ტრამვაის საფეხურს მოებლაუჭა, მოებლაუჭა და ზედ მოექცა. შევეცადეთ შიგ არ შემეშვა. რადგან ვფიქრობდი: „ვაითუ პატრონი ჰყავს, ეს კი ტრამვაის გაჰყვება და უკან ვერასოდეს დაბრუნდება“. ამიტომ კნუტი ბაქნიდან მიწაზე ჩამოვსვი. ის კი ისევ ახტა და კვლავ საფეხურზე დასკუბდა, გვერდი ამიარა და სალონში შევარდა. კვლავ საფეხურზე დასკუბდა და გაინაბა. მეც იმ სკამზე ვიჯექი, რომელიც კნუტი შეიმალა, ვფიქრობდი, რა ვუყო ამ კნუტს, დავტოვო, ისევ უკან დავაბრუნო, თუ თან წავიყვანო-მეთქი. ვფიქრობდი და ვერაფერი გადამეწყვიტა. ტრამვაი კი გზას განაგრძობდა და ჩემი გაჩერებაც ახლოვდებოდა.

რადაც პარალელების პოვნა სიზმარსა და სინამდვილეს შორის დიდი სურვილის შემთხვევაში შეიძლებოდა. ცხადია, არა პირდაპირი, ოდნავ დამახინჯებული და ძალით მოთრეული. მაგრამ რა მოჰყვებოდა ამას, როგორ უნდა ამეხსნა ჩემი სიზმარი, ვერ გამეგო. ამავე დროს ჩემთვისაც ვერ გამერკვია, სწორედ ეს სიზმარი რატომ დამამახსოვრდა. ჩვეულებრივ სიზმრები უმალვე მავიწყდება. ვიღვიძებ იმის შეგრძნებით, რომ რადაც დამესიზმრა, მაგრამ როგორც კი გავახელ თვალებს და ვგრძნობ, რომ გაღვიძებული ვარ, უმალვე მავიწყდება. ისეც ხდება, თავზარდაცემისგან მეღვიძება და ვგრძნობ, რომ არსებობს თავზარდამცემი შიში, მაგრამ შიშის მიზეზი არ არსებობს. იგი სიზმარშივე გამქრალა, რომელიც დამთავრებისთანავე დავიწყებას მისცემია. დარჩენილა მხოლოდ საშინელება, მაგრამ ეს საშინელება უმიზეზოა, თავისთავად საშინელება, როგორც ასეთი, უფრო თავზარდამცემია. ამ საშინელებაში ერთადერთი რამ არის კარგი: მალე გაივლის ხოლმე, სულ რადაც ოთხი-ხუთი ამოსუნთქვა და ქრება.

კნუტი კი გაღვიძების შემდეგ არ დამვიწყნია. და არა მხოლოდ კნუტი, არამედ სიზმრის შინაარსიც. მაგალითად, ჩემთვის ზუსტად იყო ცნობილი, რომ ეს კნუტი არ იყო ტიშკა და არც ჰვავდა ტიშკას. სიზმარში მახსოვს, რომ მეცხრე სართულიდან ჩამოვარდნილი ტიშკა დადი ხანია, უკვე ცოცხალი აღარ იყო. გავიღვიძე თუ არა, უცებ ვერ გავერკვიე, დამესიზმრა ეს ყოველივე თუ სინამდვილეში შემემთქვა. გარშემოც კი მიმოვიხედე. კნუტს თვალებით დავუწყე ძებნა. და ისევ გამახსენდა, როგორ ჩამოვსვი ბაქნიდან მიწაზე და რა ჯიუტად შეძვრა ისევ ტრამვაიში. მაგრამ თან წავიყვანე თუ ვაგონში დავტოვე და თვითონ წავედი, სიზმარში არ მინახავს. ძილი ადრე გამიწყდა. როგორც უანრის კანონებითაა მიღებული — ყველაზე საინტერესო ადგილას, შუა სიუჟეტში გაწყდა. ალბათ გარკვეული მნიშვნელობა არ ჰქონია, წავიყვანე თუ არა. ალბათ სიზმარი იმიტომ არ მინახავს. თუმცა საერთოდ არავინ იცის, რატომ ნახულობენ სიზმრებს. რატომაა, რომ ზოგიერთები სიზმრებს ყოველლამე ნახულობენ, სხვები კი ამ სიამოვნებას მოკლებულნი არიან, და ვერც წარმოუდგენიათ, რა არის ეს. მე მყავს ნაცნობი ცოლ-ქმარი. ქმარს სიცოცხლეში ერთხელაც არაფერი დასიზმრებია, ცოლი კი საოცარ სიზმრებს ნახულობს. როცა ცოლი დასაძინებლად წვება, ქმარი ამბობს: „ლერკა კინოს საყურებლად დაწვა“.



რატომ გვესიზმრება ასეთი სიზმრები და არა სხვანაირი, რატომაა, რომ ხან გვამახსოვრდება, ხან კი გვავიწყდება? ამას ვერავის ჰკითხავ. გონების ძილი გონების ძილია და, როგორც ცნობილია, იგი ურჩხულებს შობს, განსაკუთრებით, როცა ძილს ეძლევა არა ცალკე აღებული ერთი ადამიანი, არამედ მთელი ქვეყანა, შენზე რომ არის გადმომსობილი. მძინარე რუსეთი არაფრით სჯობია ცეცხლმოღებულს.

რამ მომაგონა რუსეთი, რასაკვირველია, არც თუ ძალიან გასაგებია, მე ხომ უკრაინაში ვცხოვრობ და ეს საცხოვრებელი ადგილი მეტნაკლებად ხელს მაძლევს და მაკმაყოფილებს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. ეტყობა, საქმე ენაშია. რომ მე ვლაპარაკობ, ვფიქრობ, ვწერ, მახოდებს რუსულად, ყველაზე იდიოტური სიზმრებიც რუსულად მესიზმრება, მაღლობა ღმერთს, მე ისინი, იშვიათად მამახსოვრდება. ამიტომ გასაგებია, რა გავლენას ახდენს ჩემ ტვინზე ჩემი რუსობა. ამიტომ დავწერე თავისთავად სიტყვა „რუსეთი“, მიუხედავად იმისა, რომ გარს მახვევია სხვა (სამწუხაროდ, არც თუ საკმაოდ განსხვავებული) ქვეყანა.

არა, საკმაოდ დიდხანს შეიძლება იცხოვრო ისე, რომ არ მიაქციო ყურადღება, რა ხდება შენს გარშემო, ქვეყანაში, და მის საზღვრებს გარეთ. იცხოვრო შენი პრივატული ცხოვრებით, მიიღო მისგან ყველაფერი, როგორც სიმწარე, ისე სინარული, კომპლექსურად და არავის გაუყო. მაგრამ თანდათანობით შენს გარშემო არსებული გარემო სქელდება, მძიმდება, მასში გროვდება რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ ძალზე რეალური და ეს ყველაფერი ყოველი მხრიდან გაწვება. გრძნობ, როგორ გაწვება ჰაერი, ადამიანები, შენობა-ნაგებობები. გრძნობ, რომ შეუძლებელია თავი დააღწიო, აიცილო იგი, იცი, რომ ფიზიკის კანონები ურყევია და მუდმივი და როგორღაც იწყებ შეგუებას, თანაარსებობას ამ გარდაუვალ ზეწოლასთან და როგორღაც იწყებ მის ქვეშ საკუთარი ცხოვრების მოწყობას. თან სხეულით გრძნობ და გონებით შეგნებული გაქვს, რომ ზეწოლა მატულობს და დღეს-ხვალ გაანადგურებს ყველაფერს, რაც შენი ნახელავია თუ სხვისი და იგი, რაც აშენებულია, დაემხოება და დაინგრევა, და შენ ცარიელ-ტარიელი მოყვები ნანგრევებში, იმპროვიზირებულ ხელთუქმნელ საფლავში. თავისთავად ცხადია, სხვებიც იქ დარჩებიან. მაგრამ ვისთვის რა შეღავათია, რომ საფლავი შენი კი არა, საძმოა? დიახ, საძმოა, თუმცა საძმო საფლავში მოხვედრილები ძმები სულაც არ გახლავან, ხანდახან ნატურალური მტრებიც არიან, მაგრამ საძმო საფლავებში ავტომატურად სამუდამო ძმები ხდებიან. ამოდ ხომ არ ხდება, რომ საძმო საფლავები არსებობენ, ხოლო სამტრო — არა?

და კიდევ ერთი რამ იცი დანამდვილებით: რაც უფრო დიდხანს იძინებს ქვეყანა, მით უკეთესია. უკეთესია მისთვისაც და შენთვისაც, ყველასათვის. ასეთ დროს ხომ ზეწოლა ნელ-ნელა, თანდათანობით გროვდება მაინც. და ქვეყანა ძილში, მთქნარებაში შობს მძინარე, არც თუ მრისხანე ურჩხულებს. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ ქვეყანამ ძილს

დააღწია თავი? ისევ ჩნდება კითხვის ნიშანი. სჯობს, აღარ იფიქრო. ასაკის მატებასთან ერთად ეს კუზიანი ნიშნებიც მრავლდება. და მომრავლებული ძახილის ნიშნებიდან მომრავლებული კითხვის ნიშნებისკენ მიიწევ. დრო ანაცვლებს მათ — ძახილის ნიშნების ნაცვლად კითხვის ნიშნებს ბადებს, — მას არ ადარდებს, კითხვის ნიშნები სულ უფრო რომ მატულობს, მას ისიც უნდა, ძახილის ნიშნები რომ იკლოს წმინდა არითმეტიკული თვალსაზრისით კი უფრო ნაკლები შეუძლებელიც კია. იქნებ გვეჩვენება ასე? ისევ კითხვის ნიშანი...

საინტერესოა, ამ ადამიანებს, სამარშრუტო ტაქსით ჩემთან ერთად რომ მგზავრობენ, დამსხდარნი რომ ითავებენ იმ ძილს, დაწოლილებს რომ დააკლდათ, — აწუხებთ ეს ნიშნები? იქნებ ისინიც გამოძევებულები არიან და შეგულებული თავშესაფრებისკენ მიიჩქარიან თავ-თავიანთ კაცებთან და ქალებთან, რათა ერთხანს იქ იცხოვრონ და დაიცადონ. არა აქვს მნიშვნელობა, სადამდე უნდა დაიცადონ. სანამ საჭირო იქნება, მანამდე იცადონ.

ჰო, ალბათ, კარგია გყავდეს ისეთი ახლობელი ქალი, რომელსაც ბინა აქვს და შენც მიგესვლება. დიდი ხანია, ვფიქრობ, ასეთი ქალის ყოლა ჩემთვის, უბრალოდ, კარგი კი არა, ძალიან კარგი და სასურველი იქნებოდა. მაგრამ საკმარისია გავიცნო ისეთი ქალი, რომელიც მომწონს და ვარგისიანია, რომ რაღაც უსიამოვნებანი დამეწყოს. ეს უსიამოვნებები სასაცილოცაა და სატირალიც. ერთ-ერთი ასეთი დიდად საიმედო ნაცნობობის მეორე დღეს, ის იყო, გავიფიქრე, აი, ვინ მჭირდება სრული ბედნიერებისათვის, ვისთან ერთად შევძლებ, თავი დავაღწიო ლელიას, და მისი დამღუპველი გავლენის ნეიტრალიზაცია მოვახდინო-მეთქი, რომ ცხვირზე უშველებელი იისფერი მუწუკი, ანუ ფურუნკული გამიჩნდა. ზედ ცხვირის წვერზე დამასკუპდა იმდენად, რამდენადაც ღმერთსა და ბუნებას ცხვირის გამო ჩემთვის გული არ დაუწყევტიათ, ისეთი შესახედავი ვიყავი, — გზაზე ჩავლილი ბავშვები ჩემს ცხვირზე უთითებდნენ და დედებს ეკითხებოდნენ, რად უნდა ამ ბიძიას სახეზე ამოდენა საფრთხობელა — ალბათ, მისი რომ გვეშინოდეს და წესიერად რომ მოვიქცეთო? ქალთან კი არა. ამგვარი პიპერტროფი-რებული ცხვირის მქონეს ქუჩაში გამოსასვლელად ღამის საათებშიც არ მიმიწევდა გული.

და მუწუკი — ეს შეიძლებოდა ჩაგვეთვალა კურიოზად, ხუმრობად იმავე ბუნებისა, მუწუკი, რომელმაც სახეზე დამიტოვა პატარა, იისფერი მკვრივი ადვილი და ეს მოგონებები, — მაინც დაცხრა და გაქრა. უფრო სერიოზული უსიამოვნებაც მქონია. და ეს რომ მხოლოდ მე შემთხვეოდა და სხვას არავის, შეიძლებოდა, ბედს შევრიგებოდი და საკუთარი ძალებით შევბრძოლებოდი ასეთ შემთხვევებს, მაგრამ მსგავსი რამ ჩემს ახლობლებსაც ემართებოდათ. როცა ადამიანს ახლობლები ჰყავს, ცხადია, ეს კარგია, იმ შემთხვევაში, თუკი მათ არაფერი ემართებათ.

ჩემი დედასთან ცხოვრების ერთ არც თუ საუკეთესო დროს ვერ გავუძელი საკუთარ თავთან მარტოობას და საყვარელი გავიჩინე. დედაჩემმაც სწორედ მაშინ მოიტეხა ბარძაყის ძვალი. როგორც შემდგომში გაირკვა, დედას ეს სწორედ მაშინ დამართნია, ჩვენ რომ ლოგინში ვწე-

ბევრობდით. ეს არ ყოფილა ყველაზე დიდი საშინელება, რაც ჩემს ახლობლებს გადახდენიათ იმ პერიოდში, როცა მე ვცდილობდი, ლელიას გარეშე და სიმშვიდეში მეცხოვრა.

დედა რამდენიმე თვე იწვა, ბოლოს, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა, მიუხედავად ექიმების მოლოდინისა და ვარაუდებისა, მაინც მოურჩა. და ახლა ისე დადის, როგორც ადრე დადიოდა. მისი პარცპქონია ის მძიმე მოტეხილობა და გატანჯული თვეები. შემდეგ ყველაზე საშინელი რამ, რაც მოხდა, დედაჩემს არ დამართნია. დედამ მხოლოდ გამაგებინა. იმ შემთხვევას მუდამ გულდამძიმებული ვიგონებ. და მუდამ მოულოდნელად. როგორც კი გამახსენდება, მიქრება ყოველგვარი სურვილი არათუ სხვაგვარად ცხოვრებისა, საერთოდ აღარაფერი მინდა ამქვეყნად, მხოლოდ ცხოვრების ბიოლოგიური შეგრძნება მრჩება, სხვა არაფერი. ეს ის შემთხვევაა, როცა მე შემიძლია ხმამაღლა და დიდი რიხით (თუმცა გულწრფელად) განვაცხადო: ბევრ რამეს დავთმობდი, ოღონდ რაც მე პირველად შემემთხვა, საერთოდ არასოდეს მომხდარიყო. თანახმა ვიქნებოდი, პირველი შემთხვევა არ ყოფილიყო, არ მჭირდება მე ასეთი მძიმე გრძნობები და განცდები. ჯანდაბას ეს ყოველივე.

რასაკვირველია, ისევ ლელიაზე ვლაპარაკობ. იმაზე მოგახსენებთ, როგორ გამომაგდო სულ პირველად. იმაზეც, რომ ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ ეს პირველი შემთხვევა გამომეტოვებინა, ამომელო წარსულიდან და, ბუნებრივია, აწმყოდანაც. მაშინ ჯერ კიდევ მიუჩვეველი ვიყავი და არც მორალურად გახლდით მზად იმისათვის, რომ შეიძლებოდა, აი, ასე, უბრალოდ ვილაცას მოეკიდა ჩემთვის ხელი და გარეთ გამოვეგდე. მე უბრალოდ ეჭვადაც კი არ გამივლია, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. ლელიამ კი დამარწმუნა, რომ შესაძლებელი ყოფილა, თანაც ძალიან ადვილად. და მეც შეურაცხყოფილი და გაბოროტებული წამოვედი, თან ვფიქრობდი, როცა ასეთი სიტუაციაა, ერთხელ უნდა წახვიდე, თუ მამაკაცი ხარ და არა ჩვარი. ბუნებრივია, მე იმ წლებში თავს მამაკაცებს ვაკუთვნებდი და არა ჩვრებს. მე წასასვლელი მქონდა. და სწორედ იქით წავედი, უფრო სწორად, გავემგზავრე. განმარტოება მინდოდა, ლელიასგან შორს, საკუთარ თავთან მარტოდარჩენა მინდოდა, რათა გონი მომეკრიბა, წონასწორობა აღმედგინა, რომ დაუვიწყარი საძაგლობანი არ მეთქვა, ბოლოს და ბოლოს, ხელი არ წამცდენოდა მასზე.

ეს ნორმალური სურვილი იყო — სურვილი, აღმოვჩენილიყავი მარტოკა. მე ეს ნამდვილად მინდოდა და არაფერი სხვა. მაგრამ ვილაცქალი გამომელაპარაკა, პირდაპირ ტროლეიბუსში, თუმცა არ ჰგავდა იმ ქალს, ტრანსპორტში კაცებს მოსვენებას რომ არ აძლევენ გამორჩენის მიზნით. და საერთოდ, არ ვიცი, ვის ჰგავდა იგი და ვის არ ჰგავდა. ვიცი, რომ ხანგრძლივად მომაჩერდა და მითხრა:

— რაო, ცოლმა მიგატოვა თუ გამოგაგდო?

არ ვაპირებდი მისთვის პასუხის გაცემას, მაგრამ მაინც ვუპასუხე:

— გამომაგდო.

ქალს არც უცდია ჩემი დამშვიდება:

— ესე იგი, დაიმსახურე.

მეტი აღარაფერი უთქვამს, სანამ ტროლეიბუსიდან არ ჩამოვედით. არც შემდეგ უთქვამს რამე, გატრიალდა და სხვა მხარეს წავიდა. მაგრამ მერმე, ეტყობა, ვადაიფიქრა, მობრუნდა, დაბრუნდა და მკითხა:

— ფული გაქვს?

ცოტა მაქვს-მეთქი, მივუგე.

— რაკი ცოტა გაქვს, გასტრონომში შევიდეთ.

გასტრონომში ერთი ბოთლი წითელი პორტვინი ვიყიდეთ. მაშინ ზირდა სპირტიანი სასმელების შოვნა და ღვინის განყოფილებაში მხოლოდ ეს პორტვინი იყო. თაროებზე მიჯრით დაეწყო პორტვინის მტვრიანი ბოთლები. სხვა არაფერი იყო. საუზმეულიც ვიყიდეთ, რა — არ მახსოვს. რაღაცას კი ვჭამდით. ეს მე რატომღაც კარგად დამამახსოვრდა. უფრო ზუსტად, არ მახსოვს, პორტვინი დასაყოლებლის გარეშე დაგველიოს. ესე იგი, საუზმე გვექონდა.

რაც პორტვინის დაღვევის შემდეგ მოხდებოდა, გასაგებია. ხეივანიდან არც კი მახსოვს, როგორი საყვარლობა გამიწია ამ ქალმა. ალბათ ჩვეულებრივი, შესაძლო გრძნობათა მთელი გამიდან და პალიტრიდან. მე მისდამი მადლიერების გრძნობას განვიცდიდი, იმისთვის, რომ დამელაპარაკა, რომ კი არ წავიდა, არამედ გამომყვა და დრო ჩემთან გაატარა. რაც უნდა იყოს, მის გარეშე ცუდად ვიქნებოდი. და ჩემი სურვილი მარტო ყოფნისა შეცდომა და ყალბი აღმოჩნდა.

დილას კი დედა ჩამოვიდა, მისთვის ლელიას დაურეკავს და უთხრავია, შინ მივეყვანე. დედა დილაადრიანად ჩამოვიდა, ექვსის ნახევარზე, და, ცხადია, ნახა, რომ მარტო არ ვიყავი. დედამ მითხრა:

— არამზადა ხარ.

მე ვუთხარი:

— რატომ?

მან კი მითხრა:


— მოემზადე.

მოემზადე. ჩემი შემთხვევითი ქალიც მოემზადა. ჩქარა და უხმაუროდ. იგი შეუმჩნევლად წავიდა. ყოველ შემთხვევაში, მე მისი წასვლა არ შემიძინებია.

გზაში დედამ ყველაფერი მიაგმო. გუშინ გვიან საღამოს ლელიას სვეტკა შინ დაუტოვებია, თვითონ კი დიკი სასეირნოდ წაუყვანია. ეს ჩემი მოვალეობა იყო ყოველ დილა-საღამოს. მაგრამ რაკი შინ არ ვიყავი, ჩემს მაგივრად ლელიას წაუყვანია. სვეტკა კი ღამეულ ბინაში დაუტოვებია. რატომ არ დააწვინა დასაძინებლად ლელიამ ჩვეულებრივ ცხრა საათზე, აქამდე ვერ გამიგია და ვერც ლელიას გაუგია. ეტყობა, დრო გაუსხლტა, ეტყობა, გაითიშა და დროის შეგრძნება დაკარგა. გონს რომ მოეგო, თურმე დიკი წკავწკავებდა, ქუჩაში გაყვანას ითხოვდა, სვეტკას კი არ ეძინა.

ლელიას არ გამოსვლია დიკის სახელდახელოდ გასეირნება ქუჩაში, ძალღს იგი სანაპიროს გავლით დნეპრისკენ გაუთრევია. დიკს აქ უყვარდა სეირნობა, ვიღაც ნაძირალას კი დიკი გაუტანია...

რაკი ავტომობილებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს ჩვენს ცხოვრებაში, სადაც ჩვენ, სულელებმა, სიამოვნებით შემოვუშვით, მათ ჩვენს



სიკვდილშიაც დაიკავეს თავიანთი ადგილი, ნამდვილშიც და მოგონილშიც, რასაც თავდაპირველად მათგან არავინ ელოდა. უამრავი მანქანა გაჩნდა არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ რომანებსა და მოთხრობებშიც, საერთოდ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. მე დიდი ხნის წინ შევამჩნიე ეს, ჯერ კიდევ სანამ დიკი ცოცხალი იყო, დაუფიქრეს ხანია, მაღიზიანებდა, რადგან, როგორც კი წიგნს გადაშლი — მხატვრობით ცხოვრებაზე დაწერილ წიგნს — კაცები და ქალები ავტომობილებით დადიან, მანქანაში ჰკოცნიან და უყვართ ერთმანეთი. მანქანაში იბადებიან, მანქანაში ცხოვრობენ და საქმიანობენ კიდევ. მანქანაში და მანქანის ქვეშ იღუპებიან: ბავშვები, მოხუცები, ქალები, დამნაშავეები, ყველანი ერთიმეორის მიყოლებით იღუპებიან. დიდი ხანია, ვიცი, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ავტორები ღარიბი ფანტაზიის ხალხია და მათ არ ძალუძთ, თავიანთი პერსონაჟები გმირულად და ორიგინალურად, მკითხველისთვის საინტერესოდ მოკლან, არამედ იმიტომ, რომ მართლაც უამრავი დამფრთხალი თუ სხვაგვარი ადამიანი თავის დღეებსა და ღამეებს ბორბლებქვეშ ამთავრებს. ასეთი დასასრული კი ხშირად და სტატისტიკურად გარდაუვალად ხდება. თუ ბედად გიწერია, ვერც მექანიზმებულ სიკვდილს გაექცევი და ვერც მის აღწერას. თუმცა აქ აღსაწერი არაფერია. დიკი ოდნავ წინ იდგა და თასმას ექაჩებოდა, რომელიც ლელის ხელში შერჩა გამოგლეჯილი საყელურის კარაბინთან ერთად.

სანამ მძლოლი უკანა ხედის სარკეში იცქირებოდა და შემთხვევის ადგილზე აპირებდა დაბრუნებას, სანამ უკვირდა, ვილაცას მანქანა როგორ დავაჯახეო, სანამ ლელის გონს მოეგებოდა და სანამ შინ დაბრუნდებოდა, ცხადია, გარკვეული დრო გავიდა. ბინის კარი ღია იყო, ოდნავ შეღებული. სვეტკა შინ არ ჩანდა. და არც გამოჩენილა დღემდე. ვერაფრით დადგინდა — ლელიამ კარი დაკეტილი დატოვა თუ ვილაცამ გააღო, ლელიაც, რომელსაც ხელში ძაღლის საბელი ეჭირა, შუალამისას ცარიელ ბინაში წინ და უკან უაზროდ და უმოქმედოდ დაბორიანებდა. საბელის მეტი არაფერი დარჩენოდა. მეც დავრჩი, მაგრამ ეს მას შევებას ვერ ჰგვრიდა. ეს მისთვის იგივე იყო, რაც არაფერი. მეც ბევრი არაფერი დამრჩენია. უფრო ზუსტად, ლელია დამრჩა. თუმცა ჩემთან კი არ დარჩენილა, დარჩა ჩემგან განცალკავებულად — ჩემს გვერდიო, მაგრამ ცალკე.

მას შემდეგ მეშინია საყვარლების გაჩენა, თუმცა ხანგამოშვებით ახლაც მიმიწევს გული რომელიმე ოცდაათი წლის ხიხოსთან, რომელსაც კუდქვეშიდან გამოსდის ფლიუიდების ღრუბლები. მაგრამ მე ცუდი შედეგისა და უბედურების არიდების მიზნით თავს ვიკავებ. ჩემს გარშემო მყოფი ქალების უმრავლესობას შევცქერი და ჩემთვის ვამბობ:

— აი, ეს დონდლო, ქონმორეული, კლიმაქტერული, ძონძროსა დედაკაცები თუ მეტით არა, ხუთი წლით მაინც შენზე უმცროსები არიან. გაიგე, ბებერო ბრიყვო, თუ ვერ გაიგე? მიხვდი თუ ვერა? იგრძენი თუ ვერ იგრძენი?

დაახლოებით ასე ველაპარაკები საკუთარ თავს. მშველის ამგვარი საუბრები, სწორად მოქმედებს ჩემზე. ვგრილდები, შეკარგება ინტერესი და ისე ვჩერდები, ვერაფერს ვაღწევ.

სხვები ამდენს როდი ფიქრობენ. სხვებს შეუძლიათ, საყვარლები გაიჩინონ, ოღონდ ჭკვიანურად.

აი, მაგალითად, ჩემი ერთი წინაპარი (ახლა მოდებოდა წინაპრების წაღმა-უკულმა ხსენება) — ბაბუაჩემი მამის მხრიდან ჭკვიანი კაცი იყო, თუმცა სიცოცხლე საგიჟეში დაასრულა. ბაბუასევე უფროსად ორი ოჯახი ჰქონდა და ორივესთან ერთდროულად ცხოვრობდა. საკვირველია, იგი ოჯახებს მეტ-ნაკლები ღირსებით ინახავდა — ორ ცოლსა და სამ ბავშვს ისტორიულ პერიოდში, დიადი რევოლუციის შემდეგ, რაც შთამომავლობამ ბანდიტურ გადატრიალებად შეაფასა, ბაბუა მონაცვლეობით მიდიოდა თავის ოჯახებში. ორივე ოჯახი მუდამ ელოდა. განსაკუთრებით მაშინ ელოდნენ მოუთმენლად, როცა დიდხანს არ მიდიოდა. ხანდახან განგებ აგვიანებდა, რომ მონატრებოდათ. მიუსვლელობის გამო კი არც საყვედურობდნენ და არც ტუჩებს იბზუებდნენ.

ხოლო ის, რომ თავისავე ცხოვრებამ შეშალა ჭკუიდან, სულაც არ არის გასაკვირი. ჯერ ერთი, ეს სიბერეში მოხდა, როცა სამოცდაათს გადააბიჯა. ფიზიოლოგიური მიზეზებით ბევრი ყოფილი მამაკაცი გიჟდება, მეორეც, მას სხვაც ბევრი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ უფრო ადრეულ წლებში ჯან-ღონით სავსესაც გაეფრინა, ამის მიზეზი სულაც არ იქნებოდა ის, რომ ორი ოჯახი ჰყავდა. მას სხვა საკმაო მიზეზები ჰქონდა, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მიზეზები. უბრალოდ, ამისთვის კმაროდა იმ შთაბეჭდილებათა ჯამი, ცხოვრებისგან რომ მიიღო. არაფერი ისე არ ჩაივლიდა, მის ფსიქიკაზე ნაიარევივით რომ არ დაეტოვებინა თავისი ნაკვალევი. ბაბუას გაგიჟების სრული უფლება ჰქონდა. მან წარმატებით გაუძლო საუკუნის დასაწყისში მომხდარ დარბევებს, პირველ მსოფლიო ომს, რევოლუციას, სამოქალაქო ომს, ნებს, კულტს, დიდ სამამულო ომს და ყველაფერს, რაც ამ ომს მოჰყვა. ხოლო როცა ეს ყოველივე დამთავრდა და შეწყდა, ბაბუა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა. უფრო ზუსტად, როგორ აღმოჩნდა? დაწვრილებით ნამდვილად არ ვიცი. წვრილმანებზე ჩემთან არავის არასოდეს უსაუბრია. მე შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო, საკუთარი მერყევი დასკვნები გავაკეთო. საბჭოების ორმოცდაათიან წლებში, მით უმეტეს, დასაწყისში, ვის მიჰყავდა საგიჟეში შერევილი ბერიკაცები? ვის სჭირდებოდა იქ ისინი? ესე იგი, ბაბუა ჩათესავებმა ჩააბარეს საავადმყოფოს. მისმა და ჩემმა ნათესავეებმა. ცხადია, ისეთი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ, რომ უჭირდათ იმ გიჟის გვერდით ცხოვრება, რომელსაც სიბერის მარაზში და სრული პიროვნული მოშლა ეწყებოდა. ასევე, ავადმყოფისთვისაც შეუძლებელი იყო არსებობის უსაფრთხო პირობების შექმნა. პოდა, ეტყობა, ამიტომ საკუთარი ინიციატივით და კეთილი განზრახვით ჩააბარეს საავადმყოფოში. ბაბუას იქ დიდხანს აღარ უცოცხლა, თუმცა, როგორც ამბობენ, სპეციალური სამედიცინო პერსონალის საერთო სიყვარულით სარგებლობდა. — და იქვე (თუ იქადახვე) მშვიდობიანად გასცლია ცხოვრებას. მანამდე კი განსჯის უნარი საერთოდ დაეკარგა და, მაშასადამე, საკუთარი სიკვდილიც არ გაუგია. თუმცა თავს დროსა და ეპოქაზე მეტი იცოცხლა. ბაბუა ხშირად იმეორებდა აკვიატებულ ანდაზასავით: „არაფერია, — ამბობდა იგი, — მე თქვენზე მეტს ვი-

ცოცხლებ, ბოზებო“. ასრულა კიდევ დანაპირები, ჩვენზე მეტი იცოცხლა, თანაც სადმე კუთხეში კი არ იყო მიგდებული, არამედ მოვლენათა ცენტრში ტრიალებდა და არც ერთი დღე არ ყოფილა არც პროლეტარი, არც ლენინელი, არც თუნდაც მათი მხარდამჭერი და არც მათთან სოციალურად დაახლოებული ელემენტი.

მას წინაპრებისგან მემკვიდრეობით ერგო სამკაზმის მემკვიდრეობა ქალაქ ეკატერინოსლავში. სახელოსნოს არც ერთი მეფის დროს არ აკლდა შემკვეთები და მუდამ რაღაც შემოსავალი შემოჰქონდა. ჭკუანაღრძობ ბოლშევიკებს ესეც უპატიებელ დანაშაულად და კონტრად მიანიჭდათ. ბაბუას ქალიშვილი, ჩემი მამიდა, ხუთი წლისა, ბატკო მახნოს წაუყვანია ტყვედ. და თურმე ბაბუასგან კონტრიბუციას ითხოვდა გამოსასყიდის სახით. ბაბუა იძულებული გახდა, შვილი გამოესყიდა. ბაბუამ მისცა ყველაფერი, რაც გააჩნდა. გროშიც არ დარჩენია და ქალიშვილი დაიბრუნა. ქალიშვილმა კი უამბო: ბატკოსთან დიდებულად ვცხოვრობდი, არაფრის მეშინოდა და ბოთლით თბილ რძეს მასმევდნენო.

ბაბუას ვაჟი ზორიკი, მამაჩემის სისხლი და ხორცი, ასე ვთქვათ, მამაჩემის ძმა, სამამულო ომში დაიღუპა.

ბაბუაჩემს სახელოსნო ორჯერ წაართვეს. პირველად მაშინ, ქვეყანაში რევოლუციამ რომ გაიმარჯვა, მეორედ — ნეპის იძულებითი შევიწროება რომ დაიწყო. ქალაქიდან ცოლსა და ორ შვილთან ერთად გაქცეულა ბარგისა და ქონების გარეშე, თუ ქონებად არ ჩავთვლით იმ სამ საბანს, ნაუცბათევად რომ გამოაყოლა ხელს და რაც შეძლომ დალზე გამოადგა. გაიქცა მას შემდეგ, რაც ცოლის შორეულმა ნათესავმა, წესიერმა კაცმა, ჩეკისტად რომ მუშაობდა, ერთ ღამეს მოაკითხა და გააფრთხილა:

— სახელოსნო მხოლოდ დასასრულის დასაწყისია, უკეთეს შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ღმერთმა ხელი არსებითად შეგიწყო და გაგიმართლა — არის ციხე.

— რას მერჩიან? — დაუღრიალა ცოლის ნათესავს ბაბუამ.

— სიაში ხარ, — უთხრა ცოლის ნათესავმა.

— მართლა ვარ სიაში? — ისე ჰკითხა ბაბუამ, არ დაუზუსტებია და არც დაინტერესებულა, რა სიაზე იყო საუბარი.

— ნაუმ, გულს ნუ მტკენ, — უთხრა ნათესავმა. — დღეს, განთიადისას, მოგაკითხავენ და ბაბუაც ოჯახთან ერთად გაიქცა. იმავე ღამეს რომელიღაც საბარგო მატარებელში ჩაჯდა, თან ყველასათვის ცოტა სანოვავე ჰქონდა. ცარიელი მატარებელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, არც არაფერი მიჰქონდა და არც არავინ მიჰყავდა. დარაჯადაც არავინ ახლდა (ეტყობა, უკვე არსებობდა სოციალისტური იდიოტიზმი). იმ დროსა და პირობებთან შედარებით სადგურებში ცოტა ხანს ჩერდებოდა, რაც, ერთი მხრივ, კარგიც იყო — მგზავრობა რომ გაჭიანურებოდათ, საკვები შემოაკლდებოდათ, მეორე მხრივ კი — ვაკონას ღრეჩობებში ისეთი ქარი უბერავდა, საბნები რომ არ ჰქონოდათ, შვილები დაეხოცებოდათ.

ჰოდა, ამ ცარიელმა, საკმაოდ ჩქარმა მატარებელმა, მართალია, ყოველგვარი კომფორტის გარეშე, მაგრამ გადაუსხდომლად ჩაიყვანა

საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში, სადაც ბაბუას ნებისმიერი გზით უნდოდა ბოლოს და ბოლოს ჩაეღწია.

— მოსკოვი დიდი და ხალხმრავალი ქალაქია, ეუბნებოდა ბაბუა ცოლს. — აქ დამალვა არ გაგვიჭირდება.

გვარიც არ შეუცვლია, უკანასკნელი კაპიკები ჩაქვნილია, ახალი, უსაფრთხო საბუთების შესაძენად. მას სამყაროსეული ბორდელის იმედი ჰქონდა (რაც დაახლოებით იგივე ქაოსი იყო), რომელიც პირველი ბოლშევიკური დღიდან მეფობდა ქვეყანაში, ესე იგი, მის დედაქალაქშიც. იმედი არ ტოვებდა, რაც უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა, რადგან ბორდელი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. მუქარის გამოხატვულ ზომებს იღებდა, რაც უფრო კონცენტრირებული ხდებოდა, და მართლაც, მოსკოვში ბაბუას არავინ შეხებია, გვარიანდაც მოეწყო მუდმივ საცხოვრებლად, ბოლოს და ბოლოს გახდა თუნდაც არა მეპატრონე — იმ დროისთვის მეპატრონეებს უფლებები ჩამოართვეს, — მაგრამ სამკაზმით სახელოსნოს დირექტორი მაინც გახდა. მოსკოვში ჩასვლისთანავე ბაბუა მეორე ოჯახსაც მოეკიდა და უმცროსი ვაჟი ზორიკი შეეძინა, რომელიც შემდეგ მოკლეს, ორმოცდახუთ წელს, როგორც კი წაიყვანეს ომში. მან ვერც კაცური ცხოვრება მოასწრო, ვერც ომი. მოკლულ რომ ითქვას, ვერაფერი მოასწრო. უბრალოდ დაიბადა და შეტიარაფერი. მანამდე კი ბაბუას ორივე ოჯახს, ესე იგი, მის საერთო შვილებსა და საერთო ცოლებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, ამის გამო ბაბუა ამბობდა: ჩემი ოჯახები ცოლებიან-შვილებიანად მეგობრობენო.

მამაჩემსაც ორი ოჯახი ჰქონდა, მართალია, არა ერთდროულად, არამედ თანმიმდევრობით და გული მწყდება, რომ ამ აზრით არც ბაბუას ვგავარ და არც მამას. და ახლა ვინმესთან წასასვლელი არ მაქვს, თუმცა სადღაც წასასვლელი ცოტა არის და ეს კარგია. რაც თავი მახსოვს, მუდამ კარგად ვიყავი. იმდენად კარგად, რომ ყოველთვის მქონდა სადღაც წასასვლელი. მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა, „სად“ წავიდე კი არა, „ვისთან“ წავიდე ამერჩია. საყვარელი კიდევ ერთი ცოლია — რაღა განსხვავებაა? სახელწოდების შეცვლით, როგორც ცნობილია, აზრი არასოდეს იცვლება. აზრიც იმიტომ არის, რომ რანაირი საბაბიც არ უნდა არსებობდეს, არ შეიცვალოს.

ცხადია, ჩემი განსასჯელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, უფალს მრუშობის საქმეში ყველაფერი ვერ გაუთვალისწინებია, როგორც ჩანს, გაცხარებულა, უჩქარია ცალსახად ნაკარნახევი შეზღუდვების და განმარტებების დადგენისას. ვისაც ჰყავს ისეთი ვინმე, ვისთანაც მრუშობა შეუძლია, მას ზურგიცა აქვს. აქვს სწორედ ის ზემოჩამოთვლილი, წინასწარმომზადებული პოზიციები. პოდა, მე მესმის და წინააღმდეგობა არა ვარ, რომ ზურგი საყვარელი კი არ იყოს, არამედ ოჯახი — საზოგადოების უჯრედი. თუმცა სად არის ახლა ასე? უნდა იყოს — ერთია და არის — მეორე. ხშირად ეს „მეორე“ სრულიად (ან ნაწილობრივ) განსხვავდება იმისგან, რაც უნდა იყოს. ასე რომ, ღმერთს ამაოდ შეუწუხებია თავი იმის გასარკვევად, სად და როგორი ზურგი უნდა ჰქონოდა ადამიანს. მთავარია ზურგი უნდა იყოს, ხოლო ეს ზურგი ერთი ოჯახი იქნება თუ მეორე ოჯახი იქნება, ანდა მსუბუქი ყოფაქცევის ქა-

ლი იქნება, რომელთანაც შეიძლება მიხვიდე და დარჩე მთელი ღამითა თუ დღით ანდა სულაც სამუდამოდ, უკვე სულერთია, მნიშვნელობა არა აქვს. რა საჭირო იყო ამის აკრძალვა, მომაკვდინებელ ცოდვად მიჩნევა, მით უმეტეს, რომ თავად ღმერთი სხვა რაღაცას ქმნიდა და სხვა შექმნა? და ისევ კითხვის ნიშანი ჩნდება. ვისკენაა ეს შეკითხვა მიმართული — საკუთარი თავისკენ თუ ღვთისკენ, თუ ეს უბრალოდ მსხვილ-ვანა შეკითხვისათვის და სხვა არაფერი.

ამ საკითხზე ერთი ვარაუდი მაქვს, არ ვიცი, ახლოა ჭეშმარიტებასთან თუ შორს. მე მგონია, სავსებით შესაძლებელია, რომ ღმერთი — რაკი იგი თავად არის სიყვარული — თავდაპირველად, სიყვარულის არსებობის შემთხვევაში სიძვის აკრძალვას არ აპირებდა, ის კრძალვად სიძვას სიძვისათვის, ესე იგი, წმინდაწყლის სიძვას, მრუშობას, შემდეგ კი იფიქრა, ასეთი მრუშობა რომ აკრძალო, სხვაგვარი დავამკვიდრო, ჩვენ უსათუოდ ვისარგებლებთ ამით ურცხვად, საკუთარი შეგნების კარნახით მაინც გამოვიყენებთ, მერმე კი, განკითხვის დღეს, მოვყვებით ფიცს, ყველა ჩვენი ას ექვსივე საყვარელი და მათთან ერთად ცოლიც გვიყვარდა, როგორც საკუთარი თავით, და ამას აუცილებლად დავუმტკიცებთ ღმერთსაც, ეშმაკსაც, თუნდაც განკითხვის სასამართლოს მთელ შემადგენლობას, პროკურორიანად და მისი ამხანაგიანად. დავუმტკიცებთ ცნობებითა და მოწმობებით ხელში. თანაც ხაზს გავუსვამთ იმას, რა პასუხი უნდა მოგვეთხოვოს, თუკი უსაშველოდ, სხვა სიტყვებით, სიყვარულისგან გონწართმეულნი ვიყავით, ისე გვიყვარდნენ, როგორც უნდა გვიყვარებოდნენო. მოიგონეს რაღაც უხამსი ღამაში გამოთქმა და ღამაშიაღ ლაპარაკობენ ნებისმიერი უხამსი საბაბით „უგონო სიყვარული, უგონო სიყვარული!“ თითქოს გონივრული სიყვარულიც არსებობდეს. ბოროტი სიყვარული არსებობს, უბედური სიყვარულიც, დავუშვათ, არსებობს, ხოლო ჭკვიანური, (ისევე, როგორც უჭკუო სიყვარული) არც სადმე არსებობს და არც ყოველთვის არსებობს, თვით ხელსაყრელი დამამძიმებელი გარემოების უამსაც კი. მით უმეტეს, არ არსებობს „გონივრული უგონო სიყვარული“, რადგან ეს იგივეა, რაც „უგონო ანგარებიანი სიყვარული“ ან გონივრულად გათვლილი ანგარება.

კაცმა რომ თქვას, არავინ უწყის, შეიძლება თუ არა, არსებობდეს ამგვარი სიყვარული.

დიდი ხანია, ასე აღრიხანად შინიდან არ გამოვსულვარ. ისე დიდი ხანია, რომ უბრალოდ, ვერ წარმომედგინა ქალაქი ამ საათებში. ვერ წარმომედგინა, რა არის ეგრეთ წოდებული დიდი ქალაქის ღამეული, განთიადისწინა სიცოცხლე. ჩემი ქალაქისა, სადაც როგორღაც ასე თუ ისე, ვცხოვრობ, როცა რატომღაც ვერ ვიძინებ, ვდგავარ ხელისგულე-ბით ფანჯრის რაფას დაყრდნობილი და შავი მინის მიღმა სახლების ფანჯრებს მივჩერებივარ. ხანგამოშვებით ზოგი მათვანი მკრთალად ნათდება და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ქრება. ხან აქ, ხან იქ, ხან ერთ სახლში, ხან მეორეში, ხან მეზობელ სახლში. მეც ვხვდებოდი, რომ ადამიანები სიყვარულის შემდეგ სააბაზანოში შედიან, მერმე დახარჯუ-ლი ძალის აღსადგენად ცოტას წაიხემსებენ ხეც. ან პატარებს არ სძი-

ნავთ, ავად არიან და ყურადღებას ითხოვენ ან ვინმე კვდება. მაგრამ ამ შემთხვევაში შუქი მთელი ღამე ანთია, ისევე როგორც მაშინ, როცა ადამიანს ეშინია სიბნელეში ძილი. ღამისა და სიბნელის ეშინია, რომელიც ავსებულა ბავშვობის დროინდელი შიშითა და უფრო საშინელი მოწიფულობის დროინდელი კოშმარებით.

შინიდან რომ გავდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ღამეში გავდიოდი. და ეს რწმენა, შეიძლება ითქვას, მამხნევებდა. ღამეში გასვლა რალაცას გულისხმობს. არის მასში რალაცა. ეს ის არ არის, დილაში, დღეში ან საღამოში გახვიდე. საღამო-ღამეში, თუმცა კი ცენტრიდან მიახლოებულ რაიონში, სწორედ რომ ღამე იყო, შავი და ყრუ ღამე. საძილე მიკრორაიონს ეძინა. მრავალსართულიანი, კვადრატულ-ბუდობრივი წესით დახვავებული სახლების რიგი დღის სინათლის გარეშე უფერული ჩანდა. მხოლოდ აქა-იქ კია-ფობდა თითო-ორი მოუსვენარი სარკმელი და იგი კიდევ უფრო ხაზგასმულად აჩენდა თავისი სინათლით საერთო სიბნელესა და საერთო უფერულობას. პეიზაჟის უფერულობა კი აზრის უფერულობასაც იწვევს. აზრები ფონს ერწყმიან და ყველასათვის უჩინონი, შეუმჩნეველნი, ერთმანეთში ითქვიფებიან. ჩემი ფიქრებიც სწორედ უფერულნი იყვნენ. შავიც არ ეთქმოდათ, არც ილტვოდნენ სიშავისკენ. თუ ფიქრებს ფერი აქვთ, სავსებით უფერულნი იყვნენ და ისინიც სადაცაა მალე გაქრებოდნენ. აი, ამ წუთებში ფაქტობრივად ლელია რომ არ მიყვარდა ისიც კი უფერული, მქრქალი და უძლური მეჩვენებოდა. ეს იყო უემოციო სიძულვილი. ან იქნებ სულაც არ იყო სიძულვილი და უფრო ფიქრი იყო სიძულვილზე. უბრალოდ ვფიქრობდი, სიძულვილის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელი იყო. აუცილებელია, რალაც ვძულდეს-მეთქი.

იქნებ ამიტომაც მეჯავრება ჩრჩილი, მკვდარიც კი. გაჭყლეტ და სქელ, საშინელ მტვრად გადაიქცევა. ხელები გისრიალებს და მერმეც, მთელი საათის განმავლობაში მკვდრიდან ადენილი ეს მტვერი კანით შეიგრძნობა. ასე რომ, ვფიქრობ, ჩრჩილი სიძულვილის ობიექტია. სულაც არ არის რომელიმე სხვა ობიექტზე უარესი. ჰოდა, ჩრჩილის სიძულვილი გაცილებით სჯობია ჩეჩნების, ებრაელების, რუსების ან უკრაინელების სიძულვილს. ეს იმაზე უკეთესიც კია, ვინემ ლელიას სიძულვილი.

აი, თურმე ერთი სიძულვილი შეიძლება მეორეზე უკეთესი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ადამიანი თუნდაც პატარა სიძულვილის გარეშე მაინც ვერ ძლებს, ისევე როგორც ბევრი ადამიანი ვერ ძლებს უსიყვარულოდ. ასე რომ, როგორც საყვარლები არსებობენ, ისევე არსებობენ მოძულეებიც. და ისინი ერთმანეთს აძლებინებენ, რადგანაც სიძულვილი საერთოდ — ისევე, როგორც სიყვარული საერთოდ — განუკუთვნება ყველას და არავის.

და ვერც საყოველთაო სიყვარული და ვერც საყოველთაო სიძულვილი ცხოვრებაში ვერავის აბედნიერებს და ვერც ღრმა სიყვარულს ანიჭებს. ყველაზე უარეს ვარიანტში კი, როცა შენში სიძულვილი არსებობს, ხოლო შესაძლებელი არავინ გყავს, ეს სიძულვილი შესაძლებელია შენვე მოგიტრიალდეს. ამიტომ იმ ადამიანებს, რომელთაც ძა-

ლუძთ სიძულვილი აღგვიძრან და ამ სიძულვილის მოქმედობით აღიქმად გადაიქცნენ, უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ, უფრო მეტიც, ისინი უნდა გვიყვარდნენ, განსაკუთრებით თუ ისინი წლებისა და ათწლეულების მანძილზე ობიექტებად გვემსახურებოდნენ.

პირველ ხანებში, როცა სვეტკა გაუჩინარდა, საკმაოდ მოვუხშირე სასაფლაოზე სიარულს, იქ ყოველთვის ვხვდებოდი ერთ-ერთს ან მეორეს. იგი შემოკავებულში იჯდა და ბორცვს დასცქეროდა. სხვების მოვლილი იყო, ზედ მწვანე ბალახი ხასხასებდა.

როგორღაც ერთხელ მეოცე ტროლეიბუსისკენ ერთად წავედით, რათა ქალაქში დავბრუნებულიყავით. ხეივანში მივდიოდით, ძველ, ბარდებმორეულ საფლავეებს შორის. უანგმოდებული ზღუდეებისა და აყირავეებული, დაბზარული ძეგლების გავლით. როცა ცოცხლების ყოფარაგვრება, მორალი და ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული, როცა ყველაფერი ინგრევა და ნადგურდება, სასაფლაოებიც ნადგურდება. ქალს არაფერს ვეკითხებოდი, უკან მიფუყებოდი. თვითონ გადამიშალა გული. ყველაფერი მიაბზო. ამიხსნა, წინასიტყვაობისა და ახსნა-განმარტების გარეშე, თუ რატომ მეუბნებოდა ამას უცხო კაცს. თითქმის ყოველდღიურად დავდივარ აქ, ქმრის საფლავზე, მითხრა:

— სანამ ცოცხალი იყო, მეზიზღებოდა, თმთან-ფრჩხილიანად. სისხლი გამიშრო, საზიზღრად მექცეოდა. რომ იცოდეთ, რამდენჯერ შევუძმუდამ ამას მეუბნებოდა: „გადი აქედან“. როცა უგუნებოდ იყო, შეეძლო ხელითაც შემხებოდა. ხელი კი ისეთი პქონდა, ღმერთმა გაშოროთ. მთამომავლობით უროსმცემელი გეგონებოდათ. სამჯერ დამისვეს დიაგნოზი: „საშუალო სიმძიმის ტვინის შერყევა“. ერთხელ ასეთი დიაგნოზი დამისვეს: „თავის ქალისა და ტვინის ტრავმა“. მერმე ავად გახდა, ლოგინიდან ველარ წამოდგა და გათავდა. ინსულტი დაემართა. ორ წელიწადზე მეტხანს იწვა, ყველაფერი ესმოდა, დაძახებაც შეეძლო, თუნდაც ზმუილით. თუმცა არც ერთხელ არ დაუძახნია. ხანდახან მის ახლოს ვიჯექი, თვალეში მომჩერებოდა, მაგრამ საწოლში ისვრებოდა, საზიზღარი. და ახალი წლის ღამეს მოკვდა, თითქოსდა განგებ.

ხალხი დღესასწაულობდა, ჰაერში თოფს ისროდნენ, ქუჩიდან სიცილი : სმოდა, ხმაური იყო. მე კი შინ მიცვალებული მესვენა. კაციშვილი არ იყო, რომ მომხმარებოდა. — დასაბანი იყო, ტანსაცმელი გამოსაცვლელი პქონდა. ას კილოზე მეტს იწონიდა და მაგიდაზე მარტოკა ვერ გადავასვენებდი. ვის უნდა თხოვო, მომეშველეო, როცა ხალხს ასეთი ზეიმი აქვს. ოჯახური თუ საერთო? ხვალ კი — პირველი რიცხვია, უქმე დღე, ზეიმის გაგრძელება. კაციშვილს ვერ ნახავ. დამკრძალავი ბიურო მხოლოდ ორში გაიღება. აი, ასე იწვა სამ რიცხვამდე შინ.

ახლა კი მის გარდა, აღარავინ მყავს, რომ მივიდე. სიყვარულითაც, ჩათვალეთ, რომ არასოდეს მყვარებია ვინმე, უსიყვარულოდაც იოლად გავდიოდი, მშვიდად ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა შესაძლებელიც არავინ მყავს. უამისოდ კი, ეტყობა, სიცოცხლე გამიჭირდება.

გამოდის, რომ მხოლოდ ერთგულებას აქვს ჩვენთვის დიდი ფასი, რადგან თავისთავად იგი ჩვენში დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ყველა წესსა აქვს დასანანი მრავალრიცხოვანი გამონაკლისი. ისინი, კი არ ამტკიცებენ ამ წესებს, არამედ ანგრევენ, იმიტომ რომ წესი, რომელსაც განუსაზღვრელი რაოდენობის გამონაკლისი აქვს, წესი კი არა, მხოლოდ მთლიანი გამონაკლისია. ~~მოდის, რომ დავითვა-~~ ლოთ ეს გამონაკლისები, უკვე დიდი ხანია წესზე მეტია. ~~ფაქტურა~~ ლელისა, გარდა გამონაკლისისა, სხვას ვერაფერს უწოდებ. ~~მოდის, რომ დავითვა-~~ მუდამ რალაცას სჩადის. მაშინაც ასეთ რალაცას სჩადიოდა, ოცი წლის რომ იყო, შეიძლება თექვსმეტისაც იმავეს სჩადიოდა და უკეთესი სულაც არ ყოფილა, მხოლოდ კანჭმალაღი იყო, უფრო წერწეტა და უმანკო. ასეთ რალაცებს სჩადის არა იმიტომ, რომ უინსა ჰყავს შეპყრობილი, ან, ვთქვათ, ანგარების გამო, არა, შინაგანად არის ასეთი — მუდამ ქაოტური. მან არასოდეს იცის, მისი ნამოქმედარი არგებს თუ ავნებს ვინმეს, ან თუნდაც პირადად მას. შედეგებზე არასოდეს ფიქრობს, ოღონდ იმოქმედოს და მორჩა. ვერ წარმოუდგენია და ვერ ზომავს, რომ მის ნამოქმედარს შეიძლება რამე შედეგი მოჰყვეს. როცა შედეგებს გამუდმებით იძკის, ამის პასუხად ახალ დანაშაულებს სჩადის, ამ ახალსაც თავისი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ამ ნამოქმედართ ასწებოვნებს სხვებს, ვინც მის სიახლოვეს ცხოვრობს ან სადმე შემთხვევით გადააწყდება.

დროგამოშვებით მისგან მეც ვხდები ავად. და მინდა, შევცვალო ჩემი ცხოვრება, უკეთესი გავხადო, ან ისე გარდავქმნა, როგორც მომეხერხება, თუმცა წესიერი კონსერვატორი კი ვარ. ახლა კი უბრალოდ მინდა კი არა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მართალია, დავკვიანებით, მაგრამ დადგა დრო, როცა ეს უნდა მოვიმოქმედო — ყველაფერი უნდა შევცვალო, რის შეცვლაც შეიძლება: სამუშაო, ცხოვრების წესი შეცვალო, ის, ვისთვისაც მუშაობ, ფულს იღებ და, შეიძლება ითქვას, ვისთვისაც ცხოვრობ. არაფერი დაშავდებოდა, თვითონაც რომ გადავცვლილიყავი რამეში. რამეში კი არა, ვინმეში. თუმცა ეს სულელური ნიუანსებია. თავი როგორ უნდა გადაცვალო? ეს შეუძლებელია. მე შემიძლია, სამსახურს, თუ ვერ გამოვიცვლი, დაუყოვნებლივ მივატოვებ მაინც. ამ შემთხვევაში ცხოვრების წესიც შეიცვლება თავისთავად, თანაც ძალზე სწრაფად, უკვე დავაპირე კიდევ ამ გადაწყვეტილების განხორციელება, მაგრამ გადაწყვეტილება ულაზათო გამოდგა და დავამუხრუჭე. არ მივატოვე სამსახური, არც გამოვიცვალე. თუნდაც იმიტომ, რომ მალე თავისთავად დავრჩებოდი უმუშევარი, რამეთუ ჩვენი გაზეთის ახალმა პატრონებმა ძალაუფლება, ვალდებულებები და თანამდებობები იგდეს ხელთ.

რაც შეეხება იმას, თუ ვისთვის ვცხოვრობ... ეტყობა, ამის შეცვლას ვერ ავიცილებ, უფრო სწორად, უკვე ვერ ავიცილე. და ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. თუმცა საზღვარი ყველაფერს აქვს, გარდა უსასრულობისა. ესეც ჯერ კიდევ უცნობია. აიტანო ცხოვრება (ნაცვლად იმისა, რომ იცხოვრო) გარკვეული დროის განმავლობაში შეიძლება, ბევრნი იტანენ კიდევ, მეც ვიომენდი თითქმის თხუთმეტ წელიწადს, რაც, ალბათ, მეტისმეტია. რა საჭიროა, რა სარგებელი მოაქვს იმას, რომ ლამის მეასედ შეახსენო თავს, „უფალი ითმენდა და ჩვენც ამას მოგვიწოდებდა“. ეს დიდი ხანია, საერთო ადგილად, ბანალობად იქცა. უფალი, სხვათა შორის, რალაც დიადისთვის და სუფთასთვის ით-

მენდა. თუმცა სხვისი ცოდვების, იგივე საძაგლობის მონანიებას — ტყვიისა თუ სხვა რაღაცისა — მხოლოდ თვალახვეულმა შეიძლება უწოდო სუფთა. მაგრამ კეთილშობილურ საქმედ მისი სახელდება ვინამდეილად შეიძლება, უსარგებლო, მაგრამ მაინც კეთილშობილურ საქმედ. და ეს ნორმალურია. კეთილშობილება მუდამ უსარგებლოც იქნება როგორც უსარგებლოა, ვთქვათ, ბედნიერება. იქნებ ბედნიერება არც თუ უსარგებლოა, რატომღაც ამბობენ, ბედნიერება ჯანმრთელობას რგებსო. უბედობა, ალბათ, ვნებს ჯანმრთელობას. მაგრამ რას ვიზამთ? განა ვინმე გვპირდებოდა, რომ ყველანი ბედნიერად და კარგად ვიცხოვრებდით? ჰოდა, აუცილებელი არ არის, ყველამ ბედნიერად და კარგად ვიცხოვროს. უნდა იცხოვროს ყველამ — ეს ასეა, მაგრამ როგორ უნდა ვიცხოვროთ, თვითუღლისთვის ცალ-ცალკე გარანტია და რეკომენდაცია არავის მოუცია. ყველას ერთად მოგვცეს. ბიბლიაში არის ეს რეკომენდაციები, რომლებსაც, ენა ვერ მოგიბრუნდება, რეკომენდაციები უწოდო, რადგან მათი უმეტესობა „არა“-თი იწყება. განა ეს არის რეკომენდაცია ყველასათვის, კაცობრიობის უზარმაზარი ნაწილისათვის, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სულიერად, გარეგნულად, ფერით და ხორციით? არა, ეს არ არის საყოველთაო რეკომენდაციები, არამედ უმისამართო რეკომენდაციებია. რეკომენდაციების მიცემას ან თავი უნდა აარიდო, ან ყველას სათითაოდ უნდა მისცე. თორემ სხვანაირად ცალკე ადამიანი ყურადღებას არ მიაქცევს ამ რეკომენდაციებს. როგორც ავტობუსში ხდება ხოლმე, — როცა ვიღაცა ვერ მოასწრებს გაჩერებაზე ჩასვლას და ყვირილს დაიწყებს: „მოქალაქენო, გადაეცით მძღოლს, კარი გააღოს“. არავინ, არც ერთი მოქალაქე არ იბარტყუნებს ყურს, აქაოდა, პირადად მე კი არა, სხვას მიმართავენო, მაგრამ თუ დაიყვირა: „წითელპერანგიანო კაცო, თქვენ გეუბნებით, თქვენ, სქელუაჰ, გადაეცით...“ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც საჭიროა. ის შლაპიანი სქელუა უმაღლესად შეასრულებს თხოვნას. ხელების ქნევას მოჰყვება და მძღოლს ყველაფერს წესიერად გადასცემს. დიდებული საქმეა ადამიანთან ინდივიდუალური მიდგომა. მისი გადაჭარბებულად შეფასება შეუძლებელია, დაუფასებლობა — ადვილი.

ჰოდა, ალბათ, ყველა ჩვენის უბედურება იქიდან მოდის, რომ ასეთი განზოგადებული რეკომენდაციები გვაქვს, იძულებული ვართ ალაღბედზე ვიცხოვროთ, ალაღბედზე ვიაროთ ამ გზის ან სულაც სიცოცხლის დასასრულამდე. ბუნებრივია, ჩვენ საჭირო გზას, ან საერთო გზას კი არ ვირჩევთ, არამედ ვირჩევთ ატალახებულ ორლობეს, შუკას, რომლის გასწვრივაც ქარისგან ჯერაც წაუქცეველი ხეები დგანან და ამ ხეებზე ახალი, განსაკუთრებული ნაირსახეობის ყვავები სხედან. ისინი ასორმოცდაათ კილოგრამამდე იწონიან და ტრაქტორისტებით იკვებებიან. თავისთავად საგულისხმოა, ამ შუკას რომ გავივლით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ცხოვრება არ გამოგვივიდა, არ შედგა, რომ სულაც არ უნდა გვეცხოვრა ასე და აქ. ეს კი არ უნდა გვეკეთებანა, არამედ ის, ცოლად ის კი არ უნდა შეგვეერთო, არამედ ეს. და როგორც კი ყოველივე ამას გავიგებთ, უკვე აღარ ვცხოვრობთ და ვნანობთ საკუთარ შეუმდგარ ცხოვრებას, რომელმაც გვერდი აგვიქცია და ჩაგვიარა, გვენანება საკუთარი თავი. ეს უკვე ცხოვრება კი არა, მდუმარე

უბედურებაა, რომელიც საკუთარი თავისთვის შენივე შექმნილია, შენივე ხელითა და მცდელობით.

ამიტომაც ბევრი ცვლის თავის ცხოვრებას წაღმარებულმა. ფიქრობენ, ეს ოხერი ცხოვრება ხომ ერთია და არა ათი, შენივე კი არ ვცხოვრობ, როგორც უნდა ვცხოვრობდე, პირიქედ, ვაწუჭებ ცხოვრებისგან მიწიერი სიკეთის, სიამოვნებისა და სიხალისის წილსო. და ცვლიან ყველაფერს, რის შეცვლაც შეიძლება. იგრიხებიან, როგორც ეშმაკები ბორბალში, ოღონდ მიიღონ თავიანთი აზრით, გაგებით, კუთვნილი და საერთოდ — ყველაფერი ცხოვრებისგან.

ამის თაობაზე ლელიას ერთ-ერთმა წუთიერმა ქმარმა ორიგინალური აზრი გამოთქვა: „თუ თქვენ იმისთვის მობრძანდით, რომ ცხოვრებისგან ყველაფერი წაიღოთ, — აიღეთ და მიბრძანდით“. ლელიას ის ქმარი სიბრძნისა და მახვილგონიერების ჭა იყო... უფალო, შემინდე — ეშმაკსაც წაუღია.

მე არ ვეკუთვნი ამგვარ მოუსვენარ ნატურებს. ვიცხოვრებდი ჩემთვის წყნარად, მშვიდად და შეუწუხებლად, თუ ვინმე არ შემეხებოდა, არაფერს შევცვლიდი, თუ მხოლოდ ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული. ამიტომ, რაკი იმ დასკვნამდე მივუღი, ყველაფერი უნდა შევცვალომეთქი, ესე იგი, ყელამდე ამომივიდა და გაძანადგურა. და ამას საკუთარი სურვილითა და კაპრიზით კი არ გავაკეთებ, არამედ გარდაუვალი აუცილებლობით, რადგან არავითარი არჩევანი და გამოსავალი არა მაქვს. მე იმ გარემოებების გათვალისწინებით ვმოქმედებ, რითაც სხვები მამარაგებენ. უმთავრესად, ცხადია, ლელია. მას ძალუძს გარემოებებით უზრუნველყოფა. ნებისმიერი და ყოველნაირი გარემოებით. მას ამის სწორუპოვარი ტალანტი აქვს. საერთოდ, სწორუპოვარი ტალანტის ქალია. მაგრამ მდგომარეობის, პირობებისა და სიტუაციის შექმნისას უმეტესწილად აუტანელია. ასეთ დროს ვერავინ შეედრება. ამ მხრივ მან მწვერვალებსა და სიმაღლეებს მიაღწია. უფრო ზუსტად — მწვერვალებს, რადგან მწვერვალები მუდამ სიმაღლეებზეა, სიმაღლეები კი, როგორც ლელიას ტალანტების გამო მთავარ დახარალებულს, არ მრცხვენია, კონსტატაცია მოვახდინო, რომ ლელია უსაზღვრო ტალანტის მქონე ქალია. ტალანტიანი ადამიანი კი ყველაფერს ნიჭიერად აკეთებს. მათ შორის სისულელესაც და საზიზღრობასაც. ჰოდა, პირობებსაც ქმნის — ეს თავისთავად.

პირობებს ლელია ყოველთვის მიქმნიდა და მე მუდამ ვცდილობდი, ამ პირობებით ვმდგარიყავი დრეიფზე, ოღონდ საკუთარი სახე და თავი ძალიან არ დამეკარგა. პირობებს გვარიანად შევეგუე. მაგრამ დღეს ლელიამ პირობები კი არ შემიქმნა, არამედ გარემო. ეს კი მთლად ერთი და იგივე არ არის. ამ გარემოში მე მზად ვარ, საკუთარი ცხოვრება ძირეულად შევცვალო, მზად ვარ, გავწირო სულიერი, თუნდაც მერყევი წონასწორობა. მე მიჭირდა მისი დათმობა, რადგან მერყევი წონასწორობა — მერყევია. და მხოლოდ მე როდი მომიწია მისი დათმობა. ბედნიერი შემთხვევისა თუ დამთხვევის წყალობით, იგი დავკარგე მთელ ქვეყანასთან ერთად. თუმცა ქვეყანას სხვა საამისო მიზეზებიც ჰქონდა.

გუშინ ჩემს ქვეყანაში მორიგი უმთავრესი არჩევნები ჩატარდა და იგი კვალიდან ამოაგდო. ქვეყანაც, ისევე როგორც მე, შეირყა, აძაგ-ძაგდა და დაიმუქრა, საკუთარი ცხოვრების აქამდე მიღებულ წესს ისე შევცვლი, ვერავინ იცნოს, წრეზე დატრიალებული ახლა სხვა მხარეს გავუტევეო, მაგრამ ქვეყანას ჩემზე მეტად გაუჭირდა. რაც უნდა იყოს, მე მარტოკა ვარ, არავინ მაწუხებს, მოძრავი და მობილავი მატ-ნაკლებად ჯანსაღიც... ქვეყანა კი ნაირგვაროვანია, მოუხეშავი, ფაშარი, სულელივით მოუქნელი და გააჩნია მხოლოდ კოლექტიური ჭკუა, რომელიც გედს, კიბორჩხალას, ქარიყლაპიას და პურის კოკორს გაგონებს. ან ყველა ამათზე სულელია, რადგანაც უფრო წინააღმდეგობრივია და მრავალვექტორიანი.

შეიძლება ყველაფრის უტრირებას ვახდენდე, ან იქნებ საკუთარი თავის მიხედვით ვმსჯელობდე, ჩემს გამოცდილებას ვაზოგადებდე და სხვებზე გადამქონდეს, რის გაკეთებაც არ შეიძლება იმიტომ, რომ ადამიანებს საერთოდ არ შეუძლიათ გაუგონ ერთმანეთს და სხვა ადამიანებს. მაგრამ უნდა შეეცადონ მაინც. არ ვიცი, ასეთია ჩემი გამოცდილება. როგორც ვიყავი, გამოცდილებაც ისეთი დავაგროვე. რამეთუ სხვა გამოცდილება არ მერგო. სხვა გამოცდილება ბედმა არ მარგუნა. და შემექმნა შთაბეჭდილება, ჩემი ქვეყანა ლელიას ჰგავს, ლელიასავით ისიც დიდი ხანია გაგდებას მიპირებს-მეთქი, მაგრამ მე არსად მივდივარ, ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყანა ამას ლელიასავით უხეშად კი არ აკეთებს, არამედ უფრო ნაზად, აუჩქარებლად, თანდათანობით... და მეჩვენება, რომ დროის ამ გაწელვის გამო შემიძლია ჩემს ქვეყანას ვუთხრა: „ვერ მოგართვი, მთელი ქვეყნის ჯინაზე აქ ვიჯდები, კუბოს კარამდე ფეხს არ მოვიცვლი“... პოდა, ვზივარ კიდევ. ისე, ჩემი წასვლა ქვეყნიდან კი ღირდა თუნდაც იმიტომ, რომ უპატრონო კატებსა და ძაღლებს ვერ ვნახავდი, რომლებიც სანარცხეებში იჩიჩქნებიან და მათსავით უპატრონო ადამიანები ავზებიდან მიერეკებიან. ასევე თავს დავალწევდი ჩრჩილს, რომელიც ჩემს ქვეყანაში მრავლდება და ბინას იქ იღებს, სადაც მოეპრიანება: სახლებში, კარაღებში, პარკებსა და სკვერებში.

ათასში ერთხელ რომ მივიდოდი შინ, ოთახს ყურადღებით ვათვალიერებდი — ჩრჩილი ხომ არ გაჩენილა-მეთქი. ვერაფრით გამეგო, ჩემს ცარიელ ბინაში რით იკვებებოდა ეს არამზადა. მრავალი წელია, იქ საკბილო არაფერი გვქონია. არავითარი შალი და მისი მინაგვარი რამ. იქ დგას ერთადერთი სინთეტიკური დივანი, რომელიც არ იჭმევა. ჩრჩილი კი არის და არის, თანაც სხვადასხვა სახისა — ჩვეულებრივი და საკვებისა, მაგრამ რით უნდა შეინახონ თავი? ბურღულეულის, ფქვილისა თუ დედაჩემის მიერ ოდესღაც მოქსოვილი სვიტერის ხსოვნით? თუ დასანაყრებლად მეზობელთან მიფრინავენ?

სიტყვამ მოიტანა და გეტყვი, ჩრჩილი ნელა და უნდოდ დაფრინავს, თუმცა მაინც ძნელი მოსაკლავია. ხანდახან ნერვებს ისე აკიშლის, სანამ ხელისგულებს შორის მოიქცევდე, რომ ღმერთმა დაგიფაროს. რადგან პატარაა, შეუმჩნეველი და გარესამყაროს ადვილად ერწყმება ხოლმე, რა ფერისაც არ უნდა იყოს და სწორედ იმიტომ, რომ უფერულია და ყველგან არსებობს, მე ჩრჩილი მეჯავრება, კიდევ მისი

ეს ბოზური ცხოვრებაც მეჯავრება. ყოველივე ამას ჩემს თავსაც ხმა-
მაღლა ვეუბნებოდი და სხვებსაც, ისე, რომ ადგილს არ ვიცვლიდი, ვი-
ქანდი, ასე ვთქვათ, გამოუძრომლად.

ბავშვობაში, როცა რამეს ვაშაგებდი, ამას შინ ეძახდნენ, „დაუ-
ჯერებელიაო“. მამა მეუბნებოდა: „ახლავე ქუჩაში გაგვუდევ და მო-
უსვი, საითაც გინდა“. მე არ ვიცოდი, საით უნდა მიმხვედროდი და მო-
გაგდებულს სად უნდა წავსულიყავი და ამ არცოდნის გამო შიში მიპყ-
რობდა. ისე მეშინოდა, სული მეპარებოდა, ეს პირველი შიში, რაც
დამამახსოვრდა. შიში, რომ სახლიდან მარტოვანს გამაგდებდნენ, და არ
მეცოდინებოდა, საით წავსულიყავი. და ვფიქრობდი, მორჩილება გა-
მომეჩინა, მამას კი შევკედრებოდი, ჩემთვის სხვა განაჩენი გამოეტანა,
ოღონდ შინიდან არ გავეგდე. ხომ შეიძლებოდა, მაგალითად კუთხეში
დავეყენებინე, ანდა ლაზათიანად მივეტყეპე. ბოლოს და ბოლოს ტკბილი
სასუსნავი არ ეჭმიათ. საშაქრიდან შაქრის ამოღება აეკრძალათ. შეეძ-
ლოთ, შებოლილი ძეხვი არ ეჭმიათ. მართალია, ტკბილი არ არის, მაგ-
რამ მე ტკბილულზე მეტად მიყვარს. ოღონდ სახლიდან არ გამაგდონ.
დიდხანს მეშინოდა, რომ მამა მუქარას ამისრულებდა. ბოლოს მივხვდი,
რომ არ ამისრულებდა. როცა ამას მივხვდი, სკოლაში ვსწავლობდი,
მგონი მეორე კლასში ვიყავი, ეტყობა, ის შიში დიდხანს ბუდობდა
ჩემში, რადგან იგი დამრჩა, მოზრდილსაც შემომრჩა და სულ მეშინო-
და, რომ სადღაცაიდან გამაგდებდნენ: ინსტიტუტიდან, სამაახურიდან,
სახლიდან და უსაფუძვლოდ გარეთ გასვლას ვუფრთხოდი.

სიმართლე რომ ითქვას, არც ინსტიტუტიდან და არც სამსახური-
დან არავის გავუგდივარ. ისეთს არაფერს ვაშაგებდი, რომ გავეგდე.
სამაგიეროდ ლელია არ მეუბნებოდა, რას მერჩოდა, მაგრამ გაგდებით
მაგდებდა, თან ისე მაგდებდა, თავს არ იწუხებდა მიზეზისა და საბაბის
მოსაძიებლად. ეს იმით დამთავრდა, რომ მე შიში გამიქრა. გაიქუცა
ხშირი მოხმარების გამო. და ამჟამად სულ არ მეშინია, რომ ვინმე გა-
მაგდებს ან სახლიდან, ან ქვეყნიდან, ან ცხოვრებიდან.

ჯერ კი ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დილაობით მიდის ხო-
ლმე. მართალი გითხრათ, თავად არ ვიცი, მიდის თუ არა ყველაფერი
ისე, ადრე არ ვდგები, ალიონსა თუ გარიჟრაჟზე, მაგრამ სხვაგვარად
დილა ვერ განვითარდება. ჩვეულებრივი დილაა, ჩვეულებრივი და სწო-
რი მიმართულებით მივდივარ. ჩემნაირები ქუჩაში მთელი ლეკონია.
ჩვენ იქით მივდივართ და არა იქიდან მოვდივართ, იმიტომ რომ უნდა
ვიაროთ და იმიტომაც, რომ სხვადასხვა მიზეზებისა და ვალდებულებე-
ბის გამო არ შეგვიძლია, არ ვიაროთ. აი, ჩემს პარალელურად მუშები
მოდიან და მე ვფიქრობ, რომ ისინი კოლმეურნეები არიან. ისინი, რო-
გორც კლასი, გაუქმებულ იქნენ უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით.
ისინი ფაბრიკა-ქარხნებსა და ბაზრებში მიდიან, რათა დაიწყონ თავი-
ანთი ყოველდღიური სამუშაო, ბრძოლა სამჯერადი კვებისათვის. აი,
მიდიან ადამიანები და მათი გამომეტყველების მიხედვით ვერ იტყვი,
ვინ არიან ისინი, რატომ და საით მიემართებიან ამ დროს. ჩამიარა და
გამისწრო ორმა მამაკაცმა. ერთმა თქვა: „დაველოდებით. დაველოდე-
ბით“. თანდათანობით გაზარდეს მოძრაობის სიჩქარე, გადაამისწრეს,

განთიღს შეერივნენ და გავიდნენ ჩემი თვალთახედვისა და ყურთასმენის არედან. რძისფერი ნისლით ისარგებლეს, როგორც საფარველით. სად მიდიოდნენ, რის დალოდებას აპირებდნენ, იქნებ სხვა რაღაცა გულსმობდნენ სიტყვაში „დაველოდებით“. ამას ისინი ვერ შეტყობენ, მე თვითონ კი ვერ მივხვდები. მე არ ვეკუთვნი მიხვედრილთა, საზრიანთა და მოხერხებულთა კოპორტას. თან აქ აუარება ვარიანტების შექმნა იყოს, ვარიანტების ნამდვილი ზეიმი. ასე, რომ ყოველმხედრობის დასაწყისს თავისას ელოდება, ელოდება ხშირად წვიმაში,* ელოდება ხშირად იმას, რასაც სხვები ელოდებიან კი არა, არც უფიქრიათ ლოდინი. ადამიანები საერთოდ სხვადასხვა რამეს სხვადასხვაგვარად ელოდებიან. მაგრამ ისედაც ხდება, რომ ერთი და იგივე მოვლენიდან სხვადასხვა შედეგებს ელოდებიან.

არა, ჯანდაბას ყველაფერი. ამაზე რომ იფიქრო, ტვინი ფილოსოფიურად უნდა გქონდეს მოწყობილი. ჩემი ტვინი კი ფილოსოფიურად იმ დონეზეა მოწყობილი, რომ გაარკვიოს, პარადოქსულია თუ არა გამოთქმა: „ტრაკი: ხედი წინიდან“? ან რაში მჭირდება ტვინის ფილოსოფიურად მოწყობა? ლელის ვერავითარ ფილოსოფიას ვერ დაუპირისპირებ. მას ჭკუის ფილოსოფიური ნირი კი არა, უჭკუობის ნირი სჭირდება. თუმცა მასთან კამათისას ესეც არ გამოგადგება.

ისე ამის პრეტენზია არცა მაქვს. უპრეტენზიო კაცი ვარ. ჩემთვის ისიც კმარა, რომ გარშემო ყველაფერი ურთიერთპრეტენზიულია. ყველაფერი პრეტენზიებზეა დამოკიდებული, ყველაფერს იგივე პრეტენზიები ანგრევენ.

მე არა მხოლოდ დღევანდელ უახლეს დროზე ვლაპარაკობ, ასე იყო წინათაც.

მე ამხანაგ სტალინის დროს დავიბადე და, ჩემდა სასიამოვნოდ, მის ხანაში ოთხი თვე ვიცხოვრე, ვისარგებლე ყველაზე უბედნიერესი ბავშვობით, როგორც არსებულა ბუნებაში. თანაც ვიცხოვრე არა სადღაც მივარდნილ ადგილზე, არამედ ჩვენი სამშობლოს გულში, მის დედაქალაქში, რუსულ, საბჭოთა და სხვა ქალაქთა ქალაქში.

იმ დროს ჩემი ბაბუა და ბებია თურმე სადღაც გადაკარგულში ცხოვრობდნენ დამპალ ქოხში. მამაჩემი და ჩემი და მათთან იყვნენ. თავზე ასხდნენ ერთმანეთს.

დედაჩემიც მისულა სხვა ქალაქელი ფეხმძიმე რძლის სტატუსით და მე იქ დავბადებულვარ. იქ მიხილავს სინათლე და ყოველივე, რაც გარს მერტყა. უფრო სწორად, მე იმ ანტისანიტარულ ქოხში კი არ დავბადებულვარ, არამედ სახელგანთქმული ბოტკინის საავადმყოფოს სამშობიარო სახლში. მაგრამ მამაჩემს იქიდან სწორედ აქ, ამ ქოხში, როგორც ამბობენ, თავის მშობლების სახლში ჩამოვუყვანივარ. ბედმა გავვილიმა, რომ მამიდაჩემი სწორედ მაშინ გათხოვილა პირველად ლიოშკა ჩერეტოჩნიკზე და მასთან საცხოვრებლად სამოტეჩნის პირველ შესახვევში გადასულა. ეს სოდოვია კოლცოს ოდნავ ზემოთაა, ამჟამინდელ თოჯინების თეატრთან. ჩვენ ყველანი, მამასადამე, პეროვი პოლეს ქოხში დავრჩენილვართ. ამბობენ, თურმე ბაბუას ძალიან ვუყვარდი, გახარე-

* სიტყვათა თამაშია — «Подождем — под дождем».

თანხი თუ ბებია ქალი, შეიძლება სამშობიარო სახლში მომუშავე მომ-
ვლელი, ვისაც ყველაფერი თავის საქმედ მიაჩნდა.

— მოდით, მოგესმარებით, — უთქვამს, — მე ამას ~~ადვილად~~ გა-
კეთებ, თუმცა ჩემი საქმე არ არის, არც მევალება, ყველას მიგესმარო.
მამაჩემს უთქვამს:

— არ არის საჭირო, შემიძლია, თვითონ შევახვიო, ~~შედიკოსს~~ ~~ქაქ~~.
ქალს კი უთქვამს:

— შედიკოსი კი ხართ, მაგრამ მამაკაცი ხართ. ბავშვების შეხვევა
კი კაცების საქმე არ არის, ეს ქალის საქმეა — ათადან ბაბადან ჩვენ
გვაკისრია.

და ქალი მოხმარებია — ჩვილისთვის განკუთვნილი სამოსი ჩამა-
ცვეს და მამაჩემსაც შინ წავუყვანივარ. როცა შინ მისულა და სახვევი
მოუშორებია, გაღურჯებული ვყოფილვარ და ოფლში გახვითქული,
თურმე კი არ ვსუნთქავდი, უკვე ვხრიალებდი. იმ ქალს თურმე ზედმეტი
გულმოდგინება გამოუჩენია და მაგრად ვავუკოჭივარ. ჭარბი სიყვარული
გამოუვლენია უცხო ხალხისადმი, კერძოდ, ახალშობილისადმი.

მამაჩემი ძალიან შეშინებულა და თვითონაც ოფლმა დაასხა თურმე,
როცა მიხვედრილა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მერე და მერე მუდამ
დაწვრილებით ჰყვებოდა ამ ამბავს.

— შინ რომ მომყავდა, საშინლად ღნაოდა, — ჰყვებოდა მამა. —
ხელში დავარწევდი და გაჩუმდებოდა, მერმე ისევ იწყებდა, ბოლოს კი
მთლად ჩაიგდო ხმა. რატომ გაჩუმდა ვაითუ დაიხრჩო-მეთქი.

თუმცა არ დავმხრჩვალვარ. უფრო სწორად, მთლად არ დავმხრჩ-
ვალვარ. თავიდანვე სიცოცხლისუნარიანი გამოვდექი, თუმცა ღმერთ-
მა იცის, რა ჯანის გოლიათი ვიქნებოდი. ორმოცდაშვიდი სანტიმეტრი
ვყოფილვარ, წონით ორი და ექვსასი. რომ გამომწერეს, ორნახევარ კი-
ლოგრამს ვიწონიდი. სამშობიარო სახლში გავმხდარვარ, ეტყობა, არ
მაჭმევდნენ და დედაც ავად მყოლია. ძუძუთი კვების რეჟიმიც დარღვეუ-
ლი მქონდა.

ჰოდა, ოპერაციის შემდეგ ასეთი საეჭვო ჯანმრთელობის ბავშვი-
ნად დედა იქით გამგზავრებულა, საიდანაც სამუდამოდ წამოვიდა —
დასაკარგავში, დონეცკის ნახშირის აუზში. საინტერესოა, დაფიქრდა თუ
არა იმის თაობაზე, რომ ჩემსა და საკუთარ ცხოვრებას ძალდატანებით
ცვლიდა, თანაც კარდინალურად, იმდენად კარდინალურად, საეჭვო იყო,
ოდესმე ის (მეცა და მამაჩემიც) მოვახერხებდით თუ ვერა, დავბრუნებო-
დით იმ ნაკვალევს, იმ კალაპოტს, რომელშიც უნდა გვეცხოვრა მოვ-
ლენათა მსვლელობისა და განვითარების წყალობით, ჩამოყალიბებული
ბედისწერით რომ გვერგუნა. უეჭველი იყო, ბედისწერისგან რაღაც
სხვაც გვექონდა გადაწყვეტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დედაჩემი არ
წავიდოდა მოსკოვში მთელი კვირით თეატრებში წარმოდგენების სა-
ნახავად და ვერ შეხვდებოდა მამაჩემს. და ასე ნაჩქარევად არც ცოლად
გამოჰყვებოდა. ეტყობა, განგებით მქონდა გადაწყვეტილი, რომ დედა-
ქალაქში დარჩენილიყო და იქ გაეტარებინა თავისი ცხოვრება. არ დაბ-
რუნებოდა თავის საწყის პოზიციას, ეშმაკმა უწყის, სად. და თუ ბოლოს

და ბოლოს რაღაც მცირე შესაძლებლობა ვიპოვე და სტეპიდან ქალაქში გადმოვედი, მერმე კი თანდათანობით დედაც გადმოვიყვანე, მამა ამჯერად აღარ გამოგვეყვა, ისევ სტეპში საცხოვრებლად და სამუშაოდ დარჩა, ცხოვრობდა კიდევ. სიკვდილამდე, — ხოლო როგორ ცხოვრობდა, წუსტად არ ვიცი. იწერებოდა: არა მიშავს რაო, მშენებლებზე არც უარესად და არც უკეთო. მამა რომ გარდაიცვალა, მშენებლებს დარჩა, ხუთიოდე წლით ჩემზე უმცროსი ქალი და ჩემი ძმა, მთლად თითისტოლა ბიჭი. თუმცა მე ისინი არასოდეს მინახავს, რადგან მამის სიკვდილის ამბავი კი გვაცნობეს, მაგრამ გვაცნობეს სამიოდე თვის შემდეგ. რატომღაც უფრო ადრე არ გავვაგებინეს. იქნებ არ უნდოდათ, გასვენებაში ვენახეთ. თუმცა არც მე და არც დედაჩემს არაფერი დაგვიშავებია მათთვის.

ეტყობა, დედას მეტი უნდა მოეთმინა. ლაპარაკის და ბრალდებებისთვის ყურადღება არ უნდა მიექცია. სამ წელიწადში ყველაფერი ჩაივლიდა და დალაგდებოდა. სამოცში კი ბებია მოკვდებოდა და ქოხში სამნი დავრჩებოდით, სამკაციანი პატარა ოჯახი გვექნებოდა, მერმე კი ნიკიტა სერგეევჩი თავისი სამსართულიანი, მცირეგაბარიტიანი სახლების მშენებლობას შეუდგებოდა ხალხისათვის, პოდა, ყველაფერი მოსათმენ ნორმაში ჩადგებოდა, რაღაც მნიშვნელოვანად გაჩნდებოდა და პრიცხველიც. თუმცა ახლა ამაზე საუბარს აზრი აღარა აქვს. არაფერი ეს არ მომხდარა და არ შემდგარა. ჩვენს შემდეგ მამაც გამოემგზავრა მოსკოვიდან, რითაც კიდევ ერთხელ გააოცა თავისი დედა, რომელიც მარტოკა მიატოვა. წამოვიდა და სამივეს აგვერია ცხოვრება. ველარ ავაწყვეთ ისე, როგორც უნდა აგვეწყო.

შეიძლება კაცმა ბებიაჩემს, მამაჩემის დედასაც, გაუგოს. ამდენი წლის შემდეგ არავითარი ბრალი არ უნდა დაედოს, არ უნდა დაიძრას ამდენი ხნის არყოფნის შემდეგ. როცა სიაში მოხვედრილები გაიქცნენ, ბებიაჩემისთვის მოსკოვი სიცოცხლის შემნარჩუნებელი გახდა, ემარმაც შთაუნერგა, რომ ეს იყო მათი გადარჩენის ერთადერთი საშუალება.

შემდეგ მოსკოვს ისე მოაწყდნენ სხვებიც, ჩვენი ნათესავები, როგორც ბუზი მაისის თაფლს. ალბათ, გადარჩენის მიზნით. სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოვიდნენ ბებიას მასლები. მართლაც ყველანი გადარჩნენ, მოეწყვნენ და თავიანთ საქმეებში რაღაც წარმატებებს მიაღწიეს. სემიონი ქალაქის ცნობილი ქირურგი გახდა. იგი ოპერაციებს ტაბურეტზე შემდგარი აკეთებდა, რადგან ტანმორჩილი იყო და საოპერაციო მაგიდას ვერ სწვდებოდა. რასაკვირველია, ორმოცდაცამეტის დასაწყისში დაუპირეს წაყვანა, მაგრამ არ წაიყვანეს, რადგან, როცა მის წასაყვანად მოსულები დაინახა, საბედნიეროდ, ინსულტი დაემართა. მოსულებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მიაფურთხეს და წაყვანა გადაიფიქრეს. მან კი ამის შემდეგ კიდევ თოთხმეტი წელიწადი იცოცხლა. მართალია, ხეირიანად ველარ ლაპარაკობდა და კედელ-კედელაც დადიოდა, მაგრამ მაინც გაუმართლა — გადარჩა და ერთხანს კიდევ იცოცხლა. მისი შეილი შემთხვევის წყალობით რომ დაბრუნდა დნეპროპეტროვსკში საცხოვრებლად, ითხოვდა, მოსკოვის ბინა გადამაცვლევინეთ, ავადმყოფ მამაჩემს დედასთან ერთად მე წავიყვან და მივხედავო, მაგრამ სემიონიც არ თან-

ხმდებოდა, გაურკვეველად ბლუკუნებდა: დიდი თეატრის გარეშე ვერ გავძლებო.

ზინობი ქვანახშირის სამინისტროში მოეწყო და მთავარ სამმართველოში საპასუხისმგებლო, მაღალი თანამდებობა ეჭირს. ძმებს შორის ყველაზე უფროსმა მიშკამაც, რომელიც თავადაც კლასიკური მუსიკის იყოს, ბედი მოსკოვში იპოვა და ტალანტითაც სახელი გაიხიქვა. იგი მრესტრადისა და მოსკონცერტის მსახიობებს საჭირბოროტო საკითხებზე კუპლეტებს, სკეტჩებსა და ინტერმედიებს უწერდა, სანამ უზომო ჭამასამ არ იმსხვერპლა. მისმა შვილმა, მიუხედავად ყველაფრისა, ორმოცდაათში წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ექიმ-ფსიქიატრის სპეციალობას დაეუფლა. სწორედ ის დაეხმარა, ჩემი აზრით, ნათესაებს, ბაბუა საავადმყოფოში გაემწესებინათ, როცა ამგვარი საჭიროება გაჩნდა და მომწიფდა.

თავისი ნათესაების ბედობალი ბებიჩემს უმტკიცებდა მოსკოვზე არსებულ წარმოდგენას. ასე მოტყუებულად აღიქვამდა იგი მოსკოვს მთელი სიცოცხლე — თითქოს ეს იყო ქალაქი, სადაც თავის გადარჩენა შეიძლებოდა. მაგრამ, ცხადია, თუ ყველა აქ ჩამოვიდოდა თავის გადასარჩენად, ვერავინ გადარჩებოდა, ჰოდა შესაძლებლობის ფარგლებში იცავდა თავის მოსკოვს გარეშე პირთაგან, ქალაქისკენ მათი ლტოლვი-საგან და ყველა უცხოქალაქელს ეჭვის თვალით უყურებდა — ნებისმიერი უპატიოსნო გზით მოსკოვში ჩაწერის ფარული სურვილი არ ასვე-ნებთო. იმდურებდა ადამიანებს ეჭვებითა და ლაპარაკით. ხოლო როცა ეჭვი არ მართლდებოდა, ახლა იმათზე ბრაზობდა, ვინც მის ეჭვებს ვერ ამართლებდა. დროთა განმავლობაში კი გაბრაზება დაიწყო სხვადასხვა საბაბით, ხშირად უმიზეზოდაც. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ბებიჩემი გაბრაზებული იყო ყველაზე. იმათგანაც კი, ვისზედაც ჯერ არ გაბრაზებულიყო, ისეთ რალაცას ელოდა, რაზედაც აუცილებლივ შეიძ-ლებოდა გაბრაზება, და შეურაცხყოფლის მისი ცხოვრებიდან ერთხელ და სამუდამოდ ამოშლა. გამუდმებით იმის მოლოდინში იყო, რომ ვი-ღაცა გაანაწყენებდა. და ხშირად ანაწყენებდნენ. მისთვის მეც მიწყენი-ნებია. მე ჯერ სამი წლისაც არ ვიყავი, როცა როგორღაც მოვახერხე მისთვის გული მეტკინა და ლამის სახლიდან გამეგდო.

ბაბუას სიკვდილის შემდეგ ბებია ჩვენთან ჩამოვიდა შერიგებისა და პ. ტივისცემის ვიზიტად ქალაქ ანტრაციტში, მაღარო „ცენტრალნო-ზოკოვსკაიაში“, სადაც მე გადია მყავდა, ნამდვილი პერსონალური გა-დია, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად საბჭოურ ეპოქაში ვცხოვრობდით. ჩემი მშობლები ორ განაკვეთზე მუშაობდნენ და ცოტა ფულის საშოვ-ნელად სახდაზღვევის ექიმებადაც მოწყობილიყვნენ. მაღაროს ბაგა არ ჰქონდა. იყო საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვებს მხოლოდ სამი წლის ასა-კიდან იღებდნენ და ჩემთვის ბაბა დაშა დაიქირავეს, რომელიც სოფ-ლიდან სტუმრად ჩამოსულიყო დასთან და აქ სტუმრობა გაჭიანურებო-და. ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ხელმრუდი ქალი იყო. ჩვენი სარ-დაფიდან კიტრისა და პამიდვრის მწნილს იპარავდა და მალულად ჰყიდ-და (რასაც დედასთან ერთად ამწნილებდა). თან წუწუნებდა, კასრიდან ვედრო კიტრი ან პომიდორი მომპარესო. ჩემი მშობლები არც კი უფიქ-რდებოდნენ, საიდან იცოდა ჩემმა გადიამ, რომ სწორედ ერთი ვედრო

მოეპარათ. მოიპარეს და მოიპარესო. შეიძლება, კაცებს სულმა წასძლიათ — მარილწყალი უნდოდათ ან დასაყოლებელიო. და მე ბაბა დაშაბაუშვირი, შეუგნებელი სიყვარულით მიყვარდა. მიყვარდა უცილობლად და უპირობოდ. ხოლო როცა მოსკოვიდან ბებია ჩამოვიდა (მე მას მოსკოველ ბაბას ვეძახდი), ბაბა დაშამ, ალბათ განზრახ მითხრა!

— ეტყობა, ბარგი უნდა შევკრა, დედაშენი ^{მეტი} ~~მეტი~~ ხომ ვერ გაგვაჩერებს?

ეს რომ გავიგონე, მაშინვე მეორე ოთახში გავვარდი ყვირილით:

— მოსკოველო ბაბა, მალე გაემგზავრე, თორემ ბაბა დაშა წავა, დედა ორ ბებიას ვერ იყოლიებს.

მოსკოველი ბებია არა მარტო გამინაწყენდა, არამედ დაასკვნა, რომ სულელმა ბავშვმა დედის ნათქვამი წამოვადრანტაღე, და დედაზე-დაც სასტიკად გაბრაზდა. დედა კი აინუნშიაც არ იყო, რა მოხდა. ყველაზე უარესი ამ საქმეში ის გახლდათ, რომ ბებია ჩვენთან ჩამოვიდა, რათა სიკვდილის წინ შეგვრიგებოდა, თვით ჩამოსვლის ფაქტით გვთავაზობდა, დაგვევიწყებინა ერთმანეთისთვის მიყენებული წყენა და მშვიდობიანად გვეცხოვრა. სიცოცხლის ათიოდე წელიწადი დარჩენოდა მაშინ ბებიას. სამოც წელს იგი გარდაიცვალა, ოღონდ არ მახსოვს, წლის ბოლოს თუ დასაწყისში. შეკითხვით კი ვერავის შევეკითხები. ვინც დღეს ცოცხალია, აღარავის ახსოვს, ისინი კი, ვისაც ახსოვდა, აღარ არიან — არც მამიდაჩემი, არც მამაჩემი, დედამ კი მითხრა — გინდაც მომკალი, ვერ ვიხსენებ იმ თარიღსო. თავიდან გამიქრაო.

მე კი მხოლოდ სიტყვა „ვოსტრიაკოვსკოე“ მახსოვს, სწორედ ეს სიტყვაა დაკავშირებული ჩემს მოსკოველ წინაპრებთან, იმიტომ, რომ, როცა მოსკოვში ჩამოვდიოდით, მამა და მამიდა ერთ რომელიმე დღეს აუცილებლად მიდიოდნენ „ვოსტრიაკოვსკოეში“. მართალი გითხრათ. მე მათ ერთხელაც არ გავყოლივარ. თავიდან მიაჩნდათ, რომ პატარა ვიყავი, და არ მივყავდით, მერმე კი სურვილი არ მქონია, ვერ გამეგო, რატომ უნდა გავმგზავრებულიყავი მოსკოვის მეორე ბოლოს სასაფლაოზე, იმის ნაცვლად, რომ სადმე სხვაგან მეხეტიალა, მუზეუმში წავსულიყავი, ან სურათების გალერეაში, სასაფლაოს გარდა განა ცოტა იყო ისეთი ადგილები, სადაც წასვლა ღირდა მოსკოვში, რომელიც კულტურისა და ხელოვნების ცენტრი გახლდათ? სასაფლაოზე თუ მიდგებოდა საქმე, ვოსტრიაკოვსკოეზე კი არა, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე წავიდოდი, რომელიც უფრო ღია ცის ქვეშ მდებარე სახელებისა და ძეგლების მუზეუმია, ვინემ სასაფლაო. გარდაცვლილი ისტორიის მუზეუმია. აქ განისვენებენ ადამიანები, რომელთა ცხოვრების მაგალითზე სწავლობენ პიროვნების როლს ისტორიულ პროცესში, სწავლობენ და ვერაფრით დაუსწავლიათ — არსებობს ასეთი რამ თუ არა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ის არის, რომ ეს პიროვნებანი მშვიდად არიან. ისინი კარგად და უშფოთველად გრძნობენ თავს, რადგან სიკვდილის შემდეგ ყველა კარგად და მოსვენებულადაა — პიროვნებებიც კი.

რაც შეეხება ლელიას, იგი სიცოცხლეშიც კარგად და მშვიდად გრძნობს თავს. ამქვეყნად ყველაზე მაღლა თავის სიმშვიდეს, თავის სულიერ უძრაობას აყენებს, რაც გაშეშების ტოლფასია. შეიძლება ეს

მისი ჯავშანია, ნაჭუჭია, რომელშიც უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, რამეთუ ამ ნაჭუჭის შიგნიდან გარემომცველი გარემო არც თუ ძალიან აგრესიული ეჩვენება ლელიას. და ამ შინაგანი სიმშვიდის მისალწევად მას ჩემი გაგდება სჭირდება, რასაც დაუფიქრებლად და დაუძაბავად აკეთებს ხოლმე, რადგან ფიქრსა და დაძაბვასაც შეუძლებელია სიმშვიდის დარღვევა, მისი სრული დამსხვრევაც კი.

რად უნდა ლელიას, ამ მშფოთვარე, ქაოსური ხასიათის ქალს, ასეთი ნაადრევი სიმშვიდე, ვერ გამიგია. მომეტებული სიმშვიდის გამო გასუქება დაიწყო, რაც ცხოვრებაში არასოდეს დამართნია. მაგრამ ზედმეტ კილოგრამებსაც ზედმეტი მოძრაობის გარეშე ებრძვის: ვარჯიშის რომელიღაც სტატიკური კომპლექსის მეშვეობით. ეს ვარჯიშები ლელიას შედარებით შველის, რადგან გასუქებას ნელა, მაგრამ მაინც განაგრძობს. სამაგიეროდ, გარკვეული ჯგუფის სახსრების თანმიმდევრული სტატიკური დატვირთვა კიდევ უფრო ამშვიდებს მას. ეს ლელიას ახარებს და თავს ბედნიერად გრძნობს, წარამარა იმეორებს: „ყველა ავადმყოფობის გამომწვევია ნერვები, თუ ნერვებმა არ შეგაწუხა, ავადაც არ გახდები“. და ლელიას არც ერთი მათგანი თითქმის აღარა აქვს, არც სენი და არც ნერვები. და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. სულაც არ აწუხებს. მისთვის მნიშვნელობა ყველაფერს დაკარგული აქვს. ისღა დარჩა, გარეგანი დამაბრკოლებლები ჩამოიშოროს. რაც ჯერ კიდევ შერჩენია. ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მე ვარ. და ლელია მას, ანუ მე, ხანგამოშვებით იშორებს ხოლმე. და მე ვშორდები, რადგან არ მინდა, ხელი შევუშალო.

მაგრამ იმას რა ვუყო, ამ განშორება-მოშორებას რომ კიდევ ერთხელ მოსდევს ცხოვრების ნირის შეცვლა, დილაბნელზე სადმე წასვლა, — თუმცა არც ისე შორს — განთიადთან ერთად ქუჩაში სირბილი, თითქოს იმიტომ დადიხარ, რომ, უბრალოდ, გინდა იარო და არა იმიტომ, რომ საჭირო სიჩქარე სხვამ ჩაგირთო, თანაც ჩაგირთო ზანტად, იოლად, ძალის გამოუყენებლად, მაგრამ სიძულვილის წამიერი ამოფრქვევით. ეს კი ჩემი ყველაზე მტკივნეული ადგილია. სხვებს სჭირდებათ, ვინმეს უყვარდეთ. მე — მხოლოდ არ ვძულდე. იმიტომ, რომ სიყვარულისგან განსხვავებით, სძულთ არა ისე, უბრალოდ, გრძნობების გამო, არამედ სძულთ რაღაცისთვის, მე კი მგონია, რომ შესაძლებელი სულაც არა ვარ. იქნებ მეჩვენება, რომ ასეა? ყოველთვის შეიძლება მოუძებნო კაცს სიძულვილის მიზეზი. მაშინ ჩავთვალთ, რომ ჩემი ოცნებაა, არავის ვძულდე, არავის და არაფრისთვის. ჯერჯერობით ოცნება აუხდენელია. იქნებ დარჩეს კიდევ ასე? ასრულებული ოცნება ხომ ოცნებაც აღარ არის, წარმატებაა. «Успех подкрался незаметно. Мечта сбылась, всему пиздец». არსებობს ასეთი სულელური, ბილწი გამოთქმა, როგორც, სხვათა შორის, ხალხურ გამოთქმათა უმრავლესობა, რომლებიც ხალხურ სიბრძნეს შეიცავს.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, მე მუდამ სულელურად მაინტერესებდა, როგორ და საიდან იბადებოდნენ ეს ხალხური გამოთქმები, ანდაზები და ფრთიანი სიტყვები. პირველად ვინ წარმოსთქვამს მათ, რვეულში ვინ იწერს, რათა შთამომავლობას შემოუნახოს? მაინცდამაინც არ მჯერა, რომ ეს მუდამ შემთხვევით ხდება. ხანდახან შეიძლება. კა-

ლამბურებიც ასე იქმნება. ერთხელ ლელიამ თავის მეგობართან ტეტ-
ა-ტეტ რომ დალია, დაქალს უთხრა:

— კუდიანები ხომ ჩვენა ვართ.*

მეგობარმა კალამბური ვერ გაუგო.

— მესმის, რომ კუდიანები კუდიანები არიან, მაგრამ მან. —
რა გინდა ამით თქვა?

ლელია თავის მეგობარს შეაცქერდა და უთხრა:

— არაფერი.

და ჩანდა, რომ სწორედ ახლა სჭირდებოდა მას გაგება, ამიტომაც
წარმოთქვა თავისი კალამბური. უსიტყვოდ განაგრძეს სმა, ხოლო როცა
ორი ხანმოთეული ქალი მდუმარედ სვამს, უსიამო საყურებელია. მით
უმეტეს, გარეშე მაყურებლისათვის, თანაც თუ ის მაყურებელი საპი-
რისპირო სქესისაა.

ლელია სულ ასეა. იმას ამბობს, რის თქმაც უნდა, იმას აკეთებს,
რის კეთებაც სურს. და მეტი არაფერი. მაგრამ თუ რამე მოეპრიანა, ვე-
რაფერი გადააფიქრებინებს. სიყვარული მოუნდება? — შეიყვარებს.
ვაგდება მოუნდება? — გააგდება. ღალატი მოუნდება? — უღალატებს.
ლელიასთან გვერდიგვერდ ცხოვრებისას ჩემთვის ერთპიროვნულად
დავადგინე, რომ ქალის ორი ყველაზე დამახასიათებელი რამ, უფრო
ზუსტად, — ქალური თავისებურება — ეს არის ერთგულება და ღალა-
ტი. პირველიცა და მეორეც ლელიას ჭარბად ჰქონდა, ისევე როგორც
მესამე, მეოთხე და მეათე. ყველაფერი ჭარბად აქვს. განსაკუთრებით
ნაკლოვანებები. თუმცა ისინი ნაკლოვანებებად არ მიაჩნია. მიაჩნია,
რომ უპატიოსნობა ყოველთვის ნაკლი არ არის. მაგალითად, ხშირად
უწყესობა სისაძაგლის გამო კი არ ხდება, არამედ სპორტული ინტერესის-
თვის. ეს კი ნორმალურიაო. საერთოდ მას ამ „პატიოსნება-უპატიოსნე-
ბის“ მიმართ თავისი ინტიმური დამოკიდებულება აქვს, სიტყვათა მნი-
შვნელობის გაგებაც — თავისი. ოდესღაც, სანამ იმედი მქონდა, ლელი-
ას რამეში ვამხედდი, პირდაპირ ვახლიდი ხოლმე:

— შენ ბოზი ხარ და გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი გა-
ხასიათებს.

ის კი მშვიდად მპასუხობდა:

— მე წესიერი სქესობრივი კავშირი მახასიათებს.

ყველაზე მეტად ის კი არ მაგიჟებდა, რას მპასუხობდა ლელია,
არამედ როგორ მპასუხობდა, სრულიად მშვიდად, შეურაცხმყოფელი სი-
მშვიდით. და არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, რა ხდებოდა ამ
დროს მის გულში, გარეგნულად არაფერს ავლენდა. თუმცა შეიძლება
არც არაფერი ხდებოდა.

რატომ მალეღებდა ეს „როგორ“? იმიტომ, რომ სიტყვები „მშვი-
დი“ და „მიცვალებული“ ერთმანეთს შემთხვევით არა ჰგავს. სავსებით
დამშვიდებული კაცი თითქმის მიცვალებულად შეიძლება მივიჩნიოთ.
როცა ცოცხალი, ყველაფრის მიუხედავად, ახლობელი ქალის სახით მი-
ცვალებულს ხედავ, ცხადია, სულაც არ არის გასახარელი. ამიტომ არ
მიყვარს უზომოდ მშვიდი ქალები (აგრეთვე კაცებიც) — ისინი სიკვდი-

* იგულისხმება — Ведьмы — это ведь мы.

ლსა და მიცვალებულებს მაგონებენ. ამიტომ მიჭირს ლელიასთან ცხოვრება. ამიტომ ვარ იძულებული, პერიოდულად გავეცალო მას. ხოლო თუ დროულად არ მივდივარ, თვითონ მაგდება ხოლმე. როგორც ახლა გამომავდო, როცა კრიტიკული მომენტი გამომეპარა. თუმცა კრიტიკული მომენტი იშვიათად მეპარებოდა და ცოდვას თვითონ გავუბრბოდი.

სანდახან კი არ მივდიოდი, მივემგზავრებოდი. თავს მგზავრობის უფლებას ვაძლევდი და მივემგზავრებოდი. ამგვარ შემთხვევაში გარემო მყოფთათვის გამგზავრების მიზანი უნდა მომეგონებინა, თავი რომ არ მოებეზრებინათ და ჩემს ნორმალურობაში ეჭვი არავის შეჰპარვოდა და რომანტიკოსობასა და სხვა მანკიერებებში არავის დავედანაშაულებინე. თუ ვერაფერს მოვიგონებდი, მივემგზავრებოდი ერთადერთი მიზნით — რომ გავმგზავრებულიყავი. რომ იმ ადგილით არ ვმჯდარიყავი, რომელიც მტკიოდა. და მომწყინდა, მომბეზრდა სამგზის ზედიზედ. თუმცა გამგზავრების წინ ფეხით მივდიოდი, უბარგოდ. მივდიოდი ვაგზალზე. რომ მივიდოდი, მთავარ ტაბლოსთან ვჩერდებოდი და თავს მალა შევმართავდი. ვაგზალში დრო განრიგებითაა დასერილი. მატარებლების მოსვლა-წასვლის განრიგებით. აქ შორეული მგზავრობის დროცაა და საქალაქთაშორისოც. ელექტრომატარებლებისა და დიზელმატარებლების დროც. მე ვიდექი და ვგრძნობდი დროში არსებულ ამ განსხვავებას. და ეს გრძნობა მუდამ საამო იყო. იგი ნერვებში მილიტინებდა. თვით მატარებელში კი მხიბლავდა ის, რომ იქ ყველა, აბსოლუტურად ყველა იყო მგზავრი და არა ხალხი, როგორც სხვა ადგილებშია ხოლმე. და როცა ვინმე თანამგზავრებს ეუბნება, მე მხოლოდ მგზავრი კი არა, ადამიანიც გახლავარ, თანაც არა უბრალო ადამიანი, არამედ, დავუშვათ, დიდი ან განსაკუთრებული ადამიანიო, მას სერიოზულად არავინ უგდება ყურს, მისი მტკიცებულებები ყურადღების ღირსად არ მიაჩნიათ, პეიზაჟისა და ლანდშაფტის ცქერით ტკბებიან, ფანჯრიდან ათვალეერებენ იმათ, ვინც საპირისპირო მხრიდან მოემგზავრება. ან ზურგსუკან მიქრის, გააჩნია, მატარებლის მოძრაობის მიმართულებით ხიხარ თუ პირიქით.

არა, რასაკვირველია, მატარებელში მხოლოდ მგზავრები არ გვხვდებიან. აქ გამცილებლებიც არიან. მაგრამ მათ ძირითადად ბალიშში თავჩარგულებს ძინავთ, ყველაფერი ზედ აცვიათ. არ იხდიან კიტელს და არ იხსნიან სამხრეებს. თუ, ცხადია, მთელი ღამე ვაგონებს ნახშირით არ ათბობენ იმ ტემპერატურამდე, რომ ადამიანის სხეულმაც დუღილი დაიწყოს თუ პარფიუმერული ნაწარმის სურნელი არ ასდით. უკანასკნელი მგზავრობის ჟამს ჩემზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა პლაცკარტის ვაგონის გამცილებელი ქალის სუნამომ.

მატარებელში გაურკვეველი და უპასუხო კითხვები მეზადება ხოლმე. რა თვალსაზრისითაც უნდა მიუდგე, ყველა საინტერესოა. მაგალითად, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დისკრიმინაციის შესახებ. რით სჯობია ქალაქი ნოვომოსკოვსკი ქალაქ პავლოგრადს? რატომ განეკუთვნება პირველი ქალაქი ეგრეთ წოდებულ სანიტარულ ზონას, სადაც არ შეიძლება ტუალეტში შესვლა თუნდაც ხელ-პირის დასაბანად იმ მიზეზით, რომ გასაღებითაა დაკეტილი, მეორე კი არავითარ ზონას არ განეკუთვნება და მასში შეიძლება ისარგებლო არა მხო-

ლოდ ხელსაბანით, უნიტაზითაც კი მთელი თავისი გამტარებლობის თვა-
ლსაზრისით? რატომ არის ასე მოწყობილი და დაკანონებული? ვინ მო-
იგონა და დააკანონა? რა დაგვიშავა პავლოვრადმა და რატომ ვაძლევთ
თავს უფლებას, რომ, მინდა რბილი გამოთქმა ვისმართოთ ფაფურითხოთ?
აღბათ, გასაგებია, რა მნიშვნელობითაც ვამბობთ...

რასაკვირველია, ძალზე შორს არსად მივდივართ. შორს წასვლა
(სამწუხაროდ) არც მჭირდებოდა. ჩემთვის კმაროდა ვაგონის ფანჯრის
მიღმა პეიზაჟი მინიმალურად შექმნილიყო. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო,
რომ პეიზაჟი სადღაც რჩებოდა, რომ მე მივემგზავრებოდი, ესე იგი,
ერთი პეიზაჟიდან მეორეზე გადავდივართ, ხოლო შორი იყო ეს თუ ახ-
ლო, პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა ხანდახან მინდოდა,
სადღაც შორეთში გადავკარგულიყავი, ჩემი პოვნა მხოლოდ ინტერ-
პოლისა და მისი ძაღლების მეშვეობით ყოფილიყო შესაძლებელი. სანთ-
ლით ვყოფილიყავი საძებარი. მაგრამ ეს ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო.
ახალგაზრდობის სურვილი, როცა არა მხოლოდ ლელიასგან წასვლა მი-
წევდა, აგრეთვე სხვა საქმეზეც მივდივართ. მაშინ მართლაც შორს მიწე-
ვდა მგზავრობა. პოდა, გამგზავრების წინ მუდამ ისე ვლელავდი, რომ
ხელისგულები მიოფლიანდებოდა. ვლელავდი იმის გამო, რომ ვერ მო-
ვასწრებდი ყველაფერის გაკეთებას, რაც დაგეგმილი მქონდა, ვაითუ
უკან ხელცარიელი დაბრუნება მომიწიოს-მეთქი. მე ახლაც ვლელავ, თუ
სადმე შორს მიწევს გამგზავრება — შეიძლება ვერ დავბრუნდე-მეთქი.
ნებისმიერი მიზეზის გამო, არ გამოვრიცხავ ლეტალური ხასიათის მი-
ზეზებსაც, თითქოს უკან ვერდაბრუნებისათვის სხვა მნიშვნელოვანი
მიზეზები ცოტა იყოს. თუნდაც სავსებით ელემენტარული, საყოფაცხო-
ვრებო, პროზაული მიზეზები არ კმაროდეს.

მაგალითად, ჩემი ერთი მეგობარი ავსტრალიაში გაემგზავრა და
იქ გალოთდა. ღირდა ამის გულისთვის სხვაგან გამგზავრება? გალოთება
ხომ შინაც შეიძლებოდა. შინ საამისოდ პირობებიც მეტია. გალოთება
შინ უფრო სასიამოვნოა, საზიზღარ სიფათებიანი მეგობრებისა და ნა-
თესავების წინაშე. თუმცა მე ეს არ მემუქრება და როცა საყოფაცხოვრე-
ბო პირობებზე ვლაპარაკობ, სულ სხვას ვგულისხმობ: ვთქვათ, ინფა-
რქტის მიღებას ტამბურში, თანამგზავრთან სირჩა კონიაკის გადაკვრის
შემდეგ. კონიაკი სისხლძარღვებს აფართოებს, მერმე რამდენიმე ნაფა-
ზი, სისხლძარღვებს რომ ავიწროებს, სპაზმები, ტკივილი და — წევ-
ნარ ფერფლდაყრილ, წიბოვან იატაკზე, ირყევი პირაპირებზე ბორბლე-
ბის რაკარუკის ტაქტზე. უცნაურად ხარ მოკაკავული... გვიან გპოულობენ,
მხოლოდ მახლობელ პატარა, ან საშუალოდ სადგურზე გპოულობს ჯერ
კიდევ ძილ-ღვიძილში მყოფი გამყოლი, რომელსაც ფორმის პერანგი,
მტვრიანი შარვალი და მწვანე ფლოსტები აცვია. იგი ტამბურში გამო-
დის, რათა კარი გააღოს და პიპოთეტიანი მგზავრები შემოუშვას, რომ-
ლებიც ამ სადგურზე არასოდეს უნახავთ. აქ არავინ არასოდეს ჩადის და
არასოდეს ამოდის. აქ ფეხმოუცვლელად ცხოვრობენ დაბადებიდან სი-
კვდილამდე. თუმცა გამყოლი სამსახურებრივი მოვალეობისა თუ სიმ-
თვრალის გამო ტამბურში მაინც გამოდის და შენს გაყინულ ფეხებს გა-
დააწყდება, რომლებზედაც ავსტრიული თბილი ყელიანი ფეხსაცმელი
გაცვია.

და სასწრაფოდ, რათა სარკინიგზო მოძრაობის გრაფიკი არ დაირღვეს, შენს ცხედარს მატარებლიდან ჩამოსხვენიებენ, ერთადერთ ადგილობრივ უმაცივრო მორგში ათავსებენ და მაშინვე ივიწყებენ. უფრო სწორად, არ ივიწყებენ, მომთევეთ ნატურალიზმი — ის ხომ ექვს და თვალწინ ფუჭდება. უბრალოდ მათ, ვინც გვამი მორგში მოათავსა, მიაჩნდათ, რომ თავიანთი მოვალეობა მოიხადეს, გვამი ხელწერილით დასაწყისში ხელწერილით გადასცეს. ხოლო ისინი, ვისაც გვამი ჩამოხრეს მატარებლები არიან, რომ გვამის ჩამბარებლებმა მისი ბედის გადაწყვეტაში შემდგომშიაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, ანუ რაღაც უნდა მოუხერხონ. და სანამ ვინმე ნათესავთაგანი მოისაზრებდეს, რომ უბედურება შეგემთხვა, საკმაო დრო გაევა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დოკუმენტები და პასპორტი, სადგურის პოლიციას შენს უცხოქალაქელ გვამთან არაფერი უსაქმება, საქალაქთაშორისო ხარის ფულს არავინ გადაიხდის და უფრო ადვილია, გავაფორმონ, როგორც უპატრონო. ჰოდა, დაგასაფლავენ ყოველგვარი დავიდარაბისა და ამოცნობის გარეშე. თან დაგისვამენ რომელიღაც ინვენტარულ ნომერს, რომელიც კაციშვილს ვერაფერს ეტყვის.

ღიას, ასეთი რამ ამჟამად სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ თხუთმეტობდე წლის წინ არ შეიძლებოდა მსგავსი რამის წარმოდგენაც კი. ჯერ ერთი, მაშინ ყველანი რკინასავით ჯანმრთელნი ვიყავით და გული მტკიცე, შეუფერხებელი რიტმით მუშაობდა. მეორეც, დანიშნულ ადგილამდე რომ ჩამელწია და ლელიასთვის უცებ არ დამერეკა, იგი ორ საათში მშვიდად დააყენებდა ფეხზე და ნომერ პირველ საომარ მშაღსოფნაში მოიყვანდა მილიციას ჩემი მკვავრობის მთელ გაყოლებაზე, შეიძლება სტრატეგიული დანიშნულების ჯარებიც კი წამოეყარა. მას ახლა შეუძლია, ერთი თვის შემდეგ გამიხსენოს. თუკი გამიხსენებს, მხოლოდ სხვათა შორის, თავშეუწუხებლად, რომ კიდევ ერთხელ გაიხაროს ჩემი ხანგრძლივი არყოფნით.

ჩემმა არყოფნამ (გარკვეულ ზღვრამდე) არ შეიძლება, არ გაახაროს. შინიდანაც იმიტომ მაგდებს, რომ გაიხაროს. სრულ სიმშვიდეში იცხოვროს, მოჩვენებით სიმშვიდეში. სიმშვიდეში, რომელიც გარედან, რასაკვირველია, სიმშვიდეს ჰგავს, სინამდვილეში კი... სიმშვიდე არც კი ესიზმრება, სწორედ რომ ეჩვენება და თავს იტყუებს, ჰგონია, რომ სიმშვიდეშია. რაკილა სიმშვიდე და ქაოსი ცუდად ეთვარებიან ერთმანეთს, უფრო სწორად, სიმშვიდე და ქაოსი ერთმანეთთან შეუთავსებელნი არიან, მაგრამ მაინც ერთად არიან და როცა სიმშვიდე და ქაოსი შეთავსდებიან, რომელიმე მათგანმა მეორეს უნდა სძლიოს და გაიმარჯვოს, მეორე კი უნდა გაქრეს. ლელიას არსებაში დიდი ხანია ქაოსმა გაიმარჯვა, რადგან საიმედოდ დამკვიდრდა მასში. ხოლო ის, რომ ლელია კრემლის გოდების კედელივით გარეგნულად მშვიდად გამოიყურება, სინამდვილეში არაფერს ცვლის, უფრო სწორად, მასში ვერ ცვლის ვერაფერს. გარეგნობა ყოველთვის მატყუარაა, როგორც ნებისმიერი გარსი და შეფუთვა. უფრო მეტიც, კარგად იმისთვის ფუთავენ, რომ შენიღბონ და შეალამაზონ, რაც მასში დევს. და ჩვენ ყველანი — ვინ უფრო ხშირად, ვინ — იშვიათად, კარგად შეფუთულ საქონელს ვარჩევთ, ესე იგი,

თავს ვიტყუებთ. შეუფუთავად და შეუმცდარად ცხოვრება წარმოუდგენელია. რა გვიჭირდა, მარტო ეს რომ გვიშლიდეს ხელს ცხოვრებაში.

მალლიდან დაბლა ვეშვებოდი, სკვითი დედაკაცების მუხეუმიდან, ლანჩები მისრიალებდა და ქარს ვყლაპავდი. ღაწვებზე ცრემლი მდიოდა. ალბათ, ესეც ქარის ბრალი იყო. დედაკაცები შექუჩებულნი იყვნენ რკინით შემორაგულ ეზოში. ისინი თოვლს დაეფარა თეთრი ქუდებითა და მოსასხამებით, დედაკაცები აქ ძალით მოეთრიათ, სხვადასხვა საუკუნეიდან და სტეპის სხვადასხვა კუთხიდან. მოეთრიათ და გორაკის თავზე დაედგათ, გაშლილ მალლობზე, როგორც უწინ ამბობდნენ, ყველას სახილველად, ვისაც აინტერესებდა. აქ კი, ამ გაშლილ მალლობზე, რომელიც ბუნებას უხსოვარ დროს შეექმნა, ქარი ისეთი როდია, როგორც სტეპში ან დაბლობში.

ხანგამოშვებით სტეპშიც მაგრად ქრის. და ამ დროს ქარების დროს ეძახიან. სტეპში აგრეთვე მზის, წვიმისა და თოვლის დროებიც იცის. ჰოდა, რასაკვირველია, სკვითი დედაკაცები თავიანთი მრავალწლიანი გაქვავებული არსებობის მანძილზე შეჩვევიან ყველა ამ დროს და ეს დროები მათს ქვის თვალეებში ერთ საერთო, ხანგრძლივ და უსასრულო დროდ შეერთებულიყვნენ, მაგრამ იმ ქარს, გაზის გამონაბოლქვით რომ ყარს, მაინც ვერ შეჩვეოდნენ. გორაკის თავზე მოთარეშე ეს ქალი დედაკაცების ქვის შიგნეულობაში აღწევდა, ქვის სამოსს კეპავდა, სუნთქვას უშლიდა და ქვის სამოსს ტანზე ავლევდა, მჩხვლევტავ თოვლს თვალეებში აყრიდა, დედაკაცები თვალეებზე ხელს იფარებდნენ და ცდილობდნენ, ქარისთვის ზურგი შეექციათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მათს ქვის კისრებს მოძრაობა არ სურდათ და არცა ჰქონდათ კისრები, არც კისრები ჰქონდათ და არც სახელები ერქვათ. უბრალოდ, დედაკაცები იყვნენ. ვცდილობდი, როგორმე სახელები შემერქმია მათთვის, ჩემთვის შემერქმია, რომ მათი ერთმანეთისგან გარჩევა შემძლებოდა. მაგრამ ვუცქეროდი მათს ბრტყელ, დაფიფინებულ სახეებს, ვუცქეროდი მათს ერთმანეთზე მკვრივად ჩაფრენილ ხელებს, მუცლებზე რომ შემოეხვიათ და მესმოდა, რომ არ შეიძლებოდა, მათ რამე რქმეოდათ. რამეთუ არ შეიძლება რამე ერქვას ქვაში შემთხვევით დაუნჯებულ მარადისობას, რომელსაც დრო ანადგურებს. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ასე გამოიყურებოდეს დღეს, ამდენი წლის შემდეგ ლოტის ცოლისგან აღმოცენებული მარლის სვეტი, ჰოდა, ალბათ მსგავსი ნაკვთები და მოხაზულობა ექნებოდა აღბეჭდილი. მაგრამ ლოტის ცოლს შემოლობილში მყოფ დედაკაცებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ლოტს ამ რაოდენობის ცოლი არ ჰყოლია. თორემ მისი ჰარემის ამბავი გვეცოდინებოდა. მის შესახებ კი არავითარი ცნობა არა გვაქვს. რომც გვექონოდა, არაფერს მოგვცემდა და ვერც დედაკაცების სახელებს გვეტყოდა, რადგანაც ჩვენთვის ლოტის ცოლის სახელიც უცნობია.

ამაოდ როდია, რომ ადამიანური ლოგიკის თვალსაზრისით ეს ბიბლიური ისტორია ბნელია და აუხსნელი. ღირდა კი ძალზე მხიარულ სოდომში წმინდანად ყოფნა, რომ შემდეგ საკუთარ ქალიშვილებთან შეგეცოდა და მათთან სისხლის აღრევით შთასახული ვაჟიშვილები შობილიყვნენ? და ასეთი ამორალური საქციელისთვის არც ლოტი და არც

მისი ქალიშვილები არავის დაუსჯია. არავითარი სამართლიანი განჩინება, არავითარი ღვთიური სასჯელი. ლოტის ცოლი კი ღმერთმა მხოლოდ იმიტომ მოკლა, რომ საკუთარ წარსულთან გამოსამშვიდობებლად მოტრიალდა, მოტრიალდა, რათა გამოსათხოვრად, უკანასკნელად შეეფლო თვალი მისთვის.

გამოდის, რომ ჯერ კიდევ მაშინ, უხსოვარ ბიბლიურ დროს, ღმერთი ზოგს ყველაფრის უფლებას აძლევდა მომაკვდინებელი ცოდვებისაკენ, ხოლო ზოგს ყოველგვარ ზედმეტს უკლავდა. არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაედგათ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, თავიც არ უნდა მოეტრიალებინათ. ხოლო ვინც აკრძალვას არღვევდა და თავს ვერ იმართლებდა, უზოგველად ანადგურებდა. მთელ ქალაქებსა და ხალხებს სპობდა — როგორც ამბობენ — დიდთან პატარიანად, მეშვიდე თაობამდე.

ეტყობა, ტყუილუბრალოდ მიმგზავრია დღეს ზედმეტი წუთნახევარი და ამაოდ გამომივლია მთაზე, მთიან რაიონში, რომელიც ქალაქის ყველაზე პრესტიჟული რაიონია. მართლაც კარგი რაიონია და, ჩვენი გაგების თანახმად, — ფეშენებულურიცაა, ფერდობზეა გაშენებული. იქვეა შევჩენკოს პარკი, გრაფმა პოტიომკინმა რომ გააშენა. მთელი სწავლული საზოგადოება ამ რაიონშია თავმოყრილი ჯერ კიდევ სოციალისმის დროიდან. ყველა პროფესორი აქ ცხოვრობს. რაღაც მომენტში (ამას სიტყვაზე გეუბნებით) აღმოაჩინეს, რომ ამ სახლების ბინადარნი ტვინის სიმსივნით იხოცებოდნენ. თუმცა საგანგებო ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ადგილის განსაკუთრებული თავისებურებისათვის. ისინი ხომ პროფესორები იყვნენ, სხვა რაღა სენი უნდა გასჩენოდათ? სიფილისი თუ ღვიძლის ციროზი?

ამ რაიონში ბინები მუდამ ძვირი იყო და ახლაც ყველაზე ძვირი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია გაჩნდნენ ჭკვიანი ადამიანები, სწავლულნი, და ახსნეს ელიტარული რაიონის მცხოვრებთა სენის წარმომავლობა. ეს რაიონი თურმე მესამეული პერიოდის უზომოდ რადიაქტიული კლდის ნამსხვრევებზე დგას, თანაც ტელუანძის მახლობლად, სადაც რომელიღაც გადამცემი მძიმე ტალღებს ასხივებს, რაც თურმე ქალაქის ამ ნაწილს ფარავს ყველაზე მეტად. ჰოდა, აი, ეს ტალღები ახდენენ იმ სენის პროვოცირებას, რომელსაც წარსულში ხშირად პროფესიულად მიიჩნევდნენ მეცნიერების და ტექნიკის ადამიანებისათვის, რომ ეს სენი გადაჭარბებული გონებრივი შრომისგან ჩნდება და მავნებლურად მოქმედებს მეცნიერებათა დოქტორებზედაც და კანდიდატებზედაც.

ჰოდა, სამარშრუტო ტაქსიდან მე სწორედ აქ ჩამოვედი, გორაზე, და დაბლა დავეშვი, რადგან მივიჩნიე, რომ დაბლა დაშვება მუდამ უფრო ადვილია, ვინემ მალლა ასვლა.

მე იმ ადგილას არასოდეს ჩამოვდივარ, მე ან უფრო მაღლა ჩამოვდივარ — რათა სკვერს შემოვლებული თუჯის ორი დაბალი ღობის გადალახვა არ მომიხდეს, ან უფრო დაბლა, რათა სამიოდე წუთი ფეხით გავიარო და ფეხებში დაგროვილი სისხლი ავამოძრაო. ასე რომ, დაშვება ყოველთვის არ ყოფილა უფრო

ადვილი. როცა პირქარი გიბერავს, სახეში გილაწუნებს და აწყდება ფე-
რდობს, რომელზედაც ეშვები, ფეხებში გებლანდება და პალტოს კალ-
თებს გიფრიალებს, სიარული თითქოს ძნელი კი არა, უფრო უხერხუ-
ლია. აღმასწავლებელი მოსახერხებელია, როცა ქარს მიჰყვები, ქართან
ერთად მიაბიჯებ, ქარი კი ზურგში გაწვება. მიხრჩვნილი გსნთიადისას
სწორედ დღის დადგომისა და მისით წინასწარ სტუდენტის წინ, დღისა,
რომელიც ბუნდოვანია და უცნობი, დღისა, რომელიც განკუთვნილია
მხოლოდ იმისთვის, რომ იცხოვრო. თუნდაც ქარით იწყებოდეს. ეს იმ
შემთხვევაში, თუ ჩვენი საუბარი სხვებსაც ეხებათ. ჩემთვის კი ის მო-
მავალი დღე ჯერ კიდევ გუშინ დაიწყო, გვიან საღამოს, როცა საუბრი-
სას მე და ლელია იმ დასკვნამდე მივედით, რომ:

— სვეტკა ჩვენ ერთ მუშტად ვკვრავდა, ერთ ჩვეულებრივ ოჯა-
ხად.

ეს ლელიამ თქვა.

— კი მაგრამ, რა გაირკვა მას შემდეგ, რაც ის დავკარგეთ?

— გაირკვა ის, რომ ყველა ჩვენი კავშირი მოჩვენებითია და ჩვენ
თვითონ ყოველთვის როდი ვიცით, არის თუ არა ის ჩვენს შორის, —
ვთქვი მე, მაგრამ ლელიას ჩემი ნათქვამი არ გაუგონია.

ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, თავდაპირველად კაცსა და ქალს ერთ-
მანეთისადმი ლტოლვა, ინსტინქტი აკავშირებს, შეიძლება სიყვარუ-
ლიც, მერმე კი ყოველივე ამის ნაყოფი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, შვილები გვაკავშირებს. როცა არც პირველი არსებობს და არც
მეორე, ადამიანთა დაკავშირება შეუძლებელი ხდება და ისინი ერთმა-
ნეთს კარგავენ, თავისუფლებიან, იქნებ თავიანთი სურვილის გარეშეც
კი. ხოლო როცა ოჯახში არის თავისუფლება, ოჯახი აღარ არსებობს.
სამაგიეროდ არსებობს თავისუფლება.

ავირჩიოთ თუ არა თავისუფლება? ეს ჩვენი, რასაკვირველია, წმი-
დათა წმიდა უფლებაა. და ის გვაქვს. როგორც წერდა იგივე (სადღაც,
ტექსტის დასაწყისში) ჟურნალისტთა კავშირის აწ გარდაცვლილი წევ-
რი: „ადამიანს ისევე აქვს თავისუფლების უფლება, როგორც ჩიტს
ფრენისა“. სხვა საქმეა, რომ ბევრმა არ იცის, სად უნდა შეტენოს ეს
თავისუფლება და რა საჭიროა იგი. რისთვისაც ლაზათიანად ისჯება,
რომ გაითვალისწინოს და ზედმეტი არ მოინდომოს. თავისუფლება მკა-
ცრი მამიდაა და, თუ რამე არ მოეწონა, კბილებში მოგაკერებს.

საერთოდ კი ყოველივე ეს ფუჭი ლაყბობაა. რადგან თუ გადაწყ-
ვიტე, არაფერი აირჩიო, ეს არჩევანზე უარის თქმას არ ნიშნავს, ეს
მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ შენ აირჩიე „არ ავირჩევ“. მოქმე-
დება კი არა, უმოქმედობა აირჩიე. ხოლო თუ შეცდი არჩევანში, მაინც
მიიღე, სანამ სალაროს გაეცლებოდე.

მე მიჩვეული ვარ მიღებას, რადგან ვერ ვასწრებ, მის მიღებას გა-
დავეჩვიო. ერთს მივიღებ და რიგში მეორე დგას. იმას იქით კი მესამეა.
ამრიგად, მე გამოცდილი მიძლები ვარ, უწყვეტი სტაჟის მქონე.

რადგან მექაჩება და მაიძულებს, გზიდან გადავუხვიო. აქეთ-იქით
ვიცქირები, ვეძებ, საით ვდურთოთ თავი. ლელიასაგან (ესე იგი, ჩვენგან)
ასე სულელურად რომ არ მოვდიოდე ჩემს საკუთარ ცალკე საცხოვრე-
ბელში (ესე იგი, არავისთან). კარგია, რომ თენდება და, ესე იგი, საშუ-

აღება მეძლევა, ყველაფერს ვუჭვრიტო და დაეინახო. ჰოდა, ვუჭვრეტ და ვხედავ კიდევ. სხვა რომ არაფერი, ეს საქმიანობა მშვენივრად მა-
ვიწყებს მთავარსა და უსიამოვნოს. ტრაგიკულსაც. მართალი რომ ით-
ქვას, ჩვეულებრივ ყოველგვარ აბდაუბდასა და საძაგლობას ვხედავ. თუ-
მცა ყოველივე ამის უგულვებელყოფა შეიძლება.

აი, ახლაც მთიდან დაბლა მომავალს გზაში ხან ვილატქვან მჭვრეტე-
ბა, რომელსაც მოკლე ქურქი და გრძელი კაბა აცვია. კაბა სწრაფად
აქვს აჭრილი ქვემოდან ბოლომდე (ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ქალს
ჭრილიდან ფეხი უვარდება ხოლმე და გამვლელ მამაკაცებს აშფოთებს),
ხან ამერიკელი პასტორი, ეტყობა, რომელიღაც სექტიდანაა „Ves-
terday“-ს მღერის გაყინულ შადრევანთან, მიუხედავად ქარისა და თოვ-
ლისა, რომელიც თანდათანობით უმატებდა და უმატებდა. პასტორის
ხელში მიკროფონი კანკალებს, ხიხინებს და, ალბათ, თითები ეყინება.
მაგრამ პასტორი თავის მისიას მაინც განაგრძობს. მიუფურთხებია ამი-
ნდისთვის, რომელიც ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია. ის ხომ საჯარო
პროფესიის წარმომადგენელია და ხალხთან, მასასთან ნებისმიერ
ამინდში მიდის.

„საჯარო პროფესია“ კარგად ჟღერს, თუმცა როგორღაც არაინტე-
ლიგენტურად, სიამაყის გარეშე. ეტყობა, სხვანაირად ჟღერა არაფრით
შეუძლია. თუმცა რა სამუშაოა, პუბლიკის წინაშე იკეკლუცო და ილა-
პარაკო, ილაპარაკო და ილაპარაკო? თუნდაც ამ გზით შენს ჭეშმარიტ
რწმენას აღიარებდე?

თუნდაც არ ელოლიავებოდე და, პირიქით, მართავდე, სულერთია,
დაე, იშვიათად, თუნდაც ოთხ წელიწადში ერთხელ ყოველნაირად მას-
ზე ხარ დამოკიდებული. ჰოდა, საზოგადოებაზე გადიხარ და ხდები სა-
კარო — მაპატიეთ ეს უზრდელი სიტყვა — პოლიტიკოსი. ჰოდა, ელა-
ტუცები ამ საზოგადოებას და ხალხს უწოდებ მას, სასიამოვნო ეპითე-
ტებით ამკობ, ელაქუცები ამ პუბლიკას და ცდილობ, ლამაზად და და-
მაჯერებლად იცრუო, გსურს, მოხიბლო იგი — პუბლიკა — მოაჯადო-
ვო, გაასულელო და აიძულო, დაიჯეროს ის, რის დაჯერებაც შეუძ-
ლებელია.

ამასწინათ ჩვენს ქალაქს პატივი დასდო და საჯარო სამსახურის
ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი — პრეზიდენტი ეწვია. პატი-
ვისცემის გამომხატველი, ოფიციალური მეგობრული ვიზიტით. სინამ-
დვილში კი თანაკლასელებთან შეხვედრა და იმ ტექნიკუმისთვის აკა-
დემიის წოდების მინიჭება ეწადა, სადაც თვითონ სწავლობდა. და, რა-
საკვირველია, პრეზიდენტს მასპინძლებმა, სხვათაშორის, დაუვიწყარი
სიურპრიზიც მოუმზადეს. მან საერთო საცხოვრებელში შეიხედა, თავის
ოთახში. იქ კი ევრორემონტი ჩაეტარებინათ. ახლა მაგიდას მისი სი-
ჭაბუკისდროინდელი მეგობრები უსხდნენ და პრეფერანსი გაეჩალები-
ნათ. ისინი ორნი იყვნენ, ჰოდა, ჩანაფიქრის და სცენარის მიხედვით,
მესამე თანამაცხოვრებელს, დღევანდელ პრეზიდენტს ელოდნენ. პრე-
ზიდენტმა თავისი ყოფილი ოთახის ზღურბლს რომ გადააბიჯა და ეს
უმსგავსობა დაინახა, თქვა:

— ეს რა ხალხია ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებელში და
აზარტულ თამაშს რატომ თამაშობენ?

ვერ იცნო თავისი ძველი მეგობრები. ისინი კი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ჩამოიყვანეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ერთი ხაბაროვსკიდან ჩამოაფრინეს, მეორე კი მადაგასკარიდან ჩამოაბრძანეს ჩარტერული რეისით. იგი მადაგასკარზე ერთ ამერიკულ კომპანიას გაემგზავნა მივლინებით. ჩვენები ამერიკელებს შეთანხმებიან, პრეზიდენტის გადაუხდიათ და პრეზიდენტის მეგობარი დანიშნულია ქალაქში ჩამოიყვანიათ.

როგორც იქნა, რეფერენტებმა პრეზიდენტს აუხსნეს, რაშიც იყო საქმე, და იგი უმალ შევიდა როლში. თანაკლასელებთან ერთად ტელეკამერების წინ გამოიჭიმა და თითოკაპიკიანი ხელი ითამაშეს. იმათ კი პრეზიდენტი კუდის რიკამდე გაატყავეს, რადგან პრეზიდენტი ძველებურად ველარ თამაშობდა, ბოლო წლებში პრეფერანსისთვის ვერ იცვლიდა. მეგობრებთან შეხვედრისა და ხარზეიმის შემდეგ, რომელიც ტექნიკუმის, დღეს კი კოლეჯისთვის აკადემიის წოდების მინიჭებას მიეძღვნა, პრეზიდენტი იმ ქარხანაში მივიდა, სადაც მუშაობდა და მაცივრებს უშვებდა. მერმე ადგილობრივ პატრიარქთან ერთად მოინახულა ბავშვთა ახალი სახლი, ახალი რესტორანი და სინაგოგა. ეს უკვე უპატრიარქოდ.

სწორედ ამ დროისთვის შეაკეთეს სინაგოგა ქალაქში, ფერფლიდან აღადგინეს. ადრე მასში საოლქო მასშტაბის პარტიულ-სამეურნეო აქტივი იყო განთავსებული. მერმე — საქონლისა და მომსახურების საწყობი, უფრო მოგვიანებით, ესე იგი, შენობა მორწმუნეებს ხარზეიმით დაუბრუნეს. ჰოდა, პრეზიდენტი დიდის ამბით მივიდა მათთან. სინაგოგის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ოგონიოკზე შეიხედა. რატომაც არ უნდა შეეველო, როცა მომსახურე პერსონალს მისი იქ ყოფნა ოქმშიაც ჩაერთო და ვიზიტის გეგმაშიც.

ჰოდა, პრეზიდენტმა მიულოცა ებრაელებს, რომ ახლა, მისი ბრძნული მმართველობის შედეგად მათ აღარ არბევენ, რაბინს შუბლზე ეამბორა და გაემგზავრა სხვა ხალხთან სასაუბროდ. მოედანზე ქალაქელების წინაშე გამოვიდა ბელადივით უმიკროფონოდ და უფანეროდ. განაცხადა, წლეულს დაგვერბევა, საიუბილეო წელიაო. საკუთარ თავს კითხვა დაუსვა: „საიდან ეზრდება ფესვები პრეზიდენტის პოლიტიკას?“, თვითონვე უპასუხა: „საიდან და საიდანაც მთელ ხალხს“. მერმე აპლოდისმენტებს დაელოდა. აპლოდისმენტებმა რომ დაიგვიანა, ქუჩებში გასავლელად გაემართა, რათა მცველთა ზურგს უკან ქალაქის მოსახლეობას შეხვედროდა. ხალხისკენ მიიწევდა, ხელებს უწვდიდა, უნდოდა, შეხებოდა, თუმცა ვერ წვდებოდა და მთელი სახით უღიმოდა. მერმე მცველებმა ცოცხალი წრე შემოართყეს და მანქანამდე მიაცილეს. მანქანა ადგილიდან ერთბაშად ოთხივე ბორბლით მოწყდა და გაქანდა. მანქანით კი გაემგზავრა პრეზიდენტი, რომელიც ასევე მოწყდა ადგილიდან და პოლიტიკურ ოლიმპზე დასაბრძანებლად გაუტია. მას შემდეგ ის ჩვენს ქალაქში არავის უნახავს, თუმცა ეს მისი მშობლიური ქალაქი, ესე იგი, პატარა სამშობლო იყო. ალბათ სამშობლო პრეზიდენტს მომავალშიც ველარ იხილავს, რადგან მას ჩვენთან არაფერი ესაქმება. არაფერი ესაქმება თავისი კუთხის ადამიანებთან, მას არ სცალია, ჩვენ კი თავისუფლები ვართ.

ის არამზადაც, რომელმაც დიკი გაიტანა და კინალამ ლელიაც იმ-
სხვერპლა, ბევრს ლაპარაკობდა. ამბობდა: „კი, მე მათ მანქანა დავაჯა-
ხე, მაგრამ კანონიერი გზით დამიმტკიცეთ, რომ დამნაშავე ვარ, უდა-
ნაშაულობის პრეზუმფციის დაცვით, სანამ არ დამიმტკიცებთ. მე თავი-
სუფალი ვარ“. თავის დამსახურებად, იცით, რას მიიჩნევდა? შემთხვე-
ვის ადგილზე რომ მიბრუნდა. ხომ შემეძლო, არ მივბრუნებოდი?
ჯერ რაღაც რაკარუკი გავიგონე, მერმე კი დავინახე, რომ მანქანა
მქონდაო. უკანა ხედის სარკე და პატროსნად მივტრიალდიო. რომ ის
სარკე, რომელიც ფული ღირს, გზაზე მეპოვნა და ამელოო. ერთი სიტ-
ყვით, შემდეგ ამტკიცებდა, გამყოფ ზოლზე მდგომი არავინ დამინახავ-
სო, რადგანაც, ჯერ ერთი, სანაპიროს სავალი ნაწილი ფარნებით განა-
თებულია არა აუცილებელი საკმაო სიძლიერითო, მეორეც, შემხვედრმა
მანქანამ დამაბრმავაო. ესე იგი, ორმაგად უდანაშაულო ვარ, საკუთარი
სინდისისა და კანონის წინაშეცო. რომ დამენახა ისინი და მანქანა მაინც
დამეჯახებინა, მაშინ კი, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა, რაკი არ
დამინახავს, არავითარი ბრალიც არ მიმიძღვის, თავი დამნაშავედ არ
მიმაჩნია და წინასწარი განზრახვის არმქონე მკვლელადაც არ ვითვ-
ლებიო — მით უმეტეს, რომ მთვრალი კი არ ვყოფილვარ, ზედიზედ
ბოლო ორი დღე პირში წვეთიც არ ჩამიშვიაო.

საბოლოოდ მაინც ვერ დავუმტკიცეთ, რომ ბრალეული იყო. არ
ვიცი, იმიტომ რომ მართლა არაფერში მიუძღოდა ბრალი, თუ იმიტომ,
რომ თვითონ აღმოჩნდა შტატისანი მილიციონერი. თურმე ეკონომიკუ-
რი დანაშაულის მაძიებელი მაიორი ყოფილა. ერთი სიტყვით, ამ დარგის
სპეციალისტი ბრძანებულა. „ჩვენ გაგვიმართლა კიდევც, — მგზნებარედ
მიმტკიცებდა მაიორი, — თუ, ცხადია, მხედველობაში არ მივიღებთ
შენი გოგონას დაკარგვას, რასთანაც პირდაპირი დამოკიდებულება არ
მქონდა, — და შენი ძაღლის სიკვდილს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მან-
ქანა შენი ცოლისთვისაც დამეჯახებინა, რომელსაც არაფერი დაშავებია,
გარდა იმისა, რომ შეშინდა?“

იქნებ სრულ გამარჯვებამდე ან თუნდაც რაიმე შედეგის მიღწევამ-
დე უნდა მებრძოლა მასთან, რათა სასამართლოს მუქარით სვეტკას ძებ-
ნაზე მაინც ეზრუნა თავის ეგრეთწოდებულ კოლეგებთან ერთად, მაგ-
რამ ბრძოლა აღარ დავუწყე და არა იმის გამო, რომ ცეცხლით წყალს
ვერ შეაშინებ, არამედ იმის გამო, რომ ბრძოლას აზრი აღარ მქონდა.
ვთქვათ, სასამართლოს ჩავატარებდით, ვთქვათ, მომეგო კიდევც —
კაცმა არ იცის, ან მოვიგებდი ან — არა — შეიძლება მაიორი გაემარ-
თლებინათ კიდევც, როგორც თავიანთი კაცი. ვერც ეს შეცვლიდა რამეს.
ჩემი შინ არყოფნის უარყოფაც იმ მომენტში, დიკი ქუჩაში სასეირნოდ
რომ უნდა გამეყვანა, ვერაფერს შეცვლიდა, სვეტკას ძებნაზეც ვერა-
ვითარ გავლენას ვერ მოახდენდა. ძებნა არ იციან — გინდა ზეწოლა
განახორციელე მათზე, გინდა ქრთამი მიეცი. არ იციან.

ახლა ვფიქრობ, რომ ლელიამ სწორედ მაშინ მომიძულა, როცა
მიხვდა, მაიორთან ბრძოლას არ ვაპირებდი, არც უკითხავს და არც უც-
დია გაერკვია, რატომ მოვიქეცი ასე და არა ისე, ეტყობა, მობეზრებო-
და ჩემი ახსნა-განმარტებანი და დასაბუთებანი. მისი აზრით, ისე არ

ვიქცეოდი, როგორც უნდა მოვექცეულიყავი. და ეს სავსებით საკმარისი იყო სიძულვილისა და იმისათვის, რომ ჩემგან გამიჯნულიყო, საკუთარ თავში ჩაკეტილიყო, სიმშვიდის ნაჭუჭში გახვეულიყო, რაც სინამდვილეში გულგრილობის ნაჭუჭი იყო — გულგრილობის ყველაფრისადმი, რაც დარჩენოდა. ასეთი დანაკარგები ადამიანებში, განსაკუთრებით ქალებში, სწორედ ამ განწყობილებას ბადებენ. გულგრილობას და მხოლოდ გულგრილობას. ამგვარი დანაკარგების შემდეგ სხვა ყველაფრის გამორჩევა ძნელია. არც არავითარი მოთხოვნილება არსებობს, მაინცდამაინც გამოირჩეს რამე. ირგვლივ ყველაფერი თანდათანობით — ზოგჯერ ერთბაშად, ვააჩნია, ვისთან როგორაა საქმე — მკრთალდება, თავის მოხაზულობას კარგავს. ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ, განსხვავება აღარ არსებობს, ხდება განურჩეველი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

სიტყვები სწორედ ზუსტი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. პირდაპირი მნიშვნელობით და არა სხვაგვარად. პო, შევცვალოთ თემა. საპირისპირო და შორი მნიშვნელობით, დაკარგვიდან შექენაზე გადავიდეთ. მით უფრო, რომ ეს არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

საკმარისია, ოცნებაში უკან დავიხიოთ, შევბრუნდეთ რომელიღაც წარსულში, სადაც შენაძენი შენაძენად არ ქცეულა, ის ჯერ არ ყოფილა, რადგან მისკენ პირდაპირი გზა არ არსებობდა, რადგანაც ყველა შენაძენი შენაძენად რომ იქცევა, გარკვეული დროის შემდეგ დანაკარგი ხდება. ჩვენ კი სამუდამოდ ვერაფერს ვიძენთ. ხანდახან გვგონია, რომ ვიძენთ. მაგრამ შემდეგ ვხვდებით ჩვენი ფიქრებისა და იმედების მცდარობას და ვკარგავთ იმას, რაც ოდესღაც შეგვიძენია. ბოლოს და ბოლოს კი ჩვენც ვიკარგებით. და ვერაფრითა კეთილი იმედები ვერ გვშველის. კი, ბატონო, იმედი მუდამ რჩება, მაგრამ ჩვენ ხომ მივდივართ.

ჰოდა, ოდესღაც ლელია მიმანდა ჩემს ყველაზე წარმატებულ, უძვირფასეს (ღირებულ) და ა. შ. და ა. შ. მონაპოვრად ცხოვრებაში, მონაპოვრად მთელი სიცოცხლის მანძილზე, ესე იგი, კუბოს კარამდე, თანაც ჩემს კუბოს კარამდე. რამდენადაც ელემენტარულად და არსებითად უფროსი ვარ. შეიძლება ეს აზრი ჩემში ჩამოყალიბდა ჩემი მაშინდელი არსებობის კონტექსტის მეშვეობით და ეს კონტექსტი ყალიბდებოდა მშობლიურ სოციალისტურ სახელმწიფოსთან ჩემი ბრძოლით. პირადი ცხოვრების გახანგრძლივებისათვის, რომელიც მიმდინარეობდა მაშინ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გამწვავების პირობებში. ჰოდა, ესე იგი, ტკივილი გამძაფრებით მიტევს, ისე შემომიიტევს, თმისძირებიც კი მტკივა, ხან ავლანეთში გაწვევას მიპირებენ, რათა ჩემი, თადარიგის ოფიცრის, ინტერნაციონალური ვალი მოვიხადო საბჭოთა სამშობლოსა და პირადად მისი პოლიტბიუროს წინაშე (იმ აზრით, რომ ავლანელები დამეხოცა, ან კანდაკარის მისადგომებთან თვითონ გამეფშიკაფებები), ხან კი ჩერნობილში, და მოსამზადებლად ოცდაოთხ საათს მაძლევდნენ, რათა ჩემი წყლულით მეოთხე რეაქტორი დამეფარა, იქ კი ან საბოლოოდ (ისევ და ისევ) ჩავძაღლებულიყავი, ან სოციალისტური შრომის დამსახურებულ ინვალიდად ვქცეულიყავი სიცოცხლის მიწურულამდე. მე კი, ბუნებრივია, მსურდა, პირველებიც მომემორებინა თა-

ვიდან და მეორეებიც, თან გულში მათ ჯანდაბამდის ვგზავნიდი და უფრო შორსაც და ვცდილობდი, ქალაქის ნომერ მეექვსე საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიურ განყოფილებაში დავწოლილიყავი, სადაც მარტო პალატებში კი არა, ჩემთვის პერმანენტულად არ მოიძებნებოდა დასაწოლი ადგილი განიერ, გრძელ დერეფნებშიც კი. მაიოდებოდნენ, ადგილები აუცილებლად ვანთავისუფლდებო, მაგრამ ვეუბნებოდნენ, როდის.

აღბათ, ელოდნენ, განყოფილებაში როდის გარდაიცვლებოდა ან განიკურნებოდა ვინმე ჩემსავით წყლულით დაავადებული.

პოდა, მთელი ძალითა და ჩემში არსებული თავხედობით ვცდილობდი, თავი დამეცვა სამხედრო კომისარიატელი რეგენებისგან, რომლებსაც სამხრებზე მეტ-ნაკლები რაოდენობის ვარსკვლავი ეკეთათ და თავში ტარაკანები დაუფუსფუსებდათ, ვცდილობდი საავადმყოფოში დავწოლილიყავი, მაგრამ რაკი ამბულატორული ავადმყოფობის ფურცელს წყლულის გამო არ იძლეოდნენ, დავდიოდი სამუშაოზე და ჩემი ერთადერთი დამამშვიდებელი ის იყო, რომ მოპირდაპირე ოთახში შევსულიყავი, სადაც შუბლზე შეჭრილი ჭალარა თმის ქვეშ მობრიალე ორი უზარმაზარი თვალი შემომანათებდა ხოლმე. ამ თვალების ხანგრძლივი შემონათება ჩემს წყლულზე პაპავერინით დამამშვიდებლად მოქმედებდა.

მოგვიანებით შევამჩნიე, რომ ხანდახან რაღაც გაურკვეველი და გაუცნობიერებელი გრძნობა უცებ წამომაგდებდა ადგილიდან და ოთახიდან გარეთ მექაჩებოდა. დერეფანში გავიდოდი თუ არა, უმალ ისიც გამოჩნდებოდა, და ვხვდებოდი, რომ ჩვენ ერთმანეთს შორიდანაც, ორი კედლის მიღმაც ვგრძნობდით.

ლელია სულ ახლახან გამოჩნდა ჩვენთან. მე არ მომცემია შემთხვევა და საბაბი მისი გაცნობისა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, საბაბი თავისთავად ჩნდება ან სულაც არ ხდება საჭირო. შემდგომ ჯერზე, როცა თითქოსდა ბრძანების მიღების შემდეგ დერეფანში გამოვედით და ერთმანეთს პირისპირ შევეჩხეთ, ცარიელი თავაზიანობის ნიშნად ნაბიჯი უკან არ გადამიდგამს, ვკითხე:

— რატომ გაქვთ ასეთი ჭალარა თმა? თქვენ ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ?

— მე ოცდაექვსი წლისა ვარ, — მითხრა ლელიამ. — თმა რატომ გამიჭალარავდა, არ ვიცი.

— აღბათ, ყველა გეკითხებათ, რით იღებავთო? — ვუთხარი.

— დიახ, — მითხრა ლელიამ. — მეკითხებიან.

— მერე რა პასუხს აძლევთ?

— ვეუბნები, საღებავით-მეთქი.

ასე გავიცანით ერთმანეთი. საბაბი კი მისი აუხსნელი ნაადრევი ჭალარა დარჩა და ყველაფერი თავისით მოგვარდა. თავდაპირველად სამხედრო კომისარიატი მომეშვა. ერთბაშად ავღანეთსა და ჩერნობილშიც აღარ გავხდი საჭირო. მერმე, შეიძლება ითქვას, სამედიცინო ჩარევის გარეშე ტკივილებიც დამიცხრა. და როცა საავადმყოფოში ადგილი ვათავისუფლდა, კარგა ხანს უკან დამდევდნენ, რათა ჩემი პოსპიტალიზაცია მოეხდინათ, თუმცა მე უარი ვთქვი. და რაც ყველაზე დაუჯერე-

ბელია, სამუდამოდ განვიკურნე. დღემდე არაყსაც ვსვამ, თამბაქოსაც ვეწევი და არაფერზე ვამბობ უარს. ერთადერთი, რაც წყლულიდან შემომჩრა, ის არის, რომ დათრობა არ შემიძლია, მაშინაც კი, როცა ძალიან მინდა დავთვრე. კუჭი სპირტიანი სასმელების მიღებაზე გაცილებით ადრე ამბობს უარს, სანამ თავი გაითიშებუდექვინო.

ერთხელ ლელიამ ვილაც მხატვრების რომელიღაც წამათრია. აქცია ბრეუნევის მუზეუმში ტარდებოდა. მისი ტანსაცმელ-ფესაცმლის, ბიუსტებს, საჩუქრებს, პირადობის მოწმობებსა და თვით წიგნებს შორის — გარდა სურათებისა, ვიტრაჟებისა და ქანდაკებებისა, სამლიტრიანი ქილით, რომელზედაც ეწერა „ავტოპორტრეტი“, მხატვრებს გამოეფინათ ავანგარდულ-შიზოფრენული ინსტალაციებიც: ზამბარები და საათის კბილანები, შებოლილი სკუმბრია, რომელიც გაზეთ „პრავდაზე“ იდო, შვაბრაზე წამოცმული პალტო და ყურებიანი ქუდი, პეტროვის ნახატებით გაწყობილი და ყველივით მომწვანო ილიჩმეორის ბრინჯაოს ხელზე მიმაგრებული.

ღონისძიების შემდეგ საკმაოდ მოზრდილ ბრბოსთან ერთად აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს ვეწვიეთ. ბრბოს წინ ნელა მისრიალებდა წითელი „ფიგული“, რომელსაც უკანა მინაზე წითელი ჯვარი ეხატა. მანქანის სახურავზე იდო შოფრის მიერ შემოდებული წითელი ჩანთა, რომელშიც დოკუმენტებს ინახავენ. ორგანიზატორი, რომელსაც სამი კაცი ძლივს თუ შემოსწვდებოდა, ორმეტრიანი, წითური ლამაზი კაცი იყო. იგი კარგ ლექსებს წერდა და ხმამაღლა კითხულობდა (ერთი მისი ლექსი დღესაც მახსოვს): «Как хлеб к сороковому дню, (стал воздух сух. Похолодало.) и время отрыват настало (подковы старому боию)»).

ბინაში ორმოცამდე კაცი შეჯლიგინდა. ყველანი კამდნენ, ჭამდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და რაღაცას ზეპირად კითხულობდნენ. არ ვსვამდი მხოლოდ მე. ჯერაც არ ვიცოდი, რომ განკურნებული ვიყავი, და მეშინოდა, ხელახლა არ ამტკივდეს-მეთქი, საერთოდ მეშინოდა და, რომ ამტკივდებოდა, სასმელს მთელ თვეს არ ვეკარებოდი. მერე მავიწყდებოდა და ისევ ვიწყებდი სმას, თამბაქოს წევასა და სპორტულ ცხოვრებასაც, დაახლოებით ისეთს, როგორსაც ახლა ეს ხალხი ეწეოდა. ისინი კვამლში გახვეულიყვნენ, ერთმანეთს მუხლებზე ასხდნენ, რაღაცაზე დავობდნენ, ერთდროულად პკოცნიდნენ და ეჩხუბებოდნენ კიდევ ერთმანეთს. უკანა პლანზე გამუდმებით ჩნდებოდა წვერიანი ხანდაზმული კაცი. ის არაფერს აკეთებდა. გამოჩნდებოდა და მორჩა — თითქოს იფეთქებდა, მერმე უკანა პლანზე გაცურდებოდა და ქრებოდა. შემდეგ კვლავ გამოჩნდებოდა. რომელიღაც წამს იგი თავის უკანა პლანს გამოეყო, სხვის, წინა პლანზე, გამოვიდა და თქვა:

— ლექსს მეც წაგიკითხავთ. ყველა ლექსს წაგიკითხავთ, რაც კი სიცოცხლეში დამიწერია.

ოთახში სიწყნარე და მოწყენილობა დამკვიდრდა, ხანდაზმულმა კაცმა კი სახე ჭალისკენ აღმართა, წვერი გაუნათდა და ოთახის შორეულ კუთხეს, კედლების და ჭერის პირდაპირ დაუმიზნა, ბოლოს თქვა:

— ეპ, არ არის საჭირო...

რის შემდეგ წამსვე აღმოჩნდა თავის მუდმივად მეორე პლანზე და სალაშქროს დათავრებამდე იქ დარჩა. იქნებ არც დარჩენილა და შინ წავიდა.

მე და ლელიაც წამოვედით. ერთხანს დივანზე ჩამოვსხედით. უნებურად მოვისმინეთ, როგორ ეჩხუბებოდა ცოლი პოეტ ქმარს.

— ჩემზე წაიკითხე ის საძავლობა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა.

— მაშასადამე, სხვა ქალზე წაგიკითხავს. გყავს სხვა ქალი?

— არა.

— ქორწინებამდე გყავდა?

— ქორწინებამდე კი.

— ერთი?

— ერთი. დაახლოებით.

უხერხული იყო, კიდევ დიდხანს გვესმინა ეს ჩხუბი. მოჩხუბართაგან მოშორებით რომ გადავმსხდარიყავით, ადგილი არ იყო. დივანიდან შეუთანხმებლად წამოვდექით და დერეფანში გავვედით, ჩავიცვით და ერთად წავედით. და ერთად ცხოვრება დავიწყეთ. დღესაც ვცხოვრობთ ცვალებადი წარმატებით და შესვენებებით სხვა რაღაცის გამო. თუმცა სწორედ დღეს არ ვცხოვრობთ ერთად, გაყოფილი ვართ, რადგანაც ერთმანეთთან აღარაფერი გვაკავშირებს. ვინც გვაკავშირებდა, აღარ არის. აღარ არსებობს იმიტომ, რომ ლელიამ სვეტკა ბავშვებისთვის განკუთვნილ დროს დასაძინებლად არ დააწვინა და შეიძლება, დიკთან ერთად შინიდან რომ გავიდა, კარი არ დაუკეტავს. იმიტომ, რომ მე არ ვიყავი შინ, რამეთუ გაგდებული ვახლდით. გაგდებულიც იყო და შინაც იყო, ერთდროულად შეუძლებელია. ასეთი „იმიტომ, რომ“ შეიძლება უამრავი მოიძებნოს. უსასრულო რაოდენობისა. და ეს „იმიტომ, რომ“ რომ არ არსებულებოდა, სვეტკა დღეს ჩვენთან იცხოვრებდა და უკვე დიდი გოგო იქნებოდა. და, ალბათ, ეყოლებოდა, როგორც დღეს ამბობენ — ბოი ფრენდი. იქნებ საყვარელიც ჰყოლოდა — თხუთმეტწლისანებში ეს ახლა ძალზე ხშირად ხდება. და, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელი ეყოლებოდა, სწავლა უნდა განევრძო და სკოლა დაემთავრებინა. მას ხომ ბინა არ ექნებოდა, სადაც, როცა მოეპრიანებოდათ, ერთმანეთს შეხვედროდნენ. მე კი ვერ გამიბედავდა, ჩემი (აგრეთვე მისი) ცარიელი ბინის გასაღები მომეცით. მიზეზიანობას დაიწყებდა და მეც ვეტყოდი:

— შემთხვევით, მთავე კიტრი ხომ არ გინდა?

ის მიპასუხებდა:

— ორი კიტრი მინდა.

— რატომ ორი? — ვკითხავდი მე.

— იმიტომ, რომ ტყუპი მეყოლება. — მიპასუხებდა და მეც სათანადოდ შევაფასებდი მის იუმორს.

რას ვიცინებდით მე და ნაადრევად მომწიფებული სვეტკა! შეიძლება, ჩვენთან ერთად ლელიასაც ეცინა. ლელიას იუმორის კარგი გრძნობა აქვს. იუმორის რაღაც ნატამალი დღესაც შენარჩუნებული აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სვეტკა აღარ არის. და არც იქნება. მხოლოდ ეს დააკარგვინებდა იუმორს ნებისმიერ ადამიანს. და არა მარტო იუმორს. შეეძლო კი არა, დააკარგვინა უკვე. მე და ლელიამ არ ვიცოდით,

სახელდობრ რა დაგვაკარგვინა სვეტკას გაუჩინარებამ. ჩვენ არც უნდა ვიცოდეთ, რას გვაკარგვინებს ადამიანთა გაუჩინარება. და არც ვიცით. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ რაღაც დაგვარგეთ — შეიძლება, ბევრი რამ, შეიძლება, ბევრი კი არა, საერთოდ, — ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე შეჩვენება ხანდახან. უცებ რაღაც ვაჭყვები მწკრივდება, ძაფები იჭიმება ერთი შემთხვევიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე. და ამ ძაფებს ისევ იქ მივყავარ, სვეტკასთან. ჩვენი ცხოვრებიდან მის გაქრობასთან. მის არაბუნებრივ არყოფნასთან ჩვენთან, მის ცოცხალ და საღ-სალამათ მშობლებთან. ცხადია, შეიძლება, საკუთარ თავს უმტკიცო, სვეტკა რომ არ გაუჩინარებულყო, მე და ლელიაც უკეთ ვიქნებოდითო, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ თუ ასე არ მოვიქცევო, ე. ი. არ ვუმტკიცებ, მაშინ გასაგები ხდება, ასეთი ვარაუდები წყალზე ფიწლით ნაწერს ჰგავს. როცა ლელიამ სახლიდან პირველად გამაგდო, სვეტკა გვყავდა. ჰოდა, ლელიას რომ არ გავეგდე და დიკი სასუიროდ მე წამეყვანა და არა ლელიას, მაიორი დიკს მანქანით რომ არ დაჯახებოდა და ამის გამო ლელია დიდხანს არ დაყოვნებულიყო ქუჩაში და კარი ღია რომ არ დაეტოვებინა...

არა, ეს „რომ არ“ თავისთავში არავითარ აზრს არ შეიცავს. ამ „რომ არა“-ს გარდა აზრი შეიძლება ქვეყნიერებაზე ყველაფერში აღმოაჩინო, სახელდობრ, იმაშიც, რომ მე და ლელია ვაგრძელებთ თუნდაც არა ცხოვრებას, არამედ თანაარსებობას. არსებობს აგრეთვე ამ თანაარსებობის მიზეზიც. ბოლოს და ბოლოს გავიგე ეს მიზეზი, მივხედდი. ჩვენ გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ და ერთმანეთს ვითმენთ სვეტკას გამო. მაინც სვეტკას გამო. ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ როცა სვეტკა ჩვენთან ცხოვრობდა, ბუნებრივი კავშირით გვაკავშირებდა. ასლა ცოცხალი კავშირი ნამდვილად არ არსებობს და არც თვითონ სვეტკა გვაკავშირებს სინამდვილეში. სამაგიეროდ, ჩვენ მისი დაკარგვა გვაკავშირებს. ჩვენ იგი ერთად დაგვარგეთ. დაგვარგეთ დოჟლაპიობის გამო და ამ დანაკარგს ერთად გავუძელით. ამის შემდეგ, ვფიქრობ, ჩვენ ქვეცნობიერად გვესმის, რომ, რაკი ამას გავუძელით, ამიერიდან ყველაფერს გავუძლებთ და გადავიტანთ. ჩვენ ვცხოვრობთ გასაჭირის, უბედურებისა და კატაკლიზმების მოლოდინში, ცუდის მოლოდინში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ და ველოდებით, რომ ეს ცუდი (შესაძლოა, ჩინელებთან ომიც, კოლექტივიზაცია) მოხდება და მოგვიწევს, გადავიტანოთ მთელი ძალითა და შესაძლებლობით. აი, მაშინ ჩვენ ერთმანეთისთვის შეუცვლელელები აღმოვჩნდებით. ხოლო როცა კარგად ან ცუდად კი არა, მეტ-ნაკლებად ნორმალურად და ასატანად ვართ, — ასეთ შემთხვევაში უერთმანეთოდაც იოლას გავდივართ, ცალ-ცალკე უკეთ ვგრძნობთ თავს. მშვიდად ვცხოვრობთ, ვინემ ერთად, ერთ ოჯახად და ერთ საერთო სახურავქვეშ. რეგულარულად ვახერხებთ უერთმანეთოდ არსებობას. რეგულარულობის ინიციატივა ჩვეულებრივ ჩემი არ არის. ინიციატივა ლელიას ეკუთვნის. ასე იყო ყოველთვის და ყველაფერში. გამონაკლისი არ არსებობდა. ინიციატივა მუდამ ლელიას ეკუთვნოდა.

ასეა მიჩვეული და მოწყობილი. ინიციატივა თავისთავად მისგან მოდის. დამოუკიდებლად გამოეყოფოდა, როგორც ორგანიზმის ფუნქცია. ჩემი უკანასკნელი წარმატებული ინიციატივა, რაც ჩვენს ერთობლივ, საერთო ცხოვრებაში გამომიჩენია, ეს იყო ინიციატივა სვეტკას ამქვეყნად მოვლინებისა, უფრო სწორად, საშუალება მივცეხვით დაბადებულიყო ხელშეუშლელად.

ლელიას ამ პერსპექტივისადმი განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუჩენია. მე კი თითქმის მთელ ცხოვრებაში ერთადერთხელ გავიტანე ჩემი, უფრო სწორად, არა ჩემი, ცხადია, არამედ ჩვენი. რომ ბავშვი შობილიყო — და გაქირას შევდექ. ლელიამაც სვეტკა შობა, სხვათაშორის უსურვილოდ. თითქოს რაღაც ცუდის მოლოდინში ყოფილიყო; თითქოს იცოდა, სჯობდა არ მიენიჭებინა მისთვის სიცოცხლე, საშობივე მოეშთო, როცა სიცოცხლე ნამდვილად ჯერ არ დაწყებულიყო, ის იყო, ისახებოდა, ესე იგი, ჭეშმარიტ სიცოცხლედ არ ჩაითვლებოდა.

მშობიარობის ვადის დადგომამდე ლელია ცდილობდა, თავისი ფეხმძიმობისთვის ყურადღება არ მიექცია. ისევე ვიცხოვრებ, როგორც მიცხოვრია, დედაკაცობას ვერ შევეგუებო. როცა ვეუბნებოდი, ქალთა კონსულტაციაში უნდა წახვიდე და აღრიცხვაზე დადგე-მეთქი, ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და მეუბნებოდა, მოვასწრებ აღრიცხვაზე დადგომას, მისამართიც არ ვიცი ამ სამედიცინო დაწესებულებისაო, გაგება კი მეზარება, თანაც არაფრად მჭირდებაო. ასე რომ, ცხრა თვის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა იქ. ერთხელ კი, შუალამისას მოულოდნელად მითხრა: „მე წავედი“ და ბარგის შეკვრა დაიწყო.

— სად, წახვედი? — ვკითხე.

— სამშობიაროდ, შენი წყალობით, — მითხრა ლელიამ.

ქუჩის კუთხეში გავედი ტაქსის გაჩერებაზე და უმაღვე გამიმართლა. ლიმონისფერ „ვოლგაში“ მძინარე ტაქსისტი გავაღვიძე. ავი თვალთ შემომხედა, გუბები გადაატრიალა და თამბაქოს სუნი მომართქლა.

— საით მიდიხარ?

— სადაც გეტყვი.

ტაქსისტი გამოცოცხლდა. დაასკვნა, რომ სერიოზული ბიძა ვიყავი და ღამით ჩემთვის უარის თქმა კარგს არაფერს უქადდა.

— გასაგებია.

„ვოლგა“ დაიქოქა, დაიზმუვლა და აბოლდა. შოფრის გვერდით ჯდომისგან ჩაზნექილ სავარძელში ჩავეშვი. ეზოში შევედით. გავჩერდით. ბინაში ავედი, ლელიას მიერ შეკრული ბარგი ავიღე, მინდოდა, დავხმარებოდი, ხელი შემეშველებინა, გავყოლოდი.

— თვითონ წავიღებ, — მითხრა ლელიამ და კიბეს დაუყვა, მძიმედ მოძრაობდა, ქუსლებით აბიჯებდა და მაინც მსუბუქად მიდიოდა, სპილოსავით ადგამდა ნაბიჯებს, მაგრამ მაინც მსუბუქად. „ნუთუ ტკივილი არ აწუხებს? — ვფიქრობდი მე. — ხშირი, შეტევილი ტკივილი არ უნდა ჰქონდეს? თუ ყველაფერი თავისებური იცის?“

სამშობიარო სახლში უკმაყოფილოდ გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ ლელიას არავითარი ცნობა, ანალიზები, ავადმყოფობის ისტორია

და მისთანები, მედიცინისათვის აუცილებელი საბუთები არ აღმოაჩნდა
 ლელიამ თქვა:

— აი, ჩემი საბუთი და მუცელი შეანძრია.

ამ გამომწვევმა შესტმა სამშობიარო სახლის მშენებელი კიდევ უფ-
 რო გააღიზიანა. საოცრად უკმაყოფილო იყვნენ ლელიამ, ჩემითაც და
 ადამიანთა მთელი მოდგმით, უგნურად და გაუმართლებლად რომ ეკი-
 დებოდა საკუთარი ჯანმრთელობის საქმეს და ქვეყანაში ჯანმრთელო-
 ბის დაცვის სისტემას. მე კი მითხრეს:

— თქვენ რაღას უყურებდით, ამხანაგო მეუღლე, ეს უწყესრიგობა
 როგორ დაუშვით?

მე პასუხი არ გამიცია. მხოლოდ ეს გავიფიქრე: „როგორ უნდა
 ჰქონდეს ადამიანს ტვინი მოწყობილი, რომ კაცს ასე მიმართოს „ამ-
 ხანაგო მეუღლე“?

მედპერსონალმა ლელია წასაყვანად მოამზადა. უთხრეს, ახლავს
 ყველა ანალიზს ავიღებენ და ყოველმხრივ გამოგიკვლევენ, რის გარე-
 შეც არასდიდებით და არავითარ შემთხვევაში მშობიარობა არ შეიძლე-
 ბაო. ლელიამ კი უთხრა:

— ვერაფერსაც ვერ ამიღებენ და ვერც გამომიკვლევენ.

— რატომ? — ჰკითხეს სამშობიარო სახლის მუშაკებმა.

ლელიას მათთვის გარკვეული არაფერი უთქვამს. იგი უბრალოდ
 დაჯდა და შემხარავი ღრიალი ატეხა, ფეხებზე რაღაც ჩამომეწვეთაო.
 მე მივტრიალდი. მეშინოდა, რომ მთელ ამ ნატურალიზმს ღირსეულად
 ვერ ავიტანდი და ამგვარი ბიოლოგიური სურათის ხილვის შემდეგ, რო-
 გორც ქალი, შემეზიზღებოდა.

ლელია წაიყვანეს და მე მორიგე ქალს ვკითხე:

— როგორ უნდა მოვიქცე?

— რა ვიცი, — მიპასუხა მან.

შენობიდან გავედი და ქუჩის ფარნების შუქზე სამშობიარო სახ-
 ლის შენობა გარედან შევათვალიერე. მაღალი შენობა იყო. თავი ჩავ-
 კიდე. მთელი ასფალტი დებილური და ამაჯდროულად ბედნიერი სენ-
 ტენციებით იყო აჭრულებული: „მადლობა ვასიასთვის. პეტია“. „საყვა-
 რელო, ჩვენ ახლა სამნი ვართ. წარმოგიდგენია?“ „ჩვენ აქ ვიმშობია-
 რეთ. ვოვა, ნადია, ბებია ნინა და ბაბუა ლიონია. ყაზანიდან“. ამ სუ-
 ლელური აღფრთოვანების კითხვის გაგრძელება აღარ მსურდა და ზედ
 გადავალაჯე.

შინ რომ მივედი, დავწექი და დავიძინე. ტელეფონმა გამაღვიძა.
 სანამ ყურმილს ვიპოვიდი, ხელი დიდხანს ვაფათურე. ხან საფერფლეს
 წავატანე, ხან პუშკინის ზღაპრებს, ხან ლელიას დატოვებულ ვაშლის
 ნარჩენს.

— ქალიშვილი შეგვეძინა, — მითხრა ყურმილში ლელიამ. — მო-
 იფიქრე მისთვის ზეირიანი სახელი.

ვუთხარი:

— სვეტკა დავარქვათ.

ლელიამ მითხრა:

— ასე იყოს.

სვეტკა რომ დავკარგეთ და გარკვეული დრო გავიდა, ალბათ, ორ-
იოდე წელი, სიტყვა ჩამოვუგდე: მეორე ბავშვზე ხომ არ გვეფიქრა-
მეთქი, ცხადია, სვეტკას ვერ დავიბრუნებთ, უბავშვოდ კი ცხოვრება
სრულყოფილი და ბუნებრივი ვერ იქნება, თუკი ახლა არ გადავწყვეტთ,
რამდენიმე წლის შემდეგ არაფერი გამოგვივა, რადგანაც ჩვენთვის გან-
საკუთრებით ჩემი ახალგაზრდა მშობლად მოხსენიება მსგავსი იქნება-
მეთქი. ლელიამ თავისი კუთხიდან გამოხედა და თქვა: „ბე-ე-ე!“ და მი-
ვხვდი, ბავშვის ყოლაზე ფიქრიც კი ხედმეტი იყო. ჰოდა, ბავშვი არც
გვყოლია და არცა გვყავს. არც მე მყოლია და არც მას, არადა, ამ საუ-
ბრის შემდეგ, ჩვენი არაერთგზის გაყრის მიუხედავად, შეიძლებოდა
შვილი გვყოლოდა. საერთო თუ არა ცალ-ცალკე მაინც. ეს ფაქტია. რა-
კი ფაქტი მოხდა, ყველაფერი გათავებულია. ვერაფერს გააწყობ. შეიძ-
ლება ითქვას, ჩვენ ყველანი ფაქტის ქვეშ დავდივართ. იგი ჩვენს თავზე
დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. თუ მარქსისა და სოკრატეს აზრით,
ეჭვის შეტანა შეიძლება ყველაფერში, გარდა ფაქტისა, ფაქტებზე შე-
იძლება იმსჯელო, გარშემო ვარაუდები და ჰიპოთეზები დაახვავო, მაგ-
რამ წინასწარ მორჩილად უნდა აღიარო ფაქტების სიმტკიცე და დიდ-
ბულება.

ხშირად ამასაც ვფიქრობ — აი, აგერ, დღესაც ვცხოვრობთ და
ესეც ფაქტია. ხმამაღლა რომ ითქვას, ჩვენი ყოფის უცილობელი ფაქ-
ტია. თითქოსდა არ არის საჭირო ამ ფაქტზე ფიქრი და ტვინის ჭყლეტა,
მე კი ვფიქრობ, რა მოხდებოდა, რომ (ისევე ეს უსასრულო სულელური
„რომ“), ვთქვათ, სულ სხვა დროში ვცხოვრობდეთ? როგორ მომეპყ-
რობოდა აღორძინების ან აღდგენის ეპოქის ლელია? ან მეორე ტაძრის
ეპოქისა? ან სხვა დროში და სხვა ადგილას რომ ვცხოვრობდეთ? დავუ-
შვით, ძველ რომში? ან პომპეუსის დროს ან 1939 წლის დიდ გერმანი-
აში? რა ცხოვრება გვექნებოდა, ინგლისელებად ან არაბებად, ან იმავე
1939 წლის გერმანელებად რომ დავბადებულებიყავით? შემზარავი ფიქ-
რებია.

ეჭვი მეპარება — ვერც დრო, ვერც ადგილი, ვერც სრულიად შეუ-
ცნობელი წარმოშობა ლელიას ვერ შეაჩერებდა და ვერ შეცვლიდა. და
კვლავინდებურად გამომაგდებდა. განსხვავება ერთადერთი იქნებოდა —
დიკი ძველ რომში მანქანის ქვეშ ვერ მოჰყვებოდა და სვეტკაც სახლი-
დან ვერ გაქრებოდა. შეიძლება დიკი ეტლქვეშ მოყოლილიყო, რომელ-
საც სიმპოზიუმის შემდეგ ვინმე მთვრალი იტალიელი მართავდა. იმაზე,
თუ რა შეიძლებოდა დამართნოდა სვეტკას პომპეუსის დროს ან გერმა-
ნიაში — ფიქრიც აღარ მინდა. იქ მას შეიძლებოდა უფრო დიდი საში-
ნელება გადახდენოდა, ვინემ ის, რაც აქ გადახდა, ჩვენთან, ჩვენს დრო-
ში. ესე იგი, როგორ თუ უფრო დიდი საშინელება? და რა შეიძლებოდა
ეს ყოფილიყო? სიკვდილი? დიახ, სიკვდილი სიკვდილია და ამაზე საში-
ნელი თითქოს არაფერია. ამაზე საშინელება მხოლოდ სიკვდილთან
მიახლოებაა, სიცოცხლის ის უკანასკნელი ნაფლეთია — გრძელი თუ
მოკლე, რასაც სიკვდილამდე მივყავართ, სიკვდილს წინ უსწრებს. ეს
თვითონ ადამიანისთვისაა ასე. ხოლო მისი ახლობლებისათვის გაქრობა,
ალბათ, უფრო შემზარავი რამ არის, რადგანაც სიკვდილი, როგორც
დანაკარგი, წერტილს მაინც სვამდა ამ წერტილის შემდეგ როგორღაც

უნდა დაიწყო ცხოვრება და შეიძლება, დრო რომ გავა, შეეგუო და შეეჩვიო. გაუჩინარება არის წერტილის არარსებობა და იმის შეუძლებლობა, რომ დაშორდე წერტილსა და დაკარგვას.

ალბათ, ამიტომ — არც კი დავფიქრებულვარ, რატომ — მე ლელის მშობლების შემოკავებულ სასაფლაოზე კიდევ ერთხელ ვიხსენებ ალვმართე, მცირე ფილა დაფუკვეთე დაბადებისა და მშობლების სიკვდილის თარიღებით, და ჩვენ საფლავი გაგვიჩნდა, სადაც შეგვეძლო მიგვეკითხა.

მაშინ ამის გამო ლელიამ მითხრა:

— იდიოტო, თუ ცოცხალია?

სვეტკას დაკარგვისა და დიკის დაღუპვის შემდეგ, ლელიას რამდენიმე წელიწადს ქუჩაზე გადასვლა ეშინოდა, მწვანე შუქზეც კი. და თუ გადადიოდა, მხოლოდ მიწისქვეშა გადასასვლელით. როცა ასეთი გადასასვლელი არ იყო, ლელია გადასვლაზე უარს ამბობდა, ჩერდებოდა და იდგა. მცირე ხანს დგომის შემდეგ კი ხელმოცარული უკან ბრუნდებოდა. როცა გადაუსვლელი არ შეიძლებოდა, მიდიოდა ან მიემგზავრებოდა ნებისმიერი შემოსავლელი გზით, ტროლეიბუსით დიდ წრეს უვლიდა, ოღონდ გზა არ გადაეკვეთა, ოღონდ მანქანებს არ მიახლოებოდა.

მერმე იგი მოძრავი მეტალისადმი ისეთსავე დამოკიდებულებას იჩენდა, როგორც ჩემდამი — ეჯავრებოდა. ქალაქის ყველაზე დაძაბულ მაგისტრალს იქ გადაკვეთდა ხოლმე, საცა მოეპრიანებოდა. არც მარჯვნივ იხედებოდა, არც მარცხნივ. შინ ასჯერ ნაგინები, მძღოლების მიერ უკანასკნელი სიტყვებით გათათხული ბრუნდებოდა, თუმცა ცოცხალი და სალ-სალამათი. ბოლოს თქვა: „ესე იგი, ასეთი ბედისა ვყოფილვარ“. და მანქანებს მშვიდად შეეგუა, როგორც გადაადგილების საშუალებას და მეტი არაფერი. თავი გაანება მშობლებთან სიარულს, მაშასადამე, აღარც სვეტკას აკითხავდა სასაფლაოზე. იქით არც იხედებოდა. ერთხელ და სამუდამოდ განაცხადა: „სასაფლაო გულში მაქვს და არა მიწაში“. სასაფლაოზე მარტოკა დაუდიოდი. იშვიათად, მაგრამ წელიწადში ორჯერ — სვეტკას დაბადებისა და „სიკვდილის“ დღეს დავდიოდი. ლელიას კი ამის თაობაზე არაფერს ვეუბნებოდი. ლელია რაღაცას მაინც გრძნობდა და იმ დღეებში ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ნერვიული და გაღიზიანებული იყო. იმ დღეებში მას ტოვებდა ჩვეულებრივი შინაგანი სიმშვიდე. სიმშვიდეს ვერ ინარჩუნებდა ვერც გარეგნულად, სხვებისთვის. იქნებ არც ცდილობდა მის შენარჩუნებას. პო, ალბათ, არ ცდილობდა. იგი ცოტას ზრუნავდა გარეგნულ გამოვლინებაზე. ისინი ლელიაში თავისთავად ვლინდებოდა, ან არ ვლინდებოდა, მაგრამ ესეც თავისთავად ხდებოდა.

მე აქამდე ვერ გამიგია და ვერ შემეფასებია მისი ერთი, ასე ვთქვათ, გამოვლინება. იყო წლები, როცა სვეტკას დაბადებისა თუ ხსოვნის დღეებში ჩვენ ცალ-ცალკე ვცხოვრობდით. საერთო ჯამში ასეთმა წლებმა ბლომად მოიყარეს თავი. და იმ დღეებში ლელია მუდამ მირეკავდა, თუმცა სვეტკაზე არაფერს მეუბნებოდა. თითქოს არაფერი, ისე მირეკავდა, თითქოს განქორწინებული არ ვიყავით. მეკითხებოდა,

შენი ტელეფონი დილიდანვე რატომ არ პასუხობდაო, სად დაეთრევი და უჩემოდ როგორა ხარო. მე რაღაცას ვპასუხობდი და მთელი საუბრის მანძილზე ერთ რამეს ვფიქრობდი: „ახსოვს სვეტკა თუ არა?“

სავსებით შესაძლებელი იყო, არ ხსოვებოდა, დარეკვით კი რატომ მირეკავდა, რომ დარეკვის სურვილი უჩნდებოდა. ბოლოს და ბოლოს რომ შეიძლებოდა მისი სურვილის იშვიათი შემოტევა ფიქრებში ჩემს დღეს დამთხვეოდა? იქნებ ეს ბიოდენებთან, ბიორითმებთან უფრო სხვა ჯანდაბასთან არის დაკავშირებული. იქნებ აქ ყველაფერი უფრო უბრალოა. იქნებ ლელიას, როგორც ნორმალურ დედას, ყველაფერი ახსოვს და დღემდე ყოველივეს განიცდის, დავიწყება არ შეუძლია და საკუთარი თავისთვის ვერ უპატიებია, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ შეუძლია, ჩემთანაც კი. აქვს კიდევ ამის უფლება. მით უმეტეს, რომ უთქმელობა, დუმილი უფრო ძნელია. დუმილი ორგანიზმში გროვდება, როგორც მავნებელი წიდა. ის, რასაც ამბობ, პირიქით, მიდის და დავიწყებას ეძლევა, მაგრამ რაც გულში ჩაიმარხე, — რჩება. ეს ისეთი რამ არის, რაც სიყვარული და უსიყვარულობა. უსიყვარულობის თავისებურება ის არის, რომ იგი გროვდება, ხოლო სიყვარული ქრება და მორჩა. სწორედ ასე ფიქრობს ლელია. ამბობს, რომ ღვარძლსაც ასე ემართება. ამიტომაც ძველ, მრავალსართულიან სახლებში ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრი ღვარძლი გროვდება. როდესაც მრავალსართულიანი სახლების აშენება გადაწყვიტეს, ალბათ, დამპროექტებლებმა ეს არ გაითვალისწინეს და არც უცდიათ გაითვალისწინება. მათ ძვირადღირებული მიწის ნაკვეთები რაციონალურად გამოიყენეს. ფიქრობდნენ, ასე აჯობებს და ყველასათვის ყოველმხრივ სასარგებლო იქნებაო. ასეც იქნებოდა, რომ არა დაგროვილი ღვარძლი, მოფრქვეული და აწონილ-დაწონილი ძველი სახლების შიდა სივრცეში და რომელიც ხელს უშლის ამ სახლებში გარედან მოსულ ადამიანთა ცხოვრებას, იმ ადამიანთა ცხოვრებას, ეჭვადაც რომ არაფერი იცოდნენ. და ისინი ამ ძველ ღვარძლში დღევ და ღამეც რომ იმყოფებიან, ერთმანეთზე ბოროტდებიან და ჰაერიდან სხვის ღვარძლს ისრუტავენ და აგროვებენ სულში. ამის გამო ინგრევა ახალგაზრდა, არც თუ დიდი ხნის წინ შექმნილი ოჯახები, დანგრევის შემდეგ კი ვერ იხსენებენ, ვერ იგებენ, რა მოხდა, რამ გამოიწვია მათი ოჯახების დანგრევა, არადა, თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო და ყველაფერი კარგადვე გრძელდებოდა. და ეგონათ, ასე კარგად იქნებოდა, თუ საუკუნოდ არა, დიდხანს მაინც.

ლელიას მიაჩნია, რომ ადამიანმა ახალ ბინაში უნდა იცხოვროს. იდეალური კი საკუთარ სახლში ცხოვრებააო. მიწის ნაკვეთი უნდა ჰქონდეს. ნაკვეთს ღობე ერტყას. არც მალა, არც დაბლა, არც კედლის მიღმა — არაფერს ჭაჭანებდეს. თუმცა ლელიას ცხოვრების უდიდესი ნაწილი არც თუ ახალ, ჩვეულებრივ ბინაში აქვს გატარებული და მიაჩნია, რომ იმ ბინაში ცხოვრება არ შეიძლება. და ნანობს, რომ არა აქვს შესაძლებლობა, საკუთარი სახლი შეიძინოს და სხვასთან გაუყოფლად გამოიყენოს. როცა ლელია ორგანიზებულ დამნაშავეს მისთხოვდა, ამ კაცს, თავისთავად ცხადია, საკუთარი სახლი ჰქონდა, თანაც არა ერთი, მაგრამ ეს სახლები ლელიას ქმრისა იყო და არა ლელიასი. მისი ქმარი

კი ისე სწრაფად გაისტუმრეს საიქიოში, რომ ლელიამ ვერც მოასწრო სიამოვნება განეცადა სხვებისგან განცალკავებული, სხვისთვის დახურული თავისი ცხოვრებისაგან. სიამოვნების განცდას დრო სჭირდება. ცხოვრების გარკვეული წესისგან სიამოვნების მიღება ხანგრძლივ დროს მოითხოვს. შეიძლება ითქვას, მთელ სიცოცხლეს, ხან კი მის ნაწილს.

მე შემიძლია, გავიზიარო ლელიას თეორია, თუ ვინაა, უსიყვარულობასა და ღვარძლზე. იქნებ მე, უბრალოდ, ვინმეს მჯეროდეს, რომ ჩვენი ცხოვრების მიმართ არც მას და არც მე ბრალი არ მიგვიძღვის, ჩვენ რომ აქ არ ვცხოვრობდეთ, ასე არ ვიცხოვრებდით. ჩვეულებრივ გავრცელებული დაბნეულობაა, რომელიც გამონაკლისის გარეშე ახასიათებს ყველა ემიგრანტს. განსაკუთრებით მომავალ ემიგრანტებს. რისთვის მიემგზავრებიან ადამიანები სხვა ქვეყანაში! სხვა ცხოვრებისთვის. ცხადია, სხვა ცხოვრება შეიძლება არსებობდეს, მაგრამ იშვიათად. ხშირად კი ცხოვრება ყველგან ერთი და იგივეა. იმიტომ, რომ ცხოვრება, როგორც ჩვენი საფლავები, ჩვენს გარეთ კი არა, ჩვენში არსებობს. დიდი ხანია, ეს ცნობილია, მაგრამ ყველამ ჯერ კიდევ არ იცის. რადგანაც ჭაბუკობის, ცოდნისმოყვარეობის ჟამს ჭკვიანი ბიძის, გვარად შობენპაუერის ჭკვიანი წიგნები არ წაუკითხავს. რომც წაეკითხათ, ჭკვიან წიგნებს ყველანი ვერ იგებენ. მით უფრო მის ღრმა აზრებს. ამ წიგნების აზრს მხოლოდ ისინი ჩასწვდებიან, ვისაც სჭირდება. ვისაც არ სჭირდება, ისინი ყრუდ რჩებიან. ესე იგი, ჩვენი ადამიანური შეგნების ამ ნაწილში, სამწუხაროდ, ყველაფერი სწორად არის მოწყობილი. აქაც ქაოსი ბატონობს. თუმცა რატომ სამწუხაროდ? საბედნიეროდ.

მე ვიცნობ, ან, ცხადია, ვიცნობდი ერთ კაცს, რომელმაც განაცხადა, ღრმა აზრს ჩავწვდიო. რალაცის აზრს კი არა, არამედ მთავარ აზრს, როგორც ასეთსო. მალე ამ განცხადების შემდეგ კაცი გამოთვრა და კამპანიის გასამხიარულებლად სასეირნო კატარლიდან ტანსაცმელფეხსაცმლიანად გადახტა წყალში. აღარ ახსოვდა, ცურვა რომ არ იცოდა. ჰქონდა ასეთი არსებითი ხარვეზი ფიზიკურ აღზრდაში. ვფიქრობ, კარგია, რომ არც მე და არც სხვას არ გაუზიარა ღრმა აზრის მისებური გაგება და ცოდნა, ასე გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად რომ გამოიყენა თავად მან. რომ გაუზიარებინა, თვითონ ვერაფერს იგრძნობდა, ჩვენ კი, ვისაც გაგვიზიარებდა, შეგვეძლო რალაც მოულოდნელი და საზიანო ჩაგვედინა საკუთარი თავისთვის. ვაითუ ჩვენც გადავმხტარიყავით წყალში კატარლიდან? იქნებ სხვანაირად მოვქცეულიყავით, ვთქვათ, გაგვეფრინა. მართლაც, მალე შეიძლება გავაფრინო, რადგან გაგდებული ვარ. და მუდამ იმავე აზრს ვუბრუნდები. ეტყობა, ეს არის ძერა ერთი სიტყვისა და ერთი მოვლენის ფაზაზე.

და ხანდახან ვამჩნევ, რომ გამუდმებით ვიხსენებ ჩემს „გაგდებებს“, ამასწინანდელსაც და იმათაც, რომლებიც მომხდარა, ღმერთმა უწყის, როდის და რა მიზეზით. მაგალითად, ზამთარში, როდესაც გრიპის ეპიდემია და სხვა ციებითი სნეულებანი მძვინვარებდა. ლელია მუდამ პირველი ხდებოდა ავად. მისი ავადმყოფობა მუდამ მძიმედ მიმდინარეობდა. ტემპერატურა ორმოც გრადუსამდე ჰქონდა, საშინელი ხველების თანხლებით. ძალა ეცლებოდა და პრაქტიკულად დაუძლურებული იყო. ბუნებრივია, ამგვარი ავადმყოფობის პერიოდში მთლიანად

ჩემზე დამოკიდებული ხდებოდა და მე მას ვუვლიდი, როგორც ბავშვს. და, არ მოგატყუებთ, მისი უძლურება მსიამოვნებდა. ჩემს ამ სიამოვნებას და იმას, რომ ჩემზე იყო დამოკიდებული, საკუთარ უსუსურობას ჩემს თვალში — ლელია ვერ იტანდა და ვრიპით დაავადებული მაგდებდა სახლიდან. აუცილებლად ავადყოფილის მესამე დღეს მაგდებდა ხოლმე. ხშირად მეორე დღესაც ვხვდებოდი. პოდა, მარტოხელა ჯანრობდა, ნებისყოფის დაძაბვით, მარტოხელა წინაშე ვალში არ დარჩენილიყო. ეს იყო ყველაზე გულსატკეპნი რამ, როცა იმიტომ გაგდებენ, რომ ეხმარები და უვლი. ეს აგრეთვე იმ უმზაკვრო აზრისკენ მიბიძგებდა, რომ ლელიასგან წასვლა მაინც მომიწევდა. ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებოდი, წავსულიყავი.

როგორც კი მივედი იმ დასკვნამდე, რომ ლელიასთან ანგარიში უნდა გამეხწორებინა და რომ ეს არ იყო ცხოვრება, ქალებთან ურთიერთობაში აღარ მიმართლებდა. როცა დავაპირებდი, ლელიას შემცველი მეპოფა, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, მუდამ ისეთი ქალები მხვდებოდნენ, ქმრებისთვის ღალატი რომ ვერ წარმოედგინათ. ბევრია ასეთი ცოლი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ასეთი ცოლი ამდენი თუ იყო. და ისინი ქმარს ჩემთან არ ღალატობდნენ. თითქოს საამისოდ სხვა ვინმე ვერ აურჩევიათო. ამ საქმეში უსიამოვნო ის იყო, რომ თურმე მათი საქებარი თავდადება და ერთგულება ვლინდებოდა უშუალოდ ლოგინში. რაც ჩემთვის მოულოდნელობა და სიურპრიზი იყო. პოდა, ჩემთვის გამოცანად რჩებოდა, რატომ მომყვებოდნენ. ვფიქრობ, მათთვისაც, და საერთოდ, რა საჭირო იყო ეს ყოველივე? რალაციისთვის თუ ისე, უბრალოდ? რათა კიდევ უფრო დიდი ქაოსი წარმოქმნილიყო, რომლისთვის თავის დაღწევა ყოვლად შეუძლებელია, კაცმა რომ თქვას, რატომ ვეკითხები ამას ჩემს თავს? მე და ლელია ქაოსშიც ნორმალურად ვიქნებოდით. ქაოსს ჩვენ მიჩვეული მაინცა ვართ. უფრო ზუსტად, მე ვარ მიჩვეული. ლელია კი ორგანულად არსებობს ქაოსში, ურცხვად ეწერება შიგ. და თვითონ ახდენს ქაოსის გენერირებას. ერთი სიტყვით, სანამ შეიძლება ამაზე ლაპარაკი? ლელიაზე ყველაფერი ნათქვამია. რაც არ თქმულა, თვითონ ამბობს ყველაფერს საკუთარ თავზე. ყველას ეუბნება, ვისთანაც შემთხვევა მიეცემა და საღერლელი აქვდება. რადგანაც, როცა ლელია ლაპარაკს იწყებს, სიტყვათა წარმოთქმის მოთხოვნის იკმაყოფილებს, იმ სიტყვებისა, რომლებიც სულაც არ არის აუცილებელი, სინამდვილესა და ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას შეესაბამებოდნენ. და საერთოდ, რამეს შეესაბამებოდნენ.

თავდაპირველად მეგონა, ლელიას სიცრუე უყვარს-მეთქი, სრულიად უაზროდ და უმიზნოდ, როგორც ამბობენ, ხელოვნებისადმი სიყვარულის გამო, როგორც ცრუობს ბევრი ბავშვი ფანტაზიის სიჭარბისა და მშფოთვარების გამო. მერმე მეგონა, საკუთარ თავს ცილს სწამებს-მეთქი, ამავე დროს ყოფილა შემთხვევა, მეც მწამებდა ცილს, ცილს ყველას სწამებდა, ვინც ენაზე მოადგებოდა. დროთა განმავლობაში ყველაფერს მივხვდი — ლელია ზედმეტი, გამოუთქმელი სიტყვებისგან თავისუფლდებოდა, რომლებიც ტვირთად აწვა, ბოლოს და

ბოლოს ისინი მისგან გრძელი და მოკლე რიგებით მოფრინავდნენ და თავისუფლდებოდნენ. ხეირიანად ვერ აზროვნებდა და ფიქრობდა, როგორ დაეღაგებინა ეს სიტყვები, რადგან სიტყვათა ეს ამოფრქვევა მასზე არ იყო დამოკიდებული. და მე ლელიას აღარ ვუსმენდი, როცა ლაპარაკის საღერღელი ასე აეშლებოდა, რასაც ბევრი აღიქვამდა, როგორც გულახდილობას. როცა ასეთი სურვილი წამოუვლიდა, ახლომახლო კი არავინ ჰყავდა, ლელიას თავისუფლად შეეძლო, წასულიყო და თავისთვის მსმენელი მოეძებნა. მისთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა მსმენელი, ოღონდ ყურები ჰქონოდა და მშვიდად მჯდარიყო. ცხადია, ამნაირი მსმენელის პოვნა ყოველთვის ადვილი როდი იყო. ყველა ვერ ახერხებდა, მშვიდად მჯდარიყო და ესმინა ის, რასაც იმ წუთებში ლელია წყნარად ამბობდა. მაშინ კი, როცა თავისი ხმის დედაკაცურად მიყრუებულ მოდულაციებზე გადადიოდა, რომლებიც არა მხოლოდ ყურს სჭრიდნენ, არამედ მთელ შიგნეულს აწრიალებდნენ, — საჭირო იყო განსაკუთრებულად ძლიერი ელასტიური ნერვები. ანდა ლელიას განსაკუთრებული სიყვარული უნდა ჰქონოდა. სიყვარული, რომელიც ბრმაა, ყრუა, ან უყურადღებოა სიცხადისადმი.

მე დიდხანს არ ვაქცევდი ყურადღებას ლელიას ამ მოდულაციებს. მე მათ არ ვისმენდი, ხოლო როცა ვისმენდი, ფარული ექსპრესიისა და ემოციების გამოხატულებად მიმაჩნდა, რაც მხოლოდ ლელიას ახასიათებდა და სხვას არავის. როცა ჩვენს შორის დათბა და ასე თუ ისე საერთო ენა გამოენახეთ, აზრი გამიჩნდა, რომ ხმაში გარეული ამგვარი საზიზღარი ნოტებით ლელიას ისტერიკა აღენიშნებოდა. და სიტყვიერი ფაღარათიც, იშვიათად, მაგრამ მოულოდნელად რომ აუტყდებოდა, თანაც კაციშვილი გამართლებას ვერ უბოვიდა, ისიც აქედან მოდიოდა, ისტერიკიდან, შინაგანი ისტერიკიდან, რომელსაც საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერ ხედავს მხოლოდ იმის გამო, რომ უხილავია, ისტერიკა ისტერიკად რჩება. დაე, გამოიხატებოდეს, როგორც უნდა, — საუბრით, ავსიტყვაობით, მონოლოგით, გულახდილობით. ქალის ისტერიკას უამრავი საღებავი და სახეობა გააჩნია. ჰოდა, ხანდახან ვფიქრობ, რომ ლელია მშვიდია, როგორც სკვითი დედაკაცი — იგი ისტერიკით დაავადებული ჩვეულებრივი ქალია და შინიდან მაშინ მაგდებს ხოლმე, როცა ისტერიკა მოსდის. თვითონ ისტერიკის ზემოქმედების ქვეშაა და არ აქვს საშუალება, ამ ზემოქმედებას გაექცეს ისე, რომ თავისი თავით თვითონვე არ დაზარალდეს. ვფიქრობ, მისთვისაც მთელი ეს საქმიანობა უკვალოდ არ ქრება. შეიძლება, ისტერიკას თავს რომ დააღწევს, როგორც ლოთობას, ნანობს, მივქარე, ყოველივე ეს რომ ვთქვი და ჩავიდინეო, მაგრამ ლელია უკანა რიცხვით ნანობს და, ესე იგი, უკანა ჭკუით განიცდის სინანულს, რომლითაც ყველა ძლიერია. როცა ლელია ასე იწყებს ფიქრს, უკვე აღარაფრის გაკეთება შეიძლება, რამეთუ უკვე ყველაფერი გაკეთებულია. მე მგონია, მერე, შემდგომში და ისტერიკის შედეგად იმასაც ნანობს, რომ მე სახლიდან გამავდო, არგადება კი არ შეუძლია. ჩვეულებად აქვს გადაქცეული.

ერთხელ როგორღაც ვუთხარი: „ხანდახან მგონია, რომ სასტიკად გეჯავრები“, რაზედაც მიპასუხა: „ხანოახან მეც მეჩვენება, რომ სასტი-

კად გეჯავრები“, ხოლო როცა ორ ადამიანს ერთი და იგივე ერვენება, შეიძლება ეს მთლად მოჩვენება არ იყოს, ანუ სულაც არ ერვენებოდეთ. ეს ვარაუდი შეიძლება ბოლომდე არ მიიყვანო. სჯობია, ძვი დაუმთავრებელ, დაკიდულ მდგომარეობაში დატოვო. და მეტად აღარ მიუბრუნდე. და არა მხოლოდ მას არ მიუბრუნდე. თუმცა მე ვერ ვახერხებ არმიბრუნებას. მე სადღაც ყოველთვის ვბრუნდები ხოლმე ჩემს ძველ ბინაში, ერთი კაცისთვის რომ არის გათვალისწინებული, იქ, სადაც ოდესღაც უკვე მიცხოვრია, თანაც არც თუ ცუდად. შეიძლება იმიტომ, რომ მარტოკა ვცხოვრობდი. იქნებ იმიტომ, რომ გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი, ვინემ ახლა ვარ. მეორე მხრივ, როცა აქ დროებითა და იძულებით ვცხოვრობდი, უკვე მოწიფული კაცი ვიყავი, თავს ცუდად არ ვგრძნობდი ჩემს მიკროსკოპულ ბინაში და ამ ძველ, ოცდაათი წლის წინანდელ ბინაში, მის ეზოში. ეტყობა, მოვასწარი, ყოველივე ამას შევთვისებოდი. და აქედან ხანგრძლივ გაუჩინარებას ამთვისებებზე არ უმოქმედია. ეტყობა, ჩემი ადგილი აქ იყო და არა სხვა ბინაში, სხვა რაიონში, სხვა ქალაქში და ასე შემდეგ. ალბათ ყოველთვის ადამიანი არ ირჩევს ადგილს, ხანდახან ადგილი ირჩევს ადამიანს. ადამიანს კი ეს არ ესმის, დარბის და ჭდეს ასვამს და სხვა ადგილებს იმკვიდრებს, ის ადგილები კი ვერ ითვისებენ და თავიდან იშორებენ.

თუმცა ადრიანი დილა იყო, ახმატს საქვაბეში შუქი ენთო. ყველგან კი არა, მხოლოდ ზემოთ ენთო, მისი ოთხკუთხოვანი აგურის კომპის ბოლო სართულზე, ფანჯარაში, ფირნიშის ქვეშ „მოსახლეობისათვის მინის ჭრა“. ეს „ჭრა“ ჩვენს ეზოში არ არსებობდა, სახელდობრ, საქვაბეში. შენობა ააგეს, მაგრამ რეფორმების შედეგად ვერ მოასწრეს საქვაბედ გადაკეთება. ჰოდა, იდგა შენობა უქმად და უსარგებლოდ, სანამ მოხერხებულმა ახმატმა არ დაისაკუთრა: იჯარით აიღო თუ იყიდა. უბრალოდ, ვიღაცას ფული გადაუხადა და მინის, სარკისა თუ რაღაც ამდაგვარის სახელოსნო გახსნა. ეს მხოლოდ მოსაჩვენებლად, სხვებისთვის ასახვევად გააკეთა, რათა სახურავი სარწმუნო და მოქმედი ყოფილიყო, მაგრამ არა როგორც სახურავი სახურავად, არამედ როგორც რეალური და ძირითადი საქმის სახურავად. ამ შენობაში ახმატი ყველაფრით ვაჭრობდა ბითუმად და ცალობით, რითაც შეიძლებოდა დიდი ან საკმაო თანხის გაკეთება. ვაჭრობდა ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, მზიური აზერბაიჯანის სპირტიანი სასმელებით და ათასნაირი სისულელითაც.

ახმატი ყველაფერს უფრო იაფად ჰყიდდა, ვინემ სხვა გამყიდველები და ვაჭრები. ეს ამბავი ოლქში თითქმის ყველამ იცოდა. ყველამ, მილიციისა და სამართალდამცავი ორგანოების გარდა. არა მხოლოდ იცოდნენ, ყიდულობდნენ კიდევ, რითაც ყოველ ნაყიდ საქონელზე გარკვეული თანხის ეკონომიას აკეთებდნენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახმატს უბაჟო, მომგებიანი მომარაგება ჰქონდა, მეორეც, ქვეყანას, სადაც ცხოვრობდა და ვაჭრობდა, გადასახადს პრაქტიკულად არ უხდიდა. მხოლოდ მინის დაჭრაში იხდიდა რაღაცას, მაგრამ ეს ძალიან უმნიშვნელო თანხა იყო. ქვეყანა, ცხადია, ამით უკმაყოფილო იყო, უნდობლობას ახმატის მიმართ ამკარად გამოთქვამდა და ხშირად ამოწ-

მებდა. ერთხელაც მოულოდნელად მოაკითხეს საგადასახადო ინსპექციიდან თუ მილიციიდან რწმუნებულებმა. დასდნენ და მთელი დღე მასთან დაჰყვეს. რათა აღერიცხათ, რამდენი კაცი შედირდა და მერე სავარაუდო შემოსავალი დაედგინათ.

ახმატმა პატარა ბიჭს თვალთ ანიშნა, — ჰყავდა ერთი უპატრონო ბიჭი ხელზე მოსამსახურედ, — ხალხს დაუხვდა და მისი გასაჭრელად არ არის მოსული, უკან გააბრუნეო. ბიჭმა ორი თავისი მეგობარიც აიყოლია, მუდამ საქვაბეში რომ დაეხეტებოდნენ და ყველა კლიენტს სახეზე ცნობდნენ. პოდა, სამივენი მთელი დღე შესასვლელთან იდგნენ ყარაულებივით და არც ერთი ზედმეტი და საეჭვო კაცი საქვაბეში არ შეუშვიათ. ახმატმა კი მერმე მათ ხუთ-ხუთი მანეთი მისცა. სათითაოდ პატიოსნად ჩააბარა ხელში. ამით დასრულდა აჩემებული შემოწმებები. ეტყობა, საგადასახადო ორგანოები მიხვდნენ და დარწმუნდნენ, რომ ახმატს არც თუ დიდი შემოსავალი აქვს და გაურკვეველია, როგორ არსებობსო.

პოდა, ასე დილაადრიან საქვაბეში ნეტა რას აკეთებს? დავიჯერო, გუშინდელი დღიდან ასე დღეს მასთან? ახმატისთვის ცხოვრება სადღელამისოა და უწყვეტი. იგი შესვენების გარეშე ცხოვრობს. 'ზრდასრული კაცი იყო, ჯან-ლონით სავსე. ამას დაუმატეთ სამხრეთული უსაზღვრო ტემპერამენტი, პლიუს საქმეები. გარდა ამისა, ვფიქრობ, ახმატი მაინც ბანდიტი და განგსტერია, უბრალოდ, ვალდებულია, ღამეული ცხოვრებით იცხოვროს და თავისი დანაშაულებრივი, ანგარებითი მიზნებისათვის დამის საფარი გამოიყენოს.

ფსევდოსაქვაბეს ჩავუარე. ჩავუარე და ეზოს სიღრმეში შევედი, უთავბოლოდ ნაშენი სახლებით შემოსაზღვრულ სივრცეში. ჩვენი უცვლელი დამლაგებელი ნინკა უკვე გამოსულიყო სამუშაოდ. თუმცა ჯერჯერობით აივანზე იდგა, ხელში ტარიანი ცოცხი ნიჩაბივით ეჭირა, უზარმაზარ პირს აღებდა და აწმორებდა. ყველაფრის გათვალისწინებით და პროფესიიდან გამომდინარე, ნინკას ადამიანები არ უყვარს. ყოველ შემთხვევაში, წრფელად და მთელი გულით არ უნდა უყვარდეს. რადგან ადამიანებს ყველაზე უარესი, ჭუჭყიანი და საზიზღარი მხრიდან ხედავს, ადამიანები ყველაფერს ანაგვიანებენო. ნინკა კი ყოველდღიურად ალაგებს, ალაგებს და ალაგებს.

კაცმა რომ თქვას, ნინკას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ანაგვიანებენ, სხვაგვარად სამუშაოზე რაღა უნდა დააღაგოს. კარგი ის იქნებოდა, ცოტა ნაკლებს რომ ანაგვიანებდნენ — რაოდენობაზე მოგახსენებთ! რაკი ამქვეყნად ყველაფერი ასეა მოწყობილი და არა სხვანაირად. სხვაგვარად არც შეიძლება. ლიფტს მოძრაობის დროს მაინც არ ანაგვიანებდნენ. ნინკას დალაგება არ უჭირს, რადგან დალაგება, შეიძლება ითქვას, მისი ორგანიზმის ფუნქციაა, მისი უმთავრესი აზრი, ალბათ ნინკა დამლაგებლად არის დაბადებული. ბევრს ჰგონია, რომ დამლაგებლებად არ იბადებიან, რომ დამლაგებლებად მერე ხდებიან. ზოგი მერე ხდება, ზოგი კი იბადება.

ნინკა ლაშათიანად და ავხორცულად აზმორებს. ღამეულ მდგომარეობას თავს აღწევს და დღის მდგომარეობაში გადადის, სამუშაო მდგომარეობაში. მე რომ დამინახა და ახლოდან დამაკვირდა, მიტხრა:

— გამარჯობა, — და ცოცხი უხერხულად მოიქნია. ცოცხი აივნის ცემენტს შეეხო, გაჩსაკუნდა და პირველი აკურატული ბუდი დააყენა.

მე სადარბაზოში შევედი და კიბეს ავუყუევი, რადგან მისი ლიფტებისადმი ურყევი უნდობლობაც გამაჩნია და ზიზღიც. მალე ასვლა კი მიჭირს. ბოლო წელიწადს სხეული ძალიან დამიმძიმდა და მისი თრევა თანდათან უფრო და უფრო მიმძიმს. საერთოდ, ადამიანს უჭირს მთელი სიცოცხლე თავის სხეულს მოერიოს. ბავშვობისას წელიწადზე მეტ დროს ჰკარგავს იმისათვის, რომ ბორძიკ-ბორძიკით როგორმე ისწავლოს სიარული. ჭაბუკობისას საკუთარი სხეული სქესობრივი მოთხოვნილებებით სტანჯავს, მოწიფულობისას სხეული მუდმივად უნდა კვებო და უმკურნალო, რომ სამუშაო ფორმა შეინარჩუნო. სიბერეში იგი ისევ უმართავადი ხდება, როგორც ადრეული ბავშვობისას, ზოგიერთისთვის კი ისეთ მძიმე ტვირთად იქცევა, სიკვდილი თავისუფლებად, ხსნად და სიცოცხლისთვის ბოძებულ ჯილდოდ ეჩვენება. თუმცა სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. ჯილდო სიკვდილი კი არა, სიცოცხლეა. სიცოცხლე კი ჯილდოა სიკვდილისათვის. ერთადერთი ჯილდო, რომელიც წინასწარ გეძლევა, ავანსად.

ბოლოს და ბოლოს ვაღწევ საკუთარი კიბის ბაქნამდე და კარამდე. ვჩერდები. სუნთქვას ვიმშვიდებ. ბოქლომის ჭრილს გასაღებს ვარკებ. გასაღები გაჭირვებით შედის ჭრილში და იჭედება. არც უკან მოძრაობს, არც წინ, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ.

„ალბათ, ცარიელი ბინის გაძარცვა უნდოდათ, — ვვარაუდობ მე. — ეტყობა, ვერ გააღეს. მხოლოდ ბოქლომი გაუტეხავთ“. დავეჯაჯგურე კლიტეს, კარსა და ყველაფერს, რის ჯაჯგურიც შეიძლებოდა. ამ დროს მესმის:

— ვინ არის?

— მე ვარ, — ვამბობ. გავოცდი, ნეტა ვინ არის ჩემს ბინაში და ვინ მაძლევს კითხვებს? კარი იღება. ზღურბლთან დგას საშინაოდ ჩაცმული, კუმტი გამომეტყველების მამაკაცი, რომელსაც წინდები აცვია უფეხსაცმლოდ.

— ჩემთანა ხართ? — მეკითხება იგი.

— ჩემთან ვარ, — ვპასუხობ და ბინაში შევდივარ.

უკან მომყვება. წინ მისწრებს. ოთახში შედის და ჯდება.

მბრუნავმა სამუშაო სავარძელმა მისი სიმძიმის ქვეშ ძველი დივანივით დაიჭრიალა და საერთოდ, მამაკაცის ოდნავი გატოკებისასაც კი გამუდმებით ჭრიალებდა.

ვიდექი და ჩემს ოთახს ვერ ვცნობდი. ოთახი სააფთიაქო სამმართველოსავით იყო გაწყვრილებული. ჩრჩილის ნატამალიც არ ჩანდა. უმაღვე მივხვდი — ამას იქნებოდა ჩრჩილის ძებნა. ჩრჩილი მოესპოთ, თუ სამუდამოდ არა, ზაფხულამდე მაინც.

საწერ მაგიდაზე კომპიუტერი ღულუნებდა. გარშემო პარფიუმერის, ლაქის, ყავისა და სხვა რამეების სურნელი იგრძნობოდა. ჭრილი, ხმაური სურნელს შეზავებოდა. ამოდიოდა უფერო და უსიცოცხლო მზე.

— ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ? — ვთქვი მტკიცედ.

— მე აქ ვცხოვრობ, — მითხრა კაცმა. — უფროსს ვიყავი, აქ ვმუშაობ და აქვე ვცხოვრობ. მაგრამ არა მუდმივად. მუდმივად მე ვცხოვრობ გმირთა გამზირზე, ერთ ქალთან.

— მაგრამ ეს ჩემი ბინაა.

— რატომ თქვენი? ეს ბინა ჩემია. მე იგი ნაყიდი მაქვს პროდუქტიული მუშაობისათვის და სიწყნარისათვის. შემიძლია, ყველა საბუთი წარმოგიდგინოთ. საბუთები წესრიგში მაქვს. ყველა საბუთი მუდამ მოწესრიგებული მაქვს. მე აქ რემონტიც ჩავატარე. პრაქტიკულად კაპიტალური რემონტია. მოვსპე ჩრჩილი, ობობები და ტარაკანები.

— ობობები საცხოვრებლის დარაჯები არიან, — ვუთხარი. ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო.

მით უფრო, რომ გასაგები განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. სანამ აქ არ ვიმყოფებოდი, ვიღაცამ, ვინც ლელიასთან ცხოვრობდა, ჩემი ბინა გაყიდა. შენიშნა, რომ ლამის წლობით არ ვჩნდებოდი და გაყიდა. რატომღაც დამეზადა აზრი, რომ ეს კეთილშობილური საქმე ახმატის ნახელავი იყო. ცხადია, არ შეიძლება ადამიანში ეჭვი შეგეპაროს, თუ საფუძვლიანი მტკიცება არა გაქვს, მაგრამ მე არც კი მეეჭვება. უბრალოდ, აზრი გამიჩნდა.

არაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ წავსულიყავი. მხოლოდ ეს შესაძლებლობა მრჩებოდა მუდამ, წასვლის შესაძლებლობა. წავედი და გავიგე, რომ ცხოვრებაში ასეთი ცვლილებებისთვის მზად არ ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ მეწადა ცვლილებები — მინდოდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ცვლილებები მომწიფებული იყო.

ასე იყო თუ ისე, წავედი ჩემი ბინიდან, მის ახალ მფლობელს კი ვუთხარი: „მაპატიეთ“. ნაყიდ ბინას ხომ ვერ წავართმევდი? ალბათ ბინაზე მას მეტი უფლებები ჰქონდა, ნაღდი ფული გადაიხადა, მე კი ბინა მუქთად მერგო მაშინ, როცა ბინებს ჯერ კიდევ „იძლეოდნენ“. რომ წავართვა? როგორღა უნდა წავართვა? ბინა ხომ ბავშვის სათამაშო არაა, რომელიც, თუ უფრო ღონიერი ხარ და თანაც უფროსი, შეიძლება წაართვა!

ახლა ჩემთვის ხელმისაწვდომი შენობებიდან საცხოვრებელ სივრცედ მეგულებოდა მხოლოდ სამუშაო ოთახი, სადაც ვმსახურობდი, ესე იგი, ეგრეთ წოდებული ოფისი. ჩვენს გაზეთს ეს შენობა აქვე ახლოს აქვს, შუბერტთან, იჯარით აღებული. შუბერტის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელთან, სახელმწიფო სასულიერო ორკესტრის გვერდით. თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო დღეს მე იქ არ უნდა მივიდე, რადგან იქ ყოფნა ჯანმრთელობისთვის საზიანო იქნება. დღეს ჩვენს სართულზე სანიტარული სადგური წამლავს ყველანაირ ქვეწარმავალს: ტარაკანებს, თაგვებს, ჭიანჭველებს, ჩრჩილს. საინტერესოა, ჩემი ბინის პატრონმა ისარგებლა თუ არა სანიტარული სადგურის მომსახურ-

რებით? დიას, ყველაფერს, რაც იძვრის, მრავლდება და ადამიანისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, დღეს შუბერტის ქუჩაზე წამლავენ. ხალხსაც, სიტყვაზე ვამბობ, დღეს წამლავენ. იმათ, ვისაც ქვეწარმავლებს ამსგავსებენ, ან მიაკუთვნებენ. ალბათ დამსახურებულად. მაგრამ მე ამ მძიმე სიტუაციაში მაინც წავედი იქით, ისე წავედი, რომ გავრთობილიყავ და გონი მომეკრიბა. გადავწყვიტე, გენსა პრინციან შევსულიყავი, დილაადრიან თავის ადგილზე რომ იჯდა და მანამ რჩებოდა, სანამ არ მობეზრდებოდა. მისი ფოტოლაბორატორია ორი სართულით მალლა მდებარეობს. იქ დღეს არავისთვის მიუციათ პირობა, რომ მოწამლავდნენ და მოკლავდნენ. თუმცა გენა მოწამვლის მომენტს თავის სართულზე თავზარდაცემული და შეძრწუნებული ელოდება. იგი დარწმუნებულია, რომ, რაკი ღმერთი არა ხარ, არავის მოწამვლისა და მოკვლის უფლება არა გაქვს.

ერთხელ როგორღაც გენას შარვალზე ჩრჩილი დავინახე და ჩრჩილი რომ არ დამეფრთხო, ჩუმად ვუთხარი:

- გენა, მოკალი ჩრჩილი.
 - რატომ? — გენა არც შერხეულა.
- აი, როგორი კაცია — ჰუმანური და წესიერიც ერთდროულად, ამავე დროს სამი ქალიშვილის მამაცაა და იმათი დედის ქმარიც. დღე-დღეზე კი ბაბუა უნდა გახდეს, რადგან წინა კვირას შუათანა ქალიშვილი გაუთხოვდა.

ვერ ვიტყვი, გენა სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა-მეთქი, თუმცა ჩემი ნახვით გულნატკენიც არ ჩანდა. მან მთხოვა:

— წამო, სიღრმეში შევიდეთ, თორემ დირექტორი სამი დღეა დამეძებს. გამწარებული ქალი, უნდა სურათი გადავუღო, მუქთად. შენც იცი, მე არ მენანება, მაგრამ არ მიყვარს ეს ქალი. საერთოდ ყველა მიყვარს, ის კი გულმა არ მიიღო.

დირექტორი მართლაც ძნელი შესაყვარებელი ვინმე იყო. გენასთვისაც კი. მას წითელი კაბა ეცვა, ტუჩებიც წითლად შეეღება. და სტუდენტებს მეთაურის რიხით ელაპარაკებოდა: „უტიფრობა უნდა აღზარდო!“ და მასწავლებლების მეშვეობით სტუდენტებისგან ფულს ითხოვდა, ხან საკუთარი დაბადების დღეზე, ხან კაბინეტის გასარემონტებლად, ხან სასწავლებლის ფონდში. იჯარის გადასახადსაც მუდმივად გვიზრდიდა ჩვენც, გენასაც და საერთოდ, ყველას.

- რაო, ცუდ ხასიათზე ხარ? — მკითხა გენამ.
- სწორედ ასეა, — ვუთხარი მე. — როცა ორმოცდარვა წლის ასაკში მიხვდები, რომ მარტოკა ხარ, როგორც სულელი, გუნება-განწყობილება რატომღაც გიფუჭდება. აქ კიდევ ვიღაცას ჩემი ბინა გაუსაღებია.
- ეს ხომ ყველაფერი დროებითია, — თქვა გენამ.
- კი, დროებითია, — ვუთხარი მე.

გენამ ლაბორატორიის კარი დაკეტა და მეორე კარი გააღო, ის კარი, რომელიც სადღაც გადიოდა. მე ეს კარი არასოდეს მენახა. არც შემიმჩნევია, რომ იმ კუთხეში კარი იყო. როგორც გამოირკვა, ეს კა-

რი თურმე დიდ, უფანჯრო ოთახში გადიოდა. ამ ოთახში ხალხური მუსიკალური საკრავების გროვა ეყარა. აქ იყო დობრები/ მანდოლინები, ბალალაიკები, ისინი მთასავით იყო ახორხოლავებული, მტვრიანები და დაბზარულები. ზოგს გრიფი არ ჰქონდა, ზოგს — სიმები. სამაგიეროდ, ოთახში ობის სუნი იდგა. ცხადია, ამ დამანინჯებული ხის გროვას აუარება ჩრჩილი დასტრიალებდა. ალბათ ჩრჩილი ხესაც ჭამს, საძაგელი.

— ბალალაიკების სასაფლაოა, — თქვა გენა პიპიჩმა. — მე მას ხანგამოშვებით სურათს ვუღებ.

— რად გინდა? — ვკითხე მე.

— კარგი სურათები გამოდის, — თქვა გენამ. — სიურეალისტური. ახალი.

— მერე ჰაერში მოტრიალე ჩრჩილიც ჩანს? ძუკნა.

— ჩრჩილი? — თქვა გენამ და ჩაფიქრდა. — ჩრჩილისთვის არასდროს მიმიქცევია ყურადღება. უნდა ვცადო და გადავიღო.

— სინჯე, — ვუთხარი მე.

ახლოს მივედი და ვუთხარი:

გენამ ბალალაიკების გროვის გარშემო დაიწყო ტრიალი, ალბათ, წერტილსა და რაკურსს არჩევდა, არ ვიცი, რას არჩევდა კიდევ ფოტოგრაფები. საქმემ ისე გაიტაცა, რომ არც კი შეუმჩნევია, გარეთ როგორ გავედი. გავედი და წავედი. ეს არც მე შემიმჩნევია. მე მხოლოდ იმაზე გამოვიჭირე თავი, რომ მივდიოდი და, მიმართულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უბრალოდ კი არ მივდიოდი, არამედ უკან მივაბიჯებდი, ესე იგი, ვბრუნდებოდი ავტოპილოტით.

ავტოპილოტითვე მივტრიალდი საქვაბისკენ. შიგაც ავტოპილოტით შევედი.

ახმატი არ ჩანდა. სამაგიეროდ სახელოსნოში ლელია იჯდა. პირდაპირ საბანგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა. ამ საბანგე ჩვეულებრივ, მინას ჭრიდნენ. ქალი კი ზედ იჯდა. აბოლებდა, სლუკუნებდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა.


ახლოს მივედი და ვუთხარი:

— აქ რას აკეთებ?

მან კი მომიგო:

— ვღრიალებ.





კარლ ლუგოვიჩსკი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა დუდუ დარიაშვილი

ისე უცხოვრებ ვარ საკუთარ თავთან

ისე უცხოვრებ ვარ საკუთარ თავთან,
რომ მე უშენოდ, ჩემს შესაცნობად
არ მეყოფოდა სიცოცხლე მთელი.

განთავისუფლება

ჩვენი ცხოვრების ცისარტყელა
ქვეცნობიერის უფსკრულებს
აწვდება.
ბორკილასსნილი ზმანებები
დაღივლივებენ უნატიფეს
საპნის ბუმბუტეზად მზაკვარ ღამეში.

მონგოლი

ზეცის თავანი
ბროლის მაქმანით გამორჩეულად
აგვირისტებს მარადისობას.

სიკეთე და ბოროტება

აი, სიკეთე
და ბოროტება
პარალელები —
კვეთის წერტილი უსასრულობა.

ოქტომბერი

ნათელმოსილი,
ოქროცურვილი,
სევდანარევი.

ევროპის სათვალთვალო ანძა

კითხულობ გაზეთს
დაიმშენ სხვები,
კითხულობ გაზეთს,
კვდებიან სხვები,
კითხულობ გაზეთს,
მკვდარი ხარ უკვე.

სარკე

დაიძირე დაუცველი სახეები
შენი მარადისობის სიღრმეებში,
რომლის ჩუმი ვერცხლის
თვალისჩინი
შენს მსგავსს ელოდება ბჭეგახსნილი

ღამეა ისევ

ღამეა ისევ,
უსასრულო სიბნელე სწონის
ადამიანურ სასოს და იმედს
ვარსკვლავთა შუქზე

ყვავილები თან გაიყოლე

ყვავილები თან გაიყოლე ისევ,
ძვირფასო გაზაფხულო,
დროის ცელით დალდასმულები,
ველარ ხარობენ.

დაბადების დღე

შეუბრალებლად მიგიყვანს
დაბადება სიმარტოვის ზღურბლთან,
მარტოობის სიღრმეში კი
ჩაიკარგები.

დილა

მთვარე
მთვარეს თავისი ვერცხლის შლეიფი
ამოაქვს ზღვიდან.
უსასრულობა
უხმოდ, უჩუმრად
ადგამს თავზე
ლამის სიბნელეს
მზის დიადემას
დღე იწყება!

სამშობლო

სადაც ყოველი ხე ძმაა შენი
ღრუბლის ქულა კი და სანუკვარი
სადაც ზეცა მამაა და
მიწა კი დედა

სადაც სულშივე იბრუნებ ქვითინს
სიხარულით და სევდა-წუხილით
სადაც მალულად ვადევნებთ მზერას
მზესა და მთვარეს

დიახ, ადგილი ერთადერთი
სადაც სიკვდილიც კი ღირს
თუნდაც ერთი დღით ადრე
ვიდრე სიცოცხლე უცხო მხარეში

ი ბ ი

ცხოვრების თავანს
ფოთოლცვენა დაეწყო უკვე
გაშიშვლებული ტოტებიდან კი
იხრება იგი ბიჭლიქოთქა
შეუმჩნევლად სულ ახლოს
შენსკენ

ერთი დღე

მუქი მწვანით და ლურჯით ნაქარგი
დღე იძირება ჩემს მხერაში და
ვიცი, ვიცხოვრე

სადღაც კი ჩრდილებდაფენილი
უზღვავ იმედთა სამარეები
გულდაგულ მოვლილ-ჩარიგებულნი
ელიან მთვარის ცივ განათებას

სახლი

სახლო ზვიადო
უფსკრულის თავზე
დგახარ და ელი
შენსავე დანთქმას

ტორსი

განა შენც არ ეზიდები
სულის გზავიწრო ხვეულებით
დიადი აზრების იმ ნატესებს
დაბალ კარიბჭეს რომ შეელეწა?

ჭეშმარიტი ამაღლებაა

ჭეშმარიტი ამაღლებაა
ყოველ ტანჯვასა და განსაცდელში
გწამდეს გჯეროდეს
რომ გხედავს ღმერთი

უფსკრულეზი

ვარ სიმარტოვის უფსკრულეზში
ჩემივე თავთან
ვდგავარ ხიდზე და
ველოდები საკუთარ წილქვედრს
აქაფებული ცხოვრებისაგან
მაგრამ იმედის
გაცვეთილ ქაფში
ვერაფერს ვარჩევ
და საბოლოოდ უარს ვამბობ
ჩემი კუთვნილი ოქროს რეცხვაზე

ცხობრება

სიბნელიდან
სიბნელის გავლით
სიბნელისაკენ

ცოდვა

რას ნიშნავს როცა
უფალთან და
უფლის გარეშე
ქვიშის მარცვალნი წყალს აყოლილი
ფსკერისაკენ ვეშვები ნელა

რასაც მიიჩნევთ

რასაც ჩემს გულზე
მაქმანიან ნაყშად მიიჩნევთ
გაცრუებული იმედების ნაჭდევებია

დროით დანისლული

დროით შრეებად დანისლული
მოგონებები იმ მარგალიტის
ყელსაბამად
აიკინძება, აღარავინ რომ არ
ატარებს

შენი ღიმილი, ღაღა

ნისლში ნავივით მელოდება
ჩემთვის დაღვრილი ცრემლების
ტბაში.

ხე

ჩემი სიცოცხლის ხე
იჭვნეულ ნაყოფებს ისხამს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნები

ჩემს გალავანში
ზედმეტ სარკმლებს ნუ გასჭრი
რაღვან
სინათლეს ველარ გაუძლებს და
დაიქცეს იქნებ

გაფრთხილება

გახსოვდეს სული ველარ იბარტყებს

ჩამდგარი ქარი

ჩაძირულ სულთა
რომ ამოგვეცნო თუნდ მონახაზი
უზენაესმა მეოცნებემ რომ ჩაიფიქრა

ჩაძირულ სულთა სივრცეებზე
გადაშლილა უმწეობის მდუმარე
სტეპი

მხოლოდ ნედლ ლერწებს
არწევენ ყრმათა გულებივით
ჩიტბატონები

შედევი

ხელოვნების გვირგვინ-ქმნილება
რახანია სრულყოფილია
მარტოსულობის ერთადერთი
შენივთებისგან გამოკვეთილი
სახელი — ღმერთი

სადაც იგი

სადაც სინათლე
შეეხლება ტანჯვას პირისპირ
წარმოიქმნება ცისარტყელა
ადამიანი

თოლიეზივით

თოლიეზივით სერავენ ტანჯვის
ლოცვები ჩემი
ოკეანეს
უფლის კლდემყარის ძიებაში

შენც შერჩი განა დროის ნარ-ეკალს
მსუბუქი ქროლვის გზამკვლევივით
ყველას რომ გვმსჭვალავს

მოლოდინი

რწმენის ნაშთები
უფლის ირგვლივ აღარ კრებებიან
კეთილდღეობის დოლაბებქვეშ
მტვრად გადაიქცნენ
მე კი ვაგროვებ იმ იმედით
რომ ვშველი ვისმე.

ღვთისგან მოვდივართ

ღვთისგან მოვდივართ
ღვთისკენ მივდივართ
უდაბნოს გავლით
ოღონდ ერთმანეთს
ადამიანურ ღირსებათა
ოაზისში შევსვდეთ უთუოდ

პოეტი

ჩიტნი
ალმოდებული ტყის თავზე

ლექსები

გასაღები ჩემი დილეგის

დაღლილი

იღლება ის ვინც
გვერდს აუფლის საკვირველებას
მე
მე ბჭე ვარ ალბათ
ოღონდაც შენი

სამხრეთ აზრიკა

დახრილან ხნულზე
თუმც გულეში იტყვენ/ზეცას
ბორკილები უმძიმებთ-მაჯებს
თუმც გამოსწებიან ქუჩალებზე
ფრთები
არ აცდენილან სიმალლით ბალას
თუმც სულის წიაღ მალავენ ალვას
გამაოგნებლად მზადყოფნი მუდამ

მიწავ სათუთო

მიწავ სათუთო
ლოცვავ გართხმულო
მიყვარს ეგ შენი ხმა სიმწვანისა
და მდუმარება ყავისფერი
მსურს აგარიდო
საფრთხე ყოველი
რომ თეთრ ყვავილთა
ყვავილობა დავიმსახურო

პოეტი

უცხო სამეფოს
გალავნის
ქვეები

ზღვა მე მგვრის სევდას

ზღვა მე მგვრის სევდას აუტანელს
მარგალიტებით ტანმოსილი
და მორთული ჩვენივე ნაგვით

ახალი დღე

მარილიანი მიწის შრეებში
იშრიტება მსუბუქი სისხლი
აკრძალული ხილი სულისა
ნათლის მწყემსები
რიალებენ კატაკომბებში
და მდუმარების უღელტეხილით
გვაგნებს ღიმილი — დღე
დღევანდელი

დედის დღე

ტყეში ვიყავ და
არ მოვწყვიტე ია-იები
და ახლა იის
სიცოცხლეს გჩუქნი

შენ არ იცოდი

შენ არ იცოდი
ყვაკვლები რანი არიან
ანგელოსთა ნაფეხურები
ქვირფასო ბავშვო
დედამიწის დათმობისას
რომ დაგვიტოვეს

შენ

შენ დედამიწა ჩასთესე ბნელში
ვერ გაიხარა



უფსკრული

ლოცვათა ვიწრო
მიაკვლევს ეჭვიც
უფსკრულებთან კი
ანგელოსთა ვერ აგნებ ხელებს

მოსას სიკვდილი

უხვი წყალობით ჩაუქრა მზერა
და ანგელოსნიც ველარ ბედავდნენ
დიდხანს ნათელი მიემთხვიათ
მისი კალთისთვის

დავითი

შემდეგ კი მუხლი მოიყარა
გოლიათისკენ დაიხარა
თითი შეასო მის დანთხეულ სისხლს
და უმაღ უკან დაიხია
თავს შემოაჭდო ხელი ბიჭური
მშვიდობა გონით ასწონ-დასწონა
ვერ მიაკვლია გოლიათის სახეზე ტკივილს
ვერც მრისხანებას
მოლოდინს მხოლოდ
დავითი ჩუმად ეამბორა
გამარჯვებულის შუბლს უსიცოცხლოს

იობი

ჩემს ჭრილობებში
ადგილი კიდევ მოიძევება
უფალო
შენი სახლის აგებად

ივლითი

როცა ხელებზე დაიხედა
შეხედა მახვილს
ატირდა ივლით
და გამოფხიზლდა
გარეთ ყიჟინი ისმოდა ხალხის

იოანე ნათლისმცემელი

უკმაყოფილოდ დაიბერტყავენ აკაციები
ქარს კვირტებიდან
მბორგავი ბინდი მქრქალ სინათლეებს
აქრობს ზედიზედ
ვიდრე სისხლისგან დაწრეტილ თავებს
წარადგენენ წმინდანთ წინაშე

ლ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი ა

ღვთაებრივია
დაითმინო ჯვარცმული შვილი
სიყვარულის წილ

შინ ღაბრუნება

და როს იესო
შინ მობრუნდა ქადაგებიდან
ელვიძა დედას ბნელოდა თუმცა
და ორივენი იდგნენ და სდუმდნენ
მადლობის ნიშნად შეახო ხელი
დედის თხემს
უკვე ჩამქრალ-ჩაფერფლილს

ქ მ ე ბ ი

სად იყვნენ
როცა ხის სიმძიმე გორგუნავდა
მაშინ
სად
როცა ძმარი სასომინდილ შენს
გულს ამსხვრევდა

შ ე მ დ ე ბ

მარიაში იდგა სახლის წინ
ვაშლის ხეებქვეშ
აყვავებული ვარჯის მიღმა
ითვლიდა მთიებს
არ ჩამქრალიყო არც ერთი მათგან

ბ ა ლ ი ლ ე ა

ის ადგილია
სადაც ტაძრები ორღანები
ოქრო-ატლასი
ნეშტზე
მცირეა

შენ ნაპირი ხარ

შენ ნაპირი ხარ გაღმა
და შორი
სადაც ჰყვავიან მაგნოლიები
სადაც მზე უფრო ადრე იღვიძებს
სად ფარვანებსაც მიუხარიათ

შენ უჩვეულო ყვავილნარი ხარ
ხელუხლებელი სიტყვა ხარ
შორი გაღმა ნაპირის

მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა ვ

მარადისობავ
ჩემი ცხოვრების ყვავილებს ყველას
შენს ბრმა გულს ვწირავ

დ ე დ ი კ ო

შენი გული იტევდა სამყაროს
სამყარომ კი შენი გული ვერ დაიტია

ა რ ა

არა,
არ არის ეს სიცოცხლე
ეს ლოდინია
რომ გადაგიყვანს ოდესმე ვინმე
იქ მის ბალნარში

მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ი

მცენარეები დედამიწის ხელებია და
ცახცახებენ, როცა გვხედავენ

ლ ო ც ვ ა

არ გაგვიცრუვდეს
მოლოდინი უკანასკნელი

შემკრთალი რიდით

შემკრთალი რიდით გვიმზერს თვალი
ყმაწვილი დედის
და უზღვავი მარადისობით

PRIVAT

შეუმჩნეველი სიცოცხლე ჩემი
თანხმობას ნიშნავს
ადამიანსა და ცხოველს შორის
მცენარესა და ქვიანეთს შორის
ღვთიურობას და უღვთობას შორის
ასე პატარა სიცოცხლე ჩემი
თანხმობას ნიშნავს

შ ა რ ვ ა ნ ე ბ ი

არწივნი არა
ფარვანები
გადალახავენ ოკეანეებს

შ ე ნ ა კ ი ღ ვ ი ნ ო დ გ ა მ ა ჩ ი ნ ე

შენ აკი ღვინოდ გამაჩინე
წყლად რალად ვიქცე

ო კ ა ა ნ ე დ ი გ უ ლ ვ ე თ ა ვ ი

იგულვე თავი ოკეანედ
და არა ტივად

მ ა რ ტ ი

ფრთათა შრიალი განუწყვეტელი!
ტყეს აშფოთებს ჩიტთა რიალი
და ყოველივე სააქაო
მუნღს უყრის ზენას

მ ბ რ უ ს კ უ ლ ი ნ ე კ რ ო ვ ო ლ ი

მიცვალებულნი ჩარიგებულან
ოქროვარაყით შემკული ქვით და
ძუნწი სიმწვანით გადაფარულნი
აქ იყო მღერა ქროლვა დინება
კეთილსურნელი და აღდგინება
ნუგეშისცემა და მოფერება
და ჩაიძარხა იქვე ღრმად წყარო
სადაც ამ ხალხმა ჰპოვა სამარე
როცა ვულკანთა ბრგე გულის ძვერა
უხმობდა უხმოდ, ჩუმად მღუმარედ

ს ი ე ნ ა ს თ ა ნ

კვირადღეა და
ცისკარზე მიწა სალოცავად
აღაპყრობს ხელებს
მრუმე ხეების ტოტებშუა
რჩება სიშორე გახირული
მეწამული ეკლესიების
ზარების რეკა
გაჰკვეთს სივრცეებს

RECANATI

სადაც სიმღერა დაფნად იქცა
ორფევსი ბორცვად
ევრიდიკე მზედ
იქ ვიყავ დღეს და
ზღვა ჩემს ფერხთფერხ
კრავივით სთვლემდა



ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა თ უ რ მ ე ს ა ვ ა ნ ე

სიყვარულია თურმე სავანე
სადაც ყველაფერს აუნჯებენ
წარუვალი რაც უნდა დარჩეს

ღ რ ო

ფოთოლია
მარადისობის
იდუმალ ხეზე

ი მ ე დ ი

იმედი
ჰქვია ქვიშას
რაზედაც კოშკებს ვაშენებთ

ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ფითრი
სიკვდილის ხეზე

გ უ ლ ს თ უ მ ო უ დ რ ე კ ქ ე ლ ს

გულს თუ მოუდრეკ ქელს
იცოდე არ დამცირდები

მ ც ი რ ე ს გ ა უ რ ბ ი ს მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა

მცირეს გაურბის მარადისობა
დიდს ეგებება

ხ ი ღ ი

სიყვარულის ხიდს გარდასულთა
ტარებაც ძალუძს

კვირებით

ლოცვის
კვირებით
სწვდებიან მიწას
ანგელოსები

მარტობა

მარტობავე
შენს ვეება სახლს
სასოწარკვეთის ზღვარზე
სიკვდილის სხივი
გააჩირაღდნებს

ვისაც უდაბნო შეუცვნია

ვისაც უდაბნო შეუცვნია
მის სიყვარულსაც ისწავლის უმაღ

სიყვარული განა სიტყვაა

სიყვარული განა სიტყვაა
სიყვარული საუფლოა
უსაზღვროდ ვრცელი

ვიწროა ხიდი

სიყვარულის ვიწროა ხიდი
სიძულვილის ღვარს გადებული
სუსტი მსხვერვეადი

ერთადერთი არსებობს ლექსი

ერთადერთი არსებობს ლექსი
ძვერა გულისა

მასამე თვალი

ტკივილია

ჩემი გულის საკნები

ჩემი გულის საკნები უკვე ცარიელია
ვინც შიგ სახლობდა
გადაიხვეწნენ
უზენაესში

უძლეველია სამყაროს ფრთები

უძლეველია სამყაროს ფრთები
და მაინც ერთი მწუსარე/გულის
ზიდვა არ ძალუძს

ტისმარე ნატეხი

პურის ნატეხი
კეთილი სიტყვა
გაოცება იოტისხელა

გამოთხოვება

შენს სავარძელსაც ფაფუკი მტვერი
დაეფინება
ფარდას შეარხევს ჩვეულებრივ
დილის ნიავი
მცენარეები შენს სახებას
მოიძიებენ
სადაც ისმოდა სალამ-ქალამი
ძალას მოიკრებს მდუმარება
ჩვენი დროჟამი
ფრთებს აიკეცავს

გახსოვდეს

როცა მოხუცი სტირის
მასთან ერთად სტირიან წლები

შენი გულის ბასრი ეკლები

შენი გულის ბასრი ეკლები
გარეთ არიან მიმართული
თუ გულის წიაღ?

ირგვლივ ყოველგან ბეთლემია

ირგვლივ ყოველგან ბეთლემია
სადაც პატარებს სცივათ სწყურიათ
ირგვლივ ყოველგან ბეთლემია
ლტოლვილები სადაც სტირიან
ირგვლივ ყოველგან ბეთლემია
სადაც ხნიერი მეფეები ღამისთევით
მომლოცაობენ
და იმედის წინ მუხლს იყრიან
ილოცებიან

ლოცვები

ღია კარიბჭეები

მოველივე ჰვიშაა

ყოველივე ქვიშაა მხოლოდ
უფლის მთიდან ჩამონალეწი

შინდა

შინდა ვიყო თავშესაფარი
სადა ნათელი
უსახლკაროთა შემფარებელი
სამინელი სამსჯავროს უამს

ღმერთი

გულისცემათა
გულისცემა

ვინც ჩვენ თიხისგან გამოგვიქრწა

ჩვენ თიხისაგან ვინც გამოგვიქრწა
ნუთუ იფიქრა ჩვენი
ქვადქცევა

ვუსმენ

ჭრიჭინებს ვუსმენ
და შენზე ვფიქრობ
შენს დიდ ნაცრისფერ
თვალებს ვიგონებ
პინიების სურნელებაში
ჩღვა

გაწოლილა გარუჯულ მხრებზე
და ცის ნამსხვრევი
მლაშე ტუჩებზე

მთა

შენ მთა იყავი
გამოქვაბულთა მღვიმეებში
უნთო ცეცხლი საკურთხეველთა
შენ მოკვდავობის გაიღე
მსხვერპლი
და უკვდავება შეინარჩუნე
შენ მე შთამბერე სული შენი
და დამითხოვე

გერქანი მწყემსი

მან ტაძრებისა არრა იცის
იქ სძინავს მხოლოდ
არც ციკადები გაუგონია
არ იცის ხსოვნა, არცა სინამდვილე
არ გაეგება ^{გერქანი მწყემსი}
ჭეშმარიტი მუსიკის ენა
არც უკანასკნელ ნაბიჯებს ითვლის
არც შერიგებას ეპყება
და არცა სიკვდილს
მან კარგად უწყის
არსობის პური
ზეთი და ღვინო
და საკუთარი ცხოველების უბიწოება
ხან კი ღმერთები ბრუნდებიან
და ღამლამობით
მწყემსის უხიაგ სახეს ირგებენ
რათა

შეიცნონ სიცოცხლე თბილი
დამჭკნარ უამსა და
დროის ციაგში.

მისალმებები

ასანთის ალი
ჩემს ბნელ ღამეში.

შენ გგრძნობ ნიადაგ

შენ გგრძნობ ნიადაგ
თითოეულ ხეში
ბალახის ღერში, ჩიტის ფრენაში
ოკეანით და მთათა ქედებით
ღრუბელთ სირუხით
შენს შეუცნობლად
გგრძნობ თითოეულ მიმორხევაში
ნათლის ჩქერალის
მიმოქცევაში
შენს შეუცნობლად
შენს შეუცნობლად.

ოქროს თევზი

ღამეულ გუგას შემოეჭდო ქარვის ბეჭედი,
 ოქროსფერ სხეულს მიაცურებს მდორე მორევი
 ხავერდოვანი ფლატეებისკენ,
 არარეალურს
 აჰყავს იგი იმავე ზღვარზე,
 სადაც ალუბლის ყვავილები იძირებიან.



დაპირება

წყდება ბაგეებს და სულში ხვდება
 მერე იზრდება, წამდაუნუმ მივიწყებული
 ვიდრე ცხოვრების მიმოსხვეულთან
 შენ წინაშე დიად შუქურად არ აღინთება.
 გონს მოეგები, შუქურა ქრება,
 უახლოვდები ულმობელ არილს
 მიაგნებ ბავშვის უწყინარ თვალებს
 და იმგვარ ნდობას, რომ აცრემლდები.

ყანჩებო

ისინი, წრიულ გაუბედავ ფრენას ჩვეულნი,
 შეიკეცავენ საბოლოოდ საკუთარ აფრებს,
 სხდებიან წყნარად ბრინჯის ყვითელ-მომწვანო ველზე,
 მიწაზე დგანან,
 სანახებად გადაქცეულნი — ქათქათა ქვები.

უსასრულობის დედააზრია

უსასრულობის დედააზრია დაიუნჯოს
 უთვალავი სამყაროები,
 დაითმინოს გალაქტიკათა წრიული ბრუნვა,
 და მოიყაროს თავი ერთი ადამიანის
 სულსა და გონში.

ღლის უდაბნოში

ღლის უდაბნოში დაიდგი სახლი,
 თუ შეგიძლია — გაუშენე ირგვლივ ბაღნარი,
 დაამშვენე ორქიდეებით,
 არ დაივიწყო ოღონდ,
 ჭიშკარი დასტოვე ღია.

კ ი თ ხ ვ ა

ქანქარები იმართებიან უხმოდ, უჩუმრად.
 ატომები დროდ იკვრებიან,
 გალაქტიკათა ბზრიალები
 შხუილით სდევენ მარადისობას,
 სიცარიელეს აღლუმივით აჩირაღდნებენ
 და ღამის სხეულს ცეცხლოვანი კითხვით შანთავენ.



ნ ა ხ ე ვ ა რ ს ფ ე რ ო ე ბ ი

ნახევარსფეროები დაიძრნენ.
 დასრულებული პირამიდები თავდაყირა
 გარინდებულან —

აჩრდილებით დასახლებულნი,
 მძიმედ ეყრდნობა მათი ქიმი ყოფიერებას,
 სადაც განცდილის ფართო ნაკადი
 სიცოცხლეს უხმოდ აცალკევებს სიკვდილისაგან.

ს ა ლ ა მ ო ს ლ ო ც ვ ა

ამ ოქროდ დაღვრილი სალამოს ფიალა
 ივსება ნელ-ნელა მზის ბოლო სხივებით.
 ამ ღამის ზღუდეებს მივყრდნობ ჩემს იმედს
 რომ ფიქრთა ბილიკებს სვალ რომ დავადგებით
 არც ყინვის
 არც კლდეთა
 არც ზღვების სიღრმეში არ სურდეთ ჩაკარგვა
 არამედ დასძლიონ სიცივე ზვაობა
 უფსკრულად დანთქმა

ღ ა მ ი ს ზ ე ტ ა

ჯერ ხელოვანი უნდა იყოს თავისუფალი
 და სივრცეებსაც მიენიჭებათ უსასრულობა
 შექმნა-არშექმნის აზრს ჩასწვდებიან

ღ ე დ ი ს ღ ა ბ ა დ ე ბ ი ს ღ ღ ე

მძინარე სახე შენი როგორ გამიუცხოვდა
 ოცწლიან ოცნებებში ჩამარხული

შემოეცვითა ზედა საპირე
გამოღვიძების ცისმარე შიშით
ნაკვთები შენი
იმ დაჩრდილულ ველებად იქცნენ
სადაც შენივე თავგანწირვა
უკანასკნელ მცენარედ ჰყვავის



ა ღ ა მ ი ა ნ ი

შესაძლებელის ვულგარული გამოვლინება
ცოდნასა და შეცნობას შუა ჭაობში მდგომი.
მოკლე კავშირი მერმისსა და გარდასულს შორის
სახეთა წყება, რომელთა შუა მიმოდინ
ვით უდაბნოში
სახეთა წყება, მათში ყრმობისას რომ შეაბიჯეს
და ხანდაზმისას სტოვებენ და ხან კი პირიქით
სახეთა წყება, რომ ვერ ამჩნევენ ვით სიბინძურეს
და მაინც ლაფში ამოსვრილნი რჩებიან ისევ
და სრულიად განსხვავებულნი, რომელთაგან
უფრო გაზრდილნი და ძლიერნი კვლავ ბრუნდებიან
წმინდა მთებიდან დაბრუნდნენ თითქოს
ისინი ყველა შემოჭდობიან სიცოცხლეს ყელზე
უსასრულოდ მძიმე ჯაჭვებად

არსებობს ჯერაც

არსებობს ჯერაც
თანაგრძნობის მქსოველი დაზგა
მაშინაც როცა მსუბუქ მაქოებს
ძველ კალაპოტში უჭირთ სრიალი
არსებობს მაინც
და კვლავ მრავალნი ქსოვენ მალულად
ქსოვილს რომლითაც შეუსუდრავთ მაშინ უფალი

არ ვიცი

ტყუის თუ არა ჩემი სარკე არ ვიცი მაგრამ
ის კი ვიცი რომ
ვერასოდეს მივუხვდები სიმართლეს მისას,
მე მქონდა სახე
ჩემი სახე

თუ შენ

თუ შენ შენსავე სულს ჩაჰხედავ
 როგორც ველ-მინდორს აყვავილებულს
 თუ შენ მეტი ხარ
 განქარების უსაზღვრო ველზე
 მაშინ იცოდე, ღმერთი სიყვარულს როდი ითვლის
 აკი შენც ქვიშას განა ითვლი — არამედ სწონი



ავსტრიული
 კოლეჯი

წერო

მინის ცივ სივრცეს
 მსჭვალავს მისი ხისტი ძახილი
 დაძაგრულ ფრთებზე
 ჩქეფს სისხლივით
 სივრცე — შორეთი
 ვერცხლისფერ თვალებს ამოუშრეტს
 უსაზღვროება
 ვიდრე სხეულის მძაფრი ძაგძაგი
 მონობის ბორკილს
 არ შემოიმსხვრევს

დაგრუნება

ჩემი მთებია ირგვლივ ჩუმი გაყურებული
 ძლივს სამშვიდობოს მეგულვის თავი
 სულში ლოდევით დაიძირა ნავი რომელიც
 ფორიაქით მიმაქროლებდა
 ქალაქი ყველა ზღვები ტბები
 გადამავიწყდა
 ჩემი მთებია ირგვლივ მხოლოდ
 მიწვდიან ისევ მორუხო ხელებს
 ღამეთა მძლევი
 ლურჯთვალეა ალიონებით

ყოველივე იქნება ასე ვით სააქაოს

ყოველივე იქნება ასე ვით სააქაოს
 ოღონდ ქმნილი სინათლისაგან
 ამოტვიფრული მაგიდა იქ და
 ჩიტები ბაღში
 ოლეანდრები
 მუსიკა
 შენაც

გლოვა
 უცხონი
 შორეთები
 ისევე როგორც სააქაოს
 და მაინც
 ქმნილი სინათლისაგან



არაფერს არ ვქმნი

არაფერს არ ვქმნი
 შემოდგომას ვუმზერ თვალებში
 დღის სიმძიმით ჩამეძინება
 და მაინც თითქოს
 თითოეული ფოთლის ვარდნა
 თუკი მის კვირტებს არ შევსწრებოვარ
 სასჯელს მომიზღავეს მე
 განჩინებად

დედა მიწა

სალომეა
 მზის ირგვლივ როკვით ითხოვს სიკვდილის გვირგვინს


აბრეშვი

თვით ნამუსრევის დაზვიანულ მთებშიც
 მყის მოგიძიებს ანგელოსის მახვილი თვალი

შენ სად იწყები

შენ სად იწყები
 შენსავ წიაღში
 მოყვასის გულში
 თუ სადღაც
 ნისლში
 ან სად იწყება
 იგი რისთვისაც
 ხარ მოხმობილი
 რათა გასცემდე ზღურბლთან მისული
 რისგან შესდგება

ეს ყოველივე
 გაშლილ კვირტთაგან
 განქარებისგან, გაქვაფებისგან
 უნივერსუმი
 კვლავ შენთან ერთად გამოიღვიძებს
 ნაბიჯთა შენთა ჯამი ნაბეჭდ ასოდ იქცევა
 დიდი მკითხველის
 წიგნისათვის
 და
 თუ ზამთრის ხარ
 მაშინ უკან დაბრუნდი დროით
 მერცხლის იმ ფრთიდან
 შენ რომ გიტვირთა
 ზღვად ირეკლები
 თოლიების თვალთა სარკეში
 და ხარ თოლია
 ზღვის მბზინავ თვალში
 გამსჭვალული და
 სრულად ნამღერი
 შენთან ერთად რომ იფერფლება
 ცდილობს იშვას და
 დანთქმას გადარჩეს.



მეცხრო



ნოველა

თარგმნა გურამ გოზიაშვილმა

საკი ინგლისური კომიკური ნოველის ბრწყინვალე ოსტატის ჰექტორ მანროს (1870-1916) ფსევდონიმია, რაც სპარსულად მერიქიფეს, მწდეს (საყი) ნიშნავს. აღმოსავლური პოეზიისა და, კერძოდ, ომარ ხაიამის შემოქმედების სიყვარულის გამო არჩია მწერალმა ეს ღვინის დამსხმელის სახელწოდება. საკი, როგორც საკუთარი კორესპონდენტი, რამდენიმე წელიწადი გაზეთ „მორნინგ პოსტს“ წარმოადგენდა რუსეთში. ფიქრობენ, რომ იგი საქართველოშიც ნამყოფია.

ნორმან გორტსები გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო პარკში. სკამს უკან ზოლად გაყვანილი მთლი მწვანობდა. მერმე უკვე ბუჩქნარსა და ამ ბალ-ხევნარის ღობე-ყორეს მოჰკრავდი თვალს, რომელი ღობე-ყორის წინაც, საეტლე შარავზის გვერდით, როტტენ-როუ ჩანდა.* გორტსების მარჯვენით, იქავე, ჰაიდ-პარკის კუთხე გამოიყურებოდა, სადაც ქუჩიდან მოძრაობის ხმაური და რიხინი ატანდა. მარტის დამდეგის საღამო ხანი იყო, შვიდის ნახევარი იქნებოდა, და უკვე ხშირდებოდა მიმწუხრი, რომელსაც ოდნავ აცრიატებდა, აბაცებდა მთვარისა და უამრავი ქუჩის ფარნის სუსტი შუქი. გზა-ბილიკებსაც და ხეივნებსაც სრული უდაბურობა დასტყობოდათ, თუმცაღა ამ ნახევრად განათებულ სივრცეში ბევრი შეუმჩნეველი ლანდი ირეოდა. ერთნი უჩუმრად მოძრაობდნენ, მეორენი ცალ-ცალკე წერტილებად ისხდნენ მერხებსა და სკამებზე.

გორტსების მოსწონდა, თვალში მოსდიოდა ეს ადგილი, ისეთ განწყობილებაზე იყო, ამ საღამოს მაინც ძალიან ეხმატკბილებოდა აქაურობა, მიმწუხრი დამარცხებულთა უამად წარმოუდგებოდა. სუყველა, კაცი თუ ქალი, ვისაც კი ებრძოლა და წაეგო ბრძოლა, ვისაც კი ცნობისმოყვარეთა ყოვლისმჩხრეკელ თვალთაგან საგულდაგულოდ დაემალა თავისი მიულწეველი წარმატება და მკვდარი იმედები, აქ გამოდიოდა ამ მიმწუხრის უამს, როცა თითოეულის აბრანძული ტანისამოსი, მოკუშული მხრები და ვაგლახიანი თვალები შეიძლებოდა რომ ვერცვის შეემჩნია ანდა თუნდაც ვერ ამოეცნო.

* როტტენ-როუ — ვიწრო საცხენოსნო გზა-ბილიკი ჰაიდ-პარკში.

ეს ადამის შვილნი მიმწუსრში ღამურებსავით ეპატრონებოდნენ გაუდაბურებულ პარკს, თავის კანონიერ მფლობელთაგან ხელაღებულს. ამ ბედკრულთაგან თავშესაფრად დაგულებული ბუჩქებისა და ღობე-ყორის საფარველს იქით გაბდღვრილებული შუქებისა და ხმაურიანი დახურხურებულ-გამალებული მოძრაობის სამეფო გაშლილიყო. მიმწუსრში, რომელსაც თითქმის ფანტავდა, თვალისმომჭრელად ეჩვენებოდა ფანჯრების მრავალსართულიანი ხომლი — იქ იმ სხვა ადამის შვილთა სამყარო იწყებოდა, ვისაც ცხოვრების ომში გაეძლო ანდა სულაც თავს დამარცხებულად არ მიიჩნევდა. ამდაგვარი სურათები ეხატებოდა თვა-ღრძელ სკამზე ჩამომჯდარს. ის თავის თავსაც დამარცხებულად თვლიდა. ფულის მხრივ გაჭირვება არა ჰქონდა: თუკი მოესურვებოდა, ადგებოდა და ისიც შეერთვოდა ქუჩას, სინათლითა და ხმაურით სავსეს. და უმაღლ თავის ადგილს დაიჭერდა იმ დუნდგო ხალხში, ვინც სავსე ოჯახში ყიფიყიფებდა ანდა სიმდიდრეს ესწრაფოდა. გორტსბის ხელი სხვა უფრო დიდ-დიდ რამეებში მოსცარვოდა და ახლა გული ეკუმშებოდა, შეწუხებული იყო და თავისი თავისთვის უარი ვედარ ეთქვა რამდენადმე ცინიკურ სიამოვნებაზე, უკეთუ თვალს შეავლებდა იმ თავისნაირ მწირ-მაწანწალა ხალხს, ვისი გზაც ფარნებს შორის ბნელ სივრცეებში გადიოდა, და ყველას კატეგორიებად დაყოფდა.

გორტსბის გვერდით გრძელ სკამზე ხნიერი ჯენტლმენი იჯდა. ჯენტლმენს იმ თავპირჩამომტირალი კაცის იერი ჰქონდა, ვისაც ჯერ კიდევ არად მიაჩნია გარემომცველი სამყარო, და ამდაგვარად საკუთარი ღირსების ნარჩენებსა ინარჩუნებს, თუმცაღა სინაძღვილეში უკვე კარგა ხანია, აღარც ვისიმე და აღარც რისიმე აბუჩად აგდების თავი აქვს. ჯენტლმენის სამოსელს გაქუცულს ვერ ეტყოდნი, ბინდბუნდში მაინც სავსებით უძლებდა გამოცდას, მაგრამ იმის წარმოდგენა კი შეუძლებელი იყო, რომ იმ ტანსაცმლის პატრონი ნახევარკრონად ერთი კოლოფი შოკოლადის ყიდვას გაბედავდა ანდა საღილეში ჩასაბნევი მიხაკისთვის ცხრა პენსს გაიმეტებდა. ის უდავოდ იმ მივიწყებულ ორკესტრს ეკუთვნოდა, რომლის დაკრულ მუსიკაზეც აღარავინ ცეკვავს. ამქვეყნად ის ერთი იმ მჭუნვარეთაგანი იყო, ვისი ჩივილიც საპასუხო ვაივიშს აღარ იწვევს. როცა ჯენტლმენი წასასვლელად წამოდგა, გორტსბიმ გონების თვალთ წარმოიდგინა, როგორ მივიდოდა იგი შინ, სადაც თავსაცილს დააყრიდნენ და გაამასხარავებდნენ, ანდა როგორ შერგავდა თავს სადმე ცივ სოროში, სადაც გარკვეულ წილ პატივსაც იმისდა მიხედვით მიაგებდნენ, ყოველი კვირის ქირის გადახდის რა უნარიც ჰქონდა. წინმამაუალი ჯენტლმენის ლანდი ნელ-ნელა შეერია ბინდს. თითქმის მაშინვე, როგორც კი ის წავიდა, იმისი ადგილი ბაღის გრძელ სკამზე ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაიჭირა. ყმაწვილ კაცს ცუდად სულაც არ ეცვა, ოღონდ სახით თავის წინამორბედზე უფრო დაღმუნული ჩანდა. თითქოსდა იმის ყურადღების მისაქცევად, თუ რა შავ დღეში იყო ჩავარდნილი, სკამს ეგრევე მოწყვეტით დაეხევა თუ არა, მოსულმა ერთი ბრაზიანად და ხმაშალა შეიკურთხა:

— რაღაც ცუდ ხასიათზე ჩანსართ, — უთხრა გორტსბიმ, რადგან საჭიროდ ჩათვალა, რომ გაპასუხებოდა ამ გამომწვევს საქციელის გამო.

ყმაწვილი კაცი გამპასუხებლისკენ შეტრიალდა და თავგზადამბნევად გულუბრყვილო მხერა მიაპყრო, რამაც გორტსბიმს მუის ყურადღება დააძაბინა.

— არც თქვენ იქნებოდით კარგ ხასიათზე, ჩემისთანად რომ გაბმულიყავით ხათაბალაში. ეს ყველაზე დიდი სისულელეა, რაც კი ჩემს სიცოცხლეში ჩამიდენია.

— ჰო? — გულგრილად თქვა გორტსბიმ.

— დღეს ჩამოვედი, ბერქშირის მოედანზე სასტუმრო „პათაგონიაში“ ვაპირებდი გაჩერებას, — განაგრძობდა ყმაწვილი კაცი, — იქ მისულმა კი შევიტყვე, რომ ორი კვირის წინათ აელოთ და იმის ადგილას კინოთეატრი წამოეჭიმათ. ტაქსის მძღოლმა სხვა სასტუმროში წასვლა მირჩია, სადღაც იქვე ახლოს, და მეც წავედი. ჩვენებს მისამართიანი წერილი გავუგზავნე და გარეთ საპნის საყიდლად გამოვედი, წამოღება დამავიწყდა, სასტუმროს საპნის ხმარებას კი ვერ ვიტან. მერე ქუჩა-ქუჩა ვიხეტიალე, ბარში ერთი-ორი ჭიქაც გადავკარი, ვიტრინებს ავუარ-ჩავუარე და როცა უკან, სასტუმროში, მიბრუნება დავაპირე, უცებ დამცეცხლა, რომ სახელიც გულიდან გადამგარდნოდა და აღარც ქუჩა მახსოვდა, სადაც ის სასტუმრო იყო. უკეთესს ვერ ინატრებ კაცისთვის, ვისაც ლონდონში არც ახლობლები ჰყვანან, არც ნაცნობები! ცხადია, ჩვენებისთვის დეპემის გავზავნა და მისამართის თხოვნა შემეძლო, მაგრამ ისინი ჩემს ამბავს ხვალამდე ვერ შეიტყობენ, მე კი სრულიად უფულოდ ვარ — გარეთ რომ გამოვედი, ჯიბეში ერთ შილინგამდე მეგდო, და ისიც საპონზე და ლუდზე დამეხარჯა. აღია-ბაღია ორი პენსილა მიჭყავის, აღარ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე ამ ღამეში.

ამბის თხრობას რომ მორჩა, მჭევრმეტყველური პაუზა ჩამოვარდა.

— ალბათ, ფიქრობ, ეს რა ზღაპარი მოჩმახაო, — თქვა ყმაწვილმა კაცმა, და ხმაში წყენა დაეტყო.

— არა ზღაპარი რა მოსატანია, — მიუგო გორტსბიმ მშვიდად. — მახსოვს, მეც დამემართა ეგეთი რამ ერთ უცხო სატახტო ქალაქში, და რაც უფრო აღსანიშნავია, მარტო კი არა, ორნი ვიყავით. საბედნიეროდ, გავიხსენეთ, რომ ჩვენი სასტუმრო რომელიღაც არხზე იდგა და არხს რაკი მივაგენით, მერე სასტუმროს გზის პოვნაც შევძელით.

მოსაუბრემ თავისი ამბავი რომ მოათავა, ყმაწვილ კაცს სახე გაეზადრა.

— სადმე უცხო სატახტო ქალაქში აგრერიგად არ შევწუხდებოდი, — თქვა მან. — იქ ადგები კაცი, შენი ქვეყნის კონსულს მიადგები, მიჭირს, დამეხმარეო, და ისიც ხელს გაგიმართავს. აქ კი, შენს საკუთარ ქვეყანაში, რამე ხათაბალაში გაეხვევი თუ არა, გაცილებით უფრო უმწეო ხარ. თუკი ღმერთი გამიწყრა და ვინმე ღვთისნიერ კაცს ვერ გადავეყარე, ვინც ჩემს ამბავს გაიგებდა და ცოტაოდენ ფულს მასესხებდა, ნამდვილად სანაპიროზე მომიწევს ღამის თევზა. ისე კი, მოხარული ვარ, რომ ჩემი ამბავი მაინცდამაინც დაუჯერებლად არ გეჩვენება.

თავის ბოლო შენიშვნაში მან კარგა გვარიანი სიტბო ჩართო, თითქოს იმის მიხვედრება უნდოდა, რომ გორტსბი, არცთუ ისეთ კაცად წარმოედგინა, ვისაც სხვისი ხელის აპყრობა არა სჩვეოდა.

— არ მეჩვენება, მაგრამ, — ნელა წარმოთქვა გორტსბიმ, — თქვენი ამბის სუსტი ადგილი ის არის, რომ საპნის ჩვენება არ შევიძლიათ.

ყმაწვილი კაცი წელში გასწორდა, პალტოს ჯიბეების ქექვა დაიწყო, კარგა ხანს იქეჯა და წამოხტა.

— ეტყობა, დავკარგე, — წაიბუტბუტა მან გაჯავრებულმა.

— ერთ დღეში სასტუმროსა და საპნის დაკარგვა რალაც განზრახულ გაუფრთხილებლობაზე ლაპარაკობს, — მიუგო გორტსბიმ.

მაგრამ ყმაწვილ კაცს ფრაზის დამთავრებისთვის აღარ დაუცდია. მალე აბლერილი თავითა და რამდენადმე ნაცოდვილარი კუდნავარდობით სწრაფად მიეფარა თვალს ბაღის გზა-ბილიკზე.

— ისე, კაცმა რომ თქვას, — ფიქრობდა გორტსბი, — რატომ არ შეიძლებოდა, რომ საპნის საყიდლად გამოსულიყო, რაც მთელ ამ ამბავში ერთადერთ დამაჯერებელ მომენტად ჩანს. არადა, სწორედ ამ პატარა დეტალმა უმტყუნა. გვარიანი წინდახედულება რომ ჰქონოდა და ის ერთი ცალი საპონი მართლა აღმოსჩენოდა, ისევე კოხტად შეხვეული და შეფუთული, როგორც ეს აფთიაქში იციან, თქმა არ უნდა, თავისი გამორჩეული საქმიანობის გენიოსი იქნებოდა. ამ გამორჩეულ საქმიანობაში გენიალურობა კი ის არის, რომ კაცმა სიფრთხილის განუსაზღვრელი უნარი გამოიჩინოს.

ამის გაფიქრება იყო, და გორტსბი წამოდგა, წასვლა დააპირა და უცებ შემცბარმა შეჰყვირა. მიწაზე, იქავე სკამთან, რალაც პატარა ოვალური ნაკრაული ეგდო, ისევე კოხტად გახვეული და შეფუთული, როგორც ეს აფთიაქში დახლს უკან მდგომთ იციან. არცრა სხვა რამ, საპონი იყო: ალბათ, ყმაწვილ კაცს, პალტოს ჯიბიდან მაშინ ამოუვარდა, როცა სკამზე მოწყვეტილი დაეხეყა. გორტსბი უმალ ფეხაჩქარებული გაუყვა წყვდიადში ჩაძირულ გზა-ბილიკს, რათა როგორმე დასწეოდა თხელპალტოიან ყმაწვილ კაცს. დაწევით მალე დაეწია კიდევ, მაგრამ თითქმის უარი თქვა თავის განზრახვაზე, როდესაც თავის დევნის ობიექტს მოატანა თვალი; ყმაწვილი კაცი საეტლე გზასთან იდგა და რალაც ყოყმანი ეტყობოდა, როგორც ჩანს, ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო, პირდაპირ პარკი გადაეჭრა თუ ნაიტსბრიჯის ტროტუარებს შეჰკედლებოდა და იქაურ ორომტრიალში ამოეყო თავი. როცა მან გორტსბის ძახილს მოჰკრა ყური, სწრაფად შემოტრიალდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მტრის ხმა შემოესმა და წინააღმდეგობის გაწევას აპირებსო.

— ფრიად მნიშვნელოვანი მოწმე გაჩნდა, რომელიც თქვენი ამბის ჭეშმარიტებას ადასტურებს, — უთხრა გორტსბიმ და საპონი გაუწოდა, — ალბათ, ჯიბიდან დაჯდომისას ამოგივარდათ. წამოხვედით თუ არა იმწუთას თვალში მომხვდა, ძირს ეგდო. უნდა შემინდოთ, მაპატიოთ ჩემი უჯერობა-ურწმუნოება. მაგრამ ისე, მართალი უნდა ითქვას, ყველაფერი თქვენს წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ახლა კი, ამ საპ-

ნის ჩვენებაზე დაყრდნობით, ვფიქრობ, განაჩენიც უნდა აღვასრულო. თუკი, რასაკვირველია, ერთი სოვერენის* ოდენობის სესხი რამდენადმე ხელს გაძლევთ...

ყმაწვილმა კაცმა ოქროს ფული ჩქარა იკრა ჯიბეში, თითქოს ეშინია, ემანდ ისევ რამე ეჭვი არ გაუჩნდეს და უკან არ უამბოროთვასო.

— ბარემ ეს ბარათიც გამომართვით, ჩემი მისამართისა, — განაგრძობდა გორტსბი, — ფულს რაც მალე გამომიგზავნით, მით უკეთესი, ამ საპონს კი ნულარ დაჰკარგავთ, ამან კარგი სამსახური გაგიწიათ.

— რა კარგია, რომ იპოვნეთ, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა. მერე, ელდანაკრავივით თან ხმა უწყდებოდა, რამდენიმე სამადლობელი სიტყვა წაიბურტყუნა და თავქუდმოგლეჯილი ნაიტსბრიჯის მხარეს გაეშურა.

— საწყალი ბიჭი, როგორ დაიბნა, — ჩაილაპარაკა თავისთვის გორტსბიმ — არც გასაკვირია, ეტყობა, ძალიან განიცდის გასაჭირისაგან თავის დახსნას. ჩემთვის კი კარგი გაკვეთილია: კაცმა არც ძალიან უნდა დაატანო ჭკუას ძალა და არც მარტო გარეგნობამ უნდა მოგატყუოს.

გორტსბიმ ბალის გრძელ სკამს გვერდით რომ ჩაუარა, სადაც ეს პატარა დრამა გათამაშდა, ხნიერ ჯენტლმენს შეასწრო თვალი, რაღაცას ეძებდა ხან სკამქვეშ, ხან იქავე გვერდით. გორტსბიმ თავისი ძველი მეზობელი იცნო.

— დაკარგეთ რამე, სერ? — ჰკითხა მან.

— დიახ, სერ, საპონი დამეკარგა.



* სოვერენი — ინგლისური ოქროს ფული, ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა.

იაპონური პოეზია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა დიდი მჭადიშვილმა

კი-ნო ცურაიუკი

(იაპონელი პოეტი (859-946) იაპონური პოეზიის ანთოლოგიის — „მანიესიუს“ შემდგენელი. იაპონური პოეზიის პირველი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი).

ფრაგმენტი ანთოლოგია „მანიესიუს“ წინასიტყვაობიდან

როცა უყურებ გაზაფხულის ნათელ დილას ყვავილს ფურცელი როგორ სცვი-
ვა, შემოდგომის საღამოს მწუხრში ფოთოლთცვენის ხმას როცა უსმენ, როცა წყლის
ზედაპირზე მოგდებულ თეთრ ქაფსა და ლორთქო ბალახზე დაყრილ ცვარს შეჰყუ-
რებ, როცა სიცოცხლის წარმავლობაზე ფიქრი გულს გითრთოლებს, როცა ხედავ,
ზოგნი, ჯერ კიდევ გუშინ ამაყნი და დიდებით მოსილნი, დღეს კი მახლობელთა და მე-
გობართაგან მიტოვებულნი საცოდავ სიცოცხლეს როგორ მიათრევენ, ან შემოდგო-
მაზე ჰაგის შეყვითლებულ ფოთლებს სევდიანად როცა შეჰყურებ, როცა დილა-
ლიონზე კოკორინას ფრთების თითოეულ აქნევას ითვლი, როცა ადამიანის სიცო-
ცხლეს ბამბუკის გოჯისოდენა მუხლს ადარებ, როცა სოფლის ხანმოკლეობასა და
წარმავლობაზე ფიქრი გონებას გიშფოთებს, ლექსში, მხოლოდ ლექსში ჰპოვებ
შეებასა და გულის სიტკბოებას...

სიმღერებო იამატოსი*! თქვენ ამოსული ხართ ერთი თესლიდან და თესლი იგი
გულია კაცისა... გულიდან ამოზრდილნი იშლებით და იფურჩქნებით მირიად ფუ-
რცლად ანუ მირიად სიტყვად!...

კაკინოგოტო ჰიტოგარო

(VII-VIII)

სატრფოს დატირება

(ნაგაუტა ანუ გრძელი სიმღერა)

სატრფოს მშობლიურ კუთხისაკენ,
სატრფოს სოფლისკენ —
კარუსაკენ მიფრინავენ
ცაზე ბატები...

როგორ ვნატრობდი, როგორ
მსურდა,
ნახვა მისი როგორ მეწადა!
მაგრამ, ვაი რომ

* იამატო — იაპონიის ძველი სახელწოდება.

წასვლასა და
მის გვერდით ხშირად გამოჩენას
ვეკრძალებოდი:
ხალხის თვალს კაცი განა რამეს
გამოაპარებ? —

დაგვინახავდნენ...
დაგვძრახავდნენ...
... მაისში წავალ,
ხავერდით მწვანე ბალახი
სარეცლობას გაგვიწევს-მეთქი, —
ასე ვფიქრობდი,
ის კი არა, იმედიც მქონდა,
და ამ იმედს,
როგორც დიდ ხომალდს,
თავი ჩემი ისე მივანდე...
სიყვარულს გულში ისე ვმაღავდი,
ვით უამს ავბედითს
სადღაც მთაში გადამალულ
ობოლ მარგალიტს...

მაგრამ ისე, ვით მიმწუხრისას
მზე ერთბაშად უჩინარდება,
ისე, ვით მთვარე
იმალება უცბად ღრუბლებში —
მისი სიცოცხლაც უცბად ჩაქრა,
ძირში ისე უცებ გადმსხვრა,
როგორც მალალი წყლის მცენარე;
ისე მოსწყდა წუთისოფელს
სამარადუამოდ,

როგორც ფოთოლი მეწამული
ხეს ნეკერჩხლისას!..
მისი ამბავი შიკრიკმა მამცნო —
იასპიანი შტო ეჭირა, როგორც
წესია —

და სიტყვამ მისმა,
ვით იფნის მშვილდმა,
ყურში ისე ჩამხუხუნა,
სმენა დამიხშო,
ისარივით გულში დამკოდა...
რა უნდა მეთქვა,
ან რა მექნა!
ძალა არ მქონდა,
ხალხის სიტყვა

გულთან ახლოს მიმეტანა
და
ყურად მელო...
სიყვარული კი სულ უფრო მეტად
შეძალებოდა,
სად, სად მეპოვა საღებუნო და
შვება გულისა?
ავდექი და კარუში წაველ,
იმ ბაზრობაზე,
სადაც ვხვდებოდი მე და იგი
დილდილაობით...
დიდხანს ვიყურე აქეთ-იქით,
დიდხანს ვიდექი სმენადქცეული,
მაგრამ სატრფოს ხმას, მის ტკბილ
ჭიკჭიკს

იქ,
მარგალიტის აშურმებით
დაკანშული

უნების მთიდან —
იმ მთის კალთიდან,
სატრფოს ტკბილ სიტყვას
მის ხმასაც კი ყური ვერ მოვკარ!..
ამარტის ისარს ჰგავდა გზა ჩემი,
ლარივით სწორი,
უთვალავი მგზავრებით სავსე,
მაგრამ იმ ხალხში, იმ ბრბო
ხალხში,

ვერავენ ვნახე —
მის მსგავსსაც კი ვერავის
შეევხვდი!..

მივდიოდი და
სიყვარულით სასომიხდილი
მხოლოდ მის სახელს —
საყვარელი მეუღლის სახელს
ვიმეორებდი,
ხელს ვუქნევდი,
იმედმიხდილი ჩუმად ვეძახდი...
გადაყვითლებულ გორაკებს შორის
ნეკერჩხალი წითლად ბღღვრიალებს,
ფოთლით შებორბლილ
ხშირ ტოტებში გზაც კი აღარ ჩანს!..
სადა ხარ, სადა?
უგზო-უკვლოდ ნეტავი სად
დაეხეტები —

ჩემთვის უცხო და უცნობია ეს
ბილიკები,
დავდივარ და ამაოდ გეძებ...
შკვე გასცვივდა ნეკერჩხლის ხეს
მეწამული ხშირი ფოთოლი,
აგერ შიკრიკიც —

იასპიანი შტო უჭირავს, როგორც
წესია,*
შევხედე და
იმავე წუთს ის დღეები დამიდგა
ერისწინ,
როცა ჯერ ისევ შენს გვერდში
ვიყავ...

ტ ა ნ კ ა

არიპარა ნარიპირა
(825-880)

მოვაგროვებ და გადავმალავ
მოვარდნილ ჩანჩქერს ჩამოწყვეტილ თეთრ მარგალიტებს
და მერე როცა ამ წარმავალ წუთისოფელში
ჩემს გულს მძიმე სევდა მოიცავს,
თეთრ მარგალიტებს გადმოვაფრქვევ უნათლესი
ცრემლის ნაკადად...

ლოგინში ვბორგავ, ველარც ვდგები, ველარც ვიძინებ...
ასე გავიდა მთელი ღამე, ასე გათენდა.
გაზაფხულდაო — ამ ავდარს კი ბოლო არ უჩანს,
მოწყენილი ვწევარ და ვუსმენ,
როგორ წვიმს და წვიმს...

უცნობი ავტორი
(VIII საუკუნე)

მთვარის ნათელი რომ შეაღწევს
უსიერი ტყის შუაგულში,
სად ფოთოლთ ტევრში გაუვალი იდგა წყვდიადი,
გული უცებ შეგეკუმშება და თრთოლვით იტყვი —
შემოდგომაა...

* „იასპიანი შტო უჭირავს, როგორც წესია“... — ძველად აძუსის ხის მოქნილ შტოს მიაბამდნენ იასპის თვალს, მისცემდნენ ხელში შიკრიკს და გააგზავნიდნენ განსაკუთრებული ამბის შესატყობინებლად ან მისასალმებლად.

მინამოტო სენეაჰი

(VIII საუკუნე)

●
 განთიადია, მთვარე ძლივსლა ანათებს თაგელს,
 ავი ქარი უბერავს მთიდან
 და წითელ ფოთლებს —
 მკრთალი შუქით გადათოვლილ ნეკერჩხლის ფოთლებს—
 ჰაერში ფანტავს...

ნიკატომი იაკამორი

(VIII საუკუნე)

●
 ო, მხოლოდ მაშინ, თუკი მართლაც არ არის ღმერთი,
 არ არის ღმერთი არც ცაში და არცა მიწაზე,
 ო, მხოლოდ მაშინ ვერ შევხვდებით ალბათ მე და შენ,
 ისე წამიყვანს ამქვეყნიდან
 ბედისმწერელი...

●
 ჯერ ცოცხალი ვარ,
 არ ვქცეულვარ მიწად და ფერფლად,
 შენ კი ჩემს გამო სულ წუხხარ და
 სევდით ივსები...
 სიყვარულიც აი ეს არი.

●
 ნუ, ნუ გგონია, სანატრელო, რახან გვერდით არ
 მეგულები,
 ჩემს გულში შენი სიყვარული თითქოს განელდა,
 დღე არ გავა და ღამე ისე არ გათენდება,
 შენზე ფიქრსა და ოცნებაში არ გავატარო —
 გარეშე ამის მე სიცოცხლე არ შემიძლია...

●
 როდესაც ნავით მიადგები შორეულ ნაპირს
 და შენ წინ ნისლი ჩამოწვება
 მრუმე ბინდივით,
 იცოდე ეს ჩემი ოხვრა წამოგეწია
 და ჩემი დიდი მონატრების ამბავი გამცნო...

ოტომო ტაბიტო

(665-731)

●
 ისე, ვით წერო
 კუსაკაეს უბის ლერწმებში
 დაძრწის და დაძრწის — დღენიადაგ საკვებს დაეძებს,
 მეც ასე დავალ უთვისტომო და მარტოსული
 და ერთთავად მეგობარს ვეძებ.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

●
 ამას ფიქრსა და ტვინის ჭყლეტას,
 თუნდაც წყალწყალა ღვინით სავსე ავწიოთ თასი
 და უფიქრელად
 გამოვცალოთ
 წვეთით-წვეთამდე...

პრინცესა სიკისი

(1151-1201)

●
 სებუერას ყვითელმა ფოთოლმა
 წაღეკა გზა,
 გაქრა ბილიკი,
 ჩაქრა იმედის ნაპერწკალი
 უკანასკნელი —
 არ მოვა ჩემი მეგობარი, ამაოა
 ჩემი ლოდინი...

სად ჰპოვოს სულმა ნავთსაყუდარი?
 ბინდი ერევა საღამურ ზეცას,
 გაზაფხულის უკანასკნელ დღეს
 მიაცილებს.

●
 საით წავიდე,
 სად განვერიდო წუთისოფელს,

●
 ცივი ქარი ქრის,
 სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი,
 დღე დღეების ქარავანს მისდევს —
 შემოდგომის ივსება მთვარე,
 ბაღს ოქროცურვილ ვარაყში
 ახვევს...

საიბიე პოსი

(1128-1190)

●
 მინდა იჩქარო,
 მინდა მოხვიდე,
 მინდა მეწვიო ამ ჩემს ეულ თავშესაფარში,
 მინდა იხილო ჩემი სახლის წინ გაგიყვებით როგორ
 ყვავიან
 თოვლივით თეთრად გაპენტილი ქლივრის ხეები...



ო, იმათაც კი, რომელთა გულებს
დარდი არასდროს არ ეკარება,
ო, იმათაც კი
გულს სევდით უვსებს
შემოდგომაზე ქარის პირველი სუსხიანი წამოქროლება...

გაზაფხულის წვიმიან დღეს
ბურქებზე სხედან ბულბულები,
ჩუმად ტირიან...
ბამბუკებზე ასხმული ცვარი...
იქნებ ცრემლია?

მთვარის ნათელთან
ჭრიჭინობლის ჭრიჭინთან ერთად
ისე მოვწყვეტ
ყვავილს ჰაგისას,
ნამს არ დავაქცევ...

გაზაფხულის ამ ცისფერ ნისლში
საით გაფრინდა ფარშევანგი?
ბალახის ღერიც აღარ დარჩა,
ისე გადაწვეს მთელი მინდორი,
სადაც იგი ბუდეს იგებდა...

ბარათის ბოლოს მიწერილი
მრავალწერტილი —
ჩამორჩენიან
გზად ბატები
თავისიანებს...

გაშლილი ზეცა...
აღვსების დრო დაუდგა მთვარეს
და ერთადერთი — სხვა უამრავ
გზა-ბილიკს შორის —

ღრუბლის ბილიკი აირჩია
ნიავექარმა
სახეტილოდ...

თითქოს დამდგარა ჩემს მეგზურად,
ქარს კვამლი მიაქვს ფუძის
მთისაკენ,
შორს, ზეცისაკენ მიეზიდება
და
სადღაც კარგავს...

ფუძივარა საღაიე (1166-1241)

ინათაო, —
თქვა და წავიდა,
აღიონზე მოფრენილი
თეთრი ფიფქივით
სამუდამოდ გაუჩინარდა.

რა შემოდგომის ფერი ადევს
ქანცმილეულ მაგ შენს
სიყვარულს...

დარღმა ისე წარმტაცა გული,
როგორც ფოთლიდან პაწაწა ცვარს
იტაცებს ქარი...

სასახლის ბალის ალუბლებო,
აღბათ გევსებათ გული სევდით,
როცა მიყურებთ,
უთქვენობაში
ასე უცებ როგორ დავბერდი.

ფუძივარა იბთაკა
(XII საუკუნე)



მიწას დაფენილი მეწამული ნეკერჩხლის ფოთოლი
მთებში ჩამომდგარი შემოდგომის უშქარი ღამე...
ცრის და ცრის წვიმა... შორს, შორს სადღაც ვილაცა
ჰგოდებს.

იქნებ უცალოდ დარჩენილი ფურირემია
და შეჰქვითინებს საბრალოდ ზეცას...

სიცილ-ტირლით
საკუთარ თავს ვესაუბრები.

●
თითქოს დიდი ხნის მივიწყებულ
მეგობარს შევხვდი,
სიხარულით გულს ისე ავსებს
წყლის
ეს ხმაური...

●
ისე, როგორც უცხოობაში
მშობლიურ მთებს
მთების შვილი ხშირად იგონებს,
ჟამს მოწყენისას
მეც შენ გიგონებ...

●
რა ფხიზლად სძინავს
ამ ღორთქო ბალახს
გაზაფხულის
მშფოთვარე ძილით,
კაცის თვალს როგორ ესაღბუნება!

ი ს ს ა
(1763-1828)

●
აი, მთვარემ გამოანათა
და ყველაზე პაწაწა ბუჩქი
სამეჯლისოდ მიიპატიუა.

ს ი ე ტ ე ც უ
(1381-1459)

●
სადართ შუქი ეფინება მთათა
მწვერვალებს,
მაგრამ შენ როგორ გამოიდარებ,
შენ, გულო ჩემო,
ბარად ჩამოშლილ
ამ ნისლის ფსკერზე...

●
ყური მიუგდე ქარის ხმაურს...
ფერღობებიდან ცად აშლილი ხეთა
ფოთლები
ფარფატ-ფარფატით ეშვებიან ისევ
მიწაზე —
ისევ და ისევ კვლავ ზეცაში
აიჭრებიან...
ხმაურობს ქარი!.. ქარი!..
ქარი!.. ქარი!..

ი ს ი ა ვ ა ტ ა კ უ ბ რ ა კ უ
(1885-1912)

●
ბალახებიდან კუტკალიის ისმის
ჭრიჭინი,
გზისპირა ლოდზე
სევდიანი ვზი მარტოდმარტო,

●
პატარა ბელურავ, ძმობილო,
გზიდან გადადი, გადადი გზიდან,
ხედავ, ცხენი მოგელაობს!

●
ისე შეპყვივის ხოხობი ზეცას,
ეს ვარსკვლავეთი
თითქოს პირველს აღმოეჩინოს!

●
ზამთრის ცივსა და თოვლიან ღამეს
უსახლკარო პატარა ბიჭს
ხიდის ქვეშე ~~ქვეშე~~ ~~ქვეშე~~ ~~ქვეშე~~ ~~ქვეშე~~
ზიზღილიყვინძვას

●
ნუ თელავ ბალახს,
წუხელი ღამით მაგ ბალახებში
ლხინი ჰქონდათ ციციანათელებს...

ი ს ი ო

(1653-1688)

●
სად არ ვიარე, თვალებმა ჩემმა ქვეყანაზე რა არ იხილეს
და ბოლოს ისევ თქვენთან მოვიდნენ,
ჩემო თეთრო ქრიზანთემებო...





ბებრატ შინკუბა

გაბილი ძვა

თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

5.

უსაქმოდ არასოდეს ვიყავით, მაგრამ შემოდგომაზე საზრუნავი გვიმრავლდებოდა. ამინდი თუ გაფუჭდებოდა, მაშინ ამ საზრუნავს შემფოთებაც ემატებოდა.

ერთ წელიწადს, მოსავლის აღების მიწურულში საშინელი სიცივეები დაიწყო. „დავიღუპეთ, მთელი მოსავალი გვეზარალება!“ — წუხდნენ მამა და ბიძაჩემი. ყურძენი ენანებოდათ, გადაულეებელი წვიმების გამო დაუკრეფავი რომ დარჩათ. წვიმა კი ხალხის წუხილს არად დაგიღვდათ, კოკისპირულად ასხამდა და ასხამდა.

და აი, ერთ დილას გორაკზე რომ ავიდა, ბაბუამ ისე გაიხარა, ვერ აგიწერთ. „მოდით აქ, ჩქარა, ჩქარა“ — დაუძახა შვილებს და როცა ჩივიდნენ, შორეული მთების მწვერვალები დაანახვა, — შეხედეთ, ისინი ისედაც თეთრი იყო, მაგრამ ახლა უფრო გათეთრებულა, ეტყობა, მოთოვა. ესე იგი, აქაც მალე გამოკეთდება ამინდი... ნულარ გეშინიათ, გადაგვირჩა მოსავალი. აბა, რთველისთვის მოემზადეთ, შვილებო.

ჩვენ ფაცა-ფუციით დავიწყეთ მზადება.

მამამ და ელიზბარ ძიამ პირველ რიგში გიდელებს მიხედეს, გარეთ გამოიტანეს, შეაკეთეს, შვიდი თუ რვა ახალიც მიუმატეს — ბაბუამ მოწნა. ერთმანეთზე შეწყობილი ახალი, სუფთა გიდელები თეთრად ქათქათებდნენ აივანზე... მერე კასრები დაათვალიერეს, ეზოში გამოაგორეს, სარტყლები შემოაჭედეს, მდულარე ჩაასხეს და მანამდე აჯანჯლარეს, სანამ მთლად არ მოაშორეს ღვინის სუნი. არც საწნახელი დაუტოვებიათ უგულისყუროდ, დამდულრეს, ბიჯგები შეუყენეს.

მარანში კასრების გარდა ორი ქვევრიც იყო. როგორც უკვე გითხარით ისინი ყველაზე უფრო შორეულ კუთხეში იყო ჩაფლული. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ილორის ღვთიშობელს ეძღვნებოდა, შვიდ ჩაფს იტევდა, მეორე სააღდგომოდ იყო განკუთვნილი და ცხრა ჩაფი ჩადიოდა. შემოდგომაზე დაცლილი ქვევრები ხელახლა გავსებას ელოდებოდნენ, მაგრამ ჯერ კარგად უნდა გარეცხილიყვნენ. უბრალო კას-

გაგრძელება. დასაწ., იხ. „საუნჯე“ № 3-4.

რებს რომ ექცეოდნენ ცოტა ზერელედ, აქ ისე არ გამოადგებოდათ. ქვევრები თითქოს იმის ნაწილს შეადგენდნენ, რასაც ეძღვნებოდნენ, ამიტომაც საჭიროებდნენ განსაკუთრებულ მოპყრობას. სანამ შვილები მათ ხეხვა-რეცხვას დაიწყებდნენ, ბაბუა პირველი ეახლებოდა ხოლმე ქვევრებს და გარინდებული დაიწყებდა ლოცვას: „ეკრძალოდა ახალი მოსავალი და რაკი იმაში თქვენც გიდევთ წილს, მანამდე თქვით, მოგამზადოთ“. მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ შეუდგებოდნენ მამაჩემი და ძია ელიზბარი, ბლის ხის ქერქისაგან დამზადებული გრძელტარიანი სარცხებით რეცხვას.

სულ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ბაბუამ იწინასწარმეტყველა, გამოიდარა, დათბა. „პატარა ზაფხულს“ ეძახიან ჩვენში გვიანი შემოდგომის ამ ნათელსა და წკრიალა დღეებს. სწორედ ამას ელოდებოდა ჩვენი ოჯახი, რომ ერთი საათიც არ დაეკარგათ უქმად და ყურძენი დაეკრიფათ. მაგრამ რა აზრი პქონდა ხეზე აცოცებას თუ საჭირო წესჩვეულებას არ აღვასრულებდით?! დიდი ხნის ნანატრ დღის გარიჟრაჟზე დედამ ყველაზე უკეთესი მამალი გამოიყვანა, (ბებოს სიკვდილის მერე ესეც და კიდევ ბევრი რამ დედას დაეკისრა) და იმ ხესთან მიიყვანა, საიდანაც უნდა დაეწყოთ კაცებს ყურძნის კრეფა. ლოცვაც წარმოთქვა.

აი, ასე დამამახსოვრდა ის ლოცვა:

ო, ღვთაებო, განგებაო, ყოვლად ძლიერო,
ყველა კაი კაცს შენ მიაგე სამაგიერო.
მაღალ ხეებზე შეფენილა ჩვენი მალლარი,
მძიმე მტევნებით დაყურსული და რქანაყარი.

მალლარზე გასვლა, აცოცება ზურგზე გიდელით,
საშიშიც არის, თან ლამაზიც და მიმზიდველი.
მაგრად, რტოებო, ჩემი თხოვნა ხომ გეყურებათ?
მალლარზე გასულთ შეეგებეთ საფეხურებად.

არ გაიღუნოთ, არ ჩამოტყდეთ, არ შემარცხვინოთ,
არ მოგვაქციოთ არც სატირლად, არც სასაცილოდ.
დაე, ამ ყურძნით დაიხვინოს საწნახელები,
დაე, ამ ღვინით გააიპინდეს დევის ჭურები.

ცად ადიოდეს ლურჯი კვამლი და სიმღერები,
ლხინი, სტუმარი, სადღეგრძელო იყოს უღვევი.
ჰეი, რტოებო, ჩემი თხოვნა ხომ გეყურებათ,
ყურძნის მკრეფავებს შეეშველეთ საფეხურებად.

დედამ ფეხებში მოკიდა მამალს ხელი, თავზე შემოავლო კაცებს, მერე მოიქნია და მალლა ააგდო. მამალმა ფრთების თავგანწირული და უძღური ფართხუნით ცოტა გაიფრინა და მერე უშნოდ დაეფერთხა მიწაზე. გაბრუებული, თავისუფლებით გახარებული, კრიახით ვაფარდა თავის თვისტომებთან, მაგრამ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო,

რთველის დასასრული მისი სიცოცხლის დასასრულიც იყო. მამლის დაბრაწული ფრთები და ფეხები მერთვლებს მიერთებოდათ.

სანამ მამაჩემი და ელიზბარ ძია ხეებზე დაცოცავდნენ და ყურძენს კრეფდნენ, მე ფეხი არ უნდა მომეცვალა და შემოდან ყურძნით სავსე გიდელების ჩამოშვებას დავლოდებოდი. სიმძიმისაგან აჭრიალებული გიდელების აწევით ხელები დაწყვეტილი მქონდა. მერე ჩამოვხვეტილი ვხდებოდა ამ გიდელების აწევა და ყურძნის უფრო დად გიდელებში გადაყრა და ამიტომ მოსახმარებლად რომელიმე დას მიგზავნიდნენ სოლმე. როგორც კი მზე ღრუბელს მოეფარებოდა, ხელები გვეყინებოდა, მე და ჩემი და ფიჩხს შევაგროვებდით და ცეცხლს ვაჩალებდით ნასიძინდარში დატოტვილი ხის ქვეშ.

თეთრად ქათქათებდნენ უზარმაზარი გოგრები, მე ყველაზე უფრო შემოსულს შევარჩევდი და ცეცხლთან მივიტანდი, ნაჯახით შუაზე ვავაპობდი და ღადარში ჩავფლავდი, მერე კაკლის ქვეშ ვავრბოდი და სანამ გოგრა შეიწვებოდა, ჯიბეებს კაკლით ვავიტენიდი სოლმე. მერე ცეცხლიდან დაორთქლილ წაბლისფრად შემწვარ დახეთქილ გოგრის ნაჭრებს გამოვიღებდით, გემრიელად მივირთმევდით და თან ნიგოზს ვატანდით. ელიზბარ ძია ხევიდან დაგვინახავდა, რას ვაკეთებდით და ჩამომძახებდა: „აბა, ამ გიდელიდან გასინჯე, ლაგან, თაფლზე უფრო ტკბილია.“

ხესთან მივირბენდი, პირამდე გალიცლიცებულ გიდელს გოდორში ჩავცლიდი, ჩაყოლილ ფოთლებსა და ტოტებს ვაშორებდი... ღმერთო ჩემო, რა სანახაობა იყო, მკვრივი, დამკრახული მტევნები თითქმის ერთმანეთს მიწებებოდა, დათრთვილულივით იყვნენ და ბადაგივით წვენი გასდიოდათ. ხელები გატკბილული მქონდა და საოცარი სურნელით გაბანგული ვიყავი... ახლა მე და ჩემი და გოგრას ნიგოზის გარდა ყურძენსაც ვაყოლებდით.

მინდვრები გაშიშვლდა, ბალახი მოითიბა და თივის ბულულებად დაიდგა. დაცარიელდა, გაიკრიფა ვენახები. ყველას კასრი და ჩაფი სავსეა, ბუყბუყებს მაჭარი, არაყიც ბლომადაა გამოსდილი, თანაც ისეთი მაგარი, რომ მისი სუნის ჩიტს ჩამოაგდებს ციდან. ქალებმა ვაშლის, ლელვის და მსხლის ჩირი გააკეთეს, ჯანჯუხები ამთავლეს, გარეული ბუშმალას წვენი მოიძარაგეს. კაცები ხანგამომშვებით ტყეში დადიან და წინასწარ დამზადებულ შემას ეზიდებიან, პირუტყვს უვლიან. სხვა საქმე აღარაფერია სოფელში. თუ ვინმე სტუმრებს ელოდება ან ქორწილისთვის ემზადება, არასოდეს არის ისე მშვიდად, როგორც ახლა. იცინის ყველაფერი აქვს და თუ რაიმე დააკლდება მეზობლები ან ნათესავები გაუმართავენ ხელს.

როცა მინდვრის სამუშაოები დამთავრდება, როგორც ჩვენში ამბობენ, ნაჯაფარი ეზოდან სახლში რომ გადაინაცვლებს, კერიის ახლოს, გლეხი შვეებით ამოისუნთქავს და, ჩემი თანასოფლელების თქმით, სოფლის ცხოვრების საუცხოო დრო დგება.

უქმად და გულხელდაკრეფილი არავინ არის: დანიშნული ვაჟები ცხენებს კაზმავენ და შიკრიკებს აგზავნიან, ნათესავები ნათესავების მოსანახულებლად მიდიან, მეგობრები — მეგობრებისა.

ამ მშვენიერ დროს ჩვენს სახლსაც უამრავი სტუმარი/პყავს, პირდაპირ ვერ დაითვლი. ეზოში ფუსფუსი და ყაყანი. სტუმრები შორიდანათუ ჩვენი სოფლიდან, სულერთია, ისე უნდა დახვდნენ, სრულგორც ეკადრებათ, აჭამონ, ასვან, მოასვენონ. რამდენხანსაც არ უნდა დარჩეს სტუმარი, ბაბუა სიტყვასაც არ გადაუკრავს წასვლაზე, მოისტუმრიან და კმარაო. პირიქით, ყოველ დილით ღიმილითა და საალერსო სიტყვებით ხვდება. არცერთ სტუმარს არ აკლია ჩვენთან არც საჭმელი, არც მოსასვენებელი ადგილი.

ახლა, უკან რომ ვიხედები, გასაგები და ნათელია ჩემთვის ის სიძნელეები, რომლებიც მეტიხმეტად ხშირი სტუმრიანობით ატყდებოდა ხოლმე თავს ჩვენს ოჯახს. ღირსეულად დახვედრა, დილაძღუ ფეხზე დგომა, ნაირნაირი კერძების მომზადება, გინდა თუ არ გინდა, მათთან ერთად სმა და სიმღერა, ხალისიანი უნდა იყო, ზოგჯერ უნდა გეცეკვა კიდევ. თუ საჭირო იყო, მთელი ღამე უნდა გაგერთო სტუმარი საუბრით. ოჯახში თუ რაიმე უსიამოვნებაა, ან თუ რაიმე გიჭირს, დაფარვა უნდა შეგეძლოს. ღმერთმა დაიფაროს, სტუმარმა რომ შეგატყოს. ყოველივე ამას კი მოთმინება, თავშეკავება, სინდისი და ნამუსი ჭირდება, ის კი არა და სტუმრის გულისთვის შეიძლება თავიც კი გაგეწირა.

„სტუმარი ოჯახის ბედნიერებაა“. „ერთ სტუმარს ცხრა სინარული შემოაქვს ოჯახში...“ ამ შეხედულებამ სტუმარზე, როგორც ბედნიერების მაცნეზე, საუკუნეებს გაუძლო. ჩვენი ოჯახი კი ყოველთვის პატივს სცემდა ტრადიციებს. ვერც კი წარმოვიდგენდით, ვინმე სხვაგვარად თუ ექცეოდა სტუმარს.



ერთ საღამოს რამდენიმე მეზობელი გვიანობამდე შემორჩა ჩვენთან. სანამ ისინი გავაცილეთ, სანამ დავწექით, შუალაძე გადავიდა. გარეთ კუნაპეტი ღამე იყო, ქარი წიოდა და ღმუოდა, გააფთრებული ახეთქებდა ერთმანეთს ტოტებს...

— მასპინძელი შინაა? — დაიბუხუნა ვილაცამ ჭიშკართან.

ძაღვები ყეფით წამოცვივდნენ და ჭიშკარს ეცნენ. მამა სასწრაფოდ წამოხტა ლოგინიდან, ახალუხი მოიცვა და სახლიდან გავიდა.

— შინ არის, შინ, აბა რა! — მოაღწია ჩვენამდე მამას შეძახილმა.

— აბა მასპინძელი სად უნდა იყოს?! — გაისმა ამაცურტაში ბაბუას ხმა. ბაბუა ავად იყო, მაგრამ მაინც წამოდგა, სანთელი აანთო და რის ვაი-ვაგლახით ჩაიცივა.

ელიზბარ ძიამაც ჩაირბინა კიბეები და ახლა ეზოდან ისმოდა მისი ყვირილი, ძაღვებს ამორებდა უკვე ეზოში შემოსულ მხედრებს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

— ღმერთმა სიკეთე ნუ მოუშალოს ამ სახლს, გამარჯობათ. —
მათრახების შხუილით შემოაჭენეს ცხენები სტუმრებმა და ჩამოქვეით-
დნენ. ამ დროს კოკისპირულმა წვიმამ დასცხო და უნაგირები რომ არ
დასველებულიყო, ელიზბარ ძიამ ცხენები ფარდულქვეშ შეიყვანა. დე-
დაჩემი და ჩემი დები კი ერთმანეთს უხმარებოდნენ და ნავთის ლაშქებს
ანთებდნენ ზალაში.

სწორედ იქ შემოიყვანა მამამ სტუმრები პირდაპირ ქუჩიდან.
სანამ გალუმბული სტუმრები ბოსონებსა და ნაბდებს იხდიდნენ,
ფერთხავდნენ და საკიდარზე ჰკიდებდნენ, სანამ წესრიგდებოდნენ და
სველ სახეებს იწმენდნენ, ელიზბარ ძიამ ბუხარში ცეცხლი დაანთო.
ჩქაურობა რომ განათდა, სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთი შე-
ათვალიერეს. მასპინძლები მიხვდნენ, რომ სახელოვანი სტუმრები სწვე-
ვოდნენ. ეს მათთვის უცხო არ იყო, არც სტუმრის დახვედრა უსწავლე-
ბოდათ, მაგრამ აი, ხორცის საქმე ვერ ჰქონდათ კარგად, ყველაფერი
იყო, საჭმელიც და სასმელიც ხორცის გარდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მასპინძლობას მაშინ აქვს ფასი, სწრაფად
თუ გაუმლი სტუმრებს სუფრას. მაგრამ როგორ უნდა გამოლო, თანაც
სწრაფად, ერთი ნაჭერი ხორციც თუ არ გიგდია სახლში? ყველაფერს
რომ თავი დაანებო, რაღაც ხომ უნდა დაკლა, გაატყავო, დაჩეხო, მო-
ხარშო, ნაირნაირი კერძები მოამზადო. რამდენი დროა საჭირო! არც
სტუმრები უნდა მოაწყინო საჭმელის მოლოდინში, რა იმათი ბრალია,
ასეთი უგერგილო მასპინძლები თუ დახვდნენ? ჯერ ბაბუა არ გამოსულა
და სტუმრებს არ მისალმებია, თორემ რომ გამოვა, მოსაწყენად არავის
ეცლება. რა ამბები და ზღაპრები არ იცის. ისე კი, მხოლოდ ზღაპრებით
ვერ დააპურებ სტუმარს.

ჩემი დებიდან მხოლოდ გუშკას ჰქონდა პატივსაცემ სტუმრებთან
გამოსვლის უფლება, რაკი ის ყველაზე უფროსი იყო. დანარჩენებსაც
შეეძლოთ წაუღოთ ან მოეტანათ, რასაც დაავალდებდნენ, მაგრამ ამ სა-
პატიო და საპასუხისმგებლო საქმეს ჯერ არ ანდობდნენ. ასე რომ მხო-
ლოდ გუშკამ მისწია სუფრა ბუხართან. მირბი-მორბოდა და თეფშებზე
ჯანჯუხებსა და ლედვის ჩირს, თხილსა და კაკალს აწყობდა, წვრილ-
ფეხება მალალ ჭიქებს ალაგებდა.

ამ დროს მასპინძლებს გაცხარებული მსჯელობა ჰქონდათ ამაცურ-
ტაში.

— ხეირიანად ამიხსენით, ვინ გვესტუმრა, — ეკითხებოდა ბაბუა
ვაჟიშვილებს, რომელსაც ტანთ ჩაეცვა და უკვე მზად იყო სტუმრებთან
შესახვედრად.

— ყველაზე უფროსს ჩიზმაა პაშს ეძახიან, დანარჩენები კი ალბათ
მისი მეგობრებია.

— ჩიზმაა პაში? ოო, ამ კაცს მთელი აბუყა იცნობს. მაგას ჯერ
ჩვენი პურ-მარილი არ მიუღია, სხვები?

— ქუანა და ქუქუანა ახსალბებს ვიცნობ, ორი კი უცნობია. ალბათ
ისინიც პატივსაცემი ხალხია, ქცევაზე ეტყობათ, თანაც ისეთ ხალხს
ახლავან...

— რა თქმა უნდა, ჩიზმაა პაში ყველასთან კი არ იკადრებს სია-
რულს. — ახლა მთლად გამოცოცხლდა მოხუცი.

— მეექვსეს შენც იცნობ, ჩვენი სოფლელი ლევარსია, დათას შეი-
ლი. შემთხვევით შეხვედრიან გზაში და რომ გაუგია, ჭეუანს ეძებენო,
თავისი საქმე მიუტოვებია და ამათ გამოჰყოლია.

— სწორად თუ გავიგე, შემთხვევით არ მოხვედრილან ჩვენთან.

— სწორია, — დაეთანხმა ელიზბარ ძია. ერქინეული

— მომილოცავს, შვილებო, ბედნიერებაა აქედან, რომ გვეწ-
ვია. ამას მალე ყველა ნათესავი და მეზობელი შეიტყობს. არც ძალა
დაზოგოთ, არც დრო და ისე გაუმასპინძლდით, როგორც გვეკადრება! —
ბაბუა წამოდგა და ისე გახარებული წავიდა სტუმრების შესახვედრად,
თითქოს სადღესასწაულო ლოცვაზე მიდიოდა.

ხალხი შუალამეზე წამოყარეს, ათასი საჯახირო საქმე გაუჩინეს,
უსტუმროდაც ყელამდი არიან საქმეში ჩაფლული, მაგრამ კი არ ბუზ-
ლუნობენ, პირიქით, კმაყოფილი, მხიარული და ბედნიერები არიან.

— რა ვქნათ? — მიუბრუნდა მამაჩემი ბაბუას.

— ცხვარი კი გვყავს, მაგრამ ჩიხმაა პაშს ამით გაუმასპინძლ-
დეთ? — როგორ გვეკადრება, დაწმენდილი თხა უნდა ვიშოვნოთ სად-
მე. — გარკვევით და ხმამაღლა გამოაცხადა ბაბუამ. უნდოდა, მიმხვდა-
რიყვნენ შვილები, როგორი სტუმარი ეწვიათ.

— თხა სად უნდა ვიშოვნოთ? — გაიკვირვა ელიზბარ ძიამ.

— მდარას შვილების ფარაა ჩალასთან ახლოს.

— იმათი ხომ გვმართებს უკვე, გუშინწინ რომ თხა გამოვართ-
ვით სტუმრებისთვის იმისი ვალიც არ გადაგვიხდია.

— რაც გინდა, ის ჰქენი, ოღონდ უთხოვ არ დაბრუნდე. თხის გუ-
ლისთვის ხომ არ უნდა შევრცხვეთ ხალხთან. აბა, მოახტი ცხენს, ნულარ
აჭიანურებ. — მისცა უმცროს შვილს დავალება ბაბუამ, თვითონ კი
სტუმრებისკენ გაემართა.

ელიზბარ ძიას ცხენი შეკაზმული იყო, იმ წამსვე მოეწვლო ზედ და
ეზოდან გაქუსლა.

ამ დრომ მაჩიჩი სანთლით ხელში და ჩემი დები საქათმეში შევიდ-
ნენ. ინდაურმა ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, ისე სტაცეს თავში ხელი
და გამოათრიეს. ქათმებმა კი გააწვალეს. სირცხვილი იყო სტუმრებს
ქათმების კრიახი რომ გაეგონათ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ესეც მო-
აგვარეს.

მეზობლებმა რომ გაიგეს, მოულოდნელი სტუმრები ეწვივნენო,
მოსახმარებლად მოვარდნენ. ყველას გამოუჩნდა საქმე.

მე რალა დამაწვენდა ლოგინში, როცა ამდენმა ხალხმა მოიყარა
თავი. ავდექი ჩავიცვი და ამაცურტაში წავედი. ქვეყნის ხალხი იყო,
მაგრამ ჩემთვის ვის ეცალა. ყველას ფეხებში ვედებოდი. მალე მომბე-
ზრდა აქაურობა და გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, სახ-
ლში შევმძვრალიყავი და ცალი თვალი მაინც მომეკრა სტუმრებისთ-
ვის, რომლებზეც უკვე ამდენი საოცრება მქონდა მოსმენილი. ჩუმად
ავიპარე აივანზე, კარები გამოვადე და ზალაში ვტუცე თავი. სტუმრე-
ბი ნალისებურად შემოსხდომოდნენ მრგვალ მაგიდას ბუხართან. ბაბუა
მათ პირდაპირ იჯდა, თავმჯდომარესავით. ყველანი მხიარულად იყვ-
ნენ. ორი მათგანი უკვე რალაცაზე კამათობდა. ერთს ისეთი ბოხი ბანი

ჰქონდა თითქოს არც ჭერის სიმაღლე ჰყოფნიდა და არც ოთახის სიგანე. „გეფიცები, რაკი ვთქვი, დამიჯერე, ასეა!“ — ბუბუნებდა ის, მისი ხანჯალი კი ცეცხლის ალზე ლივლივებდა.

ვიცოდი, ასეთ პატივსაცემ სტუმრებთან არ უნდა გამოვჩენილიყავი, მაგრამ ვიძეოდოვებდი, დღეს ბაბუა არ გამიბრანდებოდა და გარეთ არ გამაგდებდა. გვერდულად მივედი ბაბუასთან და მსარსუ სვეკარი.

— რას წვალობ? გეტყობა, ზღაპრის მოსმენა გინდა, არა? — თავზე გადამისვა ბაბუამ ხელი.

— შენი შვილიშვილია, ბეჟან? — ჰკითხა ბანმა, ხანჯალი რომ უღივლივებდა ცეცხლის ალზე.

— შვილიშვილია, ჩემი გვარის ერთადერთი გამგრძელებელი და იმედი. — ბაბუამ ხელი მომხვია და მუხლებშუა ჩამიყენა.

— ღმერთმა გაგიზარდოს! ასმაგად გაემრავლებინოს შენი შთამომავლობა! — გაისმა სტუმრების შეძახილები.

— მოდი ჩემთან! — თითით მიმიხმო უცხო კაცმა, განაპირას რომ იჯდა. სქელ ტუჩებზე როგორც ფლატეზე ისე ჩამოშვებოდა უღვაშები, — რა გქვია?

— ლაგანი, — ვუპასუხე ისე, რომ ბაბუას არ მოვშორებივარ. არ ვიცი რატომ და თავიდანვე არ მომეწონა ეს უღვაშა.

— ლაგანი?... ლაგანი, იატაგანი, ქარაგანი... — გაათამაშა სიტყვები უღვაშამ. — მოდი ჩემთან, მოდი-მეთქი, რალაც უნდა მოგცე, — ხელები გამომიწოდა მან.

— რატომ არ მიდიხარ, რომ გეძახიან? — შემომაბრუნა ბაბუამ და მკაცრად შემომხედა.

— არ მინდა! — მოკლედ მოვუჭერი მე.

— არა, მაინც რატომ არ გინდა?

— მაგისი უღვაშების მეშინია და იმიტომ! თოფის წამალივით იფეთქა სიცილმა.

— კაი ბიჭი დადგება შენი შვილიშვილი, ბეჟან, დამიჯერე! ხელად მიხვდა, კალტი უარს რომ არ იტყვის და ერთხელ კიდევ ზედმეტად ჩაჰკიდებს თავის უღვაშებს არყიან ჭიქაში! — ჩაიროხროსა ლაპლაპა ხანჯლიანმა.

ვერც ბაბუამ შეიკავა თავი და ჩაიხიბნითა.

მხოლოდ უღვაშა კალტი არ იყო სიცილის ხასიათზე. შავი თვალები გადმოკარკლა, გაიბურა, სუფრას ამღვრეული მზერა მოავლო, ჭიქა აიღო და არაყი გადახუნა.

გუშვამ, რომელიც სტუმრებს ემსახურებოდა, დამიძახა, — ვითომ რალაც საქმე ჰქონდა და თავის ოთახში შემიყვანა. „რა მოგივიდა, ლაგან დღეს, რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი ხომ არ უნდა თქვა!“ ჭკუა დამარიგა, მერე ამხარში წამიყვანა, ტანთ გამხადა და ლოგინში ჩამაწვინა. იმ წამსვე დამეძინა.

დილით სროლის ხმამ გამაღვიძა. ყური მივუგდე და მივხვდი, ზალაში ისროდნენ. მერე არეული სიმღერაც გავიგონე და ვილაცის ყვირილი: „აბა, მოგვეხმარეთ, აგვეყვით!“ „ურა!“

„ჰოო, იქ ხომ სტუმრები არიან! — გამახსენდა მე, — ეტყობა დაწოლას არც ფიქრობენ“. სასწრაფოდ ჩავიცვი და ეზოში გავვარდი. მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო.

აივანზე რომ ავედი, პირველად სწორედ უღვანელოდ დაგრესილი კალტი დავინახე. ნაბადში გახვეული ფიცარნაგზე, აჯღაჯღო მთავრით მოაჯირს მიყრდნობოდა, და ხელის აწევას ცდილობდა. — შიშობდა ისე მოჩანდა, თითქოს ქათმებს საკენკს უყრისო. ხელს ვერ აჩერებდა, წარამარა ქვევით უვარდებოდა. კალტი ვერაფერს ამჩნევდა გარშემო, არც მე შეევნიშნივარ. გუშინ კი საშველს არ მაძლევდა, გინდა თუ არა ერთმანეთი გავიცნოთო.

გვერდი ავუარე და ზალაში შევიხედე. თამბაქოს საშინელი სუნნი მეცა. სტუმრები მართლა არ აპირებდნენ დაწოლას. ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა. ვითომ მღეროდნენ, მაგრამ არ გამოსდიოდათ, ხმა უწყდებოდათ და ეკარგებოდათ. მართლა მაგარი ნაქეიფარი იყვნენ. ბაბუას ერთი ჭიქურის ხელიანი ჭიქა ჰქონდა, ასე ერქვა „ხელიანი“ და ახლა სწორედ ეს „ხელიანი“ გადადიოდა ხელიდან ხელში. ვისი რიგიც მოვიდოდა, ჭიქას აიღებდა, დანარჩენები კი პირში მისჩერებოდნენ და „ურას“ ძახილით ჭერს ტყვიებს უშენდნენ. მთელი ჭერი დაცხრილული იყო.

დიდხანს არ დავმტკბარვარ ამ სანახაობით, — დედაჩემმა, რომელსაც ყოველგვარი ხმაურის ეშინოდა, მით უმეტეს სროლის, მომძებნა და ხელჩაკიდებული ამაცურტაში წამიყვანა.

ნასადილევს გვარიანად დაქანცულმა სტუმრებმა, ერთმანეთს რომ ძლივს აკავებდნენ ხელით, ჩვენი ეზო დატოვეს. მათზე არანაკლებ დაღლილი დედაჩემი და ჩემი დები კი მაშინვე დალაგებას შეუდგნენ: მორეცხეს და მოხეხეს იატაკი, თავის ადგილას დადგეს მაგიდა და სკამები, მღულარეში გარეცხეს ჭურჭელი... ამასობაში დაღამდა კიდევ უკვე მოკლე დღეები იდგა.

საქმე მოათავეს და ყველანი დროზე ადრე დაწვნენ, მხოლოდ ერთზე ოცნებობდნენ: კარგად გამოეძინათ. ჩემს გარდა ხომ მთელი დღე და ღამე თვალი არავის მოუხუჭავს. ჩათვლიმეს თუ არა და ნეტარძილს მისცეს თავი, ჭიშკართან ისევ გაისმა:

— მასპინძელი შინ არის?

— შინ არის, შინ! აბა სად უნდა იყოს!

პასუხი გაიგონეს თუ არა, მწკრივად შემოლაგდნენ სტუმრები ეზოში. გაისმა მისალმებები, მათრახების ტკაცუნნი, ისევ აყუფდნენ და აწკაფწკაფდნენ ძაღლები.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

— თქვენც ნუ მოგიშალოთ სიკეთე ღმერთმა!

ჯერ ამაცურტაში ანთებენ სანთლებსა და ღამპებს, მერე სახლში, დარბაზში ისევ გიზგიზებს ბუხარი, ისევ მიჰქრის ძია ელიზბარი დაწმენდილი თხის სასესხებლად, ისევ სასწრაფოდ მზადდება საჭმელი და იწყობა სუფრა.

ასე გრძელდებოდა მუდამ, არა ერთხელ, ორჯერ თუ სამჯერ. სტუმრების მიღება ძირითადად დედაჩემს აწვა მხრებზე. დედაჩემის

ჯაფის განივთებული სახით წარმოდგენა რომ შეიძლებოდეს, ასი ცხენიც კი ვერ დაძრავდა ადგილიდან.

სალამომდე გაპოზილ ქვასთან ვთამაშობდი. შინ რომ დავბრუნდი, გავიგე ბაბუას ისევ ატკენოდა თავი და ლოგინში იწმინდებოდა.

— ვერა ხედავთ? ვკვდები, თქვენ კი გაშეშებული დასაჩინო ქვამსირი მომიყვანეთ, მამსირი! გთხოვთ! — ხან იხვეწებოდა და ხან ილანძლებოდა ბაბუა. მამაჩემი, დედაჩემი და ძია ელიზბარი თავზე დადგომოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

— მამსირი შინ არ არის და ხვალ სალამომდე არ იქნება, — მორიდებულად უთხრა ძია ელიზბარმა.

— ჰოო, მაშინ, მორჩა, დავლუპულვარ, მთლად დავლუპულვარ. არა, ამაღამ ვერ გავატან! — ისე შფოთავდა და წრიალებდა ბაბუა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო.

გათენებამდე ვისხედით მასთან, წუთითაც არ მოვცილებივართ, არც კი მივწოლილვართ. არც დიღამ მოუტანა შვება, ისევ ისე კვნესოდა და იტანჯებოდა ტკივილისგან.

სალამოს შემოვიდა ეზოში ნანატრი მამსირი. ავადაც რომ არ ყოფილიყო ვინმე, მისი მოსვლა ყოველთვის სიხარულს გვანიჭებდა, განსაკუთრებით მაშინ, აფხიარცა თუ ჰქონდა თან. ახლა კი ორმაგად გავვიხარდა მისი მობრძანება.

მამსირი ავადმყოფის სასთუმალთან მივიდა.

— რა მოგივიდა, ბეჟან?

— სისხლი მალრჩობს, თავი მისკდება, მოთმენა აღარ შემიძლია, ღვთისგულისათვის, მამსირ, სისხლი გამიღე, შენს გარდა ეს არავის შეუძლია, — მავედრებელი თვალებით ახედა ბაბუამ.

— ტაშტი მომიტანეთ, ბამბა და მაგარი არაყი! — ბრძანა მამსირმა. ჯიბიდან დაძენძილი ჭინჭი ამოიღო, რომელშიც მისი მთავარი ხელსაწყო, ძალიან პატარა ნაჯახის მსგავსი პირგალესილი იარაღი ჰქონდა გამოკრული. ყველაფერი სკამზე დააწყო. ბამბის ნაგლეჯი არყით დაასველა და დიდხანს იწმინდა ხელები, მერე ხელსაწყო გაწმინდა და ორჯერ მოავლო ალზე. მზადებას რომ მორჩა, მამსირმა ბაბუა წამოსვა საწოლში და თითებით დაუწყო ძებნა შუბლზე საჭირო ძარღვს. შუა შუბლს რომ მიუახლოვდა, თითები გაუშეშდა, ეტყობა მიაგნო, რასაც ეძებდა. თითები შუბლისთვის არ მოუშორებია, ისე მიაღო ხელსაწყო ძარღვს ფრთხილად, მარცხენა ხელით გაამაგრა, მარჯვენის შუა თითი გაჭიმა და ძალუმად დაჰკრა ხელსაწყოს ყუას. ძარღვიდან სისხლმა იფეთქა, მამსირმა ტაშტი მიუმარჯვა.

— როგორ გრძნობ თავს, ბეჟან, თავბრუ ხომ არ გესხმის?

— არა, ძვირფასო მამსირ, არა, საყვარელო, ღმერთმა გადღეგრძელოს! რა ხელი გაქვს! ნუ გენანება, გამოუშვი ეს გლახა სისხლი და უკეთესად გავხდები. — უთხრა მოცოცხლებულმა ბაბუამ.

საკმაოდ რომ გამოვიდა სისხლი, მამსირმა რაღაც შავი შინაური წამალი ამოიღო და ჭრილობას მოუსვა. სისხლი გაჩერდა. ბაბუა დაწვა და მალე ჩაეძინა.

თუ სისხლისგაღება კარგად გამოვიდოდა, ბაბუა მეორე დღესვე გამოჯანმრთელდებოდა. ჩაიცვამდა, ეზოში გამოვიდოდა და მუშაობას დაიწყო. მაგრამ ყოველთვის ასე იოლად როდი გამოდიოდა საქმე. ზოგჯერ მამსირი საჭირო ძარღვს ვერ პოულობდა, რთგორც თითონ ამბობდა, ემალებოდა ძარღვი, ზოგჯერ კი ზუსტად ვერც იპოვებოდა. თითს იარაღს, ისიც ასხლტებოდა და ოდნავ კანტარულს ამიტომ ცუდად გამოდიოდა სისხლი და ბაბუა ისევ ლოგინში რჩებოდა თავის ტკივილთან ერთად. ასეთ დროს მამსირი, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, რამდენიმე დღე არ შორდებოდა ბაბუას საწოლს.

სისხლის გაღება კარგად თუ გამოვიდოდა და ბაბუას მაინც არ მოეშვებოდა ტკივილი, ისევ მამსირი მოჰყავდათ საშველად.

— ვერ მიშველა, მამსირ, შენმა აქიმობამ და იქნებ შენმა მუსიკამ მიშველოს. დაუკარი რამე, ჰანგებით დაძიმშივიდე სული.

— სწორი ხარ, ბეჟან, სწორი, ჩემი იარაღი ძველ სისხლს უშველს, აფხიარცა კი ახალს ჩაგისხამს, — უპასუხებდა მამსირი და მუხლებშია ჩაიდგამდა აფხიარცას. — აბა, რისი მოსმენა გინდა?

— გახსოვს, მამსირ, ის ღამე, ორი ოჯახი, აბაგმა და ახსალბა რომ შევარიგეთ ერთმანეთს? მოსისხლე მტრები იყვნენ. მაშინ რომ დაუკარი ის სიმღერა დღემდე არ დამვიწყნია. სესრიყვაზე იყო, სამწუხაროდ რა ერქვა, არ მახსოვს... თუ მიხვდი, რომელ სიმღერაზე გეუბნები, დაუკარი!

მამსირი საწოლთან მისწევდა სკამს და დაკვრას დაიწყო, მერე კი ხმას ააყოლებდა. ერთხელ მაინც რომ მოესმინა ვინმეს ეს სიმღერა, სამუდამოდ დატყვევებული იქნებოდა. დაინახავდნენ თუ არა მამსირს აფხიარცით, მიუსხდებოდნენ გვერდით და საშველს არ აძლევდნენ ერთხელ კიდევ გვიმღერე ის სიმღერაო.

— ვერა, ჩემო კარგებო, ვერა. მეც ხომ ადამიანი ვარ, მეც გულს მიკუმშავს ეს სიმღერა! — ყოველთვის ერთი და იგივეს ამბობდა მამსირი, მაგრამ რომ აღარ დაეხსნებოდნენ, საშველს რომ აღარ მისცემდნენ, მეტი რა ჩარა ჰქონდა, დათანხმდებოდა. სიმღერას „სასრიყვა და მისი ჩრდილი ჰქვია“.

ო, სასრიყვა, სასრიყვა, საშინელების მხილველო,

შენი ქოჩორი გაზაფხულის ბალახზე უფრო ნაზი იყო.

ჭაბუკი იყავი და ჭაბუკადვე დარჩი მარად.

მიდიოდა ერთხელ სასრიყვა ტრიალ ველზე,

სადაც არც ხე იყო და არც ბუჩქი,

მხოლოდ მზე დანათოდა დედამიწას ცის ტატნობიდან.

უცბად იელვა და შუადღე ჩამობნელდა,

დაიქუხა და მიწა შეტორტმანდა.

ნარტი გაირინდა, მიმოიხედა, უღრუბლო იყო ცა.

ისევ ჩახჩახებდა მზე, მომეჩვენაო, ალბათ.

უცბად გაისმა ხმა, კაცმა არ იცოდა, ვისი და საიდან.

— ნუ გიკვირს ნარტთაგან უმრწამესო, ეს შემთხვევითი როდია, მოემზადე, ახლა ბედისწერის ხმას გაიგონებ.

გაუკვირდა სასრიყვას და მრისხანედ მიმოიხედა,

— ვინ მოიფიქრა ჩემი გამასხარება?
მიმოიხედა და პოი, საოცრება!

ჩრდილი, თავისავე ჩრდილი ესაუბრებოდა ცოცხალივით.

— იცოდე, სასრიყვა, ამ ქვეყნად არც ძმა და არც მეგობარი არ გაგაჩნია,



შენი ცხეხიცი კი შენს ძმებზე ერთგულია.

— ჭირსაც წაუღიხარ და ენაც დაგდუმებია,
მუდამ თან დამსდევ და განა არ იცი, რომ
ასი ძმა ვართ და ერთმანეთისთვის თავს გავწირავთ?

— ვიცი, რომ ასი ხართ, მაგრამ არა გყავს ნამდვილი მეგობარი.
დრო მოვა და მტრად გექცევიან ისინი,
ვინც დღეს ძმებად მიგაჩნია.

იცოდე ნარტებს ჩრდილივით დასდევთ წყევლა-კრულვა.

გული გაიმაგრე და მოთმინება იქონიე, მისმინე:

... იმათ დამოყვრებოდნენ, ვისაც მათთვის უბედურება მოაქვთ.

მეგობრები უბოროტეს მტრებად მიაჩნდეთ,
მათთან ერთად იბადებოდეს შური და ბოღმა,
ნარტთა შორის საუკეთესოს უღირსი დასცინოდეს,
უპატიოსნო პატიოსნებს მბრძანებლობდეს,
მათი ჯიში აღარ მრავლდებოდეს, ვინც დაბადებულა,
ერთმანეთს კლავდნენ და სისხლში აღრჩობდნენ.“

— გაჩუმდი ჩემო ჩრდილო! ძმებს შორის შულს აგდებ?

აი შენ, მიიღე სანაცვლოდ, გაცეცხლდა სასრიყვა
და ჩრდილს მახვილი მოუქნია.

ისევ დააბნელა ელვამ კაშკაშა შუადღე,

ისევ დაიქუხა და მიწა შეზანხარდა.

ცა მძიმე ღრუბლებმა გადააშავა.

ჩამოწოლილ სიბნელეში გაქრა ჩრდილი.

ბრუნდებოდა სასრიყვა სახლში,

მოდითა დარდითა და იჭვით სავსე,

მოდითა ტრიალსა და ნაღვლიან ველზე,

ვინ დაუჯერებს, რაც დღეს იხილა და მოისმინა.

„საკუთარმა ჩრდილმა შეაშინა დევგმირი?“ —

იტყვიან ძმები და დასცინებენ.

დედა შეიბრალებს და ღიმილით იტყვის:

„ოჰ, ჩემო ბიჭო, ალბათ მზემ დაგაცხუნა,

გონს მოეგე, განა ჩრდილს ლაპარაკი შეუძლია?

და მოაბიჯებს სასრიყვა, სავსე დარდითა და ძრწოლვით აღვსილი.

მოაბიჯებს სასრიყვა ტრიალსა და ნაღვლიან ველზე.

მამსირი მაშინ სამოცდაათი წლის იყო. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ღონიერი თმა და მოკლე, პატარა წვერი ხშირი და მბზინვარე აქონდა. ერთი ღერი თეთრიც არ ერია. ტანდაბალი იყო, ბაბუაზე ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა, სამაგიეროდ ჩასკვნილი და ძვალმსხვილი.

გახლდათ. მუხასავით ძლიერი და დაკოჟრილი. დიდი ნახშირით შავი თვალებით ისე გიყურებდა თითქოს რაღაც უნდა გკითხოსო და შენც ამ შეკითხვას ელოდებოდი გაოგნებული. ის კი თავიდან ფეხებამდე გზომავდა, მერე ეშმაკურად აუციმციმდებოდა თვალები. ვინც მამსირს არ იცნობდა, შეიძლება გაბრაზებულიყო კიდევც, ეს კაცო მასხრად ხომ არ მიგდებსო, — ეფიქრა.

„როგორ ხარ მამსირ, როგორ მიდის შენი საქმეებიო“ — თუ ჰკითხავდნენ, ღიმილით უბასუხებდა: „ჩემს აფხარცას ჰკითხეთ, ის უკეთესად მოგიყვებათ, ამას ორი ენა აქვს, მე კი — ერთი“.

მემკვიდრე არ ჰყავდა მამსირს. ცხოვრობდა თავის ბებრუხანასთან ერთად ცარიელ, გამოყრუებულ სახლში. თითქმის მთელი ცხოვრება მთაში გაატარა, თხებს მწყემსავდა. ალბათ სიბერეშიც იმიტომ შემორჩა ამ ცხოველების სიყვარული. ერთი ათიოდე თხა ისევ ჰყავდა. მხარზე წალდგადებული გარეკავდა და ხვდებოდა ხოლმე თავის ღარიბულ არვეს.

მამსირი დედაჩემს ბიძად ეკუთვნოდა დედის მხრიდან. ამიტომაც დადიოდა დედა ხშირად მის მოსანახულებლად. ზოგჯერ მეც თან მივყავდი.

სახლს რომ მივუახლოვდებოდი, ვშეშდებოდი, გაკვირვებული ვაშტერდებოდი კარების გვერდით მიჭედებულ ირმის დატოტვილ რქას. შიგ რომ შევიდოდი, მაშინ ხომ პირს ველარ ვკუშავდი გაოცებისგან. მთელი ოთახი ნადირის ტყავებით იყო მოფენილი. კუთხეებში კვერნების ფუმფულა კუდებიანი ტყავები ეკიდა, საწოლის თავზე ოქროსფერ რქიანი გარეული თხის ტყავი მიეჭედებინა. იატაკზე დათვის ტყავები დაეგოთ, ერთს თეთრი საყულო ჰქონდა, მეორე სულ შავი იყო... მოჯადოებული გადავდიოდი ერთი ტყავიდან მეორეზე, ხელს ვუსვამდი, ვეფერებოდი. ჩვეულებრივი გლეხის ოჯახში კი არა, მეგონა, თვით ტყის ღმერთის, აჟვეიპშას სამყოფელში დავაბიჯებდი, გარეული ცხოველების მბრძანებლის სამყოფელში, ვისზეც მამსირი მიაშობდა ხოლმე. ის ისე მალალ მთებში ცხოვრობსო, მეუბნებოდა მამსირი, რომ იქ ვერცერთი ადამიანი ვერ აღწევსო. სასახლე მხეცების ძვლებისა და რქებისაგან აქვს აშენებული და გარედან სულ ტყავები აქვს აკრულიო.

მამსირს კედელზე არჩვის ტყავის გვერდით იარაღი ეკიდა: ერთ მხარეს ხანჯალი და ხმალი, მეორე მხარეს — აფხაზური კაჟიანი თოფი შალითით. „ალბათ ამით დახოცა ამდენი ნადირი“ — მოწიწებით ვფიქრობდი მე. მასპინძელი ატყობდა მისი ყმაწვილი სტუმარი თვალს რომ ვერ ვაცილებდი თოფს. ლურსმნიდან ჩამოხსნიდა, შალითიდან ამოიღებდა, კარების ახლოს მივიდოდა სინათლესთან, მეც მიმიხმობდა და თოფზე ნაჭდევებს მაჩვენებდა, რაც აფხაზების ჩვეულების მიხედვით დახოცილ ნადირს აღნიშნავდა. მთელი თოფი ამ ნაჭდევებით იყო აჭრელებული ლულიდან კონდახამდე. თითქოს ასოებიანო, ისე მიკითხავდა მამსირი ნაჭდევებზე თავის მონადირულ მოთხრობას: მოკლე ხაზი ფურ-ირემია, გრძელი — შველი, ეს არჩვია ან ჯიხვი, ერთი წერტილიდან გამოსული სამი ხაზი ხარ-ირემია.

— მგლები და დათვები არა მაქვს აღნიშნული, ისინი სათვალავში არ არიან იმიტომ, რომ მტაცებლები არიან, მტაცებელი ცხოველები კი აუვეიპშას ფარაში არ შედიან, — ამიხსნა მან.

ეს წინათ იყო, ახლა კი შალთაში ჩადებული მისი თოფი უქმად ეკიდა კედელზე. ის აფხიარცამ შეუცვალა მამსირს. მე თითონ შევსწრებოდი, როგორ მოდიოდა ხალხი და ეხვეწებოდა: „წავაყუფო, წავაყუფო, წავაყუფო, წავაყუფო“, ზოგჯერ მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ.

როგორც მახსოვს, მამსირს სულ მუდამ ეს აფხიარცა ჰქონდა, გაშავებული, თითქოს გამჭვარტლული ჟამთა სვლისაგან. მხოლოდ ცხენის ძუისგან დაწნულ სიმებს უცვლიდა ხოლმე. „ამ აფხიარცაში ჩემი სულია“, უყვარდა მამსირს ამის ხშირად თქმა და საბაბიც ჰქონდა.

მამსირი ბაბუაჩემივით იმ მცირერიცხოვან აფხაზებს ეკუთვნოდა, მაჰაჯირობას რომ გადაურჩნენ, ვინც „მაჰმადიაზე“ არ ავიდა. ამ ცოდვით სავსე გემით თითქმის მთელი ჩვენი ხალხი გადაიყვანეს თურქეთში. მამსირი უკანასკნელ წუთს გამოიქცა მოხუც დედასთან ერთად და შინ დაბრუნდა.

— მოვდივართ მე და დედაჩემი სანაპიროთი, კენჭებზე... — იხსენებდა მამსირი, როგორ იპოვნა აფხიარცა, — უცბად ვხედავ გამხმარ ბუჩქზე ჩამოკიდებულა და ქარი აქანავებს. ალბათ რომელიმე გემზე ასულთაგანმა ჩამოკიდა, იფიქრა: ჩემი სხეული სადაც არ უნდა იყოს სული მაინც აქ დარჩებაო. ხოლო სადაც სულია, სიმღერაც იქ არის. აი, იმ დღიდან ტირის ეს ჩემ ხელებში. ჩემს უბედობასაც დასტირის და იმათსაც, ვინც უცხო მხარეს გადახვეწეს. ამ დროს მამსირი მუხლებს მოუჭერდა აფხიარცას და ხემით აათრთოლებდა მის სიმებს.

ხშირად დიდხანს ვათვალიერებდი ხოლმე მამსირის გვერდზე ჩამოკიდებულ აფხიარცას, შეხება მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ჩემს წვალებას რომ შენიშნავდა მამსირი, წინ დამიყენებდა, ქამრიდან ჩამოიხსნიდა აფხიარცას, ხელში ატრიალებდა და ყოველი მხრიდან მიჩვენებდა.

— ამ საკრავს, ლავან, შემთხვევით არ ჰქვია აფხიარცა, — შეუბნებოდა თავისი ამღერებული ხმით და მიხსნიდა, საიდან წარმოიშვა ეს სახელი. ავიწყდებოდა, ბევრჯერ რომ ჰქონდა ეს მონათხრობი. — დიდი ხნის წინათ, როცა შუბებითა და ისრებით იბრძოდნენ, მეომრებიდან ყველაზე უშიშარსა და შეუდრეკელს ირჩევდნენ. მას „ფხიარცა“ ანუ „წინმაგალი“ ერქვა. ეს განწირული კაცი იყო. როცა მეომრები მტერს ვერ სძლევდნენ, ის წინ გამოვიდოდა, აფხიარცას გულზე მიიდებდა და საომარ სიმღერას იწყებდა:

ამ სიმღერით მიდიოდა ის მტრისა და სიკვდილის შესახვედრად. მისი სიმღერით გამხნევებული ლაშქარი უკან მიჰყვებოდა როგორც მედროშეს, მტერს ეკვეთებოდა და ბრძოლაში ებმებოდა.

ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ აფხაზეთს მტრის ურდოები დასხმიან თავს. შავსახიანები ყოფილან, ბოროტი და გაუმაძღრები.

სვაფებივით არაფერი ეზიზღებოდათ, მშვიერი მგლებივით ღვრიდნენ სისხლს. აფხაზები შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს თავგანწირულ და გადამწყვეტ ბრძოლაში. როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ საშინელი დანაკარგი განიცადა. არავინ იცოდა, რომელი რომელს სძლევდა... ამ დროს ჩვენი რიგებიდან ფხიაცა გამოვიდა და პირდაპირ მტრის რიგებისკენ გაემართა. მკერდზე მიხუტებული აფხიარცა მტრის რაკრაკებს სიმღერა... მტერმა შენიშნა, ვილაც რომ უახლოვდებოდათ და ასობით ისარმა გაიზუზუნა მისკენ. მომღერალი არ დაცემულა, არც შეჩერებულა და არც სიმღერა შეუწყვეტია. პატრონივით დაცხრილული აფხიარცა კი უფრო ხმაძალლა ამღერდა. „არა, ეს კაცი კი არა, ეშმაა“ — შეშინდნენ მტრები და დაფრთხნენ, სულიერად დაეცნენ. ამ არეულობით ისარგებლეს აფხაზებმა, წინ გაიჭრნენ და მტრის რაზმი გაანადგურეს. ვინც დახოცეს, დახოცეს, ვინც არა და ტყვეებად წამოასხეს. მოდიან გამარჯვებულები, მოაბიჯებენ განგმირული მეომრებით მოთესილ ველზე და უცბად თითქოს მიწიდან აფხიარცას მოგუდული ხმა შემოესმათ. დაიწყეს ძებნა და ფხიაცას მიაგნეს. ოცდაათზე მეტი ისარი ჰქონდა გარჭობილი ტანში, სისხლისგან იცლებოდა, კვდებოდა, უგონოდ იყო, მაგრამ ცალ უკვე გაშეშებულ ხელში მაინც ეჭირა აფხიარცა, მეორე ხელი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ისევ უსგამდა ხიმს სიმებს.



„როგორი კარგიც არ უნდა ყოფილიყო ეს სიმღერები და თქმულებები, ასეთი პატარა ბიჭი როგორ დაიხსოვებდა, მით უმეტეს, თუ ერთხელ ჰქონდა მოსმენილი? დავუშვათ, დაიხსომა კიდევ, როგორ უნდა შემოენახა აქამდე მესხიერებას? მესხიერებაც ხომ ისევე ჩლუნგდება დროთა განმავლობაში, როგორც სმენა და მხედველობა?“ ასეთი იჭვები შეიძლება ყველას გაუჩნდეს, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს. არა, ძმობილო, — გაიფიქრებს გამოცდილი მკითხველი, — აქ რაღაც ისე არაა, შენ მე ვერ გამაცურებ!

რაში მჭირდება იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ეს სიმღერა და თქმულება? წყურვილის მომკვლელი პირველი წყაროს უტკბილესი გემო დიდხანს გრჩება ტურებზე, მაგრამ განა მხოლოდ იმ წყაროს გემო გიგემნია? ბევრჯერ დაწაფებისარ წყაროებს მწყურვალე, მაგრამ განა ყველას გაიხსენებ? არა მგონია. ასეა ხალხური სიმღერებიც. ოდესღაც თითო-თითოჯერ მომისმენია ისინი, მაგრამ შემდეგშიც რამდენჯერ აულერებულან კვლავ ჩემს ირგვლივ და თვით ჩემშიც?! რამდენჯერ დავბრუნებულვარ მათთან, რამდენჯერ მომისმენია ეს სიმღერები ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე. მე კი არ ვიხსოვებდი, თითონ შემოდდიოდნენ ჩემში, სულს მივსებდნენ და ჩემ სისხლად და ხორცად იქცნენ. ზოგჯერ ბუნდოვნად გამახსენდება რომელიმე პანგი და წარმოდგენა არა მაქვს სად, როდის მომისმენია, არადა, მგონია, აი, სადაცაა გამახსენდება და წავილილინებ. რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაც მომეხმარა, შემომენახა გაგონილი. ჯერ კიდევ მოწაფე

ძველი საეკლესიო წიგნის თუნუქის ყდაში ჩასმულ რვეულში ვიწვრ-
დი ხალხში მოსმენილ სიმღერებს, თქმულებებსა და შაირებს. ახლა რო-
გორც ძვირფას განძს ისე დაფიქრებულად ზედ. არც მესხიერებაში ჩამრ-
ჩენია ცოტა რამ. ისე რომ რვეული რომ დამეკარგოს კიდევ, ბევრ
რაიმეს აღვიდგენ. რაც უფრო ვულრმავდები ბავშვობის წლებს, მით
უფრო ხშირად ვაწყდები ჩვენი სიმღერების მარგალიტებს და მწერ-
ვალ-მარცვალ ვკენკავ ვილაცებისგან გაფანტულ ამ საუნჯეს.

VI

— მე ქალაქში მივდივარ! — ვტრახახობ დებთან. უსაზღვროდ
მიხარია. მოკლე ჩოხასა და ტყავის უძიროებში გამოწყობილი, თავზე
ბოხობმოგდებული ყინჩად ვდგავარ შუა ეზოში.

დები შურით მიყურებენ, თან ჩემ სინარულსაც იზიარებენ.

— წარმოგვიდგენია, რამდენ რამეს ნახავ! მარტო ზღვა რად
ღირს... კენჭები მიგაქვს ზღვაში ჩასაყრელად?

— აბა, რა! — ჯიბეები მიჩხრიალებს.

როცა ჩვენი ოჯახიდან ვინმე შორს მიემგზავრება ქალაქში ან
ზღვაზე, ბაბუა მოუსვენრად წრიალებს ეზოში: ეშინია, რომელიმე უწ-
მინდურმა არ გადაგვირბინოს წინ. მამაჩემი კი მგზავრებს ეზოს გარეთ
სვდება. როგორც გითხარით, ყველაზე უფრო იღბლიანად და კარგი
ფეხისადაა მიჩნეული, მაგრამ რაკი დღეს თითონ მამაჩემი მიემგზავრე-
ბა, მისი მოვალეობა ბაბუას აკისრია.

— აბა, კეთილი მგზავრობა, თავს გაუფრთხილდით! — გვაცვილებს
ბაბუა და ჭიშკარს გვიღებს.

მძიმედ, ჭრიჭინით იძვრის ურემი. ისეა სიმინდით დატვირთული,
კამეჩები ძლივს ეწევიან. ერთადერთი ფქვილიანი ტომარა გვიღევს სულ
ძალა. მხოლოდ ის მიგვაქვს გასაყიდად, დანარჩენი საზოგადოა, თანა-
სოფლელების შეგროვილი. მახსოვს, იმ დღეებში მხოლოდ იმაზე ლა-
პარაკობდნენ, როგორ შიმშილობდა რუსეთი. დედაჩემის ძმა თანასი
სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. ერთ საღამოს მთელი
სოფელი შეკრიბა და აცნობა: აფხაზეთი ეხმარება გასაჭირში მყოფ
რუსეთსო. „მე მგონი, — თქვა მან ბოლოს, — არც თქვენ იძუნწებთ
ასეთი საქმისთვის და უკან არ დაიხევთ“. „რომელ სიძუნწეზეა ლაპარაკი,
როცა ძმები შიმშილობენ“, — უპასუხეს გლეხებმა, — „უფრო მაგრად
შემოვიჭიროთ ქამრები და რაცა გვაქვს ის ვუწილადოთ!“

იმავე ღამეს დაიწყეს სიმინდის ჩაბარება. ვისაც რამდენი შეეძლო,
იმდენს აბარებდა. შეგროვილი სიმინდი ოჩამჩირეში უნდა წაეღოთ.
მამაჩემი, ბიდა და კიდევ ერთი კაცი დაიბარეს.

ნავახშმევს მთელი ჩვენი ოჯახი ამაყურტაში დარჩა.

— რაკი მიდიხართ, — მიუბრუნდა ბაბუა მამაჩემს, — ბარემ
პროკოფისთანაც შეიარეთ. ბოლოს და ბოლოს, მოთხოვეთ ჩვენი ვალი.
ორჯერ დამპირდა, დაგიბრუნებო და აქამდე კაპიკიც არ მოუცია. არ ვი-

ცი, რა დაემართა. როგორც მახსოვს, წინათ ასეთ რამეს არ კადრულობდა.

პროკოფი ოჩამჩირელი წვრილი ვაჭარი იყო. წინა წელს მთელი ჩვენი თამბაქო და სიძინდის ნაწილი იყიდა, მაგრამ გადახდით არ გადაუხდია. ჩვენ კი ყელამდე ვალებში ვიყავით. გოგონებმა უნებოდნენ ტანსაცმელი ჭირდებოდათ. ასევე საჭირო იყო ქსოვილი, ხალხებისა და ლეიბებისთვის. ცოტა რამაა ისეთი, რასაც გლები უფულოდ ვერ შეიძენს?

რაკი იმედოვნებდნენ, რომ პროკოფი ამჯერად ვალს დაგვიბრუნებდა და აუცილებელ რალაცეებს ვიყიდით, გადაწყდა, დედაც წაყოლოდა მამას ქალაქში.

ახლა ის მამას ებაასებოდა, რომელიც კამეჩებს მიუძღოდა წინა ქვაფენილზე. ქვაფენილმა გამახსენა! აქამდე თიხიან სოფლის შარავანს ვიყავი მიჩვეული, მტვერში რომ ეფლობა ბორბლები და თითქმის უხმაუროდ, რბილად, რწევა-რწევით მიდის ურემი. ახლა კი ბრაახა-ბრუსი, ჭრიჭინი და ბრაგუნი შესმოდა. ჩვენს უკან კიდევ ორი ურემი მოხრიგინობდა. აბა წარმოიდგინეთ, რა ხმაურით მიდიოდა ჩვენი ქარავანი, ათ ვერსზე გაიგონებდა კაცი.

ჩვენს უკან ბიდას ურემი მოდიოდა. ის ფეხებმოკეცილი იჯდა და ოხუნჯობით ართობდა ყველას. ის რომ არა, დამქანცველი გზა ბოლოს მოგვიღებდა. შერე იმასაც მოსწყინდა ხუმრობა და გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის, ურმული წაიღიღინა.

თითქოს ბიდასაც მოერია ძილი, თითქოს ისიც დაქანცა გზამ; ხმა მოეგუდა, ჩაუქრა და ბოლოს, ქვიშაში გამქრალ მდინარესავით დაეკარგა... ახლა აღარ იჯდა ბიდა, ფეხზე წამომდგარიყო და ამ უხარმაზარი კაცის შემყურე გაოცდებოდათ, ნეტავ ურემი როგორ უძლებსო. ქამარზე კარგა მოზრდილი ხმლის ხელა შავ ქარქაშიანი ხანჯალი ეკიდა. წელში რომ იხრებოდა, ბიდა ხანჯლის ტარს ჩასჭიდებდა ხოლმე ხელს. წკნელი კი რომლითაც კამეჩებს ერეკებოდა, ჭოკზე ნაკლები არ იყო.

— რას იტყვით, წახემსება ხომ არ გვაწყენდა, ა? — შემოგვთავაზა ბიდამ თანამგზავრებს და ზევიდან გადმოგვხედა.

— რას ამბობ, ჯერ ისევ ჩვენი მამლების ყივილი გვესმის და შენ უკვე მოგშივდა? — გაიცინეს დანარჩენებმა.

— თქვენი ნებაა... — ბიდა წინარაზე ჩამოჯდა. მოწნულ ძარაზე ჩამოვიდებულ ტომსიკაში ხელი ჩაჰყო, ჭადი და ხახვი ამოიღო და ისე გემრიელად დაახვია, რომ ნერწყვი მომადგა. შებინდებისას ჩვენი ქარავანი მოქვას ხის ხიდს რომ მიადგა, ცოტა ხნით შევისვენეთ. კამეჩებს უღლები ავსხენით, მდინარესთან ჩავრეკეთ და დავარწყულეთ. ბიდამ ხელი ჩამკიდა და ხიდზე გადამიყვანა. ჩემთვის ეს ხიდი ყველაზე უფრო დიდი ხიდი იყო მთელ მსოფლიოში და იქიდან წყალში რომ გადავიხედე, თვალი დამიბნელდა. ხიდი გადავიარეთ და სოხუმისკენ მიმავალ გზას დავადექით. გზის ორივე მხარეს ბოძები იყო ჩამწკრივებული.

— ეს ტელეფონია, ეს ტელეგრაფი, — ბოძებზე მითითებდა და მიხსნიდა ბიდა. — ოჰ, შენ არ იცი რა არის ტელეფონი? უბრალო რამეა. ვთქვათ სოხუმის რომელიმე უფროსს მოუნდა ოჩამჩირელ უფროსთან ლაპარაკი, მივა მაგიდასთან, რომელზეც უთოს მაგვარი რალაც

დვას, ახლის თაფს, მიიღებს ლოყაზე და ლაპარაკობს, ოჩამჩირელი უფროსი კი რომელიც მავთულის მეორე მხარესაა, უპასუხებს — მესმისო. არადა, მართლა ესმის! აი, ისე, როგორც შენ გესმის ახლა ჩემი.

ბიდა კიდევ დიდხანს მიხსნიდა, მაგრამ ვერაფრით გავიგე, რა/ეშ-მაკი იყო ეს ტელეფონი, თუმცა მავთულები ფოლადისებური წერილით ჩურჩულებდნენ, მიაქროლებდნენ ადამიანის ხმას. მავთულებზე ისე ჩამომსდარიყვნენ ჩიტები, თითქოს იმ ორი უფროსის საუბარს უსმენენო.

კამეჩები ურემში შევებით და ისევ გავუყევით გზას. ახიხკირას გორაზე რომ ავედით, უკვე მაგრად ბნელოდა.

— შეხედე, ლაგან, აი, ოჩამჩირის სინათლეები, — მითხრა დედამ და წინ გაიშვირა ხელი.

გავიხედე და შორს, ქვევით უამრავი სინათლე დავინახე. ისინი ცაცახებდნენ, ერთმანეთს უერთდებოდნენ, ერთმანეთში გადადიოდნენ და თითქოს მთებზე მიფოფხავდნენ. მსგავსი რამ არასოდეს მინახავს.

ჩვენი ურემები კი მილოლაფდნენ და მილოლაფდნენ. მდინარე აძიკვა რომ გადავიარეთ, გზატკეცილი მივატოვეთ და პირდაპირ მინდორზე გავედით. აქა-იქ კოცონები ენთო. კოცონების გარშემო ურემები, კამეჩები და ხალხი გაყურსულიყო გათენების მოლოდინში. ცისკარზე ყველანი ფეხზე წამოიშლებიან და დაუხეთავი ბორბლების ყურისწამლები შრიალით ქალაქისკენ გაუყვებიან გზას, მტვრით დაბინდავენ აისს. ჩვენც გავჩერდით, კამეჩები ავუშვით და მივწექით. ზღვის ხმაური გავიგონე, დელავდა, მაგრამ სიშორის გამო მშვიდი ხმალა აღწევდა ჩვენამდე. მინდოდა ზღვა დამენახა და თვალებს ვქაჩავდი, მაგრამ გარშემო კუნაპეტი დამე იდგა. ერთადერთხელ გამოძვრა მთვარე ღრუბლებიდან, ერთი წამით გაანათა მიწაც და ზღვაც და მისმა ანარეკლმა მოჭირსლულ გზასავით გაირბინა წყალზე. მე ნაბადი დავიგე და ურემთან მივწექი. ცის პატარა მოწმენდილ ნაგლეჯს მივჩერებოდი და ვერა და ვერ ვიძინებდი. მთელი ტანით ვგროძნობდი, როგორ ახანზარებდა მიწას ნაპირზე მოხეთქებული უზარმაზარი ტალღები. ზღვის მოქცევის ჩხრიალში იკარგებოდა ჭაობიდან მოღწეული ლელის ლერწმის მოცახცახე შრიალი, ქალაქიდან მოფრენილი ძლივს გასავონი სიმღერა...

ჩამაჭყიტა თუ არა მზემ თვალებში, მაშინვე წამოვხტი. დედა დიდი ხნის ამდგარი იყო, ჩემ გაღვიძებას ელოდებოდა. კაცებს კამეჩები გაერეკათ დასარწყულვებლად. ჩვენც მათკენ წავედით. მოვდიოდი და თვალს ვერ ვაშორებდი წინ უკიდევანოდ გადაშლილ ზღვას. ის ახლა წუხანდელივით აღარ ხმაურობდა, მოქცევის ხმაც აღარ ისმოდა. იწვა მშვიდად და მკაცრად, თითქოს ისევ ეძინა.

ვინც პირველად ნახავს ზღვას, უნდა ილოცოს, სურვილი ჩაუთქვას და მერე იმ ადგილიდან წამოღებული კენჭი უნდა ჩააგდოს წყალში, საიდანაც მოვიდა. მეც ამოვიღე ჯიბიდან ჩვენს ეზოში შეგროვილი კენჭები.

— არ დაგავიწყდეს რა უნდა თქვა, — შემახსენა დედამ.

წყლისა და ხმელეთის საზღვართან მივედი და ერთმანეთის მიყოლებით ჩავყარე კენჭები ზღვაში, თან სხაპა-სხუპით ვამბობდი: მთიანი

სოფლიდან მოვედი შენთან, სუფთა და კამკამაა შენი წყალი. შენგან არ მახსოვს ბოროტება, ო, ხაიტ, ზღვის მეფეო! მიხარია შენთან შეხვედრა. ო, ხაიტ, ზღვის მბრძანებელო! დაე ჩემი უბრალო კენჭი ოქროს მონეტად გადაიქცეს. ო, ხაიტ! ზღვის მეფეო! შენ კი უბრძანე, რომ წყალი მუდამ მწყალობდეს, რომ არასდროს არაფერი მაკნესოცხდეს, ზღვის მეფეო! ცოტა მოშორებით ჩვენები კამეჩებს არწყვებდნენ და აბანავებდნენ. შორიდან ზღვიდან ამოშვერილ რუხი ფერის ლოდებს ჩამოგავდნენ. ვერც კი წარმოვიდგენდი, ამ ცხოველებს ცურვა თუ შეეძლოთ. შემდეგში, როცა მათ დიდ, მრგვალსა და წყლიან თვალებში ჩავხედავდი, ყოველთვის ზღვა მახსენდებოდა. კამეჩების გვერდით ბიდა ცურაობდა. წითურ ულვაშებსა და ხელახლა წამოზრდილ ხშირ თმაზე წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. საერთოდაც ბანჯგვლიანი იყო, მხრებზეც კი ხუჭუჭა ბალანი ჰქონდა, ამიტომაც ჰგავდა ზღვის სიღრმიდან ახლად ამოყურყუმაღვებულ ხაიტს.

მალე ჩვენი ურმები ისევ გაუყვნენ გზას და ცოტა ხანში შევედით კიდევ ქალაქში გრძელ, დაბალ შენობასთან გაეჩერდით — მარცვლეულის საწყობთან. ადრიანი დილა იდგა, მაგრამ ჭიშკარი მოღიავებული იყო. გარშემო ხალხი ზიმზიმებდა. ტვირთს ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე იბარებდნენ. აივანზე ხმელ-ხმელი შავგვრემანი კაცი გამოვიდა და მაზრის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა დამშეულ ხალხს და სიმინდი ჩამოიტანა. „ამალამვე გავაგზავნით მარცვლეულს გემით დუბზეში“ — ასე დაამთავრა მან თავისი სიტყვა.

დედამ ხელი ჩამკიდა და ქალაქში წამიყვანა, მამას შეუთანხმდა ბაზარში შეგხვდებო. დედას ხელს არ ვუშვებდი და გაცეცხლებული ვიყავი ქალაქის საოცრებებით. რატომ არის სახლები ასე ერთმანეთზე მიტყუებული? განა გარშემო ცოტა მიწაა? სადაა ეზოები, ბოსტნები, ბაღები და ვენახები? სად ძოვს ნახირი? ან ამდენი ხალხი რატომ არის ქუჩაში? იქნებ დღეს რაიმე დღესასწაულია? აი, კიდევ რა არის საოცარი, ყველას სადღაც მიუჩქარება, ერთი ერთ მხარეს გარბის, მეორე — მეორე მხარეს. ასეთი რა საქმეები ელოდებათ, რით არიან ყველანი ასე შეწუხებული?..

ეს ფიქრები არ მასვენებდა, დედაჩემს კი სულ სხვა სადარდებელი ჰქონდა; ხან ერთ მაღაზიაში შედიოდა, ხან — მეორეში, გებულობდა: რა იყო და რა — არა, ყიდვით კი ჯერ ვერაფერი იყიდა. აი, პროკოფი თუ დაუბრუნებდა ვალს, მაშინ ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ რომ ვერ მიეგნოთ ამ კაცისთვის?

ერთი მაღაზიის თაროზე საოცრად ლამაზ წითელ ჩექმებს მოგკარი თვალი. ვითხოვე გამასინჯეთ-მეთქი. ზუსტად მომერგო და დავიწყე ღიჯინი მიყიდეთ-მეთქი.

— ახლა ჩექმის კი არა, ნემსის საყიდელი ფული არა მაქვს! ჯანდაბას პროკოფის თავი, იქნებ ვალი დაგვიბრუნოს, მაშინ, პირობას გაძლევ, სულ ახლებით წაგიყვან შინ, — მითხრა დედამ, ხელი მომხვია და მაღაზიიდან გავედით.

ბაზარში რომ მივედით, მამას უკვე გაეყიდა ფქვილი და ცარიელი ტომარა იდღიაში ამოედო.

— პროკოფის ვერ შეხვდი? — სახეზე შეატყო დედამ, ხასიათზე რომ ვერ იყო.

მამამ თავი გააქნია.

— მივედი დილას, იქ ან არავინაა, ან განგებ არ მიღებენ კარს... ფქვილში აღებული ფულით დედამ და მამამ სწრაფად იყიდეს აუცილებელი წვრილმანები: მარილი, ნავთი, საპონი და მუხრანის ერთად წავედით მოუხელთებელი პროკოფის საძებნელად! მისი მუხრანის გვიერთდა. მშობლებს მაინც ჰქონდათ ვალის დაბრუნების იმედი, მეც მინდოდა დაძვევებინა... წითელი ჩექმები სულ თვალწინ მედგა. «ეჰ, პროკოფი, პროკოფი, — ვოხრავდი გუნებაში — რა კაცი ხარ, რატომ არ გვიბრუნებ ჩვენს ფულს? ნახე, რა უღამაზო წულები მაცვია. მერე როგორ მოუხდებოდა ჩემს ჩოხასა და ბოხოსს ის წითელი ჩექმები».

მივედით სახლთან სადაც ჩვენი მევალე ცხოვრობდა. მე და დედა ქვევით დავრჩით, მამა და ბიდა კიბეზე ავიდნენ და კარზე დააბრახუნეს. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ხმაურზე სახლის უკანა მხრიდან აწოწილი, გამხდარი კაცი გამოვიდა, ყავარჯნებზე დაკიდებული ნამდვილი ჩონჩხი.

— ტყუილა ნუ აბრახუნებთ, თქვენი პროკოფი ციხეშია, გუშინ წაიყვანეს და ახია იმაზე! თუ არ გჯერათ, მიბრძანდით და იქ გეტყვიან. ღიცოდი, ასე რომ მოუვიდოდა. სპეკულაციას სიკეთე არასოდეს მოუტანია, მით უმეტეს ახლა, მკაცრი დროა.

— მორჩა, ჭირი მოგვჭამა ჩვენმა ფულმა! — წამოიძახა მამაჩემმა. — ჩვენ კი ამის იმედითლა ვიყავით.

მამა იდგა და ყაბალახის ბოლოთი ოფლს იწმენდდა შუბლზე. ბიდა მოლუშული იყო. ვიყნოსე თუ არა, რომ წითელი ჩექმები აღარ მეღირსებოდა, ავლრიალდი.

იმხელა სადარდებელი გამიჩნდა, ვერც მუქარა მიშველიდა და ვერც მოფერება. ხალხი ჩერდებოდა და გვიყურებდა, ზოგი თანაგრძნობით, ზოგი იჭვით. ვინ რა იცოდა, რისთვის ვიკლავდი თავს.?!
— მოდი, ზღვაზე წავიდეთ. ნავსადგურში უზარმაზარი გემი

დგას — მითხრა ბიდამ. მხოლოდ ბიდას თუ დავუჯერებდი ახლა. ხელი ჩამკიდა და სანაპიროზე წამიყვანა.

დაპირებული გემი მართლა იდგა ნავსადგურში. დიდი იყო თუ პატარა არ ვიცოდი, იმიტომ რომ გემი არასოდეს მენახა, არც ამაზე დიდი და არც ამაზე პატარა. უამრავი მტვირთავი ფუსფუსებდა, ერთმანეთს ხმამაღლა უყვიროდნენ, ტომრებმოკიდებულები ფელუკებთან ჩადიოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ ნავმისადგომზე.

გემის ცქერით გული რომ ვიჯერეთ მე და ბიდამ სანაპიროზე დავიწყეთ სირული.

— აი, დილით რომ რქიანი მწვერვალი გაჩვენე, იცანი? გახსოვს რა ჰქვია იმ მთას? — მკითხა ბიდამ და შორეული ქედის მთებზე მიმითითა.

— ერცახუ! — დაუყოვნებლივ ვუპასუხე მე.

— გახსოვს, რა გიამბუე?

— იმ მთაზე ღმერთის მეომრებმა შეიპყრეს უშიშარი აბრსკილი. მათ ძროხისა და ხარის ტყავებით მოფინეს მწვერვალი და როცა აბრ-

სკილის ჯადოსნური რაში ზედ დაეშვა, ფენი აუსხლტა დაეცა და...

— ყოჩაღ, აი ამიტომ უფრო მიყვარსარ! — მომეხვია ბიდა. — დაიხსომე, ლაგან, დედამიწაზე არაფერია ზღვაზე უფრო ღრმა და მთაზე მაღალი. შენ დღეს ორივე ერთად ნახე: ყველაზე უფრო ღრმაც და ყველაზე უფრო მაღალიც — ზღვა და მთა. ესე იქნება, არ ყოფილხარ ორამხირეში, ხომ მართალია? ჰო და ამის მხრე-მხრის ფშლუკუნი ღირს, რატომ ჩექმები არ მიყიდესო? არ ღირს, ლაგან!

აი, ასე წყნარად, ფერებფერებით დამამშვიდა ბიდამ და როცა საბოლოოდ დამავიწყდა ყველა წყენა და გულისტკენა, ქალაქში დამაბრუნა.

გზად რომელიღაც ბაღში შევიარეთ. ხეების ჩრდილში მაგიდები ერთმანეთთან მიედგათ და მილიციელების დიდი ჯგუფი სადილობდა.

— ო, ბიდა?! — შესძახეს ჩემი მეგობრის დანახვაზე. — მოდი, ჩვენი გამარჯვების დალიე. გუშინ ყაჩაღების მთელი ბანდა გაგანადგურეთ! ჩვენ კი არცერთი არ დაგვიკარგავს.

ბიდას უარი არ უთქვამს, მილიციელებს შეუერთდა. ერთი ტანდაბალი, ჩასხმული კაცი ფეხზე წამოდგა. ის სუფრის თავში იჯდა, ალბათ უფროსი იყო. ერთ ხელში ყანწი ეჭირა, მეორეში — დამბაჩა.

— მინდა ერთი სადღევრძელო ვთქვა. არსად, მთელ მსოფლიოში არ დარჩენილიყოს ყაჩაღები თუ აბრაგები. ყოველთვის გუშინდელივით გამარჯვებულები ვიყოთ. აბა, დაიძახეთ „ურო!“ რა მკვდრებივით სხედხართ?

„უროოო“ დაიგუგუნა სუფრამ. ჩასხმულმა ყანწი მოიყუდა და თან ტკაცატკაცი აუყენა დამბაჩას. ყანწის ბოლო თანდათან მალლა იწვევდა. უფროსისთვის ეს უსაზომო სიმძიმე რომ გადაეტანინებინათ, მისი ამხანაგები სმაშეწყობილად გაჰყვიროდნენ „ურო!“ მერე ამ გამაყრუებელ შეძახილებს დამბაჩების ბათქაბუთქიც შეუერთდა. არასოდეს მსმენოდა ასეთი ზალპი, თანაც ასე ახლოს და ამდენი დამბაჩიდან და კარაბინიდან. შემეშინდა. ყურები თითებით დავიცვი და თავი ბიდას მუხლებში ჩავრგე, მაგრამ ბალახში გასროლილმა პრიალა პილზებმა მაცთუნა. გავვარდი და შეგროვება დავიწყე, ჯიბეები დავიტენე...

დედა და მამა უკვე გველოდებოდნენ, ეგონათ ვერაფერი დამაწყნარებდა და ბედნიერი და კმაყოფილი რომ მიხილეს, ძალიან გაუხარდათ.

ამასობაში სადილობის დროც მოვიდა. მეურმეებმა გადაწყვიტეს, ერთად ესადილათ სადმე. რომელიღაც დუქანში შევედით და მაგიდას შემოვუსხედით. უფროსებმა წყნარად დაიწყეს ბაასი. მეტწილად იმაზე საუბრობდნენ, რამდენი ხნით ჩასვამდნენ პროკოფის. მე მისი სახელის გაგონებაც კი მეზიზღებოდა. ის რომ არა, ახლა გადასარევი ჩექმები მეცმებოდა და... შემეშინდა, ისევ არ ავტირებულებიყავი და გარეთ გავკედი.

ქუჩაში ჩემი ყურადღება ერთმა ბიჭმა მიიქცია. კასრის რგოლს მარჯვედ მიაგორებდა მოლუნული მავთულით, თან განუწყვეტლივ გაჰყვიროდა: „ბიპ, ბიპ“, რაც ალბათ, ნიშნავდა „გზა მომეცითო“. ეს უამრავ გამვლელს ეხებოდა, ფეხებში რომ ედებოდნენ. დამინახა თუ არა,

მაშინვე ჩემთან მოაგორა თავისი გორგოლაჭი, დიდხანს ათვალიერებდა ჩემი ჩოხის ქილებს, მერე ჩემ ქარქაშიან დანას დაადგა თვალი.

— ეს რა არის?

— დანა! — ამაყად ვუბასუნე, ქარქაშიდან ამოვადგურე და შირით გავისვი ხელისგულზე.

— მაჩვენე რა, — ლამის ზედ ამეკრა ბიჭი. აქეთ-იქით ვხედავდი თავს, თანაც ისე სწრაფად, გეგონებოდათ, სავსა-ბიჭუნეობიდან ამოუვარდებო. ბიჭი ფეხშიშველა იყო და თმაგაწეწილი.

შიშველი დანის მიწოდება მომეჩიდა, ქარქაში მოვიხსენი ქამრიდან და მივაწოდე. გამომართვა, მოხიბლულმა შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, ყოველი მხრიდან შეათვალიერა, უცბად ხელი ცისკენ აიქნია და შესძახა:

— უჰ, აბა შეხედე!

მორჩილად ავწიე თავი მაღლა, იმედი მქონდა, რაღაც საინტერესოს დავინახავდი. ბიჭი კი ამ დროს ადგილიდან მოწყდა და კისრისტეხით გაიქცა. მაშინლა მივხვდი, რომ გამაცურეს.

— შეჩერდი! მოიცა! მომეცი ჩემი დანა, — დავუყვირე და გავეკიდე. რომ დაინახა, მეწვევიანო, ვერაგმა ბიჭმა უცბად მოუხვია და რომელიღაც კარში დურთა თავი. მეც იქ შევვარდი და რომელიღაც დუქანში ამოვყავი თავი. ეს იმაზე უფრო მდიდრული დუქანი იყო, ჩემი მშობლები რომ ისხდნენ.

თეთრხალათიანმა სქელმა კაცმა, ეტყობა, მეზუფეტემ, მე რომ დამინახა, თვალები გადმოკარკლა:

— ერთი შეხედეთ, ეტყობა, ახლა გამოვარდა ტყიდან.

სუფრას მიმსხდარი კაცები მობრუნდნენ და მომაჩერდნენ. იმათ სიცილსა და ხუმრობას ყურადღებას არ ვაქცევდი. აქეთ-იქით ვიხედებოდი და გაფაციცებული ვფიქრობდი: სად შეიძლება გამქრალიყო ჩემი გამბრაზებული, მიწაში ხომ ვერ ჩაძვრებოდა?

მეზუფეტემ დახლი მიატოვა, ჩემთან მოვიდა და ჩაცუცქდა:

— აბა, პატარა მწყემსო, ერთი მითხარი სად მიატოვე შენი თიკნები? — და ისევ გადაიხარხარა. ზუსტად ცხვირწინ დამიბჩინა მხურვალე ხახა, წინ წამოწეული უსწორმასწორო კბილები გადმოყარა, მჩხერი უღვაშები ააცმაცუნა და ვარდისფერი თვალები გადმოკარკლა...

უცბად დახლის ქვემოდან ბიჭი გამოძვრა და მეზუფეტეს ამოუდგა გვერდით. სწორედ ის ბიჭი, მე რომ ვეძებდი. თანაც ჩემს დანას მიჩვენებს, მაღიზიანებს. ქორი ვერ დაეცემა წიწილას ისე სწრაფად, მე რომ ბიჭს ვეცი. წაფაქციე და მეც მასთან ერთად გადავკოტრიალდი იატაკზე. ზედ კარებთან ვილატის ძლიერმა ხელმა შეგვაჩერა, წამოგვაყენა და ერთმანეთს დაგვაცილა. თავი ავწიე და ბიდა დავინახე. მისი გამოჩენით გამხნევებული ისევ ვეცი ბიჭს და წამში ავართვი დანა.

— ეი, შენ, ტელეგრაფის ბოძით რომ დაყუდებულხარ, სხვის საქმეში რას ჰყოფ ცხვირს. თავი დაანებე, ვნახოთ რომელი მოერევა! — დაუძახა მეზუფეტემ და მუშტები გათანთალეულ თეძოებში ჩაიფლო.

— ენა გააჩუმე! — ხმადაბლა უთხრა ბიდამ და ოდნავ ამოსწია ხანჯლის ტარი.

მეზუფეტე იმ წამსვე გაქრა.

სალამო ხანს ქალაქი დავტოვეთ. მე ურმის უკანა მხარეს გაშლილ ნაბადზე ვწევარ, დედა და მამა წინ სხედან. საუბრის მიხედვით ვხვდები, ცუდ ხასიათზე არიან; ბაბუას მთლად შემოადნა ტანზე ახალუხი, ახლისთვის სატინის ყიდვა კი არ მოხერხდა. გუშკა უკვე ქალიშვილია, ხალხში გაყვანაა საჭირო. ქორწილებზე, გასვენებებსა და ქალებზე უნდა გამოაჩინონ, მაგრამ რანაირად?

— ... სტუმარსაც კი ვერ ვუშლით ხეირიან ლოგინს. ჩვენ თითონ მოგვიწევს ზეწრებისა და ბალიშის პირების ქსოვა, მაგრამ რითი მოვქსოვო? ბამბაა და მთლადაც დაბუგულა, ძლივს ამოიწვერა, — წყნარად ჩივის დედაჩემი.

— ასე ნუ დარდობ! — ამშვიდებს მამა. — ეს ყველაფერი დროებითია, მალე ქსოვილიც ბევრი გვექნება და ფეხსაცმელიც. ჩვენს შვილიშვილებს ქალამნების ნახვა მოუნდებათ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სანთლითაც რომ ეძებონ, ვერ იპოვნიან.

ხანდახან მამაჩემსაც აფორიაქებს შემაშფოთებელი ფიქრები და მაშინ საერთოდ წყდება საუბარი.

მიცოცავს ურემი, მიცურავს, აკვანივით ირწევა, დაბერილი ქუთუთოები მიმძიმდება, თვლემა მერევა და ძილი ყველაფერს მიამებს, რაც დღეს ვნახე და განვიცადე. ყველაფერი ისევ თვალწინ მიდგება. მე კი არ მინდა გავიხსენო, როგორად მქონდა წარმოდგენილი თავი იმ საოცარ წითელ ჩექმებში, ლამის უკვე ჩემი რომ მეგონა... არ მინდა იმ საზიზლარი ბიჭის გახსენება, უნამუსოდ რომ გამომტყუა დანა... ოოხ! როგორ მეზიზლება ის ქონმორეული, ხახა დაღებული და მოხარხარე მეზუფეტე! მაგრამ ის რომ მახსენდება, რა ზღუქუნზღუქუნით დავდიოდი ქალაქში, ისე მრცხვენია, ოხვრა-კვნესით ვიფარებ ხელებს სახეზე...

გარშემო უკვე საფუძვლიანად ჩამობნელდა. შავი ხავერდოვანი ცა ოქროსფერი ვარსკვლავების გუნდითაა მოჭედილი. რბილმა სალამომ ნეტარ სიჩუმეში გაახვია სამყარო, მხოლოდ ბიდას სიმღერა წკრიალებს, გარემოს ეფინება და სულს ეალერსება: „ურემი ერთი და ხარი ორი, ბედისწერაც ორივესთვის ერთი, უჭირთ ურმის თრევა, ურემიც ისე მძიმეა, როგორც ცხოვრება“.

7.

დედაჩემმა და გოგოებმა ბამბა მოკრიფეს. (დედაჩემი რომ ჩიოდა, წელს არ ვარგაო, ის ბამბა) კალათებით გაიტანეს აივანზე, გაშალეს.

რამდენიმე დღის შემდეგ დედამ ბამბის ერთი შეკვრა გახსნა და რომ ნახა ბამბა კარგადაა გამშრალიო, აივანზე „ჩიჩიგა“ გაიტანა და გუშკა და მაჩიჩი მიუსვა. დები რიგრიგობით ატრიალებდნენ სახელურს. ერთ მხარეს შავი თესლი ცვივოდა, მეორე მხარეს — სართავად გამზადებული ბოჭკო. მეც დავატრიალე სახელური, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც შორიდან მეჩვენებოდა. დაძაბულობისაგან ხელი დამიმძიმდა, დამიბუჟდა, აღარ შემორჩილებოდა და თავი მივანებე.

მალე დედა რთვას დაიწყებს. უკვე თითისტარიც მზადაა და ჯარაც. ჩემი დებისთვის ეს ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა, ამიტომ დედა

თვალყურს ადევნებს მათ საქმიანობას. უსწორმასწორო ძაფი რომ გა-
მოვიდეს, ალაგ წვრილი და ალაგ მსხვილი, თანაც ცუდად დაგრეხილი,
ქსოვა ძალიან გაჭირდება, ტილო კი ფარღალა და დაბურქნული გა-
ნოვა. მაგრამ ჯერ რა დროს ქსოვაზე ლაპარაკია, ჯერ დარითვამდეც
კარგა გვარიანი დროა. ჰო და, ჩემი დებიც სხედან აივანზე და ჩეჩავენ,
ბენტავენ, კოლოფებიდან წეწავენ ბამბას.

ბაბუა ამატურტას უკან ზის კაკლის ჩეროში და ნება-ნება წნავს
კალათებს. დღეს მხოლოდ ის დარჩა კაცებიდან სახლში. ძია ელიზბარი
და მამაჩემი გასვენებაში წავიდნენ და მამიდა მარიც წაიყვანეს. ლამე-
დე ვერ დაბრუნდებიან.

ბაბუასთან მივედი და წინ დავუდექი.

— აბა, გამოიცანი, ლაგან, რა არის: მამა სწორი, დედა დაგრეხი-
ლი, შვილი კი?

— ვაზის ნერგი, გაზრდილი ვაზი და ღვინო, — ვუპასუხე მე.

— ღმერთო დიდებულო, მამა ზეციერო, პირველად მას ახილვინე
ყურძნის დამწიფება! — დამლოცა ბაბუამ და კვლავ კალათებს მიუბ-
რუნდა.

საღამოვდებოდა. ჩამავალი მზე ოქროსფრად ღებავდა ბუხრის სა-
კვამურს, სახლის სახურავს, ხის კენწეროებს და ასეთ მშვიდობიან დროს,
როცა ყველა ჩვენი საქმით ვიყავით გართულნი, უცბად უბედურება და-
გვატყდა თავს: თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ბაბუას წინ ორი კაცი აი-
ტუნა. სახეები ყაბალახით ჰქონდათ ახვეული. მკერდზე პატრონებით
გაძეძგილი ტყვიამფრქვევის ლენტები ჰქონდათ გადაჯვარედინებული.
ერთი მათგანი ჯმუხნი, ჩასკვნილი, შაშხანით იყო შეიარაღებული, მეო-
რე გამხდარი და ლატანივით დაგრძელებული — რევოლვერით.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — უთხრა ბაბუამ, მაგრამ
როცა ორივენი შეათვალიერა, მაინცა და მაინც გულზე არ დაეხატნენ.

— კეთილია თუ არა, მოვედით და დაგვხვდით, — თავაუღებლად მი-
უგდო პასუხი ჯმუხმა.

— შენთან საქმე გვაქვს, ბეჟან, მაგრამ ამაზე ქუჩაში ლაპარაკი
არ გვინდა, სახლში შეგვიყვანე! — მოითხოვა აყლაყუდამ.

— რაკი ასე გსურთ, კი ბატონო. — ბაბუა მორჩილად ადგა და წინ
წავიდა, გზად ხელი ჩამავლო და გამიყოლა.

ავედით სახლში. ბაბუა „ხალაში“ შევიდა და გრძელ სკამზე დაჯ-
და. აყლაყუდა მის პირდაპირ ჩამოჯდა. ჩასკვნილმა შაშხანის ჩახმახი
ფეხზე შეაყენა და კარებში ჩადგა. წარამარა გარეთ იხედებოდა და იქ-
აურობას ათვალიერებდა.

— ჩემო რძალო, მოდი აქ, გენაცვალე, ყველანი მოდით, თორემ
ჩვენი სტუმრები ღელავენ, — დაუძახა ბაბუამ დედაჩემს.

— დედაჩემი დაფეთებული მოვარდა ჩემ დებთან ერთად ბაბუას
მოსმობაზე.

— სასწრაფოდ გვჭირდება ფული, დრო არ ითმენს და გაინძე-
რი! — დამარცვლა აყლაყუდამ.

— რა ფული, რას ამბობთ, მარილი რომ მარილია, ის ვერ მიყიდია
და ფული შენახული მექნება? ეტყობა ვილაცას უხუმრია, გაუმასხრები-
ხართ... — მწარე ღიმილით დაიწყო ბაბუამ.

— ზღაპრებს ნუ გვიყვები! — დაუღრინა ჩასკვნილმა და თამბაქოთი დაყვითლებული კბილები გააშიშვლა. — მარილი ვერ უყიდიას.. რამდენიმე კაცს დაგისახელებ, პროცენტით რომ ასუსხე ფული. თუ არ გინდა მთელი შენი სახლკარი ფერფლად ვაქციო, დააწყვე ფული და თანაც ჩქარა.

— მოიტა, მოიტა, თავს ნუ ისაწყლებ! შენ ^{ერჩენი} ~~ახლა~~ დროდო კაცი გახდი, სხვის მიწებს საკუთარივით ანაწილებ, ვისაც მოგეპრიანება, იმას აღლევ!

— ჩვენ ისე ვაკეთებთ, როგორც ახალი კანონი გვიბრძანებს. მიწები თუ გავანაწილეთ, ერთად გავანაწილეთ და პატიოსნად. ერთი მტკაველიც კი არ მომიმატებია ჩემთვის, — გაბრაზდა ბაბუა.

— იმას ახლა რისი უნდა ეშინოდეს, ვისაც ჩაჩბას მიწაზე ხელის აღმართვის არ შეშინებია? — ექიდნურად შენიშნა ჩასკვნილმა.

— მოიტა, გეყოფა ლაყბობა, ბებურო სრონწო! შენი სიკვდილით თუ გინდა მოკვდე, ამოალაგე ფული, გეუბნები, შენთან სახუმაროდ არა გვცალია-მეთქი. — აყლაყუდამ ჩახმახი გაატკაცუნა.

— ეხ, ჩემო შვილო, თითონ ხედავ რამხელა ვარ და შენს გარდა ჯერ ჩემთვის შეურაცყოფა არავის მოუყენებია. — თქვა ბაბუამ და თავი აუკანკალდა.

ატირებული გოგოები დედას ჩაებლაუჭნენ, მე მაგიდასთან ვიდექი და არ ვიცოდი რა მექნა, სად დავმალულიყავი. ამ დროს დედაჩემმა მტაცა ხელი და ზურგს უკან ამომიყენა.

— უკანასკნელად გეუბნები, ან ფული მოიტა, ან აქვე გაგათაყებ. ამოირჩიე! — ჩასკვნილმა შაშხანა მოიმარჯვა და ბაბუას დაუმიზნა.

დედა და გოგოები აღრიადნენ.

— კაცები თუ ხართ, კაცურად მოიქეცით, ბავშვებსა და ქალს ნუ აშინებთ! — ბაბუა მკვირცხლად წამოდგა. ესენი გავიდნენ გარეთ და მერე მესროლეთ. ნუ გეშინიათ, არ გავიქცევი!

ამ დროს ყველაზე უფრო მოულოდნელი რამ მოხდა: ვილაც ეზოში შემოვიდა. ჭიშკრისა და ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა.

— მასპინძელი შინ არის? — დაიძახა მხედარმა, თანაც ისე ხმამაღლა რომ მეზობლებიც გაიგონებდნენ.

— შინ არის, შინ! — უპასუხა ბაბუამ. დამიზნებული თოფისთვის ყურად ეება არ მიუქცევია, სწრაფად გავიდა აივანზე. ჩვენც ყველანი უკან გვედევნეთ. დაბნეული ყაჩაღები ზალაში დარჩნენ, არ იცოდნენ რა გაქაყნევიტათ.

ეზოში რომ ჩავედით, გავიგეთ, სახლისთვის მილიციას შემოერთყა ალყა. დიდი ხანია ამ ბანდიტებს დასდევდნენ. მილიციელებთან ერთად ჩვენი თანასოფლელებიც იდგნენ: სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მახაზი, სოფლის მწერალი თამელი, დედაჩემის ძმა თანასი...

როგორც კი მხედარმა ეზოში ჩასულები დაგვინახა, მაშინვე გადმოხტა ცხენიდან, დამბაჩა დაადრო და ისარივით შეიჭრა სახლში: „არ გაინძრეთ, დაყარეთ იარაღი!“ — მოგვესმა ოთახიდან მისი ხმა. იმავე წამს უკანა კარებიდან მილიციელები შეცვივდნენ სახლში. ყაჩაღებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, ისე განაიარაღეს, ხელები გადაუგრიხეს, ზურგს უკან გაუკრეს და გარეთ გამოყარეს. ეზოში რომ ჩა-

მოიყვანეს ყაბალახები შემოაგლიჯეს და ყველამ დავინახეთ მათი სახეები. აქამდე მახსოვს აყლაყუდას სახეზე ვიწრო ნაიარევი, აი, იმ ჩასკვნილის სახე კი არ დამახსოვრებია, ალბათ არც არაფერი მქონდა სახეზე დასამახსოვრებელი...

აი, რა გაგიგე მოგვიანებით ამ საქმის შესახებ: ეს ორი ყაჩაღი სხვა სოფლიდან იყო. ვილაცას მოუჭორავს, რომ ვითომ ბაბუა შევახსოვებდა, თანაც ისიც უთქვამს მამაჩემი და ძია ელიზბარი გასვენებაში რომ იყვნენ წასული. ისინი რომ შინ ყოფილიყვნენ ყაჩაღები ჩვენზე თავდასხმას ვერ გაბედავდნენ. მკითხაობა რად უნდა, ვინ იქნებოდნენ ყაჩაღები — მიწის განაწილებით უკმაყოფილონი. იმან გადაგვარჩინა, რომ სოფელში შემოსული შეიარაღებული უცხოები შეუნიშნავთ და სოფლის საბჭოსთვის უცნობებით, იქიდან ოჩამჩირვს დაუკავშირდნენ და მილიცია გამოიძახეს. მილიციის მოსვლამდე კი ყაჩაღებს უთვალთვალებდნენ, მათი თითოეული ნაბიჯი იცოდნენ. ამასობაში მილიცია ჩამოვიდა და ჩვენსკენ წამოსული ყაჩაღები რომ დაინახეს, სწრაფად შემოართყეს სასკლს ალყა.

თანასმა და თამელმა ეზოში შემოსვლა მოახერხეს და სახლის ქვეშ შეძვრნენ, და (ჩვენი სახლი ხომ ბოძებზე იდგა, მიწიდან სულ ცოტა ერთი მეტრის სიმაღლეზე) ზუსტად ზალის ქვეშ დასხდნენ. ყაჩაღების ბაბუასთან ლაპარაკი ესმოდათ. სროლის ატეხვის შემთხვევაში ქალისა და ბავშვების გამოყვანა იქნებოდა საჭირო. ესე იგი, დედაჩემის, ჩემი და ჩემი დების. სწორედ ამიტომ შემოაგზავნეს ცხენოსანი, რომელიც სტუმრის როლს თამაშობდა.

იმ ღამეს ბაბუა დიდხანს ვერ დამშვიდდა. ვახშამზე ველოდებოდით, ის კი ეზოში წრიალებდა.

ხელსაყრელი დრო შევარჩიე, ბაბუასთან მივირბინე და იდაყვზე შევახე ხელი.

— შენა ხარ, ლაგან?... ბაბუაშენის მართო დატოვება არ გინდა? — მიხვდა, რატომ მივედი. — აბა მაჩვენე, რომელია შენი ვარსკვლავი.

ცას ავხედეთ, მაგრამ ვერცერთი ვარსკვლავი ვერ დავინახეთ. მთელი დასავლეთი მოთეთრო ღრუბლებით იყო დაფარული. ბაბუამ თავზე დამადო ხელი და თმის ჩეჩვით ამაცურტაში შემიყვანა.

გაგონილი მქონდა, რომ ბიდა ლამის დაბადებიდანვე თხებს მწყემსავდა, მთაში ცხოვრობდა და შესანიშნავი მონადირე იყო. სადაც არ უნდა წასულიყო, ტყის ღმერთები ყოველთვის იღბალს უგზავნიდნენ. მერე კი ყველასთვის მოულოდნელად არვეზე ხელი აიღო, მთა მიატოვა და ერთხელაც აღარ ასულა იქ.

ბიდა გულს ვერ უდებდა გამოზომილ გლესურ ცხოვრებას და ცხენების გახედვანამ გაიტაცა. მე მინახავს, როგორ აკეთებდა ამას: შეიყვანდა ულაყს თავლაში და გონზე მოსვლას არ აცლიდა ისე მარჯვედ შეკაზმავდა და მოახტებოდა. ულაყი ტრიალებდა სივიწროვეში, ტლინკებს ისროდა, ყალყზე დგებოდა, მხედრის მოცილებას და გარეთ გავა-

რდნას ცდილობდა, მაგრამ ვერას ხდებოდა, კედლებში იყო მომწყვდეული. ბიდაც მყარად იჯდა უნაგირზე და უფრო და უფრო უჭერდა ალვირს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ულაცი ოფლად არ გაიხვითქებოდა, მაშინ კი გამოიჭრებოდა ბიდა გარეთ და წრეს არტყმევიინებდა ცხენს ეზოში. ჩამოდი, დაგამტვრევსო, უყვირდა მუნდქან და დები. ბიდა კი არხეინად იჯდა და ხარხარებდა. შიშ-იქსიქსა

უკვე გითხარით, ბიდამ მოულოდნელად დატოვა-მეთქი მთები. ასეთმა მკვეთრმა შემობრუნებამ, რა თქმა უნდა, ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „აღბათ აღმა აურია გონება, — ირწმუნებოდნენ ერთნი. — ის რომ არა, ეგ მთებს მიატოვებდა? მაგას ხომ მთებზე ძალიან არაფერი უყვარდა ქვეყანაზე!“ „აბა აღის გარდა რა უნდა იყოს! — იმეორებდნენ სხვები. — ის დღესაც არ აძლევს მოსვენებას. გინახავთ ვინმეს წყალში ჩასული ბიდა? ცხენსაც კი სხვებს აბანავებინებს...“

უნდა ითქვას, ცოტა უცნაური ხასიათი კი ჰქონდა ბიდას და სწორედ ეს იძლეოდა მითქმა-მოთქმის საბაბს. წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც ერთი-ორი კვირით სადღაც გადაიკარგებოდა სოფლიდან. დაბრუნდებოდა დაქანცული, ამოღამებული თვალებით და სად იყო და რას აკეთებდა არავინ, ნათესავებმაც კი არ იცოდნენ. პირში წყალს დაიკუბებდა და ღუმდა.

ერთხელ ბაბუას ისევე შემოუტია თავის ტკივილმა. გაწამებული იწვა ლოგინში. გარშემო მეზობლები შემოხვეოდნენ, ზოგი იჯდა, ზოგი იდგა. ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისი მდგომარეობა. ბიდაც იქ იყო. ამჯერად შესანიშნავ ხასიათზე გახლდათ განუწყვეტლივ ენაწყლიანობდა, ხუმრობდა და გონებაამახვილობდა.

შეატყვეს თუ არა, კარგ ხასიათზე არისო, მეზობლებმა ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად დაუწყეს თხოვნა, ბოლოს და ბოლოს გვითხარი, სად იკარგები დრო და დროო. ისიც გვიამბე ალს როგორ გადააწყდით.

— დაბადებიდან მთებში იყავი, გიყვარს იქაურობა და რატომ გამოიქეცი?

ბევრჯერ წასევნიან ასეთი შეკითხვებით, მაგრამ ბიდა ყოველთვის ახერხებდა პასუხზე თავის არიდებას. დღეს კი არ დადუმებულა, ეტყობა, იმასაც მობეზრდა ეს სულელური მიეთმოეთი, სკამი კერიასთან მისწია და დაიწყო:

— ვატყობ, არ მომეშვებით, სანამ ყველაფერს არ დამაკაკვლინებთ, ჰოდა, მომისმინეთ: ალით დავიწყეთ. ვერ დავიჟინებ, ალი ვნახეო, მაგრამ ვერც ვიტყვი არ მინახავს-მეთქი. აღბათ თითონაც გამოვიცდიათ, ზოგჯერ სიზმარი ისე ჰგავს ცხადს, ვერ გაარჩევ სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. უფრო ხშირად ეს სიტუბუკეში ხდება. მეც რაღაც ამდაგვარი შემემთხვა...

მწყემსობისას, აღბათ გახსოვთ, სულ ფარაში ვიყავი, ყოველი წლის ზაფხულს მთაში ვატარებდი. ისე შევეჩვიე ასეთ ცხოვრებას, რომ სხვანაირად ვერ წარმომედგინა. იმ ხანებში ნადირობაც ძალიან მიტაცებდა.

ერთ ზაფხულსაც, როგორც ყოველთვის, მთაში ვიყავი, ჩემს ფარას ვმწყემსავდი. ერთხელ სანადიროდ წავედი. გარეული თხები დავინახე. მივსდევ ამ თხებს, ისინი კი მიტყუებენ, არ გამირბიან, არადა,

არც სასროლ მანძილზე მიშვებენ. კარგა შორს გამიტყუეს. ამასობაში ჩამოხეულდა კიდევ. დალაშქრებამდე დაბრუნებას ვერ მოვასწრებდი და მყინვარებში მომიხდა ლამის გასათევის ქებნა. მთის ტბასთან პატარა გამოქვაბულს მივაგენი და თავი შევაფარე. კოცონი ვერ დავანთე. შუშას სად ვიპოვნე, იქ ყინულისა და ქვის გარდა არაფერია. უბრალოდ კიდევ. ნაბადში გავეხვე და დავწექი. ადრე რომ შეჩვეულნი იყავით, იქ ლამის გათევას როგორ გეძებდნენ. ამბობენ, ამ ტბაში ცხოვრობდა თავად ძიძლანიო. ბევრს გაუგონია მისი სიცილი, ზოგს კი, თუ დავუჯერებთ, დაუნახავს კიდევ.

დილით, ირიქრაქა თუ არა, გავიღვიძე და ხარხარი გავიგონე. ტბის მხრიდან ისმოდა. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, ვინც იყო. ისე ცუდად შევიქენი, სიკვდილს აღარაფერი მიკლდა. არ მინდა ამ ხარხარის გაგონება, ყურებს თითებით ვიცობ, არ ვიცი სად წავიდე, კუნჭულებში ვიშალები, მაგრამ თითქოს ვიღაც მეწევა გამოქვაბულიდან, რაღაც ძალიან... ავდექი და გარეთ გამოვედი. ტბისკენ გავიხედე და რას ვხედავ?! მთელი ტბა დილის ნისლშია გახვეული, შუაში კი, პირდაპირ წყალზე, ძიძლანი დგას. მთლად შიშველია, ხელში ორად გაყოფილი თმა უჭიძრავს. ხან ამ გვერდით შემობრუნდება, ხან — იმ გვერდით, ხან წინ გარდმოდგამს ნაბიჯს, ხან უკან... თითქოს ცეკვავს, არც იძირება. წყალზე კი არა ვითომ მიწაზე იდგეს, თანაც იცინის. ამ სიცილის ატანა შეუძლებელია... შემნიშნა და ნელა წამოვიდა ჩემსკენ. თვალს არ მაშორებდა მეც წავედი მის შესახვედრად. არ მინდა და მაინც მივდივარ. არ ვიცი ყოველივე ეს რითი დამთავრდება. ეტყობა ბოლომდე მოჯადოებული არ ვიყავი, ჯერ კიდევ შემეძლო აზროვნება და ხანჯლისკენ წავიდე ხელი, გაეინძერი და გამომეღვიძა თუ გამოვფხიზლდი არ ვიცი. მოკლედ, გონზე მოვედი და ვხედავ ზედ წყლის პირას ვდგავარ. მზე ისე მანათებს პირდაპირ თვალებში, ლამის მებრმავებს. ტბა კრიალა და წყნარია, ოღონდ ნაპირებზე ისევ იბოლქვება ნისლი. ტანში მამტვრევს და ოფლადა ვარ გაღვრილი. ისე ვარ გაწუწული, თითქოს ახლა ამოვსულიყო წყლიდან. მერე ერთი შევიფეროხე და ფარასკენ გავქუსლე გახარებულმა, რაკი გადავრჩი.

აი, ბატონო, ყველაფერი ისე გიამბუთ, როგორც იყო. არც არაფერი დამიმატებია და არც არაფერი დამიკლია. თქვენ კი როგორც გინდათ, ისე გაიგეთ. დამიჯერებთ — ხომ კარგი, არ დამიჯერებთ და არც ამაზე დამწყდება გული. ერთი რამ კი მინდა გითხრათ, ჩემო კარგებო, არ ვიცი, ეს სიზმარი იყო თუ ცხადი, მაგრამ ჩემი ცხოვრება კი ყირა-მალა დადგა. ჰო, ჰო, ღმერთს გეფიცებით. ბინაზე რომ დავბრუნდი, სხეულზე ჭრილობა კი არა, ნაკაწრიც არ მქონდა, მაგრამ შიგნით ვიყავი მთლად დაშლილი. შებნელებოდა თუ არა, ყველგან ის შეჩვენებული ძიძლანი მეღანდებოდა. დავწვებოდი და ძილი არ მეკარებოდა, ისევ მისი ჭიხვინი მესმოდა. ეს კიდევ არაფერი, თხები ამოვიჩემე უმიზნოდ. კიკინებდნენ, სად არ დაფხოკიალობდნენ და მიძვრებოდნენ. რაღაც შიშიც ამეკვიატა: ვთქვათ მთის რომელიმე ბილიკზე მივდიოდი, მეჩვენებოდა, რომ რომელიმე ქვა მოწყდებოდა და გამსრისავდა, ან კლდე ჩამოიმზღვლეოდა და ქვეშ დამიტანდა. ახლა წყალი?! წყლის შიში დამჩემდა. ასე მეგონა, წყალში შევიდოდი თუ არა, ადულდებოდა

და შიგ მოვიხარებოდით... უცნაური გავხდი, არეული ჩემ თავს არ ვგავდი. ბავშვობიდან მთაში ვცხოვრობდი, შევეჩვიე მთებს, იმათზე ძალიან არავინ მიყვარდა ქვეყანაზე. თუ კი რაიმე სუფთა და მშვენიერია, ეს მთებია, ასე ვფიქრობდი მუდამ და აი, უეცრად შემშულდა ისინი. იმათიც მეშინოდა, ეშმაკობასა და ვერაგობას ვწამებდი და აბა იქ დარჩენა შეიძლებოდა? აი, მეც ბარად ჩამოვედი, გვერდით დასვა და სოფელში დაფსახლდი.

აქ რომ მოვხვდი, ხალხში, განვიკურნე და გამოვჯანსაღდი. აკვიატებული შიში მომეხსნა, რომელიც შავი ღრუბელივით ეფარებოდა ქვეყანას.

ყოველივე ეს იმიტომ უფრო ვიამბეთ, რომ მინდა იცოდეთ, ხალხთან სიახლოვე, მათთან უბრალო საუბარიც კი მკურნალი მალამოა. თუმცა სიმართლე გითხრათ, ახლაც მეშინია, ტბის პირას გულში მიყენებული ჭრილობა ჯერ კიდევ არ არის მთლად მოშუშებული და შეიძლება ნებისმიერ დროს გაიხსნას. აი, რატომ არ მინდა ხელახლა დარდის აშლა...

ბიძამ თხრობა დაამთავრა, მაგრამ მსმენელები კარგა ხანს იყვნენ გასუსულები, თითქოს ეშინოდათ ხელი არ შეეშალათ მისთვის.

— დიდი მადლობა, ბიდა, ასე გულახდილი რომ იყავი ჩვენთან, — სიჩუმე დაარღვია ბაბუამ და დალოცა ბიდა: — მხოლოდ ბედნიერება გწვევოდეს მომავალში!

კერიაზე ცეცხლი ინავლებოდა და ძია ელიზბარი შეშის მოსატანად გავიდა.

— აბა, ახალ წელს გილოცავთ, პირველ თოვლს გილოცავთ! — მოგვესმა მისი ომახიანი ხმა.

ჩვენ გარეთ გავცვივდით. ბარდნიდა და მიწას ხალიჩად ეფინებოდა ქათქათა, ფაფუკი თოვლი, რომელსაც ჯერ არავის ნაფუნური არ ემჩნეოდა... კოჭამდე თოვლში ჩაფლულები ბავშვებიც ვგუნდაობდით და დიდებიც. ვილაცამ სიმღერაც კი წამოიწყო, მაგრამ სიმღერაც ისე დაიკარგა, თითქოს ისიც თოვლმა დაფარაო...



პოლ ელუარი



ფრანგული
ბიბლიოთეკა

ლექსები

ფრანგულიდან

მარგონა ჩენე კაღანდიაშ

სიზიზველი სიპართლისა

მე კარგად ვიცი ეს ყველაფერი.
სასოწარკვეთას ფრთები არა აქვს
და სიყვარულსაც არ გააჩნია
და არა აქვთ სახე
ისინი სიტყვაძვირნი არიან
ვახევებული ვდგავარ
მათ არც ვუყურებ

არ ვეუბნები ერთ სიტყვასაც
და მაინც ვგრძნობ რომ კვლავ
ცოცხალი ვარ
რადგანაც ჩემი სიყვარული და
სასოწარკვეთა
ცოცხლები არიან.*

1924.

სიცილის სახლს თავს დასტრიალებს
ფრინველი და საკუთარ ფრთაში
იციინის იგი
და სამყარო ისე მჩატეა
რომ ვერ ისვენებს ერთ ადგილას
თანაც ისე მხიარულია
რომ არაფერი უნდა.

1924

მიეყრდნობიან მზეს
და ჩუმ-ჩუმად ჩურჩულებენ
და მთრთოლვარე ჩრდილის
ფურცლები
ფეხაკრეფით მიდიან მათი
მოთენთილი გულებისაკენ.

1929

ეს მდუმარების გზაა
ჩემი ხელისგულებიდან შენს
თვალეზამდე
და შენი თმებისკენ
იქით სადაც
ტირიფები — ქალიშვილები

გაოხრებული სახლი
უსახო
სახლები
მიტოვებული შესაბრალისი
სახლები
როგორც ცარიელი და
უშინაარსო ტომები.

1932

* ავტორი, როგორც სხვა სიურრეალისტები პუნქტუაციითაც გამოირჩეოდა: ხშირად დეფისით, ტირეთი და წერტილით კმაყოფილდებოდა, დროდადრო — საერთოდ უარყოფდა (მთარგმნ. შენიშვნა)).

დ ე ვ ნ ი ლ ი

მტვრის ნამცეცით მეტი თუ ნაკლები
დაუძღვრებულ მხრებზე
სისუსტის კულულები დაღლილ შუბლებს
დათხუპნულია ფიცარნაგი თაფლით



ხოლო ბუზების ურდოები ემორჩილება
უბედურების მრუმე ნიშნებს
სიცარიელის ზემოთ გასროლილ-დამიზნებულნი
უსაზღვრო სასოწარკვეთილებით წვეთავენ ხიდის

სიცარიელის ზემორე
თითოეული ქუჩის თითოეული სახლისა
თავგუნებობა და ყეყეჩი მაწანწალები
რომლებიც მალე ყველაფერს დაიზებირებენ
მექანიკურ სურვილებსა და გიჟურ ცეკვებს
სიბოროტისკენ რომ წაათრევს აბდაუბდის ბადეებით
წუხილი სამართლიანობის გამო.

1936

●
არა ეს შეუძლებელია რომ
ვინმე მიცნობდეს უკეთ ვინემ შენ

შენს თვალებში ჩვენ ვეშვებით როგორც ძილში
და ვრჩებით ორნი
შენმა თვალებმა დამასაჩუქრეს ცეცხლის ენებით
და ლამეები შურით სკდებიან

შენს თვალებს როცა მივაშურებ თითქოს ჩემი
და ბილიკებზე სიარულისას მაძღვევენ ძალას
ვიყო მართლაც თავისუფალი
დედამიწის მიზიდულობის კანონებისგან

შენს თვალებში ხშირად სახეებს იცვლიან
ყველა ისინი რომლებიც ჩვენს წინ
აშიშვლებენ ან ამხელენ
განუზომლობას სიმარტოვისა

არა ეს შეუძლებელია რომ
ვინმე გიცნობდეს უკეთ ვინემ მე.

1936

ქასმინის მკრეფავი ქალი

1



მისი სხივმოსილი გულ-მკერდი ღრმად
 ეფლობოდა ბუჩქებს
 ნათელი დილის ლურჯ სახნისივით
 და გამწვანებულ წყაროს ცხვირივით

2

მისი ხელები თვალთათვის თითქმის უხილავნი
 ნაზად ეშვებოდნენ ქასმინის რტოებზე
 იგი შრომობდა მზის გულზე
 თითქმის ნახევრად ტიტველი და
 სეტყვის სიმკვირცხლით

3

მისი სხეულის საზღვრებს მიღმა
 მიწა და ზეცა უძღური იყო

4

ის აგროვებდა ვარსკვლავებს
 იქ სადაც შეუძლებელია რომ არსებობდნენ ისინი
 ის დაუღლედად აგროვებდა
 წყლის კამკამა წვეთებს კოცონში.

1938

ადამიანური გულის სიზუსტე

ო ადამიანური გულის სიზუსტე

სილამაზის ყველა ფერი
 თუ დახვეწილი ფორმები
 და სხვა ამგვარი რამერუმე იმისთვისაა
 რომ იარო დინჯად პირდაპირ მიზნისკენ

სიზუსტე

სასტიკ-ულმობელი მოძრაობისა
 ნაჩქარევ და შემთხვევით კოცნათა სიზრქეშია
 ან ფუჭ სიტყვათა სიღრმეებშია საძიებელი

ხოლო სიმტკიცე საფუძვლებისა
მამაკაცთა და დედაკაცთა გონებაში

და ღრუბელთა მოხაზულობის უცნაურობა
რომელიც არა და არ გამოდის ღრუბელთა



ქართული
მკვლევარ-მწიგნობარნი

სალეგავებით დაწერილი სიტყვები

პაბლო პიკასოს

რათა ყველაფერს ჩავწვდეთ
გავიგოთ
თვით ხეც ხომალდის ცხვირის სახისა
თვით ხეც სანდო მეგობარი ხვლიკებისა და სუროსი
თვით ალიც თვით თვალდაშრეტილიც

რათა შეერწყას გაერთიანდეს
დღე და ღამე
ფრთა და ცვარი გული და ღრუბელი
ფანჯარა და პეიზაჟი

რათა წარიხოცოს
არარაობის გრიმასა
რაიც ხვალ იცურავებს თვალისმომჭრელ ბრილიანტებში

რათა მოკვეთილ იქნას
სასაცილო პრანჭვა-გრეხა
თავის თავზე ნამეტნავად შეეყვარებულ უზარმაზართა

რათა დავინახოთ
სამყაროში ყველაფერი თვალეებში როგორ აისახება
ყველაფერზე ქვეყნიერების ყოველ თვალში

რათა დავინახოთ
რომ სამყაროში ყველაფერი თვალეებია
და თანაც ისე მშვენიერია
როგორც ყოველი დიდი თუ მცირე
რასაც ისინი ზღვასავით
შეისრუტავენ იერთებენ შეისუნთქავენ თავიანთ არსში

რათა ადამიანები ბედნიერად ილიმოდნენ
სიცხისგან და სიცივისგან
შიმშილისგან და წყურვილისგან

რათა სიტყვები
იყვნენ ისევე ხელგაშლილი და მართალი
როგორც ამბორი



ქართული
წიგლისათვის

რათა შეაერთო
მობანავე ქალი და მდინარე
ბროლი და მოცეკვავე ქალი
ავდრიანი დაფიონი და გაზაფხული
აჯანყებული ძუძუებისა
ლტოლვა-წადილი და ბაღღური გონივრულობა

რათა ქალბატონს
განმარტოებულს და მოწყენილს უაღრესი
ჩაფიქრების უამს

მიენიჭოს მოხაზულობა იმ ალერსთა
რომლებზედაც ოცნებობს იგი

რათა დაღლილმა უდაბნოებმა ამოისუნთქონ
შვებით გრილოში
იმის ნაცვლად რომ ჩემი ფიქრების
ჩრდილში სუნთქავდეს უდაბნო

გავცე
ჩემი
კეთილდღეობა
გავიღო
ჩემი
უფლება.

1938

მივიწყებული ბაღი

ოდესღაც ეს ბაღი ზღვაზე გადიოდა
მიხაკის გულმკერდით
წყლის ჩხრიალს ბაძავდა
და შრიალებდა ტყესავით

ბაღის შუაგული სინორჩეს აფრქვევდა
მშვიდად და გულუხვად
ხოლო ყვავილები ცერებზე დგებოდნენ
აისის ფესვებთან
ოდესღაც ეს ბაღი ხმელეთზე გადიოდა
ის იყო მშვიდად ალერსიანი
დაბურული ტყის ყოველ ნაბიჯზე
ნაზი ჩქაფუნით იღვრებოდნენ ხეივნები და სურნელი

განაკაფთა ჭრელ-ჭრელი გამა
ედინებოდა პეიზაჟის ზურმუხტისფერ ნაკადში ღალად
და მზე აპრილის ფერისა
დაცურავდა მწვანე ზეცაში.



ჩვენ ვყრით ერთ ბლუჯა წყვდიადსა და უმეცრებას წმინდა ცეცხლში
ჩვენ ვგლეჯთ ურდულებს ჟანგიანი უმართლობის და ტყუილებისა
ხოლო მომავლის ადამიანებს მეტად აღარ შეეშინდებათ
თუნდაც თავისი თავისა
რადგანაც მათ ჯერ კიდევ სჯერათ ადამიანთა
და სწამთ მთელი კაცობრიობის
რადგან მტერი ადამიანურ სახით თუ ნიღბით
გაქრება როგორც წყვდიადი.

1942

უტრისიდან უტრისამდე

დილის ტევრთა ნისლოვანში იქ სადაც მიწის აკვანი ირწყვა
სხივი მოქნილი და მოწყვრიალე მოშრიალე ზღვას ლოგინს გაუშლის
ხოლო ფოთოლი მზით განბანილი ჩუმად გვიმზერს და გვათვალთვრებს
გულუბრყვილო და სუფთაა იგი და წმინდა გულმავიწყი თვალთვით
და დღევანდელი დღე ერეკება მოჩვენებათა წყებას იშორებს
და გარდასული ღამის სიღრმეში ისვრის აჩრდილებს მოგონებათა.

1946

ცისკრის ლოცვა

მე დამესიზმრა უკაცრიელი ქუჩა
შენ მიდიოდი მარტო
და როცა შენი ნაბიჯების ხმა ჩაესმა ფრინველს
მან გამჭვირვალე ცვარ-ნამშიც კი გამოიღვიძა

მწვანე და ნოტიო ტევრნარში
იზმორებოდა და იშლებოდა განთიადი
და ფეთქდებოდნენ ხეები
ხოლო შენ დღეს აღებდი

მეჩვენებოდა რომ ყველაფერი იყო უბრალოდ
ჩვეულებრივი

ჩვეული იყო ეს ზაფხულის დღეც
მე მეძინა უზრუნველად როგორც პატარა ბიჭუნას
შენ კი ადექი ალიონზე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მე მაჩუქე
უდასასრულო ბავშვობა.

1951

ცეკვის ხელოვნება

შხაპუნა წვიმას კრამიტი უჭირავს
წონასწორობაში. ბალერინა კი
ვერასდროს შესძლებს, - რომ - ისხმებოდეს
და ხტუნაობდეს ისევ და ისევ,
როგორც შხაპუნა წვიმა.

მ უ შ ა

თვალმოჭუტულს შეუძლია, რომ ერთი შეხედვით
განჭვრიტოს ხეებში ფიცრები და მთებში — გზები,
საუკეთესო ასაკში, როცა ძალ-ღონე ჩქებს მის კუნთებში
დაქარგოს რკინა, აზიდოს ქვიშა, დააწყოს ქვეები
და მორთოს, შეამკოს ბუნება
ადამიანურ სიმშვენიერით,
იმრომოს ნიადაგ.

ეს პ ა ნ ე თ შ ი

თუ ესპანეთში დარჩა ერთი ძოწისფერი ხე
ეს არის ხე თავისუფლების

თუ ესპანეთში ისმის დაუდუმებელი ენა
ის განუწყვეტლივ საუბრობს თავისუფლებაზე

თუ ესპანეთში დარჩა თუნდაც ერთი ჭიქა სუფთა ღვინო
მას დაღევს ხალხი.

სიმეტრიული სიამაყე — ცხოვრება ორად ანუ
თანაბრად გაყოფილია



ქართული
ბიბლიოთეკა

ქუჩების ხანდაზმულობასა და
ღრუბლების ახალგაზრდობის შუა
დახურულია დარაბები და თრთიან ხელები
როგორც ფოთლები მზეზე
ხელები თითქოს მოჩქრიალე ნაკადულები
და მორჯულებული თავი.

მინას მიკრული მიჭყლეტილი ვარ სახით მჭმუნვარე გუშაგივით
და ჩემს ქვემოთ კი ღამის ცაა
ხოლო ჩემს ხელისგულზე უკვე გაწვნიენ ვაკე-მინდორი ვაკე-ხეობა
თანაც ორფა პორიზონტის უძრაობაა
მინას მიკრული მიჭყლეტილი ვარ სახით მჭმუნვარე გუშაგივით
და შენ დაგეძებ მოლოდინის საზღვარს მიღმა — გულსევდიანი
ჩემივე თავის საზღვარს მიღმა დავბორიალებ
მე შენ ისე მიყვარხარ რომ უკვე არც ვიცი
თუ რომელი ჩვენთაგანი არ იმყოფება ამჟამად აქ.

მ ა რ ტ ო ხ ე ლ ა

მე შემეძლო მარტო ცხოვრება
უშენოდ

ეს ვინ ლაპარაკობს
ეს ნეტავ ვის შეუძლია უშენოდ ცხოვრება
სიმარტოვეში
ვინაა იგი

იცხოვრო ყველაფრის და ყოველის წინააღმდეგ
თუნდ საკუთარი თავის ჯიბრზე იცოცხლო დიდხანს

საცაა ღამე ჩამოიქცევა

როგორც გამჭვირი ლოდი
მე განვზავდები ღამეში.

სამყაროს სიცარიელეში ბრწყინავს შენი ნარინჯისფერი თმები,
 მდუმარებისა და წყვილიადის გაქვავებული მინების პირქუს სიცარიელეში
 ანათებს იგი,
 იქ, სადაც ჩემი შიშველი ხელები მარად ეძიებენ ანარეკლებს.

ქიმურული ფორმის გული გაქვს,
 ზოლო შენი სიყვარული მსგავსია ჩემი გარდასული სურვილებისა.
 ო უნაზესი ამოოხვრანი, ოცნებანი და მზერანი თავბრუდამხვევი,
 სურნელოვანი.

მაგრამ შენ ჩემთან არ ყოფილხარ ყოველთვის, ყველგან.
 დამწუხრებულად ინახავს სურათს შენი ანაზღად გამოცხადების და
 წასვლისა. დროს, სწორედ რომ სიყვარულივით, არ შეუძლია
 არაფერი, —

საჭირო სიტყვების გარეშე.

პოეზიის კრიტიკა

პო რა თქმა უნდა მეზიზღება ბილწი სამეფო ბურჟუებისა
 სამეფო შპიკთა და ხუცესთა
 მაგრამ ასჯერ უფრო და უფრო მძულს ის ადამიანები
 რომელთაც არ სძულთ სიბილწე იგი
 მთელი სულით და გულით
 ისევე როგორც მე.
 და სიფათში ვაფურთხებ ზიზღით უბადრუკობას

ვინაც ყველა ჩემს ლექსებს არ ამჯობინებს
 ამ კუმტ კრიტიკას პოეზიისა.
 ჯუჯისას

ჩვენ ორნი

ჩვენ ორმა ძლიერ ჩავჭიდეთ ერთმანეთს მთრთოლვარე ხელები
 და ჩვენ გვეჩვენება რომ თითქოს ყველგან შინა ვართ
 თუნდ ჩუმი ხისა თუ ყომრალი ცის ქვემოთ
 და ნებისმიერ სახურავს ქვემოთ სადაც ანთია კერიის ცეცხლი
 და უკაცრიელ ქუჩაში როცა დულს შუადღე და მზე იკბინება
 და ჩვენთვის უცხო ადამიანთა ჯგუფის დაბნეულ თვალებში
 ბრძენთა და სულელთა მხარდამხარ მივდივართ
 ჩვენს სიყვარულში იდუმალი და დაფარული არაფერია
 თვალნათლივი ვართ და თავისთავად
 ანკარა წყარო რწმენისა სხვა წყვილებისათვის.

ოდნავ შეცვლილი

მშვიდობით სევდავ
სალამი სევდავ
შენ ჩასახულ-ჩაქარგული ხარ ჭერის სახეებში
შენ ჩაწერილი ხარ იმ თვალეებში
რომლებიც მე საოცრად მიყვარს
შენ სულაც არა ხარ უბედურება



საქართველოს
საბჭოთაო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

რადგანაც ამ სამყაროში
თვით უსაწყლეს ბაგეებზეც კი აღმოაცენებ
ღიმილის ვარდს
სალამი სევდავ
სიყვარული ურთიერთდამყოლ სხეულთა
გარდუვალობა სიყვარულისა
აღერსი შენი წარმოიშობა მოულოდნელად
ვით უსხეულო ურჩხული
დამწუხრებული თავით და სახით
სალამი პირმშვენიერო სევდავ.



საქართველოს

უბნის ურიდან

თარგმანი მერი ტიტვინიძის

პროლოგი

1.

„სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი?!“ ამავე მოსაზრებით შემეძლო ეს წიგნი ასეც დამესათაურებინა: „ოთხი სამოძღვრებო ნოველა!“ ოთხი? რატომ ოთხი? იმიტომ, რომ ეს პროლოგიც ნოველაა. კარგად გამიგეთ, ნოველაა და არა ნივოლა! სწორედ ნოველა!

რაც შეეხება სიტყვას ნივოლა, როგორც მოვნათლე ჩემი ნოველა — მერედა რა ნოველა! — „ბურუსი“ და იქვე, 275-ე გვერდზე კიდევ განვმარტე, — პირდაპირ ხსნა იყო ჩემი... — კრიტიკოსებისთვისო? — მკითხავთ. კეთილი, დაე, ასე იყოს, კრიტიკოსებისთვის. ისინი მყისვე ჩააფრინდნენ ამ სიტყვას, რამეთუ ეს ხელს აძლევდა მათ გონებრივ სიზანტეს. გონებრივი სიზანტე კი, ანუ უცნობის განსჯა ნაცნობის ხარჯზე, იმათი ნიშან-თვისებაა, ვინც კრიტიკოსობაზე დებს თავს.

ამ პროლოგში კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით — გნებავთ ნოველა დაარქვით, გნებავთ — ნივოლა, — ნივოლისტიკის საკითხს. მივუბრუნდებით-მეთქი, რომ ვამბობ და თან ასე საზეიმოდ ვაცხადებ, ამასთან, პირველ პირში, მრავლობით რიცხვში ვლაპარაკობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ორნი ვართ, შენ, მკითხველო და მე. პოდა, აკი გამოდის კიდევ ჩვენ, მაშასადამე, მივუბრუნდებით. ახლა ზოგიერთი რამ სიტყვა სამოძღვრებოს თაობაზეც.

სამოძღვრებო? რატომ სამოძღვრებო?

მიგელ დე სერვანტესმა სამოძღვრებო დაარქვა ნოველებს, რომლებიც გამოაქვეყნა თავისი კისოტეს შემდეგ, რადგან პროლოგში გვეუბნება: „მათ შორის ვერც ერთ ნოველას ვერ ნახავთ, საიდანაც რაი-

მე სასარგებლო მოძღვრება ვერ გამოიტანოთ“. მერე კი დასძენს: „ჩემი მიზანი იყო, ჩვენი ქალაქის ფართო მოედანზე ერთგვარი ბურთის საგორებელი მაგიდა დამედგა, ისე რომ, ყველას, ვინაც კი გართობა მოუნდებოდა, მისულიყო, თავიც შეექცია და ამასთან, არც, ასე ვთქვათ, ვნება მიეყენებინა სულისა და ხორცისთვის, რამეთუ წესიერი და სასიამოვნო გართობა უფრო სასარგებლოა, ვინემ საზიანო“. მერე განაგრძობს: „დიახ, არცა ტაძრებსა და სამლოცველოებში დაგდივართ მუდამუჟამს, არცა საქმეებს ვეჭიდებით დღენიადავ, რაგინდ საშური იყოს; დგება ხოლმე საათი ხელახლა ქმნისა თუ ნეტარებისა, როცა მოღლილი სული ისვენებს; სწორედ ასეთ ჟამს ჭრიან ხოლმე ხეივნებს, ეძებენ წყაროებს, მოასწორებენ ბორცვებსა და აშენებენ საოცარ ბაღებს“. მერე კვლავ დასძენს: „გავთამამდები და ვიტყვი: თუკი ამ ნოველების კითხვა ასე თუ ისე ავ სურვილებსა და აზრებს აღუძრავს ჩემს მკითხველს, უმაღ ხელს მოვიჭრიდი, რომლითაც ისინი დავწერე, ვინემ მათ გამოვაქვეყნებდი; უკვე იმ ასაკს მივატანე, როცა საიქიოსთან ხუმრობა აღარ გამომადგება, რამეთუ ჩემს ორმოცდათხუთმეტ წელს კიდევ ცხრაც მივუმატე და გვარიანი სნეულებებიც ავიკიდე“.

აქედან კი შეიძლება დავასკვნათ: პირველი, რომ სერგანტესი თავის ნოველებში უფრო ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილებისთვის ზრუნავდა, ანუ იმისთვის, რასაც დღეს ესთეტიკას ვუწოდებთ, ვინემ მორალისთვის; ამასთან, უნდოდა შვება მოეტანა ხელახლა ქმნის საათებში, როცა ჩვენი მოღლილი სული ისვენებს; მეორეც, სამოძღვრებო მათ მხოლოდ მას შემდეგ დაარქვა, როცა უკვე დაწერილი ჰქონდა, მეც სწორედ იგივე დამემართა. ჯერ ნოველები დავწერე და მერე პროლოგი წავუმძღვარე, ისევე როგორც ჯერ ენა შეიქმნა და მერე გრამატიკა, მას რომ მართავს და აწესრიგებს, ანდა როგორც მორალური დოქტრინა შეიქმნება ხოლმე მას შემდეგ, რაც უკვე ჩადენილია რაიმე კეთილი თუ ბოროტი საქციელი და მერეღა მიუსადაგებენ გამზადებულ დოქტრინას; და ეს პროლოგიც, გარკვეული აზრით, სხვა ნოველაა, ჩემი ნოველების ნოველაა და, ამასთან, ჩემი ნოველისტიკის ახსნაც, ანდა, თუ გნებავთ, ნ ი ვ ო ლ ი ს ტ ი კ ი ს ა.

და ამ ნოველებს მეც სამოძღვრებოს ვუწოდებ, რამეთუ მათში გთავაზობთ ჭკუის სასწავლებელ მაგალითებს — ხოლო ამ სიტყვების მნიშვნელობის შესაბამისად — ცხოვრებისა და რეალობის მაგალითებსაც.

რეალობისას! დიახ, რეალობისას!

მისი აგონისტები, ე. ი. მებრძოლები — ანდა, თუ გნებავთ, დავარქვათ მათ პერსონაჟები, — რეალურები არიან, ყველაზე უფრო რეალურები, უურეალურესები — ყველაზე უფრო შინაგანი რეალურობით ქმნილნი, რასაც ისინი თავიანთ თავს მიაკუთვნებენ წმინდა სურვილით, რომ იყვნენ, ანდა წმინდა სურვილით, რომ არ იყვნენ ასეთები და არა იმ ნიშნით, რასაც მათ მკითხველები მიაწერენ.

2.

ლიტერატურულ ხელოვნებაში რეალიზმად წოდებულ სიტყვაზე უფრო ორაზროვანი არაფერი მახსენდება; და აი, რატომ: მაინც / რა რეალობა იგულისხმება ამ რეალიზმში?

სინამდვილეში, ეს ეგრეთ წოდებული რეალიზმი, ^{ქმნილებული} ~~ქმნილებული~~ ნული, მოჩვენებითი, ლამის სალანძღავი და ანეკდოტური რამაა და უფრო ლიტერატურულ ხელოვნებას განეკუთვნება, ვინემ პოეტურსა თუ შემოქმედებითს. ყოველ პოემაში, — ხოლო საუკეთესო ნოველებში პოემებია, — ყოველ ქმნილებაში, რეალობა სულაც არ არის ის, რასაც კრიტიკოსები რეალიზმს უწოდებენ. ყოველ ქმნილებაში რეალობა არის შინაგანი, შემოქმედებითი და ნებისაგან მომდინარე. პოეტი კი თავის ქმნილებებს — ცოცხალ ქმნილებებს — ეგრეთ წოდებული რეალიზმის ხერხებით როდი ქმნის. რეალისტების მიერ შექმნილი ფიგურები მუდამ გადაცმული მანეკენები გახლავთ, რომელთაც თოკებით ამოძრავებენ, გულში ფონოგრაფი უძევთ და მარტო იმ ფრაზებს იმეორებენ, რაც მაესე პედრომ აკრიფა ქუჩებში, მოედნებსა თუ დუქნებში და თავის დავთარში აღნუსხა.

როგორია ეს შინაგანი რეალობა, რეალური რეალობა, მარადიული რეალობა, ადამიანის პოეტური თუ შემოქმედებითი რეალობა, იქნება ეს ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი, თუ, ასე ვთქვათ, წარმოსახვის ნაყოფი, რაც ერთი და იგივეა, რამეთუ დონ კიხოტე ისეთივე რეალურია, როგორც სერვანტესი, ჰამლეტი და მაკბეტი, როგორც შექსპირი, და, ჩემი აუგუსტო პერესი, შესაძლოა მართალიც გახლდათ, როცა მითხრა, — ეს ჩემს რომანშიც ვთქვი და, მერე როგორ რომანში! — „ბურუსში“, გვერდი 358 და 359, — ვითომ მე მისიცა და სხვათა ამბებიც, მათ შორის, თვითონ ჩემიც, მხოლოდ საბაბად გამოვიყენე, რომ ქვეყნიერებისთვის მეძცნო...

რა არის ყველაზე უფრო შინაგანი? ყველაზე უფრო შემოქმედებითი, ყველაზე უფრო რეალური ადამიანისთვის?

აქ მე მინდა კვლავ მოვუხმო ოლივერ უენდელ ჰოლმის მეტად მახვილგონივრულ თეორიას, რასაც თავის წიგნში „საუზმის მაგიდის თვითმპყრობელი“ III — გვთავაზობს სამი ხუანისა და სამი ტომასის მაგალითზე. და აი, რას გვეუბნება: როცა საუბრობენ ორნი, ხუანი და ტომასი, საუბარში ექვსი პიროვნება მონაწილეობსო:

სამი ხუანი

1. რეალური ხუანი, რომელსაც იცნობს მხოლოდ შემოქმედი;
2. იდეალური ხუანი ხუანისა, რომელიც სულაც არ არის რეალური და ხშირად მისგანაც განსხვავდება.
3. იდეალური ხუანი ტომასისა, რომელიც სულ არ არის რეალური ხუანი, არც ხუანის ხუანი, პირიქით, ხშირად ორივესგან საკმაოდ განსხვავდება კიდევ.

სამი ტომასი

1. რეალური ტომასი.
2. იდეალური ტომასი ტომასისა.

3. იდეალური ტომასი ხუანისა.

ანდა, ასე ვთქვათ, პიროვნება, როგორც არის; პიროვნება, როგორც თვითონ წარმოუდგენია და პიროვნება, როგორც წარმოუდგენია სხვას. და ოლივერ უენდელ ჰოლმსი ამის მიხედვით მსჯელობს თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე.

ერქმეხუაი

მაგრამ მე, ინტელექტუალური იანკის, უენდელ ჰოლმსისგან განსხვავებით, სხვა გზას ავირჩევ და ვიტყვი, რომ იმის გარდა, ვინც უფალი ღმერთის წინაშე წარსდგება — თუკი, საერთოდ, ვინმე წარსდგება მის წინაშე, — და იმის გარდაც, ვინც წარსდგება სხვათა წინაშე და კიდევ იმის გარდაც, ვინც წარსდგება საკუთარი თავის წინაშე, არის ისიც, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება და ის, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება, არის მასში, მის გულში შემოქმედი და ის არის ჭეშმარიტად რეალურიც. ჩვენი გადარჩენა ან დაღუპვა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რანი ვიყავით, არამედ იმაზე, თუ რანი გვინდოდა, რომ ვყოფილიყავით. ღმერთი წყალობს ან სამუდამო სატანჯველად გასწირავს ადამიანს იმისათვის, თუ რა უნდოდა, რომ ყოფილიყო მას.

ანლა ხურც ის დაგვაფიწყდება, რომ არიან ისეთებიც, რომელთაც სურთ ყოფნა და ისეთებიც, რომელთაც სურთ არყოფნა. და ეს ერთნაირად ახასიათებს რეალურ ადამიანსაც, სისხლისა და ხორცისგან ქმნილს და რეალურ პიროვნებასაც, რომელმაც ჰპოვა განსახიერება ნოველისტურ თუ ნივოლისტურ გამონაგონში. არიან გმირები, რომელთაც სურთ არყოფნა, უსურვილო ადამიანები.

მაგრამ სანამ შემდეგზე გადავიდოდეთ, თავს ვალდებულად ვთვლი, აგისხნათ, რომ სულაც არ არის ერთი და იგივე, გასურდეს არყოფნა და არ გასურდეს ყოფნა.

ფაქტობრივად არის ოთხი პოზიცია და, აი, როგორი: ორი — დადებითი: ა) გასურდეს ყოფნა; ბ) გასურდეს არყოფნა; და ორი — უარყოფითი: გ) არ გასურდეს ყოფნა; დ) არ გასურდეს არყოფნა ასევე შეიძლება, გწამდეს, რომ არის ღმერთი, გწამდეს, რომ არ არის ღმერთი; არ გწამდეს, რომ არის ღმერთი და არ გწამდეს, რომ არ არის ღმერთი. ა) ისევე, როგორც — გწამდეს, რომ არ არის ღმერთი, იგივე არ არის, რაც არ გწამდეს, რომ არის ღმერთი; ასევე გასურდეს არყოფნა, იგივე არ არის, რაც არ გასურდეს ყოფნა. ის, ვისაც არ სურს ყოფნა, ძნელად განსახიერდება პოეტურ ქმნილებაში, ნოველაში; მაშინ, როცა ის, ვისაც სურს არყოფნა, განსახიერდება და ის, ვისაც სურს არყოფნა, არ არის, ცხადია, თვითმკვლელი.

იმას, ვისაც სურს არყოფნა, შეიძლება ისურვოს ყოფნა.

რაო? ეგებ ეს ყველაფერი აბდაუბდად მოგეჩვენათ? მაშ, თუ ასეა და ეს თქვენ აბდაუბდად გეჩვენებათ და არც ძალგიძთ, არათუ უბრალოდ გაიგოთ, არამედ უფრო იგრძნოთ და იგრძნოთ მთელი გზნებით და ტრაგიკულად, ვერასოდეს შეძლებთ შექმნათ რეალური არსებები, მით უმეტეს, ვერასოდეს შეძლებთ დატკბეთ ვერც ერთი ნოველით, თუნდაც ეს თქვენივე ცხოვრების ნოველა იყოს, რამეთუ ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოები ტკბობას განგვაცდევინებს იმიტომ, რომ მას ვქმნით ჩვენში, ხელახლა ვქმნით და ჩვენც მასთან ერთად გარდა-

ვიქმნებით. და ამიტომ იყო, რომ სერვანტესი თავისი „სამოქმედო ნოველების“ პროლოგში ლაპარაკობდა „ხელახლა ქმნის საათებზე“, და მე მის ლიცენციატ ვიდრიერასთან ერთად გარდავიქმენი როცა ვქმნიდი ჩემში და გარდავიქმნიდი საკუთარ თავსაც მასთან ერთად. ლიცენციატი ვიდრიერა მე თვითონ გავხდი.

მეჩვენებო
ბიზლიმთქვა

3.

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ, მე მგონია, შევთანხმდით, რომ... — ადამიანი არის ყველაზე უფრო რეალური *Realis*, ყველაზე უფრო მოქმედი *res*, ყველაზე უფრო მატერიალური; ან, როგორც იტყვიან, ყველაზე უფრო დიდი წამქეზებელი. — არსებობს მხოლოდ ის, ვინც მოქმედებს — ეს არის ის, ვისაც სურს ყოფნა, ანდა ის, ვისაც სურს არყოფნა, ესე იგი, შემოქმედი. მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეგვიძლია, ვუწოდოთ, კანტის მიხედვით, ნოუმენალური, ადამიანი ნებისა და იდეალის მატარებელი — იდეა — ნებისა ანდა ძალისა — უნდა ცხოვრობდეს ფენომენალურ, მოჩვენებით, რაციონალურ სამყაროში, ეგრეთ წოდებული რეალისტების სამყაროში; და მან ცხოვრება უნდა განიცადოს, ვითარცა სიზმარი, რამეთუ ცხოვრება არის სიზმარი. და აქედან, ამ რეალურ ადამიანთა ერთიმეორესთან შეჯახების შედეგად წარმოიშვება ტრაგედია და კომედია, ნოველა და ნივოლა, რამეთუ რეალობა არის შინაგანი, რეალობა არ შეიძლება შეიქმნას არც სოფიტებით, არც დეკორაციებით, არც ტანისამოსით, არც პეიზაჟებით, არც ავეჯით, არც რემარკებით, არც...

შეადარეთ სეზიზმუნდო დონ კიხოტეს, ეს ორი, ვისთვისაც ცხოვრება არის სიზმარი. დონ კიხოტეს ცხოვრებაში რეალობას წარმოადგენს ქარის წისქვილები კი არა, არამედ გოლიათები. ქარის წისქვილები რაღაც ფენომენალურია, მოჩვენებითი, გოლიათები კი — ნოუმენალური და სუბსტანციური. სიზმარია მხოლოდ ცხოვრება, რეალობა, შემოქმედება. თვით რწმენა, წმინდა პავლეს თანახმად, სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა სუბსტანცია, რომელსაც ველოდებით და ეს იმედი არის კიდევ სიზმარი; და რწმენა არის წყარო რეალობისა, რამეთუ ეს არის ცხოვრება, რწმენა, არის ქმნა.

განა „ოდისეა“, ეს ეპოპეა — რომელიც არის ნოველა და ნოველა რეალური, მეტისმეტად რეალური — ნაკლებად რეალურია, რაკი მასში საოცარი სიზმრებია ნაამბობი, რომელთაც რეალისტი მწერალი თავის ხელოვნებაში არც კი გააჭაჭანებდა?

4.

დიახ, უკვე ვიცი, რა სიმღერასაც წამოიწყებენ კრიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ჩემს ნივოლას ჩააფრინდნენ, ესაო და თეზისების ნოველებიაო, ფილოსოფიურიო, სიმბოლურიო, პერსონიფიცირებულიო თავის ხელოვნებაში არც კი გააჭაჭანებდა?

ბული, კონცეფციები, დიალოგიზებული ესეებიო და ვინ იცის, კიდევ რა...

მაშ კარგი, ადამიანი, თანაც რეალური ადამიანი, რომელსაც სურს არყოფნა, არის სიმბოლო და სიმბოლოსაც შეუძლია გახდეს ადამიანი. იგივე ემართება კონცეფციასაც. კონცეფცია შეიძლება გახდეს პიროვნება. და მჯერა, რომ ჰიპერბოლის შტოს — ~~სურს~~ სურს, — სურს! — შეეხოს თავის ასიმპტოტას და კი ვერ სწვდება მას, და გეომეტრი, რომელიც იგრძნობდა ჰიპერბოლის ამ უიმედო სურვილს, მიელწია თავისი ასიმპტოტისთვის, წარმოგვიდგენდა ამ ჰიპერბოლას, ვითარცა პიროვნებას და ტრაგიკულ პიროვნებას. და მჯერა, რომ ელიფსს სურს ჰქონდეს ორი ფოკუსი და მჯერა ნიუტონის ბინომის ტრაგედიისა თუ ნოველისა, ოღონდ კი არ ვიცი, თავად ნიუტონი თუ გრძნობდა ამას.

კრიტიკოსები კი ყველაფერ ამას წმინდა კონცეფციებს, ანდა გამოგონილ არსებებს ეძახიან!

გარწმუნებ, მკითხველო, რომ თუ გუსტავ ფლობერი გრძნობდა, როგორც ამბობენ, მოწამვლის სიმპტომებს, როცა აღწერდა, ან როგორც იტყვიან, ქმნიდა ემა ბოვარს, რომანში, რომელიც მიჩნეულია რომანების და თანაც რეალისტური რომანების ნიმუშად, — ასევე, როცა ჩემი აუგუსტო პერესი ჩიოდა ჩემს წინ, უფრო სწორად, ჩემში, „სიცოცხლე მსურს, დონ მიგელ, სიცოცხლე მსურსო“, — „ბურუსი“ გვერდი 359, — მეც ვგრძნობდი, რომ მასთან ერთად ვკვდებოდი.

„იმიტომ, რომ აუგუსტო პერესი შენ თვითონა ხარ!“.. — მეტყვიან, — მაგრამ არა! საქმე ის არის, რომ ყველა ჩემი პერსონაჟი, ყველა აგონისტი, რომელიც კი შემიქმნია, საკუთარი სულიდან მყავს ამოზიდული, ჩემი შინაგანი რეალობიდან — რაც არის მთელი ხალხი — მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მე თვითონა ვარ. მაშინ თავად ვილა ვყოფილვარ? ვინ ყოფილა ის, ვინც აწერს მიგელ დე უნამუნოს სახელს? მაშასადამე... ერთი ჩემი პერსონაჟთაგანი, ერთი ჩემი ქმნილებათაგანი, ერთი ჩემი აგონისტთაგანი და ეს ჩემი „მე“, ინტიმური და უმაღლესი, ეს ტრანსცენდენტური ან იმანენტური „მე“ ვილა ყოფილა? უფალმა უწყის... ეგებ თავად უფალიც კი...

და ახლა უნდა გითხრათ, რომ ეს ბინდბუნდოვანი პერსონაჟები — არც შუალამისანი და არც შუადლისანი, რომელთაც არ სურთ ყოფნა და არც სურთ არყოფნა, არამედ შეიძლება მართო ან თან გაიყოლო, — რომ ეს ყველა პერსონაჟი, რომელთაც აავსეს ჩვენი ესპანეთის თანამედროვე რომანები, ყველა იმ თავისი წვრილმანით და, რომლებიც გამოირჩევიან იმ თავიანთი აჩემებული ფრაზებითა და ტიკებითა თუ ჟესტებით, არ წარმოადგენენ პიროვნებებს თავისი უმაღლესი მნიშვნელობით, არც გააჩნიათ შინაგანი რეალობა. არ არის წუთი, როცა მათ შეიძლება გაგისხნან გული და გაამიშვლონ თავიანთი სული.

ჭეშმარიტი ადამიანი შეიძლება აღმოაჩინო და შექმნა ერთი წუთის, ერთი ფრაზის, ერთი შეძახილის მიხედვით, ასეა შექსპირთან, და მერე, როცა უკვე აღმოაჩენთ, შექმნით მას, თქვენ უკეთ იცნობთ მას, ვიდრე თვითონ იცნობს თავის თავს.

თუ შენ, მკითხველო, გასურს შექმნა ხელოვნებისთვის პიროვნებები, ტრაგიკული აგონისტები, კომიკური ან ნოველისტური, ნუ დაახვევებ დეტალებს, ნუ გამოეკიდები გარშემო მცხოვრები ადამიანების გარეგნული თვისებების შესწავლა-დაკვირვებას, მაგრამ ურთიერთობა კი გქონდეს მასთან, თუ შეგიძლია, კიდევ წააქეზე, მაგრამ უკეთესად შეტად კი უნდა გიყვარდეს ისინი და იმედი გქონდეს, რომ შეგიძლია დაეხმარები, — ანდა, შეიძლება სულაც არ დადგეს, — და ისინი გაგინსნობს სულის ყველა სამალავს და გაგიმხელენ, თუ რანი უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ, თუნდაც ერთი წამოძახილით, ერთი საქციელით, ერთი ფრაზით, და მაშინ, ხელიდან არ გაუშვა ის წუთი, აღბეჭდე იგი შენში, აცადე ამ ჩანასახს გაღვივდეს და იქცეს ჭეშმარიტ პიროვნებად, ისეთ პიროვნებად, რომელიც იქნება ნამდვილად რეალური, და მაშინ, შეიძლება შენს მეგობარ ხუანზე ან შენს მეგობარ ტომასზე უკეთესადაც მიხვდე, თუ რა სურდა, რომ ყოფილიყო ტომასს, ანდა რა სურდა, რომ ყოფილიყო ხუანს, თუ რა სურდა ორივე მათგანს, რომ არ ყოფილიყო.

ბალზაკი არ იყო ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა საზოგადოების ცხოვრებით, იგი არ კარგავდა დროს, რომ შეედგინა შენიშვნები, თუ რას ხედავდა, ან რა ესმოდა ადამიანებში და ადამიანებისგან, მთელ ამ სამყაროს იგი თავის თავში ატარებდა.

5.

ყოველ ცოცხალ ადამიანში ძევს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალი მათი — შვიდი სათნოება: ამპარტავნებას — სიმდაბლე, ანგარებას — მოწყალება, სიძვას — უმანკოება, მრისხანებას — სიმშვიდე, ნაყროვანებას — მარხულობა, შურს — სიყვარული, მიმოწვლილკელობას — სასოება, და მას შეუძლია თავისი თავიდან ერთნაირად ამოხილოს ტირანიცა და მონაც, ბოროტმოქმედიცა და წმინდანიც, აბელიცა და კაენიც.

მე არ ვამბობ, ვითომ დონ კისოტესა და სანჩო პანსას ერთი წყაროსათავე ჰქონდათ-მეთქი, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, რაზედაც მეტყველებს დონ კისოტეს გასანჩოპანსაგება და სანჩო პანსას გადონკისოტება, რაც, იმედი მაქვს, კიდევ დავამტკიცე ჩემს „დონ კისოტესა და სანჩო პანსას ცხოვრებაში“. თუმცა კი, ალბათ, მოიძებნებიან ადამიანები, ვინც მიმითითებს, შენს თხზულებაში გამოყვანილი დონ კისოტე და სანჩო პანსა სულაც არ არიან სერვანტესის გმირების მსგავსნი; ეს სამართლიანიცაა, იმიტომ, რომ არც დონ კისოტე და არც სანჩო პანსა მარტო სერვანტესისა და ჩემი კუთვნილებანი კი არ არიან, ისინი ეკუთვნიან ყველას, ვინც კი მათ შექმნის და ხელახლა შექმნის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ეკუთვნიან თავიანთ თავს, ხოლო როცა ჩვენ მათ ვჭვრეტთ და ხელახლა ვქმნით, იმ ორ გმირს ვემსგავსებით.

მე არ ვიცი, განსხვავდება კი ჩემი დონ კისოტე სერვანტესის დონ კისოტესგან, თუ იგივეა, რაც იყო, მაგრამ მე მის სულში აღმოვაჩინე

ისეთი სიღრმეები, რაც არ აღმოუჩენია სერვანტესს, ვინც პირველმა აღმოგვიჩინა იგი; რამეთუ დარწმუნებული ვახლავართ, რომ სხვათა შორის, სერვანტესმა ჯეროვნად ვერ შეაფასა, თუ რას ნამნავდა ცხადად მესიზმრე რაინდისთვის ის მორცხვი და მოწიწებული სიყვარული აღდონსა ლორენსოსადმი. სერვანტესი ვერც ~~სანჩო პანსას~~ ^{სანჩო პანსას} გაკიხობების მთელ სიღრმეს ჩასწვდა.

ახლა კი შევაჯამებ: ყოველ ცოცხალ ადამიანში ძვეს შვიდი მთავარი სიკეთე და მისი შვიდი საპირისპირო ცოდვა, რაც აძლევს კიდევ საშუალებას სულ სხვადასხვაგვარი აგონისტების შექმნისას.

საწყალი კაცუნები, ტრაგედიისა რომ ეშინიათ, ადამიანთა ეს საცოდავი ლანდები, რომ კითხულობენ და კი ვერაფერს სწვდებიან, კითხულობენ, რათა მოკლან დრო და ამით მარადისობაც — თუკი რომელიმე ტრაგედიაში ან კომედიაში, თუ ნოველაში ანდა, თუ გნებავთ, ნივოლაშიც, მამაკაცს, ნამდვილ მამაკაცს, ან ქალს, ნამდვილ ქალს წააწყდებიან, უეჭველად პკითხავენ საკუთარ თავს: „მაინც საიდან ამოზიდა ავტორმა ეს ყველაფერი?“ ამ კითხვას კი მარტო ერთი პასუხი უნდა გაეცეს: „მხოლოდ არა შენგან!“ და რაკი ავტორს ეს გმირი ამ ნაცრისფერი და უსახო არსებიდან არ ამოუზიდავს, მაშინ არც იმას აქვს აზრი, რომ გააცნო, თუკი ამ გმირში მაინც ვერ ამოიცნობს ადამიანს და არც შერცხვება, მას სიმბოლო ან ალეგორია უწოდოს.

და თუ ეს უსახო არსება, ადამიანის ეს მინამგვანი, რომელიც ყოველგვარ ტრაგიკულს გაურბის, ჩემს მიერ წარმოსახული კი არ არის, როგორც იტყოდა პინდარე, ის უფრო ჩემი წარმოსახვის ლანდია, როგორც იტყოდა ტასო, რამეთუ ის, ვინც მართლაც არის წარმოსახვის ლანდი და ამას კიდევ შეიგნებს, მაშინ დიდ განსჯასაც მიეცემოდა და სურვილიც აღედგრებოდა ყოფნისა ან არყოფნისა, ის თავადვე განდებოდა ის ტრაგიკული პიროვნება, ვინც თავის თავში აღმოაჩენდა უნარს შეექმნა და ხელახლა შეექმნა სხვა ტრაგიკული ანდა კომიკური პერსონაჟები და შეძლებდა გამხდარიყო ნოველისტიც, ესე იგი, პოეტი და სწორედ ის შესძლებდა დამტკბარიყო ნოველით, ესე იგი, პოემით.

6.

ახლა ცხადია?

ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, რათა ჩვენსავე ქმნილებებში სინათლე შევიტანოთ, კიდევ ერთი ტრაგედიაა.

მაშ, ეს ჩვენი პროლოგიც ნოველა ყოფილა. ეს ვახლავთ ჩემი ნოველების ნოველა, დაწყებული ისეთი ნოველებით, როგორიცაა „მშვიდობა ომის დროს“, „სიყვარული და პედაგოგიკა“, ჩემი მოთხრობები, ისინიც აკი ნოველებია, — „ბურუსი“ და ალბათ ყველაზე ტრაგიკული „აბელ სანჩესი“ და დამთავრებული „სამი სამოძღვრო ნოველით“, რომლის წაკითხვასაც ახლა აპირებ, ჩემო მკითხველო, თუ ამ პროლოგმა ხალისი არ დაგიკარგა.

ახლა ხომ ხვდები, ჩემო მკითხველო, რატომ ვუწოდებ ჩემს ნოველებს სამოძღვრებოს! იმედია, სანიმუშო მოძღვრებადაც გამოგადგება!

ვიცი, რომ დღეს ესპანეთში ნოველებს უპირატესად ქალები კითხულობენ, თუმცა არა, ქალები კი არა, მანდილოსნები და ქალიშვილები და ისიც ვიცი, რომ ეს მანდილოსნები და ქალიშვილები ყველაზე დიდი ხალისით საკუთარ სულიერ მამათა მიერ შეთავაზებულ ნოველებს კითხულობენ, ანდა იმას, რასაც ისინი უკრძალავენ, ესე იგი, ან დისტილირებულ ამბებს, ანდა აშკარა პორნოგრაფიას და ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც კი მათ აიძულებთ ჩაფიქრდნენ, არა, ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც მათ აღელვებთ, ხოლო ასეთი აღელვება შეიძლება იმითაც დამთავრდეს, რომ... მაგრამ ამაზე ჯობს გავჩუმდეთ!

ეს მანდილოსნები და ქალიშვილები აღფრთოვანებაში მოჰყავს მანეკენზე ჩამოცმულ მოდურ კაბას, ანდა ნახევრად შიშველი ან ნახევრად ჩაცმული სხეულის დანახვას, მაგრამ აშკარა კეთილშობილური სიშიშვლე კი აშინებთ. ყველაზე მეტად კი — სულის სიშიშვლე.

აი, ასე არსებობს ჩვენი ნოველისტური ლიტერატურაც! ლიტერატურა... დიახ, ლიტერატურა. სწორედ ლიტერატურა. ეს განსაკუთრებული სახის არსებობა, წინადადებათა და მოთხროვნათა, ექსპორტისა და იმპორტის, საბაჟოს კონტროლსა და ნიხრის კანონებს რომ ექვემდებარება.

და აჰა, ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო მკითხველებო, კაცებო და ქალებო, ბატონებო, მანდილოსნებო და ქალიშვილებო, თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ეს ჩემი სამი სამოძღვრებო ნოველა* და, თუმცა წინასწარ ვიცი, ამ ნოველების გმირებს თქვენ სიმარტოვისთვის გასწირავთ და აღიარებას არ აღირსებთ, მაინც მწამს, რომ ისინი იცოცხლებენ და ისევე მწამს, როგორც ის, რომ მე ვიცოცხლებ.

როგორ? როდის? სად? მარტო ერთმა ღმერთმა უწყის...

ორი დედა

რა სატანჯველად ექცა საბრალო დონ ხუანს რაკელი! უშვილოდ გადაშენების შიშით გულმოწამლული ქალი გამწარებით ჩააფრინდა მას და ვინ იცის, რა ხერხსა და ღონეს არ ხმარობდა, ოღონდ კი სამუდამოდ მიეჯაჭვა, კალთაზე გამოება. და დონ ხუანის გულგვამში სურვილთან

* „სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი“ — „Tres Novelas Ejemplares y un prólogo“, რომელშიც გაერთიანებულია ერთი პროლოგი და სამი ნოველა — „ორი დედა“, „მარკიზ დე ლუმბრია“ და „ნამდვილი მამაკაცი“.

„ნამდვილი მამაკაცი“ დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“.

ერთად ჩაკვდა ნებაც, რაკელის თვალები და ხელები ერთიანად უნელე-
ბდა და უყუჩებდა ყოველგვარ სურვილს. და ეს განმარტოებული და
უბართლოდ შექმნილი ოჯახური კერაც მონასტრის სენაკად ეჩვენებო-
და, სადაც შეყვარებულმა წყვილმა მისათარი ჰპოვა.

შეყვარებულმა? მაგრამ უყვარდა კი დონ ხუანს? არა, ამ
ქალმა იგი შთანთქა, თავის მორევში ჩაითრია, რადგან მისმა ქვრივუ-
ლმა უიღბლობამ გატეხა კაცი, რამეთუ რაკელი განლდათ ქვრივი, —
ფიქრობდა დონ ხუანი, — უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, ქვრი-
ვი და თანაც უშვილო ქვრივი. ასე გეგონებოდათ, ქვრივად იყო დაბა-
დებული. მისი სიყვარული იყო შმაგი და შმაგადვე ეძებდა ამ კაცის
არსებაში, თვით მისთვისაც კი უცნობ სულის კუნჭულებში რაღაც უფ-
რო მეტს, ვიდრე ამქვეყნიური სიყვარულია. და დონ ხუანი გრძნობდა,
როგორ მიექანებოდა უფსკრულისაკენ. „ეს ქალი მე მომკლავს!“ —
იტყოდა ხოლმე ძალიძალ და თავიდან ვერ იშორებდა ფიქრს იმ სამუ-
დამო განსასვენებელზე, მარტო სამარეში რომ ეღირსებოდა, როცა
ქვრივი მართლა საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს.

ერთი ხანია რაკელი სულ იმას უჩიჩინებდა დონ ხუანს, ცოლი შე-
ერთე, ოჯახს მოეკიდეო, მაგრამ თავად როდი ფიქრობდა ცოლად გა-
ყოლას, თუმცა კი საბრალო კაცს სხვა ქალზე ფიქრის თავიც აღარ
ჰქონდა.

რაპელი: ვიქორწინოთო? მერედა, ამას რა აზრი აქვს, ჩემო ფისო?
რისთვის? რა ამისთანა ხეირს დაგვაყრის ეკლესიისა თუ სამოქალაქო
კოდექსით დაკანონებული შეუღლება? ქორწინება აკი იმისთვისაა და-
წესებული, რომ შეუღლებმა, როგორც კატეხიზმო გვასწავლის, კე-
თილდღეობა ჰპოვონ და ზეციერს ბავშვები გაუზარდონ. ჩვენ ისედაც
შეუღლებულნი ვართ! კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ? ეეჰ, ჩემო ფისო, —
ესა თქვა და მარჯვენა ხელის თხელი, ნატიფი თითები ცხვირზე მოუთა-
თუნა, — არც შენ და არც მე კეთილდღეობის მოსაპოვებლად არავის
კურთხევა არა გვჭირდება. ხოლო შვილების აღზრდა ზეციერისთვის...
შვილების აღზრდა ზეციერისთვის...

ეს რომ თქვა, ხმა გაეზარა, ცრემლები მარგალიტებად აუთრთო-
ლდა წამწამებზე და ამ ცრემლებში აირეკლა მისი შავი თვალების უძირო
სიღრმე.

დონ ხუანი: რამდენჯერ მითქვამს, კელინა, სხვა გზა აღარა გვაქვს
უნდა ვიქორწინოთ-მეთქი, ამასვე გვიბრძანებს ღმერთიც და კაციც...

რაპელი: ეს შენ უნებობ ღმერთს, ჩემო ფისო?

დონ ხუანი: ჰო, ვიქორწინოთ, კანონიერად შევუღლდეთ და ბავ-
შვიც ავიყვანოთ...

რაპელი: ბავშვი ავიყვანოთ!.. ბავშვი ავიყვანოთ!.. ეგებ ისიც
გეთქვა, უპატრონოთა თავშესაფრიდან გამოვიყვანოთო!..

დონ ხუანი: ოჰ, არა! აი, თუნდაც შენი დისწული რომ...

რაპელი: მე უკვე გითხარი, ამაზე არც დამელაპარაკო-მეთქი...
საერთოდ, აღარ მისხენო... ჩემი და იფიქრებს, რომ მართლა დიდი ქო-
ნების პატრონები ვართ...

დონ ხუანი: მერედა, განა არა ვართ?

რაკელი: ვართ, როგორ არა ვართ და ისიც კარგად ვიცი, რომ შენი ქონებაცა და შენ თვითონაც მე მეკუთვნით, მთლიანად მე მეკუთვნით!

დონ ხუანი: შენ გეკუთვნით, კელინა, შენ!

რაკელი: ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი და ერთ რომელიმე ბავშვს კიდევ შეეღუოდა და დიდი სიამოვნებითაც შეეღუოდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იმ ბავშვს მე სრულიად უწვავლობდი, ადვილად მივიღებდი, საკუთარივით ვერ შევითვისებდი... ოოჰ, ერთ ბავშვს როგორ ვერ ვეღირსე, როგორ ვერ გავაჩინე, თუნდაც მეც ზედ გადავყოლოდი!..

დონ ხუანი: ასე ნუ გადაიწურავ იმედს, ძვირფასო!..

რაკელი: ეს მაინც არ უნდა გეთქვა, ხუან; შენ... ნაშვილები მუდამ ნაშვილებია... გახდი მამა, ხუან, შენ თვითონ გახდი მამა, რაკი მე არ ვეღირსა დედობა. მე რომ დედა გავმხდარიყავი, კიდევ ვიქორწინებდით, პო... ვიქორწინებდით... რატომ დახარე თვალები? რატომ დაირცხვინე?

დონ ხუანი: გული ამიჩუყე, რაკელ, განა მე...

რაკელი: პო, ვიცი, შენ ხომ არ გაბრალებ... არც ჩემს ქმარს მიუძღოდა ბრალი... ის...

დონ ხუანი: ახლა კიდევ ისიც...

რაკელი: კარგი და კეთილი, მაგრამ შენ მაინც შეგიძლია მაღირსო ბავშვი. როგორ? სხვა ქალთან გააჩინე და მე მომეცი. სულ არ მაღარდებს, ის თანახმა იქნება თუ არა, მთავარია, რომ ეს მე მსურს..

დონ ხუანი: კი მაგრამ, იმაზე არ გიფიქრია, რომ მე შეიძლება ის სხვა ქალი შემეყვარდეს?

რაკელი: შეგიყვარდეს? როგორ თუ შეგიყვარდეს? ეს რამ გათქმევინა? ძალიან კარგად ვიცი, კიდევ რომ მოინდომო, სხვას ვერც შენ შეიყვარებ და არც მე მოგიწონებ ამას! განა მე სიყვარულზე გელაპარაკები? უბრალოდ, გთავაზობ პირობას, სხვა ქალი გაზადე დედა და ბავშვი მე მომეცი-მეთქი, თავად ის დაგვთანხმდება თუ არა, მე არ მანალვლებს.

დონ ხუანი: ასეთ მაღლს ვინ მოისხამს?

რაკელი: ჩვენი ქონების პატრონებს, უარს არავინ გვეტყვის!

დონ ხუანი: კარგი, მაგრამ ასეთ პირობაზე რომელ ქალს დაითანხმებ?

რაკელი: რა პირობაზე?

დონ ხუანი: იმაზე, რომ...

რაკელი: შენ მარტო ქორწინებაზე დაითანხმე და...

დონ ხუანი: რაკელ!..

რაკელი: პო, ხუან, პო, ქორწინებაზე! ოღონდ შენ იქორწინე და ქალს მე მოგიძებნი, ისეთ ქალს, რომელიც იმედს არ გაგვაცრუებს... თანაც თვალსაც უნდა ეამებოდეს, არა? (სიცილით კი ლაპარაკობდა, მაგრამ ცრემლები ახრჩობდა.) ერთი სიტყვით, შენ შეირთავ ცოლს, მე კი, ცხადია, შენს ცოლზე არ ვიეჭვებ.

დონ ხუანი: სამაგიეროდ ის იეჰვიანებს შენზე.

რაქელი: ბუნებრივია, მაგრამ ეს ჩვენთვისვე იქნება სასიკეთო... ამ ქორწინებაში ბევრ სარგებელს ნახავთ, დიას, ბევრზე ბევრს, რაც მთავარია, ერთი ბავშვი ხომ მაინც გაგიჩნდებათ ჩემთვის... მე თვითონ გავზრდი... ზეციერისთვის...

დონ ხუანი: ნუ მკრეხელობ...

რაქელი: იცი კი, რა არის ზეცა? ან რა არის ჯოჯოხეთი? მაინც სად გგონია ჯოჯოხეთი?

დონ ხუანი: მიწისქვეშეთშიაო, ამბობენ...

რაქელი: თუ უნაყოფო მუცელში?..

დონ ხუანი: რაკელ, რაკელ!..

რაქელი: ახლა მოდი ჩემთან, მოდი...

რაკელმა იგი ბავშვივით დაისვა მუხლებზე, მაგრად ჩაიკრა მკერდში, გამშრალი ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა: საცოლე უკვე გამოვიძებნე... თან ისეთი ქალი შევარჩიე, ჩვენი შვილის საკადრისი მშობელი რომ იქნება... ასეთი მონღოლებით აღბათ ძიძაც არავის უძებნია...

დონ ხუანი: მერე... მაინც ვინ მომიძებნე ასეთი?..

რაქელი: სენიორიტა ბერტა ლაპეირა... რატომ აცახცახდი? მგონი, შენც მოგწონდა! რაო, ეგებ არა? რატომ ვაფითრდი? რატომ მოგადგათვალზე ცრემლი? იტირე, ჩემო ბავშვო, იტირე, საბრალო დონ ხუან!

დონ ხუანი: მერედა, ბერტა?..

რაქელი: ბერტას სიხარულს საზღვარი არა აქვს! ოღონდ ჩვენი ქონების გამო კი არა... ბერტას შენ უყვარხარ! თავდავიწყებით უყვარხარ... ბერტას ნამდვილად შეყვარებული ქალწულის გული უძგერს და შენი მსხნელის როლსაც სიამოვნებით იკისრებს. ჩემგან გიხსნის... ის ხომ დარწმუნებულია, რომ შენი ბედუკულმართობის მიზეზი მე ვარ, შენი ჯოჯოხეთი... ვიცი, ვიცი!.. ვიცი, როგორ ებრალები ბერტას... ისიც ვიცი, რა შიშს ვგვრი და რას ლაპარაკობს ჩემზე...

დონ ხუანი: მერედა, მისი მშობლები?

რაქელი: ოჰ, მისი მშობლები! მისი ღვთისმოსავი მშობლები! ნუ გეშინია, საკმაოდ წინდახედულები ბრძანდებიან და შენი ქონების ამბავიც მშვენივრად მოეხსენებათ...

დონ ხუანი: ჩვენი ქონების...

რაქელი: ზოგიერთივით მათაც სჯერათ, რომ შენია... განა კანონით შენი არ არის?

დონ ხუანი: კარგი, მაგრამ...


რაქელი: ამაზე ჩვენც უნდა ვიფიქროთ, კარვად ავწონ-დავწონოთ, მაგრამ მათ, ეტყობა, ის არ იციან, რომ შენ ჩემი ხარ, მარტო ჩემი და მთლიანად მე შეკუთვნი... არც ის იციან, რომ მათი ქალიშვილი შენგან შვილს თუ გააჩენს, ისიც ჩემი გახდება... ხომ გეყოლებათ შვილი. ჰა, ფისო, ხომ გეყოლებათ?

საბრალო ხუანს ეს სიტყვები ყურს სჭრიდა და თავბრუს ახვევდა. უთუოდ ბიჭი გეყოლება, ხუანი! ხომ გეყოლება, ხუანი?

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, რაკელ...

რაქელი: ვინ იცის!.. ოღონდ შენ მანამდე შვილი მადირსე და... გე-
სმის?... აბა, ის ნამდვილი ანგელოზი, ბერტა ლაპეირა სხვა რისთვის
გვინდა? ანგელოზი!.. ჰა!.. ჰა... ჰა...

დონ ხუანი: შენ კი ნამდვილი დემონი ხარ! — შესახა მან და
წამოდგა, წამოდგა, მაგრამ შეტორტმანდა.



რაქელი: დემონიც ანგელოზია, ფისო...

დონ ხუანი: მაგრამ დაცემული ანგელოზი...

რაქელი: მაშინ, დაე, ბერტაც დაეცეს; ამას მაინც სომ ეცდები...

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ; კელინა, მომკლავ...

რაქელი: განა ჩემი სიცოცხლე სიკვდილზე უარესი არ არის?

(ესა თქვა და მაშინვე დასაწოლად გაემართა. ცოტა ხანში ხუანიც
გვერდით მიუწვა და მისმა ტუჩებმა იგრძნო თავისი ქალბატონის და
მზრძანებლის უდაბნოს ქვიშასავით მშრალი და ცხელი ტუჩები). ახლა
შენ, მე კი არა, უკვე ბერტა გეზმანება... ოჰ, არა, შენ ახლა ჩვენი ბიჭი
გეზმანება!..

საბრალო ხუანს კი რულიც არ ეკარებოდა.

2.

მაინც რამ აფიქრებინა რაკელს დონ ხუანი გულისხმაში ჩაეგდო,
ეკარნახა, ეგებ ბერტა ლაპეირაზე იქორწინო? ან როგორ ამოიცნო,
რომ თავად დონ ხუანი იყო შეყვარებული ბერტაზე? აკი დონ ხუანს ძი-
ლშიც სულ ბერტა ლაპეირა ესიზმრებოდა, ოღონდ ძილში, როცა ის ნე-
ბაც გამოეცლებოდა, რაკელმა რომ შთაუნერგა, თორემ საკუთარი სად-
ღა გააჩნდა; ეზმანებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ბერტა, ეს
ანგელოზებრივი არსება მოევლინებოდა მხსნელად. მაგრამ თუკი რა-
კელმა სათავეშივე განჭვრიტა მათი სიყვარული, მაშინვე ამ სიყვარუ-
ლის მოშობაც ჩაიდო გულში, რაკი სიტყვა შეაპარა რაკელზე იქორ-
წინეო; მხოლოდ ასე თუ ეღირსებოდა უშვილო ქვრივს ნანატრი დე-
დობა.

დონ ხუანი ბერტას ბავშვობიდანვე იცნობდა; მათ ოჯახებსაც
ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, დონ პედრო ლაპეირა და მისი ცოლი
დონ ხუანის მშობლების გულითადი მეგობრები იყვნენ. როცა ჯერ სულ
უმაწვილი დონ ხუანი დაობლდა, მისთვის ყურადღება არ დაუკლიათ;
მერედა მერე მისი უიღბლო სიყვარულისა და მარცხიანი თავგადასავ-
ლების ამბავი რომ გახმაურდა, ლაპეირებივით არავის ტკენია გული,
მაგრამ როცა გაიგეს, უშვილო ქვრივთან ჰპოვა უნიფათო ნავსაყუდე-
ლით, შვებით ამოისუნთქეს, ეგებ ბოლოს და ბოლოს ბედსაც ეწიოსო და
ეჭვიც კი არ აღძვრიათ, ვაითუ იმ მყუდრო ნავსაყუდელშიც შეაღწიოს
ქარიშხალმაო. ცოლ-ქმარმა ლაპეირამ, ხუანისგან განსხვავებით, მათი
ურთიერთობა ოჯახურ კავშირად წარმოიდგინა; თუმცა ხუანის უნე-
ბისყოფობის ამბავიც კარგად მოესხენებოდათ, მაგრამ თავს იმით ინუ-
გეშებდნენ, ადრე თუ გვიან გონს მოეგებაო, ხოლო თუ შვილებიც ეყო-
ლებათ, მით უკეთესიო. ამის თაობაზე ლაპეირები ხშირად საუბრობდნენ
ხოლმე და თავიანთი შეხედულებებისამებრ სჯიდნენ ქალაქის სალაპა-

რაკოდ გამხდარ ამ ტრაგიკომედიას. მშობლებს აზრადაც არ მოსლიოდათ მორიდებოდნენ თავიანთ ქალიშვილს, რადგან, თითქოს განგებ, ყოველთვის სუფრასთან იწყებდნენ სჯა-ბაასს, ასე იყო თუ ისე, მათმა საუბარმა ბერტა, ეს ანგელოზებრივი არსება გულისხმაში ჩააგდო და დონ ხუანისადმი ცნობისმოყვარეობა გაუღვივა. მშობლები ხომ სულ იმაზე წუხდნენ, თუ აქამდე არ ეღირსა რაკელს, ~~მშობლები~~ ვაითუ ეს შემთხვევითი კავშირი ღვთისა თუ ადამიანის, ~~მშობლები~~ დემოკრატიისა და დემოკრატიის ძალით მაინც დაკანონდესო. ერთი სიტყვით, ბერტამ გულში ჩაიდო განზრახვა, როგორმე ხელი შეეშალა მათთვის, თუმცა იდუმალ იმაზეც ოცნებობდა, ამ უიღბლო სიყვარულის მსხვერპლს, დონ ხუანს მხსნელ ანგელოზად მოვლენოდა, ქარიშხლიანი ნავსაყუდელიდან გამოეყვანა და ასე გადაერჩინა.

და მაინც როდის დაებადათ მათ ეს ოცნება, როგორ გაიტაცა ბერტაცა და ხუანიც ერთნაირმა ოცნებამ? ეტყობა, მაშინ, როცა დონ ხუანი საკმაოდ ხშირად დადიოდა ლაპეირების ოჯახში, ახალგაზრდები უმეტესწილად მარტონი რჩებოდნენ; მისალმებისას ერთმანეთს თვალებში ჩახედავდნენ ბავშვობის მეგობრები, ზოგჯერ მშობლებიც არ ჩქარობდნენ გამოსვლას.

დონ ხუანმა ადრევე განჭვრიტა საფრთხე და რაკი მორჩილად მიჰყვებოდა რაკელის ნებას, ახლაც დანებდა და თანდათან უკლო ლაპეირებთან სიარულს. ცოლ-ქმარმაც სწორად ამოიცნო ყმაწვილის თავშეკავების მიზეზი: „ხედავ, როგორ დაიმორჩილა? ცდილობს, ხალხს ჩამოაშოროს!“ მაგრამ ბერტას, ამ ანგელოზებრივ ბერტას ღამის სიჩუმეში, ძილში ჩაესმოდა დაცემული ანგელოზის ჩურჩული და გული უთქვამდა: „მას შენი ეშინია...“ და ახლა რაკელი, თავად რაკელი უბიძგებდა მას ბერტასკენ, პირდაპირ მკლავებში უგდებდა.

საბრალო დონ ხუანი ხვდებოდა, რომ რაკელმა იგი გასწირა, ღამის სასიკვდილოდ გაიმეტა და უკვე დანანებით იხსენებდა ადრინდელ გატაცებებს. მაინც რატომ უნდა გახდეს მამა, თუკი ამის სურვილიც არ გააჩნია?... განა მარტო იმისთვის, რომ კიდევ ერთი მისივე მსგავსი მოევლინოს ამ ქვეყანას?

სხვა გზა აღარ იყო!..

და რაკელის ერთი ბიძგიც კმაროდა, რომ ხუანს ადრინდებულად დაეწყო სიარული ლაპეირების ოჯახში. ქალიშვილსაც და მშობლებსაც უმაღლეს მოუღბათ გული, მით უმეტეს, რომ გულისნადებს მიუხვდნენ. დონ პედროსა და დონია მარტასაც მიეცათ სალაპარაკო; თანაგრძნობითა და დანანებით იგონებდნენ ხოლმე დონ ხუანის უთავბოლო ცხოვრების ამბებს.

დონ პედრო: საბრალო ბიჭი! უმაღლეს შეატყობ, რომ იტანჯება...

დონია მარტა: მერედა, მიზეზი არა აქვს, პედრო?

დონ პედრო: ჩვენი ტომასა ხომ გახსოვს, ყველაფერს ჯადოს რომ აბრალებდა?

დონია მარტა: დიდი სიკეთე კი დააყარა იმ ჯადომ; საწყალს სარკეში რომ ჩაეხედა...

დონ პედრო: და დაენახა, რა დღეშიც ჩააგდო ცხრა ფეხმძიმობამ და ჯაფამ... ამ დროს კი ის, მეორე ენახა, რა მშვენიერი იყო...

დონია მარტა: აი, როგორები ხართ, თქვენ, კაცები... დღეები...

დონ პედრო: ყველა?

დონია მარტა: მაპატიე, პედრო! შენ არა! შენ...

დონ პედრო: მაგრამ ამ ჩვენი ქვრივის ჯადოც სრულსა...

დონია მარტა: ეუპ, შე თაღლითო, ვის მხარეზე ხარ?

დონ პედრო: მე თვალები მაქვს, მარტა, თვალები კი მუდამ ახალგაზრდაა.

დონია მარტა: ჩვენზე უფრო ახალგაზრდა?

დონ პედრო: ახლა ჩვენი ბიჭი რას იზამს?

დონია მარტა: ვნახოთ, პედრო, მე უკვე რაღაც რაღაცებს ვამჩნევ.

დონ პედრო: მეც ვამჩნევ! მერე ის?

დონია მარტა: მე ნელნელა შევამზადებ, ყოველი შემთხვევისთვის...

დონ პედრო: მერე ეს კავშირი?..

დონია მარტა: შე ღვთის გლახავ, ვერ ხედავ, რომ თვითონვე ეძებს მიზეზს, რომ გაწყვიტოს? ვერ გაგიგია?

დონ პედრო: ცხადია, მაგრამ მათი დაშორება უმსხვერპლოდ არ ჩაივლის.

დონია მარტა: თუნდაც ასე იყოს... არაფერი აკლია, საკმაოდ ბევრი რამ აქვს, რაღაცას ხომ უნდა შეეღიოს.

დონ პედრო: მართალია.

დონია მარტა: ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ბიჭი, პედრო; მისი მშობლებიც ამას გვავალებენ.

დონ პედრო: ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენმა ქალიშვილმა თვითონვე გვთხოვოს.

მათი ქალიშვილი კი, თავის მხრივ, სწორედ დონ სუანის გადარჩენაზე ფიქრობდა. ნამდვილად დონ სუანისა თუ საკუთარი თავისა? გულში კი ასე ამბობდა: „ეს კაცი ხელიდან უნდა გამოვგლიჯო როგორმე და ვნახო სინამდვილეში როგორია იმ ქალის მიერ შექმნილი და სულითა და ხორციით მასზე მინდობილი. მერედა, როგორ გამოწვრთნა, ალბათ რამდენი რამ ასწავლა და განაცდევინა, საბრალო სუანს! ახლა, რა თქმა უნდა, ეცდება მეც მას დამამსგავსოს...“

მაგრამ რაკელი მაინც ის ერთადერთი არსება იყო, რომელიც ასე იზიდავდა ბერტას; რაკელი ლამის კერპად გაიხადა.

3.

საბრალო სუანი ამ ორმა ქალმა შუაში მოიმწყვდია, ამ ორმა — მაცდურმა დემონმა და მფარველმა ანგელოზმა, ზურგს უკან რაკელი ედგა, წინ — ბერტა; ორივე უბიძგებდა, მაგრამ საით? ეტყობა, ორივემ დასაღუპად გაწირა და აკი იღუპებოდა კიდევ მათი წყალობით, არც ერთს ეცოდებოდა და არც მეორეს, ორივე მზად იყო შუაზე გაეგლიჯა; სწორედ იმ ბავშვის დღეში იყო, ორი დედა სოლომონის სამსჯავროს

წინაშე ერთმანეთს რომ ედავებოდა, ოღონდ ის ვერ გამოეცნო, რომელი მათგანი შეეღეოდა ხუანს და ცოცხალს დაანებებდა მეტოქეს, რომელი გაწირავდა შუაზე გასაგლეჯად, ბერტა თუ რაკელი!

ქალწულის თვალები, ცისფერი და ნათელი, ვითარცა უძირო და უნაპირო ზღვა თავის მორევში ეზიდებოდა, ხოლო ზურგს/უკან ედგა, უფრო სწორად, ირგვლივ თითქოს ყველაფერს ავსებდა რაკელის შავი და ქუფრი თვალები, ვითარცა უკიდევანო და უფარსკვლავეთი ღამე და უფსკრულისკენ უბიძგებდნენ.

ბერტა: რა გემართება, ხუან? ერთხელ მაინც გამიხსენი გული, მე ხომ შენი ბავშვობის მეგობარი ვარ, თითქმის დად გეკუთვნი...

დონ ხუანი: და... და...

ბერტა: რაო, არ გინდა შენი და ვიყო?

დონ ხუანი: მე და არ მყავს, დედაჩემიც თითქმის არ მახსოვს...

ვერც იმას ვიტყვი, საერთოდ თუ ვიცნობდი ქალს...

ბერტა: ვითომ? აბა, რას ამბობ?..

დონ ხუანი: ქალებს, როგორ არა, მაგრამ ქალს, ერთადერთი ქალი რომ ჰქვია, არა...

ბერტა: მაშ ის ქვრივი რაკელი?..

ბერტას თვითონვე გაუკვირდა, ასე მშვიდად რომ წარმოთქვა მისი სახელი, ხმაც კი არ აკანკალებია და ხუანმაც რომ აუღელვებლად მოუსმინა.

დონ ხუანი: იმ ქალმა, ბერტა, მე ქალებისაგან მიხსნა!

ბერტა: კარგი, მაგრამ ახლა...

დონ ხუანი: ახლა კი მისგან უნდა მიხსნას ვინმემ...

ამას რომ ამბობდა, უეცრად იგრძნო, რა დაჟინებით აქეზებდა ქვრივის თვალების ბასრი მზერა.

ბერტა: ეგებ მე შევეძლო და დაგეხმარო...

დონ ხუანი: ოოჰ, ბერტა, ბერტა...

ბერტა: ერთი სიტყვით, შენ გინდა, რომ პირველმა მე ვაღიარო...

დონ ხუანი: მაგრამ, ბერტა...

ბერტა: ბოლოსდაბოლოს როდისმე იგრძნობ თავს ნამდვილ მა-მაკაცად? ნუთუ ვერასოდეს გამოიჩინ ნებისყოფას?..

დონ ხუანი: კარგი და კეთილი, გინდა მიხსნა?

ბერტა: ჰო, მაგრამ, როგორ?..

დონ ხუანი: როგორ და, გამომყევი ცოლად!

ბერტა: როგორც იქნა! ესე იგი, შენ გადაწყვიტე ცოლად შემირთო?

დონ ხუანი: ცხადია!

ბერტა: ცხადი? სულაც არ არის ცხადი! შენ გინდა, რომ ცოლად გამოგყვე?

დონ ხუანი: ასეა, მე მინდა!..

ბერტა: შენი, საკუთარი ნება-სურვილია?

ხუანმა შეამჩნია, როგორ ჩამუქდა ქალიშვილის ნათელი, ცისფერი თვალები და გააჟრჟოლა. „ნეტავ თუ მიხვდა სიმართლეს?“ — გაიფიქრა

მან და უკან დახედას აპირებდა, მაგრამ ქვრივის თვალებმა შეაჩერა და წააქეზა: „სიმართლე უთხარი, შენ ხომ ტყუილის თქმა არ გეხერხება!..“

დონ ხუანი: დიას, საკუთარი ნება-სურვილით!..

ბერტა: მერედა, გაგაჩნია კი?

დონ ხუანი: თუ ცოლად გამომყვები, შევიძენ!

ბერტა: მაგრამ, მაშინ...

დონ ხუანი: რა, მაშინ?..

ბერტა: მაშინ ის ქალი უნდა მიატოვო!..

დონ ხუანი: ბერტა, ბერტა!..

ბერტა: კარგი, თუ არ გსიამოვნებს, ნურც ვახსენებთ, მაგრამ როგორც ვხვდები, თავად ვერ დაგიღწევია მისგან თავი და ამისთვის მე ამირჩიე, ხომ ასეა?

დონ ხუანი: ჰო, ასეა... (და მან თავი დახარა).

ბერტა: გგონია, მე დაგიბრუნებ შენ დაკარგულ ნებასაც?

დონ ხუანი: ჰო, ასეა...

ბერტა: რომ იმის ნებას დაუპირისპირდეს, არა?

დონ ხუანი: ჰო, ასეა...

ბერტა: დაე, ასეც იყოს!..

დონ ხუანი: ოჰ, ბერტა... ბერტა!..

ბერტა: აბა, დაწყნარდი, შორიდან მიყურე და ახლოს არ მომეკარო, საცაა ჩემი მშობლები შემოვლენ...

დონ ხუანი: ისინი რაღას ამბობენ, ბერტა?

ბერტა: ხუან, ნუთუ ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ვერ ხვდები, ყველაფერი ადრევე მოფიქრებული და გადაწყვეტილი რომ გვექნებოდა?

დონ ხუანი: მაშასადამე...

ბერტა: მაშასადამე, ჩვენ ყველა ერთად გიშველით და გადაგარჩენთ.

4.

საბრალო ხუანს ქორწინებასთან დაკავშირებულმა ათასმა საზრუნავმა მთლად გაუმწარა სიცოცხლე. ბერტას მშობლებმა ყველაფერი იღონეს, რათა ქალიშვილის მომავალი უზრუნველყოფილი და რაიმე შემთხვევისგან დაცული ყოფილიყო, მაგრამ არც საკუთარი კეთილდღეობა დავიწყებიათ. ბერტა მათი ერთადერთი შვილი როდი გახლდათ, თუმცა კი ბევრს ასე ეგონა; მათ ვაჟიშვილიც ჰყავდათ, რომელიც სულ ყმაწვილი წავიდა ამერიკაში და ქალაქში კარგა ხანია აღარავის ახსოვდა, ოჯახში კი ხსენებითაც აღარ ახსენებდნენ. ცოლ-ქმარმა ლაპეირამ იმაზეც იზრუნა, რომ ხუანს ქორწინებამდე მოეგვარებინა მათი ქალიშვილის უზრუნველყოფის საკითხი, მაგრამ თავის მხრივ, არც უფიქრიათ, სასიძო საკუთარი ავლადიდების საქმეში ჩაეხედებინათ. არც ხუანს შეუწუხებია თავი, ისიც მარტო იმას ჰპირდებოდა, ქორწინებამდე შევადგენ ანდერძს, რომლის თანახმად ცოლი გახდება ქმრის ერთადერთი მემკვიდრე და მთელი მისი ქონების პატრონი, თუკი მცირეოდენი

ნაწილი რაკელსაც შეხვდებო; ამაზე მისი მომავალი სიღედრ-სიძამარი სიამოვნებით დათანხმდნენ.

ასე და ამგვარად, რაკელი არც ცოლ-ქმარი ლაპეირასთვის და არც მათი ქალიშვილისთვის საშიში აღარ იყო; იმასაც კი ფიქრობდნენ, კეთილმეგობრული ურთიერთობაც შეიძლება ასეთ გონიერ და სანდო ადამიანთან, რადგან თავის დროზე ხუანს მართლაც კეთილი მხსნელად მოევლინაო; ესეც არ იყოს, მშობლებიცა და ქალიშვილიც დაჩუმუნებული იყვნენ, რომ, ჯერ ერთი, თავად ბერტა რბილად და ჭკვიანურად შესძლებდა ქმრის გულის მონადირებას და მეორეც, რაკელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ბედნიერებას. სწორედ ამას გულისხმობდა მისი მომავლის უზრუნველყოფაც და საქმის იმდაგვარად მოწყობა, რომ წესიერი და პატიოსანი ადამიანები პატივისცემით მოპკიდებოდნენ მას! რაც უნდა იყოს, რაკელი არც არასდროს ყოფილა ვულგარული თავგადასავლების მაძიებელი და არც ფულზე გაუყიდა თავისი სიყვარული. ხუანთან მისი კავშირი ურთიერთლტოლვით, ანდა სულაც თანაგრძნობით იყო ნაკარნახევი. ასე ფიქრობდნენ, ანდა ასე უნდოდათ ეფიქრათ ცოლ-ქმარ ლაპეირას.

მაგრამ ანგელოზივით ბერტას მშობლებმა არ იცოდნენ მთავარი, თუმცა არც არავინ იცოდა მთელ ქალაქში, იმის მიუხედავად, რომ ყველა მშვენივრად იცნობდა ქვრივს, — დიახ, ვერასოდეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რაკელი ხელს მოაწერინებდა ხუანს საბუთზე, რომლის თანახმად, მთელი მისი ქონება, უძრავ-მოძრავი და სხვა ქვრივის მიერ შესყიდულად ჩაითვლებოდა, სხვა ფასეულობანიც ასევე მის სახელზე დაიწერებოდა; ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ბეჩავი ხუანი მარტო რაკელის საქმეების რწმუნებულადღა რჩებოდა, თანაც ცბიერმა ქალმა ისე მოაგვარა, რომ არავის არაფერი გაუგია; ისიც უნდა ითქვას, რომ მას ასევე კარგად მოეხსენებოდა ლაპეირას ოჯახის ფინანსური მდგომარეობა.

რაქელი: ყური დამიგდე, ხუან, ცოტა ხანში, ეგებ სულაც თქვენს ქორწინებამდე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ქორწინების შემდეგ მაინც, ბერტას მშობლების მცირე ქონებაც, ანუ შენი მომავალი მეუღლის ქონება, — მეუღლისა, ასე არაა? ცოლისა კი არა, მეუღლისა, — ჩემი გახდება... ესე იგი, ჩვენი!..

დონ ხუანი: ჩვენი?

რაქელი: დიახ, ჩვენი ვაჟიშვილისა, თუკი შენი მეუღლე ვაჟიშვილს გაგვიჩენს, თუ არა და...

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, კელინა...

რაქელი: გაჩუმდი, ფისო, ჩათვალე, რომ მთელი მათი ქონება უკვე ხელთა მაქვს და მათ კრედიტებსა და გირავნობის სიგელსაც მე ვიყიდი... იცოდე, ყველაფერი ამის შემდეგ, ისინი მაინც იტყვიან: „რაკელი კარგი ქალია, კეთილშობილი, მან ჩვენი ქალიშვილის ქმარი ხომ იხსნა და ჩვენი ოჯახის კეთილისმყოფელი და ჩვენი სიბერის ნუგეშიც არისო!“ დამიჯერე, ასე იქნება, ასე იქნება! რატომაც არა!

დონ ხუანი: რაკელ! რაკელ!

რაქელი: ისე წუწუნებ, ხუან, გეგონება, კრავივით მიმყავდე სამსხვერპლოზე!..

დონ ხუანი: ასეც არის...

რაქელი: არა, სულაც არ არის ასე! მე შენგან შევქმნი ნამდვილ მამაკაცს! მე შენ მამად გავხდები!

დონ ხუანი: შენ?

რაქელი: სწორედ მე, ხუან, მე, რაკელი!

ხუანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აგონიაში იყო.

დონ ხუანი: მაგრამ ერთი ისიც მითხარი, კელინა, მითხარი — მის ხმაში ცრემლები იგრძნობოდა, — რატომ შემიყვარე? რატომ მომაჯადოვე? რატომ დამშრიტე სულერთიანად, რისთვის გადამაქციე უნებისყოფო თოჯინად? რისთვის მომწყვიტე ჩემს ადრინდელ ცხოვრებას?..

რაქელი: მე რომ არა, აქამდეც ვერ მოაღწევდი, გაკოტრდებოდი და სილატაკესა და ავადმყოფობაში ამოგხდებოდა სული.

დონ ხუანი: ის მერჩივნა, რაკელ, ის მერჩივნა!.. ჯობდა სილატაკესა და ავადმყოფობაში ამომხდომოდა სული. განა ახლა ლატაკი არა ვარ? განა ახლა მე ჩემს თავს ვეკუთვნი? რატომ გამძარცვე სულით სორცამდე?..

საცოდავ ხუანს ქვითინი ახრჩობდა. რაკელმა ისევ დედობრივი სინაზით ჩაიხუტა, ჩვეულებისამებრ მუხლებზე დაისვა, მაგრად მიიკრა თავის უნაყოფო სხეულზე, წითელი სისხლით სავსე მკერდზე, ვერასოდეს რომ ვერ გადაიქცეოდა თეთრ რქედ, სახე სახესთან მიუტანა, გაშლილ თმაში გაახვია, მწარედ ატირდა და თან გულამომჯდარი ეუბნებოდა:

რაქელი: ჩემო შვილო, ჩემო შვილო, ჩემო შვილო!.. მე კი არ გაგძარცვე, პირიქით, შენ გამძარცვე, შენ მომტაცე სული, შენ, შენ! შენ მომტაცე სხეული!.. ჩემო შვილო!.. ჩემო ბიჭო! ჩემო შვილო!.. ვხედავდი, რომ დალუპვის გზაზე იდექი, ვხედავდი, რასაც ეძებდი და ვერასოდეს იპოვიდი. მე კი შვილს ვეძებდი. იმედი მომეცა, შენში ვპოვებდი, შენ მალერსებდი შვილს, ურომლისოდაც სიცოცხლე არად მიღირს... ახლა მე მსურს დედა გამხადო!..

დონ ხუანი: მაგრამ, ის ხომ შენი მაინც არ იქნება, კელინა...

რაქელი: არა, იქნება, ჩემი იქნება, ჩემი... ისიც შენსავით ჩემი გახდება; მე ხომ ვარ შენი ცოლი?

დონ ხუანი: ხარ, როგორ არა, შენა ხარ ჩემი ცოლი...

რაქელი: ის კი შენი მეუღლე იქნება, მეუღლე! ხელოსნებმა იციან ხოლმე თქმა — „ჩემი მეუღლე!“ მე უნდა გავხდე შენიცა და თქვენი ბავშვის დედაც... ჩემი ბავშვისა!..

დონ ხუანი: ვაითუ არ გვეყოლოს!

რაქელი: გაჩუმდი, ხუან, გაჩუმდი! თუ არ გეყოლებათ, თუ ვერც ის გაგვიჩენს ბავშვს... მაშინ, მზად ვარ...

დონ ხუანი: გაჩუმდი, რაკელ, ეგ ხმა, ხრინწიანი ხმა, შიშს მგვრის!

რაქელი: ჰო, მზად ვარ სხვა ცოლი მოგიძებნო!

დონ ხუანი: ვაითუ ჩემი ბრალია, რომ...

რაკელმა ხელი ჰკრა, მეხდაცემულივით ფეხზე წამოიჭრა, ცივი, ბასრი მზერა ესროლა, მაგრამ მაშინვე, როგორც კი მისი თვალების ცივი ხანჯალი მის მკერდს შეეხო, მკლავები გაშალა და შესძახა:

რაქელი: არა, არა, ხუან, მოდი ჩემთან! ჩემო შვილო! ჩემო შვილო! შენს მეტი შვილი რად მინდა. განა შენ ჩემი ბავშვი არა ხარ?
(და ციებ-ცხელებიანივით აკანკალებული და ლამის/გონმისდილი კაცი ლოგინში ჩააწვინა.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

5.

რაკელმა არ ისურვა მათ ქორწილს დასწრებოდა, თუმცა ბერტამაც და მისმა მშობლებმაც დაპატიუეს; ავადმყოფობის მომიზეზებაც არ დასჭირვებია, მართლა ავად გახდა.

რაქელი: არ მეგონა, რომ ასე დაიმდაბლებდნენ თავს, ხუან; ვიცოდი, რა ქარაფშუტები და პატივმოყვარეებიც ბრძანდებიან ქალიშვილიცა და მისი მშობლებიც, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ საზოგადოების წეს-კანონებს ასე დაუპირისპირდებოდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენს ურთიერთობაში არაფერი ყოფილა სამარცხვინო, არც საზოგადოებაში გამოვჩენილვართ ერთად და არც ხალხისთვის გაგვიცხადებია თუ დაგვინახვებია ჩვენი ურთიერთობა, თუმცა ქალაქში ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. მათი დაჟინება, რომ მაინცდამაინც შენ უნდა დაგეპატიუე, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა — დაედასტურებინათ, რომ მათმა ქალიშვილმა გაიმარჯვა! სულელები! მერე, ის, შენი მეუღლე?..

დონ ხუანი: ღვთის გულისათვის, რაკელ, იმაზე მაინც იფიქრე, რომ...

რაქელი: მაინც რაზე... როგორ შეეფიცეთ? როგორ მოგწონს მისი ხვევნა-ალერსი? უკვე მოასწარი შენი გამოცდილების გაზიარება? ვეჭვობ, ჩემგან შეძენილი მაინც თუ გადაეცი... შენ მაინც არ ეკუთვნი მას...

დონ ხუანი: მაგრამ მე არც ჩემს თავს ვეკუთვნი...

რაქელი: სამაგიეროდ, მე მეკუთვნი, ფისო, შენ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემი... ახლა უკვე ორივემ იცით თქვენი მოვალეობა და ჭკუით მოიქეცი; აქ, ჩვენს სახლშიც სიარულს მოუკელი.

დონ ხუანი: მაგრამ, რაკელ...

რაქელი: რაკელი უკვე სათვალავში აღარ მიიღება; ახლა შენ მეუღლეს უნდა ელოლიავო! მასზე უნდა იზრუნო.

დონ ხუანი: ის კი თვითონ მირჩევს, ხანდახან შენც გესტუმრო ხოლმე!

რაქელი: ასეც ვიცოდი! მთლად გადარეულა! ამაშიც მე მზად ვარ, ვერ ხედავ?

დონ ხუანი: ჰო, ცდილობს. ყველაფერში შენ გზავს, ჩაცმადახურვაში, თმის ვარცხნილობაში, მისრა-მოსრასა თუ ქცევაში...

რაქელი: ჰო, როცა თქვენ აქ, ჩემთან, ვითომ ოფიციალური ვიზიტით მობრძანდით, შევამჩნიე რომ სულ მაკვირდებოდა.

დონ ხუანი: ის კი არადა, ამბობს, უფრო უნდა დავუახლოვდე ერთმანეთს, მით უმეტეს მეზობლები ვართ, ლამის გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ...

რაქელი: ეს უკვე ტაქტიკაა, უნდა, რომ შემენაცვლოს, ხშირად რომ გვნახავ ერთად, ერთმანეთს უფრო უკეთ შეგვადარებ... შენი გულიდან უნდა რომ გამაძევოს...

დონ ხუანი: მე კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი...

რაქელი: მაინც როგორ?

დონ ხუანი: მე ვფიქრობდი, რომ შენ მას უყვარხარ, მართლა მოხიბლვე და მოაჯადოვე.

რაქელმა თავი დახარა, უცრად მკვდრის ფერი დაეღო, ხელები მკერდზე დაიკრიბა, სუნთქვაც კი შეეკრა, გამსჭვალავე და დაეცა და თქვა:

რაქელი: ამან თავისი ნაყოფი უნდა გამოიღოს...

როცა ხუანმა ხელი მოხვია და სცადა ვნებიანი, ხარბი კოცნით და-მშვიდობებოდა, ქვრივმა ახლოსაც არ მიუშვა და უთხრა: არა, ოღონდ არა ახლა! არც ის მინდა, რომ ეს კოცნა მას გადასცე და, არც ის, რომ მას წავართვა...

დონ ხუანი: ხომ არ ეჭვიანობ?

რაქელი: ვეჭვიანობ? სულელო! რა გგონია, მე შენს მეუღლეზე ვეჭვიანობ? შენს მეუღლეზე? მე, შენი ცოლი? თანაც მას შემდეგ, რაც მე თვითონ შეგაუღლე, დავლოცეთ და გისურფეთ ბავშვები გაგეჩინათ ზეციერისთვის? ზეციერისთვის და ჩემთვის?

დონ ხუანი: ჩემი ზეცა შენა ხარ!

რაქელი: აქამდე ჯოჯოხეთი ვიყავი!..

დონ ხუანი: მართალია...

რაქელი: ახლა მოდი ჩემთან, ჩემო შვილო, მოდი... (მან თავზე ხელები შემოაჭდო და შუბლზე აკოცა; ამ მშრალი, ცხელი კოცნითა და ამ სიტყვებით დაემშვიდობა): ახლა წადი და შენი ვალი მოიხადე მის წინაშე, მაგრამ თქვენ ორივე ვალდებული ხართ ასევე ჩემს წინაშეც და კიდევ უნდა შეასრულოთ... თუ არადა, კარგად იცი, რომ შემძლია...

6.

მართლაც ბერტა სულ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ამოეცნო რაკელის ჯადო და ასე მაინც მოენადირებინა ქმრის გული, მორეოდა თავის გრძნობებს, გამხდარიყო თავისთავადი, ნამდვილი ქალი; სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე ხარბად ნთქავდა ხუანის ქალბატონისა და მბრძანებლის ყოველ სიტყვას, უნდოდა ამოეცნო მისი ფიქრი, ამ გზით შეეცნო საკუთარი თავი. და აი, ერთხელაც, ორივემ, რაკელმაცა და ბერტამაც უსიტყვო შეთანხმებით თავიანთი ხუანი მეგობრებთან ერთად სანადიროდ გაისტუმრეს, ბერტამ ველარ გაუძლო ცდუნებას და მეუღლე ესტუმრა ქვრივს.

ბერტა: ალბათ გაგიკვირდებათ, რომ მარტო გესტუმრეთ...

რაქელი: სულაც არა, კიდევ ველოდი, რომ მობრძანდებოდით...

ბერტა: ელოდით?

რაქელი: დიახ, ველოდი. რაც უნდა იყოს, რაღაც ამაგი მეცა მაქვს თქვენს მეუღლეზე, ჩვენს საყვარელ ხუანზე; ეგებ თქვენი მეუღლეცა...

ბერტა: დიახ, ვიცი, თქვენ რომ არ გეზრუნათ და არ გამოგეხსნათ იმ ქალებისაგან...

რაქელი: ააჰ, ქალებისაგან...

ბერტა: დიდად ვაფასებ თქვენს სულგრძელობას...

რაქელი: სულგრძელობას?... ააჰ, გასაგებია... თუმცა არა, არა! მაინც არ მმართებდა ჩემი ბედი მასთან დამეკავშირებინა, იმის მიუხედავად, რომ მას ნამდვილად უნდოდა ჩემზე დაქორწინება...

ბერტა: ასეც ვიცოდით...

რაქელი: მაგრამ რაკი გამოცდილი გვყავდა ერთმანეთი, ისიც ვიცოდით, რომ მღვდლის კურთხევა ვერას გვიშველიდა. მაინც არ გვეყოლებოდა, რომ ზეციერისთვის გაგვეშველია. მაინც ვაწითლდი, ბერტა? განა იმისათვის არ მობრძანდით, რომ გულწრფელად გვესაუბრა?...

ბერტა: მართალი ბრძანებაა, რაკელ, მაშ ვიყოთ ვულახდილები...

რაქელი: მე ჩემი ეგოიზმის გამო მას ვერ ვავწირავდი... დაე, ის ეწიოს იმ ბედნიერებას, რასაც მე ვერ ველირსე...

ბერტა: ოჰ, მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ!

რაქელი: სამადლობელი არაფერია! სულ არაფერი! ეს ხომ მის სასიკეთოდ მოვიმოქმედე!

ბერტა: სწორედ იმისთვის გიხდით მადლობას, რომ მის სასიკეთოდ მოიმოქმედეთ, მადლობელი ვარ!..

რაქელი: ააჰ!

ბერტა: ხომ არ გწყინთ?

რაქელი: არაფერია საწყენი. გავა დრო და თქვენც ისწავლით...

ბერტა: რას, თვალთმაქცობას?

რაქელი: არა... გულწრფელობას!

ბერტა: თქვენ ფიქრობთ, რომ მე არა ვარ გულწრფელი?

რაქელი: თვალთმაქცობაც შეიძლება იყოს გულწრფელი, ხოლო ქორწინება თვალთმაქცობის კარგი სკოლაა...

ბერტა: როგორ?

რაქელი: აკი მეც გახლდით გათხოვილი!

ბერტა: აჰ, მართალია! თქვენ ხომ ქვრივი ბრძანდებით!

რაქელი: ქვრივი... ქვრივი... მუდამ ქვრივი ვიყავი... ასე მგონია, ქვრივად დავიბადე... ჩემი ნამდვილი ქმარი კი ჩემს გაჩენამდე მოკვდა... მაგრამ მოვეშვათ ამ სისულელეებს. როგორ შეეთვისეთ ხუანს?

ბერტა: მოგეხსენებათ მამაკაცების ამბავი...

რაქელი: არა, მამაკაცებისა კი არა, მამაკაცის! როცა მითხარით, ჩვენი ხუანი ქალებისგან იხსენითო, მე მხოლოდ მხრები ავიჩეჩე; ახლა კი გეტყვით, ბერტა, რომ თქვენ მხოლოდ ერთი მამაკაცი გაბარიათ და მას უნდა მიხედოთ, თქვენს მამაკაცს უნდა მიხედოთ და მასში ეძიოთ მამაკაცი...

ბერტა: მეც ამას ვცდილობ, მაგრამ...

რაქელი: მაგრამ, რა?..

ბერტა: ის, რომ მე მასში ნებას ვერ ვპოულობ...

რაქელი: მერედა, აქ მოხვედით საპოვნელად?

ბერტა: ოჰ, არა, არა, მაგრამ...

რაქელი: მაგ თქვენი „მაგრამებით“ შორს ვერ წახვალთ...

ბერტა: მაინც სად უნდა წავიდე?

რაქელი: სად? ესეც მე უნდა გასწავლოთ?

ბერტა მიტკალივით გაფითრდა, შეჭოჭმანდა; რაკელის თვალები მასრი მზერით თითქოს სიჩუმეს ჰკვეთდა. ბოლოს ჰკითხა.

ბერტა: მაინც სად?

რაქელი: დედა უნდა ვახდეთ! ეს თქვენი ვალია, რაღა მე ვერ ვედირსე დედობას, თქვენ მაინც გახდით!

კვლავ მძიმე სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ მალე ბერტამ წამოიხსენა დაარღვია.

ბერტა: მე გავხდები დედა!

რაქელი: მადლობა ღმერთს! რატომ გკითხეთ, აქ ხუანის ნების საპოვნელად ხომ არ მოსულხართ-მეთქი! მაშ იცოდეთ, დონ ხუანის, ჩვენნი, ორივეს მამაკაცის ერთადერთი ნებაა გახდეს მამა!

ბერტა: ნამდვილად მისია?

რაქელი: დიახ, მისია, მისია იმდენად, რამდენადაც ჩემია!

ბერტა: ახლა კიდევ უფრო აღმაფრთოვანა თქვენმა სულგრძელობამ...

რაქელი: სულგრძელობამ? ეს რა შუაშია! არა... მაგრამ თქვენ მაინც ჩემი ერთგულებისა და მეგობრობის იმედი უნდა გქონდეთ, გამოიყენეთ...

ბერტა: ეჭვი არ მეპარება...

რაკელმა კარამდე მიაცილა ბერტა და დაემშვიდობა.

რაქელი: გადაეცით თქვენს მშობლებს, რომ მათი ნახვა მსურს...

ბერტა: ჩემი მშობლების?

რაქელი: დიახ, მათთან მე საქმიანი საუბარი მექნება... ჩემი ქვრივული ცხოვრების გასახალისებლად ხანდახან საქმეებსაც ვეჭიდები, ფინანსურ საქმეებს... მაგრამ კარი რომ დახურა, თავისთვის თქვა: საბრალო მეუღლე!

7.

როცა ბოლოს და ბოლოს, შემოდგომის ერთ დილას ბერტამ თავის მეუღლეს ამცნო, მალე მამა გახდებოდა, საბრალო კაცმა იგრძნო როგორ შემოეგრაგნა მის ისედაც გაწამებულ სულს მძიმე ჯაჭვი; განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო მასში ჩამკვდარი ნებისყოფის ღმობა. დიდი ბრძოლა იყო გადასახდელი. ნუთუ მართლა გაჟიშვილი გაუჩნდება? ნუთუ მართლა მამა გახდება? რას ნიშნავს მამობა?

ბერტაც გაოგნებული იყო ბედნიერებისგან. მაინც გაიმარჯვა რაკელზე! თუმცა ისიც კარგად ესმოდა, რომ ეს გამარჯვება შეიძლება მარცხად შემობრუნებულიყო და ახსენდებოდა ქვრივის სიტყვები, მისი მზერა. როცა ხუანმა ეს სასიხარულო ამბავი რაკელს აცნობა, ქალს ჯერ მკვდრის ფერი დაედო, სუნთქვა შეეკრა, მერე სახე აენტო და მძიმედ ამოიხვნეშა, შუბლი ოფლით დაეცვარა, იძულებული გახდა დამჯდარიყო, ბოლოს, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, წაიბუტბუტა:

რაქელი: ახლა უკვე საბოლოოდ ჩაგიგდე ხელში, ხუან!

და მოეხვია, მაგრად მიიკრა აცახცახებულ ტანზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა; კოცნიდა თვალებში, ტუჩებში, ხელისგულებში მოიქცევდა მის სახეს, მერე განზე გასწევდა, ჩახედავდა თვალებში, მათში

საკუთარ ანარეკლს დაინახავდა, ისევ დაუწყებდა კოცნას, მერე შემოიღივით, ხმაჩახლეჩილი წაიბუტბუტებდა: „მაცადე, გაკოცო!“ და კოცნიდა და კოცნიდა დაუსრულებლად. ხუანს კი ეჩვენებოდა, საცაა გავგიჟდებიო. აი, ახლა კი შემიძლია უფრო ხშირად ვესტუმრო ხოლმე, ადრინდელზე ხშირადაც... მას აღარც სჭირდები...

დონ ხუანი: პირიქით, სწორედ ახლა ვჭირდები ხსენებულ გვერდით უნდა რომ ვყავდე...

რამელი: შეიძლება... ჰო, ჰო, აკი ისიც ახლა ყალიბდება. მართალია... პატარას მიმართ განსაკუთრებული სინაზე და მზრუნველობა გმართებს... მაგრამ მას მალე ალბათ აღარც დასჭირდები... შეაწუხებ კიდევ...

ასეც მოხდა. პირველ თვეებში ბერტას მართლაც უნდოდა ქმარი სულ გვერდით ჰყოლოდა, ზრუნვა-ალერსი არ დაეკლო, შეეძლო საათობით მის გვერდით მჯდარიყო, მისი ხელი სჭეროდა ხელში და თვალელებში ეცქირა. ასეთ დროს თავისდაუნებურად, ისევ რაკელზე იწყებდა ხოლმე საუბარს.

ბერტა: ახლა რაღას ამბობს?

დონ ხუანი: როცა ვუთხარი, ძალიან გაუხარდა.

ბერტა: მერე შენ გჯერა?

დონ ხუანი: რატომ არ უნდა მჯეროდეს?

ბერტა: მე არ მჯერა! ის ქალი კი არა, ნამდვილი დემონია! დემონია და კიდევ მოგნუსხა!

დონ ხუანი: განა შენ არა?

ბერტა: მაინც რა ჯადო აქვს ასეთი, ხუან?

დონ ხუანი: მისმა ჯადომ უკვე ძალა დაკარგა.

ბერტა: ამიერიდან ჩემი განდები, მარტო ჩემი.

„ჩემი! ჩემი!“ — ფიქრობდა ხუანი, — ორივე მარტო ამას გაიძახის. უნდა მოვიინახულო!

დონ ხუანი: ახლა?

ბერტა: ახლა, სწორედ ახლა, რატომაც არა?

დონ ხუანი: მოვიინახულოთ, თუ ვეჩვენოთ?

ბერტა: მოვიინახულოთ, რათა ვეჩვენოთ! მინდა ვნახო, რა გუნებაზე დადგება, როცა მნახავს!

ბერტა ხშირად სთხოვდა ხოლმე ხუანს სასეირნოდ ერთად წავიდეთო; დაეყრდნობოდა მკლავზე, მიჰყვებოდა გვერდით და თან თვალი ხალხისკენ ეჭირა, მიყურებენ თუ არაო. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, სიარული რომ გაუჭირდა, სწორედ ისე მოხდა, როგორც რაკელმა იწინასწარმეტყველა, ქმარი უკვე აღიზიანებდა, მარტო ყოფნა ერჩივნა, ხოლო როცა გულზიდვებიც დაეწყო, თავს ცუდად გრძნობდა და ხუანს საყვედურებით ავსებდა: „აქ რას მიკეთებ, კაცო, წადი სადმე, გაიარ-გამოიარე სუფთა ჰაერზე. დამასვენე... რა სამწუხაროა, რომ კაცებს ასეთი რამის გადატანა არ გიწევთ! გამეცალე, კაცო, მომშორდი, ვერა ხედავ, რომ გული მერევა... რატომ წრიალებ, მოეშვი მაგ სკამს... არა, არა, ახლოს არ მომეკარო! წადი, წადი და თუ გინდა გვიან დაბრუნდი; მე დავწვეები! წადი, ჰო, კარგი, წადი და უამბე, როგორ ვიტანჯები... ვიცი, ყველაფერი კარგად ვიცი, მის ცოლად შერთვას რომ აპ-

ირებდი, ისიც ვიცი და ისიც, რატომაც არ გამოგყვამ, რატომ არ მოი-
სურვამ...

დონ ხუანი: არა, აბა, რას ამბობ, ბერტა...

ბერტა: თვითონ მითხრა, თვითონ, ისიც ხომ ქალაქი, ისეთივე ქა-
ლია, როგორც მე ვარ...

დონ ხუანი: არა, ისეთი არაა, როგორც შენა ხარ...

ბერტა: არა, არა, ის ხომ ამ მდგომარეობაში არ ყოფილა... მაინც
რა ღორები ხართ მამაკაცები, ახლა წადი მასთან, წადი შენს ქვრივ-
თან...

და როცა დონ ხუანი რაკელს ეახლებოდა და თავისი მეუღლის ამ-
ბავს წვრილად უყვებოდა, ქვრივი სიხარულისგან ცას ეწეოდა ხოლმე და
უკოცნიდა და უკოცნიდა თვალებს, დიდხანს არ უშვებდა შინ და ზოგჯერ
მთელი ღამეც კი ტოვებდა თავისთან, ხოლო გათენებისას კარებამდე
რომ მიაცილებდა, ბოლო კოცნასთან ერთად ამასაც ეტყოდა: „ახლა,
როცა ის აღარც გელოდება, წადი მასთან და ტკბილი სიტყვებით ანუ-
გეშე... უთხარი, რომ სულ მახსოვს და ველოდები...“

8.

გაოგნებული დონ ხუანი ოთახში ბოლთასა სცემდა და ტკივილივით
გრძნობდა სიღარიელეს თავსა და გულში. ბერტას კვნესა-ტირილი თით-
ქოს სხვა სამყაროდან მოისმოდა; სენიორ ლაპეირა, საკუთარი სიამა-
რიც კი ვერ შეამჩნია, ოთახის ბნელ კუთხეში მიყუყუული რომ ელოდე-
ბოდა შვილიშვილის დაბადებას. და რაკი უბედურ ხუანს თავი სიზმარში
ეგონა, სულ არ გაჰკვირვებია, როცა კარი გაიღო და შემოვიდა... თავად
რაკელი.

დონ პედრო: თქვენა ხართ? (წამოიძახა დონ პედრომ და წამო-
დგა.)

რაქელი: მე გახლავართ, დიახ, მე, ვიფიქრე, ეგებ მეც რამეში
დავეხმარო-მეთქი...

დონ პედრო: როგორ! თქვენ? დასახმარებლად მობრძანდით? ამ
მძიმე წუთებში?

რაქელი: ეგებ ვინმეს ან რამის მოძებნა დაგჭირდეთ... მზად
ვარ... ხომ არ გავიწყდებათ, რომ ქვრივი ვარ, დონ პედრო?

დონ პედრო: არა! დიახ, ქვრივი, მაგრამ...

რაქელი: არავითარი „მაგრამ“, ერთი სიტყვით, აქ ვარ და მიმ-
სახურეთ!

დონ პედრო: კეთილი, წავალ და ჩემს მეუღლესაც შევატყობი-
ნებ.

მერე ასეთი საუბარი გაიმართა რაკელსა და დონია მარტას შო-
რის.

დონია მარტა: ღვთის გულისათვის, სენიორა...

რაქელი: რაო, განა მე თქვენი ოჯახის მოკეთე არა ვარ?

დონია მარტა: როგორ არა, ხართ, ოღონდ მან არ გაიგონოს... არ
გაიგოს, რომ...

რაქელი: რომ გაიგოს, რა მოხდება?

დონია მარტა: ღვთის გულისათვის, სენიორა, ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, არ გაიგოს, რომ... ჩუმად, ჩუმად...

სწორედ ამ ღროს გაისმა გულისგამგმირავი კივილი და დონია მარტა ქალიშვილისკენ გაიქცა; რაკელი გაიტრუნა, მშობიარობის კივილის შემდეგ ჩამოწოლილ სიჩუმეს მიაყურა, მერე დაჯდა, როცა ხუანმა გვერდით ჩაუარა, ხელი ხელზე სტაცა და მოუთმენლად უკითხა: „რად ეყოლა?“

ბიზლირისეა

დონ ხუანი: გოგო...

რაკელი: მე მას რაკელს დავარქმევ!..

და ქვრივი მაშინვე გაქრა.

9.

როცა ხუანმა საუბარი წამოიწყო ბავშვზე თავის სიდერ-სიმამრთან, ახლა უკვე ბებია და პაპასთან და ძალიან მორიდებით სიტყვა გადაუკრა, კარგი იქნება ბავშვს რაკელი დავარქვათო, — თავად შიშისაგან კინალამ ენა ჩაუვარდა, მაგრამ ქვრივის თვალები თითქოს ზურგს უხვრეტდა, — ცოლ-ქმარ ლაპეირას სიტყვაც არ დაუძრავთ; მეტისმეტად დათრგუნვილები ჩანდნენ. ნეტავ რა უნდა მომხდარიყო?

დონია მარტა: დიახ, დიახ, ჩვენ ისე ვართ დავალებული ამ ქალბატონისგან!.. ესეც არ იყოს, შენც ხომ დედის მაგივრობა გაგიწია...

დონ ხუანი: ასეა, ასე, მართალს ბრძანებთ...

დონია მარტა: მარტო სახელი კი არა, ვფიქრობ, ეგებ ჩვენი პატარა კიდევ მონათლოს...

დონ პედრო: მაშინ მითქმა-მოთქმასა და ჭორებსაც მოვლება ზოლო...

დონ ხუანი: სალაპარაკო აღარ ექნებათ, მაგრამ...

დონ პედრო: ჭორებს წინ უნდა აღუდგე, მით უმეტეს, რომ ყველაფერს ამახინჯებენ! კაცს ქუჩაში თავაწეული არ უნდა შეეძლოს სიარული?

დონ ხუანი: მართალი ბრძანებაა!

დონ პედრო: ყველა საკუთარი სინდისის თანახმად ცხოვრობს.

... და დონ პედრომ ისე გადახედა ცოლს, თითქოს რაღაც ძალიან ბრძნული აზრი თქვა და ცოლის თვალში ამაღლდა, ცოლის თვალში, ვინც ყველაზე კარგად იცნობდა მას.

მაგრამ ხუანის გაკვირვებას უკვე საზღვარი აღარ ჰქონდა, შიშმაც კი აიტანა, როცა ბერტას უთხრეს, გადავწყვიტეთ ბავშვს სახელად რაკელი დავარქვათ და ქვრივს ვთხოვოთ მონათლოსო, ბერტამ, მისი შვილის დედამ, ნაღვლიანად უპასუხა: „რაც გინდათ, ისა ჰქენით!“ საბრალომ ბევრი სისხლი დაკარგა, ერთთავად ძილბურანში იყო და ეჩვენებოდა, ბურუსი იდგა ირგვლივ.

ასე და ამგვარად, სულ ცოტა ხანში რაკელი ლაპეირების სახლშიც დაბინავდა და ყველაფერს თავის ჭკუაზე ატრიალებდა. ბერტა თავისი საწოლიდან ადევნებდა მას თვალს და ეგონა იმქვეყნიური მოჩვენება გამოეცხადათ. ქვრივს კი უჩვეულოდ უელავდა თვალები, როცა ბავშვს კოცნიდა, ბერტას ეჩვენებოდა კოცნის ხმა მთელ ოთახში ისმოდა; თი-

თქოს თვითონ სიზმარში თუ ავონიაში იყო და ქვრივის მკაცრი, მბრძანებლური ხმა საიდანღაც, შორიდან, ალბათ იმქვეყნიდან ესმოდა.

რაქელი: ბერტა, ახლა ძიძა უნდა მოვძებნოთ. ჩემი აზრით, ბავშვის კვება, ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ხართ, საშიშიც კია, ამით ორივეს სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდება.

ბერტას თვალები ცრემლით ავესო.

რაქელი: თქვენიც კარგად მესმის, ბუნებრივია, ვიცნობ; რას მითხრობს ნავს დედა... მაგრამ ახლა სიფრთხილე გემართებს... ჯერ უნდა მომაგრდე, გამოჯანმრთელდე.

ბერტა: მაგრამ, რაკელ, სიკვდილი...

რაქელი: ვისი სიკვდილი? ბავშვისა ხომ არა? ჩემი კელინასი? არა... არა...

და მან ბავშვი ხელში აიყვანა; საბანში რომ ახვევდა, ისეთი გამაგებით კოცნიდა, რომ საბრალო ნამდვილ დედას გული ეფლითებოდა. მისი ყურება გაუსაძლის ტკივილს გვრიდა; ბოლოს ველარ მოითმინა და დაიკვნესა.

ბერტა: კმარა, რაკელ, კმარა, ასე ნუ შეაწუხებთ პაწაწას, საბრალოს ეძინება... დააძინეთ...

მაგრამ რაკელი მაინც თავისას განაგრძობდა, თან არწევდა ბავშვს და თან კოცნიდა; მერედა, რა უცნაურ ნანას უმღეროდა, რა ენაზე, არავის ესმოდა, არც ბერტას, არც მის მშობლებს და არც თავად ხუანს. მაინც რას მღეროდა? მძიმედ ჩამოწოლილ სიჩუმეში ისე ინთქმებოდა ეს ნანა, გეგონებოდათ, საიდანღაც შორეული, ძალიან შორეული, სიზმრისეული, ბურუსში ჩაკარგული სამყაროდან მოისმისო. და როცა ხუანი უსმენდა, მაშინვე ძილი ერეოდა ხოლმე, სიკვდილის სიზმარივით ერეოდა და მისი დაცარიელებული გული შიშით ივსებოდა. მაინც რა ემართებოდა? ან რას მოასწავებდა ეს ყველაფერი? საერთოდ, რას ნიშნავდა მისი საკუთარი სიცოცხლე?

10.

როცა ბერტამ მშობიარობის შემდეგ ცოტა მოიკეთა, იმ უსიამო სიზმრებსაც თავი დააღწია და გამოფხიზლდა, მაშინდა დაინახა, რომ რაკელსა და მის მიერვე მოყვანილ და მორჩილ ძიძას ბავშვი სულ მოეშორებინათ მისთვის, უკვე საბრძოლველად მოემზადა. ისიც ცხადად დაინახა, რომ უფსკრულისკენ მიექანებოდა და ისიც დაინახა, თუ ვისი ან რისი მიზეზითაც ეწირებოდა მსხვერპლად... მაგრამ ყველაფერს როგორ დაინახავდა, რაკელის, ამ ქვრივის სულის ჯურღმულის სიღრმეს ბერტა ვერასოდეს ჩასწვდებოდა. თუმცა ჩახედვა არც უცდია, კიდევ რომ ეცადა, ალბათ, მაშინვე თავბრუ დაეხვევოდა, ან იმ გაუგებარ ენაზე სიმღერა რას ნიშნავდა?

ბერტა: მაინც რას მღერით?

რაქელი: ჩემი ბავშვობის დროინდელი მოგონებებია...

ბერტა: როგორი...

რაქელი: ვერ გაიგებთ და ნურც ეცდებით გაიგოთ, რისთვის?..

მაგრამ ბერტა, კიდევ რომ მოენდომებინა, ამაზე მეტს მაინც ვერ გაიგებდა! რაც გაიგო, ისიც კმაროდა! ამდენის ცოდნა არც სჭირდებოდა! ჯობდა არ დაჰყოლოდა მაცდურ გველს და არ ეგვემნა სიკეთისა და ბოროტების ხის ნაყოფი! ახლა მისი მშობლები თქვით, მისი კეთილი მშობლები, საკუთარ სახლში უცხოებივით, შეკედლებულივით რომ გრძნობდნენ თავს. შვილიშვილის ნახვაც კი ენატრებოდათ, მარტო ძიძას უნდა მიეყვანა ანდა მას.

ბერტა გრძნობდა, როგორ ღვივდებოდა ქმრისადმი სიბრაალული მის გულში, საბრალო ხუანისადმი. ისე შემოსხვევდა ხოლმე თავის გამხდარ ხელებს, თითქოს მის დაცვას ცდილობდა უჩინარი მტრისგან, რაღაც საშინელი ხიფათისგანო; თმაგაშლილი და შუბლდაცვარული მიეყრდნობოდა მკერდზე და ტიროდა და ტიროდა, მისი აკვნესებული და აჩქროლებული გული მიენდობოდა ხოლმე ხუანის სევდაშემოწოლილ გულს, და ერთხელაც როცა მეუღლე-დედამ ასეთ წუთს დაიკვნესა: „ჩემო შვილო!.. ჩემო შვილო!.. ჩემო შვილო!..“ — კინალამ თვითონვე არ მოკვდა შიშისგან, რადგან დაინახა, რა მიცვალებულივით გაფითრდა ხუანი და როგორ მოექცა სახე მწუხარებისგან.

ბერტა: რა დაგემართა, შვილო, რა მოხდა?

ლონ ხუანი: გაჩუმდი, კელინა, გაჩუმდი, შენ მე მომკლავ...

ბერტა: ხუან, შენ ხომ ჩემთან ხარ ახლა, ჩემთან, შენს ბერტასთან...

ლონ ხუანი: ველარაფერს ვხვდები, სადა ვარ...

ბერტა: რა გემართება ასეთი, შვილო?..

ლონ ხუანი: ნუ ამბობ ამ... ნუ იმეორებ... ამ... ნუ...

ბერტა ხვდებოდა რაც სტანჯავდა მის ქმარს და გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, როგორმე მოენადირებინა მისი გული, გაენტავისუფლებინა; რამე უნდა ელონა, თუნდაც შვილი დაეთმო რაკელისთვის, ოღონდ კი მის მეორე შვილად ეგრძნო თავი ხუანს, მას უყვარდა ქმარი, თავისი ქმარი!

და ისიც, მისი ქმარი, ხუანი თანდათან უფრო მეტად გრძნობდა თავს მამაკაცად, ქმრად, ვინემ მამად. იგი ხვდებოდა, რომ რაკელისთვის იგი უფრო იარაღი იყო, საშუალება, ოღონდ რისი საშუალება? დედობის შმაგი წყურვილის მოსაკლავად? ანდა ეგებ რაღაც უცნაური შურისგებისთვის? სხვა სამყაროდან ნაკარნახევი შურისგებისთვის? ეგებ ის უცნაური ნანა, რაკელი რომ უმღეროდა ხოლმე პატარა კელინას უცნობ ენაზე, — უმღეროდა ხოლმე არა თავის ნათლულს, არამედ საკუთარ შვილს, უნაყოფო ქვრივის შვილს, — ეგებ სწორედ ის უცნაური ნანა ყვებოდა შურისგების ნეტარებაზე, ასე ბანგივით რომ მოქმედებს და ძილბურანში ახვევს ადამიანს. ახლა რაღას ნიშნავდა ხუანი რაკელისთვის? ახლა ადრინდებულად აღარც ეძებდა თავის ხუანს. მაგრამ როცა იპოვიდა, ისევ ისე, ადრინდებულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უფრო შმაგად და კუმტად.

რაპელი: ახლა შენ გვერდიდან აღარ უნდა მოსცილდე შენს ბერტას, შენს მეუღლეს, რაც შეიძლება მეტი დრო უნდა გაატარო მასთან! — უთხრა ერთ დღეს, — ბიჭიც ხომ გვინდა, ბიჭიც უნდა გააჩინოს, თან კიდევ დაიმსახურა, რადგან გოგონა ჩემია, პო, კელინა მარტო ჩემია,

ჩემია, ჩემი და ეს შენც კარგად მოგეხსენება, მის გაჩენას ხომ მე უნდა მიმადლოდეთ, ლამის ჩემს მუხლებზე დაბადა ბერტამ, შენმა ბერტამ, ჩვენმა ბერტამ, ასე არ არის ნათქვამი წმინდა წიგნში? ახლა შენ მისთვის უნდა იცოცხლო, შვილო.

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, რაკელ.

რაქმელი: ყური დამიგდე, ხუან, ერთხელ არ მომისმენო შენს ეს სიმღერა და ორჯერ, ეჭვი არ მეპარება, რომ მისთვისაც ბევრჯერ გიმღერია, შენი მეუღლისთვის... მაგრამ თუ სიცოცხლე მოგბეზრდა და თავის მოკვლა გინდა, მოიკალი, ოღონდ ჩვენ ნუ დაგვაბრალე. მე რომ მკითხო, შენ უნდა იცოცხლო, ეს აუცილებელიცაა, შენს ბერტას ამქვეყნად უფრო სჭირდება, ცოცხალი სჭირდება. და როცა ხუანმა სცადა რაკელის მკლავებიდან თავი დაეხსნა, მან კიდევ უფრო მაგრად შემოხვია მკლავები და უთხრა: დიახ, თუ მე ვხედავ ხოლმე, იმანაც დაგვინახოს!

შემოდის ბერტა.

რაქმელი: აჰა, შენც მიყურე, ბერტა! ვიცოდი, რომ შემოხვიდოდი!..

და მან მახვილი დაუსვა „შენ“-ს. მერე მძიმედ, უღელღვით დაადო ხელი კისერზე ხუანს, ოღნავ უკან დაიხია და განაგრძო: მაგრამ შენ ცდები, მე იმისთვის ვიბრძოდი, რომ შენთვის ქმარი მომეპოვებინა, ამიტომ იყო, რომ ხუანს სულ იმას ვუჩიჩინებდი, საკუთარი თავი მხოლოდ შენთვის მოედგნა. აჰა, შენთვის დამითმია, მე უკვე გამხადა დედა, ახლა შენი ჯერია, შენც შეგიძლია გახდე დედა, ისიც შეგიძლია, მას შვილი უწოდო, თუკი ჩვენ მას არ მოვკლავთ, როგორც თვითონ იცის ხოლმე თქმა, როცა მას შვილს ვეძახით. ორი დედის ამბავიც გეცოდინება, სოლომონის წინაშე ერთმანეთს რომ ედავებოდნენ ბავშვის გამო. აჰა, შენს წინაშეა ბავშვი, ყოფილი დონ ხუანი! მე მას შუაზე გასაგლეჯად ვერ გავიმეტებ, რადგან მოკვდება, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე... დამითმია იგი შენთვის მთლიანად.

ბერტა: ეს იმას ნიშნავს, რომ შენ...

რაქმელი: რომ მე ვარ ნამდვილი დედა, მე და არა შენ!

მაშინ კი მთლად გონდაკარგულმა ბერტამ ქმარს ხელი ჩაავლო, რაკელს მკლავებიდან გამოგლიჯა, შემოატრიალა თავისკენ, — მას წინააღმდეგობაც არ გაუწევია, — და შეჰყვირა:

ბერტა: არა! არა! ნამდვილი დედა მე ვარ, მე, მე, მე... და მთლიანად და განუყოფლად მე მეკუთვნის. ეს მე შენზე მეტად მინდა. თუ გინდა, ახლა ეს შენ წაიყვანე და მოკალი, ოღონდ ჩემი შვილი მე დამიბრუნე, ჩემი შვილი!

რაქმელი: რომელი შვილი?

ბერტა: ის... ის!.. — ბავშვის სახელი ვერ წარმოთქვა, ტურები ეთუთქებოდა.

რაქმელი: ჩემი კელინა? ჩემი საკუთარი თავი? ჩემი გოგონა, ჩემი სისხლი და ხორცი?... საკუთარი თავი დაგითმო? შენ მოგცე ჩემი კელინა, ჩემი რაკელი, რომ მისგან შენივე მსგავსი აღზარდო? მეორე ბერტა ლაპეირა შექმნა, თქვენი ყველას მსგავსი? რომ თქვენ, ყველა, ვითომ დიდად საპატივცემულო მეუღლეებს რომ დაგემსგავსოთ? მაგრამ მეც ხომ ვიყავი ცოლი!.. მეც ვიცი...

ბერტა: მერე, ჩემი რა ბრალია, თუ ვერც შენმა ქმარმა და ვერც ხუანმა ვერ გაღირსეს დედობა! მე და ხუანს კი გვეყოლა შვილი, რას იზამ, ჩვენ გვეყოლა!

რაქელი: შენ, ხუან, ჩემო შვილო, აირჩიე, შუაზე გატეხა გირჩევნია, თუ მთლიანად შენ მეუღლეს გინდა ეკუთვნოდე!

ხუანი გაიქცა. ორივეს გაექცა.

ერქვენი
გინჯნიქთქა

11.

ხუანი გაიქცა, ორივეს გაექცა, გაიქცა, მაგრამ რა ბედი ეწია? მარტო ის გაიგეს, რომ მანქანით სიერასკენ გაემგზავრა და შინ უკვე მოკვდავი მოიყვანეს, საბრალო ისე მიიცვალა, გონზე აღარ მოსულა. ვერც მძლოლა და ვერც მეგობარმა, თან რომ ახლდა, ვერ ახსნეს, რა მოხდა. თურმე როცა მანქანამ ღრმა სრამს ჩაუქროლა, უეცრად შეამჩნიეს, რომ ის იქ აღარ იყო, ვერ დაინახეს, შემთხვევით გადავარდა, თუ თავისით გადახტა; მარტო ის დაინახეს სრამში რომ მიგორავდა, მერე ერთიანად დამტვრეული და დაშავებულ-დაჭრილი ამოიყვანეს.

ხუანის უსიცოცხლო, გახევებულ გვამს რომ დასცქეროდნენ, მერე რაკელისა და ბერტას თვალები ერთმანეთს შეხვდა.

ბერტა: ახლა უკვე ჩემი ბავშვის, ჩემი შვილის ბედიც გაირკვა...

რაქელი: გაირკვა!.. მერედა, არსებობას როგორ აპირებთ? როგორ უნდა არჩინო? როგორ უნდა აღზარდო? ან შენ თვითონ როგორ და რითი აპირებ ცხოვრებას? ან შენს მშობლებს რისი იმედი აქვთ?

ბერტა: რა იქნა ხუანის ქონება?

რაქელი: ხუანს არავითარი ქონება არ დარჩენია!.. თუ რამ ებადა, ახლა ჩემი გახდა... აქამდე თუ არ იცოდი, ახლა ხომ გაიგე!..

ბერტა: ქურდო! ქურდო! ქურდო!

რაქელი: ცარიელი სიტყვებია! ვინ იტყვის, რომელია ქურდი ჩვენს შორის! ვინ ვინ გაქურდა! ეგებ შენა ხარ ქურდი, თქვენ, ყველა, შენცა და ყველა შენისთანა ხართ ქურდები!.. არ მინდა, ჩემი შვილიც თქვენისთანა გამოვიდეს, ყველა თქვენი მსგავსებით აღზარდო!.. ახლა, ადექი და შენს მშობლებთან ერთად ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე, მოითათბირეთ და გადაწყვიტეთ, რა გირჩევნიათ, მათხოვრული ცხოვრება, თუ ჩემისთანა ქურდთან მშვიდობიანი მოლაპარაკება, გარიგება.

ბერტა: გარიგება?

რაქელი: ხალხის თვალში მაინც!..

ბერტამ და მისმა მშობლებმა, ცოლ-ქმარმა ლაპეირამ კარგა ხანს ითათბირეს, მერე ძალიან ცნობილი, სახელოვანი ვექილის მეშვეობით დონ ხუანის ანდერძის ამბავი გამოიკვლიეს; და აღმოჩნდა, რომ მას მართლაც არავითარი ქონება არ დარჩენოდა; მთელი მისი ავლადიდება რაკელს ჩაეგდო ხელში; მეტი რა გზა ჰქონდათ, და რაკელის პირობას

დათანხმდნენ, რომლის მიხედვით, რაკელი მათ იმ შემთხვევაში გაუწევდა დახმარებას, თუ ბავშვს მას მისცემდნენ.

მათი ერთადერთი ნუგეში ისლა იყო, რომ ბერტა მეორე ბავშვს ელოდებოდა, ხოლო რაკელი, პირობის თანახმად, ბავშვის სახელზე, სულერთია, ბიჭი იქნებოდა, თუ გოგო, მცირეოდენ თანხას უწყალობებდა. მაგრამ ვინ უწყის, რა ბედი ეწეოდა საბრალო ბავშვს? ამის გარდა, ერთხელ რაკელმა ესეც უთხრა ბერტას: „თუ მეორეჯერ გათხოვდები, კიდევ გაგამზითვებ. კარგად დაფიქრდი, ქვრივად დაბერება სიკეთეს არაფერს გიქადის“.

მარკიზ დე ლუმბრია

მარკიზ დე ლუმბრიას უზარმაზარი საგვარეულო სახლი, ანდა სასახლე, როგორც მიყრუებულ ქალაქ ლორენსაში უწოდებდნენ, უთქმელი და იდუმალი მოგონებებით სავსე სკივრს მოგაგონებდათ. ფასადზე საჩინოდ იკვეთებოდა ლუმბრიათა საგვარეულო დიდი გერბი, რომელიც მედიადიას მძიმე, ბაროკოს სტილის ტაძრის ფართო მოედანს გადაჰყურებდა. რაკი მზე ლამის მთელი დღე აცხუნებდა, ხოლო ლორენსაში ღრუბლიანი დღეები იშვიათი მოვლენა იყო, სახლში თითქმის ყველა ჭკუჭრუტანა ამოექოლათ; თუმცა მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ბრწყინვალე მარკიზ დე ლუმბრიას დონ როდრიგო სუარეს დე ტეხადას თავზარს სცემდა მზის სინათლეცა და სუფთა ჰაერიც. „ქუჩიდან მტვრის მეტი არაფერი შემოდის და ავეჯსა და შპალერს მთლად ახუნებს, — იტყოდა ხოლმე, — მერე კიდევ ეს ბუზებიც...“ — ბუზები ხომ კიდევ უფრო ამფოთებდა მარკიზს; ხომ შეიძლება მანამდე ვინმე მაწანწალას დასხდომოდნენ, ანდა სულაც ქეციანსაც კი. ხოლო იმის გაფიქრებაზე, ვაითუ ბუზებმა რაიმე პლებეური სენი შემოგვიტანონ, მთლად აკანკალეებდა. მაინც რა სიბინძურის ბუდე იყო ლორენსაცა და მისი შემოგარენიც.

სასახლეს უკანა მხარეს მდინარე ჩაუდიოდა, ციცაბო კლდეებს შორის მიჩუხჩუხებდა; კედელი მთლიანად დაეფარა სუროს და თუმცა იქ თაგვებსა და სხვა ათასგვარ უწმინდურ არსებებს დაებუდებინათ, მარკიზი მაინც დიდის მოწიწებით ეკიდებოდა, რამეთუ სურო მათი ოჯახის ტრადიციად ითვლებოდა. და სწორედ აქ, მზეაა და ბუზებს განრიდებული მარკიზი მოიკალათებდა ხოლმე მყუდრო აივანზე, ჩრდილში, კითხულობდა და ნანასავით ესმოდა მდინარის ჩქამი, ლოდებს შორის რომ მიისწრაფოდა აქაფებული, თითქოს ჩქარობდა ამ ვიწრო ხეობიდან გაეღწია.

ბრწყინვალე მარკიზ დე ლუმბრიასთან ერთად სასახლეში ცხოვრობდა მისი ორი ქალიშვილი, უფროსი კაროლინა და უმცროსი ლუისა და მისი მეორე ცოლი დონია ვისენტა, რომელიც დიდი ჭკუის პატრონი არ გახლდათ და მთელი დღეები ან ეძინა ან ბუზლუნებდა; ხოლო ბუზლუნებდა ყველაფერზე, განსაკუთრებით ხმაურს უჩიოდა; ასე რომ, მარკიზს აწუხებდა მზე, მარკიზას — ხმაური, ამიტომ ზაფხულის თაკარა დღეებში ერთი სუროთი დაჩრდილულ აივანს მიაშურებდა და მდინარის დგაფუნის ხმაზე კითხულობდა, მეორე სახლის წინა მხარეს მიაშურებ-

და, ნასადილევს ძველ, ატლასგადაკრულ საფარძელში ჩაეფლობოდა და ტაძრის მოედანზე ჩამოწოლილ სიჩუმეში ნებივრობდა.

მარკიზ დე ლუმბრიას ვაჟიშვილები არა ჰყავდა და მწარე ეკალივით ჩხვლელთა გულში; არადა, მეორედ მარტო ამიტომ იქორწინა დონია ვისენტაზე, მაგრამ სენიორა უშვილო აღმოჩნდა.

მარკიზის ცხოვრება ისევე უღიმღამოდ, ერთფეროვნად და ჩვეულებრივად მიედინებოდა, როგორც მდინარე მიედინებოდა ხეობაში, ან როგორც ლიტურგიული კაპიტულები სრულდებოდა ტაძარში. თითქოს ოჯახის საქმეებსაც უძღვებოდა, ხანდახან თავის მამულებს და სავარგულებსაც დახედავდა ხოლმე, თუმცა დიდხანს ვერც იქ ძლებდა, საღამოობით კი ჩვეულებისამებრ შეიყრებოდნენ მოურავი, ოჯახის მოძღვარი, საეკლესიო ბენეფიციების მფლობელი და ტრესილიოს პარტიას თამაშობდნენ. სტუმრები მუდამ დანიშნულ დროზე მოდიოდნენ, როგორც კი დიდი კარის ზღურბლს გადმოაბიჯებდნენ — რომლის თავზე ეკიდა დაფა იესოს წმინდა გულის გამოსახულებით და წარწერით: „სამეუფეო ჩემი იქნება ესპანეთი, სადაც ვიქნები განდიდებული უფროვე, ვინემ სხვა მიწაზე“, — მყისვე მაგიდას შემოუსხდებოდნენ — ზამთრობით, გასათბობად ტაფასაც დგამდნენ ხოლმე მაგიდის ქვეშ, — ხოლო ათი საათი ჩამოჰკრავდა თუ არა, მომართულებივით წამოიშლებოდნენ, ისე ჩქარობდნენ, ფსონსაც კი არ იმზადებდნენ მეორე დღისთვის, ამასობაში კი მარკიზა სულ თვლემდა, ხოლო ქალიშვილები ან ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდნენ, ან სამოძღვრებო წიგნებს კითხულობდნენ — ხანდახან მალულად ნაშოვნ საკითხავსაც — ან კიდევ ჩხუბობდნენ.

მზისა და ბუზებისგან თავდასაცავად საგულდაგულოდ დაგმანულ სალონში და საერთოდ მთელ სახლში, ვიდრე სუროთი შესუდრულ კედლამდე, ისეთი მოწყენილობა სუფევდა, რომ კაროლინასა და ლუისას დროის მოსაკლავად ჩხუბის მეტი სხვა აღარაფერი დარჩენოდათ. უფროსს, კაროლინას მამაზე ნაკლებად როდი სძულდა მზე. საერთოდ, შეტისმეტად თავდაჭერილი გახლდათ და ოჯახის ტრადიციებსაც მტკიცედ იცავდა, ხოლო უმცროსს, ლუისას სიმღერა უყვარდა, აივნისა და ყურებაც ხშირად იცოდა, ქოთნის ყვავილების მოვლა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა და ხალისითაც რწყავდა ხოლმე, ამიტომ მარკიზი სულ საყვედურობდა, პლებეური ჩვევააო. „ბალი არ გვაქვს?“ — ეტყოდა ხოლმე შვილს და სასახლის გვერდით ბაღზე მიუთითებდა, მაგრამ იქ იშვიათად თუ ვინმე ჩავიდოდა. ხოლო ლუისას ქოთნის ყვავილები უფრო მოსწონდა, თავისი საძინებელი ოთახის აივანსაც ამშვენებდა და თან საბაბიც ჰქონდა, ტაძრის მოედანზე და პატარა ქუჩის მხარეს გადამდგარიყო და გამვლელ-გამომვლელები ეთვალთქობინა. „ეგ არის შენი გემოვნება? გეკადრება ჩვენთვის შეუფერებელი ვილაცეებისა თუ რალაცების ყურება!“ — ბუზლუნებდა მამა, ხოლო უფროსი და, კაროლინა დაუმატებდა: „ხალხი იფიქრებს, კაცებზე ნადირობსო“, — და იწყებოდა ერთი დავიდარაბა.

მაგრამ საძინებელი ოთახის აივანზე სირბილსა და ქოთნის ყვავილებში ფუსფუსს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ერთხელაც ქალაქ ლორენსას მკვიდრმა, ასევე ერთი ყველაზე წარჩინებული, ძველი გვარის ყმაწვილმა ტრისტან იბანიეს დელ გამონალმა მათი სახლის წინ ჩაიარა და დაინახა მარკიზ დე ლუმბრიას უმცროსი ქალიშვილი ყვავილებს რომ

რწყავდა, ისე მოხიბლა მისმა ღიმილმა, იისფერმა თვალებმა და გეორგელასფერმა ტუჩებმა, რომ თვალი ველარ მოწყვიტა. მეორეჯერ კი ისე მოხდა, რომ თავზე ქოთნის წყალი დაეწვეთა და ლუისამ მაშინვე გადასძახა: „ოჰ, მაპატიეთ, ტრისტან!“ და ყმაწვილს მოეჩვენა, თითქოს მოჯადოებულ ციხე-სიმაგრეში დამწყვდეული პრინცესა შველას თხოვდა.

— შვილო, ასეთ რამეებს თავისი წესი და რიგი აქვს, — უთხრა მამამ, — სისულელეს ნუ ჩაიდენ!

— ამას რატომ მეუბნები, მამა? — შეწუხდა ლუისა.

— კაროლინა უკეთ აგისხნის.

ლუისამ უფროს დას გადახედა და მანაც თავისებურად აუხსნა:

— ჩემი აზრით, დაიკო, ჩვენ, მარკიზ დე ლუმბრიას ქალიშვილებს, არ გვეკადრება აივნებიდან ვილაციებს ვეკეკლუცოთ მდაბიო მკერავებივით. აი, თურმე რისთვის გინდოდა ის ყვავილები!

— იმ ყმაწვილმა ჯერ ნებართვა უნდა ითხოვოს, რომ ამ სახლში მივიღოთ, — დაასკვნა მამამ, — თუმცა მე ჩემდა თავად წინააღმდეგი არ ვიქნები, ყველაფერი მერე შეიძლება მოგვარდეს... შენ რას იტყვი, კაროლინა?

— მე? — თქვა მან, — არც მე ვიქნებოდი წინააღმდეგი.

ასე და ამგვარად, ტრისტანი მარკიზის ოჯახმა ლუისას ოფიციალურ საქმროდ აღიარა; ეს ამბავი მარკიზამ ყველაზე ბოლოს გაიგო.

სანამ კაცები ტრესილიოს თამაშით იყვნენ გართული, ხოლო სენიორა სალონის ერთ კუთხეში თვლემდა, კაროლინა და ლუისა შორიანლო ისხდნენ, მარმაშებს ქარგავდნენ და თან ტრისტანს ეჩურჩულებოდნენ; მაგრამ უფროსებს თვალი მაინც მათკენ ეჭირათ, რომ დები ერთმანეთს არ დასცილებოდნენ და ლუისა მარტო არ დარჩენილიყო საქმროსთან, განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდა მათ თვალს მამა, მისი აზრით, უფროსი ქალიშვილი უფრო სანდო იყო და სასიძოსაც უკეთ გააცნობდა ოჯახის ტრადიციებს.

ტრესილიოს მოთამაშეებმაც, შინამოსამსახურეებმაც და ქალაქის საზოგადოებამაც, ვინც კი თვალს ადევნებდა ამ დიდი სახლის იდუმალ ცხოვრებას, შეამჩნიეს, რომ უმცროსი ქალიშვილის საქმროდ ტრისტანის აღიარების შემდეგ ამ წმინდა ოჯახში ვითარება თითქოს უფრო ჩამობნელდა და დაიძაბა; მარკიზიც კიდევ უფრო დადუმდა, მარკიზამაც უმატა წუწუნს, თუმცა ახლა ადრინდელზე ნაკლებად ისმოდა ხმაური; დებს შორის უფრო გახშირდა ჩხუბი, ოღონდ ეგ არის, ჩუმ-ჩუმად, მალულ-ფარულად, მაგრამ მწვავედ კენწლავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით, როცა დერეფანში შეეფეთებოდნენ, მაშინ არც შეურაცხყოფას ერიდებოდნენ და არც ჩქმეტასა თუ კაწვრას, თუმცა უბრალოდ წამოკივლებასაც კი ვერავინ გაიგონებდა. მარტო ერთხელ იყო, რომ მოხუცმა მოსამსახურემ, მარიანამ ყური მოჰკრა ლუისას ყვირილს: „ამას მთელი ქალაქი შეიტყობს, დიახ, მთელი ქალაქი! მე თვითონ გადავდგები აივანზე და ქვეყნის გასაგონად ვიყვირებ ტაძრის მოედანზე!“ „გაჩუმდი!“ — შეუბუხუნა მარკიზმა, რასაც მერე იმისთანა სიტყვები

მოაყოლა, იმისთანა, რომ კარსუკან მოყურადე მარიანა გულგახეთქილი გაიქცა უკანმოუხედავად.

იმ შემთხვევიდან ორიოდ დღე არ გასულა, რომ მარკიზი უფროს ქალიშვილთან ერთად ლორენსადან სადაც გაემგზავრა, სანამ ისინი შინ არ იყვნენ, ტრისტანი ერთხელაც არ გამოჩენილა მათ სახლში. ხოლო როცა მარკიზი დაბრუნდა მარტო, ერთ საღამოსაც, რეკტორიც თავი ვალდებულად ჩათვალა ტრესილიოს მოთამაშეებისთვის, რადგან გამგზავრების მიზეზი აეხსნა: „საბრალოს ამ ბოლო ხანებში ჯანმრთელობა შეურყა, — ეს რომ თქვა, დაჟინებით დააცქერდა მოძღვარს, — ცოტა ნერვებმაც უღალატა, თან დასთანაც გაურთულდა ურთიერთობა, რა თქმა უნდა, უბრალო წვრილმანებზე კი დავობდნენ, თორემ თავის დაზე ლამის ლოცულობს; ჰოდა, მეც ავდექი და გავარიდე, იქნება ცოტა დამშვიდდეს-მეთქი“. კრინტიც არავის დაუძრავს.

ამ დღის მერე, სულ ცოტა ხანში მხოლოდ ვიწრო ოჯახურ წრეში აღნიშნეს ტრისტან იბანიეს დე გამონალისა და ბრწყინვალე სენიორის, მარკიზ დე ლუმბრიას უმცროსი ქალიშვილის ლუისას ქორწინება; გარეშეთაგან არავინ მიუწვევიათ, მხოლოდ სიძის დედა და მარკიზის ამხანაგები, ტრესილიოს მოთამაშენი ესწრებოდნენ.

ერთი სიტყვით, ტრისტანი სიმამრის ოჯახში დაბინავდა და სახლშიც კიდევ უფრო დაინისლა და დამძიმდა ვითარება. ახალშეუღლებულთა საძინებელი ოთახის აივანზე ყვავილები მოუვლელობის გამო ერთიანად ჩამოჰკნა; სენიორას კიდევ უფრო დიდხანს ეძინა, დადუმებული და პირგამეხებული სენიორი კი თავჩაქინდრული მოჩვენებასავით დაბორილებდა დაგმანულ ოთახებში, სადაც მზეს არ უშვებდნენ. იგი გრძნობდა, რომ მისმა დრომაც მოაწია და სიცოცხლეს უნდა დამშვიდობებოდა, მაგრამ მით უფრო გამწარებით ებლაუჭებოდა; ტრესილიოს თამაშზეც გული აუცრავდა, ეს კი ამ ქვეყანასთან გაურას უტოლდებოდა, თუკი რაიმე კიდევ აკავშირებდა ამქვეყანასთან. „თამაშის თავიც აღარ მაქვს, — უთხრა ერთხელაც მოძღვარს, — გულისყური მეფანტება და ხალისიც დამეკარგა. ახლა ისლა დამრჩენია, სიკვდილისთვის მზადებას შევუდგე“.

და აი, ერთ დილას დამბლის ნიშნებიც იგრძნო, უცბად ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა, მერე გონს რომ მოეგო, მეტი გამწარებით ჩაებლაუჭა სიცოცხლეს. „არა, არა, არ უნდა მოვკვდე, არც მოვკვდები, სანამ არ დავინახავ, როგორ დამთავრდება ეს ამბავი“, და მოუსვენრობამ შეიპყრო, წამდაუწუმ ეკითხებოდა შვილს, როცა საჭმელს მიუტანდა ხოლმე მწოლიარეს, — „როგორ არის საქმე, ხომ არ იგვიანებს?“ „ბევრი აღარ დარჩა, მამა“. „ამქვეყნიდან ისე არ წავალ, ვერ დაგტოვებთ, სანამ ახალ მარკიზს ჩემი თვალით არ ვნახავ; მომავალ მარკიზს უნდა მოვესწრო, გვარში მამაკაცი გვჭირდება, მამაკაცი! თუ სუარეს დე ტეხადა არა, სახელი როდრიგო და მარკიზ დე ლუმბრიას ტიტულს ხომ შევინარჩუნებთ!“ „ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული, მამა...“ „ესლა გვაკლია, შვილო, — ამას რომ ამბობდა, ხმა უკანკალებდა, — ამ ჩიტირეკიამ, ჩვენს სახლში რომ შემოიპარა, იმედი გავვიცროს და ბიჭი არ გვადირსოს... თუ ის მოახერხა, რომ...“ საბრალო ლუისა ტი-

როდა, ხოლო ტრისტანი მათ სახლში ბოროტმოქმედისა თუ მსახურის პირობაზე ცხოვრობდა.

საწყალობელი სენიორის მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უთხრეს, ლუისას მშობიარობა დაეწყოს; ციებ-ცხელებიანი და აწყებინა კანკალი მოლოდინში. „მშობიარეზე მეტი ყურადღება /მარკისს სჭირდება“, — თქვა მისმა შემხედვარე ექიმმა.

— როგორც კი ბავშვი დაიბადება, — უთხრა მარკისს, — მით უმეტეს ბიჭი თუ იქნება, მაშინვე აქ მომგვარე, მე უნდა ვნახო, რომ მერე მშვიდად წავიდე ამ ქვეყნიდან, შენ თვითონ მომიყვანე!..“

და როცა კივილი გაიგონა, მარკისმა თავი წამოსწია და სმენაღქცეული კარს მიაშტერდა. მალე ტრისტანი შემოვიდა, მთლად გაოგნებული ჩანდა, ხელში ლამაზად შესვეული ბავშვი ეჭირა. „მარკისი?! — შესძახა მოხუცმა. — აჰა!“ — ცოტა კიდევ წამოიწია, რომ ახალშობილი კარგად დაენახა, მერე ფრთხილად, მოკრძალებით ეამბორა და ეს იყო ამ ქვეყნიდან მიმავლის ამბორი, სიძისთვის ერთიც არ შეუხედავს, მძიმედ მიესვენა ბალიშზე და გონება დაკარგა. ორი დღის მერე კიდევ მიიცვალა, გონზე აღარც მოსულა.

სასახლის ფასადზე საგვარეულო გერბს თალხი შემოახვიეს, მაგრამ თავარა მზეზე სამგლოვიარო ფლასი იმდღესვე გახუნდა. მთელი სახლი თითქოს ძაძებში გაეხვია, პატარამაც კი ვერ შემოიტანა სიხარული.

საბრალო ლუისა, უკვე დედა, მშობიარობის მერე ძალზე დასუსტდა. თავიდან კი დაიჩემა, ბავშვს ძუძუ მე თვითონ უნდა ვაწოვო, მაგრამ მალევე მიხვდა, ძალა არ შესწევდა, „სხვამ როგორ უნდა აწოვოს... უცხომ რატომ უნდა აწოვოს!.. — ოხრაფდა იგი. — ახლა კი, ტრისტან, ჩვენი ვალია, მარკისი აღვზარდოთ!“ — მალიმალ უმეორებდა ქმარს.

ტრისტანსაც მძიმე სევდა შემოაწვა გულს, თითქოს კიდევ დაბერდა. „ამ სახლში შეკედლებულივით ვგრძნობ თავს, ნივთივით...“ — ფიქრობდა იგი. ქუჩიდან დანანებით შეჰყურებდა ლუისას საძინებელი ოთახის აივანს, რადგან ყვავილებს ველარ ხედავდა.

— ეგებ ისევ დაგვედგა ქოთნის ყვავილები შენს აივანზე, ლუისა?! — ძლივს შეჰბედა ერთხელაც ცოლს.

— ჩვენი ყვავილი ახლა ჩვენი პატარა მარკისია, სხვა ყვავილები აღარ გვჭირდება!.. — უპასუხა ლუისამ.

საბრალო ტრისტანს ყველაზე მეტად ის სტანჯავდა, რომ მის შვილს სახელს კი არა, მხოლოდ მარკისს ეძახდნენ. და იგი გარბოდა სახლიდან, ხან ტაძარს აფარებდა თავს, ხანაც მიდიოდა ქუჩაში და თვითონაც არ იცოდა, საით. მაგრამ კიდევ უფრო ის სწყინდა, რომ ცოლი არასდროს არაფერს ეკითხებოდა.

ლუისა გრძნობდა, რომ დიდი დღე აღარ ეწერა, სიცოცხლე წვეთ-წვეთად ტოვებდა, „ჩემი დღეები დათვლილია, ასე მგონია, ძარღვებში

სისხლი გამიშრა, — იტყოდა ხოლმე იგი, — თითქოს სისხლი მთლად გამიწყალდა, თავბრუ მესხმის და თუ კიდევ მიდვას პირში სული, იმიტომ, რომ სიკვდილი ძალიან ნელა მოდის. მხოლოდ მისთვის ვსუნთქავ, მხოლოდ ჩემი პატარა მარკიზისთვის, მარტო მისთვის. რა მოსაწყენია ამ უმშეო სახლში ცხოვრება! ამაოდ მეგონა, რომ შენ მაინც მაღირსებდი მზეს, სიხარულს და თავისუფლებას, ტრისტან, მაგრამ არა, შენ მე პატარა მარკიზის მეტი ვერაფერი მომეცინა... მომიყვანე იგი!" და მან აკოცა ბავშვს; კოცნიდა, კოცნიდა ნება-ნება, აგზნებული და აცახცახებული. ცოლ-ქმარი კი ელაპარაკებოდა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის თითქოს დუმილის კედელი აღმართულიყო. არცერთი კრისტს არ ძრავდა იმაზე, რაც ყველაზე მეტად უწამლავდა ორივეს გულსა და გონებას.

როცა ლუისამ უკვე იგრძნო, რომ სიცოცხლისკენ პირს ველარ იბრუნებდა, და უკანასკნელი ბეწვიც უკვე წყდებოდა, გაციებული ხელი შუბლზე დაადო შვილს, თავის როდრიგინს და უთხრა მის მამას: „ზრუნვა არ მოაკლო მარკიზს, ანაცვალე მას შენი თავი! იმას კი უთხარი, რომ ვაპატიე!“ „მე?“ — დაიკვნესა ტრისტანმა. „შენ? განა შენ პატიება გჭირდება?“ და ეს სიტყვები საბედისწერო განაჩენივით ჩაესმა უბედურ კაცს. ეს იყო და ეს, სულ ცოტა ხანში, მიხვდა, რომ უკვე ქვრივი იყო.

ახალგაზრდა ქვრივი, დიდი ქონების პატრონი, მის შვილს, პატარა მარკიზს რომ დარჩა მემკვიდრეობით, ამ უსიხარულო სახლში, სადაც მზესაც კი ვერ შეეღწია, ტყვედ გრძნობდა თავს; სულ ორიოდე წლის ამბებიც კი შორეულ წარსულად ეჩვენებოდა; საათობით იჯდა ხოლმე გარინდებული სასახლის უკანა მხარეს, სუროთი დაფარულ კედელთან, ჩრდილში და უსმენდა მდინარის ბორგვას. მერე, ნელ-ნელა განაახლეს ტრესილიოს პარტიები; ზოგჯერ მოძღვართან ერთად ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში და, როგორც ამბობდნენ, მასთან ერთად არჩევდა განსვენებული მარკიზის ქალღმერთებს და ანდერძის კანონიერების საქმეებს.

მაგრამ ერთი ისეთი დღეც დადგა, როცა მთელი ლორენსა ალაპარაკდა ახალ ამბავზე; ერთხელ ტრისტანი სადღაც გაემგზავრა და შინ კაროლინასთან ერთად დაბრუნდა, თავის ცოლისდასთან ერთად, რომელიც ახლა მისი მეორე ცოლი გამხდარიყო. მაგრამ აკი ამბობდნენ მონაზვნად აღიკვეცაო? მამ სად და როგორ ცხოვრობდა მთელი ეს ოთხი წელიწადი?

მაგრამ კაროლინას ამაყად და გამომწვევადაც ეჭირა თავი. როგორც კი შინ ფეხი შედგა, მაშინვე განკარგულება გასცა, საგვარეულო გერბს სამგლოვიარო ფლასები ჩამოსხენითო. „დაე დაანათოს და დააცხუნოს მზემ, — შესძახა მან, — ეგებ თაფლიც კი წავუსვათ, რომ

ბუზები მიესიონ“. მერე ბრძანა, კედლიდან სურო ჩამოგლიჯეთო. „ოჯახის სიძველეები მაინც დატოვე, კაროლინა!“ ევედრებოდა ტრისტანი.

ბავშვმა, პატარა მარკიზმა ასლად მოვლენილი დედის სახით უმაღლესი დაინახა, ვერაფრით დედა ვერ ათქმევინა ტრისტანმა, თუმცა კი ბევრი ეხვეწა და ემუდარა; რატომღაც დეიდა დაიჩემა. „ნეტა კი უნდა ეთქვა, რომ მართლა მისი დეიდა ვარ? — იკითხა კაროლინამ — ეგებ მარიანამ!“ „აბა, რა გითხრა, ჩემო ქალბატონო! შენვე ხარ და ვიცოდე! — უპასუხა ტრისტანმა, — მაგრამ აქ, როგორც ვხედავ, ყველამ ყველაფერი იცის, ოღონდ საიდან და როგორ, ვერ გამიგია!“ „ყველაფერიო?“ „ჰო, ყველაფერი, გეგონება, კედლებსაც ყურები ასხია და კიდევ ლაპარაკობს“... „მაშინ ჩვენც გავჩუმდეთ...“

სახლში თითქოს ქუფრი ღრუბლები ჩამოწვა, ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა. მეუღლეები იშვიათად გამოდიოდნენ თავიანთი ოთახიდან. კაროლინა გარეთაც კი არ ახედებდა ტრისტანს. პატარა მარკიზი უმეტესად მოსამსახურეებისა და მასწავლებლის, ანდა მოძღვრის იმედად იყო დარჩენილი, ერთი ანაბანას ასწავლიდა და ყოველდღე მოდიოდა, მეორე, მოძღვარი მის რელიგიურ განათლებაზე ზრუნავდა.

ტრესილიოს პარტიები ისევ თავიდან დაიწყეს. თამაშის დროს კაროლინა მოუჯდებოდა გვერდით ქმარს და მის თამაშს ადევნებდა თვალს, ხან კიდევ კარნახობდა. ყველა ამჩნევდა, რომ სულ საბაბს ეძებდა, რომ ხელი მოეკიდა, მხარზე მიყრდნობოდა, ხოლო როგორც კი ათი საათი ჩამოჰკრავდა, ეტყოდა: „ტრისტან, უკვე დროა!“ არც ტრისტანი გავიდოდა ქუჩაში უიმისოდ, სეირნობისას ქმარს მკლავზე ჩამოეკიდებოდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა გამომწვევად, გამარჯვებულვით.

კაროლინას მეტად მძიმე ფეხმძიმობა კი ჰქონდა, მაგრამ იფიქრებდით, ბავშვის დაბადება სულაც არ ახარებსო; ხოლო როცა გაჩნდა, ერთიც არ დაუხედავს, როცა უთხრეს, ქალიშვილი გეყოლა, ოღონდ ძალიან სუსტი და უძლეურიო, ცივად გამოსცრა: „ალბათ ესეც ჩვენი სასჯელია!“ მერე კი საბრალო არსებამ სული უფაღს რომ მიაბარა, ესეც კი თქვა: „ასეთი უსუსურის გაზრდას, სიკვდილი ჯობდაო“.

— როდემდე უნდა იყო ასე მარტო, — უთხრა ერთ დღეს კაროლინამ თავის დისწულს, პატარა მარკიზს, — ამხანაგი გჭირდება, უფრო გახალისდები და უკეთესადაც ისწავლი; ამიტომ მე და მამაშენმა გადავწყვიტეთ, ერთი ობოლი ნათესავი მოგიყვანოთ...

ამ დროს ბავშვი უკვე ათი წლისა იყო, ცოტა ავადმყოფური იერი ჰქონდა და ასაკის შეუფერებლად სევდიანი ჩანდა; დეიდას სიტყვებმა ჩააფიქრა.

ბოლოს, როცა ის მეორე, უცხო ობოლი ბიჭი მოიყვანეს, პატარა მარკიზმა ყურები ცქვიტა; ქალაქ ლორენსას ახალი სალაპარაკო გაუჩნდა; ამ ამბავს ასეთი ახსნა მოუძებნეს და კიდევ დაიჯერეს, რაკი კა-

როლინას საკუთარი შვილი არ უჩნდებოდა, ამიტომ იშვილა ეს ბიჭი და თანაც თავის დისწულს ასე უფრო გაუმწარებს სიცოცხლესო.

ბიჭებმაც პირველივე დღიდანვე მტრებივით დაუწყეს ერთმანეთს ყურება. ორივე სიამაყესა თუ ქედმაღლობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. „შენ გგონია, რაკი მარკიზი ბრძანდები, შეგიძლია დაშინაგრო? — ეტყოდა ხოლმე პედრიტო როდრიგინს, — თუ შეტისმეტად გათამამდები, წავალ, აქედან წავალ და ისევ მარტო დარჩები...“ „დავრჩე და დავრჩე, მეც სწორედ მარტო ყოფნა მირჩევნია, შენ კი საიდანაც მოხვედრი, ისევ იქ წაბრძანდი!“ მაგრამ როგორც კი კაროლინა გამოჩნდებოდა და დაჰკივლებდა: „აბა, ბავშვებო!“ ორივე მყისვე ჩაჩუმდებოდა.

— ძია, — ასე მიმართავდა ხოლმე პედრიტო ტრისტანს, — მე აქ დარჩენა აღარ მინდა, წავალ, ისევ ჩემს დეიდებთან დავბრუნდები, როდრიგინთან ყოფნა არ შემიძლია, ისე მექცევა, გეგონებათ, მისი მსახური ვიყო, ან სულაც მათხოვარი.

— მოითმინე, პედრინ, მოითმინე; განა მე ცოტას ვითმენ? — ბიჭი გულში ჩაიკრა, თავზე აკოცა და ატირდა; ტიროდა უხმოდ, მწარედ, გულამომჯდარი.

მისი ცრემლები ბიჭს ნუგეშად ეპკურებოდა და თანაგრძნობით იმსჭვალებოდა ამ საბრალო კაცისადმი, პატარა მარკიზის საბრალო მამისადმი.

არ ტიროდა მარტო კაროლინა.



ერთ დღეს, როცა ცოლ-ქმარი მკლავიმკლავგადაჭდობილი სოფაზე იჯდა და ჩამობურულ სივრცეს მიშტერებოდა, უცბად შემოიქმათ ყვირილი და იმავე წუთს ოთახში გახვითქული და აღვზნებული ბავშვებიც შემოცვივდნენ. „მე მივდივარ, აქედან მივდივარ!“ — გაჰყვიროდა პედრიტო. „წადი, წადი და ამ სახლში ნულარასოდეს დაბრუნდები, ჩემს სახლში!..“ — გაიძახოდა როდრიგინი. როგორც კი კაროლინამ დაინახა პედრიტოს ცხვირიდან სისხლი სდისო, ლომივით წამოიჭრა ფეხზე და დაიკივლა: „ჩემო შვილო! ჩემო ბიჭო!“ მერე უმცროს მარკიზს მიუტრიალდა და კბილებში გამოსცრა: „კაინო!“

— კაინო?! განა ეს ჩემი ძმია? — გაოცებულ მარკიზს თვალები გაუფართოვდა.

კაროლინა ერთი წამით კი შეყოყმანდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და დაიგმინა: „ჰო, ის ხომ ჩემი შვილია!“

— კაროლინა! — დაიკვნესა ქმარმაც.

— ჰო, ასეა! — განაგრძო პატარა მარკიზმა, — აკი მეც ამას ვფიქრობდი და აქაც ყველა ამაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ის კი ვერ გავიგე, ვინ არის მისი მამა ან საერთოდ, პყავს თუ არა მამა!

კაროლინა მხრებში გაიმართა, თვალები უცნაურად უელავდა, ჭრები უთრთოდა, ხელი მოჰხვია თავის შვილს, პედრიტოს, თვალებში შეხედა თავის ქმარს და შესაძახა:

— მისი მამა? შენ თვითონ თქვი, პატარა მარკიზის მამავ, შენ თვითონ აღიარე, უთხარი ლუისას შვილს, ჩემს დისწულს, უთხარი როდრიგო სუარეს დე ტენადას, მარკიზ დე ლუმბრიას შვილს, ვინ არის მისი მამა! უთხარი! თუ შენ ვერ ეტყვი, მაშინ მე ვეტყვი! უთხარი!

— კაროლინა! — შევედრა ტრისტანი.

— უთხარი, უთხარი, ვინ არის ნამდვილი მარკიზ დე ლუმბრია!

— ნუ მეტყვით, არ არის საჭირო! — თქვა ბიჭმა.

— არა, სწორედ რომ საჭიროა! მარკიზი ეს გახლავს და არა შენ, დიას, რადგან იგი შენზე ადრე დაიბადა, ის მე გავაჩინე, მე, მაიორატის მემკვიდრემ, დიას, ჩემი და მამაშენის შვილია, მამაშენის, ჩემი პირდაპირი მემკვიდრეც ეს არის და ამას გერბიც მოწმობს... ახლავე ვბრძანებ, ეს გერბი ჩამოხსნან, გახსნან აივნები და მზე შემოუშვან, დიას, მე ვბრძანებ, ჩემი შვილი აღიარონ მარკიზად, სინამდვილეში არის კიდევ მარკიზი!

მერე მოჰყვა ყვირილსა და ძახილს, მთელი ჯალაბი შეჰყარა, გამოდვიდა სენიორაც, რომელიც მთლად ბავშვობაში გადავარდნილიყო და ძლივს გამოფხიზლდა; და როცა მთელი სახლი ფეხზე დააყენა, ბრძანა, აივნები ყურთამდე გააღეთო და მერე ხმამაღლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ მშვიდად გამოაცხადა:

— თქვენს წინაშეა მარკიზი, ნამდვილი მარკიზი დე ლუმბრია, მაიორატის კანონიერი მემკვიდრე; ის მე გავაჩინე, ხოლო მისი მამა გახლავთ ტრისტანი, ახლა რომ აღარ იცის, სად დაიშალოს და ტირის; მე მაშინ ვიღე იგი მუცლად, როცა ტრისტანმა ხელი ჩემს დას სთხოვა, მამაჩემმა კი მაშინ თავის პრინციპებისთვის გამწირა, მეც და ეგებ ჩემი დაც თავის პრინციპებს გვანაცვალა!

— კაროლინა! — ამაოდ კენესოდა ქმარი.

— შენ გაჩუმდი, დღეს მე ყველაფერი უნდა ვთქვა; შენმა შვილმა, თქვენმა შვილმა, ჩვენი შვილის სისხლი დაღვარა, ცისფერი სისხლი, წითელი სისხლი, ჩემი შვილის, მარკიზის სისხლი!..

— რა ყვირილია... ღმერთო მიშველე!.. — აწუწუნდა სენიორა და კუთხეში, თავის სავარძელში მოიკუნტა.

— ახლა კი, — განაგრძო კაროლინამ და მსახურებს მიუბრუნდა, — წადით და მთელ ქალაქს მოსდეთ ეს ამბავი, ილაპარაკეთ ყველგან, სადაც მოგხვდებით, მოედნებზე, ეზოებში, წყაროსთან, ყველგან, სადაც კი ხმას მიაწვდნით, თქვით ყველაფერი, რაც აქ მოისმინეთ; დაე, ყველამ გაიგოს ჩვენი შელანძლული გერბის ნამდვილი ამბავი!

— მაგრამ ქალაქში უკვე ყველამ იცის! — ჩაიბუტბუტა მარიანამ.

— რაო? — დაუყვირა კაროლინამ.

— დიას, სენიორა, ყველამ იცის და ყველა ამაზე ლაპარაკობს კარგა ხანია...

— მაშინ ჩვენ რაღას ვმალავდით და ვჩქმალავდით ამ საიდუმლოს, თუ უკვე აღარც საიდუმლო ყოფილა და აღარც გამოცანა... რა-

დას ვიკატუნებდით თავს ტყუილუბრალოდ, რატომ ვიტანჯებოდით ამდენხანს, ტრისტან? რა უბედურებაა! გააღეთ ფანჯრები, შემოუშვიტ მზე, სინათლე, მტვერი, გზა მიეცით ბუზებს, ხვალ დილათვე ჩამოსენით გერბი, ყველა აივანზე დადგით ქოთნის ყვავილები... მერე მოვაწყობთ დიდ წვეულებას და დავპატიჟებთ ქალაქის პატრივტემულ ადამიანებს, მაგრამ არა, წვეულებას იმ დღეს ვაგვმართავთ როცა ჩემს შვილს, ვისაც მოძღვარი ცოდვის შვილად იხსენიებს ხოლმე, — თუმცა მე რომ მკითხოთ, ცოდვა სწორედ ის იყო, რომ იმ მეორეს მიიჩნევდნენ მარკიზად, — ჩემს შვილს აღიარებენ ნამდვილ მარკიზ დე ლუმბრიად, აკი სინამდვილეში არის კიდევ!

საბრალო როდრიგინი ოთახის ერთ კუთხეში მიყუყულიყო და ძლივს გამოიყვანეს, მკვდრის ფერი ედო და მთელი ტანით ცახცახებდა. მან არ ისურვა არც მამის და არც ძმის ნახვა.

— ჩვენ მას კოლეგიაში გავამწესებთ! — ბრძანა კაროლინამ.

მთელი ქალაქი მარტო იმაზე ლაპარაკობდა, რა მტკიცედ და შეუპოვრად ახორციელებდა თავის გეგმებს კაროლინა. თითქმის ყოველდღე გადიოდა ქალაქში სასეირნოდ და ისე პყავდა ჩაბლუჯული თავისი ქმარი, გეგონებოდათ გამქცევი იყო; მეორე ხელი თავის შვილისთვის, ცოდვის შვილისთვის ჩაეველო; სახლის ყველა აივანი გამოაღეს, მზის მცხუნვარე სხივები ასუნებდა ატლასგადაკრულ საგარძლებს და ნათლად წარმოაჩენდა წინაპართა პორტრეტებს. ყოველ საღამოს ეპატიებოდნენ ტრესილიოს მოთამაშეებს და ისინიც უარს როგორ შეჰბედავდნენ. თავად კაროლინა მიუჯდებოდა გვერდით თავის ქმარს ტრისტანს და სვლებსაც თვითონ კარნახობდა; სტუმრების დასანახად ელამუნებოდა, ხან ლოყაზე მოუთათუნებდა ხელს, ხან ეტყოდა: „რა უნიათო კაცი ხარ, ტრისტან!“ მერე სტუმრებს მიუტრიალდებოდა: „ჩემს საწყალ ქმარს უჩემოდ თამაშიც კი არ შეუძლია!“ ხოლო, როცა ისინი აიშლებოდნენ, ეტყოდა: „რა სამწუხაროა ტრისტან, რომ მეტი შვილი აღარ გვიჩნდება, იმ საბრალო ბავშვის შემდეგ... ნამდვილი ცოდვის შვილი კი ის იყო, ის და არა ჩვენი პედრინი... მაგრამ ახლა იგი ნამდვილი მარკიზივით უნდა აღვზარდოთ!

კაროლინამ ყველაფერი იღონა, რომ მის ქმარს ახლა ნამდვილ შვილად პედრინი ეღიარებინა, რაკი ის უფრო ადრე დაიბადა, ქორწინებამდე გაჩნდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საკუთარი შვილისთვის მემკვიდრის უფლებები დაეკანონებინა. ამ დროს კი მეორე, როდრიგინი ბრაზისა და ბოლმისგან იტანჯებოდა კოლეგიაში.

— ურიგო არ იქნებოდა, თუ იგი სასულიერო კარიერას აირჩევდა, — უმეორებდა ხოლმე კაროლინა ქმარს, — აკი შენი მოწოდებაც ეს იყო! — ჩემი აზრით, შენც ბერად უნდა შემდგარიყავი, სხვა არაფრის შნო და უნარი შენ არ გავაჩნია...

— ამას შენ მეუბნები, კაროლინა?! — ძლივს შებედავდა ქმარი.

— დიას, მე გეუბნები, ტრისტან! რატომ გინდა შენ დაიბრალო ის, რაც მოხდა, ის, რასაც მოძღვარი ჩვენს ცოდვად თვლის, ხოლო მამაჩემი, მარკიზი ჩვენი გერბის ჩამოურეცხავ ლაქად მიიჩნევდა. განა ეს ჩვენი, ორივეს ცოდვაა? არა, ტრისტან, შენი ნამდვილი ცოდვა არის, შენი არა, არა! განა მე არ გაცდუნე? იმან, გეორგელს ვერც ვიცი, რომ ჰქონდა, ქუდზე წყალი რომ გადმოგასხა, ჰო, თავზე კი არა, ქუდზე, ქოთნის ყვაფილებიდან, იმან მხოლოდ ჩვენს სახლში შემოგიყვანა, მაგრამ მოგებული მე დავრჩი, მე! კარგად დაიმახსოვრე! მე უნდა გავმხდარიყავი ნამდვილი მარკიზის დედა, მაგრამ ის კი ვერ გავითვალისწინე, რომ შეიძლება მეორე მარკიზიც გაჩენილიყო... მეორე კი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. მე მინდოდა შენ თვითონ გეთქვა მასზე უარი, მაგრამ ვერ შესძელი, ვერ დათმე!..

— მაგრამ, კაროლინა!..

— კმარა, კმარა, მშვენივრად მესმის, რა და როგორ მოხდა, შენ ხორციტ სუსტი აღმოჩნდი, ადვილად საცდუნებელი და სწორედ ეს იყო შენი ცოდვაც, შენ ადვილად დაგიყოლიეს და მასზე დაგაქორწინეს! აი, რა იყო შენი ცოდვა!.. მერედა, იცი, რა ტკივილი და ტანჯვა განვიცადე!.. ისიც კარგად ვიცოდი, რომ ჩემი და, ლუისა ვერც შენს ღალატს გადაიტანდა და ვერც შენს შერცხვენას. და მეც ვითმენდი, ვიცდიდი და ვზრდიდი ჩემს შვილს, სხვა რა გზა მქონდა. იცი კი, რას ნიშნავს ეს, რა ძნელია ზრდიდე ბავშვს, რომელსაც უნდა დაუმალო საშინელი საიდუმლო? და აჰა, მეც გავზარდე იგი, რათა შური მეძია! შენ კი, მისი მამა!..

— ჰო, ვიცი, რომ შემიძულე...!

— არა, არ შეგიძულე, არა! განა მე მძულხარ?

— ვითომ არა?..

— არა, კი არ მძულხარ, მებრალები! შენ ხომ ჩემი ხორცი გააღვიძე და ამავე დროს მაიორატის მემკვიდრის სიამაყეც!.. სხვა გზა არცა მქონდა, ლოდინის მეტი აღარც არაფერი დამრჩენოდა, ვინ იცის, როდემდე უნდა მომეთმინა, სანამ საზეიმოდ არ მთხოვდა ვინმე ხელს და მამაჩემის ლოცვა-კურთხევას მივიღებდი... მე ხომ ჩემი დის მსგავსად აივანზე არ გადავდგებოდი და გამვლელ-გამომვლელებს არ ვეკეკლუცებოდი; აქ კი, ჩვენთან მარტო უბირი გლეხები და მათზე არა ნაკლები უბირი ტრესილიოს მოთამაშეები დადიოდნენ. და როცა შენ გამოჩნდი, როცა ჩვენ სახლში შემოხვედი, მე გაიძულე, ნამდვილი ქალი ჩემში დაგენახა და არა მასში... ხომ არ გაგახსენო, როგორ მოხდა ცოდვით დაცემა!..

— არა, ღვთის გულისათვის, არა!

— დაე, ასე იყოს. შენ დაღუპული კაცი ხარ, ტრისტან, აკი გეუბნებოდი, ბერად ხარ დაბადებული-მეთქი. თუმცა არა, შენ იმიტომ დაიბადე, რომ ჩემთვის შვილი გეჩუქებინა, რომ მე გავმხდარიყავი მარკიზ დე ლუმბრიას, დონ პედრო იბანიეს დელ გამონალ ი სუარეს დე

ტეხადას დედა. აი, ვის აღვზრდი ნამდვილ მამაკაცად, ასალ გერბსაც საგანგებოდ მისთვის გავაკეთებინებ, ქვისას კი არა, ბრინჯაოს გერბს, უკვე ვბრძანე კიდევ ქვისა მოეხსნათ და ბრინჯაოთი შეცვალათ. მაგრამ ვაითუ მასზეც გაჩნდეს სისხლის ლაქა, წითელი სისხლის ლაქა, წითელი სისხლისა, მისმა ძმამ, მისმა ნახევარმა ძმამ, შენმა მეორე შვილმა, ლალატისა და ცოდვის შვილმა რომ დააღვრევიანა ჩემს შვილს, ჩემი სისხლივით წითელი, შენი მიზეზით დაღვრილი სისხლივით... ასეც ნუ დამწუხრდები, ტრისტან, — ეს რომ უთხრა, თავზე ხელი დაადო. — ასეც ნუ დადარდიანდები, ჩემო ქმარო... აბა, აქეთ გამოიხედე, მამა-ჩემის სურათს შეხედე და მითხარი, შენ ხომ იგი მომაკვდავი ნახე, ახლა მითხარი, რას იტყობდა იგი, თავისი მეორე შვილიშვილი რომ ენახა, მარკიზი... აკი შენ თვითონ მიჰგვარე მას შენი შვილი, ლუისას შვილი! ვბრძანებ, რომ გერბში წითელი ლალი ჩასვან, რომ მზეზე იკიაფოს. შენ კი გეგონა, ამ სახლში სისხლი არ იყო, წითელი სისხლი, წითელი და არა ცისფერი! ახლა კმარა, ტრისტან, დროა დაიძინოს ჩვენმა შვილმა, წითელი სისხლის მარკიზმა და ჩვენც მოვისვენოთ.

ტრისტანმა თავი ისე დახარა, თითქოს საუკუნის სიმძიმემ დაადრეკინა ქედით.



რუსული პოეზია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა სტივანე მხარბრიძემ

ალექსაი კოლცოვი

პერიკატის სიმღერა

წევკაზმავე მერანს ლამაზად,
რომ სივრცეს ლალად სერავდეს,
იორლაა და ჯომარდი,
აჯობებს ფრთამალ შევარდენს.

გადაიქროლებს ტრამალებს,
ზღვის გაღმაც გაინავარდებს
და დავიბრუნებ ყრმობის წლებს —
სიბერეს ჯანი გავარდეს!

რა თავში ვიხლი ჭალარას,
გადავიქცევი ჭაბუკად,
ქალწულთა მწველი თვალები
კვლავინდებურად დამბუგავს.

მაგრამ იმ დღეებს გაფრენილს,
სად თქმულა, ვინმემ გაასწროს,
ვაი, რომ დასავლეთიდან
მზე არ ამოვა არასდროს.

მწარე ხვედრი

პგავდა ჩემი ბავშვობა
საბულბულო გალობას,
სიხარული გამშორდა,
ბედმა რომ მიწყალობა.

ოქროს ხანა გაფრინდა,
დღეებს ვათრევ, ვაგორებ,
თვალს ბინდი მიეძალა,
დამეშრიტა ძალ-ლონე.

ჩემი წუთისოფელი
უკვე გარდასულია,
ვინც მე გულით მიყვარდა,
დამივიწყა სრულიად.

სიჭაბუკე ქარს გაჰყვა,
განძივით რომ მებარა,

მზეს ნისლი გადეთვარა,
ჭირხლი შემომეპარა.

ყველა განცდა მოძველდა,
ვით ძვირფასი სამოსი,
ირგვლივ უფრო მოძალდა
ფერები საღამოსი...

დავალ უსიყვარულოდ,
ვიშავდღევე, ვიწვალე,
ვერსად ვერ გავექეცი
ამ საწუთროს სიმწარეს.

სერზე მუსა ხარობდა,
ვით დევკაცი გრძნეული,
ახლა დაბლა გართხმულა
ტოტებჩამომსხვრეული.

ალექსანდრ ბლოკი



●
 ეკლესიაში გალობს ასული
 მათთვის, ვინც ცხრა მთა გადაიარა
 და ვინც ზღვაშია ახლა გასული
 და ვინც სიყვარულს ვერ ეზიარა.
 დაფრენს თალამდე ხმა მონუსხული,
 ბროლის მკერდს სანთლის ცეცხლი
 ადნება,
 ნათდება ყველა ბნელი კუნჭული,
 როდესაც მღერის თეთრი ხატება.

და ყველას სჯერა: გაივლის ჯავრი
 და გემიც ნაპირს დაუბრუნდება,
 უცხოობაში ტანჯული მგზავრი
 მშობელ მიწაზე გაფუფუნდება.
 მაგრამ რა ხმაა, საწყალი ბავშვი
 აღსავლის კართან რამ აატირა?
 აღარ მოვაო, ვინც დარჩა გზაში
 და ბედისწერამ უღვთოდ გაწირა.

●
 რაც მახარებდა ან გულს მიკლავდა,
 ვლოცავ ყველაფერს, ბედ-იღბალს
 ვენდე,
 ო, გულო ჩემო, როგორ გიყვარდა,
 ო, გზნებავ ჩემო, რარიგად ენთე!
 ბედნიერებაც და მწუხარებაც
 თუმც იყო ჩემთვის ეგზომ
 დამღლელი,
 ვერც ქარიშხალმა, ვერც
 მღუმარებამ
 ვერ წამინილეს გზა წინანდელი.

გადავიწყე, რაც გულს გიღრღნიდა
 ჩვენ ხომ ერთურთი კვლავ
 გვენატრება,
 რაც ვერ აღმოთქვი სულის
 სიღრმიდან,
 მიმხელს სხივმნათი შენი ხატება.
 ნუ გამიწყრები... შენი თვალები
 ისევ მწყურია თავდავიწყებით,
 ღამეულ თოვლის ცივ ნაკვალევით
 იმ ნაცნობ ბილიკს კვლავაც
 მივყვები.

●
 ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი,
 გაცრეცილი შუქი ძლივსღა
 კელაპტრობს,
 გული გქონდეს რაგინდ გაუბზარავი,
 გამოსავალს ვერ იპოვი ვერასდროს.

მოკვდები და გაგრძელდება
 ახლიდან,
 კვლავ სურათი ძველი, დაუფარავი
 ღამე, ჩქერი ჭირხლიანი არხისა,
 აფთიაქი, ქუჩა, ისევ ფარანი.

სარგაი ესენინი

●
 არა, არ ვწუხვარ, წავა ყოველი,
 როგორც გაშლილი კვირტის
 ფიფქები,
 მე ახლა ჭკნობას უფრო მოველი,
 მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები.

ვერვინ მიშველის და დამაწყნარებს
 აღარ ვიქნები სავსე ტრფიალით,
 არ მოსწყურდებათ ალბათ
 არყნარებს
 ჩემი წანწალი და ხეტიალი.

მონატრულებს კვლავ ნავარდობას
სული ურჩი და სული თავნება.
ო, დაკარგულო კოკობვარდობავ
და წრფელი გრძნობის

ცეცხლოვანებავ!

რა სიზმრებივით გაფრინდნენ დღენი
და სიჭაბუკეც გადაიყოლეს,

თითქოს ვარდისფერ დარახტულ
ცხენით
დილაადრიან გადავიქროლუ.

იმეერქვეყნად ყველა მოგხვდებით,
სწყდებათ ნეკერჩხლებს, თოთლები

კიდევ ჰყვარდი, კიდევ მოკვდები,
კურთხეულ იყავ მარად და მარად!

სალამოს ბინდი სად მიმაცილებს,
სადღაც ჭიშკართან ჭიხვინებს ცხენი,
გუშინ არ იყო, რომ სიყმაწვილე
და სიყვარული დავკარგე შენი?

რას დახრივინებ, ეტლო სამცხენავ,
მიდის უკვალოდ ჩვენი ცხოვრება,
ხვალ ეგებ მელის ძირს დანარცხება
და საწუთროსთან გამოთხოვება.

ან ეგებ დადგეს დრო სულის
მოთქმის

და აღარ ვიყო გულდათუთქული,
მესმას სიმღერა წვიმის და

შოთხვის,
რითაც ყოველი ცოცხლობს
სულდგამული.

არად ჩავაგდებ ბნელ ძალთა
ზრახვებს,
მათ დავიწყებას მე დაგპირდები,
ოღონდ მხოლოდ ერთს — შენს-
ლამაზ სახეს —
ვერ დავივიწყებ ვერასდობით.

დე, სხვა მიყვარდეს, გულის
რჩეული,
მე იმ ლამაზმანს, შენსავით

კეთილს,
შენზე ვუამბობ, რა ღირსეული
და რა ძვირფასი იყავი ჩემთვის..

ვეტყვი, რომ იყო ცხოვრება ჩვენი
ტკბილი და ხანაც სევდის
მომგვრელი...

სადღაც ჭიშკართან ჭიხვინებს
ცხენი,
ო, თავო ჩემო, ხვალ რა მოგელის?





პირველად ტრამვაიში შეხვდნენ ერთმანეთს. გოგონამ ახალგაზრდა კაცს მხარზე მოჰკიდა ხელი და, როცა კაცმა თვალი გაახილა, გოგონამ ფანჯრისკენ მიახედა:

— თქვენ აქ ჩადიხართ.

ტრამვაი უკვე გაჩერდა, კაცმა ძლივს გააღწია ხალხში, და გოგონას კვალდაკვალ ჩახტა. მთლად პატარა გოგო იყო, თხუთმეტოდე-თექვსმეტოდე წლისა, მეტიც არა, — ეს კაცისთვის მაშინვე გახდა ნათელი, როგორც კი დაინახა გოგონას მრგვალი მერცხალა სახე, რომელიც მადლობის მოლოდინით შემოაბრუნა მისკენ.

— გმადლობ, — უთხრა კაცმა, — ხომ შეიძლებოდა, გაჩერებას გავცდენოდი. — იგრძნო, რომ ამის თქმა არ კმაროდა და დასძინა: — დღეს გადარეული დღე იყო, დავიღალე. რვაზე კი უნდა დამირეკონ, ასე რომ, ძალიან მიშველე.

გოგონას შეეტყო, რომ გაეხარდა. ისინი ერთად, მათ ზურგსუკან მომქროლავი მანქანისკენ ცქერა-ცქერით გაიქცნენ გზის გასწვრივ. თოვდა და კაცმა დაინახა, რომ მანქანის საქარე მინაზე მწმენდავი მუშაობდა. როცა თოვს, — აი, ასეთი ფაფუკი, ფუმფულა ფიფქები ცვივა, თითქოს სადღაც იქ, ზევით, საოცარ თოვლის ფრინველებს პუტავენო, — მაინცდამაინც არ მიგიწევს გული შინისკენ. „დარეკვას დაველოდები და ისევ გამოვალ“, — გადაწყვიტა კაცმა და გოგონასკენ შებრუნდა, ფიქრობდა, რამე ეთქვა მისთვის, რადგან არაფრისუთქმელობა უკვე უხერხული იყო. მაგრამ კაცს წარმოდგენა არა ჰქონდა, რაზე შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი და რაზე არა, და ჯერ ისევ თავს იმტვრევდა, როცა თავად გოგონამ უთხრა:

— მე კი თქვენ გიცნობთ.

— რას ამბობთ! — გაუკვირდა კაცს. — საიდან?

— საიდან და, თქვენ ას ოცში ცხოვრობთ, მე კი — ას თოთხმეტში. საშუალოდ კვირაში ორჯერ ჩვენ ერთად ვმგზავრობთ ტრამვაით. ოღონდ, თქვენ, რასაკვირველია, ვერ მამჩნევთ.

— ეს საინტერესოა.

— რაა საინტერესო? საინტერესო არც არაფერია. თქვენ, დიდები, მხოლოდ დიდებს აქცევთ ყურადღებას, თქვენ ყველანი საშინელი ეგონისტები ხართ. იქნებ მითხრათ, არა ვართო?

გოგონამ თავი მარჯვნივ მიაბრუნა, კაცს მარცხნიდან, ქვემოდან

ზევით ასცქეროდა. კაცმა მხოლოდ ერთი დაიზმუვლა და არაფერი უპასუხნია, რადგან ჯერ ისევ არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ამ გოგონასთან, არ იცოდა, რა შეიძლებოდა მისთვის ეთქვა და რა არა.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, გოგონა ახლა წინლა იწურებოდა და, ასე, მხოლოდ წინ გამცქერალმა, არც აცია და არც აცხელა, განაცხადა:

— მაგრამ თქვენ ხომ ჯერ არ გითქვამთ რა გქვიათ?

— შენთვის აუცილებელია ამის ცოდნა?

— დიას. მერე რა მოხდა? რაკი მე მინდა ვიცოდე, რა ჰქვია მავან კაცს, ზოგიერთებს ჰგონიათ, თითქოს მისდამი აუცილებლად არაჯანსაღ ინტერესს ვიჩენდე.

— კეთილი, — თქვა კაცმა, — ყველაფერი გავიგე. თუ ეს შენთვის აუცილებელია — რუდოლფი მქვია.

— რა-ა?!

— რუდოლფი.

— რუდოლფი. — გოგონამ გაიცინა.

— რა იყო?

გოგონამ უფრო ხმამაღლა გაიცინა და კაცი შეჩერდა, ყურება დაუწყო მას.

— რუდოლფი. — გოგონას ბაგეები მოუმრგვალდა და ისევ ჩაბჭირდა. — რუ-დოლფი. მეგონა, ასე მხოლოდ სპილოს შეიძლება ეძახდნენ სამხეცეში.

— რაო?!

— შენ ნუ ბრაზობ, — გოგონა სახელოზე შეეხო. — მაგრამ სასაცილოა, ღმერთმანი, სასაცილოა. თუმცა მე, აბა, რა შემიძლია?

— ღლაპი ხარ შენ, — განაწყენდა კაცი.

— ღლაპი ვარ, რასაკვირველია. შენა კიდე დიდი ხარ.

— რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტის.

— მე უკვე ოცდარვისა გახლავარ.

— მე ხომ ვამბობ: დიდი ხარ და რუდოლფი გქვია.

გოგონამ ისევ გაიცინა და მხიარულად დაუწყო მას თვალიერება მარცხნიდან, ქვემოდან ზევითკენ.

— აი, შენ რა გქვია? — ჰკითხა კაცმა.

— მე? ვერაფრით ვერ გამოიცნობ.

— არც ვაპირებ გამოცნობას.

— რომც გეცადა, მაინც ვერ გამოიცნობდი. იო მქვია.

— რა მქვიაო?

— იო.

— ვერაფერი გამიგია.

— იო. როგორ არ გესმის, исполняющий обязанности.

შურისგებამ არ დააყოვნა. კაცმა თავის შეკავება ვერ შესძლო და, წინ და უკან, წინ და უკან, ზარსავით, ქანაობა-ქანაობით ასარხარდა. საკმარისი იყო გოგონასთვის თვალი შეევლო, რომ უფრო და უფრო ფიჩინდებოდა.

— ი-ო, — ლულულულებდა, — ი-ო.

გოგონა იდგა, აქეთ-იქით იხედებოდა, ელოდა, ვიდრე კაცი ცოტათი დაშოშმინდებოდა, მერე კი წყენით უთხრა:

— სასაცილოა, არა? არაფერია სასაცილო, იო ისეთივე ჩვეულებრივი სახელია, როგორც ყველა სახელი.

— მაპატიე, — მომლიმარე კაცი მისკენ დაიხარა, — მაგრამ ნამდვილად გამეცინა. ახლა კი ბარიბარში ვართ, ხომ მართალია?

გოგონამ თავის დაქნევით დაუკრა კვერი.

ჯერ გოგონას სახლი იყო, შემდეგ — კაცისა. სადარბაზოსთან რომ შინგლიწოთხა

— შენი ტელეფონი რა ნომერია?

— არ გჭირდება ეგ ამბავი, — უთხრა კაცმა.

— გეშინია?

— შიში არაფერ შუაშია.

— დიდებს ამქვეყნად ყველაფრის ეშინიათ.

— ეგ ეგრეა, — დაეთანხმა კაცი.

გოგონამ თათმნიდან გამოაცოცა თავისი პაწია ხელი და გაუწოდა — ცივი და ჩუმი იყო ის ხელი. კაცმა ჩამოართვა.

— აბა, შინისაკენ, იო.

კაცმა ისევ გაიცინა.

კართან გოგონა შეჩერდა.

— ახლა უკვე თუ მიცნობ ტრამვაიში?

— აბა, არ გიცნობ? რასაკვირველია, გიცნობ.

— ტრამვაიმდე... — გოგონამ თავს ზემოთ ასწია ხელი.

— ... რომლითაც ჩვენ ერთად ვიმგზავრებთ, — დასძინა კაცმა.

* * *

ორი დღის შემდეგ კაცი მივლინებით გაემგზავრა ჩრდილოეთში და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. აქ, ქალაქში, უკვე იგრძნობოდა მძაფრი, თავბრუდამხვევი სუნი გაზაფხულისა, რომელმაც ქალაქს ფერფლივით ჩამოაცალა სამთრული ბუნდოვანება და გაურკვევლობა. ჩრდილოეთის ნისლების შემდეგ ყველაფერი უფრო კაშკაშა და ხშიერი იყო, ტრამვაებიც კი.

შინ ცოლმა თითქმის ფეხის შედგმისთანავე უთხრა:

— ვილაც გოგონა გირეკავს ყოველდღე.

— ვინ გოგონაა? — გულგრილად, დაღლილი კაცის ხმით იკითხა ქმარმა.

— არ ვიცი. გეცოდინებოდა, მეგონა.

— არ ვიცი.

— შემაბეზრა თავი.

— სასაცილოა, — უნდობლად გაიღიმა კაცმა.

იგი აბაზანაში იყო, ტელეფონმა რომ დარეკა. კარიდან ისმოდა, როგორ პასუხობდა ცოლი: ჩამოვიდა, აბაზანაშია, მოგვიანებით დარეკეთ, თუ შეგიძლიათ... და როცა კაცი უკვე დაწოლას აპირებდა, ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

— გისმენთ, — გააგონა კაცმა.

— რუდიკ, გამარჯობა, ჩამოხვედი, აბა! — გაისმა ყურმილში ვილაცის გახარებული ხმა.

— გამარჯობა, — ფრთხილად უპასუხა კაცმა. — ვინ ლაპარაკობს?

— ვერ მიცანი? ეჰ, რუდიკ, რუდიკ... მე ვარ, იო.

— იო, — მაშინვე გაახსენდა კაცს და უნებლიედ გაიცინა. გამარჯობა, იო. როგორც ჩანს, ჩემთვის უფრო შესაფერისი სახელი შეგირჩევია.

— ნამდვილად. მოგწონს?

— შენი ხნისა რომ ვიყავი, მაშინ მეძახდნენ ასე.

— ნუ მედიდურობ, გეთაყვა.

— არა, რას ამბობ...

ერთხანს დუმდნენ, მერე კაცმა ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— რა გინდოდა, იო?

— რუდიკ, ეგ რა, შენი ცოლია?

— ეგრეა.

— რატომ არ მითხარი, ცოლიანი თუ იყავი?

— მაპატიე, — ხუმრობის კილოთი მიუგო კაცმა, — არ ვიცოდი, თუ ამას ასე დიდი მნიშვნელობა თუ ჰქონდა.

— მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია. შენა რა, გიყვარს ეგა?

— ეგრეა, — თქვა კაცმა. — იო, მომისმინე, გეთაყვა: მეტად ნულარ დამირეკავ, არაა საჭირო.

— შე-გე-შინ-და, — ჩამღერებით უთხრა გოგონამ. — შენა, რუდიკ, ისეთი არაფერი იფიქრო. რასაკვირველია, იცხოვრე იმასთან, არ დაგიშლი. მაგრამ არც ასე შეიძლება: ნულარ დარეკავო. რა იცი, რა საქმეზე უნდა დაგირეკო.

— რა საქმეზე უნდა დამირეკო? — ღიმილით ჰკითხა კაცმა.

— რა საქმეზეო? რა საქმეზე და... ვთქვათ, წყალი ერთი რეზერვუარიდან მეორეში ვერაფრით გადამიქაჩავს, — მოისაზრა გოგონამ. — ასეთ დროს შეიძლება დარეკვა, ხომ მართალია?

— არ ვიცი.

— შეიძლება, რასაკვირველია. შენა კიდე იმისი ნუ გეშინია, რუდიკ, ჩვენ ხომ ორნი ვართ, ის კი ერთია.

— ვისი ნუ მეშინიაო? — ვერ გაიგო კაცმა.

— ვისი და შენი ცოლის.

— ნახვამდის, იო.

— დაილაღე, არა?

— დავილაღე.

— კეთილი, კეთილი, აბა, ახლა თათი ჩამომართვი და დაიძინე.

— თათს გართმევ.

— იმას კიდე ნურც დაელაპარაკები.

— ყაბულსა ვარ. — კაცმა გაიცინა. — ასე ვიზამ.

კაცი ისევ იმ მომლიმარი სახით გავიდა ცოლთან.

— ეგ იოა, — უთხრა მას. — ასე ჰქვია იმ გოგონას. იო — სასაცილოა, არა?

— სასაცილოა, — პასუხი დააყოვნა ცოლმა.

— ორი რეზერვუარის ამოცანა ვერ ამოხსნა, მეშვიდე კლასშია თუ მერვეში — არ მახსოვს.

— და შენ დაეხმარე ამოხსნაში?
 — არა, — მიუგო კაცმა. — ყველაფერი დამავიწყდა, რეზერვუარები კი ნამდვილად რთული რამაა.

* * *



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

დილით ტელეფონმა უთენია დარეკა. გათენებამდე ჯერ სად იყო — ქალაქს რიბირაბოს ძილით ეძინა. წამოდგა თუ არა, რუდოლფმა მოპირდაპირე სახლს გახედა — ჯერ არცერთი ფანჯრიდან არ გამოდიოდა შუქი, და მხოლოდ ლითონის ტუჩის გარმონებივით მბრწყინავი სადარბაზოები ანათებდნენ ოთხ-ოთხი სწორი რიგით. ტელეფონი უწყვეტად რეკავდა. რუდოლფმა საათს დახედა: ექვსის ნახევარი იყო.

— გისმენთ, — გულმოსულად ჩასძახა მილს.

— რუდიკ, რუდიკ...

კაცი გააფთრდა:

— იო, ეშმაკმა იცის, რა ჰქვია ამას...

— რუდიკ, — შეაწყვეტინეს, — მომისმინე, ნუ ბრაზობ, შენ ჯერ არ იცი, რა მოხდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ცოტათი დამცხრალმა კაცმა.

— რუდიკ, შენ უკვე რუდიკი არა ხარ, შენ რუდოლფიო ხარ, — ზარზეიმით განუცხადეს, — რუდოლფ-იო! მაგარია, არა? ეს-ესაა მოვიგონე. რუდოლფი და იო — ერთად რუდოლფიო გამოდის, იტალიელებსავით. აბა, გაიმეორე.

— რუდოლფიო! — კაცის ხმაში სასოწარკვეთილება და მძვინვარება აირია.

— სწორია. ახლა მე და შენ ერთი სახელი გვაქვს — განუყოფელნი ვართ, რომეოსა და ჯულიეტასავით. შენც რუდოლფიო ხარ და მეც.

— მომისმინე, — უთხრა გონს მოსულმა კაცმა. — მომავალში ხომ ვერ შესძლებდი, უფრო შესაფერის დროს რომ დაგერქვა ჩემთვის სახელი?

— როგორ არ გესმის, როგორ, რომ დალოდება არ შემეძლო. ეგრე იყო, ჰო. თანაც, უკვე დრო იყო, რომ ამდგარიყავი. დაიხსომე, რუდოლფიო: რვის ნახევარზე ტრამვაის გაჩერებაზე გელოდები.

— დღეს ტრამვაით არ წავალ.

— რატომ?

— დღემაგიერი მაქვს.

— ეს რაღაა?

— დღემაგიერი რიგგარეშე გამოსასვლელი დღეა და სამსახურში არ წავალ.

— ა-ჰა, — თქვა გოგონამ. — მე რა ვქნა?

— არ ვიცი. სკოლაში წადი და მორჩა.

— შენს ცოლსაც დღემაგიერი აქვს?

— არა.

— აბა, ამას კიდევ რა უშავს. ოღონდ, არ დაგავიწყდეს: ახლა ჩვენ რუდოლფიო გვქვია.

— ბედნიერი გახლავარ.

კაცმა ყურმილი ადვილზე დადო და ბუზლუნ-ბუზლუნით გავიდა ჩაის მოსადულებლად. ახლა დაძინებას მაინც ვერ შესძლებდა. თანაც, მოპირდაპირე სახლის სამი ფანჯარა უკვე განათებული იყო.

* * *

მედიკალი
ბიზნისი

შუადღისას დააკაკუნეს. კაცი იატაკს რეცხავდა და კარი რომ გამოაღო, სველი ჩვარი ეჭირა, რომლის სადმე ჩამოდება რატომღაც ვერ მოეფიქრებინა.

კარს იქით გოგონა იდგა.

— გამარჯობა, რუდოლფიო.

— შენა ხარ! — გაოცდა კაცი. — რა მოხდა?

— მეც დღემაგიერი ავიღე.

წმინდანსავით სახე ჰქონდა — ნატამალიც კი არ ეტყობოდა იმისა, რასაც სინდისის ქენჯნას ეძახიან.

— ჰოო! — გულმხნედ მიუგო კაცმა. — სეირნობ, მაშასადამე. შემო, შემო, რაკი მოსულხარ. დავამთავრებ მორეცხვას.

გოგონა გაუხდელად დაჯდა ფანჯარასთან სავარძელში, თვალს ადევნებდა, როგორ უსვამდა დაკუშული კაცი იატაკზე ჩვარს.

— რუდოლფიო, ჩემის აზრით, ოჯახში ბედნიერი ვერა ხარ, — განუცხადა წუთის შემდეგ.

კაცი წამოდგა.

— საიდან დაასკვენი?

— ამის დანახვა ძალიან ადვილი საქმეა. მაგალითად, შენ ყოვლად უხალისოდ რეცხავ იატაკს, ბედნიერებზე კი ამას ვერ იტყვი.

— ნუ იგონებ რალაცეებს, — ღიმილით უთხრა კაცმა.

— არ მითხრა ახლა, ბედნიერი ვარო!

— არაფერსაც არ ვამბობ.

— ჰოდა, ეგრე.

— აჯობებს გაიხადო.

— მეშინია შენი, — თქვა გოგონამ და ფანჯარას შეაჩერდა.

— რაო, რაო?

— რაო და, შენ ხომ მამაკაცი ხარ.

— ხედავ, თურმე, რისი თქმა გინდა. — გაიცინა კაცმა. — ჩემთან მოსვლა როგორ გაბედე?

— კარგი ერთი, მე და შენ ხომ რუდოლფიო ვართ.

— ეგრეა, — თქვა კაცმა. — ეს სულ მავიწყდება. რუდოლფიობა, ეტყობა, გარკვეულ მოვალეობებს მაკისრებს.

— რასაკვირველია.

გოგონა დადუმდა და ვიდრე კაცი სამზარეულოში ვედროს ახმარებდა, ჩუმად იჯდა. მაგრამ როცა კაცი გამოვიდა, პალტო უკვე სავარძლის ზურგზე ეკიდა, იოს სახეს კი ფიქრი და სევდა ეფინა.

— რუდოლფიო, მე დღეს ვიტირე, — უცებ გამოუტყდა გოგონა.

— რატომ, იო?

— იო კი არა, რუდოლფიო.

— რატომ, რუდოლფიო?

— ჩემი უფროსი დის გამო. მე რომ დღემაგიერის აღება გადავწყვიტე, იმან სკანდალი ატეხა.

— ჩემის აზრით, ის სწორია.

— არა, რუდოლფიო, არაა სწორი. — გოგონა საგარძლიდან წამოდგა და ფანჯარასთან დადგა. — ერთხელ შეიძლება დღემაგიერის აღება, როგორ არ გესმის. ახლა, იცი, როგორი ბედნიერი ვარ, რომ შენთან ვსაუბრობ?..

გოგონა ისევ გაჩუმდა, კაცმა გულსყურით შეავლო თვალი. კაბაში გამობურცოდა, და იქიდან გამოვარდნას ცდილობდა ორი ძუძუ, მსგავსად ორი პატარა ბუდისა, რომლებსაც აკეთებენ იღუმალის ფრინველები, რათა მათში მართვეები დაჩეკონ. კაცმა შეამჩნია, რომ უკვე ერთ წელიწადში გოგონას სახე დაუგრძელდებოდა, გაულამაზდებოდა და ნალველი მოაწვა იმის გაფიქრებაზე, რომ დროით ამასაც თავისი ყმაწვილი ეყოლებოდა. კაცი მივიდა მასთან, მხარზე ხელი მოხვია, გაუღიმა და უთხრა:

— ყველაფერი კარგად იქნება.

— მართლა, რუდოლფიო?

— მართლა.

— მე შენი მჯერა, — უთხრა გოგონამ.

— ეგრე იქნება.

კაცს უნდოდა გაცლოდა, მაგრამ გოგონამ დაუძახა:

— რუდოლფიო!

— გისმენ.

— რატომ შეირთე ცოლი ასე ადრე? ორი წელიც რომ მოგეცადა, ხომ მე გამოგყვებოდი.

— ნუ ჩქარობ! — უთხრა კაცმა. — შენ ისედაც გაყვები რომელიმე ძალიან კარგ ბიჭს.

— მე მინდოდა შენ გაგყოლოდი.

— ის ჩემზე კარგი იქნება.

— შენც იტყვი, ერთი, — ურწმუნოდ გაწელა გოგონამ. — შენ გგონია, უკეთესები არიან?

— ათასჯერ უკეთესები არიან.

— მაგრამ ის შენ არ იქნები. — უსასოოდ ამოიოხრა გოგონამ.

— აჯობებს, ჩაი დავლიოთ, — შესთავაზა კაცმა.

— დავლიოთ.

კაცი სამზარეულოში გავიდა და ჩაიდან დადგა ქურაზე.

— რუდოლფიო!

გოგონა წიგნის თაროსთან იდგა.

— რუდოლფიო, მე და შენ ყველაზე ლამაზი, ულამაზესი სახელი გვქვია. აი, შეხედე, მწერლებსაც კი არ ჰქვიათ უფრო ლამაზი სახელი. — წამით გაყუჩდა. — შესაძლოა, მხოლოდ ეს გვჯობდეს. ეკ-ზიუ-პე-რი. ლამაზია, ხომ მართალია?

— ეგრეა, — მიუგო კაცმა. — არ წაგიკითხავს?

— არა.

— წაიღე და წაიკითხე. ოღონდ დღემაგიერს ნუ აიღებ. შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

გოგონა ჩაცმას შეუდგა.

— ჩაი რომ უნდა დაგვეღია? — გაახსენდა კაცს.

— რუდოლფიო, აჯობებს წავიღე, კარგი? — ლიმილი წაუღიანია გაუხდა. — ოღონდ, შენს ცოლს ნუ ეტყვი, რომ მე აქ ვიყავი. ნო, რუდოლფიო?

— კეთილი, — აღუთქვა კაცმა.

როცა გოგონა გავიდა, კაცმა იგრძნო, რომ მოიწყინა, ის აღსავსე იყო რაღაც აუხსნელი, ჯერ ისევ გაუცნობიერებელი, მაგრამ ბუნებაში ნამდვილად არსებული ნაღველით. ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა.

* * *

გაზაფხული როგორღაც ერთბაშად, თითქმის გაუფრთხილებლად დადგა. ადამიანები რამდენიმე დღეში უფრო კეთილნი გახდნენ და ეს რამდენიმე დღე მოლოდინის დროიდან აღსრულების დრომდე გარდამავალ პერიოდად ეჩვენებოდათ, რადგან გაზაფხულის სიზმრებმა მათ გაწაფული მკითხავის ოსტატობით დაუბედა ბედნიერება და სიხარული.

ერთ ასეთ დღეს, უკვე საღამოს, როცა რუდოლფიო შინ ბრუნდებოდა, ის დროულმა ქალმა გააჩერა.

— მე იოს დედა ვარ. — დაიწყო მან. — მაპატიეთ, თქვენ, მგონი, რუდოლფიო გქვიათ.

— დიახ, — ლიმილით დაუდასტურა კაცმა.

— ჩემი გოგოსგან გიცნობთ. ამ ბოლო ხანს ის ბევრს ლაპარაკობს თქვენზე, მაგრამ მე...

ქალი შეყოყმანდა და კაცი მიხვდა, რომ მას უმძიმდა ეკითხა ის, რაც აუცილებლად უნდა ეკითხნა, როგორც დედას.

— ნუ ღელავთ, — უთხრა კაცმა. — მე და იოს საუკეთესო მეგობრობა გვაქვს და ამით არაფერი დაშავდება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — იჩქარა სათქმელის თქმა შემცბარმა ქალმა. — მაგრამ იო ახირებული, თვითნება გოგონაა, ის ჩვენ სულ არ გვიგდებს ყურს. და თუ თქვენ მოახდენთ მასზე ზემოქმედებას... გამიგეთ, მე მეშინია, ასაკია ისეთი, რომ უნდა მეშინოდეს, — შეიძლება სისულელეები ჩაიდინოს. შემდეგ ისიც მაშინებს, რომ არცერთ თანაკლასელ გოგონასთან, და საერთოდ არცერთ თანატოლთან არ მეგობრობს.

— ეს ცუდია.

— მესმის. მომეჩვენა, რომ თქვენ გაქვთ მასზე გავლენა...

— მოველაპარაკები, — აღუთქვა კაცმა. — მაგრამ ვფიქრობ, იო კარგი გოგონაა და თქვენ ტყუილად ღელავთ.

— არ ვიცი.

— ნახვამდის. მოველაპარაკები. ყველაფერი კარგად იქნება.

* * *

კაცმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ დაერეკა გოგონასთვის, მით უფრო, რომ ცოლი შინ არ იყო.

— რუდოლფიო! — ეტყობოდა, რომ გოგონას ძალიან გაეხარდა. — რა ყოჩაღი ხარ, რომ დამირეკე, რუდოლფიო! მე კიდევ ისევ ვიტირე.

— ასე ხშირად ტირილი არ შეიძლება, — უთხრა კაცმა.

— სუ „პატარა უფლისწულის“ ბრალია. მე ის მეცოდება. ის ხომ მართლა იყო ჩვენს მიწაზე?

— მე მგონი, მართლა იყო.

— მეც ასე მგონია. ჩვენ კი არ ვიცოდით. ეს ხომ საშინელებაა. და ეკზიუპერი რომ არა, ვერც ვერასოდეს გავიგებდით. ტყუილად კი არ ჰქვია, ჩვენი არ იყოს, ასე ლამაზი სახელი.

— ეგრეა.

— მე კიდევ, აი, რაზე ვფიქრობ: კარგია, რომ ის ისევ ისეთ პატარა უფლისწულად დარჩა. იმიტომ, რომ საშინელება იქნებოდა, ეგ შემდეგში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ვინმე გამხდარიყო. ჩვენში კი ისედაც ბევრი ჩვეულებრივი ვინმეა.

— არ ვიცი.

— სამაგიეროდ, მე ვიცი და ამას წყალი არ გაუვა.

— „ადამიანების მიწა“ თუ წაიკითხე?

— ყველაფერი წავიკითხე, რუდოლფიო. ჩემის აზრით, ეკზიუპერი ძალიან ბრძენი მწერალია. მეშინია კიდევც, იმდენად ბრძენია. და კეთილია. გახსოვს: ბარკს გამოისყიდინა, ათავისუფლებენ, ფულს აძლევენ, ეგ კი ფულით ბაღების ფეხსაცმლებს ყიდულობს და თვითონ უკაპიკოდ რჩება.

— ეგრე იყო, — განაგრძო კაცმა. — ბონაფუსი თუ გახსოვს, ბონაფუსი, რომელიც არაბებს იკლებდა და ძარცვავდა, იმათ კიდევ ეგ სძულდა და იმავედროულად უყვარდათ?

— იმიტომ, რომ უმისოდ უდაბნო ყველაზე ჩვეულებრივ რამედ ეჩვენება დათ, უდაბნოს კი საშიშ და რომანტიკულ სამყაროდ ბონაფუსი ხდიდა.

— შენ ყოჩაღი ყოფილხარ, თუ ყველაფერი ეს გესმის, — უთხრა კაცმა.

— რუდოლფიო... — გოგონა გაჩუმდა.

— გისმენ, — შეახსენა კაცმა.

გოგონა დუმდა.

— რუდოლფიო, — რატომღაც აღელვებით უთხრა კაცმა. — ახლავე მოდი ჩემთან. მარტოკა ვარ.

* * *

გოგონა აქეთ-იქით თვალის ცეცებით მივიდა სავარძელთან და ჩაჯდა.

— რატომ ხარ ასე გარინდული? — ჰკითხა კაცმა.

— ეგ მართლა შინ არაა?

— ვინა, ჩემი ცოლი?

— ჰო.

— არაა.

— ეგ *Мымра** გყავს შენა.

— ვინა მყავს?

— ვინა და *Мымра*!

— ეგ სიტყვა საიდან მოიტანე?

— დიადი რუსული ენიდან. იქ იმისთვის უფრო შედგამოჭრილი

სხვა არაფერია.

— იო, ეგრე არ შეიძლება.

— იო კი არა, რუდოლფიო. — ამასწინათ დავრეკე და მან აიღო ყურმილი. იცი, რა მითხრა? შენაო, რეზერვუარებზე თუ რეკავ, უმჯობესია, მასწავლებელს ელაპარაკო. ჩემის აზრით, ის ეჭვიანობს შენზე — ჩემს მიმართ...

— არა მგონია.

— რუდოლფიო, მე იმას ვჯობივარ, ხომ მართალია? მე ხომ ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ, არ გავფორმებულვარ ბოლომდე, მე ხომ ყველაფერი წინა მაქვს.

კაცმა გაულიმა და თავი დაუქნია.

— აი, ხომ ხედავ. ჩემის აზრით, დროა იმას გაეყარო.

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — შეაწყვეტინა კაცმა. — მეტისმეტად ბევრის უფლებას გაძლევ.

— სიყვარულის გამო, არა?

— არა, მეგობრობის გამო.

გოგონამ ცხვირი ჩამოუშვა, გაჩუმდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს დიდხანს არ გასტანდა.

— რა ჰქვია იმას?

— ვისა, ჩემს ცოლს?

— იმას, აბა, ვის?

— კლავა.

— კაი გვარიანი საპალნე კი გკიდია.

კაცს გული მოუვიდა.

— შორჩი.

გოგონა წამოდგა, წამით თვალი დახუჭა და უცებ თქვა:

— რუდოლფიო, მე არანორმალური ვარ, მაპატიე, არ მინდოდა...

— ოღონდ, ნუ აღრიალდები, — გააფრთხილა კაცმა.

— არ ავღრიალდები.

გოგონა მოშორდა და ფანჯრისკენ შეტრიალდა.

— რუდოლფიო, — დაიწყო მან, — მოდი, ასე შევთანხმდეთ: მე დღეს შენთან არ ვყოფილვარ და არაფერი მითქვამს, ჰოო?

— კეთილი.

— ისე ჩათვალე, რომ „ნახვამდის“ ტელეფონით გითხარი.



* *Мымра* — (ხალხ.) კუშტ, სიტყვაძუნწ, მოსაწყენ ქალზე იტყვიან — მთარგ.

— არა, მოდი, გავისეირნოთ.

ჩაუხვიეს მდინარისკენ — იქითკენ, სადაც უშენი ადგილები იწყებოდა, — ნაგვის კოლბოხებსა და ზვინებზე ხტომა-ხტომით, და კაცმა გოგონას ხელმკლავი გაუყარა, რათა ნახლვევებზე გადასვლაში შეეშელებოდა.

გოგონა ხმას არ იღებდა. ასე არ ჩვეოდა, მაგრამ ^{ერჩინებულნი} ~~გვერდები~~ და კაცი გრძნობდა, რომ გოგონას, ისევე როგორც თვითონ მასაც, ძლიერი მოგუგუნე, ვერაძალით მოსათოკი მღელვარება დაუფლებოდა.

ისინი კბოდეს გადაადგნენ და, ჯერ ისევ ხელიხელჩაჭიდებულნი, გასცქეროდნენ მდინარეს, და მდინარის იქითა შორეულ სივრცეს, და ისევ — მდინარეს.

— რუდოლფიო, — ვერ მოითმინა გოგონამ, — ჩემთვის ჯერ არავის უკოცნია.

კაცი დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

— ტუჩებში, — სთხოვა გოგონამ.

— ტუჩებში მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანებს კოცნიან, — ტანჯვით ამოთქვა კაცმა.

— აბა, მე ვინა ვარ?

გოგონა შეტოკდა და კაცს შეეშინდა. მომდევნო წამს მან უცებ გაიგო — კი არ იგრძნო, სწორედ გაიგო, — რომ გოგონამ გაარტყა, ყველაზე ნამდვილი სილა გააწნა და გაუტია, ისევ იქითკენ გაიქცა, საიდანაც მოვიდა — კოლბოხების, მღელვარებისა და მოლოდინის გზით გაუტია.

კაცი კი იდგა და გასცქეროდა, როგორ გარბოდა გოგონა და დაძახებდა ვერ გაეხედნა, ვერ გაეხედნა გაჰკიდებოდა და დაწეოდა. კიდევ დიდხანს იდგა ის — გატიალებული და თავისი თავის მოძულე.

ეს შაბათს მოხდა, კვირას კი, ადრე დილით გოგონას დედამ დაურეკა.

— რუდოლფიო, მომიტევეთ, გეთაყვა, ალბათ, გაგაღვიძეთ...

აბნეულად ლაპარაკობდა, ხმა უთრთოდა.

— გისმენთ, — უპასუხა კაცმა.

— რუდოლფიო, იოს ეს ღამე შინ არ გაუთევიან.

კაცს რამე უნდა ეთქვა, მაგრამ დუმდა.

— ჩვენ სასოწარკვეთილნი ვართ, არ ვიცით, რა ვქნათ, რა ვიღონოთ. ეს პირველად...

— ჯერ დამშვიდდით, — უთხრა ბოლოს და ბოლოს კაცმა. — შესაძლოა, თავის დაქალთან გაათენა.

— არ ვიცი.

— როგორც ჩანს, ასეცაა. თუ ორ საათში არ მოვა, ძებნას შევუდგეთ. ოღონდ დაწყნარდით, ორი საათის შემდეგ დაგირეკავთ.

კაცმა ყურმილი ჩამოდო, დაფიქრდა და თავის თავს უთხრა: შენც დამშვიდდი, იქნებ მართლაც მეგობართან გაათენაო. მაგრამ ვერ მშვიდდებოდა, პირიქით, იგრძნო, რომ ძაგძაგს იწყებდა. ნერვების მოსათოკად საკუჭნაოში შევიდა და სტვენა-სტვენით დაიწყო თავისი ძველი, ჯერ კიდევ მოწაფეობისდროინდელი სახელმძღვანელოების ქექვა. ალგებრის ამოცანათა კრებული სადღაც გამქრალიყო და მის მოძებნაში ცოტათი გაერთო.

ტელეფონი დუმდა. რუდოლფმა სამზარეულოს კარი მიხურა და დახელმძღვანელოს ფურცვლას შეუდგა. აი, ისიც: ერთი რეზერვუარიდან მეორეში ორი საათის განმავლობაში უნდა გადაიტყუბოს წყალი...

ტელეფონი აწკრიალდა.

— ის მოვიდა. — დედა თავს ვერ იკავებდა, ტირილობდა, კაცი იდგა და უსმენდა.

— რუდოლფით, მობრძანდით, გეთაყვა, ჩვენთან.

ქალმა ერთხანს კიდევ იტირა და ამის შემდეგ დასძინა:

— მას რაღაც შეემთხვა.

* * *

კაცმა ნებართვის უთხოვნელად გაიხადა ლაბადა და დედამ უხმოდ გაიშვირა ხელი გოგონას ოთახისკენ.

იო ფერხთმორთხმით იჯდა საწოლზე და ტორტმან-ტორტმანით იყურებოდა ფანჯარაში.

— რუდოლფიო! — დაუძახა კაცმა.

გოგონა მისკენ მობრუნდა და არაფერი უთქვამს.

— რუდოლფიო!

— მორჩი, — ზიზლით შეიჭმუნა გოგონა. — შენ რომელი რუდოლფიო ხარ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რუდოლფი ბრძანდები. ყველაზე ჩვეულებრივი რუდოლფი, გესმის?

დარტყმა იმდენად სასტიკი იყო, რომ მთელ სხეულს გასწვდა, მაგრამ კაცმა აიძულა თავი დარჩენილიყო, ფანჯარასთან მივიდა და რაფას ჩამოეყრდნო.

გოგონა წინ და უკან ტორტმანობდა განუწყვეტლივ, და სივრცეს გასცქეროდა, ისე გასცქეროდა, თითქოს კაცი იქ არც არისო, და მის სხეულქვეშ საწოლის ზამბარები ჩუმად ჭრაჭუნებდნენ.

— ჰო, კარგი, — დაეთანხმა კაცი. — მაგრამ ის მაინც ამიხსენი, სად იყავი?

— მოუსვი აქედან! — შემოუბრუნებლად, ჩანცვაცლით მიუგო გოგონამ.

კაცმა თავი დაუკრა. შემდეგ ჩამოსხნა საკიდრიდან თავისი ლაბადა და გოგონას დედის უსიტყვო კითხვებზე პასუხის გაუცემლად ჩავიდა კიბეზე და მოუსვა. კვირადღე ახლალა იწყებოდა, ქუჩაში ცოტა ვინმე თუ იყო გამოსული და არავის გაუჩერებია. უშენი ადგილები გადაიარა, ნაპირისკენ დაეშვა და უცებ დაფიქრდა: ახლა საით წავიდე?



გეორგ ბიუსნერი

გერმანულიდან

თარგმნა ზურაბ აბაშიძემ



ჰესენის მხარის მალემსროლი

პირველი წერილი

დარმშტატი, 1834 წ., ივლისი

წინათქმა

ამ წერილმა სიმართლე უნდა აუწყოს ჰესენის მხარეს, მაგრამ ჰართლის მთქმელს ყულფში გააყოფინებენ თავს და იქნებ მართლის წამკითხველსაც სასჯელი დააკისრონ ფიცის გამტეხმა მოსამართლეებმა. ამიტომ ამ ბარათის მიმღებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. გულდაგულ გადაუმალოს იგი პოლიციას სადმე სახლის გარეთ.
2. გააცნოს მხოლოდ და მხოლოდ ერთგულ მეგობრებს.
3. ჩუმაო მიუგდოს იმას, ვისაც არ ენდობა, ვით საკუთარ თავს.
4. თუ ბარათი წაკითხვის შემდეგ უპოვნეს, უნდა გამოტყდეს და განაცხადოს, ამ წუთს ვაპირებდი მის ჩაბარებას სათემო საბჭოშიო.
5. თუ ბარათი არ წაუკითხავს და მაინც უპოვეს, მაშინ, ცხადია, ბრალს ვერ დასდებენ.

მშვიდობა ჰოხავს, ომი სასახლეებს!

1834 წელს ჟამთა ვითარება ისეთია, თითქოს ადამიანები ლამობდნენ სიცრუეში ამხილონ ბიბლია. თითქოს უფალს გლეხები და ხელოსნები შესაქმის მეხუთე დღეს შეექმნას, თავად-აზნაურნი კი მეექვსეს და ეთქვას მათთვის: „მთავრობდე პირუტყვთა და მხეცთა ყოვლისა ქუეყანისა“,³ და თითქოს მატლად ჩაეთვალოს გლეხები და ბიურგერები. დარბაისელთა ცხოვრება ერთი დაუსაბამო კვირა დღეა, ისინი კოხტა სახლებში ბინადრობენ, სალუქ ტანსაცმლით იმოსებიან, პირბადრნი და თავისნათქვამები. მდაბიონი კი ქვე განრთმულან, ვით მათი ფერხთა მტვერი. გლეხი გუთნეულს მისდევს უკან, აზნაური კი ორთავეს მიერეკება. მოწეულ ხორბალს თავადი ირგებს, გლეხს კი ნამჯას უტოვებს ოდენ. გლეხის ცხოვრება ერთი უსაშველო სადაგი დღეა, ვიგინდარები თვალსა და ხელს შუა აცლიან და თქველუფენ მის ჭირნახულს. გლეხკაცის ტანი კოჭრებითაა დაფარული, მისი ოფლი მარლია მოძალადე ბატონის სუფრაზე.

პესენის დიდ საპერცოგოში 718 373 მცხოვრებია, ისინი სახელმწიფოს ყოველწლიურად 6 363 364 გულდენს უხდიან, აქედან

1. პირდაპირი გადასახადები	2128131 ფლ.
2. არაპირდაპირი გადასახადები	2478264 ფლ.
3. სახელმწიფო მამულები	1547394 ფლ.
4. საუფლონი	46938 ფლ.
5. ფულადი ჯარიმები	98511 ფლ.
6. სხვადასხვა წყარო	64198 ფლ.
სულ	6,363,363 ფლ.

ფული ხალხის სხეულით სისხლად გართმეულ ღალას წარმოადგენს, 700 000 ადამიანის ოფლისა და წვა-დაგვის ნაყოფს. გამოძალვას სახელმწიფოს სახელით იქმიან, გამოძალველნი მთავრობას იმონებენ, ხოლო მთავრობა გაიძახის, ფული სახელმწიფოში წესრიგის დაცვას ხმარდებაო. და მერე რას წარმოადგენს ეს უთავბოლო სახელმწიფო? თუ ქვეყანაში ბინადრობს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა და თუ არსებობს ყველასათვის სავალდებულო კანონები, — ესაა თურმე სახელმწიფო. მაშასადამე სახელმწიფო წარმოადგენს ყველას. სახელმწიფოში წესრიგი მყარდება კანონებით და მათ უნდა უზრუნველყონ მთლად სუყველას კეთილდღეობა. ახლა ვნახოთ, რას დაამგვანეს დიდი საპერცოგოს სახელმწიფო და როგორ ამყარებენ იქ წესრიგს! საამისოდ 700,000 კაცი იხდის 6 მილიონს, ისინი ჯაგლაკ ცხენებად და საყვერის ხარებად გადააქციეს წესრიგის გულისათვის. რიგიან-წესიერი ცხოვრება თურმე მოშიმშილე, გაძვალტყავებული კაცის ყოფასა ჰქვია.

ვინ მოიგონა ეს წესრიგი და ვინაა გაფაციცებული მის დასაცავად? ვინა და დიდი პერცოგის მთავრობა. მთავრობას ადგინენ დიდი პერცოგი და მისი უმაღლესი მოხელენი. სხვა მოხელეებს ნიშნავს მთავრობა წესრიგის დასაცავად. მათი რიცხვი ლეგიონია: სახელმწიფო მრჩევლები და მთავრობის მრჩევლები, ოლქის თავები და თემის თავები, მღვდლები და მასწავლებლები, ხაზინის მოხელენი და სატყეო მეურნეობის მრჩევლები და კიდევ მათი უთვალავი მდივანი. ხალხი მათი ჯოგია, მწყემსავენ, წველიან და ატყავენ საცოდავს. ისინი ტყავს აძრობენ გლეხებს და იმ ტყავით იმოსებიან, სახლებში ინახავენ საწყალი ხალხისათვის წართმეულ დოვლათს, ქერივ-ოხერთა და ობოლთა ცრემლით იპოხენ სახეს. ხალხი სულმთლად დათრგუნეს და დაიმონეს. ხალხო, თქვენ მათთვის იხდით 6 000 000 გულდენ მოსაკრებელს, რათა ისინი გაისარჯონ და თქვენა გმართონ. მათ წაგართვეს ადამიანის უფლებები, თქვენს პურს ჭამენ. აი, რას იმკით თქვენი ოფლის წილ.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახად 1 110 607 გულდენი იხარჯება. სანაცვლოდ თქვენთვის მოიგონეს გაუგონარ კანონთა გროვა, ყველა დროის ბრძანებულებათაგან შეთხზული, უმეტესწილ უცხოურ ენაზე დაწერილი. თავს

დაგატეხეს გარდასულ თაობათა მიერ შეკოწიწებული უაზრობა და მიწყვი სიცოცხლეს გიმწარებენ. კანონი დიდებულთა და სწავლულთა მცირე კლასის საკუთრებას წარმოადგენს, ვინაც მაქინაციების მეშვეობით მითვისა ძალაუფლება. ეს სამართალი მხოლოდ და მხოლოდ თქვენს დასათრგუნად და გასატყავებლად მოხმობილი საშუალებაა, კანონები თქვენთვის გაუგებარია, პრინციპები უცხო, პრეცედენტები მიუღებელი. იგი მოუსყიდველია, — იმოდენა გასამრჯებლად, რომ ქრთამი აღარ დასჭირდეს. მოსამართლეთა უმრავლესობა სულხორციანად მიეყიდა მთავრობას, იმათი საკარცხულები 461,473 გულდენის გროვას ეფუძნება (სასამართლოს შენახვისა და დანაშაულის აღკვეთის ხარჯები), უმწიკვლო მოხელეთა ფრაკები, არგნები და სატევრები 197 502 გულდენის ვერცხლითაა მოოჭვილი (ამდენი გვიჯდება პოლიცია და ჟანდარმერია). იუსტიცია გერმანიაში საუკუნეთა განმავლობაში მთავრების სარჭაა, მის კერძ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ვერცხლით უნდა მოაშანდაკო, ხოლო განაჩენები დამცირებითა და სილატაკით გამოისყიდო. გაიხსენეთ მისაღების წინ გაჭიმული რიგები, ქედის მოდრეკა კაბინეტში შესვლის ჟამს, გაიხსენეთ გადამწერთა და სასამართლოს დაბალ მოხელეთათვის გაღებული ძღვენი. მანვანნი მეზობელს უჩივიან ერთი კარტოფილის მოპარვისათვის, ხოლო თქვენ აღსდექით და ხმა აღიმალლეთ სახელმწიფოს სახელით წარმოებული ძარცვის, თქვენთვის დაკისრებული გადასახადების, წვა-დაგვით შექმნილი თქვენი ქონების მითვისების წინააღმდეგ, უქნარა მოხელეთა სტომაქის ამოყორვას რომ ხმარდება. დაიჩივლეთ, სინდისგარეცხილ სუბიექტის ხელში რომ ჩაგყარეს, სამართლად წოდებული სუბიექტისა. დაიჩივლეთ, სახელმწიფომ რომ საყვეარში შებმულ ცხენად გადაგაქციათ. მოითხოვეთ აღდგენა წართმეული ადამიანის უფლებებისა. რომელი სასამართლო განიხილავს თქვენს სარჩელს, განაჩენს ვინ გამოიტანს? ამ კითხვაზე პასუხს თქვენი ფოგელსბერგელი თანამოძმენი გაგცემენ, როკენბურგში ძალით რომ წაათრიეს, და თუ ოდესმე გამოჩნდება მოსამართლე, ახ სხვა მოხელე, ვინც სამართალსა და საზოგადოების კეთილდღეობას საკუთარ სტომაქსა და მამონზე უფრო მაღლა დააყენებს, ვინც ხელს აიღებს ხალხის გატყავებაზე და ხმას ამოიღებს მის დასაცავად, მაშინ მას მთავარი და უმაღლესი მოხელენი გაატყავებენ.

ფინანსთა სამინისტროს ხმარდება 1 551 502 გულდენი, საფინანსო მრჩეველთა, გადასახადების ამკრებთა, საპენსიო სამსახურის აპარატისა და წვრილ მოხელეთა ხელფასის სახით. მიტომაც აღრიცხავენ დოვლათს თქვენი სავარგულებისა, მიწყვი ითვლიან თქვენს სულადობას. ბეგრავენ მიწას თქვენს ფერხთა ქვეშე, გითვლიან პირში ჩადებულ სუყოველ ლუკმას. ფრაკით მორთული ბატონები ერთობიან, შიშველი ხალხი კი ქედს იხრის მათ წინაშე. მხრებსა და მუხლებს გისინჯავენ, კიდევ რა ტვირთი შეგვიძლია, რომ აგვიდოთო; და თუ გაჩვენებენ გულმოწყალებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგავენ პირუტყვს, რომელს მცირე საკვებს დააჯერებ და უამრავს საქმეს აჰკიდებ.

ჯარისთვის 914 820 გულდენი იხარჯება. თქვენს ვაჟიშვილებს ჭრელი მუნდირით შემოსავენ, თოფს დააჭერინებენ და მხარზე დოღს გადაჰკიდებენ. წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე ნებას დართავენ სროლით მოიჯერონ გული. მერე ბიჭები ჰყვებიან სოლმე, კარის დიდებულთა და აზნაურთა უზნეო შვილებთან ერთად რა მძიმით ჩაიარეს დიდი ქუჩები და მოედნები, როგორ აიკლეს ქალაქის ცემით და ბუკ-ნალარის გრიალით. იმ 900 000 გულდენის თქვენმა ვაჟებმა ერთგულება უნდა შეჰფიცონ ტირანს, მის სასახლეებს უღარაჯონ. დაფდაფების ბრახუნით ლამობენ დაახშონ თქვენი გმინვა. თუ გაკადნიერდი და თავისუფალ მოქალაქედ დასახე თავი, თავ-პირს დაგილეწენ. თქვენ კანონიერი მკვლელები ხართ, კანონიერი ყაჩაღების დარაჯები, — გაიხსენეთ სოფელ ზიოდელში? დატრიალებული უბედურება! თქვენი ძმები და შვილები იქ ძმათა და მამათა მკვლელებად გადააქციეს.

პენსიებს ეთმობა 480 000 გულდენი. ამ ფულით ფიანდაზებს უფენენ მოხელეებს, ვინც დროთა განმავლობაში ერთგულად ემსახურა სახელმწიფოს და გულმოდგინედ ეხმარებოდა მას კანონის სახელით რეგულარულად წარმოებულ ძარცვა-გლეჯაში.

სახელმწიფო სამინისტროსა და სახელმწიფო საბჭოს ხმარდება 174 000 გულდენი.

ამჟამად გერმანიაში მთავრების სამსახურში ყველაზე გაქნილი არამზადები იმყოფებიან, ყოველ შემთხვევაში ასეთ ჩვენს დიდ საქერცოგოში. აი, მაგალითად დიუ ტელი, სახელმწიფო მინისტრი წელიწადში 15 000 გულდენს იჯიბავს და თუ კიდევ ოცდაათი წელიწადი შეინარჩუნებს თანამდებობას, მაშინ ნახევარ მილიონს შთანთქავს. აი სახელმწიფო მრჩეველი კნაპი, მას ჭაბუკმა გაგერნმა შეთქმულ მოლაღატეთა და ნამუსგარეცხილთა თავკაცი უწოდა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაუკრეს კვერი. აქ ვერ დაძებნით ვერცერთ მინისტრს, ორჯერ მაინც ფიცის გატეხაში რომ არ იყოს მხილებული. ფიცით აღგვითქვეს, ადგილობრივ ხელისუფლებთან შეუთანხმებლად გადასახადებს არ ავკრებთო, მაგრამ თუ ესენი უსიტყვოდ არ დაემორჩილნენ, მათ გადააყენებენ და თვითონვე აკრებენ სოლმე. ფიცით აღგვითქვეს, სასამართლოთა ხელშეუხებლობას და დამოუკიდებლობას დავიცავთო. მაგრამ პრეზიდენტ მინიგეროდესთანა მოღვაწენი კანცელარიებს მოაშორეს და დანიშნეს მილიონთ მპარავი, ველურის ჯურის მოსამართლენი; სამოქალაქო საქმეები, დოქტორ შულცის საქმისმაგვარი, სამხედრო ტრიბუნალებს გადასცეს და ემილს, ვაი უფლისწულს მიანდეს გადაეწყვიტა, რა ხნით ჩაეგდო ბრალდებული ცინე-დარბაზის დილეგში. თუ სახელმწიფო საბჭოში წესიერი კაცი გაიჭაჭანებს, მას სასწრაფოდ მოიცილებენ სოლმე თავიდან. თუ ამჟამინდელ გერმანიაში პატროსანი კაცი გამინისტრდება და თანამდებობას ჩაეჭიდება, მყის თოკით მართულ თოჯინად გადააქცივენ, მას მარიონეტი თავადი გაათამაშებს, თვით თავად-საფრთხოებელას, — ცოლი ან მისი ფაფორიტი, ან ნახევარძმა, კამერდინერი, ან მეეტლე, ანდა ყველანი ერთად. საქმეთა ამჟამინდელი ვითარება გერმანიაში წინასწარმეტყველ მიქიას მიერ აღწერილსა ჰგავს.

„გაწაფულია მათი ხელები ბორცვის ქმნაში, მთავარი და მსა-
ჯული გასამრჯელოს მოითხოვენ. დიდებული სინარბეს იჩენს და სა-
მართალს ამრუდებს.

უკეთესი მათ შორის ნარ-ეკალსა ჰგავს, სამართლიანი კი ძევეზე
უარესია“. (მიქი წინასწარმეტყველი, თავი 7, 3, 4). თქვენს ქვეყნულ ცი-
ფდებათ ნარ-ეკალიცა და ძევიც, — დიდი პერცოგის მადონკოლი-
ბულთა შესანახად 827 772 გულდენს განდევინებენ.

აქამდე ჩვენს მიერ მოხსენიებული ყველა უწყება, ყოველი კაცი, მსა-
ხურეულთა რიგს განეკუთვნება. საკუთარი სახელით ისინი არას იქ-
მიან, მათს ოფიციალურ ტიტულებში ყველგან ნახავთ ასობგგრა L-ს
— ლუდვიგ, ღვთის მადლით ცხებული. დიდი მოწიწებით წარმოთქვა-
მენ: „დიდი პერცოგის სახელით“. ამ სიტყვებს დიდის ამბით იმეორე-
ბენ, როდესაც თქვენს მოძრავ ქონებას ყიდიან, თქვენს საქონელს გაი-
რეკენ, თქვენ კი დილეგში ჩაგყრიან ხოლმე. დიდი პერცოგის სახე-
ლით, გაიძახიან და გიპტკიცებენ, მისი სამეფო დიდებულება შეუბ-
ლაღავია, სუვერენული და წმინდაო. მაგრამ აბა ერთი მიუახლოვდით
ადამის ძეს, დააკვირდით, რა გვამს ფარავს მთავრის მანტია. რომ მო-
შივდება, იგი პურსა ჭამს, რული რომ მოეკიდება, დაიძინებს. ისიც კი
თქვენსავით შიშველი და უმწეო მოევლინა ამ ქვეყანას*, ბებია ქალის
უდიერი, ტლანქი ხელით და მაინც ფეხს გადგამო თხემზე, 700 000
ადამიანი შეაბა ჭაპანში. საკუთარ მინისტრებს დააკისრა თვის საქმე-
თათვის პასუხისგება. გადასახადების მეშვეობით განაგებს თქვენს ქო-
ნებას, თვითონვე აწესებს სავალდებულო გამოსადების ოდენობას. მის
გარემოცვას შეადგენენ დარბაზის ერნი, დიდგვაროვანი ბატონები და
ქალბატონები. თავიანთ განუზომელ ძალაუფლებას მეკვიდრეობით
გადასცემენ შვილებს, რძლებსა და სიძეებს, ზეკაცთა მოღვაძას.

ჭირი თქვენა, თქვე კერპთაყვანისმცემლებო⁹, — კერპთაყვანისმცემე-
ლთა მსგავსად თქვენ თაყვანსა სცემთ თქვენს დასანთქმელად შემარ-
თულ ნიანგს. სამეფო გვირგვინით უმკობთ მას თავს, ხოლო ეკლის
გვირგვინს უმზადებთ საკუთარ თავს¹⁰. სკიპტრით აღჭურვეთ და მან
თქვენს საგვემ წკებლად შემართა იგი. ტახტზე დააბრძანეთ და თქვე-
ნსა და თქვენი შვილების საწამებელ საკარცხულად აქცია იგი; მთავა-
რი წურბელაა, თქვენს თავზე აღოღებული, მინისტრები — მისი კბი-
ლები, მოხელეები — მისი კუდი. დარბაისელთა გაუმაძლარი კუჭები
ქვეყნის სხეულზე მისგან მოკიდებული კოტოშებია. ასო L მის ბრძა-
ნებულებათა ქვემოთ დასმული სიმბოლოა ცხოველისა,¹¹ რომელსაც
თაყვანს სცემენ ჩვენი დროის კერპთაყვანისმცემლები. მთავრის მანტია
სალიჩაა, საცა აზნაურთა და დარბაზის ერთა ქალ-ვაჟები ზედახორას
გადადიან, ისინი ორდენებით იფარავენ თავიანთ წყლულებს და ძვირ-
ფასი ტანსაცმლით — კეთროვან სხეულს. მდაბიოთა ქალიშვილები მო-
ახლედ და ხასად დაისვენ¹², ვაჟებს ჯარში უკრეს თავი, ან ხელის ბი-
ჭად აქციეს. მოდით, ეწვიეთ დარმშტადტს, ნახეთ და უამბეთ თქვენს
დამშეულ ცოლ-შვილს, როგორ ღრეობენ ბატონები თქვენი ფულით,
რა კონტა ტანსაცმლით იმოსებიან, როგორ შვენით თქვენი დაკოფ-
რილი ხელებით ნაქსოვი ბაფთები, თქვენის ოფლით გაჟღენთილი სა-

მოსი. უამბეთ, რა დიდებულ სასახლეებში ბინადრობენ, თქვენი ძვლებით რომაა აგებული, მერე გაბრუნდით თქვენს ფარლალალა ქოხებში და მუხლჩაუდრეკლად იმუშავეთ თქვენს ქვა-ლორლიან ქარცელებზე, რათა თქვენმა შვილებმა შეიძლონ სეირის საცქერად წასვლა, ოდეს ტახტის მემკვიდრე მეფისწულსა და ტახტის მემკვიდრე მეფის ასულს სხვა მეფისწული ეწვევა სათათბიროდ, იქ შემინულ ქარსში¹³ იხილავთ ბატონებისთვის გაშლილ სუფრას გლეხების ქონით სავსე ლამპებით გაჩახახებულს... და თქვენ კი ყველაფერს ითმენთ, რადგან არამზადები გიმტკიცებენ, რომ ღვთივ მოვლენილია ეს მთავრობა¹⁴. მტკნარი სიცრუეა მთავრობის ღვთივმოვლენილობა. გერმანელი მთავრები უკანონო მმართველები ბრძანდებიან. კანონიერ ხელმწიფეს — გერმანიის იმპერატორს თავის დროზე ხალხი ირჩევდა თავისუფალი არჩევის წესით. მთავრებმა იგი იმთავითვე მოიძულეს და მერე განუდგნენ. გერმანელ მთავართა ხელისუფლება დასაბამითვე ღალატსა და პირუმტკიცობას ემყარება და ამიტომ ღმერთმა დასწყევლა იმათი სიტყვა და საქმე. მათი სიბრძნე მოჩვენებითია, სამართალი — ყაჩაღური. ისინი რყვნიან ქვეყანას, ანადგურებენ პიროვნებას. თქვენ ღმერთს სცოდავთ ხოლმე, როცა მთავარს ღვთის მოციქულს უწოდებთ, — გამოდის თითქოს ღმერთმა უშმაკი მოგვივლინა და მავან კუთხის მთაკრად დაგვისვა. ამ მთავრებმა დააქუცმაცეს გერმანია, საყვარელი სამშობლო ჩვენი, უმუხთლეს თავისუფალ წინაპართა მიერ არჩეულ იმპერატორს და მოღალატენი, ხალხის მტარეალები ახლა თქვენგან ერთგულებას მოითხოვენ! — მაგრამ ამიერიდან ბოლო მოელება ბნელეთის მეუფებას! სრულიად გერმანიასა და მის კუთხეებში, რომელთა სისხლს წოვენ ახლა მთავრები, აღდგება თავისუფალი სახელმწიფო და ხალხი თავად აირჩევს თავის მთავრობას. საღვთო წერილი გვასწავლის — „მიეც კეისარს კეისრისა“¹⁵. ამ თავადებს, მოღალატეთ, რა ერგებათ — ამ იუდას კერძთ?

სამხარეო პარლამენტის დიდ მოხელეებს — 16 000 გულდენი.

1789 წელს მოთმინების ფიალა აევსო საფრანგეთის ხალხს, მას მობეზრდა მეფის ჯაგლაგ-ცხენობა. ხალხი აჯანყდა და მოუხმო ნდობით აღჭურვილ ვაჟკაცებს, იმათაც მოიყარეს თავი და თქვეს, მეფე ისეთივე ადამიანიო, როგორც ყველა დანარჩენი, იგი მხოლოდ პირველი მსახურია სახელმწიფოსი¹⁵, პასუხს აგებს ხალხის წინაშე და თუ იგი თავის მოვალეობას ცუდად აღასრულებს, უნდა დაისაჯოსო. შემდეგ ფრანგებმა აღიარეს ადამიანის უფლებები:¹⁶ „დაბადებითვე არვის ეკუთვნის სხვებზე აღმატებული სამკვიდრო უფლება ან ტიტული, ქონების შეძენასთან ერთად ადამიანს არ გააჩნია უფლება პრივილეგიათა მითვისებისა, უზენაეს ძალაუფლებას წარმოადგენს ყველა ადამიანის, ან ადამიანთა უმრავლესობის ნება-სურვილი. ეს ნება-სურვილი კანონია ხალხის მიერ არჩეულ ორგანოთა და ხალხის წარმომადგენელთა პირით გაცხადებული. წარმომადგენლებს ყველა ირჩევს და ყველას აქვს უფლება იყოს არჩეული. არჩეულნი გამოხატავენ თავიანთ ამომრჩეველთა ნებას, ამიტომ მათი უმრავლესობის გა-

დაწყვეტილება გამოხატავს ნება-სურვილს ხალხის უმრავლესობის. მეფე ვალდებულია იზრუნოს ხალხის მიერ მიღებული კანონების აღსრულებისათვის“. მეფემ ფიცით აღუთქვა მათ კონსტიტუციის ერთგულება¹⁷, მაგრამ მერე გატეხა ფიცი და ხალხმა სიკვდილით დასაჯა იგი, ვით მოლალატე. შემდეგ ფრანგებმა გააუქმეს უფლება საშეფოტახტის მემკვიდრეობით გადაცემისა და აირჩიეს ახალი უფლებანი ხელისუფლება. გონიერება გვიკარნახებს და საღვთო წერილი დასტურებს, რომ ყველა ხალხსა აქვს ამის უფლება. კანონიერების დაცვის განსახორციელებლად ხალხის წარმომადგენელთა კრებამ აირჩია ვაჟკაცები და მათ შექმნეს ახალი ორგანო უმაღლესი ხელისუფლებისა. ასე, ამრიგად, აირჩია ხალხმა მთავრობა და კანონმდებლები და თავისუფალ სახელმწიფოდ გადააქცია საფრანგეთი.

სხვა ხელმწიფეებს თავზარი დასცა ფრანგი ხალხის მიერ ჩადენილმა მიმძლავრებამ, იფიქრეს, ჩვენს შეჭირვებულ ქვეშევრდომებს გამოათხიზლებს ფრანგთა მოწოდება თავისუფლებისაკენ და სიკვდილით დასჯილი პირველი მეფის გვამზე ახლა ჩვენ მოგვატეხინებენ კისერსო. და საფრანგეთისკენ ყოველი მხრით დაიძრა უზარმაზარი, კარგად აღჭურვილი კავალერია, და შემოჭრილ მტერს მიემხრო ადგილობრივ დიდებულთა და აზნაურთა კარგა დიდი ნაწილი. მაშინ აბორგდნენ მდაბიონნი, მთელი ძალით ეკვეთნენ მოლალატეებს და კუდით ქვა ასროლინეს მეფეთა დაქირავებულ მხედრიონს. ახალნერგი თავისუფლება ტირანთა სისხლით საზრდოობდა, მისი შახილი გვირგვინოსანთა ტახტებს აზანზარებდა და მდაბიორებს ფრთებს ასხამდა. მაგრამ ფრანგებმა თავად გასწირეს მოპოვებული თავისუფლება, ნაპოლეონის სახელს და დიდებას ანაცვაალეს, როცა იმპერატორის ტახტზე აიყვანეს იგი. მძლეთამძლე იმპერატორმა რუსული ზამთრის მსხვერპლად აქცია თავისი ლაშქარი, კაზაკთა მათრახებით მოარჯულა საფრანგეთი და ისევ დაანება იგი ღიპიან ბურბონთა დინასტიას, იმისათვის, რომ ეხსნა ქვეყანა მეფეთა მემკვიდრეობითი მეუფებით ქმნილ კერპთაყვანისმცემლობისაგან და იმ ღმერთის რწმენად მოექცია, რომელმაც ადამიანები შექმნა ვით თავისუფალი, თანასწორუფლებიანი არსებანი. მაგრამ როდესაც გაიღია მისი სასჯელის ვადა და მამაცმა ვაჟკაცებმა 1830 წ. ივლისში ტყუილის გუდა, მეფე კარლოს მეათე¹⁸ თავის ქვეყნიდან გააძევეს, მაშინ განთავისუფლებულმა საფრანგეთმა ისევ მიმართა ნახევრად მემკვიდრეობით მმართველობას და ფარისეველ ლუი ფილიპეს მინება საგვემად თავი. გერმანიასა და სრულიად ევროპაში დიდი სიხარულით აღიქვეს მეათე კარლოსის ტახტიდან ჩამოგდება და გერმანიის ჩაგრული სახელმწიფოები აღდგნენ თავისუფლებისათვის საბრძოლველად. მაშინ ხალხის რისხვისაგან თავის გადასარჩენად ბჭობად დასხდნენ გერმანიის მთავრები და მათ შორის ყველაზე ცბიერებმა თქვეს:

— მოდი დავთმობ ნაწილი ჩვენი ძალაუფლებისა!

წარსდგნენ ხალხის წინაშე და უთხრეს:

— ჩვენ გიბოძებთ თავისუფლებას, რის მოპოვებასაც თქვენ ბრძოლით ლამობთ!

და შიშის კანკალით, დამადლებით გადაუყარეს ორიოდ ნამცეცი შეპირებული თავისუფლებისა. ხალხი მათ ენდო სამწუხაროდ და დაშოშმინდა. ამრიგად, მოატყუეს გერმანია, ვით საფრანკეთი.

რის მაქნისია ეს კონსტიტუციები გერმანიაში? იმ ჩალადაც არა ღირან, მთავრებმა რომ მარცვალნი გამოაცალეს და მოეფუძეს.

რის მაქნისია ჩვენი სამხარეო პარლამენტები? არაფერია, თუ არა ტაატით მიმავალი ფორნები, რომელთაც თუმცა ერთი-ორჯერ დაამუხრუჭეს მთავართა და მათი მინისტრების დაუოკებელი მოხვეჭის თინი, მაგრამ მაგათ ამარა ვერასდროს ავაშენებთ მტკიცე ბასტიონს გერმანიის თავისუფლებისა. რას წარმოადგენენ ჩვენი საარჩევნო კანონები? — სხვას არაფერს, თუ არ დარღვევას გერმანელთა უმრავლესობის მოქალაქისა და ადამიანის უფლებებისა. გაიხსენეთ დიდი საპერცოგოს საარჩევნო კანონი, მისი ძალით არ შეიძლება არჩეულ იქნას ადამიანი, თუ იგი დიდი ავლა-დიდების პატრონი არ არის, რაოდენ ზნეკეთილი და ლოიალურიც არ უნდა იყოს იგი, ხოლო გროლმანი და მისნაირი ვაჟბატონები — კი ბატონო, გროლმანი¹⁹, ვინც თქვენ კინალამ წაგგლიჯათ ორი მილიონი. გაიხსენეთ დიდი საპერცოგოს კონსტიტუცია. მისი წყალობით დიდი საპერცოგო მოუწყვლელია, წმინდა და არავის წინაშე აგებს პასუხს, ტახტი მემკვიდრეობით გადაეცემა მის შთამომავალს, როგორც უმალლეს მთავარსარდალს მას აქვს ექსკლუზიური უფლება ომის გამოცხადებისა. იგი თავად შეადგენს პარლამენტს, თუ საჭიროდ ცნობს, შეწყვეტს სესიას, ანდა სულაც დაითხოვს მას. საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს არ გააჩნიათ უფლება კანონპროექტის შეტანისა, მათ უნდა გამოსთხოვონ მთავარს კანონი, ხოლო მთავარმა უნდა კეთილ ინებოს და ან მიიღოს ანდა უარყოს იგი. მის ხელთაა ფაქტიურად შეუზღუდავი ძალაუფლება, ოღონდ პარლამენტის თანხმობის გარეშე იგი ვერ გამოსცემს კანონს და ვერ დააწესებს ახალ გადასახადს. მაგრამ, მთავარი არად დაგიდევს დეპუტატთა თანხმობას, რადგან — მის ხელთაა მთავართა ნებით ნაკარნახევი ძველი კანონები, რითაც იგი იოლას გადის და სულაც არა სჭირდება ახალი კანონები. აბა ამგვარი უბადრუკი კანონები რის მაქნისია, რას უნდა მოველოდეთ ამნაირი კონსტიტუციით შეკოწიწებულ პარლამენტისაგან, არჩეულთა შორის კიდევაც რომ არ ერივნონ ქალაჩუნები და იგი ოდენ ხალხის მამაც მეგობართაგან შედგებოდეს? ერთად ერთხელ გაბედა პარლამენტმა უარი ეთქვა დიდი პერცოგისათვის, როდესაც მან ვალეებში ყელთამდე ჩაფლულ ხალხს თავისი ორმილიონიანი ვალის გადახდა და ახალი სასახლის ასაგებად კიდევ მესამე მილიონი გულდენი მოსთხოვა. მაგრამ გადასახადთა გაუსაძლისი ტვირთის შემსუბუქება და მმართველობის უგვანი ნირის შეცვლა ამგვარ პარლამენტს არ შეუძლია. მთავრის ხელისუფლებამ ვერაფერი გააწყობა და ქალაქის საქმეთა გამგებელთან, მექალთანე დიუ ტილთან, მაგრამ თუ მოინება, პარლამენტს უმალ დაითხოვს. იგი არად დაგიდევს ხალხის არჩევანს და საჯაროდ იწონებს თავს „დიდსულოვნებით პარლამენტთან დამოკიდებულებაში“. თითქოს თვითონ უფალი ღმე-

რთი იყოს და არა გლახაკი, ვისაც არც საკუთარი ვალების გადახდის თავი აქვს და არც თავისი ვაჟიშვილის ჯეროვნად აღკაზმვისა, თუ პარლამენტს ვედრებით არ გამოსთხოვა სახსრები. გამოდის, რომ რიგიან-წესიერმა ადამიანმა თავისი დეპუტატებისაგან უნდა აიტანოს კონსტიტუციური ქირღვა-ქილიკი. დიდი საპერცოგოს პარლამენტს უკმა-რისი უფლებები რომ გააჩნდეს და თავად დიდ საპერცოგოს წევრებს მარიტი კონსტიტუცია, მაშინ თვითნებობას მყისვე ბოლო მოეღებოდა. მტაცებელი ძერაბოტები ვენასა და ბერლინში²⁰ დაგეშილი უციცქირებენ თავის მსხვერპლს და აპირებენ თავისუფლების მცირეოდენ მონაპოვარს გაპკრან თავისი მსახვრალი კლანჭი, რათა ჩანასახშივე მოაშთონ იგი. მთელმა გერმანელმა ხალხმა უნდა მოიპოვოს თავისუფლება. ეს დროც მალე დადგება, ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენი მშვენიერი სამშობლო, გერმანია საუკუნეთა განმავლობაში დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდებულ იმპერიას წარმოადგენდა, ახლა კი ღმერთმა შინაურ და უცხოელ მძარცველთა ხელში ჩააგდო იგი იმიტომ, რომ გერმანელი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ დაშორდა წინაპართა იდეალებსა და ღვთისმოშიშობას, იმიტომ, რომ თქვენ, ვით კერპს, თაყვანსა სცემთ უამრავ პაწია ბატონს, პატარა პერცოგს, თუ ჯუჯა ხელმწიფეს.

უფალმა დაამსხვრია კომბალი უცხო მარეკის²¹, ნაპოლეონისა და ახლა ხალხის ხელით დაღეწავს ჩვენს შინაურ კერპთა ბომონებს. თუმცა ამ ხელისუფალთ მკერდზე უზნინავთ ოქრო და თვალთ პატიოსანი, ორდენები და ჯინჯილები, მათს არსებაში არ კვდება მატლი²² და თიხისგანაა გაკეთებული მათი ფეხები. ღმერთი მოგცემთ ძალას მათი ფეხების დასამსხვრევად, როგორც კი მიხვდებით, რომ თვალთმაქცობაა მათი ფერისცვალება და შეიცნობთ ჭეშმარიტებას: რომ ერთია ღმერთი და არა არიან ღმერთები თვინიერ იმისა და მასთან საერთო არა აქვთ რა თვითმარქვია უდიდებულესობათა და მალაღამატებულეობათ, და რომ უფალმა თავისუფალი და თანაბარი ჰქმნა ყოველი კაცი და თაყვანსაცემად არავითარი ხელისუფლება არ განუწესებია თვინიერ იმგვარისა, ხალხის მტკიცე ნებით რომ არის არჩეული და მისეულ ნდობით აღჭურვილი; რომ თუმც მთავრობას ხელმწიფება აქვს ძეთა კაცისათა, მაგრამ მას არ გააჩნია უფლება მიმძღავრებისა, რაკი იგი ღმერთს განუგია, ისევე, როგორც ღმერთმა განაგო თვით ეშმაკიც და მორჩილება ეშმაკეულ ხელისუფლების მიმართ მანამდე გასტანს, ვიდრე ვიჯმნით ეშმაკის ძალისაგან; რომ ღმერთმა, რომელმაც ხალხს ერთი ენა უბოძა და ერთიან-ჰყო, მძღავრებმა იგი ჰგვემეს, დაძიძგნეს და ოცდაათ ნაწილად დაჰყვეს²³; მათ უფალი ჯერ ამქვეყნად დასჯის და მერე საიქიოს მარადიულ გეენას მისცემს, საღმრთო წერილი აკი ბრძანებს — რაც ღმერთმა გააერთიანა, კაცმა იგი არ უნდა დაჰყოს²⁴; და რომ ყოვლის შემძღემ, ვისაც ძალუძს უდაბნოსაგან ჰქმნას წალკოტი²⁵, გოდების და ტანჯვის ქვეყანა ისეთსავე წალკოტად უნდა გადააქციოს, როგორიც იყო დიდებულნი ჩვენი გერმანია, ვიდრე მთავრებმა არ დაძიძგნეს და დაიყვეს იგი.

რაკი გერმანიის იმპერია მყიფე და დამპალი აღმოჩნდა, გერმა-

ნელები ღმერთს განუდგნენ და უარჰყვეს თავისუფლება, ღმერთმა იგი დაანგრია, რათა შემდგომ ახალქმნას იგი და თავისუფალ სახელმწიფოდ ააღორძინოს. ერთხანს მან გერმანია „სატანისუფალ ანგელოზთა, მთავრობათა, ხელმწიფებათა, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა, ცისქვეშეთის ბოროტ სულთა“ (ეფეს, 6) ხელში ჩააგდო, ვითონი სტანჯავდნენ ხალხს, სისხლს სწოვდნენ, მტკარავდნენ ყოველთ, ვისაც სამართალი და თავისუფლება უფრო მეტად ეთნევა, ვიდრე უსამართლობა და მონობა. მაგრამ უკვე აღივსო მათი მოთმინების ფიალა!

აბა ნახეთ ღვთის პირისაგან გადავარდნილი ურჩხული, ბავარიის მეფე ლუდვიგი, ღვთისმგმობელი, იგი წესიერ ადამიანს თავის პორტრეტის წინაშე დაჩოქებას აიძულებს, ხოლო ვინც სიმართლის თქმას გაბედავს, მას დილეგში გამოამწყვდევს ფიცის გამტეხი მოსამართლის განაჩენით; იტალიაში ეს ღორი მანკიერების ყოველ წუმბეში ამოევლო²⁶; მგელი²⁷, რომელიც ბავარიულ ბაალის დარბაზის ერთათვის²⁸ ფიცის გამტეხ პარლამენტს მიწყვიტ სძალავს ხუთ მილიონს და ეკითხება: — ვითომ შენა ხარ ღვთით მოვლენილი მთავრობა ჩვენი?

„ღმერთი მადლსა გვფენს, შენ კი გვძარცვავ, გვატყავებ, ციხეში გვაღობ, შე უღმერთო, ტირანო, შენა!“

მე გეუბნებით, ყავლი გაუვიდათ მას და მისი მარაქის მთავრებს. ღმერთმა ცოდვების გამო დასაჯა გერმანია და ეს მთავრები მოუვლინა, უფალი ახლა მას შეიწყალებს. „დამიყარონ ბრძოლაში ნარ-ეკალი! გადავთელავ მას და გადავწვავ“ (ესაია, 27,4) როგორც აწ აღარ გაიზრდება კუზი, რითაც ღმერთმა შეამკო მეფე ლუდვიგი, ასევე უნდა დაედოს ზღვარი მის საძრახის საქმიანობას. კმარა, მეტი აღარ ეგების! უფალი დააქცევს მის გოროზ ციხე-დარბაზებს, გერმანია გამოცოცხლდება, მოიკრებს ძალას და ხელახლა ეზიარება თავისუფლებას და კეთილდღეობას. გერმანიის მიწა მთავრებმა უზარმაზარ ძვალთ შესაღაგად გადააქციეს, იმდაგვარად, როგორსაც ეზეკიელი აგვიწერს ოცდამეჩვიდმეტე თავში: „გამიყვანა უფალმა და დამსვა შუაგულ ველზე, რომელიც ძვლებით იყო სავსე და ძვლები ძალზე გამხმარი იყო“. მაგრამ აი, რა ბრძანა უფალმა გამხმარი ძვლების თაობაზე: „მოგცემთ ძარღვებს, შეგასხამთ ხორცს და კანს გადაგაკრავთ, სულს ჩაგიდგამთ და გაცოცხლდებით; მაშინ მიხვდებით, რომ უფალი ვარ“. და უფლის სიტყვა გერმანიასაც ჭეშმარიტად აუხდება! წინასწარმეტყველი ამბობს: „გაისმა ხმა და აჰა, შეიქმნა ზანზარი და ძვალი ძვალს მიედგა, შევიდა მათში სული და გაცოცხლდნენ; და წამოდგა ფეხზე დიდძალი ლაშქარი!“

ასეთია საქმეთა ვითარება გერმანიაში. თქვენნი ნაკვთები გამომშრალია, რადგან აშკარა ძარცვა-გლეჯის წყობაში ცხოვრობთ. დიდ საპერცოგოში თქვენ ექვს მილიონს უხდით ერთ მუჭა ხალხს, ვის თვითნებობას მიანებებს თქვენი სიცოცხლეცა და ქონებაც, იმავე დღეში ჩაჰყარეს სხვა თქვენი თანამოქმენი დაქუცმაცებულ გერმანიაში. თქვენ არაფრად გთვლიან, არც არა გაბადიან, არც უფლებები გაგაჩნიათ. გაიძულებენ გაუმაძღარ გამომძალველებს დაანებოთ თქვენი ნაშრომი,

მათ ჭაპანში თავშერგულებმა. ტირანთა მზერა საცა სწვდება — გერმანიაში მათი რიცხვი ოცდათოთხმეტია — იქ ჭკნება ყოველი, ყანაც და კაციც. გერმანიაში ახდება წინასწარმეტყველის სიტყვები დადგება ჟამი აღდგომისა და აღიძვრის ველი, გვაშებით მოფენილი, გუგუნდება და დიდი იქნება მკვდრეთით ახალ აღმდგართა ლაშქარი. მაშინ ჰესენის მოქალაქე ვით ძმა-ძმას ხელს გაუწვდის ტიურინგენს, რაინლანდელი — შვაბს, ვესტფალიელი — საქსონელს, ტიროლელი — ბავარიელს. დიდი სამშობლოს, გერმანიის უკეთესთაგან უკეთესი ვაჟები, თანამოძმეთა თავისუფალი არჩევანით დარჩეულები, თავს მოიყრიან დიდ საიმპერიო, თუ სახალხო ყრილობაზე, იქ, საცა ამჟამად ბაბილონის კახპა²⁹, ფედერალური საკრებულო, 34 კერპის ნება-სურვილით აბუჩად იგდებს სამართალსა და ჭეშმარიტებას; თავს მოიყრიან რჩეულნი, რათა ქრისტიანულად მართონ ძმები. მაშინ 34 კერპის თვითნებობის ადგილს ჩვენს მშობლიურ გერმანიაში დაიჭერს საყოველთაო ნება, კერპთაყვანისმცემელთა ხროვის ეგოიზმს შეცვლის საყოველთაო კეთილდღეობა. მაშინ ბიურგერები და გლეხები კისრიდან უღელს მოიცილებენ და საჯაროდ გაასამართლებენ დიდ ქურდებს, მთავრისა და მეფის ტახტის მპყრობელთ და მათ მთავრობებს და უფრო პატარებსაც მიაყოლებენ, ვიეთნი გადატრიალების ჟამს ძმათა ქონებით გამდიდრებას დააპირებენ. მაშინ სამშობლოში დაბრუნდებიან უდანაშაულოდ განდევნილები და უდანაშაულოდ მსჯავრდებულთათვის გაიდება ციხის კარები. მაშინ თავისუფლების მაღლით აყვავდება მეცნიერება და ხელოვნება, აღორძინდება მიწათმოქმედება და ხელოსნობა, შეიქმნება ჭეშმარიტად საერთო გერმანული არმია, სადაც ღირსების საფესურებზე კაცს აღამაღლებს ვაჟკაცობა და არა თანშობილი პრივილეგია, ბრმა მორჩილება და ძალღური ერთგულება.

ალაპყრეთ თვალნი და დათვალეთ ხროვა თქვენი გამომძალველებისა, თქვენს ძარღვთაგან გამოწოვილი სისხლით ნაკვები, თქვენი მარჯვენის გარჯით განძლიერებული. მათი რიცხვი დიდ საპერცოგოში ალბათ 10 000-მდეა, თქვენ კი 700 000 ხართ. ასეთივეა ხალხისა და მის მჩაგვრელთა თანაფარდობა დანარჩენს გერმანიაში. თუმცა ისინი მეფის ლანდსკნესტებითა³⁰ და ზარბაზნებით გვემუქრებიან, მე მაინც გეტყვით, ვინც ხალხის წინააღმდეგ აღმართავს მახვილს, ხალხის მახვილითვე დაიღუპება. ამჟამინდელი ვერმანია, გვაშებით მოფენილი ველი, მალე სამოთხედ გადაიქცევა. გერმანელი ხალხი ერთ სხეულს წარმოადგენს, თქვენ ნაკვთები ხართ ამ სხეულისა. მკვდარი კი არა, მიძინებულია სხეული იგი და სულ ერთია, თავდაპირველად მისი რომელი ნაკვთი გატოკდება. ოდეს უფალი იმ ვაჟკაცის მეოხებით, ვინც ხალხები მონობიდან უნდა დაიხსნას, მოვივლენთ ნიშანს, მაშინ აღსდევით და თქვენთან ერთად აღსდგება მთელი სხეული.

თქვენ დიდი ხანია წელს იწყვეტთ მონობის ნარ-ეკლიან ველზე; ხოლო მერმისს თავისუფლების ვენახებში დაღვრით ოფლს და თავისუფალი იქნებით მეათასე თაობამდე.

თქვენ მთელი სიცოცხლე მიწას ერკინებით, ხოლო მერმისს საფ-

ლავს გაუთხრით თქვენს ტირანებს. თქვენ აშენებდით ციხე-დარბაზებს, ხოლო მერმისს თქვენ დააქცევთ მათ და ტაძარს აუგებთ თავისუფლებას. მერმისს თქვენ თავისუფლად დანათლავთ შვილებს სიცოცხლის წყალში³¹ და ვიდრე უფალი თვის მოციქულთა და ნიშანთა მეოხებით თვისთან მიგიხმობთ, იფხიზლეთ და განიმტკიცეთ სული, ილოცეთ თავად და ასწავლეთ ლოცვა თქვენს შვილებს: „*წმინდა სული, დალეწე უღელი კირთებისა, მოვედინ სუფევა შენს, წმინდა სიმაართლისა, ამინ!*“³²

შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

1 დანდ აქ ნიშნავს მხარეს, მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს, აგრეთვე სოფელს. ბიუზნერი და მისი თანაავტორი ვაიდინგი ორთავე მნიშვნელობით ხმარობენ ამ სიტყვას. პროკლამაცია მიმართავს გლეხობას, ქვესენის მხარის სოფლის მოსახლეობას.

2 მშვიდობა ებრძვის, ომი სასახლეებს—საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი დოზუნგი. ეს ფრთიანი გამოთქმა გადმოვემის თანახმად ეკუთვნის ფრანგ მწერად ნიკოლა შამფორს (1741-1794).

3 შდრ. ბიბლია, 1 მოსე, 20-28.

4 ეს სამართალი თქვენს დასათრგუნად და გასატყავებლად მოხმობილი საშუალებაა — ბიუზნერის შემოქმედების მკვლევარის, თომას მაიერის აზრით აქ შეინიშნება ფრანგი უტოპისტ-სოციალისტების, სენ-სიმონისა და ბაბუფის იდეების გავლენა; კანონი, თანახმად მათი თეორიისა, მუდამ ესადაგება მის შემდგენელთა, მაშასადამე საზოგადოების პრივილეგირებული, მდიდარი ფენების ინტერესებს.

5. როკენბერგში რომ ძალით წაათრიეს — ზემო ქვესენის სოფელ როკენბერგში მდებარეობდა სამხარეო საპატიმრო.

6 მამინი — (ბერძნულ-არამეული: სიმდიდრე) აქ: ირონიული სახედდება არაწესიერი გზით მოხვეჭილი ქონებისა.

7 სოფელ ზიოდელში დატრიალებული უბედურება — ზემო ქვესენის გლეხთა 1830 წ. მღვდვარების დროს მოხდა ტრაგიკული გაუგებრობა, მთავრობის ჯარისკაცთა ჯგუფმა აჯანყებულებად მიიჩნია მშვიდობიანი თავყრილობის მონაწილე გლეხები და ცეცხლი გაუხსნა მათ; მამინ დაიჭრა და დაიხოცა რამოდენიმე ადამიანი.

8 შიშვედი და უმწეო მოვედინა ამ ქვეყანას — შდრ. ბიბლია, „მე შიშვედი გამოვედ მუცლისაგან

დედისა ჩემისა, შიშვედივე მივიქცე მუნვე ქვეყნად“ (იოხი 1, 21).

9 თქვე კერპთაყვანისმცემლებო! — შდრ. ახალი აღთქმა: „რადგან იცით, რომ არც შეძავს, არც უწმინდურსა თუ ანგარს, რომელიც არის კერპთმსახური, არა აქვს სამკვიდრო ქრისტესა და ღმერთის სასუფევედში“ (პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 5, 5).

10 ეკლის გვირგვინს უმზადებთ საკუთარ თავს — შდრ. ახალი აღთქმა: „და შეთხზეს გვირგვინი ეკადთაგან და დაადგეს თავს მისსა...“ (მათე 27, 29).

11 სიმბოლო ცხოველისა, — შდრ. ახალი აღთქმა: „და მოიწყდენ სასტიკი და საზარელი წყაღებით კაცნი, რომელთ ჰქონდათ მტყვის ნიშანი...“ (გამოცხადება 16, 2). მოვემუდი ნიშან-სიმბოლოთი დალდასმულია ანტიქრისტი.

12 მღაბიოთა ქალიშვილები ხასად დაისვენა — შდრ. ბიბლია: „ასუდთაგანი ისრაელისთაი ნუ იქმნებიან როსკობ და ნუცა იპოლებიან მამაკაცი მეძავ ძეთაგანი ისრაელისთაი“. 5 მოსე 23, 17.

13 ლეთივ მოვედნიდია ეს მთავრობა — შდრ. ახალი აღთქმა: „არ არსებობს ხედმწიფება, თუ არ ღმერთისაგან“ (პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ 13, 1).

14 მიეც კვისარს კვისრისა — შდრ. ახალი აღთქმა: „მიეცით კვისრისაი კვისარსა და ღმერთისაი ღმერთსა“. მათე 22, 21).

15 პირველი მსახური სახედმწიფოსი — პრუსიის მუფე ფრიდრიხ მეორის (1712—1786) გამონათქვამი. იუნკერულ მიდიტარიზმზე აგებული საგარეო პოლიტიკის გადაწყვიდე, ფრიდრიხი აწარმოებდა ომებს მეზობელ სახედმწიფოებთან. იმდროინდელი კარის არისტოკრატია ფრანგულ ენაზე საუბრობდა, ფრიდრიხიც, თავგადაკვლილ ფრანკოფილი, ზემოაღნიშნულ გამოთქმას ფრანგულად წარმოთქვამდა ხოდმე.

ალექსანდრ გლოკი



ქართული
წიგლისათვის

თარგმნა ნანა ახობაძემ

„შეუძლია თუ არა ინტელიგენციას, ითანამშრომლოს ბოლშევიკებთან?“

შეუძლია თუ არა ინტელიგენციას, ითანამშრომლოს ბოლშევიკებთან? — რასაკვირველია, შეუძლია და ვალდებულიც არის ასე მოიქცეს.

ამ თემას უახლოეს დღეებში მივუძღვნი ფელეტონების სერიას საერთო სათაურით: „რუსეთი და ინტელიგენცია“.

მე თავს ვერ ჩავთვლი პოლიტიკის მცოდნედ და ვერც გავბედავ ვისაუბრო თანხმობის ტაქტიკაზე ინტელიგენციასა და ბოლშევიკებს შორის, მაგრამ შინაგანი სმა მკარნახობს, რომ ეს იქნება მუსიკალური თანხმობა.

ერთი და იგივე მუსიკა სმიანებს ინტელიგენციაშიც და ბოლშევიკებშიც და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ეს პიროვნება.

თავისი არსით ინტელიგენცია ყოველთვის რევოლუციური იყო. ბოლშევიკთა დეკრეტები — წმინდად ინტელიგენციის სიმბოლოები. მათგან გადმოსროლილი ლოზუნგები ხელახლა დამუშავებას საჭიროებენ. განა მოწინავე ინტელიგენციის სიმბოლო არ არის უფლის მიწა... მართალია, ბოლშევიკები არ წარმოთქვამენ სიტყვა „უფალს“, ისინი უფრო ხშირად ილანძლებიან, მაგრამ სიმღერიდან სიტყვას ხომ ვერ ამოავდებ?

ინტელიგენციის გაღიზიანება ბოლშევიკების მიმართ ზედაპირულია და, როგორცა სჩანს, უკვე ცხრება. კაცი ფიქრობს სხვაგვარად, ვიდრე ამას გამოთქვამს, მერე კი დგება შერიგების, მუსიკალური შერიგების უამი.

14 იანვარი, 1918 წელი.

ინტელიგენცია და რევოლუცია

ყოველი მხრიდან მესმის, — „რუსეთი იღუპება“, „რუსეთი აღარ არსებობს“, „მარადიული ხსოვნა რუსეთს!“

მაგრამ ჩემ თვალწინ დგას ის რუსეთი, შიშისმომგვრელ და წინასწარმეტყველურ სიზმრებში რომ

ხედავდნენ ჩვენი დიდი მწერლები, — თვალწინ მიდგას პეტერბურგი, რომელიც დოსტოევსკიმ იხილა, და ის რუსეთი, გოგოლმა გაჭენებულ სამცხენა ეტლს რომ შეადარა.

რუსეთი ქარიშხალია. „ქარიშხ-

ლით გაბოჭილი დემოკრატია მო-
დისო“, — ამბობს კარლეილი.

ტკივილი, დამცირება, დანაწევრე-
ბა, — ასეთია რუსეთის ხვედრი; მა-
გრამ იგი დააღწევს თავს ამ დამამ-
ცირებელ ყოფას, დააღწევს და ჩვენ
წინაშე წამოიმართება ახალი და ახ-
ლებურად — დიადი რუსეთი.

ფიქრებისა და წინათგონობების
ნაკადში, რომელთაც ათი წლის წი-
ნათ მოიცვეს ჩემი არსება, იყო
სევდა, ნალველი, თავზარდამცემი
შიში, მონანიება და იმედი. და ყვე-
ლაფერი ერთად ჩემთვის იყო რუ-
სეთი.

ეს იყო დრო, როცა მეფის ხელი-
სუფლებამ კიდევ ერთხელ, ამჯე-
რად უკანასკნელად, მიაღწია სა-
წადელს: ვიტემ და დურნოვომ შე-
ძლეს და თოკი ჩააბეს რევოლუ-
ციას. სტოლიპინმა ის თოკი მძლა-
ვრად დაიხვია ნერვულ, მემამულურ
მარჯვენაზე, მაგრამ მარჯვენა თან-
დათან სუსტდებოდა, ხოლო როცა
ეს მემამულეც მიიცვალა, ხელისუ-
ფლებას, ერთი მეტად წარჩინებუ-
ლი ადამიანის თქმით, „დაქირავე-
ბულნი“ მიეპატრონენ; მაშინ კი
გაცვდა საბოლოოდ ის თოკი და მა-
ლე გაწყდა კიდევ.

ყველაფერი სულ რამდენიმე წე-
ლი გაგრძელდა, მაგრამ ეს რამდე-
ნიმე წელი გაჭიანურებულ, უძი-
ლო და მოჩვენებებით სავსე ღამე-
სავით დააწვა მხრებს.

რასპუტინი ყველაფერია; რასპუ-
ტინი ყველგანაა; არიან აზეფები,
მხილებულნი და მიმალვაში მყოფნი;
და, ბოლოს, არის ევროპული ხოც-
ვა-ჟლეტის წლები. წამიერად გეჩ-
ვენება, რომ ხოცვა-ჟლეტა გაასუფ-
თავებს ჰაერს. დიას, ასე გვეგონა
ჩვენ, მეტისმეტად მგრძნობიარე
ადამიანებს, მაგრამ სინამდვილეში
ეს წლები გამოდგა შესაფერისი გვი-
რგვინი იმ სიცრუის, ჭუჭყისა და

სიმყრალისა, რაშიც აცურდა ჩვე-
ნი სამშობლო.

რა არის ომი?

ირგვლივ ჭაობებია, ბალახგადავ-
ლილი, ან თოვლით გადაფარული
ჭაობები. დასავლეთით გერმანული
პროექტორი ღამიდან ღამეში
ულიამოდ აფათურებს ხელებს.
მზიან ამინდში გამოჩნდება გერმა-
ნული ფოკერი და ჯიუტად სერავს
ერთსა და იმავე ადგილს — თით-
ქოს ცაშიც შეიძლებოდა ბილიკის
გატკეპნა და გაჭუჭყიანება. ფოკე-
რის გარშემო ირევა თეთრი, ნაც-
რისფერი ან მოწითალო კვამლის
ბურუსი (ეს ჩვენ ვუმიზნებთ და ვე-
სვრით, თუმცა უშედეგოდ, მიზანში
ვერ ვახვედრებთ; გერმანელებიც
გვიმიზნებენ, ისინიც უშედეგოდ).
ფოკერს რცხვენია, ყოყმანობს, თუ-
მცა ცდილობს არ ასცდეს ჭუჭყიან
ბილიკს. ზოგჯერ ისე ოსტატურად
ჩამოაგდებს ბომბს, ადვილი მისა-
ხვედრია, რომ წერტილი, რომელ-
საც უმიზნებს, ათეულობით ხელის
მიერ საგულდაგულოდაა ამოკაწ-
რული რუკაზე გერმანულ შტაბში.
ბომბი ხან სასაფლაოს ეცემა, ხანაც
პირუტყვის ფარას, ხან ადამიანებ-
საც, მაგრამ უფრო ხშირად ჭაობში
ვარდება — ასე იმარხება საბრალო
ადამიანთა დაგვით მოწეული ათა-
სები.

ყველაფერ ამას თვალს ადევნე-
ბენ ნალველისა თუ უსაქმურობისა-
გან გულდაწურული ადამიანები.
მათ მოასწრეს და აქ გადმოიტანეს
ომამდელ სადგომთა ყველა საზი-
ზღრობა: ღალატი, ბანქო, ლოთო-
ბა, გაწევ-გამოწევა, ჭორები.

ევროპა შეიშალა. კაცობრიობის
საუკეთესო ნაწილი, ინტელიგენ-
ცია, წლობით ზის ჭაობში, —
თავს აფარებს, — ზის რწმენით
აღსავსე (განა ეს სიმბოლური

არ არის?) ფრონტად წოდებულ ათასკილომეტრიან ვიწრო ხაზზე.

ხალხი პატარაა, დედამიწა უზარმაზარი. სიცრუეა, თითქოს მსოფლიო ომი ასე შესამჩნევი იყოს: რადგან სავსებით საკმარისია მიწის მომცრო ნაგლეჯიც, თუნდაც ტყის პირი, ან პატარა მდელო ასობით ადამიანისა და ცხენის გვამების დასაფლავად. მაინც რამდენი ეტევა ციციქნა ორმოში, რომელსაც თვალის დახამსამებისთანავე გადაუვლის ბალახი ან დაფარავს თოვლი! აი, ერთ-ერთი ხელშესახები მიზეზი იმისა, რომ „დიადი ევროპული ომი“ ასე უბადრუკია.

ძნელი სათქმელია, რა უფრო გულსამრევიანია: ის სისხლისღვრა თუ ის უქმად გდება, ის მოწყენილობა თუ ის უხამსობანი; ერთი სახელი აქვს ყველაფერს — „დიადი ომი“, „სამამულო ომი“, „ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ომი“, და ასე შემდგომ. მაგრამ არა. ამ ლოზუნგებით დღეს ვერავის გაათავისუფლებ.

სიბინძურისა და უხამსობის, გაპარტახებისა და გაუკაცრიელების ამ უღელქვეშ, ამ გასაგიჟებელი მოწყენილობისა და უაზრო უქმადგდების უღელქვეშ ადამიანები თანდათან დაცილდნენ ერთმანეთს, დაიფანტნენ, მიჩუმდნენ და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ. თითქოს ხუფის ქვეშ ჩასხდნენ, საიდანაც ნელ-ნელა ამოიტუმბა პაერი. აი, სინამდვილეში როდის გატლანქდა კაცობრიობა, კერძოდ, რუსი პატრიოტები.

თანდათან მისუსტდა, მიწყდა და მიწის სიღრმეში ჩაიკარგა წინათ-გრძნობათა ნიაღვარიც, ზოგიერთ ჩვენგანზე რომ გადაივლიდა ხმაურით ორი რევოლუციის ეპოქაში. ვფიქრობ, მართლმე არ განმიცდია

ავადმყოფობისა და კაეშნის შეგრძნება 1909-1916 წლებში. ახლა, როცა თვით ევროპის პაერიც კი შეცვალა რუსეთის რევოლუციამ, თებერვლის დღეების „უსისხლო იდილით“ რომ დაწყობილ და შეუჩერებლად და მთელი სისასტიკით განვითარდა, ხანდახან მგონია, თითქოს არც ყოფილიყოს გუმინდელი წლები, ასე ძველი და ასე შორეული; ნიაღვარი კი, მიწის სიღრმეში ჩაწრეტილი და უხმაუროდ შერთული უფსკრულსა და წყვდიადს, — ხელახლა ახმთანდა და მის ხმაურში კვლავაც მკვეთრად გაისმა ახალი მუსიკა.

ჩვენ გვიყვარდა ეს დისონანსები, ეს ღრიალი, ეს ჩხარუნ-წყრიალი და უცაბედი გადასვლები... ორკესტრში. მაგრამ თუ მართლა გვიყვარდა ყოველივე ეს და თუ ჩვენს ძარღვებს მხოლოდ მოსაჩვენებლად არ ვულიტინებდით ნასადილევს ხალხით გადაჭედებულ თეატრალურ დარბაზებში, მაშინ ახლაც უნდა ვისმინოთ და გვიყვარდეს იგივე ხმები, ახლაც, როცა ისინი ამჯერად უკვე მსოფლიო ორკესტრიდან მოფრინავენ, და როცა მოვუსმენთ, უნდა გავიგოთ, უნდა მივხედეთ, რომ ისინი ძველებური ხმები და იმავეზე ღრიალებენ და წკრიალულარუნობენ, რაზედაც წინათ.

მუსიკა ხომ გართობა არაა. გაიძვერაა ის, ვინაც ფიქრობდა, მუსიკა გართობააო, — ჰოდა, თუ ასე ფიქრობ, მაშინ მიდი და მოიქეცი იმ გაიძვერასავით: აცახცახდი, ათროლოდი, აკანკალდი, იცოცე, იხოხე, გადაარჩინე შენი ავლა-დიდება!

ჩვენ, რუსები, ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, რომელსაც თავისი მასშტაბით გააჩნია ანალოგი. გავიხსენოთ ტიუტჩევის სიტყვები:

«Блажен, кто посетил сей мир
В его минуты роковые,
Его призвали всеблагие
Как собеседники на пир,
Он их высоких зрелищ зритель...»¹

არ არის მხატვრის საქმე — თვალი ადევნოს ჩანაფიქრის ხორცშესხმას, საერთოდაც, იწუხოს იმაზე, აღსრულდება თუ არა ჩანაფიქრი. ყოველგვარი ყოფითი, ყოველდღიური და სწრაფწარმავალი მას შემდგომ აისახება მხატვრის მიერ, როდესაც იგი ცხოვრების ქურაში გადაიხარშება. ვინც გადარჩება, ვისაც ვერ «изамнет с налету вихорь шумный», ურიცხვი სულიერი საგანძურის მფლობელი აღმოჩნდება. ამ საგანძურის დაუფლების ძალა შესწევს, ვთქვათ, მხოლოდ პუშკინის არიონის მსგავს ახალ გენიოსს, რომელიც „ძველებური ჰიმნების“ ღიღინით „სალიკლდეების ძირში“, „ნაპირზე ტალღების მიერ გამორიყული“, „მზეზე შეიშრობს თავის სველ სამოსს“.

მხატვრის საქმე, მხატვრის მოვალეობაა, დაინახოს ის, რაც ჩანაფიქრშია, მოისმინოს ის მუსიკა, რომელიც „ქარით დაფხრეწილ ჰაერში“ გრიალებს.

მაინც რა არის ეს ჩანაფიქრი?

— გადაკეთება ყოველი ივესი, მოწყობა იმგვარად, რომ ყოველივე გახდეს ახლებური, რათა ჩვენი ცრუ, ბინძური, მოსაწყენი და უხამსი ყოფა გადაიქცეს სამართლიან, უმწიკვლო, ხალისიან და მშვენიერ სიცოცხლედ.

როდესაც ასეთია ჩანაფიქრი, კაცობრიობის, ერის სულში თავშეფარებული სიძველენი გამოარღვევენ შემბორკველ ხუნდებს და,

ბობოქარ ნიაღვრად გადმოშვებულნი, დაქანდებიან, კაშხალს გაგლეჯენ, ნაპირზე გამორიყულ ნაგლეჯებს მოედებიან. ამას ეწოდება რევოლუცია და უფრო დაბალი საფეხური იწოდება ამბოხებად, ჯანყად, გადატრიალებად. ეს კი რევოლუციაა.

რევოლუცია ჰგავს ბუნებას და, ვაი მას, ვინც მხოლოდ საკუთარი ოცნებების აღსრულებად მიიჩნევს რევოლუციას, თუნდაც მეტად ამბლებულნი და კეთილშობილურნი იყვნენ ეს ოცნებები. რევოლუცია საავდრო გრიგალია, თოვლის ქარბუქია და ყოველთვის თან მოაქვს ახალი და მოულოდნელი; სასტიკად აწბილებს ძალიან ბევრს; იოლად ასახიჩრებს თავის მორევში მოქცეულ ღირსეულთ და ხშირად უვნებლად გამორიყავს ხმელეთზე უღირსთ; მაგრამ ეს მხოლოდ მისი ნაწილია და ვერ შეცვლის ნიაღვრის ძირითად მიმართულებას, ვერც იმ მრისხანე და გამაყრუებელ გუგუნს ჩაახშობს, ნიაღვარი რომ გამოსცემს. ეს გუგუნი ყოველთვის დიადზე მეტყველებს.

რუსეთის რევოლუციის გაქანება, რომელიც ესწრაფვის მოიცვას მთელი მსოფლიო (ჭეშმარიტი რევოლუცია ამაზე ნაკლებს ვერც ისურვებს, ხოლო აღსრულდება თუ არა ეს მისწრაფება, — ამას ჩვენ ვერ გამოვიცნობთ), ასეთია: იგი შეჰფოფინებს იმედს, აღმართოს მსოფლიო ციკლონი, თოვლის ნამქერით დაფარულ ქვეყნებში თბილსიოდ რომ დაუბერავს და ფორთოხლის კორომის სასიამოვნო ნაზსურნელს მოიტანს; მზით გადაბუგულ სამხრეთის სტეპებს კი ჩრდილოეთის მაცოცხლებელი წვიმით დანამავს.

1. არაშუსტი ციტატა ტიუტჩევის „ციცერონიდან“.

„ხალხთა მშვიდობა და ძმობა“, — ამ ნიშნით მიმდინარეობს რუსეთის რევოლუცია. აი, რას ღრიალებს მისი ნიაღვარი. აი, მუსიკა, რომელიც, თუ ყური გაქვს, უნდა გაიგონო. რუს მხატვრებს საკმარისი წინათგონობისა და წინასწარმეტყველების“ ნიჭი ჰქონდათ, რომ რუსეთისაგან ამგვარი მისიის აღსრულების მოლოდინი ჰქონოდათ. მათ არ ეეჭვებოდათ, რომ რუსეთი დიდი ხომალდია, რომლის ხვედრიც დიდ წყალში გასვლაა. ხალხის სულის მსგავსად, იმ ხალხის სულისა, მათ რომ ასაზრდოებდათ, არც ისინი გამორჩეოდნენ მომჭირნეობით, ზომიერებითა და აკურატულობით. „ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დალუპვა მოეღობა“, მათთვის „ენით უთქმელ ტკბობას“ მალავდა (პუშკინი, „ლხინი ჟამიანობის დროს“). არასახარბიელო მდგომარეობის განცდა, ხვალისდელი დღისადმი უიმედობა გამუდმებით სდევდა თან მათს ცხოვრებას. როგორც ხალხისთვის, მათთვისაც იმედის ყველაზე უღრმეს შრეებში იყო ყველაფერი ან და არაფერი. იცოდნენ, რომ მხოლოდ მშვენიერზე ფიქრი იყო ღირებული, თუმცა „მშვენიერი ძნელია“, როგორც პლატონი ამბობს.

დიდი რუსი მხატვრები — პუშკინი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი — იძირებოდნენ წყვილიადში, მაგრამ მათ იმის ძალაც შესწევდათ, გაეძლოთ და დამალულიყვნენ წყვილიადში, რამეთუ სწამდათ არსებობა ნათელისა, იცნობდნენ ნათელს და ყოველი მათგანი, როგორც მთელი ერი, მათ რომ დაატარებდა გულით, წყვილიადში უხრჭიანობდა კბილებს სასოწარკვეთას, ხშირად — სიავეს, თუმცა უწყოდნენ ისიც, რომ ადრე თუ გვიან

ყველაფერი იქნება სხვაგვარად, ახლებურად, სასიკეთოდ, რამეთუ ცხოვრება მშვენიერია.

ცხოვრება მშვენიერი. რა საბრალოა ის ხალხი, რომლის ადამიანი, რომელმაც შინაგანად ყველაფრის იმედი დაჰკარგა და ცოცხლობს მხოლოდ „მოწყალების“, „შებრალების“ მოლოდინით? როცა ფიქრობს, რომ სიცოცხლე „არც განსაკუთრებულად ცუდია, მაგრამ არც ძალიან კარგია“, რადგან ყველაფერი „თავისი გზით“: ...ევოლუციის გზით მიდის“. ადამიანები კი იმ ზომამდე ცუდები და არასრულყოფილები არიან, რომ, — ღმერთმა მისცეთ და, მხოლოდ იმას ესწრაფვიან, რის ვაი-ვაგლახით გალიონ ეს წუთისოფელი, როგორმე შეკოწიწდნენ საზოგადოებებად, ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოებად, გაემიჯნონ ერთმანეთს ოდენ უფლებებისა და მოვალეობების, პირობითი კანონების, პირობითი ურთიერთობების კედლით...

ასე ფიქრი მიუღებელია; ხოლო თუ ვინმე მაინც ასე ფიქრობს, მათი სიცოცხლე გროშიც არა ღირს. სიკვდილი ადვილია: შეიძლება მოკვდე უმტკივნეულოდ; დღეს, როგორც არასდროს, რუსეთში შესაძლებელია მოკვდე მღვდლის გარეშე; შეც; ხუცესს არ ეწყინება, ზიარების ქრთამს თუ მივართმევთ.

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ფასობს, თუ მას განუზომელ მოთხოვნებს წაუყენებ: ყველაფერი ანდა არაფერი; ელოდო მოულოდნელს, გწამდეს „ის კი არა, რაც არ არსებობს ამქვეყნად“¹ არამედ უსათუოდ ის, რაც უნდა იყოს, თუნდაც დღეს ან დიდხანს არ იყოს, მაგრამ ცხოვრე-

1. ზ. გიპიუსი — „სიმღერა“.

მა მაინც გვიბოძებს მას, რამეთუ იგი მშვენიერია.

მომაკვდინებელ დაქანცულობას ენაცვლება ცხოველური სიმხნევე. ღრმა ძილის შემდეგ იშვებიან ცინცხალი, ძილით პირდაბანილი აზრები; დღის სინათლეზე ისინი შესაძლოა სულელური მოგვეჩვენოს. ტყუის დღის სინათლე.

შენ უნდა იგრძნო, მიხვდე, საიდან მოედინებიან ასეთი აზრები, სწორედ ახლა უნდა მიხვდე, რომ რუსი ხალხი, ივანუშკა სულელის მსგავსად, ახლავს გადმოფრინდა საწოლიდან, და მის აზრებში, — როგორც უფროსი ძმები ფიქრობენ, — არა მტრულ, არამედ სულელურ აზრებში, — ფეთქავს დიადი შემოქმედებითი ძალა.

რატომ „სადამფუძნებლო?“ (სხვათა შორის ეს არც ისე საწყენია. გლახებსაც ხომ აქვთ ჩვეულებრივი „სამომხმარებლო“?) — იმიტომ რომ, თვითონ დაუნერგეთ „საარჩევნო აგიტაციები“, თვითონ ვასამართლებდით ჩინოვნიკებს ამ აგიტაციების „ბოროტად გამოყენებისა“ გამო; იმიტომ, რომ დღეს ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნებსაც კი (ამერიკას, საფრანგეთს) ყელში გაეჩხირათ საარჩევნო მახინაციები თუ საარჩევნო მექრთამეობა.

იმიტომ რომ, თავად მე (რატომ-ღაც სულელურად) სულ მწადია ყველაფერი „გავაკონტროლო“, თვითონ ყველაფერი მწადია, მაგრამ არ მწადია „წარმადგენდნენ“ (აი, აქაა დამალული დიდი სასიცოცხლო ძალა: დიახ, ძალა ურწმუნო თომასი); კიდევ იმიტომ, რომ ერთ დღესაც იქნება და სვეტებიან დარბაზში წამოდგება ერთობ წარჩინებული პირი და მგრგვინავი ხმით გვაუწყებს: „კანონპროექტი ესა და ეს ოცდამეცხრამეტე მოსმენის შემდეგ უარყოფილია“; აი, ამ მგრგვინავ ხმაში

ბუდობს „ორგანიზებული საზოგადოებრიობის“ ისეთი უაზრო, ისეთი შემზარავი ძილი, იმგვარად მქუხარე მთქნარება, სახელდაუბრუნებელი შიში და თავზარდაცემა, რომ ისევ და ისევ მომეტებულაფსნიზელნი და მომეტებულაფსნიკალურნი (რუსები, თრანგები, გერმანელები — ყველანი ერთნაირად) ჩაეფლობიან „ინდივიდუალიზმში“, „გაექცევიან საზოგადოებას“ და მიაშურებენ უკუნი და მიუსაფარი ღამის წყვილადს. და, ბოლოს, იმიტომ რომ, მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორ აირჩია, ვინ აირჩია და რა გზა აირჩია დღევანდელმა გაუნათლებელმა რუსეთმა, რომელსაც ვერა და ვერ შეასმენ, რომ დამფუძნებელი კრება მეფე არ არის.

რატომ გავიძახით — „ძირს სასამართლო“? იმიტომ რომ, არის ტომები „სჯულისდებისა“ და ტომები „განმარტებებისა“, იმიტომ რომ მოსამართლე-ბატონი და „აბლაკატი“-ბატონი ურთიერთშორის დავობენ სამართალდარღვევის („დელიქტის“) შესახებ. მიმდინარეობს სასამართლო სჯა-პაექრობა უბედური თაღლითის თავზე. თაღლითი კი თაღლითია. მან უკვე შესცოდა, სული გაყიდა, ხელთ შერჩა გაბოროტება ან სინანულის ცრემლები: უნდა აითესოს ან კატორღაში უკრავენ თავს. უკეთესია, თვალს თუ ვერ მოკრავენ. ამ თაღლაფდასხმულს რაღა დაცინვა და ქირღვა სჭირდება?

ლიბერალური „აბლაკატი“ დახატა დოსტოევსკიმ. სიცოცხლეში დოსტოევსკის სულს უწამლავდნენ, სიკვდილის შემდეგ კი „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა მომღერალი“ უწოდეს. რაზეც ახლა მოგახსენებთ, იმაზე ტოლსტოიც წერდა.

მაშ, ვინ შემოავლო ღობე ამ შერე-კილის საფლავს? ვინ მოთქვამს ღღეს იმაზე, ეს საფლავი არ „შეგვიგინონო?“ იცით, თქვენ, რომ თავად ლევ ნიკოლოზის ძეს შეიძლება გახარებოდა კიდევ, თუ მის საფლავს მიაპურჭყებდნენ და ნამწვავებს მიაყრიდნენ? — ფურთხი ღვთისაა, ღობე კი დიდი ვერაფერი შვილია.

რატომ კაწრავენ ძველთაძველ ტაძარს? იმიტომ რომ, მისი ხუცესი ასი წლის განმავლობაში ქრთამებს იღებდა და არყით ვაჭრობდა, სუქდებოდა და სიმსუქნისაგან ასლოკინებდა.

რატომ ბილწავენ ნახვით ძვირფას მემამულურ კარ-მიდამოს? — იმიტომ რომ, ასი წლის მანძილზე იქ ძალდატანებით აუპატიურებდნენ და სცემდნენ ახალგაზრდა ქალებს. თუ იმ ბატონისას არა, მაშინ მეზობლისას.

რატომ თელავენ ასწლოვან პარკებს? — იმიტომ რომ, ასი წლის მანძილზე ბატონები უზარმაზარი ცაცხვებისა და ნეკერჩხლების გაშლილი ტოტების ქვეშ თავიანთი ძალმოსილების დემონსტრირებას ახდენდნენ — ცხვირში თხრიდნენ ღარიბ-ღატაკებს თავიანთ სქელ ჯიბეს, ჩერჩეტ მსახურებს კი თავის განსწავლულობას.

ასე იყო ყველაფერი.

ვიცი, რასაც ვამბობ. ამას გვერდს ვერ აუვლი, არც წაყრუებაა შესაძლებელი, თუმცა ყველამ მაინც წაყრუა.

არავის პიროვნული კეთილშობილება, არც ვინმეს პიროვნული წუხილი გვაეჭვებს; მაგრამ პასუხს წარსულზე ხომ ჩვენ ვაგებთ? ჩვენ კი ერთი ჯაჭვის რგოლები ვართ. ან იქნებ ჩვენ არ მოგვეკითხება მამათა ცოდვები? — თუკი ამას ვერა

გრძნობს ყველა, ეს უსათუოდ უნდა იგრძნო „რჩეულთ“.

ნუ წუხხართ, დამშვიდდით. ნუთუ გგონიათ, რომ მართლა შესაძლებელია ჭეშმარიტ ფასეულობათა ნატამალიც აღარ გადარჩეს? თუ ამას ვშიშობთ, მაშ, ცოტა გვეყვარებია. „სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს“.1 ნუ უფრთხით კრემლის, სასახლეების, სურათების, წიგნების განადგურებას. საჭიროა ისინი გადავურჩინოთ ხალხს; მაგრამ მათი განადგურებით ყველაფერი არ იკარგება. დანგრეული სასახლე — სასახლე აღარაა, არც მიწის პირისაგან აღგვილი კრემლი ჩაითვლება კვლავ კრემლად. ტახტიდან თავისი ნებით გადამდგარი მეფეც აღარაა მეფე. კრემლი ჩვენს გულეშია აღმართული, მეფე კი თავში. ჩვენ წინაშე გადაშლილი მარადიული ფორმები მხოლოდ ჩვენი თავისა და გულის განადგურების შემდეგ აღიგვებიან მიწის პირისაგან.

რას ფიქრობდით? რევოლუცია იდილია გეგონათ? რა, შემოქმედება არაფერს ანადგურებს თავის გზაზე? თუ ხალხი გეგონათ ჭკვიანი და გამგონი? ასეულობით ჩვეულებრივი თაღლითი, პროვოკატორი, შავრაზმელი და ის ადამიანები, ხელის მოთბობა რომ უყვართ, არ წაეპოტინებოდნენ მას, რაც ცუდად დაუდევთ? და ბოლოს, — ასე „უსისხლოდ“ და „უმტკივნეულოდ“ გადაიჭრებოდა „შავი“ და „თეთრი“ კამათლების, „განათლებულებისა“ და „გაუნათლებლების“, ინტელიგენციისა და ხალხის საუკუნოვანი მტრობა?

განა არ უნდა გამოგაფხიზლოთ „საუკუნოვანი ძილისაგან“?

1. ახალი აღთქმა. იოანე მოციქულის პირველი წერილი, IV, 18.

განა არ უნდა დაიყვიროთ: *Noli tonqere ciracolos meos*!¹

ესე იგი თქვენ ცოტათი გიყვარდათ, ბევრი კი მოგეთხოვებათ, იმაზე მეტი მოგეკითხებათ, ვიდრე ვინმეს — სხვას. თქვენში არ უღერდა პროლივით ანკარა ხმა, სიყვარულის ეს მუსიკა, თქვენ შეურაცხყოფდით მხატვარს, — ჯანდაბას მხატვარი, — მაგრამ მხატვარი რომ შეურაცხყავით, ამით თვით ხალხის, ერის სულს მიაყენეთ შეურაცხყოფა. სიყვარული სასწაულებს ახდენს, მუსიკა მხეცებს აჯადოებს. თქვენ კი (ჩვენ — ყველანი) მუსიკის გარეშე და სიყვარულის გარეშე ვცხოვრობდით. უმჯობესია, ახლა გაჩუმდეთ, რაკი მუსიკა არ არის, მუსიკას არ უსმენენ, რადგან ყველაფერი, ყველაფერი მუსიკის გარდა და ყველაფერი მუსიკის გარეშე — ყოველგვარი „მშრალი მატერია“ — ახლა მხოლოდ გამოაღვიძებს და გააღვიძებებს მხეცს, უმუსიკოდ დღეს ადამიანს ხმას ვერ გააგონებ.

ქვეყნის საუკეთესო შვილები ამბობენ: „გული გაგვიტყდა საკუთარ ხალხზეო“; საუკეთესო შვილები დასცინიან, მაღლიდან დასცქერენ, ქედმაღლობენ და ღვარძლს ანთხევენ, უტიფრობისა და სისასტიკის გარდა ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ (ადამიანი კი აქვეა — ჩვენს გვერდით); საუკეთესო შვილები იმასაც ამბობენ: „არ ყოფილა არავითარი რევოლუციო“; ის, ვინც „ცარიზმის“ სიძულვილით ადგილს ვერ პოულობდა, დღეს მზად არის, მასვე ჩაუვარდეს მკლავებში, ოღონდ დაივიწყოს, რაც ახლა ხდება. გუშინ-

დელი „პარაქენელები“² დღეს მაგებს იმტვრევენ „გერმანული ძალადობის“ გამო, გუშინდელი „ინტერნაციონალისტები“ მისტირიან „წმინდა რუსეთს“; დაბადებით ულმერთონი მზად არიან მხატვლები დაანთონ და ლოცვად დასცინონ შინაური თუ გარეშე მტრის დამარცხებისათვის.

აღარ ვიცი, რა უფრო საშინელია: აქეთა ბანაკის წითელი მამალი და თვითგასამართლების მიდრეკილება თუ მეორე ბანაკის მტანჯველი არამუსიკალურობა?

მე ხომ „ინტელიგენციას“ მივმართავ და არა „ბურჟუაზიას“. ამ უკანასკნელს ფორტეპიანოს გარდა სხვა მუსიკა არც დასიზმრებია. მისთვის ყველაფერი ძალიან მარტივადაა: „უახლოეს მომავალში ჩვენები აიღებენ ძალაუფლებას“, დამყარდება „წესრიგი“ და ყველაფერი ძველებურად იქნება; ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, გავუფრთხილდეთ საკუთარ ტყავს და ჩვენს ავლა-დიდებას; პროლეტარები — „არამზადები“ არიან; „ამხანაგი“ — სალანძღავი სიტყვაა; შენსას მიხედე და აითესე: შეიძლება დასცინო კიდევ ამ სულელებს, მთელი ევროპის აფორიაქება რომ ჩაიფიქრეს. გაანძრე ფაშვი, იქნებ სადმე ლუკმა წაგლიჯო.

ამათ ვერ შეედავები, — მათი საქმე უცილობელია — მოუცლის საქმეა. მაგრამ ეს „ნახევრადგანათლებულნი“ თუ სულაც „გაუნათლებულნი“ ხომ ადამიანები არიან; მათ ხომ, ალბათ, მხოლოდ ის მოუსმენიათ, რასაც ოჯახში ანდა სკოლაში ჩასჩინებდნენ. რასაც ჩასჩინებდნენ, მარტო ისლა მოეთხოვებათ.

ო ჯ ა ხ ი: „გაუგონე მამას და დე-

1. „ხელი არ ახლოთ ჩემს წრეს“ (ლათ.) ეს სიტყვები წარმოთქვა არქიმედემ რომაელი მეომრის მისამართით, როცა მან ფეხი დაადგა არქიმედეს ნახაზებს.

2. ომში საკუთარი მთავრობის დამარცხების პოლიტიკის მომხრენი.

დას“. „მოაქუჩე სიბერის წლების-
თვის ფული“. „ისწავლე, გოგონი,
როიალზე დაკვრა, მალე უნდა გათ-
ხოვდე“. „ნუ ითამაშებ, შვილო, ქუ-
ჩის ბიჭებთან, ნუ შეარცხვენ მშო-
ბლებს, ნუ დახევ პალტოს“.

დაწყებითი სკოლა: „გა-
უგონე დამრიგებლებს და პატივი
ეცი დირექტორს“. „დააბეზლე უწ-
მაწურად მოლაპარაკე ბიჭები“. „მი-
იღე მაღალი ნიშნები“. „გახდი პირ-
ველი მოსწავლე“. „იყავი თავაზია-
ნი და მაამებელი“. ყველაზე მაღლა
დააყენე — „საღვთო სჯული“.

საშუალო სკოლა: „პუშკინ-
ნი ჩვენი ეროვნული სიამაყეა“.
„პუშკინი აღმერთებდა მეფეს“. „გი-
ყვარდეს მეფე და მამული შენი“.
„თუკი აღსარებას არ იტყვი და ზი-
არებას არ მიიღებ, მშობლებს გა-
მოუძახებენ და ყოფაქცევის ნიშანს
ჩამოგაკლებენ“. „თვალი ადევნე ამ-
სანაგებს, ხომ არ კითხულობს რო-
მელიმე აკრძალულ წიგნებს“.

უმალლესი სასწავლე-
ბელი: „თქვენ მიწის მარილი
ხართ“. „ღმერთის არსებობის დამ-
ტკიცება შეუძლებელია“. „კაცო-
ბრიობა მიდის პროგრესის გზით,
პუშკინი კი უმღერის ქალის ფე-
ხებს“. „თქვენთვის ადრეა პოლი-
ტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის
მიღება“. „მეფეს მუშტი მოუღერე
ჯიბიდან“. „ღაიმახსოვრე, ვინ ილა-
პარაკა კრებაზე“.

სახელმწიფო სამსახუ-
რი: „სტუდენტი არის შინაური
მტერი“. „ჯიგრიანი დედაკაცია“.
„მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა
ილაპარაკო“. „დღეს მისი აღმატე-
ბულება მობრძანდება და ყველანი
ადგილებზე იყავით“. „თვალი ადე-
ვნეთ ივანოვს და მომახსენეთ“.

ვინც ეს ყველაფერი კეთილსინ-
დისიერად მოისმინა და ირწმუნა,
მას მეტი რა მოეკითხება? მაგრამ
ინტელიგენტებმა ხომ, როგორც ეტ-
ყობა, ეს ღირებულებანი „გადააფა-
სეს“? მათ ხომ სხვა სიტყვების მო-
სმენაც შეძლეს? ისინი ხომ მეცნიე-
რებამ, ხელოვნებამ, ლიტერატურამ
აღზარდა? მარტო იმ გაჭუჭყიანე-
ბული წყაროდან არ უსვამთ, კამ-
კამა და თავბრუდამხვევად უძირო
წყაროსაც ეწაფებოდნენ, წყაროს,
სადაც ჩახედვა მეტად საშიშია და
საიდანაც მოისმის საქმეში ჩაუხე-
დავთათვის გაუგონარი სიმღერა?

ბურჟუას განსაზღვრული ნიადაგი
აქვს ისევე როგორც ღორს — ნესვი;
ოჯახი, კაპიტალი სამსახურეობრივი
მდგომარეობა, ორდენები, ჩინი,
ღმერთი სახატეზე, მეფე — ტახტ-
ზე. გამოაცალე ესენი და ყველაფე-
რი თავდაყირა დადგება.

ინტელიგენტი ყოველთვის თავს
იწონებდა, რომ მას არ ჰქონდა
ასეთი საყრდენი. მისი ფასეულობე-
ბი არამატერიალურია. მისი მეფე
შეიძლება მხოლოდ თავთან ერთად
გაანადგურო. უნარი, ცოდნა, მეთო-
დები, ჩვევები, ტალანტი — ეს მო-
ხეტიალე და ფრთოსანი ქონებაა.
ჩვენ უსახლკარონი, უოჯახონი,
უჩინონი და ლატაკნი ვართ, — რა-
ლა უნდა დავკარგოთ?

ახლა უკვე სირცხვილია ქედმაღ-
ლურად, მზაკვრულად, ტირილით
ვიმტვრიოთ ხელები, ქოქოლა დავა-
ყაროთ რუსეთს, რომელსაც რევო-
ლუციურმა ქარიშხალმა გადაუფრი-
ნა. საცოდავი სანახაობაა: მზაკვრო-
ბითა და გესლით დამტკბარებმა თო-
ვლისა და წვიმისქვეშ დანოტივებულ
ხის კუნძებს გროვად ამოვუფინეთ
მშრალი ღეროები, ბურბუშელები და
ნაფოტები; ხოლო როცა მოულოდ-
ნელად ავარდა ალი და ცას მისწვ-

და (როგორც დროშა), — სირბილი დაიწყო და ღრიალი მოვრთეთ: „ოხ, ოხ, ვიწვევით!“.

მე არ ვლაპარაკობ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, რომელთაც „ტაქტიკა“ და „მომენტი“ უკრძალავს დაგვანახონ თავიანთი გული. ვფიქრობ, ახლა რუსეთში არც ისე ცოტა უნდა იყოს ისეთი ხალხი, რომელსაც გულით უხარია, რომელიც მოვალეობის კარნახით იჭმუნის შუბლს.

მე იმათზე ვლაპარაკობ, ვინც პოლიტიკას არ აკეთებს; კერძოდ, მწერლებზე (თუ ისინი ეწევიან პოლიტიკას, დიდადაც სცოდავენ პირველ რიგში საკუთარი თავის წინაშე, რადგან, როგორც იტყვიან, „ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს“: პოლიტიკას ვერ აკეთებენ, საკუთარ ხმას კი კარგავენ). ვფიქრობ, მათი არათუ უფლება, არამედ მოვალეობაცაა, იყონ არატაქტიკური, ანუ „უტაქტონი“: უსმინონ მომავლის დიად მუსიკას, რომლის ხმებითაც ავსებულა ჰაერი. უსმინონ, მაგრამ არ შეეცადონ გამორჩევა დაუწყონ ცალკეულ გამყივან და ყალბ ბგერას მსოფლიო ორკესტრის დიად ღრიალსა თუ ჟღერიალში.

რუსეთის ინტელიგენციას თითქოს დათვმა დაადგა ყურზე ფეხი: კინი გრძნობები, კინი სიტყვები. სამარცხვინო არ არის განა, დავცინოთ ამა თუ იმ განცხადებასა თუ წერილში დაშვებულ შეცდომებს, ისინი ხომ დაწერილია კეთილი, მაგრამ მოუქნელი ხელის მიერ? განა

სირცხვილი არ არის, გოროზად წავუყრუოთ „სულელურ“ კითხვებს? სირცხვილი არ არის, მშვენიერი სიტყვა „ამხანაგი“ ბრჭყალებში ჩავსვათ?

ასე ხომ ყოველ მღელღელს შეუძლია მოიქცეს? ამით კი მხოლოდ გააღიზიანებ ადამიანს, გააღვიძებ მასში მხეცს.

რა ძალითაც დაიყვირებ, იმ ძალითვე გამოგეპასუხებიან. თუ ყველას თაღლითად ჩათვლი, მხოლოდ თაღლითები გეწვევიან. ჩვენს თვალწინ ასობით გაიძვერა წრიალებს, ჩვენი თვალთახედვის მიღმა კი მილიონობით ადამიანია ჯერჯერობით „გაუნათლებელი“, ჯერჯერობით „ბნელი“; მაგრამ ისინი თქვენგან არ განათლდებიან.

მათ შორის ისეთებიც არიან, ჭკუას რომ კარგავენ თვითგვემისაგან, არ ძალუძთ გაუძლონ სისხლს, თავიანთი სიბნელით რომ დაღვარეს. ისეთებიც, უბედურ თავში რომ იცემენ მუშტებს: რატომ ვართ ასე სულელები, რატომ არ შეგვწევს ძალი გაგებისაო. არიან ისეთებიც, რომლებშიც შემოქმედებითი ძალები ჯერ კიდევ მიძინებულა; მათ შეუძლიათ მომავალში თქვან ისეთი სიტყვა, როგორც უკვე დიდი ხანია არ უთქვამს ჩვენს დაღლილ, არცთუ ახალ და წიგნიერ ლიტერატურას.

მედიდური პოლიტიკანობა დიდი ცოდვაა. თუ ინტელიგენცია მომავალშიც გააგრძელებს თავმოწონებასა და ქირქილს, ირგვლივ მეტის ძალით იბატონებს შიში და სისხლი.

შემზარავი და საშიშია ეს ელასტი-
ური, მშრალი და უგემოვნო „არა-
დოგმატური დოგმატიკა“, რომე-
ლიც შელამაზებულია ზედაპირული
გულითადობით. ამგვარი გულითა-
დობის უკან — სისხლი დგას. გული
სისხლს იზიდავს. საშინელებებთან
ბრძოლა მხოლოდ სულს ძალუძს. რა-
ტომ უნდა გადავლობოთ სულიერე-
ბისკენ მიმავალი გზა გულითადო-

ბით? მშვენიერება უიმისოდ
ძნელად მიიღწევა.

სული კი მუსიკაა. ოდესღაც დე-
მონმა უბრძანა სოკრატეს — ესმი-
ნა მუსიკის ~~სულიანობის~~

მთელი ტანით, მთელი გულით,
მთელი შეგნებით უსმინეთ რევო-
ლუციას.

9 იანვარი, 1918 წელი.





თავად მე რომ შევძლებ, ისე არავის ძალუძს აჩვენოს ქვეყნიერებას, თუ როგორი ვარ მე. ვერავინ დაუძალავს თანამოსაგრეთ თავის თავს, რადგანაც ადამიანის ყოველგვარი საქციელი, შემოქმედების ყველა აქტი მის ავტორზე ღალადებს. მე ადამიანებს ჩემზე ჩემს წიგნებში ვუყვები.

მწერლის შრომის შესახებ

ვფიქრობ, რომ მე უკვე პირველივე რომანიდან ვიცოდი, თუ როგორი იქნებოდა ჩემი მომავალი ბედ-იღბალი. ერთი წუთითაც კი არასოდეს შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ახალი ეპოქის პიონერი ვარ, და მესმოდა, რომ შემდგომში ჩემი ყოველი ნაბიჯი უზარმაზარი ინტერესით განიხილებოდა. ამიტომ მე გადავწყვიტე შთამომავლობისთვის ჩემი ყველა საქციელისა და აზრის თაობაზე ალალმართალი ანგარიში წარმედგინა.

მე ვეძებ იმას, რაც მოვლენების ზედაპირზე არ დევს, და რასაც დროის მდინარეება არ შლის. მაგრამ ჩემი მიზანია, რომ ცხოვრება ვაჩვენო ისეთად, როგორიცაა ის, ვაჩვენო საღებავების გაუმუქებლად და რაიმეს შეუღამაზებლად. მე ჩემს თავს არ ვაკუთვნებ დიდ მოაზროვნეთა გუნდს და კაცობრიობას სენსაციურს არაფერს ვპირდები. მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცნობ სამყაროს და მას ათასი სხვადასხვა წერტილიდან წარმოვაჩენ.

მე არასოდეს შემირჩევია გმირები, უფრო ისინი მირჩევდნენ მე. ბევრი ჩემი წინამორბედის მსგავ-

სად, მეც მალფრთოვანებდნენ ძლიერი ადამიანები, რომლებიც გარემოებებსა და მათ ირგვლივ მყოფთ იმორჩილებდნენ. ამ თემამ იმდენად დამრია ხელი, რომ არ ძალმიძს სხვა რამისთვის გადავდო თავი. შთაგონება, სიყვარული რომაა, ისეთივე ვნებიანი გრძნობა შეიძლება იყოს.

ჩემი რომანების შინაარსი გული-სა და პირადი გამოცდილების სიღრმეებიდანაა ამოხაპული, მაგრამ არ ვკმაყოფილდები იმით, რომ ისინი იოლად და უდარდელად გამოვიტანო დღის სინათლეზე. ჩემი მწერლური ჩვევები მარტივია: აწონ-დაწონის ხანგრძლივი პერიოდები, ჩაწერის ხანმოკლე პერიოდები.

მუშაობის დიდ ნაწილს გონებაში ვახორციელებ. წერას არასოდეს ვიწყებ, ვიდრე აზრები არ მოწესრიგდება. ჩაწერისას მე ხშირად ხმამალლა წარმოვთქვამ დიალოგის ნაწყვეტებს: ყური კარგი ცენზორია. მე არასოდეს ვენდობი ფრაზას ქალღმერთს, ვიდრე არ ჩავთვლი, რომ ის ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგებად ავაგე.

და მაინც, ზოგჯერ ვფიქრობ,

რომ ჩემი თხრობა პირდაპირ თქმაზე მეტად სიტყვის გადაკვრათ, ქარაგმულად თქმაა. მკითხველმა დახმარებისთვის ხშირად უნდა მოიშველიოს წარმოსახვა, სხვაგვარად მას აზრის ყველაზე უფრო ფაქიზი ნიუანსები დაუსხლტება.

მე რის ვაი-ვაგლახით, ძნელად ვწერ, დაულალავად ვამოკლებ და სახეს ვუცვლი ტექსტს. ჩემთვის ჩემი ნაწარმოებების კეთილდღეობა ფრიად ძვირფასი რამაა. უსასრულო რუდუნებით ვაწახნაგებ და ვხვეწ მათ, ვიდრე ბრილიანტები არ გახდებიან. იმას, რასაც ბევრი ავტორი გულმშვიდად დატოვებდა გაცილებით უფრო დიდი მოცულობით, მე პაწაწკინტელა ძვირფასეულობად ვხდი.

მე მაქვს იშვიათი უნარი — ძალიან ჩემი კრიტიკული ნიჭი ისე გამოვიყენო საკუთრივ ჩემს ნაწარმოებებზე მუშაობისას, თითქოს სხვა ავტორის ნაშრომზე ვმუშაობდე. მე ბევრჯერ უყოყმანოდ ვთქვი უარი იმაზე, რასაც ნაკლებ კეთილსინდისიერი მწერალი ისე იოლად დატოვებდა, რომ იოტისოდენადაც არ შეეჭვდებოდა.

მაშინ უნდა წერო, თუ ეს სიხარულს განიჭებს. მე ბედნიერი ვარ, როცა ვწერ, მაგრამ ყოველთვის როდი ვარ კმაყოფილი იმით, რაც დავწერე.

მე არ მჯერა, რომ ჩემი წიგნები როდესმე ჩემს ძეგლად იქცევიან — მე ვცდილობ პატიოსნად შევაფასო ჩემი თავი. მე მწერლად გახდომა შევძელი უფრო დაჟინების, ვიდრე ნიჭის წყალობით. მე ყველაზე ნათელი მაგალითი ვარ იმ ადამიანისა ლიტერატურაში, ვინც მხოლოდ თავის თავს უნდა უმაღლოდეს. მაგრამ მე არასოდეს ვიმსახურებდი იმ წარმოუდგენელ, დაუჯერებელ წა-

რმატებასა და დიდებას, რაც წილად მხვდა.

მე მყავდა ბევრი ალფრთოვანებული თაყვანისმცემელი, რომლებსაც ჩემი არც ერთი წიგნი არ ჰქონდათ წაკითხული. სიტყვას მოჰყვოდა, საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის იქითკენ იყო მიდრეკილი, რომ გაზვიადებულად შეეფასებინა ჩემი მნიშვნელობა და სათანადოდ ვერ შეეფასებინა ჩემი მნიშვნელობა.

წიგნები უკვდავებია. ეს ადამიანის შრომის ყველაზე მყარი ნაყოფია. ტაძრები ნანგრევებად იქცევა, სურათები და ქანდაკებები ნადგურდება, წიგნები კი განაგრძობენ არსებობას. დრო ვერაფერს აკლებს დიად აზრებს, რომლებიც დღესაც ისევე ცინცხალნი არიან, როგორც იმ დროს, მრავალი საუკუნის წინათ, როცა ისინი მათი ავტორების გონებაში ჩაისახნენ. ის, რასაც მაშინ ამბობდნენ და ფიქრობდნენ, ნაბეჭდი ფურცლებიდან, დღესაც ისევ ისე მძლავრად შემოქმედებს ჩვენზე. წლებმა მხოლოდ ცუდი რამეები გაცხრილეს და განაქარვეს, რადგან ნამდვილად კარგ ქმნილებებს ლიტერატურაში დიდხანს სუფევა უწერიათ.

თანამედროვე რომანიტიკისთვის, შეუპოვრად და მოთმინებით მუშაობის გარდა, უნართა იშვიათი შერწყმაა აუცილებელი. ის უნდა ფლობდეს ფხიზელი მსჯელობის უნარს და ზომიერების ზუსტ გრძნობას, რათა მასალის უზარმაზარი ოდენობიდან საჭირო ნაწილი შეარჩიოს და ყველაფერი ეს ისე განალაგოს, რომ ნაწილების თანადაქვემდებარება და სწორი პერსპექტივა დაიცვას. მას უნდა ჰქონდეს წარმოსახვა, რათა ფიქრით გარდავიდეს წარსულშიც და აწმყოშიც და მთელი არსებით იცოცხლოს იმის გულისგულში,

რასაც აღწერს. მას უნდა ჰქონდეს კრიტიკული ინტუიცია, რომელიც მას ეხმარება მიზეზებისა და შედეგების აღმოჩენაში და ადამიანებსა და მოვლენებზე სწორად განსჯაში. მწერალს მხოლოდ მაშინ შეუძლია ნამდვილად კარგად წერის დაწყება, როცა ნათლად წარმოისახავს ადამიანების საქციელთა მოტივებს.

ძალიან ცოტა მოინახება რომანი, რომელშიც არის ყველაფერი: ბრძოლა, დევნა, სისასტიკე, სექსი, ძლიერი ხასიათები, მოქმედება, რომელიც ჯავშანსატანკო დივიზიის შეტევისათვის ვითარდება, აგრეთვე საკუთარი გმირებისა და სიმართლის პატივისცემა.

ყველაზე ხშირად ის, რასაც ავტორთა უმეტესობა გვიან წლებში წერს, უბრალოდ ახალი ვარიაციებია მის ადრინდელ ნაწარმოებებში წარმოსახული სცენების, ხასიათებისა და მოვლენებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ახალ ვარიაციებში ნაკლები ხელოვნება და ნაკლები ძალა და ცეცხლია.

ძალიან ბევრი თანამედროვე რომანი არაფერს გვასწავლის და მიზნად ისახავს მხოლოდ საზიზღარი ცხოველური შიშის აღძვრას, რაც ძარღვებში სისხლს გიყინავს ადამიანს. მე ბედნიერი ვარ, თუ უცნობი ავტორის ახალი რომანის კითხვისას ვხედავ, რომ ის მწარე გემოთი არაა ნასაზრდოები და კეთილი, გულუხვი და გონივრული წიგნია.

კარგი წიგნის ფასეულობასა და მიმზიდველობას განაპირობებს მისი სრული სისადავე, გულახდილობა და ხასიათებისა და მოქმედებათა მოტივების თითქოსდა უეცარი, მოულოდნელი გაშიშვლება. ეს ენისა და აზრის სისადავეა. ის ბუნებრივია და შეგნებული ლიტერატურული ძალდატანებისგან თავისუფალია.

მაგრამ გულწრფელი სისადავეთ წერა წინასწარგანზრახულად რთულად წერაზე უფრო ძნელია.

მწერლის სტილი უნდა იყოს/უშუალო და პიროვნული, მისი სახეები — მდიდარნი და სისხლსავსენი, სიტყვები — სადა და ენერგიული. დიდი მწერლები ფლობენ ბრწყინვალე სისხარტის ნიჭს, ისინი დაუცხრომლად დამაშვრალნი, მოკირკიტე, მორუდუნე მეცნიერნი და გაწაფული სტილისტები არიან.

როგორც წესი, წარმატებამოპოვებულ ავტორებს შეუძლიათ თითქმის არაფერზე ოსტატურად წერონ გატაცებით საკითხავი მოთხრობები. თანამედროვე მწერლების დიდი ლიტერატურული ცოდვა მორთვაგალამაზებისკენ ლტოლვა და გარეგნული ბრწყინვის სიყვარულია. მე ფრთხილად, შიშით ვეკიდები იმ ლიტერატორებს, რომელთა წიგნებიც პროფესიული ვირტუოზობითაა დაწერილი.

მნიშვნელოვანი ნაწილი იმისა, რაც ახლა იბეჭდება, უმწიფარი და ნაკლებმხატვრული ნაწარმოებებია. ძალიან ბევრი ავტორი სწრაფად და დაუდევრად წერს, იშვიათად ასწორებს მთხზველობის გზნებამოკიდებისას მოხაზულ ტექსტს. ასეთი მწერლების სტილური შეცდომები აღმაშფოთებელი, შეუწყნარებელია. გმირთა დიალოგები არაბუნებრივია, სიტყვები არასწორადაა შერჩეული, ენა ხშირად უკიდურესად დაუდევრულია. მათი წიგნებისთვის უმეტესწილად უცხოა სიუჟეტისა და მოქმედებათა ერთიანობა. დროდადრო თხრობა თავის მომაბეზრებლად გაჭიანურებული და უაზრო ლაქლაქილია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მწერლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა მოხდება მათი რომანის

მომდევნო თავში. ზოგჯერ ისინი ყოვლად უმიზეზოდ სვამენ რომანში გაუგებარ და სავსებით არასაჭირო სცენებს, არცთუ იშვიათად წიგნის ბოლოში ახალი მოქმედი პირები შემოჰყავთ. და ამგვარ ავტორთა პერსონაჟები, ან გულისამრევი გულმოდგინებით გამოსახული ურჩხულები არიან, ან ანგელოზები. ამ პერსონაჟთა საქციელი ჩვეულებრივ ცუდადაა მოტივირებული,

თვითონ გმირები კი არიან ციენი და უსიცოცხლონი, უბრალოდ სიმბოლოები, რომლებითაც არსებობის რაღაც გაურკვეველი, ფანტასტიური პრობლემების გადამსაწყვეტად ცდილობენ. ამას მყვირალა, დაუჯერებელი სიუჟეტებიც დაუმატოთ. ასეთ წიგნებს რეალურ, ცოცხალ სამყაროსთან ცოტა რამ აკავშირებთ.

შრომისა და დროის შესახებ

ზღვაზე შტილის (წყნარი ამინდის) დროს ყველა ლოცმანია. მაგრამ უღრუბლო მზე და უვაებო სიხარული სულაც არაა სიცოცხლე. მაგალითად, ყველაზე იღბლიანთა ბედისწერაც კი აწეწილდაბურდული ნართია. დანაკლისები და შეძენები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან, რიგრიგობით გვამწუხრებენ და გვახარებენ. სიკვდილიც კი სიცოცხლეს უფრო სასურველს ხდის. ცხოვრების მძიმე წუთებში, გლოვისა და გაჭირვებისას ადამიანები თავიანთ სახეს იქმნიან.

უბრალო დაკვირვებულობამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ, ჩვენ თუ რომელიმე დიდ წამოწყებაში წარმატების მოპოვება გვიწერია, სიძნელეებისთვის გვერდის ავლა შეუძლებელია და ადამიანი ამის გამო ბედს უნდა უმადლოდეს. წარუმატებლობები წინააღმდეგობის გაწევის ჩვენს უნარს აწრთობს. ხასიათი იმედების მსხვრევისას იბადება. მხოლოდ მაშინ, როცა ვიგებთ და შევამოწმებთ ჩვენს თავს და არაერთხელ დავრწმუნდებით, თუ ჩვენდა საზიანოდ გაზვიადებულად ვაფასებდით საკუთარ შესაძლებლობებს, გამოცდილება გვასწავლის ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეების სწორად შეფასებას.

ჩვენი შეცდომების გამო იმდენად მძაფრად დანანება, რომ ისინი არ გავიძეოროთ, ნამდვილ მონანიებას ნიშნავს. ოდნავი კეთილშობილებაც არაა ის, რომ ვილაც სხვაზე მაღლა ვიდგეთ, ჭეშმარიტი კეთილშობილება მაშინ ვლინდება, როცა ადამიანი თავის უწინდელ „მეზე“ მაღლა დგება.

ცხოვრებასა და მუშაობაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს არა ნიჭს, არა ხასიათს, არა გონებას, არამედ გულს, არა გენიას, არამედ ფხიზელ განსჯას დამორჩილებულ თავშეკავებულობას, მოთმინებასა და დისციპლინას.

სიბრძნე მომწიფებული გონებისთვის ბედის მიერ ბოძებული ბოლო საჩუქარია. ბევრის გადამტანი ადამიანი იწყებს დროის თავის დამხმარედ, შემწედ მიჩნევას. დროის შესახებ ამბობენ, ის წარსულს ალამაზებს და გვანუგეშებსო, მაგრამ ის, ამასთანავე, გვასწავლის. დრო საკვებია, რომლითაც პურდება გამოცდილება, ნიადაგია, რომელზეც მწიფდება სიბრძნე. ის შეიძლება ჭაბუკობის ან მეგობარი იყოს ან მტერი, დრო სიბერის სასთუმალთან დგას ან მანუგეშებლად, ან ჯალათად, იმის შესატყვისად, როგორ

გალიეს სიცოცხლე — ისე, როგორც საჭიროა, თუ როგორც საჭირო არაა, ანუ სასარგებლოდ თუ საზიანოდ გამოიყენეს იგი.

სიცოცხლე თითქმის ჩავლილია იმ დროისთვის, როცა ჩვენ გავიგებთ, თუ რაა ის. მაგრამ მისი მხოლოდ ხანგრძლივობის გაზომვა არ შეიძლება. მუსა ასობით წელიწადს ცოცხლობს — იმდენ ხანს, რომლის წიაღშიც მოკვდავთა ბევრი თაობა ეთხოვება სამზეოს ერთმანეთის შიყოლებით, მაგრამ

ვინ დათანხმდება, მცენარეული არსებობის მთელ საუკუნეზე გაცვალოს ადამიანის სისხლსავე, გააზრებული, მიზანსწრაფული სიცოცხლის თუნდაც ერთი დღე.

ჩვენს ირგვლივ ასე ბევრი მშვენიერი და ღრმად ამაღლებული რამეებია, და მე ცოტათი მრცხვენია, რომ ყოველივე ამას უფრო მეტად არ ვაფასებდი. და მაინც, უკან მოხედვისას შემიძლია ჩემს თავზე ოთხი სიტყვა ვთქვა: მე ბედნიერი ცხოვრებით ვიცხოვრე.

სიკვდილისა და შიშის შესახებ

„მოხუცი და ზღვა“ ის წიგნია, რომლითაც მინდოდა მთელი ჩემი სიცოცხლის შრომის დაგვირგვინება. მასზე მუშაობა ძნელი იყო, მაგრამ სიბერით ცოტანი კვდებიან. თითქმის ყველა იმედის გაცრუების, ზომაგადასული გონებრივი ან ფიზიკური შრომის, მძიმე განცდების, უბედურ შემთხვევათა გამო იღუპება. ადამიანი ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი არსებაა. ადამიანებს ხანგრძლივი სიცოცხლე ხშირად ოპტიმიზმს აცლის. ხანმოკლე სიცოცხლე უკეთესია.

თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც არ განეცალოს იმაზე უფრო ძლიერი სიკვდილი, როგორსაც მომაკვდავი განიცდიან.

ყველას მეომრად განდობა უწერია, და ყველას სიკვდილი აქვს ნარგუნები, მაგრამ ფუჭად მხოლოდ ლაჩრები კვდებიან. მე ყოველთვის მწამდა, რომ მამაკაცის უპირველესი მოვალეობა შიშის დაძლევაა. ადამიანს სულმოკლეობასა და განსაცდელის გამო შიშზე მეტად სულიერად არაფერი ამდაბლებს. ისინი იოლ გზას ამძიმებენ, ძნელს გაუვალად ხდიან. ადამიანები ხშირად უსარგებლო ზედმეტ შიშს განიცდიან. მათ შიშზე უარესი ფაქტის აღმოჩენის შიშით ეშინიათ რალაციისა, რაც თვით ამ ფაქტზე უარესია. ისინი იმაზე ფიქრით ცოცხლობენ, რომ მოჩვენებას ხედავენ და ამ ფიქრით იტანჯებიან. ისე, ყოველდღე უარესის შიშით ცხოვრებას უარესის ცოდნა სჯობია.

მანკების შესახებ

ამ სამყაროს შემარცხვენელ მანკათგან ყველაზე დამღუპველი, ყველაზე საშიში, რასაკვირველია, ფანატიზმია. არც ერთი სხვა მანკი არ

ედრება მის ბნელ და ბოროტ სულს. ფანატიზმი იმით ვლინდება, რომ ადამიანი მუდმივად და ჯიუტად ეჭიდება თავის განსაკუთრებულ აზრს.

ის, ვინც მისთვის ჩვეულებისამებრ, ყველაფერს აკრიტიკებს, ობსტრუქციონისტია. მისთვის მოვლენებთან შემოქმედებითი და საქმიანი მიდგომა უცხოა. მისი პირადული აზრი, დასკვნა მისი მეუფეა, მისი პიპერტროფირებული დიდი წარმოდგენა თავის თავზე კი მისი ერთადერთი მრჩეველი ხდება. ამგვარი დამახინჯებული ცნობიერებისთვის მისი საკუთარი შეხედულებები აბსოლუტურ შეხედულებებს ეიგივება.

პატივმოყვარეობა ყველა მანკის წყაროა. ის წარმოშობს მლიქვნელობას, იწვევს შურს, ბიძგს აძლევს სიცრუეს.

ადამიანთა უმეტესობის სათნოე-

ბა მათი სიმდიდრის გაზრდასთან ერთად კნინდება. მიეცით ადამიანს აუცილებელი რაღაცეები და ის კეთილმოწყობას მოგთხოვთ, ფუფუნებისკენ წარიღებება. გააფოფინეთ ის და ნატყუარა რაღაცეებზე წახილით განიმსჭვალება. დახვეწილი რაღაცების მიღების ნება დართეთ და მას სიგიჟეები, უგუნურებები მოსწყურდება. დაასაჩუქრეთ ის ყველაფრით, რასაც კი ინებებს, და ის იწუწუნებს, რომ მოატყუეს, და მან სულაც ის არ მიიღო, რაც სურდა.

მოვა დრო და ადამიანის ბუნება პირისპირ შეეჯახება ადამიანის ბედისწერას — როგორი აფეთქება იქნება ეს!

მიზანსწრაფული სიცოცხლის შესახებ

თანამედროვე ადამიანი, შეიცნობს რა მის გარემომცველ სამყაროსა და თავის თავს, აკვირდნან საფლავამდე, ჭირსა და ლხინში სხვადასხვა გართულებათა უსასრულო ჯუნგლებს აღწევს თავს. ახლა ადვილი არაფერია: არც აზრი, არც მოქმედება, არც ტკბობა და, წარმოიდგინეთ, არც სიკვდილი.

მე ყოველთვის მწამდა, რომ ადამიანი, ვინც სერიოზული შინაგანი ცხოვრება დაიწყო, გარეგნულადაც უფრო სადა ცხოვრებას იწყებს. ახირებულობათა და გადამეტებათა საუკუნეში მე ვისურვებდი სამყაროსთვის მეჩვენებინა, თუ როგორ მცირეა ჩვენი ნამდვილი საჭიროებები.

მე უფრო იმას ვისურვებდი, რომ მქონოდა იმ რაღაცის შეფასების, დაფასების საშუალება, რაც მე არა მაქვს, ვიდრე მქონდეს რაღაც, რისი დაფასებაც არ შემიძლია.

მე მაოცებს ის, რომ ამდენი ძვირფასი წუთი იხარჯება საკუთარი სისუსტეების, ფუქსავატური თავ-

შექცევების უსარგებლო წაქეზებისთვის, ლაყბობებისა და ფუჭი მხიარულებისთვის. საკუთარი ინტერესების გაფართოება, თუ ისინი არ გაღრმავდება, უბრალოდ საკუთარი თავის გაქურდვას ნიშნავს.

მოქმედებაა საჭირო. პასიური ჭვრეტა გონების საშიში ვითარებაა. არ შეიძლება სიცოცხლის ფუჭი ოცნებებისთვის გახარჯვა.

დანაძლევეების მოყვარულნი და მოთამაშეები ჩვეულებრივ ლატაკებად კვდებიან. მაგრამ, როცა ვილაცას ახალგაზრდობაში გაუმართლა კიდევ, საბოლოო შედეგი ძალზე ხშირად სავალალოა. მუშაობა კარგავს თავის მიმზიდველობას და ცხოვრება ინგრევა, თუ ის იღევა მოლოდინში ხელსაყრელი შემთხვევისა, რომელიც არასოდეს დგება.

ადამიანები ბედნიერებისკენ მიშავალ მოკლე გზებს ეძებენ. ასეთი გზები არ არსებობს.

ადამიანი ბევრგზის ბრძენი ღებება, როცა ის შეიგნებს, რომ რაღა-

ცის სურვილი და ამ რაღაცის მიღწევა სხვადასხვა რამეებია. დიდი მწერლების დამახასიათებელი თვისება მუშაობასთან ძალზე სერიოზული დამოკიდებულებაა, მათი ცხოვრება ხშირად მძიმე და უსიხარულოა, მაგრამ ისინი უსაქმოდ

არასოდეს სხედან. რასაც უნდა მოკიდონ ხელი, — რელიგიას, პოლიტიკას, განათლებას თუ, უბრალოდ, ლუკმაპურისთვის ^{ეროვნული} შრომას, ისინი ყველაფერს სრულყოფილად მსახურით აკეთებენ.

მარტოობის შესახებ

მე ზოგჯერ მთელი დღეები ვწერ იმიტომ, რომ სულ მარტოხელა ვარ.

მაგრამ მამაცი ადამიანები თავიანთ იძულებით მარტოხელობას არცთუ იშვიათად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ, რათა გაესრულებინათ უმნიშვნელოვანესი სამუშაო. სწორედ განმარტოებისას, განცალკევებისას იბადება სრულყოფისკენ სწრაფვა. მარტოობაში სული ესაუბრება თავის თავს, და ხშირად მისი ენერგია ქმედითი ხდება. იმიტომ, თუ ადამიანი ისწრაფვის ბედნიერი იყოს, მან მეტი დრო უნდა დაიტოვოს თავისთვის.

მაგრამ ის, მარტოობა, სარგებლობას მოიტანს თუ ზიანს, ამას ბევრწილად ადამიანის ტემპერამენტი, განათლება და პიროვნული თვისებები განსაზღვრავს. თუ დიდბუნებოვანი ადამიანების სუფთა გული მარტოობაში კიდევ უფრო სუფთა ხდება, წვრილმან ადამიანთა უხეში

გული მარტოობის ზემოქმედებით კიდევ უფრო უხეშდება, იმიტომ, რომ, თუმცა მარტოობასაც შეუძლია სულით ძლიერთა აღზრდა, მაგრამ მწერალი, როცა ის არ წერს, საზოგადოებას არ უნდა გაექცეს.

მე ყოველთვის ვინტერესდებოდი ყოველის უწინარეს ცოცხალი ადამიანებით, მამაკაცებითა და ქალებით, და არა იდეებით. კინო, ტელევიზია და თეატრი მე მოწყენილობისგან მამთქნარებს. და თუმცა ნიჭიერი მთხრობელები ცუდი მწერლები არიან ხოლმე, მე მირჩევნია ვინმესთან ვისაუბრო ან ვინმეს ვუსმინო.

მანამ თქვენ შეგიძლიათ ბევრი რამის მიცემა, უამრავი მეგობარი გეყოლებათ. როცა თქვენ რაღაც დაგჭირდებათ, მათი რიცხვი შემცირდება. მაგრამ ისინი, ვინც დაგრჩებათ, თქვენი ნამდვილი მეგობრები იქნებიან.

სიყვარულის შესახებ

სიყვარული ადამიანისა და სამყაროს ერთიანი შემოქმედია. სიყვარული საყოველთაო ინსტინქტია. ის განაბრძნობს ერთმანეთის მოყვარულთ, ამძაფრებს მათ გონებას და აცინცხალებს მათს გრძნობებს, ფრთებს ასხამს მათ. სიყვარული ცოცხლობს და მტკიცდება მინდობით.

მისი მოწოდება ისაა, რომ განყოს თვით სიყვარული. სიყვარული ურთიერთსიყვარულს ვულისხმობს. სხვისი გაგება თითქმის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ხოლო სხვამ რომ შენ გაგიგოს, ეს, ალბათ, სიყვარულის უსიამოვნესი და უდიდესი კმაყოფილების მომნიჭებელი

ძღვენია. სიყვარული ისე გასცემს ძღვენს, რომ სანაცვლოდ არაფრის მიღებას არ აპირებს. სიყვარული მომთმენი და პატიოსანია შფოთის, სიცრუისა და შეურაცხყოფის ვითარებაშიც კი. ის არ სცნობს არც სივრცეს, არც შეყვარებულთა განმაცალკევებელ გარე ვითარებებს. სიყვარული გვჩუქნის სიხარულს, ის უთანხმოებასა და შეხლა-შემოხლას თანხმობით ცვლის. მას გარეგნო-

ბით არ გამოაქვს მსჯავრი. სიყვარული არსებობის უმაღლესი მიზანია, მეგობრობის ხორცშესხმაა, მაღალი მორალური პრინციპების საფუძველია, თანამეგობრობის საფუძველია. სიყვარული ყველგან კარგს ეძებს და პოულობს ამ კარგს. ერთი შეხედვით შეყვარება თავისი თავისთვის წარმოაჩენს სამყაროს აგებულებას და ადამიანის ხასიათს. რელიგია კი მოქმედი სიყვარულია.

აფყოსა და მომავლის შესახებ

დღევანდელი დღე ისტორიის მყუდრო ყურე კი არა, შეუკავებელი ძალით მოთქრიალე ტალღის ქოჩორია. დიადი დრო წარსულში არაა, დიადი დრო ჩვენი თანამედროვეობაა, კიდევ უფრო დიადი დრო მომავალია.

გადაადგილების საშუალებათა და სიმდიდრეთა ნაჭარბის გაზრდილი შესაძლებლობები ყოველწლიურად წარმოშობს ტურისტთა ნაკადებს, რომლებიც პლანეტაზე მიმოგზაურობენ. ყველას შეუძლია, საითაც ნებავს, იქით გაემგზავროს, და სა-

ვსებით შესაძლებელია, რომ უკან ყველა მათგანი დაბრუნდეს, უფრო ღირსეულ ადამიანად, რომელსაც უფრო ფართო შეხედულებები და თავის თანამოძმეთადმი ნაკლებ გამოსატული ანტიპათიები ექნება, აგრეთვე ყველა მათგანს გაგებულნი ექნება ის ჭეშმარიტება, რომ საკუთრივ მისი კეთილდღეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მთელ მოდგმასთან, რომელსაც ის ეკუთვნის. თუმც კი სუსტად, მაგრამ კაცობრიობის გული იწყებს ძვერას როგორც ერთი მთლიანი რამ.





პ რ ი კ ა

სიტყვა, წარმოთქმული 2002
დარგში ნობელის პრემიის გადაცე-

წელს სტოკჰოლმში, ლიტერატურის
მის ცერემონიაზე.

უპირველეს ყოვლისა, ერთი რამ უნდა გაგიმხილოთ. ჩემი აღიარება შეიძლება უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ ის სავსებით გულწრფელია. მას მერე, რაც თვითმფრინავზე ავედი — აქ, სტოკჰოლმში რომ ჩამოვსულიყავი ნობელის პრემიის მისაღებად, — ზურგსუკან უშფოთველი დამკვირვებლის გამომცდელ მზერას ვგრძნობ და ამ საზეიმო წუთს, რომელიც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მაქცევს, საკუთარ თავს ამ უშფოთველ მოწმესთან უფრო ვაიგივებ, ვიდრე მთელი მსოფლიოს მიერ მოულოდნელად აღმოჩენილ მწერალთან. იმედი მაქვს, სიტყვა, რომლის წარმოთქმის პატივიც წილად მხვდა ამ შემთხვევის გამო, დამეხმარება ბოლო მოვულო ამ გაორებას და ჩემში არსებული ორი ადამიანი გავაერთიანო.

ჯერჯერობით, კარგად ვერ გამოვიჩინე ამ დიდ ჯილდოსა და ჩემს შემოქმედებას, ან, უფრო სწორად, ჩემს ცხოვრებას შორის წარმოქმნილი აპორია. ალბათ, ძალზე დიდხანს ვიცხოვრე დიქტატორულ რეჟიმებქვეშ, მტრულსა და იმედდაკარგვამდე უცხო ინტელექტუალურ გარემოში, რათა საშუალება მქონოდა ჩემი ევენტუალური ლიტერატურული მნიშვნელობა მერწმუნა: ამგვარი კითხვის დასმა იმ დროს, უბრა-

ლოდ, არც კი ღირდა. ამას გარდა, ყველა მხრიდან ცდილობდნენ მივეხვედრებინე — ის „თემა“, რომელსაც ჩემი ფიქრები დასტრიალებდა, რომლითაც დღემუდამ ვცხოვრობდი, დრომოჭმული და უინტერესო იყო. სწორედ ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენიდან გამომდინარე, წერა მუდამ უაღრესად პირად საქმედ მიმაჩნდა.

პირადი საქმე არამც და არამც არ გამორიცხავს სერიოზულობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ელერდა ქვეყანაში, სადაც სერიოზულად მხოლოდ სიცრუეს ეკიდებოდნენ. ქვილოსოფიური აქსიომა სამყაროს განსაზღვრავს, როგორც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს. მაგრამ, 1955 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უეცრად მივხვდი, რომ არსებობდა ერთადერთი სინამდვილე და ეს სინამდვილე მე ვიყავი; ეს სინამდვილე იყო სიცოცხლე — ჩემთვის ნაბობები ეს ფაქიზი, განუსაზღვრელი ხანგრძლივობის საჩუქარი, რომელიც გარეშე, უცნობ ძალებს მიეტაცებინათ, გაეეროვნულებინათ, განესაზღვრათ და ბეჭდით დაემტკიცებინათ. მივხვდი, ეს სიცოცხლე იმ საზარელი მოლოქისათვის უნდა გამომეგლიჯა, რომელსაც ისტორიას უწოდებენ: იგი მხოლოდ მე

მეკუთვნოდა და ამ სიცოცხლით უნდა შესარგებლა.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი მცდელობა რადიკალურად მაპირისპირებდა ყოველივე იმასთან, რაც გარს მეკრა, იმ სინამდვილესთან, რომელიც ობიექტური შეიძლება არა, მაგრამ უცილობელი კი ნამდვილად იყო. მე ვლაპარაკობ კომუნისტურ უნგრეთზე, სოციალიზმზე, რომელიც ადამიანებს სხივმოსილ მომავალს ჰპირდებოდა. თუკი სამყარო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილეა, მაშინ ინდივიდი სხვა არაფერია, თუ არა საგანი — მათ შორის, საკუთარი თავისთვისაც, მისი ცხოვრების ისტორია კი მხოლოდ და მხოლოდ იმ ისტორიულ შემთხვევითობათა უთავბოლო თანმიმდევრობაა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ უყუროს, რადგან ეს შემთხვევითობანი მასთან კავშირში არაა. ინდივიდი ამჟამად დაშვრება, თუკი მათ გამართვა-მოწესრიგებას შეეცდება: მისი სუბიექტური „მე“ ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას იმ მეტისმეტად ობიექტურ ელემენტებზე, რომელიც შეიძლება აქ აღმოჩნდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1956 წელს, უნგრეთში რევოლუციამ იფეთქა. მხოლოდ ერთხელ, და ისიც ხანმოკლე დროით, ქვეყანა სუბიექტური გახდა, მაგრამ საბჭოთა ტანკებმა მალევე აღადგინეს ობიექტურობა.

თუ გეჩვენებათ, რომ ირონიული ვარ, მაშინ ვთხოვთ, იმაზე იფიქროთ, რა ბედი ეწია ენას XX საუკუნეში, რად იქცნენ სიტყვები. ჩემი აზრით, სინამდვილესთან ახლოს დგას მოსაზრება, რომლის თანახმადაც ჩვენი დროის მწერალთა ყველაზე მნიშვნელოვანი და იმავდროულად ყველაზე თავზარდამცემი აღმოჩენა ის გახლავთ, რომ ძველი

კულტურისაგან შემკვირვებით მიღებულ ენას, უბრალოდ, არ ძალუძს რეალური პროცესების, ოდესღაც მარტივი ცნებების გამოხატვა. გაიხსენეთ კაფკა, გაიხსენეთ ჯორჯ ორელი, რომელთაც ამის მოწმენი გახდნენ, თუ [რადგან] შეადნათ ხელში ძველი ენა, თითქოსდა ცეცხლში შეედოთ, რათა შემდეგ ფერფლი ეჩვენებინათ — ფერფლი, რომელშიაც ახალი, მანამდე უცნობი სატები იბადებოდნენ.

მაგრამ, მინდა დავუბრუნდე ჩემს უაღრესად პირად საქმიანობას ანუ წერას. აქ ზოგიერთი ისეთი კითხვა წამოიჭრება, რომელიც ჩემნაირ მდგომარეობაში მყოფმა ყველა ადამიანმა თავის თავს შეიძლება არც კი დაუსვას. ჟან-პოლ სარტრმა, მაგალითად, მთელი ბროშურა მიუძღვნა იმ საკითხის გარკვევას, თუ ვისთვის წერენ. საკითხი საინტერესოა, მაგრამ შეიძლება სახიფათოც იყოს. მე კი, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მადლიერი ვარ ცხოვრებისა იმის გამო, რომ ამაზე ფიქრი არასდროს დამჭირვებია. ვნახოთ, რაში მდგომარეობს საფრთხე. თუ მწერალი მიზანში ამოიღებს რომელიმე სოციალურ კლასს, რომელიც არა მარტო უნდა გაართოს, არამედ მასზე გარკვეული ზეგავლენაც უნდა მოახდინოს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მხედველობაში მიიღოს თავისი სტილი და საკუთარ თავს ჰკითხოს, შეესაბამება თუ არა ის დასახულ მიზანს. მალე მწერალს ეჭვები იპყრობს? პრობლემა ის გახლავთ, რომ ამის შემდეგ იგი გამუდმებით საკუთარ თავს უნდა აკვირდებოდეს. უფრო მეტიც, საიდან უნდა იცოდეს მწერალმა, რას ელის მისგან მკითხველი, მართლა რა მოსწონს ან არ მოსწონს ამ უკანასკნელს? ხომ არ შეიძლება, ადგეს

და ყოველი მკითხველი გამოკითხოს? თუმცა, ეს არაფერს მოუტანს. საბოლოო ჯამში, მწერლის ერთადერთი შესაძლო ათვლის წერტილი არის ის აზრი, რომელიც თავად მას, მწერალს აქვს მკითხველზე, ის ეფექტი, რომელსაც საპაპლ მწერალ ზემო იქონიებს მის მიერ მიზნად დასახული ზეგავლენა. მაშ ვისთვის წერს მწერალი? პასუხი ნათელია: საკუთარი თავისთვის.

შემიძლია დანამდვილებით განვაცხადო, რომ თავად მე ამ პასუხთან პირდაპირ მივედი. მართლაც, ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მარტივად იყო: მე არც მკითხველი მყავდა და არც გავლენის მოხდენას ვესწრაფოდი ვინმეზე. წერა რომ დავიწყე, კონკრეტული მიზანი არ მქონია — ასე რომ, რასაც ვწერდი, კონკრეტულად არავისადმი არ იყო მიმართული. მართალია, წერის პროცესში ნათლად გამოხატული მიზანი არ მქონდა, მაგრამ ის მაინც ვიცოდი, რომ ჩემი სიუჟეტისათვის სიზუსტე უნდა შემენარჩუნებინა ფორმისა და ენის თვალსაზრისით — ეს იყო და ეს. ამის განსაზღვრადაზუსტებას დიდი მნიშვნელობა მქონდა იმ სასაცილო, მაგრამ მწუხარებით აღსავსე ხანაში, როცა ე. წ. ანგაჟირებული ლიტერატურა სახელმწიფოს მიერ იმართებოდა.

სამაგიეროდ, მაშინ მე უფრო გამიჭირდებოდა პასუხის გაცემა ამ სრულიად სამართლიანად და გარკვეული სკეპტიციზმით დასმულ კითხვაზე: რატომ წერენ. კვლავ გავიმეორებ: მე გამიმართლა, რადგან ამ საკითხის გადაჭრის მიზეზი არასოდეს მქონია. თუმცა, ეს ამბავი ზუსტად და შეულამაზებლად მოთხრობილი ჩემს რომანში „უარყოფა“. ერთ დღეს, როდესაც ერთ-ერთი ადმინისტრაციული შენობის

ცარიელ დერეფანში ვიმყოფებოდი, პერპენდიკულარული დერეფნიდან ნაბიჯების სმა შემომესმა — ეს არის და ეს. უჩვეულო მღელღარებში მომიცვა: ნაბიჯების სმა — ეს ერთადერთი ადამიანის ნაბიჯები იყო, რომელსაც ვერ ვხედავდი — ჩემი მიმართულებით მოდიოდა; უეცრად, მომეჩვენა, თითქოს ასობით ათასი ადამიანი მოაბიჯებდა, თითქოს დერეფანში მთელი კოლონიის ნაბიჯები ხმიანობდა. სწორედ მაშინ ვივრძენი ამ მარშის, ამ ნაბიჯთა მიზიდულობის ძალა — იქ, იმ დერეფანში, სულ რაღაც ერთ წამში მივსვდი, თურას ნიშნავს თავდავიწყებით გამოწვეული თრობა, ის თავბრუდამხვევი განცდა, ადამიანს მასასთან შერწყმისას რომ ეუფლება, რასაც ნიცშე — რასაკვირველია, სხვა კონტექსტში, მაგრამ ძალზე მართებულად — დიონისურ ექსტაზს უწოდებს. თითქმის ფიზიკური ძალა მიბიძგებდა, რიგებისაკენ მიზიდავდა და ვივრძენი — კედელს უნდა მივყრდნობოდი, მთელი ძალით უნდა გავკროდი, რომ ამ მიზიდულობისთვის არ დამეთმო.

ამ მძლავრ წუთს ისე გადმოგცემთ, როგორც განვიცადე; წყარო, საიდანაც მან ზმანებასავით ამოხეოქა, ჩემს გარეთ იყო და არა ჩემში. ამგვარი წუთები ყოველ ხელოვანს განუცდია. ადრე ამას მოულოდნელ შთაგონებას ეძახდნენ, მაგრამ იმას, რაც განვიცადე, მხატვრულ გამოცდილებათა რიცხვს ვერ მივაკუთვნებ. ეს უფრო ეგზისტენციური გაცნობიერება იყო, რომელმაც ჩემი ხელოვნება კი არ აღმომაჩენინა — მისი ინსტრუმენტების ძიება მე კიდევ დიდხანს მომიწია, — არამედ ჩემი ცხოვრების რეალობა, ცხოვრებისა, რომელიც თითქმის დაკარგული იყო. საქმე ეხებოდა მარ-

ტოობას, ძალზე მძიმე ცხოვრებას, იმას, რაზედაც დასაწყისში ვილაპარაკე: თავი უნდა დამელწია თრობის მომგვრელი კორტეჟისათვის, იმ ისტორიისათვის, რომელიც ადამიანს პიროვნულობასა და ბედს ართმევს. შეძრწუნებულმა დავადგინე, რომ ნაცისტური ბანაკებიდან ათი წლის წინ დაბრუნებულს და, ასე ვთქვათ, ცალი ფეხით სტალინური ტერორის პიპნოზში მყოფს, ამ ყველაფრიდან ბუნდოვანი შთაბეჭდილებებისა და რამოდენიმე ანეგდოტის გარდა აღარაფერი დამრჩა. თითქოს ეს ყველაფერი მე კი არა, სხვა ვიღაცას გადახდენოდა.

ცხადია, ამ წარმოსახვით მომენტებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის წყაროდ ზიგმუნდ ფროიდი ჩახშობილ სულიერ ტრავმას დაასახელებდა. ვინ იცის, შეიძლება მართალიც ყოფილიყო. პოდა, მეც უფრო რაციონალურობისაკენ ვიხრები და ყოველგვარი მისტიციზმისა თუ აღმაფრენისგან შორს ვარ: როცა ვლაპარაკობ ზმანებაზე, ვგულისხმობ იმ სინამდვილეს, რომელმაც ზებუნებრივის ფორმა მიიღო, კერძოდ კი — მოულოდნელ, შეიძლება ითქვას, რევოლუციურ აღმოჩენას იმ იდეისას, რომელიც ჩემში მწიფდებოდა. მე ვგულისხმობ იმას, რასაც გამოსატავს ანტიკური წამოძახილი „ევრიკა!“. „მე ვიპოვე!“. პო მაგრამ, რა?

ერთ დღეს ვთქვი, რომ სოციალიზმს ჩემთვის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ჩაიში ჩაწობილ ბისკვიტს მარსელ პრუსტისთვის, რომელმაც მასში გარდასული დროის მიძინებული გემო გააღვიძა. 1956 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ უნგრეთში დარჩენა გადაწყვიტე, ძირითადად ლინგვისტური მოსაზრებების გამო. ამგვარად, შე-

მეძლო თვალი მედევნებინა — არა როგორც ბავშვს, არამედ უკვე როგორც მოზრდილ ადამიანს — იმისათვის, თუ როგორ მოქმედებს დიქტატურა. ვნახე, როგორ აიძულებენ ადამიანებს უარყოფნი საკუთარი იდეალები, ვნახე მუხუცების დასაწყისი, შემდგომი ფრთხილი ნაბიჯები და მე მივხვდი: იმედი ბოროტების იარაღი იყო, ხოლო ეთიკა — კანტის კატეგორიული იმპერატივი — თვითგადარჩენის მორჩილ მსახურად ქცეულიყო.

შეიძლება ადამიანმა იმაზე დიდი თავისუფლება წარმოიდგინოს, ვიდრე თავისუფლება, რომლითაც მწერალი სარგებლობს შედარებით ლიმიტირებული, ასე ვთქვათ, ძალგამოცლილი, უფრო მეტიც — დაცემის გზაზე მყოფი დიქტატურის დროს? 60-იან წლებში უნგრული კომუნიზმი კონსოლიდაციის იმ საფეხურს მიაღწია, რომელსაც შეიძლება სოციალური კონსენსუსი ეწოდოს და რომელიც მოგვიანებით დასაყლეთმა, ერთგვარი კეთილგახწყობილებით, „გულიამის კომუნიზმად“ მონათლა: თავდაპირველი მტრული დამოკიდებულების შემდეგ, უნგრული კომუნიზმი ერთბაშად დასავლეთის საყვარელ კომუნიზმად იქცა. ამ კონსენსუსის ლაფში ჩაფლულ ადამიანს ერთადერთი ალტერნატივა რჩებოდა: ან საბოლოოდ უარი უნდა ეთქვა ბრძოლაზე, ანდა შინაგანი თავისუფლების ხვეული გზები ეძებნა. მწერალს დიდი მოთხოვნილებანი არა აქვს — მისი ხელოვნებისათვის ფანქარი და ქალაქი კმარა. ზიზლსა და დებრესიას, რომლითაც ყოველ დღით ვიღვიძებდი, იმ სამყაროში შევყავდი, რომლის აღწერაც მინდოდა. მივხვდი, მე აღვწერდი ტოტალიტარიზმის ლოგიკით გასრესილ ადა-

მიანს, მაშინ როცა თავად სხვა, მეორე ტოტალიტარიზმში ვცხოვრობდი. არავითარი ეჭვი არაა, რომ ამან ჩემი რომანის ენა ასოციაციათა აღმძვრელ კომუნიკაციის საშუალებად აქცია. მთელი გულწრფელობით რომ შევაფასო ჩემი მაშინდელი მდგომარეობა, ვერ გეტყვით, დასავლეთის თავისუფალ საზოგადოებაში მოვახერხებდი თუ არა იმავე რომანის დაწერას, რომელიც დღეს ცნობილია სათაურით „იცხოვრო უბედოდ“ და რომელმაც შვეციის აკადემიის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

არა, ვერ მოვახერხებდი, ვინაიდან მე, რასაკვირველია, სხვა საფიქრალი მექნებოდა. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების ძიებაზე ხელს არ ავიღებდი, მაგრამ ეგ უკვე სხვა ჭეშმარიტება იქნებოდა. წიგნისა და იდეების თავისუფალ ბაზარზე, ალბათ, უფრო ბრწყინვალე რომანისეული ფორმის პოვნას ვეცდებოდი: მაგალითად, თხრობას დავანაწევრებდი, რათა მხოლოდ შთამბეჭდავი მომენტები მომეყოლა. ჩემი რომანის გმირი არ ცხოვრობს თავის დროში, რადგან მას წაართვეს დროც, ენაც და პიროვნულობაც. მას არა აქვს მეხსიერება, ის უბრალოდ არსებობს, ასე რომ, საბრალოდ სწორხაზოვნების უფერულ ხაფანგში უნდა იფართხალოს. ჩემს გმირს არ ძალუძს თავი დაიხსნას მტანჯველი წვრილმანებისაგან და დიდი ტრაგიკული მომენტების სანახაობრივი მონაცვლეობის მაგიერ, ყველაფერი უნდა გამოსცადოს საკუთარ თავზე, რაც ძალზე ძნელია და ისევე, როგორც ცხოვრება, არცთუ ისე დიდად მრავალფეროვანი.

მაგრამ ამან საშუალება მომცა გასაოცარი გაკვეთილები მიმეღო. სწორხაზოვნება ყოველი სიტუაციის

სისრულეს მოითხოვს. მან არ მომცა იმის საშუალება, რომ, მაგალითად, მოხდებოდალ გამოსეტოვებინა თუნდაც რაღაც ოცნებითი მონაკვეთი; მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ ამ ოცნებითი მათა სასაფლაოსავით უცხოა და თავზარდამცემს — ჩემს წინ პირქუში უფსკრულივით დაელო ხანა. მხედველობაში მაქვს ის ოცი წუთი, ბირკენაუს საექსტერმინაციო ბანაკის ბაქანზე რომ გავიდა — მანამ, სანამ ვაგონებიდან გამოყრილი ადამიანები იმ ოფიცრის წინაშე წარდგებოდნენ, მათი დახარისხება რომ ევალეზობდა. თავად მე ბუნდოვნად მახსოვდა ის ოცი წუთი, მაგრამ რომანი ბუნდოვან მოგონებებზე დაყრდნობის საშუალებას არ მაძლევდა. გადარჩენილთა თითქმის ყველა ჩვენება, აღიარება და მოგონება, რაც კი ხელში ჩამივარდა და წავიკითხე, ერთხმად იმეორებდა, რომ ყველაფერი ძალზე სწრაფად და დიდ არეულ-დარეულობაში მოხდა: ვაგონის კარებს უხეშად ალებდნენ, გაისმოდა ყვირილი და გაავებული ძაღლების ყეფა, მამაკაცები ცალკე, ქალებისაგან მოშორებით გაკეცავდით; შემდეგ, ჯოჯოხეთურ აურზაურში ირკვეოდა, რომ ისინი თურმე ოფიცრის წინ იდგნენ, რომელიც მათ თვალს შეავლებდა და სელით რაღაცას მიუთითებდა. ეს ადამიანები გონს მოსვლასაც ვერ ასწრებდნენ, რომ უკვე ტყვეების ფორმა ეცვათ.

მე ცოტა სხვაგვარად მახსოვდა ეს ოცი წუთი. უტყუარი წყაროების ქებნა იმით დავიწყე, რომ პირველ რიგში ტადეუმ ბოროვსკის* ნათე-

* ტადეუმ ბოროვსკი (1922-1951) — უნიჭიერესი პოლონელი პოეტი და ნოველისტი (მთარგმნელის შენიშვნა).

ლი, მაზოხისტური სისასტიკით აღ-
ბეჭდილი ნოველები წავიკითხე, მათ
შორის ნოველა „აბა, მარდად გა-
ზისკენ, ბატონებო და ქალბატონე-
ზო!“. შემდეგ ხელში ჩამივარდა ფო-
ტოების სერია, რომელიც ერთ-ერთ
ესესელს გადაელო ბირკენაუს ბა-
ქანზე მატარებლების ჩამოდგომის
დროს. ფოტოები ამერიკელმა ჯა-
რისკაცებმა იპოვეს დახაუში, ესე-
სის ძველ ყაზარმაში. ამ სურათებ-
მა თავზარი დამცა: მე ვიხილე ლა-
მაზი სახეები მომღიმარე ქალებისა,
ახალგაზრდა, კეთილმოსურნეობით
აღსაფსე კაცებისა, მათ მეტყველი
მზერა ჰქონდათ და ჩანდა, რომ მზად
იყვნენ თანამშრომლობისათვის. მა-
შინ გავიგე, როგორ და რატომ წა-
იშალა ამ ადამიანთა მესხიერებიდან
უმოქმედობისა და უძღურების ის
დამამცირებელი ოცი წუთი, და რო-
ცა ვფიქრობდი, რომ დღეების, კვი-
რების, თვეების, მთელი წლების მა-
ნძილზე ერთი და იგივე მეორდე-
ბოდა, მივხვდი, რომ მოქმედებს ში-
შის მექანიზმი; მივხვდი, თუ როგორ
შეიძლება ადამიანური ბუნება ადა-
მიანისავე სიცოცხლის წინააღმდეგ
მიმართო.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი წინ,
აღმოჩენათა სწორხაზოვან გზაზე.
ეს იყო, თუ გნებავთ, ჩემი ევრი-
სტიკული მეთოდი. მალევე მივხვ-
დი, რომ კითხვები — რატომ და
ვისთვის ვწერდი, არ მაინტერესე-
ბდა. ერთადერთი კითხვა მტანჯავ-
და: რა საერთო უნდა მქონოდა ლი-
ტერატურასთან? ცხადი იყო, რომ
გადაულახავი ზღვარი მაშორებდა
ლიტერატურასა და მის იდეალებს,
მის სულისკვეთებას, ამ სადემარკა-
ციო ხაზს კი — ისევე, როგორც
ბევრ სხვა რამეს — სახელად აუშ-
ვიცი ჰქვია. როდესაც აუშვიცზე წე-
რენ, უნდა ვიცოდეთ, რომ მან ლი-

ტერატურა გარკვეულწილად ერთ
ადგილას გაყინა. აუშვიცზე კაცმა
შეიძლება მსალოდ საშინელებათა
რომანი დაწეროს, ანდა — მომიტე-
ვით — გაზერთში დასაბეჭდად გან-
კუთვნილი რომანი გაგრძელებუ-
ბით — რომანი, რომლის მოქმედე-
ბაც აუშვიცში იწყება და დღემდე
გრძელდება. იმის თქმა მინდა, რომ
აუშვიცის შემდეგ არაფერი მომხდა-
რა ისეთი, რაც ხაზს გადაუსვამდა,
დაგვავიწყებდა მას. ჩემს ნაწერებ-
ში პოლოკოსტი არასდროს წარმო-
ჩენილა წარსულ დროში, ის აწმყო-
ში ხდება.

ჩემზე ამბობენ — არ ვიცი, კომ-
პლიმენტია თუ საყვედური, — ეს
კაცი ერთადერთ თემაზე, პოლო-
კოსტზე წერსო. აქ ცუდს ვერაფერს
ვხედავ. რატომ არ უნდა მივიღო,
თუმცა გარკვეული შესწორებებით,
ის ადგილი, ბიბლიოთეკათა შესაბა-
მის თაროზე რომ გამომიყვეს? მარ-
თლაც, რომელია დღეს ისეთი მწე-
რალი, პოლოკოსტს რომ არ ეხმაუ-
რებოდეს? იმის თქმა მინდა, რომ
აუცილებელი არაა თემად მაინც-
დამაინც პოლოკოსტი აირჩიო, რა-
თა შეამჩნიო დისონანსი, რომელიც
ათწლეულებია ევროპის თანამედ-
როვე ხელოვნებაში ბატონობს.
უფრო მეტიც: რამდენადაც მე ვიცი,
არ არსებობს ისეთი ღირებულები, ჭე-
შმარიტი ხელოვნება, სადაც არ
იგრძნობოდეს კოშმარული ღამის
შემდეგ გამოფხიზლებული, სამყა-
როს მომზირალი გატეხილი, თავ-
გზააბნეული ადამიანის გულში გა-
ჩენილი ბზარი. არასდროს ვუცდუ-
ნებივარ იმ აზრს — პოლოკოსტთან
დაკავშირებული საკითხები გერმა-
ნელებსა და ებრაელებს შორის არ-
სებულ გამოუვალ კონფლიქტად მი-
მედო; არასდროს მიფიქრია, რომ
ეს ებრაელთა მარტვილობის ისტო-

რის ერთ-ერთი თავი იყო, რომელიც ლოგიკურად მოსდევდა წინარე გამოცდებს; პოლოკოსტში არც არასდროს დამინახავს გზიდან ისტორიის უეტარი გადასვლა, ებრაელთა სხვა დარბევებზე უფრო დიდი მასშტაბის დარბევა ან კიდევ ებრაული სახელმწიფოს დაარსების წინაპირობა. პოლოკოსტში მე ადამიანური ყოფის პირობა აღმოვაჩინე, იმ დიდი თავგადასავლის უკანასკნელი გაჩერება ვიცანი, რომელსაც ევროპა მიადგა კულტურისა და მორალის ორიათასწლიანი ისტორიის ბოლოს.

ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, წინ როგორ წავიდეთ, როგორ გავცდეთ ამ გაჩერებას. აუშვიცის პრობლემა იმის ცოდნა-არცოდნაში არ მდგომარეობს, საზი უნდა გადავუსვათ მას თუ არა, უნდა გვახსოვდეს თუ პირიქით — ისტორიის შესაბამის უჯრაში ჩავკეტოთ, ან კიდევ — უნდა ავუგოთ თუ არა ძეგლები მილიონობით მსხვერპლს და რა ძეგლი უნდა ავუგოთ. აუშვიცის ჭეშმარიტი პრობლემა ის გახლავთ, რომ იგი მოხდა და ჩვენ, სამყაროს კეთილი ან იქნებ ყველაზე ბოროტი ნებითაც კი, ვერაფერს შევცვლით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს მტანჯველი ფაქტი ყველაზე კარგად უნგრელმა კათოლიკე პოეტმა, იანოშ პილინსკიმ* დაახასიათა, როცა მას „სკანდალი“ უწოდა. პოეტს, ცხადია, იმის თქმა უნდოდა, რომ აუშვიცი ქრისტიანული კულტურის წინააღმდეგ მოხდა, რის გამოც მეტაფიზი-

* მეორე მსოფლიო ომში ნანახმა საშინელებებმა, კერძოდ, საკონცენტრაციო ბანაკებმა, წარუშლელი კვალი დატოვა იანოშ პილინსკის (1921-1981) პოეზიაში (მთარგმნელის შენიშვნა).

კური გონისთვის ის კვლავ ღია ჭრილობად რჩება.

ძველი წინასწარმეტყველებანი ამბობენ, ღმერთი მოკვდაო. არავითარი ეჭვი არაა, აუშვიცის შემდეგ ჩვენ საკუთარი ფაქტის განხილვა და ვერჩით. შეუპოვარი, თუმცა უხილავი ეთიკური შრომა გავწიეთ, რათა ნელ-ნელა ჩვენი ღირებულებები შეგვექმნა — ამ ღირებულებებმა ახალი ევროპული კულტურა უნდა შობოს. ის ფაქტი, რომ შვეციის აკადემიამ მართებულად ჩათვალა, სწორედ ჩემი შემოქმედება გამოერჩია და დაეფასებინა, ცხადად მეტყველებს: ევროპას კვლავ სჭირდება იმ გამოცდილების შეხსენება, რომლის მიღებაც პოლოკოსტიდან გადარჩენილ ადამიანებს აიძულეს. ჩემს თვალში ეს, ნება მომეცით, გითხრათ, სიმამაცის, უფრო მეტიც — ერთგვარი სიმტკიცის ნიშანია; ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ჩემი აქ ჩამოსვლის მსურველებმა წინასწარ არ იცოდნენ ის, რასაც ამ ტრიბუნიდან ვიტყოდი. მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილებითა** და „საკონცენტრაციო სამყაროთი“ გაცხადებულმა ჭეშმარიტებამ არ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, თვითგადარჩენისა და შემოქმედებითი ძალების შენარჩუნების ერთადერთი საშუალება კი სწორედ ამ ნულოვანი წერტილის აღმოჩენაა. რატომ არ უნდა იყოს ნაყოფიერი ეს ცხადი ჭეშმარიტება? დიდი აღმოჩენების უკან — მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდ ტრაგედიებს ემყარებიან — მუდამ ყველაზე დიდი ევროპული ფასეულობა დგას, კერძოდ კი — თავისუფლებისაკენ

** ნაციისტურ ტერმინოლოგიაში, ებრაელთა და ბოშათა განადგურების გეგმა (მთარგმნელის შენიშვნა).

ლტოლვა, რომელიც ჩვენს ცხოვრებას მეტ ფასს სძენს, უფრო მეტად ამდიდრებს, იმავდროულად კი ჩვენი არსებობისა და პასუხისმგებლობის სინამდვილეს გვაცნობიერებინებს.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ შემძლია ეს ფიქრები უნგრულად — ჩემს მშობლიურ ენაზე გადმოვცე. მე ბუდაპეშტში, ებრაულ ოჯახში დავიბადე. დედაჩემი წარმოშობით ტრანსილვანიის ქალაქ კოლოჟვარიდან* იყო, ხოლო მამა — ბალატონის სამხრეთ-დასავლეთი მხარიდან. ბაბუაჩემი და ბებიაჩემი პარასკეობით, სალამოს, შაბაშის აღსანიშნავად უწინდებურად ანთებდნენ სანთლებს, თუმცა გვარი უკვე უნგრულად ჰქონდათ გადაკეთებული, შესაბამისი ჟღერადობა რომ შეეძინა. ამიტომ, მათთვის სავსებით ბუნებრივი იყო საკუთარ რელიგიად იუდაიზმი მიეჩნიათ, ხოლო სამშობლოდ — უნგრეთი. დედაჩემის მშობლები პოლოკოსტმა იმსხვერპლა, მამაჩემისა კი მატიაშ რაკოშის კომუნისტურმა რეჟიმმა შეიწირა მას შემდეგ, რაც ებრაელ მოხუცთა თავშესაფარი ბუდაპეშტიდან ჩრდილოეთ საზღვრისაკენ გადაიტანეს. მე მგონი, ეს მოკლე ოჯახური ისტორია აჯამებს და, იმავდროულად, სიმბოლურად გამოხატავს ამ ქვეყნის მიერ ახლახან გადატანილ უბედურებას. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ მწუხარებაში არა მარტო სიმწარე, არამედ გასაოცარი მორალური თავმდაბლობაც იმალება. რას ნიშნავს იყო ებრაელი? მე ვფიქრობ, დღეს ებრაელობა კვლავ მო-

რალურ მოვალეობად იქცა. პოლოკოსტმა შექმნა კულტურა, ამ კულტურის მიზანი კი შეძლება მხოლოდ ერთი რამ იყოს: გამოუსწორებელმა სინამდვილემ სულიერი რეგენერაცია ანუ კათარზისი უნდა შვას. სწორედ ამ სურვილმა შთაბამონა ყველაფერი, რაც კი ოდესმე შემიქმნია.

თუმცა ჩემი სიტყვა დასასრულს უახლოვდება, გულწრფელად უნდა ვაღიარო: ჩემს ცხოვრებას, შემოქმედებასა და ნობელის პრემიას შორის ჯერაც ვერ მიპოვია ისეთი წონასწორობა, სიმშვიდეს რომ მომიტანდა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობ — ღრმა მადლიერებას: მადლიერი ვარ იმ სიყვარულისა, რომელმაც მიხსნა და კვლავ ამქვეყნად მაძლებინებს. მაგრამ დავუშვათ, რომ ძლივს შესამჩნევ გავლილ გზაზე ანუ ჩემს „კარიერაში“ — თუკი გავბედავ და ასე ვიტყვი, არის რაღაც შემაშფოთებელი, რაღაც აბსურდული: ეს არის ის, რაც აზრდაც არ მოგივა, თუკი ზებუნებრივი წესრიგის, განგების, მეტაფიზიკური სამართლიანობის არსებობა არ ირწმუნე, ე. ი. თუკი არ შეცდი და ამ შემთხვევაში ჩიხში არ შეხვედი, არ დაკარგე ის ღრმა, მტკივნეული კონტაქტი, მილიონობით დაღუპულ, არშებრალეებულ ადამიანთან რომ გაკავშირებს. ძნელია იყო გამონაკლისი და თუ ბედი გამონაკლისად გვაქცევს, უნდა დავემორჩილოთ შემთხვევითობის აბსურდულ, სიკვდილით დამსჯელი რაზმივით ცვალებად წესრიგს, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს არაადამიანური ძალებისა და საზარელი ტირანების საკუთრებად აქცევს.


მაგრამ, როდესაც აქ გამოსასვლელად ვემზადებოდი და ამ სიტყვას ვწერდი, ერთი ძალზე უცნა-

* რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკას უნგრული სახელი (მთარგმნელის შენიშვნა).

ერი ამანათი მივიღე, რომელმაც
 არკვეულწილად სიმშვიდე დამიბ-
 რუნა. ერთ დღეს ფოსტით კრაფ-
 ტის ქაღალდის დიდი კონვერტი მი-
 იღე — კონვერტი ბუნენვალდის
 შემორიალის დირექტორმა, ბატონ-
 მა ფოლკჰარდ კნიგემ გამომიგზავ-
 ნა. თავის გულითად მოლოცვებს
 მან კიდევ ერთი, უფრო მცირე ხო-
 მის კონვერტიც დაურთო, წერილ-
 ში კი ზუსტად მიუთითებდა, თუ რა
 იდო შიგნით — იმ შემთხვევისათ-
 ვის, მის გასახსნელად ძალა რომ არ
 მყოფნოდა. კონვერტში იდო ერთ-
 ერთი გვერდის ასლი პატიმართა
 ყოველდღიური აღრიცხვის რეესტ-
 რიდან, ფურცელი კი 1945 წლის 18
 თებერვლით იყო დათარიღებული.
 გვეტში, რომელსაც თავში ეწერა
 „Abgänge“ ანუ „დანაკარგები“,
 ერთ-ერთი პატიმრის სიკვდილის ამ-
 ბავი შევიტყვე. ეს იყო პატიმარი
 რომერი სამოცდაოთხი ათას ცხრაას
 ოცდაერთი, იმრე კერტესი, დაბა-
 ბებული 1927 წელს, ებრაელი,
 პროფესიით მუშა. ორი არასწორი
 მონაცემი, კერძოდ — ჩემი დაბა-
 ბების წელი და პროფესია, იმ ფაქ-
 ტით აიხსნება, რომ როდესაც ბუ-
 ნენვალდის საკონცენტრაციო ბანა-
 კის ადმინისტრაცია ჩვენს რეგისტ-
 რაციას აწარმოებდა, მე ორი წელი
 მოვიმატე, ბავშვებს შორის რომ არ
 მოვხვედრილიყავი, თანაც დავიჭი-

ნე, მუშა ვარ-მეთქი (სინამდვილეში
 ლიცეუმის მოწაფე ვიყავი) — ბა-
 ნაკის ხელმძღვანელობა ასე მეტი
 სარგებლობის მომტანად ჩამთული-
 და.

ამრიგად, მე ერთხელ უკვე მოვ-
 კვდი, რათა სიცოცხლის გაგრძელე-
 ბის საშუალება მქონოდა — ალბათ
 სწორედ ესაა ჩემი ნამდვილი ისტო-
 რია. რაკი ასეა, ჩემს შემოქმედებას,
 რომელსაც სათავე ამ ბავშვის სი-
 კვდილმა დაუდო, ვუძღვნი იმ მი-
 ლიონობით დაღუპულ ადამიანს და,
 საერთოდ, ყველას, ვისაც კვლავ ახ-
 სოვს ისინი. მაგრამ, რადგან საქმე
 საბოლოო ჯამში ლიტერატურას
 ეხება — ლიტერატურას, რომელიც
 თქვენი აკადემიის განსაზღვრებით,
 ასევე მოწმედ გამოსვლის აქტიცაა,
 ჩემმა შემოქმედებამ შეიძლება სა-
 რგებლობა მოუტანოს მომავალ თა-
 ობებს. უფრო მეტსაც ვიტყვი: გუ-
 ლი მიგრძნობს, რომ ეს ლიტერატუ-
 რა მომავლის სამსახურში ჩადგება.
 ამას იმიტომ ვამბობ, რომ აუშვი-
 ცის მატრავმირებელ შემოქმედება-
 ზე როცა ვფიქრობ, ასე მგონია,
 ადამიანის სიცოცხლისუნარიანო-
 ბისა და შემოქმედებითი ნიჭის ფუ-
 ნდამენტურ საკითხებს ვეხები, ხო-
 ლო როცა აუშვიცზე ასე ვფიქრობ,
 ალბათ, პარადოქსია, მაგრამ თვალ-
 წინ უფრო მეტად მომავალი მიდ-
 ვას, ვიდრე წარსული.





ფიქრები ბილიოტინაზე

აღუიროში პირველ მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე სიკვდილი მიესაჯა მკვლელს, რომელმაც შემზარავი დანაშაული ჩაიდინა (მან ბავშვებიანად ამოჟლიტა ფერმერის ოჯახი). ეს ჩაიდინა რაღაც გაცხარების, გაშმაგების დროს, მაგრამ ხვედრი გაძარცვით დაიმძიმა. ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ გილიოტინის დანით სიკვდილი მეტისმეტად რბილი სასჯელი იყო მტარვალისთვის. ასე ფიქრობდა მამაჩემიც, რომელიც განსაკუთრებით ბავშვების დახოცვამ აღაშფოთა. მე მამაჩემი ცოტა რამით მახსოვს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი: მან თავის სიცოცხლეში პირველად ისურვა სიკვდილით დასჯის ნახვა. უთენია ადგა და გაემართა სიკვდილით დასჯის ადგილისკენ — ქალაქის მეორე ბოლოსკენ, სადაც ხალხი უკვე შეკრებილი იყო. ის, რაც იქ ნახა, მამაჩემს არავისთვის უამბუნია. დედაჩემი ჰყვებოდა: ის სახლში შემოვარდა შეძრწუნებული, არანაირ კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, შემდეგ საწოლზე გაიშხლართა და უცებ აღებინა. იმ დღით მისთვის გაცხადდა ხმამაღალი სიტყვებით დაფარული სიმართლე. ის ფიქრობდა არა ყელგამოჭრილ ბავშვებზე, არამედ მხოლოდ მოფართხალე სხეულზე კაცისა, რომელიც ხის ფიცარნაგზე გადმოაგდეს და თავი მოკვეთეს.

ეს რიტუალი ნამდვილად საზარელია, თუკი მან ასეთი დასჯის აუცილებლობაში დარწმუნებული უბრალო და პატიოსანი ადამიანის ზიზღი გამოიწვია. საკმაოდ ძნელია იმის მტკიცება, თითქოს უმაღლესი მართლმსაჯულება მხარს უჭერდეს სიმშვიდესა და წესრიგს, როცა მისი აქციისგან ცუდი დღე ადგება იმ ყველაზე პატიოსან ადამიანს, რომლის დაცვაცა აქვს მას დაკისრებული. ირკვევა, რომ თავად მართლმსაჯულება არანაკლებ შემზარავი რამაა, ვიდრე ჩადენილი ბოროტება, და ახალი მკვლელობა სულაც არ ჩამორეცხავს საზოგადოებას მისთვის მიყენებულ შეურაცხყოფას, არამედ წინანდელ ლაქას კიდევ ახალ ლაქას დაუმატებს. ეს ჭეშმარიტი სიმართლეა და ვერავინ ბედავს ამ საშინელ ცერემონიაზე პირდაპირ ლაპარაკს. მოხელეებმა და ჟურნალისტებმა, რომლებსაც სამსახურებრივი მოვალეობით უხდებათ სიკვდილით დასჯაზე საუბარი, თითქოს გრძნობენ, რომ ეს სათაკილო, სამარცხვინო საქმეაო, მოიგონეს სტერეოტიპულ ფორმულებამდე დაყვანილი შესატყვისი რიტუალიური ენა. და, აი, საუზმობისას პატარა საგაზეთო ცნობაში ვკითხულობთ, რომ მსჯავრდებულმა „თავისი ვალი დაუბრუნა საზოგადოებას“, ან „დანაშაული გამოიხიდა“, ან, რომ „განაჩენი ხუთ სა-

ათში სისრულეში იქნა მოყვანილი“.

სიკვდილით დასჯას ჩვენ, უკაც-
რაული პასუხია და, ხმადაბლა ვაც-
ხადებთ. ჩვენს ცივილიზებულ სა-
ზოგადოებაში ვაღიარებთ, რომ
ავადმყოფობა მაშინაა საშიში, რო-
ცა მასზე პირდაპირ ლაპარაკს ვერ
ვხედავთ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში
დიდხანს იფარგლებოდნენ ევფემი-
ზმებით — უფროს ქალიშვილს
„სუსტი მკერდი“ აქვსო, მამას —
„სიმსივნე“ სჭირსო, — რადგან
ჭლექი და კიბო რამდენადმე სათა-
კილო ავადმყოფობებად ითვლებო-
და. ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო
უდაოა, თუკი საუბარი სიკვდილით
დასჯას ეხება: ყველანი ცდილობენ
მასზე ქარაგმულად ილაპარაკონ.
საზოგადოებრივი ორგანიზმისთვის
ის იგივეა, რაც კიბო ადამიანის ორ-
განიზმისთვის, ოღონდ, ერთი გან-
სხვავებით — კიბო არავის არასო-
დეს ჩაუთვლია აუცილებელ რამედ,
სიკვდილით დასჯას კი უყოყმანოდ
წარმოადგენენ როგორც სავალალო
აუცილებლობას, რომელიც აკანო-
ნებს მკვლელობას, რაკი ის აუცი-
ლებელია, მაგრამ რომელზეც დუ-
მან, რაკი ის სავალალო რამაა.

მე, პირიქით, ვაპირებ მასზე პი-
რდაპირ, აშკარად ვილაპარაკო. არა
სკანდალის სიყვარულის და, ვფიქ-
რობ, არა ჩემი ნატურის არაჯან-
სალი მიდრეკილების გამო. მაგრამ
როცა გაჩუმება ან სიტყვიერი სრი-
კები ამაგრებენ ცდომილებებს, რო-
მელთა მოსპობაა საჭირო, ან არსე-
ბობს ტანჯვა, რომლის შემსუბუ-
ქება შეიძლება, არის ერთი გამო-
სავალი: ნათლად ლაპარაკი და სი-
ტყვეებით უგვანობის ჩვენება.

საფრანგეთს, იტალიასა და ინგ-
ლისთან ერთად, აქვს პატივი ეკუთვ-
ნოდეს რკინის ფარდის ამ მხარეს
იმ უკანასკნელი ქვეყნების რიცხვს,
რომლებმაც რეპრესიების თავის არ-

სენალში სიკვდილით დასჯა შეინარ-
ჩუნა. ის, რომ ეს პირველყოფილი
რიტუალი არსებობს, ჩვენში სიკვ-
დილით დასჯაზე მხოლოდ დაჩვეუ-
ლი, შაბლონური ფრაზებით მორეა-
გირე საზოგადოების უპასუხისმგებ-
ლობისა და უვიცობის შედეგია. რო-
ცა წარმოსახვას ძინავს, სიტყვე-
ბი აზრს კარგავენ: ყრუ ხალხი ადა-
მიანისთვის გამოტანილ სიკვდილის
განაჩენს ვერ ისმენს. მაგრამ ბრბოს
გილიოტინას თუ უჩვენებთ, ხელს
თუ მოაკიდებინებთ მისი ხისა და
რკინის ნაწილებისთვის, მოკვეთილი
თავის კაკუნს თუ მოასმენინებთ,
საზოგადოების ანაზღეულად გამო-
ღვიძებული წარმოსახვა სიკვდი-
ლით დასჯას უარყოფს და არც მას-
ზე უხამს ფრაზებს შეიწყნარებს. სა-
ჭირო არაა სიკვდილით დასჯის აუ-
ცილებლობაზე ლაპარაკის მოშლა
და მის ბუნებაზე გაჩუმება, პირი-
ქით, საჭიროა იმის ახსნა, თუ რას
წარმოადგენს ის სინამდვილეში,
და შემდეგ გადაწყვეტა იმისა, შეიძ-
ლება თუ არა ის ამჟამინდელი თა-
ვისი სახით აუცილებელ მოვლენად
ჩაითვალოს.

ჩემი რწმენით, სიკვდილით დასჯა
არა მარტო უსარგებლოა, არამედ
უკიდურესად მავნებელიცაა, — ამას
შევნიშნავ ერთბაშად, ახლავე, ვი-
დრე უშუალოდ საქმის არსზე გა-
დავსულვარ. უპატიოსნობა იქნებო-
და, მკითხველი მერწმუნებინა, თი-
თქოს მე ამ საკითხთან მხოლოდ ხა-
ნგრძლივი და დეტალურად შესწავ-
ლის მერე მივედი. მაგრამ ასევე
უპატიოსნება იქნებოდა, რომ ჩემი
ეს რწმენა მხოლოდ მოჩვენებითი
მგრძნობიარობისთვის მიმეწერა.
პირიქით, მე ძალზე შორს ვდგავარ
იმ გულის აჩვილებისგან, რომელიც
აგრერიგ უყვართ ჰუმანისტებს, —
ეს ერთმანეთთან ათანაბრებს ფასე-
ულობებს, აბუნდოვანებს, ამქრქა-

ლებს პასუხისმგებლობის გრძნობას, უდანაშაულოს უფლებებს ართმევს. ბევრი ჩემი სახელოვანი თანამედროვისგან განსხვავებით, მე ადამიანს არ ვთვლი მისი ბუნებით საზოგადოებრივ არსებად. მართალი რომ ვთქვა, მე სხვაგვარად ვფიქრობ. მაგრამ მივიჩნევ — და ეს ერთი და იგივე სულაც არაა — რომ ადამიანს დღეს არ შეუძლია საზოგადოების გარეშე ცხოვრება: საზოგადოების კანონები აუცილებელია ადამიანის ფიზიკური გადარჩენისთვის. მაშასადამე, საჭიროა, რომ პასუხისმგებლობას აწესებდეს თავად საზოგადოება ეფექტურობის გონივრული სკალით, კანონი კი თავის უმაღლეს შეფასებას პოულობს სიკეთეში, რომელსაც ის ჰქმნის, ან არ ჰქმნის საზოგადოების სასარგებლოდ. ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯის მომხრეთა მთავარი არგუმენტია სასჯელის დამმოდვრებლობა. საჭიროა არა მხოლოდ დამნაშავის დასჯა, მისთვის თავის მოკვეთა, არამედ ამ საშინელი მაგალითით იმათი დაშინებაც, ვინც სიკვდილით დასჯილის, თავმოკვეთილის მიბაძვას შეეცდება. საზოგადოება შურს არ იძიებს, მას მხოლოდ გაფრთხილება სურს. ის საზოგადოებას მოკვეთილი თავით აშინებს, რათა პოტენციურმა მკვლელებმა ნახონ, რაც ელოდებათ და უკან დაიხიონ. ეს არგუმენტი იმოქმედებდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომ არ გვეღიარებინა ეს გარემოებები:

1. საზოგადოებას თავად არ სჯერა სასჯელის ყბადალებული დამმოდვრებლობა.

2. დამტკიცებული არაა, რომ სიკვდილით დასჯის მუქარას დანაშაულებრივ განზრახვაზე ხელი აედებინოს თუნდაც ერთი ბოროტგანზრახველისთვის, მაშინ, როცა ათასობით დამნაშავე აშკარად შეპყრო-

ბილია დანაშაულის ჩადენის განზრახვით.

3. ყველა სხვა ვითარებაში სიკვდილით დასჯა მხოლოდ საძაგელი მოვლენაა, რომლის შედეგების წინასწარმეტყველებაც შეუძლებელია.

ლიახ, საზოგადოებას არ სჯერა ის, რასაც ამბობს. სხვაგვარად ადამიანს სიკვდილით საჯაროდ დასჯი-
დნენ.

სიკვდილით დასჯის უდიდესი, უაღრესი დამმოდვრებლობისთვის საჭირო იქნებოდა მათი ისეთივე რეკლამირება, როგორი რეკლამაც უკეთდება სახელმწიფო სესხებს ან ახალი მარკის აპერატივებს (აპერატივები—სუსტი სპირტიანი სასმელები, რომლებსაც მადის აღსაძვრელად სვამენ — მთარბ.), მაგრამ ცნობილია: ჩვენთან სიკვდილით სჯიან არა მოედანზე, არამედ ციხეების ეზოებში, რამდენიმე თანამდებობრივი პირის დასწრებით. როგორ შეიძლება დამმოდვრებელი იყოს მკვლელობა, რომელიც ციხის კედლებში ფაცაფუციტ, ღამით ხდება? მისი მეოხებით მხოლოდ ისაა შესაძლებელი, რომ პერიოდულად ეუწყოს მოქალაქეთ, რომ ისინი მოკვდებიან, თუ მკვლელობას ჩაიდენენ. ასეთი მომავალი, სავსებით შესაძლებელია, ელოდეთ იმათაც, ვისაც არავინ მოუკლავს. მხოლოდ დანაშაულის საზარლობაა ამ სასჯელის დამმოდვრებლობის გირაო. ჩვენ გვინდა პოტენციურ დამნაშავეს ყოველთვის ახსოვდეს სასჯელი, რათა მისმა შიშმა იმთავითვე შეუშალოს ხელი მის უაზრო განზრახვას, შემდეგ კი საერთოდ აიძულოს ის, რათა ამ განზრახვაზე უარი თქვას? მაშინ საჭიროა ღრმად, ყოველ სულში მთელი შესაძლებელი თვალსაჩინოებით აღიბეჭდოს სიკვდილით დასჯის საშინელი რეალობა.

და იმის მაგივრად, რომ ბუნდოვანად ვილაპარაკოთ მოვალეობაზე, რომელიც ვილაპარაკებ ამ დღით აღასრულა საზოგადოების წინაშე, ხომ არ აჯობებდა ამ შესანიშნავი შემთხვევით გვესარგებლნა და ყოველი გადასახადის გადამხდელს დეტალურად შეახსენონ, რა ელოდება მას? ნაცვლად გაცვეთილი ფრაზისა: „თქვენ თუ ადამიანს მოკლავთ, ემაფოტზე დაიღუპებით“, — რატომ არ ვუთხრათ მათ დამოძღვრების მიზნით: „თქვენ თუ ადამიანს მოკლავთ, თვეობით, შესაძლოა, წლობითაც ჩაგსვამენ ციხეში; თქვენ შეგიპყრობთ ის უსაზღვრო სასოწარკვეთილება, ის უსაშველოდ დიდი თავზარი, თითქმის ბოლო დილა მდე, როცა ჩვენ, ფეხზე გახდილნი, უხმაუროდ შევალთ საკანში და დაგირღვევთ ღრმა ძილს, რომელსაც უძილო, შფოთიანი ღამის შემდეგ, როგორც იქნა, მიეცით თავი. ერთბაშად დაგაცნობით, ხელებს ზურგს უკან გაგიკოჭავთ, მაკრატლით გადაჭრით თქვენი ხალათის საყელოს და, თუ საჭირო გახდა, თმებსაც დაგაჭრით. და ჯალათებს საქმე რომ გაუადვილდეთ, იდაყვებს ზურგს უკან მოგიკრებთ — მაშინ, გნებავთ თუ არ გნებავთ, წელში მოდრეკა და ზურგის მოშვერა მოგიწევთ. შემდეგ ორი ციხის ზედამხედველი უკნიდან შარვალში გეძგერებათ და ფიცარზე წაგაქცევთ, მეორე თქვენს თავს შეჩრის ფანჯარაში, მესამე კი 2 მეტრისა და 80 სანტიმეტრის სიმაღლიდან ძირს დაუშვებს 60 კილოგრამიან დანას, რომელიც თავს ციხეში წაგაცლით“.

„საიდუმლოდ“ დასჯის, უმტკივნეულოდ და სწრაფი, კიბოზე ნაკლები ტანჯვის მიმყენებელი, დასჯის მუქარით ვისი დაშინების იმედი

გვაქვს, — ვისი დაშინება შეიძლება ფერადოვანი რიტორიკის გვირგვინით შემკობილი სასჯელით? რასაკვირველია, არა იმათი, წესიერ მოქალაქეებად რომ ითვლებიან (და ხშირად არიან კიდევ წესიერი მოქალაქეები), რადგან სიკვდილით დასჯის დროს იმათ ჯერ კიდევ ისევ სძინავთ და დიდ დამოძღვრებას თავიანთი თვალთ ვერ ნახავენ, გვამის ნაჩქარევად ჩამარხვის დროს კი ისინი ჯერ კიდევ საუზმობენ და მართლმსაჯულების მიერ აღსრულებულ საქმეს იგებენ (რასაკვირველია, თუ გაზეთებს კითხულობენ) დაშაქრული ცნობიდან, რომელიც მათ მეხსიერებაში სწორედ შაქრით გაღნება. არადა, ამ მშვიდობისმოყვარე არსებათა შორის ნახევარზე მეტი ხომ მომავალი მკვლელია. ამ წესიერ ადამიანთაგან ბევრი დამნაშავეა, ოღონდ, მათ ჯერ კიდევ თავიანთი თავი არა აქვთ დამნაშავეებად გაცნობიერებული. ერთი მოსამართლის ცნობის თანახმად, მისთვის ცნობილ მკვლელთა დიდ ნაწილს დილით, როცა წვერს იპარსავდა, წუთითაც კი არ უფიქრია, იმ საღამოს კაცს თუ მოკლავდა.

მეტად დამოძღვრებისათვის, ერის უსაფრთხოებისათვის საჭირო ხომ არაა მოჭრილი თავის გაქნევ-გამოქნევა ყველა მოქალაქის თვალწინ, როცა ისინი დილდილობით წვერს იპარსავენ? ვაი რომ, ამას არავინ აკეთებს. სახელმწიფო ნიღბავს სიკვდილით დასჯებს და მალავს მათ. აქედან გამომდინარე, მას არ სჯერა ამ სასჯელის დამოძღვრებლობა. დამნაშავეს იმიტომ კლავენ, რომ საუკუნეების მანძილზე ასე აკეთებდნენ. თანაც XVIII საუკუნის დასასრულს გამოგონებული მანქანით კლავენ. კანონი მისი განმარტების

გარეშე გამოიყენება, და ჩვენი მსჯავრდებულნი იხოცებიან თეორიისათვის, რომელიც მათს მოსამართლეებსა და ჯალათებს არა სწამთ. რომ სწამდეთ, ეს ცნობილიც იქნებოდა, რაც მთავარია, — შესამჩნევი იქნებოდა. მაშინ ხომ სიკვდილმისჯილთ საჯაროდ მოკლავდნენ.

საჯაროდ სიკვდილით დასჯა აღძრავს სადისტურ ინსტინქტებს, რომლებიც წარმოშობს ახალ დანაშაულობებს, ამათ კი, თავის მხრივ, მოპყვება წინასწარ გაუთვალისწინებელი შედეგები და შეიძლება საზოგადოების მრისხანება და ზიზღიც გამოიწვიონ. სიკვდილით დასჯის კონვეიერზე შეყენება, როგორც ეს დღეს ჩვენში ხდება, გაცილებით უფრო ძნელი საქმე იქნებოდა, ყოველი მათგანი ადამიანთა ცნობიერებაში ცოცხალ სურათად რომ აღბეჭდილიყო. მას, ვინც ახლა თავის ყავას წრუპავს და კითხულობს ცნობას „განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ“, უმცირესი წვრილმანისგანაც კი გული აერეოდა. აი, რატომ უნდა დაეჭიროს მხარი გამბეტას,* რომელმაც, იყო რა სიკვდილით დასჯის განაჩენთა წინააღმდეგი, ხმა მისცა საჯაროდ სიკვდილით დასჯის ამკრძალავი კანონის პროექტს. მან განაცხადა: „თუ თქვენ უარს განაცხადებთ საშინელ სანახაობაზე, თუ ციხეებში დასჯით სიკვდილით, მაშინ უკანასკნელ წლებში აბოზოქრებული სიკვდილით დასჯით აღძრული სახალხო მღელვარების ტა-

ლა უკუიქცევა, დაცხრება, და თქვენ სიკვდილით დასჯის მომხრეთა პოზიციას განამტკიცებთ“. მართლაც, ან საჭიროა საჯაროდ მოკლან სიკვდილმისჯილნი, ანუ უნდა აღიაროთ, რომ უფლებამოსილად არ სცნობთ თავს საერთოდ დასაჯოთ ისინი სიკვდილით. თუ საზოგადოება სიკვდილით დასჯას ამართლებს დამოძღვრების აუცილებლობით, მაშინ მან თავისი თავი უნდა გაიმართლოს იმით, რომ სიკვდილით დასჯა საჯარო აქტად უნდა აქციოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლა ის ისე კლავს, რომ ან არ იცის რას ლაპარაკობს და რას იქმს, ან იცის, რომ ეს გულისამრევი ცერემონია საზოგადოებას სულაც არ აშინებს, ის საზოგადოებაში მხოლოდ უკეთურ ინსტინქტებს აღძრავს ან აბორგებს მას. ამას ვინ შეგვაგრძნობინებს ძველ მოსამართლეზე, მრჩეველ ფალკოზე უკეთ, რომლის მამაციური აღსარება იმსახურებს, რომ ჩავუფიქრდეთ მას. „ჩემი სამსახურის წლებში ერთხელ-ერთადერთხელ მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ შემერბილებინა განაჩენი და სიკვდილი მივუსაჯე მსჯავრდებულს და ვფიქრობდი, რომ, ყველაფრისდა მიუხედავად, შევძლებდი, გულგრილად შევძლებდი სიკვდილით დასჯის ყურებას. თანაც, ნაკლებ საინტერესო ტიპი იყო: მან თავისი შვილი აწამა და შემდეგ გვამი ჭაში ჩააგდო. და რა გგონიათ? მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ კვირების, თვეების მანძილზე ვერ ვივიწყებდი ამ სანახაობას, ყოველდღე მახსენდებოდა... მეც მიომია და მინახავს, როგორ იხოცებიან ომში სრულიად უდანაშაულო ყმაწვილკაცები, მაგრამ ვიტყვი: მათი დაღუპვის საშინელი სანახაობა ჩემში არასოდეს

* ლეონ გამბეტა (1838-1882) — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი (1851-1882), მემარცხენე რესპუბლიკელთა ლიდერი (რედ. შენ.).

არ იწვევდა ისეთ სირცხვილის გრძნობას, როგორც ეს ადმინისტრაციული მკვლელობა, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა ჰქვია“.*

და საერთოდ, როგორ შეუძლია საზოგადოებას ერწმუნოს დამოძღვრების ნიშნებს, თუკი მას არ ძალუძს დანაშაულის საფრთხის მოხსნა, თუკი მისი სავარაუდო ეფექტი შეუმჩნეველია. სიკვდილით დასჯა არც იმას შეაცბუნებს, ვინც არ იცის, რომ მკვლელობას ჩაიდენს, ამას ერთ წამში გადაწყვეტს და ბოროტმოქმედებისთვის აღგზნებისას ან აკვიატებული იდეით შეპყრობილი ემზადება, და არც იმას, ვისაც, ურთიერთობების გასარკვევად მიმავალს, თან მიაქვს იარაღი, რათა შეაშინოს მოღალატე, სატროფო ან მეტოქე, და ისე ხმარობს მას, რომ თავად არ სურს ეს ან ჰგონია, რომ არ სურს. ერთი სიტყვით, სიკვდილით დასჯას არ შეუძლია დაშინება კაცისა, რომლის დანაშაული არა მხოლოდ ბრალია, არამედ უბედურებაცაა. გამოდის, რომ ეს ღონისძიება უმეტესწილად უძლურია. მართალია, ჩვენში ასეთ შემთხვევებში ის იშვიათად გამოიყენება, მაგრამ თვით სიტყვა „იშვიათად“-აც კი გვაიძულებს შევძრწუნდეთ.

სიკვდილით დასჯა აშინებთ თუ არა გამოუსწორებელ დამნაშავეებს, თითქოს რომლებზეცაა ის გამიზნული? საეჭვოა, კოსტლერთან** შეიძლება წავიკითხოთ, რომ მაშინ, როცა ჯიბის ქურდებს ინგლისში საჯაროდ სჯიდნენ სიკვდილით, მათი

* ჟურნალი „რეალიტე“, № 105, ოქტომბერი, 1945 წ. (ავტ. შენიშ.).

** იგულისხმება ა. კოსტლერის წიგნი „ფიქრები სახრჩობელას შესახებ“ (1955) — რედ. შენიშ.

კოლეგები არხეინად ქურდობდნენ ეშაფოტს შემოხვეულ ბრბოში. ამ საუკუნის დასაწყისის ინგლისური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 250 ჩამოხრჩობილიდან 170 თვითონ ესწრებოდა ერთ-ორ სიკვდილით დასჯას. ჯერ კიდევ 1886 წელს ბრისტოლის ციხის 167 სიკვდილმისჯილი პატიმრიდან 164-ს ნანახი ჰქონდა თითო სიკვდილით დასჯა მაინც. ამგვარი გამოკითხვების ჩატარება ამჟამად შეუძლებელია საფრანგეთში, რადგანაც აქ საჯაროდ უკვე არ სჯიან სიკვდილით. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ სიკვდილით დასჯის დღეს მამაჩემის გვერდით იყო ბევრი მომავალი დამნაშავე, რომლებსაც ამ სანახაობის ნახვის გამო პირის ღებინება არ დაწყებიათ. დაშინება მოქმედებს მშიშარა ადამიანებზე, რომლებიც დანაშაულის ჩადენას ვერ ბედავენ, მაგრამ ის არ ზემოქმედებს მათზე, ვისთვისაც ჭკუის სწავლება საჭირო იყო.

მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადამიანებს სიკვდილისა ეშინიათ. სიკვდილი, რასაკვირველია, უმაღლესი სასჯელია, მან ადამიანები უკიდურესად უნდა შეაშინოს. სიკვდილის შიში, რომელიც სულის ბნელი სიღრმეებიდან მოედინება, ატიალებს, ანადგურებს ადამიანს. კანონმდებელს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მისი კანონი თრგუნავს ადამიანის ბუნების ერთ-ერთ უმძლავრეს ბერკეტს. მაგრამ კანონი ყოველთვის ბუნებაზე უფრო მარტივია. როცა ის ცდილობს ბრმა ქვეცნობიერება დაიმორჩილოს, ვერ ახერხებს ცხოვრების სირთულის თავის დონემდე დაყვანას.

სიკვდილის შიში ნამდვილად აშკარაა, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ მას არ ძალუძს ადამიანის მწვალებელი სხვა ვნებების დაძლევა. ბე-

კონი მართალი იყო: ნებისმიერი, ყველაზე სუსტი ვნებაც კი წინააღმდეგობას უწევს, უძალიანდება სიკვდილის შიშს. შურისძიებას, სიყვარულს, ღირსებას, ტკივილს, რომელიდაც სხვა შიშს შეუძლია გამარჯვების მოპოვება. ნუთუ სინარბე, სიძულვილი, ეჭვიანობა ადამიანის, სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებისკენ სწრაფვაზე სუსტი მოვლენებია? საუკუნეების მანძილზე სიკვდილით დასჯა, არა-იშვიათად, — სწორედ ველური ფორმით დასჯა, — მოწოდებული იყო წინააღმდეგობა გაეწია დანაშაულისთვის, მაგრამ დანაშაული უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანის სულის მგლუჯელი ინსტინქტები არ წარმოადგენს, — თუმცა კანონით უნდა წარმოადგენდეს, — გაწონასწორებულ კონსტანტებს. ეს ცვალებადი, რიგრიგობით კვდობადი და ღორძინებადი ძალებია, ნულოვანი ნიშნულიდან მათი განუწყვეტელი გადახრებია სულის სიცოცხლის დედაარსი: ელექტრული ველის რხევების შედეგად ასე წარმოიქმნება დენი. წარმოვიდგინოთ რხევების სერია, სურვილიდან აპათიამდე, სიმტკიცეიდან უსაშველობამდე, რომლებსაც ჩვენ ყველანი განვიცდით დღის მანძილზე, უსასრულობამდე გავამრავლოთ მათი რიცხვი, — და მივიღებთ წარმოდგენას ადამიანის ფსიქიკის უსასრულობაზე. ეს გადახვევები ჩვეულებრივ მეტისმეტად არასტაბილურია საიშისოდ, რომ ერთმა ძალამ გადასძლიოს დანარჩენებს. თუმცა, ზოგჯერ ის ყველა დაბრკოლებას ამსხვრევს, მთლიანად ეუფლება ცნობიერებას, და უკვე არავითარ ინსტინქტს, თავდაცვის ინსტინქტსაც კი არ შეუძლია ამ დამოუკიდე-

ბელი ძალის ტირანიისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სიკვდილით დასჯას შეეძლო ადამიანის შეშინება, ადამიანის ბუნება სხვაგვარი, ისევე მყარი და მკაფიო/რომ იყოს, როგორც თვეთ კანონია. მაგრამ ის ასეთი არაა, არაა რატომაა, რაოდენ საკვირველიც არ იყოს ეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ამ საიდუმლოების წვდომა არ ძალუძთ, რომ ბოროტგანმზრახველი, უმეტეს შემთხვევაში, როცა კლავს, თავის თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. ყველა დანაშავე სასამართლომდე თავს იმართლებს. მისგან ჩადენილი მკვლელობა „კანონზომიერი“ არაა, უკიდურეს შემთხვევაში, ის გარემოებათა მსხვერპლია. ის არაფერზე არ ფიქრობს და არაფერს ვარაუდობს, და თუ ფიქრობს, მაშასადამე, ვარაუდობს მხოლოდ ბრალის აცილებას, მთლიანად ან ნაწილობრივ. შეუძლია თუ არა მას ეშინოდეს იმისი, რასაც ფრიად საეჭვოდ მიიჩნევს? სიკვდილისა მას შეეშინდება სასამართლოს შემდეგ, მაგრამ არა დანაშაულის ჩადენის წინ. ამგვარად, იმისთვის, რომ კანონი შიშს გვრიდეს, მკვლელს არ შეიძლება დარჩეს რაიმე შანსი, კანონი უნდა იყოს ულმობელი, ის შემამსუბუქებელ გარემოებებს უნდა გამორიცხავდეს. რომელი ჩვენთაგანი გაბედავს ამის მოთხოვნას?

ჩვენ ასეთ რამეს თუ ვიკისრებთ კიდევ, მაინც მოგვიხდება ადამიანის ბუნების ერთი პარადოქსისთვის ანგარიშის გაწევა. სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტი მასში დევს სხვა ინსტინქტის თანაბრად, ინსტინქტისა, რომელზეც ფსიქოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოები დუმან, — იგულისხმება სიკვდილის ინსტინქტი, რომელიც ზოგჯერ საკუთარი თავისა და ირგვლივ მყოფ-

თა მოსპობას მოითხოვს. შესაძლოა, რომ სხვისი მოკვლის ინსტიქტი ხშირად ემთხვეოდეს თვით ამის მსურველის სიკვდილის ან მის მიერ თავის მოკვლის სურვილს, ამგვარად, თავდაცვის ინსტიქტი ხშირად სხვადასხვა პროპორციებში დუბლირდება რღვევის, ნგრევის ინსტიქტით. მხოლოდ ამ უკანასკნელით შეიძლება მთლიანად ახსნა ალკოპოლიზმით დაწყებული და ნარკოზმანით დამთავრებული იმ უკუღმართობებისა, რომლებსაც ადამიანი დაღუპვამდე მიჰყავთ, — და ის ამას ცხადად აცნობიერებს. ადამიანს უნდა იცოცხლოს, მაგრამ მას ექნებოდა იმის იმედი, თითქოს ეს სურვილი იქნება ყველა მისი ქმედების განმაპირობებელი. მას ისიც უნდა, რომ არარაობა გახდეს, უსაშველოდ უნდა სიკვდილიც თვით სიკვდილისთვის.* ხდება რომ დამნაშავეებს სწყურიათ არა მხოლოდ დანაშაული, არამედ მისი თანამდევნი უბედურებაც, განსაკუთრებით უსაზღვრო უბედურება. საკმარისია ეს უცნაური სურვილი წარმოიშვას და გამოყარდეს, რომ სიკვდილით დასჯის პერსპექტივა არა მარტო არ შეაჩერებს დამნაშავეს, პირიქით, კიდევ უფრო დააბნელებს მის გონებას. გარკვეული აზრით, ზოგჯერ იმიტომაც კლავენ, რომ მოკვდნენ.

ეს თავისებურებები ნათლად ხსნიან, თითქოს ნორმალური ადამიანის შესაშინებლად გამიზნული სასჯელი სრულიადაც რატომ არ მოქმედებს „საშუალო“ ცნობიერებაზე. სტატისტიკური მონაცემები, როგორც იმ ქვეყანაში, სადაც სიკვდი-

ლით დასჯა არაა, ასევე სხვა ქვეყანაშიც, უკლებლივ ყველანი, მოწმობენ, რომ მისი გაუქმება ოდნავადაც არ ახდენს გავლენას დამნაშავეობის ზრდასა თუ კლებაზე. ოცდაცამეტ ერში, რომლებმაც სიკვდილით დასჯა გააუქმეს, მკვლელობათა საერთო რიცხვი არ შეცვლილა. „მართლაც, — ამბობენ ისინი, — შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ სიკვდილით დასჯა მოძღვრავს საზოგადოებას. იგულისხმება, რომ ათასობით დამნაშავეებს მისი არ შეშინებიათ. მაგრამ ჩვენ არ გვძალუძს გავიგოთ, თუ ვინ შეაშინა მან, აქედან გამომდინარე, არც იმის დამტკიცება გვძალუძს, რომ ის დამმოძღვრებელი ღონისძიება არაა“. ასე, მაგალითად, ყველაზე საშინელი სასჯელი, რომელიც დამნაშავეს ფიზიკურად სპობს და საზოგადოებას მსჯავრმდებლის უმაღლეს წოდებას ანიჭებს, ეფუძნება ალბათობას, რომლის გამორიცხვაც შეუძლებელია. მაგრამ სიკვდილს ხარისხები და ალბათობები არა აქვს. აქ უდიდესი გაურკვეველობა ულმობელზე ულმობელ სიცხადეს, სიაშკარავს წარმოშობს.

სახელმწიფოს არ შეუძლია თავი აარიდოს ბეკარიას* მიერ ფორმულირებულ დილემას: „თუ სასარგებლოა ხალხისთვის ძალაუფლების დამტკიცების უფრო ხშირად წარდგენა, გამოდის, რომ უფრო ხშირად უნდა იყოს სიკვდილით დასჯა; მაგრამ მაშინ საჭიროა, რომ ხშირად

* ჩ ე ზ ა რ ე ბ ე კ ა რ ი ა (1738-1794) — იტალიელი იურისტი და პუბლიცისტი, რომლის მოღვაწეობამაც შესამჩნევი გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის ფორმირებაზე (რედ. შენ.).

* გაზეთები ყოველ კვირას აქვეყნებენ სტატიებს თვითმკვლელობასა და მკვლელობას შორის მოყოყმანეთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე (ავტ. შენ.).

ხდებოდა და ნაშაულობები; აქედან ნათელია, რომ სიკვდილით დასჯა სულაც არ ახდენს საჭირო შთაბეჭდილებას, რადგან ის ერთდროულად უსარგებლო და აუცილებელია“. სახელმწიფო მას ისე მალავს, რომ არ სპობს.

წარმოვიდგინოთ განცდები ადამიანისა, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობით კლავს, — ჯალათზე მოგახსენებთ. რა შეიძლება ვიფიქროთ განაჩენის აღმსრულებელზე, რომელიც გილიოტინას „ხორცის საკეპს“, მსჯავრდებულს კი „კლიენტს“ ან „ფუტას“ უწოდებს? აი, ადამიანი, ვისი მეშვეობითაც საზოგადოება საბოლოოდ იშორებს თავიდან ბრალდებულს, რადგან სწორედ ვითომ ჯალათი აწერს ხელს ბრძანებას დაცვისგან პატიმრის გათავისუფლების შესახებ, რის შემდეგ თავის განკარგულებაში იბარებს თავისუფალ ადამიანს. დამოძღვრების ამ შესანიშნავ საზეიმო ცერემონიალს, ჩვენი მეკანონეების გამონაგონს, ყოველ შემთხვევაში ამკარა შედეგი აქვს — ის ნაწილობრივ ან მთლიანად უკარგავს ადამიანურობასა და გონებას მათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობს სიკვდილით დასჯაში. თქვენ იტყვიან, რომ საუბარია საერთო წესიდან გამონაკლისებზე — იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ ბარბაროსულ წეს-ჩვეულებაში თავიანთ ჭეშმარიტ მოწოდებას ხედავენ. მაგრამ არიან ასობით ნებაყოფლობითი ჯალათებიც, რომლებიც ამისთვის ჯილდოს, გასამრჯელოს არ თხოულობენ — რას იტყვიან თქვენ, როცა ასეთ წვრილმანებს შეიტყობთ? ჩვენი თაობის ადამიანებმა, რომლებმაც უკანასკნელი წლების ისტორიული მოვლენები გადაიტანეს, ვეჭვობ, გაიკვირვონ ჩემი სიტყვები. მათ იციან: გარეგნულად

ყველაზე თვინიერ, უწყინარ და არც არაფრით შესამჩნევ არსებათა სულში მაწამებელთა და მკვლელთა ინსტინქტები ბუდობს. სასჯელმა რომელიღაც პოტენციური მკვლელი უნდა დააშინოს, ამიტომ იგივე სასჯელი უდაბლეს-უხმარებელ ბევრ გადაგვარებულს მათი საზარელი მოწოდების პოვნაში. რაკი ჩვენ ვცდილობთ ჩვენი უსასტიკესი კანონების ყოველგვარი ჰიპოთეზებითა და განსჯებით გამართლებას, გვმართებს გავიაზროთ, გავიგოთ, რომ ასობით მსურველიდან, რომ ნებაყოფლობითი ჯალათობისათვის მზადყოფნაზე უარი ეთქვა, ერთ-ერთს მაინც უნდა დაეკმაყოფილებინა რალაც სხვა საშუალებით მასში გილიოტინით გაღვივებული ინსტინქტები.

ჰოდა, ჩვენ სიკვდილით დასჯის მოჩვენებითი დამოძღვრებლობის ფარისევლური, თვალთმაქცური გამართლებებისგან მაინც დაგვიხსნან. ვუწოდოთ ამ სასჯელს მისი ნამდვილი სახელი, არა კეთილშობილური, მაგრამ სწორი სახელი და ვალიაროთ — ის შურისძიებაა და სხვა არაფერი, სასჯელს, რომელიც დამნაშავეს კი სჯის, მაგრამ პოტენციურ დამნაშავეებს კი ვერ აშინებს, შურისძიება ჰქვია. ეს საზოგადოების მიერ იმისთვის გაცემული თითქმის არითმეტიკული პასუხია, ვინც მის უძველეს კანონს არღვევს. და ეს პასუხი ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა იცოდნენ: თვალი თვალისა წილ, კბილი — კბილისა წილ. მიაგე ბოროტება იმას, ვინც შენ ბოროტება მოგაგო; მე ვინც დამაბრმავა, დაბრმავდება; ვინც მოკლა — მოკვდება. ლაპარაკია გრძნობაზე, თანაც განსაკუთრებით ძლიერზე, მაგრამ არა პრინციპზე. ის ენათესავება ადამიანის ბუნების გამოვლენის ინსტინქტს,

მაგრამ არ ენათესავენა კანონს. კანონს, განმარტების თანახმად, არ შეუძლია ასეთი წესების აყოლა. თუ ჩვენი ბუნება მკვლელობისკენ გვიბიძგებს, კანონი არ უნდა აპყვეს მას. კანონი ბუნების გამოსასწორებლადაა შექმნილი, მაგრამ შურისძიება სუფთა ბუნებრივ სწრაფვას ამკვიდრებს, კანონის ძალას აძლევს მას. ეს სწრაფვა, — ჩვენთვის, ყველასთვის, — ნაცნობია, ჩვენ ყველანი ვიცნობთ მის ძალას: ის პირველყოფილი ჯურღმულებიდან მოვიდა. ჩვენ ჯერჯერობით სამართლიანობას უხეში არითმეტიკის წესებით ვადგენთ. მაგრამ განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი არითმეტიკული გაანგარიშება ზუსტია და დაკანონებულ შურისძიებამდე დაყვანილი სიკვდილით დასჯა ელემენტარულ, ნაწილობრივ სამართლიანობას მაინც უდგას მხარში? იგულისხმება, რომ არა.

დავუშვათ, რომ მსხვერპლის სიკვდილის მკვლელის მოკვლით კომპენსირება სამართლიანი და აუცილებელი საქმეა. მაგრამ სასჯელის უმაღლესი ზომა უბრალოდ სიკვდილი არაა. არსებითად, ის ისევე არა ჰგავს სიცოცხლის წართმევას, როგორც საკონცენტრაციო ბანაკი არა ჰგავს ციხეს. იგულისხმება, რომ ეს მკვლელობაა, და, თანაც, არითმეტიკული ანგარიშის სწორება სხვა, წინამორბედი მკვლელობის გამო. მაგრამ სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილს ხდის ანგარიშების სწორებად, შედეგად, რომელიც წინასწარაა განზრახული საზოგადოების მიერ და ცნობილია მომავალი მსხვერპლისათვის. ბოლოს და ბოლოს, ხდის დადგენილებად, რომელსაც მოაქვს ზნეობრივი წამებანი, ისინი კი ხომ თვით სიკვდილზე საშინელი რამაა. მაშასადამე, დანაშაულისა

და სასჯელის თანაზომიერებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ბევრი კანონმდებლობა წინასწარგანზრახულ დანაშაულობებს ყველაზე მძიმე დანაშაულად მთავრდება. მაგრამ სიკვდილით დასჯის შემთხვევაში, თუ არა მკვლელობათა შორის უფრო წინასწარგანზრახული მკვლელობა — მასთან ხომ არცერთი წინასწარ მოფიქრებული განზრახ მკვლელობის შედარება არ შეიძლება!

და როცა ჩვენი იურისტები ლაპარაკობენ უტანჯველ წამიერ სიკვდილზე, მათ არ იციან, რაზე ლაპარაკობენ, და, რაც მთავარია, მათ წარმოსახვა აკლიათ. ყოვლისდამანგრეველი, დამამცირებელი შიში, რომელიც მსჯავრდებულს თვეობით ან წლობით სტანჯავს, სიკვდილზე საშინელი რამაა და მკვლელის მსხვერპლი მას არ იცნობდა. იმედით ტანჯვა ენაცვლება ცხოველური სასოწარკვეთილების ტანჯვებს. ადვოკატი და მღვდელი — უბრალოდ კაცთმოყვარეობის გამო, გუშაგები — რათა პატიმარმა სიმშვიდე შეინარჩუნოს, ერთსულოვნად არწმუნებენ მას, რომ შეწყალებული იქნება. ეს მას თავიდან მთელი არსებით სჯერა, შემდეგ კი უკვე აღარ სჯერა. დღისით ის იმედოვნებს, ღამით იმედს კარგავს. გადის კვირები, იმედი და სასოწარკვეთილება იზრდება და ორივე თანაბრად აუტანელი ხდება. მსჯავრდებულმა წინასწარ იცის, რომ მოკვდება, და მისი გადარჩენა შეუძლია მხოლოდ შეწყალებას, რომელიც მისთვის უფლის ნებას ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, მას არ შეუძლია რაიმეს გაკეთება, არ შეუძლია თავის დაცვა, თავის უდანაშაულობაში მოსამართლეების დარწმუნება. ის უკვე ადამიანი აღარაა, ის ნივთია და ეს ნივთი ჯალა-

თების ხელთ აღმოჩნდება. ამით აი-
სხნება მსჯავრდებულთა უცნაური
თვინიერება სიკვდილით დასჯის
წინ. როგორც წესი, ისინი სიკვდილს
სრულიად გულგრილნი, დაბეჩავე-
ბულნი ეგებებიან. და ის, რასაც ეს
შედეგურული განიცდიან, საერთოდ
მორალის გარეთაა. ცნებები სათ-
ნოებისა, გონივრულობისა, მამაცო-
ბისა, უდანაშაულობისაც კი აქ ყო-
ველგვარ აზრს მოკლებულია. გარ-
დაუვალი სიკვდილის პირისპირ
მდგარი ადამიანი, როგორც არ უნ-
და იყოს მისი მრწამსი, უკიდურე-
სად, უსაშველოდ ძრწუნდება. უმ-
წეობისა და მარტოობის გრძნობა,
რომელიც ბუდობს ხელფეხშეკრული
დამნაშავის სულში, დამნაშავისა,
რომელიც ხედავს, რომ საზოგადო-
ებას მისი სიკვდილი სურს, თავის-
თავად წარმოუდგენელი სასჯელია.
და უკეთესი იქნება, რომ სიკვდილით
დასჯა საჯაროდ მოხდეს. ყოველ
ჩვენთაგანში მსახიობი სუფევს: მა-
შინ შესაძლებელი იქნებოდა ღირსე-
ბის გრძნობის შენარჩუნება საკუ-
თარ თვალში მაინც. მაგრამ ღამე
და სრულ იზოლაციაში გადარჩენა
წარმოუდგენელია. როგორც წესი,
სიკვდილის მოლოდინი ადამიანს
სპობს სიკვდილით დასჯამდე დიდი
ხნით ადრე. მას ორჯერ კლავენ,
თანაც, პირველად უფრო საშინლად
კლავენ, ვიდრე მეორედ, თუმცა
თვითონ მან მხოლოდ ერთხელ მო-
კლა. ამ წამებასთან შედარებით შუ-
რისძიება ცივილიზაციის მიღწევად
შეიძლება მიჩნეულ იქნას: პირველ-
ყოფილი კანონი ხომ არასოდეს მო-
ითხოვდა ორი თვალის ამოჩიქნას
იმ პიროვნებისთვის, ვინც მოყვასს
თვისას ერთი თვალი ამოუგდო.

შურისძიების კანონზე ფიქრების
დასრულებებისას უნდა ითქვას, რომ
ის თავისი პრიმიტიული ფორმითაც

კი მოქმედებს მხოლოდ ორ ადამი-
ანს შორის, რომელთაგან ერთი
უდაოდ უდანაშაულოა, მეორე კი
უდავოდ დამნაშავეა. მსხვერპლი, რა-
საკვირველია, უდანაშაულოა. მაგ-
რამ შეუძლია მსჯავრდობას,
რომელიც ვარაუდით მას წარმოად-
გენს, უდანაშაულობის პრეტენზია
ჰქონდეს? განა საზოგადოება პასუხს
არ აგებს, ნაწილობრივ მაინც, იმ
დანაშაულის გამო, რომელსაც ასე
მკაცრად სჯის? ეს თემა ხშირად
განხილულა, და მე არ გავიმეორებ,
XVIII საუკუნიდან მოკიდებული,
მრავალი ავტორის არგუმენტებს.
ისე კი, შეიძლება განზოგადება —
ყველა საზოგადოებას ის დამნაშა-
ვეები ჰყავს, რომლებსაც იმსახუ-
რებს. მაგრამ თუ საფრანგეთზეა
ლაპარაკი, არ შეიძლება არ მივუთი-
თოთ გარემოებებზე, რომლებსაც
ძალუძთ ჩვენი კანონმდებლების
გზნების განელება. ვილაც პოლკო-
ვნიკი, როცა 1952 წელს პასუხს
იძლეოდა სიკვდილით დასჯის შე-
სახებ „ფიგაროს“ ანკეტაზე, ამტკი-
ცებდა: სასჯელის უმაღლეს ზომად
სამუდამო კატორღული სამუშაოები
რომ დაწესდეს, ეს დანაშაულის ბუ-
დეების შექმნამდე მიგვიყვანდაო.
პოლკოვნიკმა, ალბათ, არ იცოდა
(და მე ეს მის მაგივრად მიხარია),
რომ ჩვენთან უკვე არსებობს დანა-
შაულის ბუდეები, რომლებიც ციხე-
ებისგან სახარბიელოდ განსხვავდება
იმით, რომ იქიდან დღე-ღამის ხე-
ბისმიერ დროს შეიძლება გამოსვლა:
ესენია ტრაქტორები და ჯურღმუ-
ლები — დიდება ჩვენი რესპუბ-
ლიკისა. მათზე მშვიდად ლაპა-
რაკი არ შეიძლება.

სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ
პარიზში 64 000 ბინა ვერ იტევს
მათში მცხოვრებთ (ოთახში 3-დან
5 სულამდე). რასაკვირველია, ბაე-

შეების მკვლევები განსაკუთრებით საძაგელნი არიან და არანაირ შებრალებას არ აღგვიძრავენ. სავსებით შესაძლებელია (შესაძლებელია-მეთქი), რომ ამ სტრიქონების არც ერთი მკითხველი მსგავს პირობებში რომ აღმოჩნდეს, ბავშვებს არ მოკლავს. ამ მკვლევების დანაშაულს როდი ვარბილებთ. მაგრამ მათ რომ რიგიან ბინებში ეცხოვრათ, შესაძლოა, საქმე ასეთ საშინელებამდე არ მისულიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ისინი არ არიან დამნაშავენი, და ძნელია იმის გაგება, თუ რატომ ეძლევათ ამ დამნაშავეების დასჯის უფლება იმათ, ვინც სუბსიდიებს შაქრის წარმოებისთვის იძლევა და არა ბინების მშენებლობისთვის.* ცნობილია, რომ პარლამენტის უმრავლესობა სისტემატურად, თანაც, ყველაზე ქვენა განზრახვებით, ალკოპოლით წამლავს ფრანგ ერს. სისტემატური თრობის მდგომარეობაში ჩადენილი სისხლიანი დანაშაულების რაოდენობა კი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ერთი ადვოკატი (მეტრი გიიონი) მიიჩნევს, რომ დანაშაულთა 60% სიმთვრალეშია ჩადენილი. დოქტორ ლაგრიფის აზრით, თანაფარდობა მერყეობს 41,7%-დან 72%-მდე. 1951 წელს ფრენის გადასაგზავნ ციხეში ჩატარებულმა გამოკვლევამ სისხლის სამართლის საქმეთა გამო მსჯავრდებულთა შორის 29% ქრონიკული ალკოპოლიკი გამოავლინა. დასასრულ, ბავშვთა მკვლევების 95% ალკოპოლიკები არიან. ჩინებული ციფრებია! ამას შეიძლება

დაემატოს ერთი შესანიშნავი ციფრიც: აპერიტივებით მოვაჭრე ფირმამ 1953 წელს სავალსახადო უწყებაში შეიტანა განაცხადი, რომ მან მიიღო შემოსავალი 410 მილიონი ფრანკის შემდგენლობით. ამ ციფრების შესაქმნელად უფლება გვაქვს მოცემული ფირმის აქციონერთა და „ალკოპოლის“ დეპუტატთა მისამართით შევნიშნოთ, რომ მათ, უდაოდ, გაცილებით მეტი ბავშვი დახოცეს, ვიდრე ვარაუდობენ. მე, როგორც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე, სულაც არ ვაპირებ მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას. მაგრამ დასაწყისისათვის აუცილებელია ბადრაგის თანხლებით მათი დაუყოვნებლივ გაყვანა შვილის მკვლელის სიკვდილით დასჯის საყურებლად და იქიდან გამოსვლისას მათთვის გადაცემა სტატისტიკური ანგარიშსწორებისა, რომლებშიც შემოთმობიანი ციფრები იქნება ჩამოწერილი. და თუ სახელმწიფო ალკოპოლურ ბურუსს თესავს, მას, ნებისით თუ უნებლიედ, დანაშაულების მომკა მოუწევს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სახელმწიფომ ალკოპოლიკებს პასუხი არ უნდა მოსთხოვოს, და ძაღლის დაუზოგავად შეეცადოს, რომ ერმა მხოლოდ ხილის წვენი სვას? რასაკვირველია, არა. და არც ცუდი მემკვიდრეობა ათავისუფლებს ვინმეს ბრალეულობისგან. შეუძლებელია სამართალდარღვევისთვის რეალური პასუხისმგებლობის ზუსტად განსაზღვრა. ცუდი და გაუკუღმართებული მიდრეკილებები, რომლებიც შეიძლებოდა ჩვენ წინაპრებისგან გადმოგვცემოდა, აურაცხელია. ჩვენ ქვეყნიერებას ამ მიდრეკილებების შიშისმომგვრელი გარდაუვა-

* საფრანგეთი ალკოპოლის მოხმარებით დღეს მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ბინების მშენებლობით — მეტუთმეტეზე (1957 წლის მონაცემები) — ა ვ ტ. შ ე ნ.

ლობით დამძიმებულნი ვევლინებით. მაშასადამე, დასაშვები იქნებოდა თუ არა დაგვესკვნა, რომ თავისი ქმედებების გამო პასუხს არავინ აგებს? მაშინ ლოგიკური გამოჩნდებოდა დასჯა და ჯილდოები გაუქმებულიყო, ნებისმიერი საზოგადოების არსებობა კი შეუძლებელი გამხდარიყო. საზოგადოების, მასთან ერთად კი ადამიანის გადარჩენის ინსტიქტი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პოსტულატს მოითხოვს. გვმართებს ის პოსტულატი ისე მივიღოთ, რომ არ ვიქონიოთ იმედი ცოდვათა აბსოლუტური მიტევებისა, რადგან ამ ცოდვათა აბსოლუტურად მიტევება საზოგადოების კვდომის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ ასეთი მსჯელობავე მიგვიყვანს ბუნებრივ დასკვნამდე: აბსოლუტური პასუხისმგებლობა არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, — არ არსებობს აბსოლუტური, სასჯელი და ჯილდოები. არ შეიძლება ვინმეს ღვაწლის საბოლოოდ მთლიანად ანაზღაურება ნობელის პრემიითაც კი. მაგრამ არ გვმართებს ვინმეს აბსოლუტური სასჯელით დასჯა, თუნდაც ეს ადამიანი დამნაშავედ ითვლებოდეს, მით უმეტეს, თუკი ის შესაძლებელია უდანაშაულო აღმოჩნდეს, სიკვდილით დასჯა კი ხელთ იგდებს. აშკარად შედარებითი დანაშაულის გამო საბოლოო და გამოუსწორებელი ზომით დასჯის უფლებას.

მართლაც, სიკვდილით დასჯა მსჯავრდებულს საბოლოო წერტილს უსვამს. უკვე მხოლოდ ამანაც კი, სიმართლე რომ ვთქვათ, მისი მომხრეების თვალში უნდა გააუფასუროს ყველა მათი რისკიანი არგუმენტი, რომლებიც, გავიმეორებ, ძალზე საკამათოა. უფრო ზუსტი იქნება შევნიშნოთ, რომ სიკვდილით

დასჯა განუმეორებელი აქტია, რადგან ის ასეთი უნდა იყოს: მისი მიზანია საზოგადოებაში ცალკეული ადამიანების ყოფნის შესაძლებლობის გამორიცხვა; ისინი ხომ ყოველ მოქალაქესა და საზოგადოებრივ წესრიგს მუდმივად საშიშროებას უქმნიან, ამიტომ ისინი დამმოდღვრებლურად უნდა მოისპონ. მათგან არავის შეუძლია უარყოფა იმ ფაქტისა, რომ არსებობენ ცალკეული სოციალური მტაცებლები, რომლებიც დაუჯერებლად ენერგიულნი და სასტიკნი არიან. სიკვდილით დასჯა, იგულისხმება, პრობლემას არ ხსნის. ყოველ შემთხვევაში, დავუშვათ, რომ არ ხსნის.

მე კიდევ ვილაპარაკებ ამ ადამიანებზე. მაგრამ განა სიკვდილით მხოლოდ ისინი ისჯებიან? შეგვიძლია კი ვამტკიცოთ, რომ ისინი, ყველანი, დაკარგულნი არიან საზოგადოებისთვის? შეგვიძლია კი უყოყმანოდ, თავგამეტებით ვამტკიცოთ, რომ მათ შორის უდანაშაულონი არ არიან?

როცა სიკვდილით დასჯილია უდანაშაულო პიროვნება, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შესაძლებელია, მისი რეაბილიტირებაა, თუკი ვინმე ჯერ კიდევ ითხოვს ამას. მაშინ წამებული ისევ დაიბრუნებს უდანაშაულობას, რომელიც, მართალი რომ ვთქვათ, არ დაუკარგავს. მაგრამ დევნა, ტანჯვა, მისი საშინელი სიკვდილი შეუქცევადია — რაც მოხდა, იმას ვერ შეცვლი. ისღაა დარჩენილი, რომ მომავალ პოტენციურ მსხვერპლთ ასცდეთ ეს კოშმარი. განა დამნაშავეთა რიცხვიდან მხოლოდ გამოუსწორებლებს სჯიან სიკვდილით? ყველამ, ვინც

კი, ისევე, როგორც მე, დასწრებია სასამართლოს სხდომებს, იცის რამდენი შემთხვევითობა ახლავს განაჩენის გამოტანას, მაშინაც კი, როცა ეს განაჩენი სიკვდილით დასჯაა. ბრალდებულის გარეგნობა, მისი ცხოვრების მოვლენები (ცოლქმრულ ორგულობას მოსამართლეები ხშირად დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევენ, თუმცა არ შემიძლია ვირწმუნო, რომ ყველა მოსამართლე ერთგული ქმარია), ქცევა (მსჯავრდებულის წისქვილზე ასხამს წყალს, თუკი ის მთლიანად შეესაბამება პირობითობებს, ანუ უმეტესწილად მოჩვენებითია), ისიც კი, როგორ პასუხობს ის კითხვებზე (რეციდივისტებმა იციან, რომ საჭირო არაა არც დაბნევა ლაპარაკის დროს და არც მჭევრმეტყველებით თავის გამოჩენა), საქმის მოსმენის დროს გულის ამჩუყებელი, ამაღლვებელი ეპიზოდები, არადა, ვაი რომ, ჭეშმარიტება ყოველთვის როდი ახდენს საჭირო შთაბეჭდილებას, — უამრავი შემთხვევითობა ახდენს გავლენას ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე. როცა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოაქვთ, უეჭველია, ეს მრავალი შემთხვევითობის თავმოყრის შედეგია. რაკი ვიცით, რომ განაჩენი დამოკიდებულია ნაფიც მსაჯულთა მიერ შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებაზე, რაკი ისიც ვიცით, რომ 1832 წლის საფრანგეთის რეფორმამ ნაფიც მსაჯულებს გაურკვეველი შემამსუბუქებელი გარემოებების დაშვების უფლებაც მისცა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენწილადაა დამოკიდებული ყველაფერი მომენტის განწყობილებისგან. უკვე კანონი კი არ ადგენს ზუსტად იმ შემთხვევებს, რომელთა გამოც დამნაშავე იმსახურებს

სიკვდილით დასჯას, არამედ ნაფიცი მსაჯულები აფასებენ კანონს თავიანთი თვალზომით. არ არსებობს ორი ერთნაირი ნაფიცი მსაჯული, და ის, ვინც სიკვდილით დაისაჯა ერთი განაჩენით, მეორე შემთხვევაში შეიძლებოდა ცოცხალი დარჩენილიყო. შეცდომებს ივიწყებენ. მაგრამ ამით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი სულაც არ მსუბუქდება. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ დაუსჯელად დარჩენილი დანაშაული ქალაქს ბილწავდა. მაგრამ უდანაშაულოს დასჯა ან დამნაშავის ზომაგადასული სიმკაცრით დასჯაც ბლალავს ქალაქის ღირსებას. ჩვენ, ფრანგებმა, ვიცით ეს.

„ასეთია კაცთა მართლმსაჯულება, — მიპასუხებენ, — და თავისი არასრულყოფილების მიუხედავად, ის ძალმომრეობას სჯობია“. ეს მელანქოლიური შენიშვნა მხოლოდ კანონის ჩვეულებრივი დარღვევების დროსაა დასაშვები და სამარცხვინოა მაშინ, როცა სიკვდილით დასჯაზეა ლაპარაკი. ფრანგული სისხლის სამართლის სფეროში კლასიკური ნაშრომი, ცდილობს რა სიკვდილით დასჯის გრადაციების არსებობის გამართლებას, ამბობს: „ადამიანთა მართლმსაჯულება სრულებით არ ესწრაფვის ამ პროპორციის უზრუნველყოფას. რატომ? იმიტომ, რომ იცის თავისი არასრულფასოვნება“. ჰოდა, ეს არასრულფასოვნება გვაძლევს კი საბოლოო განაჩენის გამოტანის ნებას? საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს „სუფთა მართლმსაჯულების“ აღსრულება თავისი შიშისა და რისკის ფასად, უკიდურესი უსამართლობისკენ უნდა ისწრაფვოდეს? მართლმსაჯულება მუდმივად სარგებლობს ამ შემამსუბუქებელი გარემოებით, არადა, ხომ მართებდა მას, რომ ის

ერთხელ და სამუდამოდ დაემკვიდრებინა დამნაშავეის სასარგებლოდ.

ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ კი უსირცხვილოდ განაცხადონ: „ჩვენ თქვენ სიკვდილით დასჯა შეცდომით თუ მოგისაჯეთ, მოგვიტევეთ, რადგან ადამიანის ბუნებრივ სისუსტეებს იცნობთ. მაგრამ ჩვენ თქვენ ისე გაგასამართლებთ, რომ არც თქვენს სისუსტეებს და არც ადამიანების ბუნების კანონებს გავითვალისწინებთო?“ ყველა ადამიანი შეიძლება შეცდეს და დაიბნეს, მაგრამ მისი ეს თვისება შეიძლება ტრიბუნალის სასარგებლოდ და მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ იყოს მიმართული? არ შეიძლება, და მიწიერ მართლმსაჯულებას აზრი თუ აქვს, ეს აზრი გულისხმობს იმის აღიარებას, რომ ეს თვისება ყველა ადამიანს აქვს; მართლმსაჯულება მისი არსით განუყრელია თანალობისგან. იგულისხმება, რომ აქ თანალობა ვილაციის კივილის ცნობიერად გაზიარებაა და არა დაუფიქრებელი შემწყნარებლობა, რომელსაც სძულს მსხვერპლის უფლებები და წამებანი.

სიმართლეს თუ ვიტყვით, ბევრ ნაფიც მსაჯულს ეს კარგად ესმის და ისინი ხშირად უშვებენ შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობას იქ, სადაც დანაშაულის შემსუბუქება არაფრით არ შეიძლება. სიკვდილით დასჯა, მათ მეტიმეტად მკაცრ ზომად მიაჩნიათ და მასზე უარის თქმას არჩევენ, რადგან სასჯელის უკიდურესი სიმკაცრე დანაშაულს, იმის ნაცვლად, რომ ის დაისაჯოს, მის ნებაზე უშვებს.

მაგრამ არიან დამნაშავეები, რომლებსაც ნებისმიერი ნაფიცი მსაჯულები გაწირავდნენ. მათი ბოროტმოქმედებები ერთმნიშვნელოვანი ბოროტმოქმედებებია, მათი დანაშაულის მტკიცებები დაცვის აღი-

არებებით ძლიერდება. მათ დანაშაულთა ბუნება და მასშტაბი იმის იმედს არ ტოვებს, რომ ამ ადამიანებს მონანიება ან გამოსწორება ძალუძთ. მათ ახალ დანაშაულთა ჩადენის საშუალებას არ უნდა მიეცეთ და მაშინ რჩება ერთი გამოსავალი — მათი ფიზიკურად მოსპობა. სიკვდილით დასჯის შესახებ დისკუსია მხოლოდ ამ ზღვართანაა კანონიერი. ყველა სხვა შემთხვევაში კონსერვატორთა არგუმენტები სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა კრიტიკას ვერ უძლებს. ამ უკანასკნელ ზღვართან არამც და არამც არაა საჭირო ყურადღების გადატანა სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლის ისტორიაზე და დღევანდელ ევროპაში მისი მართებულობის შეფასება. შეიძლება გაუთავებლად, უსასრულოდ ვიმსჯელოთ საუკუნეების მანძილზე სინამდვილეში ან აბსტრაქტული იდეების საუფლოში სიკვდილით დასჯის მიერ მოტანილ სიკეთეთა ან ზიანთა შესახებ. მაგრამ ეს დისკუსია რალაც როლს თამაშობს აქ, ახლა, და ჩვენ ჩვენი პოზიცია უნდა განვსაზღვროთ აქ და ახლა, ჩვენი თანადროული ჯალათების პირისპირ. რას ნიშნავს სიკვდილით დასჯა ჩვენი საუკუნის შუა ხანის ადამიანებისთვის? ამ კითხვის პასუხი საკმაოდ მარტივია: ჩვენმა ცივილიზაციამ დაკარგა ის ცოტაოდენი ღირებულებები, რომლებსაც გარკვეული აზრით შეეძლებოდა ამ სასჯელის გამართლება და პირიქით, მას სჭირს სნეულებები, რომლებიც მის გაუქმებას მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიკვდილით დასჯის მოსპობას ჩვენი საზოგადოების შეგნებულმა წევრებმა უნდა მიაღწიონ სავსებით ლოგიკური და რეალისტური მიზეზებით.

უწინარეს ყოვლისა, ლოგიკის შესახებ ვილაპარაკოთ. ადამიანისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯა ნიშნავს იმის გადაწყვეტას, რომ თავისი დანაშაულის გამოსყიდვის უმცირესი შანსიც კი არ რჩება. ვიმეორებ, არგუმენტები სწორედ ამ პუნქტში ეხლებიან ერთმანეთს ბრმად და უაზროდ, მაგრამ ჩვენს შორის ხომ არავის ძალუძს ამ საკითხის გადაწყვეტა, რამდენადაც ჩვენ ყველანი — მოწინააღმდეგე მხარეებიც ვართ და მოსამართლეებიც. აქედან მოდის დაურწმუნებლობა ადამიანის მოკვლის უფლებაში და თავის სიმართლეში დარწმუნების უუნარობა. აბსოლუტური უდანაშაულობის გარეშე არ არსებობს უზენაესი სამსჯავრო. მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ, ყველას, ჩაკვიდენია ბოროტება. წმინდანები არ არსებობენ, არიან მხოლოდ გულთ მეტ-ნაკლებად სამართლიანნი. ვიდრე ცოცხალნი ვართ, გვესმის ეს და ჩვენი მოქმედებების ჯამს ცოტა სიკეთეს ვუმატებთ, რითაც ჩვენს მიერ ჩადენილი ბოროტების კომპენსირებას ვახდენთ. სიცოცხლის უფლება, რომელიც დანაშაულის გამოსყიდვის შესაძლებლობას ემთხვევა, ნებისმიერი ადამიანის, ყველაზე ცუდისაც კი, ბუნებრივი უფლებაა. ამ უფლების გარეშე ზნეობრივი ცხოვრება სავსებით წარმოუდგენელია. ასე, მაგალითად, ჩვენგან არავისა აქვს ნება, დაკარგოს ადამიანის რწმენა სულ ბოლომდე, მის სიკვდილამდე, და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეიძლება მისი სიცოცხლე ჩაითვალოს ბედისწერად, და მაშინვე შეიძლება მისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანა. მაგრამ ადამიანისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯა, ვიდრე კრედიტორი ცოცხალია, მის სიკვდილამდე, მისი ანგარიშის დახურვა ჩვენ

არ ძალგვიძს. აქ ის, ვისაც საბოლოო განაჩენი გამოაქვს, საბოლოოდ მსჯავრს დებს საკუთარ თავს. ამბობენ, განმანათლებლობის ეპოქაში სიკვდილით დასჯის გაუქმება თანდათან მოხდება, რადგან ადამიანის ბუნების საფუძველი სიკეთეა და არა ბოროტებაო. იგულისხმება, რომ ეს ასე არაა. ერთმნიშვნელოვანი მტკიცება გამორიცხულია: ჩვენი ბრწყინვალე ისტორიის უკანასკნელი ოცწლეული ამას მშვენივრად ასაბუთებს. მაგრამ ჩვენგან არავის აქვს უფლება, რომ, ვითარცა უზენაესმა მსაჯულმა, თუნდაც ყველაზე მოურჯულბელ დამნაშავეს მიუსაჯოს მოსპობა, რადგან აბსოლუტური უდანაშაულობა არ არსებობს. სიკვდილის განაჩენი სპობს ერთადერთ უდავო კავშირს ჩვენს შორის — თანასწორობას, სიკვდილის წინაშე ერთობას — და ის შეიძლება დაკანონდეს მხოლოდ ჭეშმარიტებით ან ადამიანებზე ძალა მდგომი პრინციპებით. სინამდვილეში სიკვდილით დასჯა საუკუნეების მანძილზე რელიგიური ინსტიტუტი იყო. უფლისგან მირონცხებული ხელმწიფის, ეკლესიის ან სალოცავად შერაცხული სახელმწიფოს სახელით გამოტანილი განაჩენი ადამიანთა ამ ერთობას კი არ არღვევს, არამედ ის არღვევს დამნაშავეს კავშირს ღვთაებრივ განგებასთან, რომელმაც აჩუქა ამ დამნაშავეს სიცოცხლე. რასაკვირველია, მას მიწიერ სიცოცხლეს ართმევენ, უსპობენ, მაგრამ დანაშაულის გამოსყიდვის უფლებას მაინც უტოვებენ. ჭეშმარიტი განაჩენი მას სხვა სამყაროში გამოეტანება. კათოლიკური ეკლესია, მაგალითად, ყოველთვის აღიარებდა სიკვდილით დასჯის აუცილებლობას. ოდესღაც თავად მასაც დაუშურველად გამოჰქონდა სიკვდილის განაჩენები, რამდენადაც მიი-

ჩნეოდა, რომ ყველაზე მოურჯულე-
ბელ დამნაშავესაც კი სიკვდილით
დასჯის მუქარის წინაშე შექმლო
საკუთარი თავის მონახვა. ფრიბურ-
გელი ჯალათის ნაჯახზე სწორედ
ამიტომ ეწერა: „უფალო იესო,
გამკითხველი შენა ხარ“. ამგვარად,
ჯალათი წმიდა წესს განმგებლობდა.
ის სიცოცხლეს ართმევდა სხეულს,
რათა სული ღმერთის სამსჯავროს-
თვის გადაეცა.

მაგრამ რას ნიშნავს ეს გამართ-
ლება ჩვენს საზოგადოებაში, რო-
მლის დანაწესებმა და ზნე-ჩვეულებ-
ებმა თავიანთი საკრალური აზრი
დაკარგეს? როცა მოსამართლეს —
ათეისტს, ან სკეპტიკოსს, ან აგნო-
სტიკოსს — ურწმუნო მსჯავრდე-
ბულისთვის გამოაქვს განაჩენი, მა-
შინ ეს განაჩენი საბოლოოა და არ
გადაისინჯება, ხელახლა არ განიხი-
ლება, მოსამართლე ისე ზის უფლის
ტახტზე,* რომ მისი ძალაუფლე-
ბა არა აქვს და, თანაც, არა აქვს
მისი რწმენა. ის იმიტომ კლავს,
რომ მის წინაპრებს სწამდათ მარა-
დი სიცოცხლე. მაგრამ საზოგადოე-
ბა, ვითომ რომელსაც ის წარმოად-
გენს, სინამდვილეში უბრალოდ
სპობს დამნაშავეს, და ამით არღ-
ვევს ერთობას ადამიანებისას, რო-
მლებიც აბუჩად იგდებენ სიკვდილს
და თავის თავს ამკვიდრებს, რო-
გორც ღირებულებას, რადგან აბ-
სოლუტურ ძალაუფლებაზე აცხა-
დებს პრეტენზიას. ის გადაჭრით
სპობს „იზგოებს“, თან თავისი თავი
წარმოუდგენია ხორცშესხმულ სა-
თნობად, ის, ვითომც ღირსეული
მოქალაქე, თავის ძე შეცთომილს

კლავს სიტყვებით: „არ ვიცი, კიდევ
რა ვუყოთ ამას?“ ეს საზოგადოება
ითვისებს, ბუნების მსგავსად, შე-
რჩევის უფლებას, და მსგავსად და-
მსჯელი ღვთაებისა, წინასწარ აწე-
სებს მოსპობას ნაშინელი წამებით.
ყოველ შემთხვევაში, ამტკიცებს,
რომ ადამიანი საბოლოოდ უნდა
ამოიკვეთოს საზოგადოებიდან, რა-
მდენადაც ის აბსოლუტურად ცოდ-
ვილია, საზოგადოება კი, იგულისხ-
მება, აბსოლუტურად სრულქმნი-
ლია, ამას კი ჩვენს დღეებში არც-
ერთი სადად მოაზროვნე ადამიანი
არ დაიჯერებს. გაცილებით იოლია
ამის საპირისპირო აზრის დაჯერე-
ბა. ჩვენი საზოგადოება უკეთური
და დანაშაულებრივი გახდა სწორედ
იმიტომ, რომ თვით თავის თავში
ხედავს უმაღლეს მიზანს და ძალიან
დიდი ხანია ისტორიის ასპარეზზე
მხოლოდ თავისი კეთილდღეობისა
და წარმატებისთვის ირჯება თავ-
დაუზოგავად. დიახ, მან სავსებით
დაკარგა საკრალურობა, მაგრამ ჯერ
კიდევ XIX საუკუნეში შეუდგა რე-
ლიგიის ერზაცის შექმნას, დაიწყო
თაყვანისცემის საგნად თავისივე
თავის შემოთავაზება. ევოლუციის
მოძღვრებამ და მისმა დამატებამ —
ბუნებრივი შერჩევის კანონმა ჩვე-
ნი საზოგადოების მომავალი აქციეს
თავიანთ ქვაკუთხედად. ამ მოძღვ-
რებაზე დანერგილი პოლიტიკური
იდეები დროთა ბოლოში ოქროს სა-
უკუნის დადგომას იქადდნენ და
ამიტომ აშკარად ამართლებდნენ
ყველა წამოწყებას. საზოგადოება
შეეჩვია იმის დაკანონებას, რასაც
შეიძლებოდა მომავლისთვის გაეწია
სამსახური და, აქედან გამომდინარე,
მას სიკვდილის განაჩენი შეუზღუ-
დველად გამოჰქონდა. მაშინ დანა-
შაულად და მკრეხელობად მონათ-
ლეს ყველაფერი, რაც კი ეწინააღმ-

* ცნობილია, რომ ნაფიც მსაჯუ-
ლთა ვერდიქტის გამოცხადება იწ-
ყება სიტყვებით: „ღვთისა და სინ-
დისის წინაშე...“ (ავტ. შენ.).

დეგებოდა საზოგადოების გეგმებსა და თემურ განაწესებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯალათი ქურუმი იყო და ჩინოვნიკად იქცა. შედეგი თვალსაჩინოა: XX საუკუნის შუა ხანის საზოგადოებას, რომელმაც ყველა ლოგიკით დაკარგა სასჯელის უმაღლესი ზომის მოთხოვნის უფლება, სასჯელის ეს ზომა სავსებით რეალისტური მიზეზებით უნდა გაეუქმებინა.

სინამდვილეში კი როგორ წარმოგვიდგება ჩვენი ცივილიზაცია დანაშაულობებთან მიმართებაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არაა: უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე სახელმწიფომ გაცილებით მეტი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე ცალკეულმა მოქალაქეებმა. მე უკვე არაფერს ვამბობ დიდ თუ პატარა ომებზე, თუმცა სისხლიც ალკოჰოლია, და ბოლოს და ბოლოს ის თავში ყველაზე მაგარ დვინოსავით არის. მაგრამ უშუალოდ სახელმწიფოს მიერ დახოცილ უბედურთა რიცხვი დიდად აღემატება კერძო პირების მიერ დახოცილთა რიცხვს. სულ უფრო და უფრო ნაკლები არიან სისხლის სამართლის საქმეთა გამო მსჯავრდებულნი, სულ უფრო და უფრო მეტნი — პოლიტიკურნი. ამის დამამტკიცებელია უდაო ფაქტი: საზოგადოების ნებისმიერ, თვით ყველაზე რესპექტაბელურ წევრსაც კი შეიძლება როგორმე მიუსაჯონ სიკვდილით დასჯა, არადა, საუკუნის დასაწყისში ხომ ეს სასაცილო უაზრობად იქნებოდა ჩათვლილი. ვინც მიიჩნევს, რომ სამართალი, ლოგიკა და ისტორია მის მხარეზეა, ის ყველაზე მეტ სისხლს აქცევს.

ჩვენმა საზოგადოებამ თავი უკვე იმდენად ადამიანისგან კი არ უნდა დაიცვას, რამდენადაც სახელმწიფო-

საგან. შესაძლოა, ამ ოცდაათი წლის შემდეგ თანაფარდობა შეიცვალოს. მაგრამ ამჟამად მთავარი და პირველი რიგის ამოცანაა თავდაცვა სახელმწიფოსგან. მართლმსაჯულება, რომელიც საქმეთა ყველაზე რეალისტურ შეფასებას ემყარება, მოითხოვს, რომ კანონმა ადამიანი დაიცვას სექტანტობის ან სიდიადის მანიით შეპყრობილი სახელმწიფოსაგან. დღეს ჩვენ ერთი ლოზუნგი გვაქვს: „დაე, სახელმწიფომ სიკვდილით დასჯის გაუქმებით დაიწყოს!“.

ცნობილია გამოთქმა: თუ კანონები სისხლიანია, მორალიც სისხლიანია. მაგრამ ყოველ საზოგადოებას შეუძლია სიმდაბლის იმ ლობემდე მივიდეს, რომ, მთელი ქაოსის მიუხედავად, ზნეობა კანონებივით ასე სისხლიანი არ გახდება. ევროპის ნახევარმა უკვე შეიცნო დაცემის ეს ხარისხი. ჩვენ კი, ფრანგები, ვრისკავთ ამის ხელახლა შეცნობას. თავიდან ვხოცავდით ოკუპაციის დროს, მერე — გათავისუფლების შემდეგ, და ახლა სულ ბოლოს სიკვდილით დასჯილთა მეგობრები ოცნებობენ რევანშზე. ზოგიერთ სახელმწიფოს, რომელთა სინდისზეც მეტისმეტად ბევრი დანაშაულია, სურს თავისი დანაშაული სასაკლაოს უაღრეს საშინელებებში დანთქას. ხოცავენ გაღმერთებული ერის ან კლასის სახელით. ხოცავენ ასევე გაღმერთებული მომავალი საზოგადოების სახელით. ვინც ვითომც ყოვლისმცოდნეა, ის ყოვლისშემძლეცაა. აბსოლუტური თაყვანისცემის ხარბად მოწადინე ხრწნადი, წარმავალი კერპები დაუცხრომლად მოითხოვენ დამნაშავის აბსოლუტურ განადგურებას. და რელიგიის სუროგატების სახელით იღუპებიან

იმედგამოცლილ ბრალდებულთა მასეში.

გადარჩება კი ჩვენი საუკუნის შუა ხანის ევროპული საზოგადოება, თუ ის არ მიიღებს ყველა საშუალებით სახელმწიფოს მიერ შევიწროებისგან ადამიანის დაცვის გადაწყვეტილებას? სასჯელის უმაღლესი ზომის გაუქმება იმის აღიარების ტოლფასი მოვლენა იქნებოდა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო ძალაუფლების დედაარსს არ წარმოადგენენ, მისი აბსოლუტები არ არიან და ნება არა აქვთ კანონის სახელით გამოუსწორებელი რამ გადაწყვიტონ (აბსოლუტი — ლათ. თავისთავადი, უთუო. — იდეალისტურ ფილოსოფიაში: სამყაროს უსასრულო პირველშიზეში. საწყისი — აბსოლუტური სული, აბსოლუტური იდეა; ღვთაების სინონიშია — მთარგმ.).

სიკვდილით დასჯის განაჩენი რომ არ ყოფილიყო, ევროპა არ იქნებოდა ამყრალებული გვამებით, რომლებიც უკვე ოცი წელია იხრწნებიან მის გამოფიტულ მიწაში. ჩვენს კონტინენტზე ყოველივე საუკეთესო გაუფასურებულია ადამიანებისა და ერების შიშით. იდეები ერთმანეთს სახრჩობელებითა და გილიოტინებით ებრძვიან. დათრგუნვის უფლებით ადამიანის მიერ ბუნებრივად შექმნილი კი არ სარგებლობს, არამედ იდეოლოგია განმგებლობს და ადამიანებს მოითხოვს მსხვერპლად. უკვე დაიწერა სიტყვები: „ეშაფოტზე სიკვდილი ყოველთვის იმაზე ღაღადებს, რომ ადამიანის სიცოცხლე აღარ არის წმიდა რამ. რაკი მისი მოკვლა სა-

მოძღვრო აქტად ითვლება“, * როგორც ჩანს, ქადაგებას უფრო და უფრო გულმოდგინედ უსმენენ — ცუდი მაგალითი გადაძდება. ყოვლისმომცველი სენი ნიპილიზმის ქაოსსაც წარმოქმნის და სასრულ, გვმართებს უწყინებლად გაუამახვილოთ იმის შესახებ თეზისზეც, რომ ადამიანის პიროვნება სახელმწიფოზე მაღლა დგას და ეს თეზისი თეორიასა და პრაქტიკაში განვამტკიცოთ. ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ადამიანზე საზოგადოებრივ ძალთა ზემოქმედებას შეამცირებს, დაეხმარება სისხლის ავარდნით დატანჯულ ევროპას გაჯანსაღების გზაზე დადგომაში. ევროპა ავადაა, რადგან მას არაფერი სჯერა და თავისი თავი ყოვლისმცოდნე ჰგონია. ეს ასე არაა, და თუ ჩვენ ამბოხებითა და იმედებით განვსჯით, მას მაინც სჯერა რაღაც — სჯერა, რომ ადამიანის უკიდურესი არარაობა იღუმაღ, ფარულ ზღვართან მის უმაღლეს სიდიადეს ერწყმის. ევროპელთა უმრავლესობამ დაკარგა რწმენა, და მასთან ერთად — სიკვდილით დასჯის გამართლების სურვილი. მაგრამ ევროპელთა უმრავლესობას ეზიზლება თაყვანისცემაც სახელმწიფოსი, რომელიც ცდილობს თავისი თავით შეცვალოს რელიგია. ჩვენ იმდენი კი ვიცით, რომ ვთქვათ: „ესა და ეს გარეწარი სამუდამოდ, სიკვდილამდე კატორღაში უნდა იყოს“, — მაგრამ აშკარად არაა მართებული, რომ მას წაერთვას, მოესპოს მომავალი, ანუ დანაშაულის გამოსყიდვის ყველა

* ფრანკარი (აფტ. შენ.).

ადამიანისთვის საერთო შესაძლებლობა. ხვალისდელი დღის ერთიან ევროპაში სიკვდილით დასჯის სახეიმოდ გაუქმება უნდა იქცეს პირველ მუხლად ევროპული კოდექსისა, რომელზეც ვამყარებთ ჩვენ ყველა იმედს.

XVIII საუკუნის ჰუმანისტური იდეებიდან პირდაპირ გზას სისხლიან ეშაფოტამდე მივყავართ და ამჟამინდელი ჯალათები, როგორც ცნობილია, ჰუმანისტები არიან. აქედან გამომდინარე, როცა სიკვდილით დასჯის პრობლემას ვეხებით, ჰუმანისტურ იდეოლოგიას უნდა ვერიდოთ. ვამთავრებ რა ჩემი ფიქრების გადმოცემას, მინდა გავიმეორო, რომ ვერც ილუზიები სიკეთეზე, ადამიანის ბუნების საფუძველზე, ვერც მომავალი ოქროს საუკუნის რწმენა ვერ ხსნიან იმ საბუთებს, რომლებიც მე მაქვს სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის სასარგებლოდ. პირიქით, სიკვდილით დასჯის განაჩენის გაუქმება მე მიმაჩნია პესნიმისტური, ლოგიკური და თვით სინამდვილის მიერ ნაკარნახევი მიზეზებით გაპირობებულ აუცილებლობად. რასაკვირველია, გულით მეც ეს მწადია. ის, ვისაც სამდენი დრო დაუყვია იმ ადამიანების პირისპირ, რომლებიც დღესხვალ ავლენ ეშაფოტზე, უკვე აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. მაგრამ ვიმეორებ: მაინც არა მჯერა, თითქოს ამქვეყნად არავინ არაფრის გამო არ აგებს პასუხს და ამიტომ საჭიროა დღევანდელი მოდის აყოლა და გამართლება ერთდროულად მსხვერპლისაც და მკვლელისაც.

გრძნობათა ამ დომხალში სულგრძელობაზე მეტი სიმხდალეა, და საბოლოო ჯამში ის ყველაზე უარესს ამართლებს. ლოცვა-კურთხევა აღევლინება ყველაფერს — მონებისთვის ამართულ ბანაკებსავე, მშიშარა ხელისუფლებასაც, ორგანიზებულ ჯალათობასაც, დიდი პოლიტიკოსების მახინჯ ცინიზმსაც, დასასრულ, — ძმის მიერ ძმის გაცემას. ყველაფერი ეს ჩვენს ირგვლივ ხდება. მაგრამ სწორედ დღევანდელი ვითარების გამო ჩვენი საუკუნის შვილს, იმისთვის, რომ გაჯანსაღდეს, სჭირდება კანონები და დადგენილებები, რომლებიც მას ლაგამს ამოსდებდნენ ხოლმე, ოღონდ ისე, რომ არ დაღუპავდნენ, ამქვეყნად ამყოფებდნენ, თანაც ისე, რომ არ დათრგუნავდნენ. მას გონივრული საზოგადოება სჭირდება და არა ანარქია, რომლის მორევშიც ის მოქცეულია მისი საკუთარი სიამაყისა და სახელმწიფოს უსაზღვრო ძალაუფლების გამოისობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ჩვენ ასეთი საზოგადოებისკენ ნაბიჯების გადადგმაში დაგვეხმარება.

მათ, ვინც კატორღულ სამუშაოებს სიკვდილით დასჯასთან შედარებით მეტისმეტად მსუბუქ სასჯელად მიიჩნევენ, შეგვიძლია ვუპასუხოთ: თავისუფლების აღკვეთა მათ მსუბუქ სასჯელად იმიტომ ეჩვენებათ, რომ თანამედროვე საზოგადოებამ მათ თავისუფლების სიძულვილი ასწავლა. დაე, კაენი ცოცხალი დარჩეს, მაგრამ თვისტომთა გმობის, ძრახვის ტვირთი ატა-

როს: აი, ყოველ შემთხვევაში, გა-
კვეთილი, რომელიც უნდა მიიღოს
მან ძველი ალთქმიდან, რომ
არაფერი ვთქვათ სახარებებზე, და
არა ის, რომ მოსეს სასტიკი კანო-
ნებით შთაგონდეს. ჩვენ არაფერი
გვიშლის ხელს, რომ ჩავატაროთ
დროით შეზღუდული ექსპერიმენ-
ტი მაინც (ვთქვათ, 10 წლის მან-
ძილზე), თუ ჩვენს პარლამენტს არ
ძალუძს ალკოჰოლიზმის წახალისე-
ბის თავისი პოლიტიკის გამოსყიდ-
ვა დიადი ცივილიზებული ღონის-
ძიებებით — სიკვდილით დასჯის სა-
ბოლოოდ გაუქმებით. სიკვდილით
დასჯა დღევანდელი სახით საძაგე-
ლი ტყავისმხდელობაა, ადამიანის
სულისა და სხეულის შეურაცხყო-

ფაა. მოკვეთილი თავი, ნაკადად მო-
მდინარე სისხლი გვაგონებს ბარბა-
როსობის ეპოქას, როცა მბრძანებ-
ლები იმედოვნებდნენ, რომ ხალხს
დამამცირებელი სანახაობებით და-
აშინებდნენ. ასლანს საძაგელი მკვ-
ლელობა ჩუმად და ნაჩქარევად ხო-
რციელდება — მაშ, რაა მისი აზრი?

ძალიან ბევრ ადამიანს უმძიმს
იმის შეცნობა, სინამდვილეში რაცაა
სიკვდილით დასჯა, და იმის შეუძ-
ლებლობა, რომ მას ხელი შეუშა-
ლოს. მაგრამ არც ადამიანთა გუ-
ლებში, არც საზოგადოებრივი ორგანი-
ზაციის სფეროში მანამ არ იქნება მყა-
რი სიმშვიდე, ვიდრე სიკვდილით
დასჯა კანონგარეშე ქმედებად არ
გამოცხადდება.



როგორ უნდა გავშვის სიყვარული

გავშვი ოჯახში



ქართული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზაურ კიდაძემ

მნ. ჩვენ გავშვებს ვხედავთ სიხარულისა და წყენის გამოვლინების ხანს, როდესაც ისინი განსხვავდებიან ჩვენგან, და ვერ ვამჩნევთ გარეგნულად მკვეთრად ვერ წარმოჩენილ გუნება-განწყობილებებს; ჩუმ ფიქრიანობას, ღრმა მღელვარებას, მწარე გაოცებას, მტანჯავ ეჭვიანობასა და დამამცირებელ მერყეობას, რომლითაც ისინი ჩვენი მსგავსნი არიან. გავშვი „ნამდვილი“ არა მარტო მაშინაა, ცალ ფეხზე რომ დახტის, არამედ იმ დროსაც, როდესაც ცხოვრებისეულ ზღაპარზეა ჩაფიქრებული. ნამდვილად „არანატურალური“ ბაღლები უნდა გამოვრიცხოთ მხოლოდ, უაზროდ რომ იმეორებენ უფროსებისგან შესწავლილ ან მიბაძულ ფრაზებს. გავშვი „დიდივით“ ვერ დაიწყებს ფიქრს; ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა სხვაგვარად აზროვნებას აიძულებს მას.

ზღაპარს ვუამბობ; ჯადოქრები, გველეშაპები, ალქაჯები, მოჯადოებული დედოფლები, უცებ ერთი შეხედვით გულუბრყვილო შეკითხვა გაისმის:

— და ეს მართალია?

და მესმის უპირატესობის ტონით აღბეჭდილი პასუხი:

— თქვენ ხომ თქვით, ეს ზღაპარიაო.

პერსონაჟები და მოქმედებანი მართალს ჰგავს; ყველაფერი ეს შეიძლება მომხდარიყო და სუყველაფერი ასე არ არის, რადგანაც ჩვენ ხომ გავაფრთხილეთ, ზღაპრები ტყუილიაო.

ა და მ ი ა ნ ი ს \ ს ი ტ ყ ვ ა მ, რომელსაც უნდა გაეფანტა გარემომცველი სამყაროს საშინელებათა და სასწაულების ბურუსი, პირიქით, უცოდნელობა უფრო გააღრმავა და გაამრავლა. პიროვნული მოთხოვნების პაწაწინა მიმდინარე ცხოვრებას სჭირდებოდა გარკვეული რაოდენობის მტკიცე პასუხები. ახლა კი სიტყვის ახალმა დიდმა ცხოვრებამ ერთბაშად გადაუშვა გავშვები გუშინდელი და ხვალინდელი შორეული და უშორეულის პრობლემების წიაღში. ყველაფრის გადასაწყვეტად არამცთუ დრო არ არის, სულ უბრალო განხილვაც შეუძლებელია. თეორიული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებას არის მოწყვეტილი და შემოწმების სამანებს მიღმა რჩება.

ტემპერამენტები — აქტიური და პასიური გონებრივი აღნაგობის კვალადაა გამოხატული, პრაქტიკულსა და გონებაჭვრეტითში.

პრაქტიკული ანაგობის გონების გავშვს ავტორიტეტის ნების სჯერა ან არ სჯერა; თუ სჯერა, ეს მისთვის უფრო მოსახერხებელია და

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საუნჯე“ №№ 1-2, 3-4.

სარგებლიანია; გონებაჭვრეტითი ანაგობის ბავშვი — გამოიკითხავს, დასკვნებს გამოიტანს, უარყოფს, ბობოქრობს ფიქრითაც და საქმითაც. პირველის არაცნობიერ სიყალბეს ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ მეორის ლტოლვა ჭეშმარიტებისკენ; ეს შეცდომაა, რომელსაც ანელებს დიაგნოსტიკას და აღმზრდელობით მუშაობას ნაკლებად ეფექტურს ხდის.

ფსიქიატრიულ კლინიკებში სტენოგრაფისტი იწერს პაციენტების მონოლოგებსა და დიალოგებს. სწორედ ამის გაკეთება მოუხდებათ მომავალი პედოლოლოგიურ კლინიკებში. დღეს კი ჩვენ მხოლოდ ბავშვთა შეკითხვების მასალა გვაქვს.

87. ცხოვრება ზღაპარია. ზღაპარი ცხოველთა სამყაროს შესახებ.

ზღვაში კაციყლაპია თევზებია. ხომალდზე დიდია ეს თევზები? თუკი კაცს გადაყლაპავს, კაცი დაიხრჩობა; მაგრამ წმინდანს თუკი გადაყლაპავს? თუკი არც ერთი ხომალდი არ დაიმსხვრევა, მაშინ რაღას ჭამენ? თუ შეიძლება ასეთი თევზის დაჭერა? ჩვეულებრივი თევზები კი როგორღა ცხოვრობენ ზღვაში? რატომ არ იჭერენ ამ თევზებს? ბევრნი, მილიონები არიან, ხომ? ნავის გაკეთება თუ შეიძლება ასეთი თევზიდან? წარღვნამდელია ეს თევზები? ფუტკრებს დედოფალი ჰყავთ, მეფე კი რატომ არა? მოკვდა თუ? თუკი ფრინველებმა იციან აფრიკაში როგორ გაფრინდნენ, მაშინ ადამიანებზე ჭკვიანები ყოფილან, იმათ ხომ არ უსწავლიათ. ორმოცფეხას რატომ ეძახიან, ორმოცფეხა რომ არ არის, მაინც რამდენი ფეხი აქვს? ყველა მელია ეშმაკია? გამოსწორება თუ შეუძლიათ, და ასეთები რატომ არიან? თუკი ვინმე აწვალებს და სცემს ძაღლს, მაინც ერთგული რჩება? და რატომ არ შეიძლება მზერა, ძაღლი ძაღლს რომ შეახტება? ფიტულები ხომ ადრე ცხოველები იყვნენ და თუ შეიძლება იყოს კაცის ფიტული? ლოკოკინა როგორაა გაჭედილი იქ და რომ გამოიღებ, მოკვდება, ხომ? ასეთი სველი რომაა, თევზია თუ? თუ ესმის, როცა ეუბნები; „ლოკოკინავ, მითხარი რა, სად არის შენი რქა?“ რატომ არიან თევზები ცივსისხლიანები? ტყავს რომ იცვლის გველი, რატომ არ ტკივა? ჭიანჭველები რაზე ლაპარაკობენ? კაცი აღესრულაო, რატომ ამბობენ და ცხოველზე კი არა? აბლაბუდას თუ დაუხვევ ობობას, უნდა მოკვდეს? ძაფს კი სადღა იშოვნის მეორის მოსაქსოვად? კვერცხიდან ქათამი რომ გამოვიდეს, კვერცხი მიწაში უნდა ჩამარხო? სირაქლემა ქვასა და რკინას ჭამსო, ყაყუნები კი როგორი აქვს? აქლემმა საიდან იცის, რამდენი დღის სამყოფი წყალი დასჭირდება? თუთიყუშს სულაც არ ესმის, რასაც ლაპარაკობს, ძაღლზე ჭკვიანი როგორ იქნება? რატომ არ შეიძლება ძაღლს ენა წააჭრა, იმანაც უნდა ილაპარაკოს, ხომ? რობინზონმა თუთიყუშს პირველმა ასწავლა ლაპარაკი, ნეტავი თუ არის ძნელი და როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

ხე ცოცხლობს, სუნთქავს, კვდება. პატარა რკოსგან მუსა იზრდება. ყვაფილი მსხლად გარდაისახება, თუ შეიძლება ამის დანახვა? პერანგებს თუ გამოისხამს ხე? მასწავლებელი სკოლაში ამას გვეუბნებოდა (ღმერთი დაიფიცა), თუ არის მართალი? მამამ თქვა, „რა სისულელეაო“, დეღამ კი — ხეზე არა, მამმა მინდვრად ხარობსო, ხოლო სკოლაში მასწავლებელმა კი გვითხრა, არითმეტიკის გაკვეთილზე ამის ლაპარაკი არ შეიძლება, მერე ავიხსნითო. ხოდა, ტყუილებს არ გვეუბნებიან; ნეტავი ერთი ასეთი ხე მაინც გვანახა!

მაგრამ ამ სასწაულებს გველემები როგორ შეედრება? გველემები არ არიან, მაგრამ კი შეიძლება ყოფილიყვნენ. იმ ქერივის შვილმა გველემები როგორღა მოკლა, თუ არ იყო? თუ სირინოზები არ არიან, იმათ როგორღა ხატავენ?

88. ზღაპრები ხალხთა შესახებ.

ზანგი შავია, თუნდაც მთელი დღეები ხეხო და ხეხო. შავი და არც კბილები. ეშმა არ არის, ის ურქოა და უკუდოც. შავნი არიან იმათი შვილებიც. ზანგები, რა საშინელებაა, კაციჭამიებია. ღმერთის არა და ბაყაყების სჯერათ. აქამომდე კი ხეებისა სჯეროდათ, ბოთენი იყვნენ; ბერძნებსაც რა არ სჯეროდათ? ჭკუაგახსნილები კი იყვნენ და მაინც როგორღა სჯეროდათ? ზანგები ქუჩაში ტიტლიკანანი დადიან და არც კი რცხვენიათ. ცხვირში ნიჟარას ჩაიდგამენ და ფიქრობენ, რა ლამაზიაო; რატომ არავინ ეუბნება, ასე ნუ აკეთებთო? ბედნიერები არიან ზანგები, ჭამენ ლელვს, ინდის ხურმასა და ბანანს, მაიმუნებიც ჰყავთ, სულაც არ სწავლობენ, პატარა ბიჭიც კი მაშინვე სანადიროდ მიდის.

ჩინელებს ნაწნავეები აქვთ, რა სასაცილოა. ფრანგები ყველაზე ჭკვიანები არიან, მაგრამ რა სასაცილოდ ლაპარაკობენ: „პრი-ჟე-პრუ“. გერმანელები კი „შტუნდა და რახნი“, კომობსტო და ბურახნი. ებრაელებს ყველაფრის ეშინიათ, ყვირიან „აი-ჰაი“, და ზედმეტს გვანდევინებენ. ებრაელია და მიდი, უნდა მოგატყუოს; ქრისტე ჯვარს აცვეს. ამერიკაშიც არიან პოლონელები, იქ რას აკეთებენ, ფეხებს რად ამტვრევენ, სამათხოვროდ უშვებენ ან ცირკში, ხომ? კი უნდა იყოს კარგი ცირკში გამოსვლა! და ხელს ერთხელ თუკი გადაიბრუნებ, მაშინ სულ ყოველთვის შეძლებ რაღაც-რაღაცების გაკეთებას, ასეა? თუ არიან ქვეყნად ქონდრისკაცები? და თუ არ არიან, რატომ არ არიან და თუ ასეა, ხალხმა საიდან იცის, როგორი არიან? ქუჩაში კაცუნა მიდიოდა, სუყველანი უკან იყურებოდნენ; ლილიპუტები უკვე აღარასოდეს გაიზრდებიან, დასაჯეს და პატარები იმიტომ არიან? ფინიკიელები ჯადოქრები თუ იყვნენ: ქვიშისგან მინის გაკეთება როგორ შეეძლოთ? ძნელია ნეტავი? მთიელები ცეცხლშემოგზნებულ მთებზეც დადიან? ხალხია — მეზღვაურები? წყალში ცხოვრება თუ შეუძლიათ? უფრო ძნელი რომელია — მყვინთაობა თუ მეზღვაურობა, რა სჯობს?

ხანდახან კი შეკითხვა თქვენი შფოთიანობის საგანი ხდება:

— მეღნით რომ მოვითხოვნო, ზანგები თუ მიცნობენ, ნეტავი?

ბალლი ძლივს ეგუება იმ ცნობებს, რომლის გამოყენებას საქმით ვერ შეძლებს. თავადაც უნდა ასე გააკეთოს, გემო გაუსინჯოს ან ახლოდან მაინც ნახოს.

89. ადამიანი — ზღაპარი.

თუ არიან შუშისთვალეა ადამიანები, გამოღება თუ შეუძლიათ მათი და იმით დანახვა? პარიკები რისთვისაა და რატომ დასცინიან, თუკი ვინმე მელოტია? თუ არიან ისეთები, რომლებიც მუცლით ლაპარაკობენ, თუ ეს ჭიპი უნდა იყოს? ჭიპი კი რაღად სჭირდებათ? ნამდვილად თუ არის ყურებში დოლები? ცრემლები რატომღა მლაშე და ზღვაც მლაშე რატომღა? გოგოებს თმა გრძელი რატომ აქვთ, რაღაც მთლად სხვანაირები უნდა იყვნენ? გულზე სოკოები თუ ხარობენ? მაშინ რაღატო-

მაა საპირველაპრილო ბარათებზე გული სოკოებით? სიკვდილი თუა აუცილებელი? ამ ქვეყნად რომ არ ვიყავი, სად ვიყავი ნეტავი? მოსამსახურე მეუბნება, შეიძლება ერთხელ ვინმემ ისე შემოგხედოს, რომ ავად გახდე, და, თუ სამჯერ გადააფურთხებ, აღარ გაძლები ავად. როცა აცემინებ, ცხვირს რა ემართება მაშინ? გიჟი — ავადმყოფია? მთვრალი თუ არის ავადმყოფი? უარესი რობელია, მთვრალი თუ გიჟი? ახლა რატომ არ შეიძლება გავიგო, ბავშვები როგორ იბადებიან? ქარიშხალი იმიტომ ამოვარდება სოლზე, რომ ქაჯი კვდება? რა სჯობს, სიბრძავე თუ სიყრუე? ბაღლები რატომ იხოცებიან და მოხუცები რატომ ცოცხლობენ? როდის უფრო უნდა ვიტყვოდეთ, ბებია რომ მომიკვდება თუ ძამიკო? კანარის ჩიტის ცაში რატომ ვერ მოხვდება? დედინაცვალმა ბავშვებს აუცილებლად უნდა სცემოს? ძუძუს რძეც ძროხისაა? რალაც რომ გესიზმრება, მართლაც ასეა თუ გეჩვენება? ჟღალი თმა საიდანაა? რატომ არ შეიძლება უქმროს ბავშვი ჰყავდეს? რა სჯობს, შხამიანი სოკო შეჭამო თუ გველმა გიკბინოს? თუა მართალი, წვიმაში დადგები და უფრო მაღეც გაიზრდები? ექო რა არის, ტყეში რატომაა? თუ თითებს მოხრი და იმაში გაიხედავ, მთელ სახლს დაინახავ, როგორ დაეტია იქ ნეტავი? ჩრდილი რა არის და რატომ ვერ გაექცევი? თუა მართალი, უღვაშიანი გოგოს რომ აკოცებს, უღვაში იმასაც გაეზრდება? მართალი თუ არის, კბილები ჭიებიანია, მაგრამ არ ჩანანო?

90. ზღაპარი ავტორიტეტის შესახებ.

ბავშვებს ბევრი ღმერთი, ნახევარღმერთი და გმირი ჰყავთ.

ხილულნი და უხილავნი, სულიერნი და უსულონი. ჰყავთ ავტორიტეტები. წარმოუდგენლად რთულია მათი იერარქია. დედა, მამა, ბებია, ბაბუა, დეიდა, ბიძია, მსახური, პოლიციელი, ჯარისკაცი, მეფე, ექიმი; საერთოდ დიდები, მღვდელი, მასწავლებელი და უფრო გამოცდილი ამხანაგები.

ავტორიტეტები უსულონი და ხილულნი: თორა, გრაგნილი, ლოცვანი, ხატები, წინაპართა პორტრეტები, დიდი ადამიანების ძეგლები, სხვათა ფოტოსურათები.

ავტორიტეტები უხილავნი: ღმერთი, ჯანმრთელობა, სული, სინდისი, მიცვალებულები, ჯადოქრები, ეშმაკნი, ანგელოზები, ავი სულელები, მგლები, სწირად ნახსენები შორეული ნათესავები.

ავტორიტეტები მორჩილებას მოითხოვენ, ვაგლახ, რაც ბავშვისთვის გასაგებია, გაუსაძლისად გასაგებია. ავტორიტეტები სიყვარულს მოითხოვენ და ამის გაძლება მეტად ძნელია.

— მე უფრო მამა და დედა მიყვარს.

პატარა პრანჭვას მოჰყვება იმისთვის გაუგებარ შეკითხვაზე გაუგებარი პასუხის გამო. მოზრდილ ბავშვს ასეთი დამამცირებელი და შემამჩვიებელი შეკითხვის მოსმენაც კი არ შეუძლია. ხან კი ძალიან უყვარს, ოღონდ ისე, თავისთვის, რაკი ასე აუცილებელია; ხან კი ეზიზღება, დიახ, შემზარავია ეს ამბავი, მაგრამ რას იზამ, თუკი გეზიზღება.

პატივისცემა — იმდენად რთული გრძნობაა, რომ ბავშვს არც აქვს თავისი აზრი და იძულებულია დიდების გამოცდილებას მიმართოს.

დედა მსახურს უბრძანებს, მსახურს დედის ეშინია, დედა ბონასაც

უბრაზდება. დედამ ექიმს ნებართვა უნდა სთხოვოს. პოლიციელმა შეიძლება დედა დააჯარიმოს. ამხანაგი კი სულაც არ არის მოვალე დედაჩემს გაუგონოს. მამას სამსახურში უფროსი განურისხდა, ამიტომაც მამა ასეთი დაღვრემილი.

ჯარისკაცს ოფიცრის ეშინია, ოფიცერს — გენერლის, გენერალს კი — მეფის. აქ ყველაფერი გასაგებია და შეიძლება ამიტომ იწირობს სამხედრო ჩინები ბიჭების ყურადღებას, იქნებ ამიტომაც სკოლის ბავშვებში პატივისცემის გრძნობა ასე ზუსტად დოზირებული — კლასების მიხედვით — რაც სულაც არ უნდა იყოს ძნელი გასაგები.

დიდად პატივისცემის ღირსნი არიან შუამავლები ხილულ და უხილავ ავტორიტეტებს შორის. მღვდელი ღმერთს გასაუბრებია, ექიმი ჯანმრთელობასთანაა დაძმაცაცებული, ჯარისკაცი მეფის ნაცნობია, ხოლო მსახურებმა ბევრი იციან ჯადოების, სულელებისა და ჭინკების შესახებ.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ყველაზე უფრო საპატივცემულო მწყემსი ხდება, ვისაც ხეზე დანით გამოსახულების გამოჭრა შეუძლია, ამას ვერც დედა იზამდა, ვერც გენერალი და ვერც ექიმი.

91. რატომ სტკივით მუცელი დაუმწიფებელი ხილისგან? ჯანმრთელობა მუცელშია თუ თავში? ჯანმრთელობა ეს სულია? ძალღს რატომ შეუძლია სიცოცხლე უსულოდ, კაცი კი კვდება? ექიმები თუ ავადმყოფობენ, თუ კვდებიან და რატომ? დიდი ადამიანები სუყველანი რატომ დაიხოცნენ? მართლა თუ არიან ადამიანები, რომლებიც წიგნებს წერენ და ცოცხლობენ? ყოველი მეფე კვდება, ამ ქვეყნად სიცოცხლე არ უწერიათ. დედოფალს ფრთები თუ აქვს? მიცქევიჩი თუ იყო წმინდანი? თუ უნახავს მღვდელს ღმერთი? არწივს თუ შეუძლია ზეცამდე აფრენა? ღმერთი თუ ლოცულობს? ანგელოზები რას შერებიან, თუ სძინავთ, თუ ჭამენ, ბურთს თუ თამაშობენ, კაბას იმათ ვინ უკერავს? ეშმაკებს მაგრად სტკივით? შხამიანი სოკოები შხამით ეშმაკებმა შეაზავეს? თუკი ღმერთი ყაჩაღებს გაუწყრა, რალატომ ბრძანებს, ილოცეთო იმათთვის? ღმერთი რომ იხილა მოსემ, ძალიან შეეშინდა მისი? მამა რომ არ ლოცულობს, ღმერთმა მისცა ამის ნება? მესი — სასწაულია? ჰაერი — ღმერთია? რატომაც შეუძლებელი ჰაერის დანახვა? ჰაერი უცებ შედის ცარიელ ბოთლში თუ თანდათანობით, საიდანღა იცის, იმაში წყალი რომ არ არის? ღარიბები რატომ იწყევლებიან? თუკი წვიმა სასწაული არ არის, მაშინ რატომ არავის არ შეუძლია წვიმის მოყვანა? რისგანაა გაკეთებული ღრუბლები? და შორს რომ ცხოვრობს ის დეიდა, კუბოში ცხოვრობს?

რა გულუბრყვილობაა მშობლის იმედი (პროგრესულს ამას ნუ დავარქმევთ), თუკი ბავშვს ეტყვის, „ღმერთი არ არის“, გარემომცველი სამყაროს შეცნობას ასე უფრო გაუუადვილებთო, თუკი ღმერთი არ არის, ეს რას უნდა ნიშნავდეს? ყველაფერი ეს ვინ შექმნა, რა იქნება, მე რომ მოვკვდები, პირველი ადამიანი კი საიდან გაჩნდა? მართალი თუ არის, როცა არ ლოცულობ, პირუტყვივით ცხოვრობო მაშინ? მამა ამბობს, ანგელოზები არ არიანო, მე კი ჩემი თვალთ მყავს ნანახი. თუკი ცოდვა არაა, რალატომ არ შეიძლება მკვლელობა? ქათამსაც ხომ სტკივა?

იგივე ეჭვები და შფოთსავსე შეკითხვები.

92. სევდიანი ზღაპარი, იდუმალი სილატაკე.

მშიერი რატომ არის, რატომ არის ღარიბი, რატომ სცივა, რატომ არ იყიდის, ფული რატომ არა აქვს, რატომ იმას „ისე“ არ მისცემენ?

შენ ბავშვს ეუბნები:

„ღარიბ-ლატაკთა ბავშვები ჭუჭყიანები არიან, ცუდი სიტყვებს ამბობენ, თავში მწერები ჰყავთ. ღარიბ-ლატაკთა ბავშვები ავადმყოფებია, შეიძლება იმათგან გადაგედოს რამე. ჩხუბობენ, ქვებს ისვრიან და თვალს წამოგიგდებენ. ეზოში ჩასვლა არ შეიძლება, არც სამზარეულოში შესვლა, საშენო იქ არაფერია“.

ცხოვრება კი ასე აცხადებს:

„სულაც არ არიან ავად, მთელი დღე ღარიბიან, მხიარულობენ, ჭის წყალს სვამენ და ყიდულობენ გემრიელ-უგემრიელეს მრავალნაირ კანფეტს. ცოცხს კარგად ხმარობენ. ბიჭი ეზოს ხვეტავს ან თოვლს ყრის და ძალიანაც სიამოვნებს. არც არავითარი მწერები ჰყავს, ეს არ არის მართალი. ქვებსაც არ ისვრიან, თვალიც არა აქვთ დაშავებული, კი არ ჩხუბობენ, ჭიდაობენ. ცუდი სიტყვები სასაცილოა, სამზარეულოში ასვლის უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ოთახებში“.

შენ ამბობ:

„ღარიბ-ლატაკები უნდა გიყვარდეს, პატივს უნდა სცემდე, კეთილნი არიან და ბევრს მუშაობენ, მზარეული ქალის მადლობელი უნდა იყო, სადილს აკეთებს, დარაჯისაც, წესრიგს თვალყურს ადევნებს. მიდი, ითამაშე დარაჯის ბავშვებთან“.

ცხოვრება კი:

„მზარეულმა ქალმა ქათამი დაკლა, ხვალ უნდა ვისადილოთ, დედაც ისადილებს, ქათამი ხომ მოხარშეს და იმას არ სტკივა, ხოდა, ის მზარეული ცოცხალს რომ კლავდა, დედა ვერც კი უმზერდა. დარაჯმა ლეკვები დაახრჩო, ისეთი კარგები კი იყვნენ! მზარეულ ქალს ხელები ხორკლიანი აქვს, სულ ჭუჭყიან წყალში აქვს ჩაყოფილი. გლეხი ჰყარს, ებრაელიც ჰყარს. დახლიდარ ქალს არ ეძახიან „ქალბატონო დახლიდარო“, არამედ უბრალოდ — „ვაჭარ ქალს“. ღარიბ-ლატაკის შვილები ბინძურები არიან, რასაც კი უჩვენებ, იმ წუთასვე, „მომეცი, მომეცი“, არ მისცემ და ქუდს მოგაძრობენ და ხარხარებენ, ერთმა კიდევ შეაფურთხა, სახეში შეაფურთხა...“

ბავშვს ჯერ კიდევ არც გაუგონია ბოროტ ჯადოქარზე და უკვე შიშით მიდის მოხუც მათხოვართან, რათა გროში მისცეს.

ბავშვმა იცის, აქაც ყველაფერს ვერ ეუბნებიან, ვერ არის კარგი ამბავი, რისი ახსნაც არ უნდათ ან არ შეუძლიათ.

93. ახირებანი მაღალ წრეში და კარგი მანერები:

ცუდია პირში თითის ჩადება, ცხვირის ჩიჩქნა და ქშუტუნის, ცუდია ხვეწნა, ამის თქმა, „მე არ მინდა“, იქით გაწევა, როდესაც გკოცნიან, ამის თქმა, „არ არის მართალი“. ცუდია ხმამაღლა მთქნარება, ლაპარაკი, „მომწყინდაო“. ლამაზი არ არის მაგიდაზე იდაყვების დაყრდნობა, უფროსს პირველმა ხელი არ უნდა გაუწოდო. ლამაზი არ არის ფეხების ქნევა, ხელების ჯიბეში ჩაწყობა, ქუჩაში თვალების აქეთ-იქით ცეცება. ლამაზი არ არის ხმამაღლა შენიშვნების გამოთქმა და თითუბით ჩვენება.

რატომ?

ხსენებული აკრძალვები და მითითებები სხვადასხვა წარმომავლობისაა, ბავშვებს არ ძალუძთ მიხვდნენ იმის არსსა და კავშირს.

ცუდია პერანგისამარა სირბილი და დაფურთხება.

რატომ არ არის ლამაზი მჯდომარემ უპასუხო უფროსების შეკითხვებს? და მამასაც კი უნდა მიესალმო ქუჩაში? და რატომ უნდა უპასუროდესაც სიმართლეს არ ლაპარაკობენ? ასე, მაგალითად, ბიძია ბიჭს ეუბნება, „შენ გოგო ხარ“, ან „საცოლე ხარ ჩემი“, ან „დედაშენისგან გიყიდე“ — ეს ხომ ტყუილია!

— გოგოებთან თავაზიანი რატომ უნდა ვიყო? — მკითხა ერთხელ მოწაფემ.

— ისტორიულად შეიძლება ამის ახსნა, — მე მივუგე.

— რატომ დაწერე „ბოსთანი“ და არა „ბოსტანი“? — ვკითხე რამდენიმე წუთის შემდეგ.

— ისტორიულად შეიძლება ამის ახსნა, — მიპასუხა იქედნური ღიმილით.

ამავე შეკითხვას ასე უპასუხა ერთმა დედამ:

— იცი რა, ჩემო კარგო, გოგომ მერე ბავშვები უნდა შვას, ვერ იქნება კარგად და ა. შ.

სულ მალე დაი და ძმა ისევ წაეჩხუბნენ ერთმანეთს.

— რა ჩემი საქმეა, დედიკო, იმან ბავშვები რომ უნდა შვას. მე მინდა, მტირალა არ იყოს, ის კი მტირალაა.

ყველაზე ნაკლებად წარმატებული უნდა იყოს, მე მგონი, ხშირად წარმოთქმული ასეთი ახსნა:

— დაგცინებენ.

მართლაცდა, მოსახერხებელია, ეფექტური, ბავშვს ეშინია ყველაფრის, რაც სასაცილოა.

მაგრამ მაშინაც ხომ დასცინებენ, დედას სულ ასე რომ ეუბნება, გავიზრდები, კარტს არ ვითამაშებ, არ დავლევ, არ ვივლი საროსკიპოში.

და მშობლებს ყველაფერი სასაცილოს შიში რომ აქვთ, ჭკუამიღმური შეცდომები მოსდით. და ყველაზე უფრო მაკნებელი შეცდომა: მალავენ ბავშვის ბიწიერებას და იმას, რომ ვერ შეძლეს მისი კარგად აღზრდა; ხოდა, ბავშვი რაღაც დროით სტუმრების წინაშე გულუხვი საზღაურის სანაცვლოდ წარმოაჩენს თავის ზრდილობას, მერე კი შურისგებას მიმართავს.

94. მშობლიური ენა — ბავშვისთვის შერჩეული საგანგებო წესებისა და მაღალი ზნეობის მომნიჭებელი რამ კი არ არის, არამედ სწორედ ის, რითიც სუნთქავს სული მისი მთელი ერის სულთან ერთად. სიმართლე და ჭოჭმანი, რწმენა და ჩვეულება, სიყვარული და შეძაგება, ცელქობა და თავმოზღუდულობა, მრავალნაირი ღირსება და სიმდაბლე, სიმდიდრე და სიღარიბე — ყოველივე ის, რაც შეუქმნია პოეტს შთაგონების წამს და რაც მიუთვისებია ღვინით გამომტყვრალ ავაზაკს, რაც კი შექმნილა საუკუნეობით თავდაუზოგავი შრომითა და მონობის შავბნელ წლებში.

ვინ იფიქრა, ვინ დაწერა, ვინ გამოიკვლია, თუ როგორ უნდა დასოცო ბაქტერიები და ჟანგბადით გააჯერო ეს სტიქიონი? შეიძლება, სიმართლე ეს ყოფილიყო, ჯანსაღი უბრალო ხალხი კი არ ჩასვრილა, არამედ სალონში „სცოდეს“ და განრწნილება სწორედ აქ საიხანა?

„ღვთის თვალი ტრიალებს. ღვთივგანაპირი. ეშმაკი შეუჯდა გვერდებში. სამოთხის კარის გაღება. ცას ეწია სიხარულით გულისთვის ბჭენი. ღვთივმიმადლებული. ქრისტე ღმერთი თუ გუთნისდელად მეყოლება, გუთანი არ მომეშლებაო. ღმერთმა მოგვხედა. ენამ მიყივლა. წმინდაში დგომა. ღვთის ხელი ურევია. ქვა საჭმელად ენატრება. სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა. ეშმაკის გზას გამოკიდებული. სულის წაწყდება. ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნა. ბოლოკი და ხბოს თავი.

ღმერთმა შეგარგოს. დღეგრძელობა. ვისაც ორშაბათი მოუცდება, მთელი კვირა მოუცდება. მასლოკინებს, ვილაც მახსენებს. სიყვარული ხახვის ფოჩი არ არის, წყალში გადააგდო. დანა დავარდა, სტუმარი მოვარდა. რა ენა გექავებაო. ცალი ფეხი სამარეში უდგას.

ზეცის კარის გაღება. ბოშას ხელმწიფობა უბოძეს. აღაპი არის რუსეთისაო. ბატონის წყალობა. მუტრუკი. ობლის თვალი ვერ გაძლებაო.

ბებრუხანა. სიბერისაგან ტვინწასული. უძაბუნესი. ცხვირმოუხოცავი, ღლაპი, პირდაუბანელი, დედის ხსენი არ შეშრობია ტუჩებზე.

ბრუციანი? არა, უსინათლო. დაჩაჩანაკებული? არა, მსცოვანი. საპყარი? არა, ბეჩავი.

ძალი კარში არ გაივლება. ჩაძალდება. ცუდმაშვრალი, მოსაყივნებელი. რისხვის ქუხება. მბრუნავი, ვითარცა წისქვილის ქვა. გამგებლება. სიგრძე სიგანედ მოუქცია.

ჭკუაგამოლეული. თავგზადაკარგული. ტყუილების გუდა. მწყურები ჰყავს თავში. სიცილისაგან ფერდები ჩაასკდა. ათასი თოკიდან გამომძვრალი. გონებავრცელი. მეტი არ აგიდგა გვერდები! პირი ცრემლითა და მბანა“.

— რა არის? საიდან მოვიდა? რატომ იტყვიან ასე?

— „გული“ — არსებითი სახელია, „გული“ — ქვემდებარეა.

— მაგრამ გულქვიანობაო რომ ამბობენ, გული ქვა როგორ უნდა იყოს? კაცმა რომ გრამატიკა გამოიგონა, თუ იყო ჭკვიანი?

95. ბავშვებს არ უყვართ ბუნდოვანი გამოთქმები და ხანდახან ცდილობენ გარშემომყოფთა იმით გაკვირვებას. ბავშვები, ვერ ვიტყვით, არ არჩევენ და ისე ითვისებენო დიდების ენას და ზოგიერთ ჩვენს გავრცელებულ გამოთქმებს აშკარად უწევენ წინააღმდეგობას. „თუ გესმის, მომეცი. შენ გეუბნები, მათხოვე. აბა, მოდი ერთი, მაჩვენე“.

„თუ გესმის“, „შენ გეუბნები“ შესაბამისია ჩვენი „თუ შეიძლება“ს. თხოვნა — „მათხოვრობა“ (მათხოვარი მათხოვრობს). ბავშვს არ უყვარს ხსენებული დამამცირებელი გამოთქმები.

„ხომ არ გგონია, შეგეხვეწები! ნუ სთხოვ! ხომ არ დავუჩოქებ! დაგჭირდები, იცოდე!“

მე ვიცი მხოლოდ ერთი განსაკუთრებული ზარ-ზეიმით წარმოთქმული:

— აი, შენ თურმე ვინ ყოფილხარ, მე კი როგორ გთხოვ!

„შენ გეუბნები“, ამ გამოთქმით ბავშვი ცვლის არა ნაკლებ უსიამოვნოს, „მაპატიე, თუ შეიძლება“.

„შენ გეუბნები, ჩემდა უნებურად მოხდა. შენ გეუბნები, მე არ მიხდოდა. შენ გეუბნები, მე არ ვიცოდი“.

მრავალნაირი გამოთქმები კი, რომლების მიზანია დაარწმუნოს, გააფრთხილოს, წინაღუდგეს ბოხოქარ სცენებს?

„თავი დამანებე, შემეშვი, მიდი გაიარე, არ გინდა, არ გვინდა ჩხუბი, გაჩუმდი-მეთქი! გთხოვ, მორჩი (ხსენებული თხოვნა — კატეგორიული ბრძანებაა), წადი ერთი, ყური მიგდე, გეყოფა-მეთქი!“

მუქარა:

„მიიღებ, იცოდე! გაილახები! ინანებ, იცოდე! იცოდე, გატირებ!“

სიტყვების აუგად გაორება:

„კარგი, კარგი... ვიცი, ვიცი... დამაცადე, დამაცადე...“

ბავშვის დაშინება გვინდა:

„სულაც არ მეშინია! გული არ გამიხეთქო! ვინ არის, რომ მეშინოდეს!“

ბავშვის საკუთრების თითოეული საგანი სადავოა: თუ არ ვუთხარი ვერ მოგცემ, ნუ გააფუჭებ, სულ ცოტა ხნით მათხოვა (და მით უმეტეს მისთვის დასაფასებელია განუყოფელი მფლობელობა).

— შენია ეს დუქანი, შენი მავიდაა?

— ჩემია (თუ იქნებ შენია?)

— მე პირველი ვარ!

„პირველი“ ვიყავიო, ესე იგი, პირველმა დაიკავა ადგილი, თამაში, თხრა დაიწყო. თავის სიმშვიდეს რომ უფრთხილდებიან, დიდებს ბავშვების დავა მეტად ზედაპირულად უნდათ გადაჭრან:

„პირველმა იმან დაიწყო! იმან დაიწყო! ვიყავი ჩემთვის, იმან კი...“

საგულისხმოა უარყოფის ფორმა:

„აბა ერთი როგორ არ მივაფეთო! გული არ გამიხეთქო! ნუ მაცი-ნებ!“

ამ გამოთქმების შინაარსი — ცელქობაა; იქნებ „არ“ აკრძალვების გამოძახილია.

„აბა, არ მომატყუო იცოდე. ხომ დამპირდი. ეს არის შენი სიტყვა!“

სიტყვის შეუსრულებლობა ღორობაა. დიდებს ეს უნდა ახსოვდეთ. მდიდარი მასალაა შესასწავლად.

96. ბავშვს, ვინც საბოლოოდ არ არის ჩაგონებული ღარიბ-ლატაკთა წინააღმდეგ, სამზარეულო უყვარს, და უყვარს არა იმიტომ, რომ იქ ქლიავის ჩირია და ქიშმიში, არამედ იმიტომ, სამზარეულოში რალაც ხდება, ოთახებში კი არა; ზღაპარიც იქ უფრო საინტერესოა, ამავე დროს, რას არ ჰყვებიან, თავადაც შეიძლება რალაცას მოჰყვეს და ყურადღებით მოუსმინონ, რადგანაც სამზარეულოში ის კაცია და არა ფინია ფარჩის ბალიშზე წამოსკუპებული.

„გინდა ზღაპარი მოგიყვე? კარგი, გიამბობ. აბა როგორ იყო? უნდა გავიხსენო“.

სანამ ზღაპარი დაიწყებოდეს, ბავშვს შეუძლია მოხერხებულად

მოკალათდეს, სამოსელი გაისწოროს, ჩაახველოს და დიდი ხნით ყურის დასაგდებად მოემზადოს.

„ხოდა, მიდის, მიდის გოგო ტყეში. ტყეში კი ბნელა, არაფერი არ ჩანს, არც ხე, არც მხეცი და არც ქვა. თითს ვერ მიიტან თვალთან. ეშინია, ჰე, რა ეშინია. პირჯვარი გადაიწერა ერთგზის, ისე აღარ ეშინია, კიდევ გადაიწერა პირჯვარი და გზა განავრძო“.

ვცადე ასე მომეყოლა. სულაც არ არის ადვილი! მოთმინება არ გვეყოფნის, ვჩქარობთ, პატივს არ ვცემთ არც ზღაპარს და არც იმის მსმენელს. ბავშვი ვერ მოჰყვება ჩვენს აჩქარებულ თხრობას.

არადა, შეიძლებოდა ისე გვეამბო ტილოს შესახებ, რომელსაც ბამბისგან აკეთებენ, ბავშვი აღარ იფიქრებდა, პერანგები ხეებზე იზრდებიან, ხოლო ნაცარს მინდვრად თესავენო...

აი, რაც მართლაც მოხდა:

— ვდგები დილას და თვალეებში ყველაფერი გაორებული მაქვს: ორს ვხედავ ყველაფერს. ვუყურებ ღუმელს — ორია, ვუყურებ მაგიდას — ორია. ვიცი, მაგიდა ერთია და ორს კი ვხედავ. თვალეებს ვიფშვნეტ — არ მშველის. თავში ისე მიკაკუნებს, ისე მიკაკუნებს...

ბავშვი გამოცანის ამოხსნას მოელის, დაბოლოს, როცა გაიგებს სიტყვას „ტიფიო“, მზადაა გაითავისოს ეს ახალი სიტყვა.

— ექიმი ამბობს, ტიფიაო...

პაუზა. მთხრობელი ისვენებს, ისვენებს მსმენელიც.

— ხოდა, ერთხელ ავად გავხდი ამ ტიფით... თხრობა გრძელდება.

უბრალო მოთხრობა ამის შესახებ, სოფლად იყო ერთი გლეხი, არც ერთი ძაღლისა არ ეშინოდა, ერთხელ ნაძლევს ჩამოვიდა და მგელივით გაათრებულ ძაღლი ხელში აიყვანა, წაიყვანა ხბოსავით. ხოდა, ეს ამბავი ეპოსად გარდაისახება. და კიდევ, ერთხელ ვიღაც კაცი, ქალად გადაცმულიყო და ვერავინ იცნო. და ერთხელ როგორ ეძებდა გლეხი ნაპარავ ცხენს.

მცირეოდენი მზრუნველობის გამოხატულება და იქნებ საესტრადო სცენაზე გამოჩნდნენ ზღაპრის მოქმედები ტყავკაბაში და ისე გვასწავლონ ბავშვების წინაშე თხრობა, რომ ყური დაგვიგდონ. მზრუნველობა საჭიროა და ჩვენ კი სულ აკრძალვას მივმართავთ.

97. თუ არის მართალი?

უნდა ჩავხვდეთ ამ კითხვის არსს, რაც არ გვიყვარს და ზედმეტად მიგვაჩნია.

თუკი დედა ან მასწავლებელი იტყვის, მაშინ მართალი უნდა იყოს.

არა, ბატონო! ბავშვი უკვე დარწმუნებულია, თითოეულ კაცს მხოლოდ ნაწილი აქვს ცოდნისა და, ასე, მაგალითად, მეეტლემ ცხენებისა უფრო მეტი იცის, ვიდრე მამამ. და ყოველი ხომ ვერ იტყვის, თუმცა კი იცის. ზოგჯერ უბრალოდ არც უნდათ და სიმართლე ბავშვის დონეზე დაჰყავთ, ხშირად მაღავენ ან ამახინჯებენ შეგნებულად.

ცოდნის გარდა, რწმენაც ხომ არის; ერთს სჯერა, მეორეს — არა; ბეზიას სიზმრების სჯერა, დედას კი არ სჯერა. მართალი ვინ არის?

დაბოლოს, სიცრუე-ხუმრობა და სიცრუე-ქება.

— მართალი თუ არის, რომ დედამიწა ბურთია?

ყველა ამბობს მართალიაო. მაგრამ ვინმე თუ იტყვის, არ არისო მართალი, ეჭვის ჩრდილი დარჩება.

— აი, თქვენ, იტალიაში იყავით, მართალია, რომ იტალია — ქვეყანა-სავითაა?

ბავშვს უნდა იცოდეს, თავად ნახე თუ სხვამ გითხრა — საიდან იცი; უნდა, პასუხი იყოს მოკლე, მტკიცე, გასაგები, ერთნაირი, სერიოზული, გულწრფელი.

ტემპერატურას როგორ ზომავენ თერმომეტრით?

ერთი ამბობს სინდიყიაო, მეორე — ცოცხალი ვერცხლი (ცოცხალი რატომ?), მესამე — სხეული ფართოვდებაო (მაგრამ თერმომეტრი სხეულიაო), მეოთხე კი — ამას ვერ გაიგებო.

ზღაპარი წეროს შესახებ ბავშვს სწყინს და აჯავრებს, ისევე, როგორც ყოველი ხუმრობით წარმოთქმული პასუხი სერიოზულ შეკითხვებზე, ასე, მაგ., „საიდან ჩნდებიან ბავშვები?“ ან „რად უყფის ძალი კატას?“

„თუ არ გინდათ, ნუ დამენმარებით, მაგრამ ხელს რად მიშლით, რად დამცინით, რომ მინდა ვიცოდე?“

ამხანაგზე შურისძიებისას ბავშვი ამბობს:

— მე რალაც ვიცი, მაგრამ შენ ისეთი ხარ, არ გეტყვი.

დიან, თუნდაც დასაჯოთ, მაინც არ გეტყვით, მაგრამ დიდები ამის გამო ბავშვებს რად სჯიან?

ბავშვების კიდევ რამდენიმე შეკითხვა უნდა მოვიყვანო:

„ამის შესახებ ქვეყნად არავინმა არ იცის? არ შეიძლება ამის ცოდნა? ეს ვინ თქვა? ყველამ თუ მხოლოდ ერთმა? და ეს ყოველთვის ასეა? და აუცილებლად ასეც უნდა იყოს?“

98. თუ შეიძლება?

არ ანებებენ, რადგანაც ცოდვია, მავნებელია, არ არის ლამაზი, რადგანაც ის ჯერ კიდევ პატარაა, რადგანაც არ ანებებენ და მორჩა.

და აქ ყველაფერი არც ისე ნათელია და მარტივი, ხანდახან მავნებელია, თუკი დედა გაბრაზებულია, ხან კი სულ პატარასაც ანებებენ, თუკი მამა კარგ გუნებაზეა ან სტუმრები ჰყავთ.

— რატომ უკრძალავენ, მაინც რა მოხდებოდა?

საბედნიეროდ, თეორიით რეკომენდებული თანამიმდევრულობა პრაქტიკულად განუხორციელებელია. მაშინ როგორ უნდა შეაჩვიოთ ბავშვი ცხოვრებას ამ რწმენით, ყველაფერი სწორია, სამართლიანი, გონივრულად მოტივირებული და წარუვალი. თეორიებს მიცემულთ ჩვენ გვავიწყდება, რომ ვალდებულნი ვართ ვასწავლოთ ბავშვს არა მარტო სიმართლის შეფასება, არამედ ტყუილის გამოცნობაც, არა მარტო სიყვარული, არამედ სიძულვილიც, არა მარტო პატივისცემა, არამედ შეძაგებაც, არა მარტო კვერის დაკვრა, არამედ აღშფოთებაც, არა მარტო მორჩილება, არამედ ჯანყიც.

სშირად გვინახავს უკვე ასაკოვანნი, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავენ, როდესაც უგულვებელყოფა იქნებოდა საკმარისი, და სძულთ,

როდესაც თანამობის გამოჩენაა საჭირო. ნეგატიური გრძნობების მხრით ჩვენ თვითნასწავლნი ვართ; ცხოვრების ანაბანას რომ გვასწავლიან, დიდები გვამცნობენ რამდენიმე ასოს, დანარჩენს კი მაღავენ.

ბავშვი გრძნობს თავის მონობას, კირთებისგან იტანჯება, გულსევდიანი მიელტვის თავისუფლებას, მაგრამ ვერ პოულობს რადგანაც აღზრდის ფორმა კი იცვლება, ხოლო შინაარსი — აკრძალვა და იძულება — რჩება.

ჩვენ არ შეგვიძლია ასაკოვანთა, ჩვენივე საკუთარი ცხოვრების შეცვლა, რადგანაც მონობაში ვართ გაზრდილნი, ჩვენ არ შეგვიძლია ბავშვს თავისუფლება მივცეთ, რადგანაც თავად ვართ აღზრდილები ზორკილებით.

თუკი მე აღმზრდელობითი პროცესიდან ყოველივე იმას მოვისვრი, რასაც ნაადრევად შეუჭირვებია ჩემი ბაღლი, მაშინ მკაცრად გაიკიცხება თანატოლებსა და დიდებშიც. ახალი გზის გაკვალვის აუცილებლობა, დინების საწინააღმდეგოდ მიმართული გზის გავლა იქნებ კიდევ უფრო გაუსაძლისი შეიქნას? ტანჯვა-ვაებით იხდიან საზღაურს სასკოლო ინტერნატებში სოფლის სოდაბუნის ლალი ფრინველები ამ რამდენიმე წლის შედარებით თავისუფლების გამო მინდვრად, საჯინიბოსა და საჯალაბოში...

მე ამ წიგნს ვწერდი საველე ჰოსპიტალში ომის დროს, ზარბაზნების გრგვინვა-გგრიალში, მარტო მოთმინება არ იყო საკმარისი.

99. ნეიტრალურ ასაკშივე რატომ გამოირჩევიან გოგონები ბიჭებისგან ასე ძლიერ?

იმიტომ, რომ ბავშვური უილაჯობის გარდა დამატებით ის ვითარება ქალი შეზღუდულია. სქესობრივი პრივილიგები ორივე ხელით აქვს მიტაცებული ბიჭს და არც უნდა თანატოლ გოგოს გაუნაწილოს, თუმცა თავადაც ბავშვია და მოკლებულია ამ უფლებებს.

„ჩემთვის შეიძლება, მე შემიძლია, მე ხომ ბიჭი ვარ“.

გოგონა კი დაუპატიჟებელი სტუმარია იმათ წრეში. ამათგან ერთი მოუთმენლად ასე კითხულობს ხოლმე:

— ამ გოგოს ჩვენთან რა უნდა?

ჩხუბისთანავე ბიჭები ღირსეულად მოაგვარებენ საქმეს ერთმანეთის თავმოყვარეობის შეულახავად და არც არავის დაემუქრება მოკვეთა, ხოლო გოგოსთვის მკაცრი განაჩენი იმ წუთასვე იქნება გამოტანილი.

„არ მოგწონს და, მიდი, გოგოებთან ითამაშე“.

გოგონა, ვისაც ბიჭებთან თამაში ურჩევნია, თავისივე წრეში ეჭვის საგანი სდება.

— არ გინდა და, მიდი, იყავი იმ შენს ბიჭებთან.

განდევილი გოგო ღვარძლს ღვარძლითვე პასუხობს, დამცავი რეაქცია ღირსებაშელახულისა.

მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ გოგოს შეუძლია ფარ-ხმალი არ დაყაროს, გულთან ახლოს არ მიიტანოს საერთო აზრი, ამალღდეს ბრბოზე.

როგორი შეიძლება იყოს მტრული განწყობილება გოგოსადმი,

ვინც ბიჭებთან თამაშს ამჯობინებს? მეონი არ შევცდები, თუ ვიტყვი, თავიდათავი ამ მტრული განწყობილებისა არის მკაცრი, შეუვალი კანონი:

„ვაი სირცხვილო, თუ ბიჭი ნიფხავს დაუნახავს“.

ბავშვებში ასეთი სახით მიღებულ ამ კანონს დიდები ვერ გამოიგონებდნენ.

გოგონას არ შეუძლია ნორმალურად სირბილი, დაეცემა, ვიდრე კაბის გასწორებას მოასწრებდეს, გაიგონებს გაავებული:

— ნიფხავი, ნიფხავიო.

„სულაც არა“, ან გამომწვევად: „მერედა რა“, — ასე უპასუხებს სახეწამოწითლებული, შეჩქვიფებული, დამცირებული.

თუკი საჩხუბრად გაიწევა, იგივე შეძახილი შეაჩერებს, შეურაცხყოფს და გააშეშებს.

და თანდათანობით გოგო ბიჭივით მარჯვე ვერ არის და ამისდა კვალად ნაკლებადაცაა პატივისცემის ღირსი. გოგოები აღარ ჩხუბობენ, მაგრამ სამაგიეროდ წყენა იციან, ლანძღვა, ენის მიტანა და ტირილი, და ამასთან ერთად დიდები გოგოების პატივისცემას მოითხოვენ. რა გახარებული ამბობენ ბავშვები უფროსებიდან ვილაცაზე:

„ის ჩემი არავინაა, ყურსაც არ დავუვღებ“.

გოგონას კი ბიჭმა უნდა დაუთმოს, ვითომ რაღათ?

სანამ გოგოს არ გავათავისუფლებთ ამისგან — „ეს სირცხვილია“, რომლის თავიდათავი მათი სამოსელია, თავს ნუ შევიწუხებთ, ბიჭების მეგობრები ვერ გახდებიან. ჩვენ ეს პრობლემა ჩვენებურად მოვაგვარეთ: ბიჭებს დიდი თმა მოვაშვებინეთ, კარგი ქცევის წესები სვანჯებით გარშემოვახვიეთ და ახლა ბავშვები ერთად თამაშობენ; იმის მაგივრად, რომ ვაჟკაცი ქალიშვილები გვყოლოდა, გავაორმაგეთ ქალური ვაჟიშვილების რიცხვი.

მოკლე კაბები, საბანაო სამოსლები, სპორტული ტანსაცმელი, ახალი ცეკვები — გაბედული ცდაა პრობლემის ახლებურად გადაჭრისა. მოდის კანონებში რამდენი ფიქრია ჩაჭდებული. მჯერა, რომ არა ქარაფშუტობისდა კვალად.

კრიტიკასა და შფოთიანობას ნუ დავიწყებთ და ეგრეთწოდებული საჩოთირო იემების განხილვის დროს კეთილგონივრული სიფრთხილე შევინარჩუნოთ.

* * *

მცირეოდენ ბროშურაში ბავშვის განვითარების ყოველი ეტაპის განხილვის ცდა, ვფიქრობ, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

100. ზალდი იმთავითვე გულმხიარულად მისხლტის ცხოვრების ზედაპირზე და არ იცის იმისი შავბნელი სიღრმის, მზაკვრული დინებების, თვალთუჩინარი ურჩხულებისა და ჩასაფრებული მტრული ძალების არსებობა, მიმნდომი, მონუსხული რომ უღიძის მრავალფეროვან სიასლეთ, უცებ თვლების სილაყვარდიდან გამოფხიზლებული და თვალდაფეთებული, სუნთქვაშეგუბებული, შიშით ათრთოლებული ტუჩებით ასე ამოთქვამს:

— ეს რა არის, რატომ, რისთვის?

მთვრალი ძლივს დგას, ბრმა ხელჯოხით გზას მიიკვლევს, ბნედიანი ქუჩაში გაიშხლართება, ქურდი მიჰყავთ, ცხენი კვდება, მამალს კლავენ.

— რატომ? რა ხდება?

მამა ყვირის, დედა კი ქვითინებს, ქვითინებს... ბიძიამ მოსამსახურე გოგოს აკოცა, იმან ჯერ თვალები დაუბრიალა, მერე კი მთელიმარენი ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ. ვიღაცაზე ლაპარაკობენ, ცხვირპირი უნდა დავაღწოთო იმ გარეწარს.

— რა არის, რატომ?

ბავშვი ვერც ბედავს, გამოიკითხოს.

პატარაა, მარტოსული, თავს ბეჩავად გრძნობს იდუმალი ძალების წინაშე.

ადრე რომ მეფობდა და ყოველი მისი სიტყვა კანონი იყო, ცრემლებითა და ღიმილით აღჭურვილი, მდიდარი იმით, რომ ჰყავს დედა, მამა და გადია, ახლა ამჩნევს, რომ იმათთვის ის მხოლოდ გართობის საგანია, რომ ის იმათთვისაა და არა ისინი მისთვის.

ჭკვიანი ძალღვივით მგრძნობიარე, თითქოსდა დატყვევებული უფლისწული, თავის გარშემო თვალს შემოავლებს და თავის სულშიც ჩაიხედავს.

დიდებმა რაღაც იციან, მალავენ რაღაცას. თავადაც ხომ ისეთები არ არიან, როგორც თავი წარმოუჩენიათ და იმისგან კი მოითხოვენ, რომ ის იყოს, რაც არ არის სინამდვილეში. სიმართლის ქებაში არიან, თავად კი აიძულებენ იცრუოს. ბავშვებს ერთს ეუბნებიან და ერთმანეთს სრულიად სხვანაირად. დასცინიან ბაღლებს!

დიდებს თავიანთი ცხოვრება აქვთ და ჯავრობენ, როდესაც ბავშვები იქ ჩახედვას მოისურვებენ; უნდათ, რომ ბავშვი ქარაფშუტა იყოს, არაფერი ესმოდეს, და უხარიათ, თუკი თავისი გულუბრყვილო შეკითხვით ამას გამოამჟღავნებს.

სიკვდილი, ცხოველები, ფული, სიმართლე, ღმერთი, ქალი, ჭკუა — სუყველაფერი თითქოსდა სიყალბეა, გამოცანა ძონძებქვეშ, უმსგავსო საიდუმლო. რად არ უნდათ დიდებს ისე თქვან, როგორც არის სინამდვილეში.

და ბავშვი მწუხარებით იხსენებს სიყრმის წლებს.

101. წონასწორობის ნაკლებობის მეორე პერიოდს სასკოლო ასაკს დავარქმევდი. ხსენებული დარქმევა — თავის არიდება, უცოდნელობა, გასამრჯელოა, მრავალთავან ერთ-ერთი იარლიყია, რომელსაც მეცნიერება მოიშველიებს ხოლმე, ხამების საცდუნებლად, თითქოსდა რაღაც იცის, სინამდვილეში კი ძლივს იწყებს მიხვედრას.

სასკოლო წონასწორობის ჟეკმარისობა — სიყრმისა და პირველი ბავშვობის ზღვარზე არც გარდატეხაა და არც მომწიფების პერიოდი.

ფიზიკურად — გარეგნობისდა მიხედვით, ცვლილებაა უარესობისკენ, ძილის, მადის მხრივაც, დაავადებათა მიმართ წინააღმდეგობის უნარი დაქვეითებულია, ხდება მემკვიდრეობითი ხარვეზების გამოვლინება, უგუნებობა.

ფსიქიკურად — მარტოობის გრძნობა, სულიერი არეულობა, მტრული დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ, განწყობილია მო-

რალური ინფექციებისადმი, თანდაყოლილი ზნე-ხასიათის ჯანყი თავს-
მობრუნებული აღზრდის წესებისადმი.

„რა მოუვიდა? ველარ ვცნობ“ — ასეთია დედის დახასიათება.
ზოგჯერ კი:

„მე კი ვფიქრობდი, ჭირვეულობაა-მეთქი, ვუბრაზდებოდი, ვკი-
ცხავდი და ის კი, თურმე, დიდი ხანია ავადაა“.

მოულოდნელად შეამჩნია დედამ ფიზიკურ და ფსიქიკურ ცვლი-
ლებათა მჭიდრო კავშირი.

„მე კი ამას ამხანაგების ცუდ ზეგავლენას მივაწერდი“.

დიახ, მაგრამ მრავალ ბავშვში ცუდები რად აარჩია, მხარი რად
დაუჭირა ასე ადვილად, რად დამორჩილდა იმათ ზეგავლენას?

ბავშვს გულისტკივილით რომ უნდა დასცილდეს ყველაზე უფრო
ახლობლებს და ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული თანატოლე-
ბის საზოგადოებას, მით უფრო სწყინს, რომ მისი დახმარება არ უნდათ,
რომ მრჩევლად არავინ არ ჰყავს და არც შეუძლია ვინმეს მიეაღერსოს.

ინტერნატში, სადაც ბევრი ბავშვია და ამ მცირეოდენ ცვლილებებს
რომ წააწყდები, როდესაც ასეულობით ბავშვიდან დღეს ერთი „ფუჭ-
დება“, ხვალ კი მეორე და ხდება უეცრად ზარმაცი, მოუხეშავი, მძინა-
რი, ჭირვეული, შფოთსავსე, უდისციპლინო და ცრუპენტელა, რათა ერ-
თი წლის მერე ისევ წამოიწიოს, „გამოსწორდეს“, ძნელია ეჭვი შეიტა-
ნო, რომ ეს მასობრივი ცვლილებები ზრდის პროცესთანაა დაკავშირე-
ბული. ამ კანონზომიერების გარკვეულ ცოდნას გვაძლევს ობიექტური
და მიუკერძოებელი ხელსაწყოები: სასწორი და სიმაღლის მზომავი.

მაქვს წინათგრძნობა იმ წუთისა, როდესაც სასწორი, სიმაღლის
მზომავი და, შეიძლება, ადამიანის შექმნილი სხვა ხელსაწყოები გახდე-
ბა ორგანიზმის ფარული ძალების სეისმოგრაფი და არა მარტო შეცნო-
ბის საშუალებას მოგვცემს, არამედ წინასწარხედვისაც.

102. არ არის სწორი, რომ ბავშვს უნდა მისცე ხან სარკმლის მინის
ნამტვრევი, ხან ვარსკვლავები მოუწყვიტო ზეციდან და ასეთი ნაწყა-
ლობეებითა და დათმობით შეძლებ იმის მოსყიდვას და, რომ ის დაბადე-
ბიდანვე ანარქისტია. არა, ბავშვს აქვს მოვალეობის გრძნობა, გარე-
დან თავს მოუხვეველი, მას უყვარს განრიგიცა და წესრიგიც, მოვალე-
ობის მოხდასა და წესების დაცვაზე უარს არ ამბობს. ამასლა მოითხოვს,
ტვირთი არ იყოს მეტად სამძიმო და გავაზე ნაიარევი არ დაეტყოს, და
გაუგონ, როდესაც ვერ გაძლებს, ფეხი დაუსხლტება ან ძალაგამოლეუ-
ლი შეჩერდება სულის მოსაბრუნებლად.

„მოდით, აბა, ვნახოთ, შევამოწმოთ, თუ აწევ, რამდენ ნაბიჯს გა-
დადგამ ამ ტვირთით და რამდენს შეძლებ ყოველდღიურად“, — ეს
არის ორტოფრეხის ძირითადი წესი.

ბავშვს უნდა, რომ სერიოზულად მიუდგნენ, მოითხოვს ნდობას,
რჩევებსა და მითითებებს. ჩვენი დამოკიდებულება კი ხუმრობითაა
აღბეჭდილი, სულ მუდამ ეჭვით ვეკიდებით, არ გვესმის მისი და არ
ვეხმარებით.

ექიმთან კონსულტაციაზე მოსულ დედას არ უნდა ფაქტების მოყ-
ვანა, საერთო ფორმას ამჯობინებს:

— ნერვიული გოგოა, ჭირვეული და გაუგონებელი.

— ფაქტები, ქალბატონო, სიმპტომები.

— დაქალს უკბინა. მრცხვენია პირდაპირ. თუმცა კი უყვარს და სულ იმასთან თამაშობს.

ხუთწუთიანი გაზაასება გოგოსთან: „დაქალი“ ეზიზღება, რადგანაც დასცინის მასაც და იმის კაბებსაც და „ჩვაროსანიო“, ასე შვარქვა დედამისს.

მეორე მაგალითი: ბავშვს ეშინია მარტო დაძინება ოთახში, სასოწარკვეთილი ელოდება მოახლოებულ დამეს.

— კი მაგრამ, რატომ არ მითხარი?

— სწორედაც გითხარი.

დედამ კი ყური არ ათხოვა; სირცხვილია, ასეთი დიღია და როგორ ეშინია.

მესამე მაგალითი: აღმზრდელ ქალს შეაფურთხა, თმაში ჩაატრინდა, ძლივს მოაცილეს.

თურმე აღმზრდელი ქალი ლოგინში იწვენდა და ეუბნებოდა, ჩამეხუტეო; ემუქრებოდა, სკივრში ჩაგსვამ და მდინარეს გაგატანო.

ბავშვი შეიძლება იყოს შემზარავად მარტოსული, ტანჯული.

103. დადებითი პერიოდი — აუმღვრეველობა, ჩაწყნარება. „ნერვიული“ ბავშვებიც კი ხდებიან ისევ მშვიდნი. უბრუნდებათ ბავშვური სინალისე, უშუალობა, ცხოვრებისეული ფუნქციების ჰარმონიულობა. უფროსებისადმი პატივისცემა აქვთ, კარგი მანერებიც, გამგონიც არიან; არ არის საგანგაშო კითხვები, ჭირვეულობანი და გამოხდომანი. მშობლები ისევ კმაყოფილები არიან. ბავშვი გარეგნულად ითვისებს ოჯახისა და გარემოს მსოფლმხედველობას; შედარებითი თავისუფლებით სარგებლობისას არც მოითხოვს იმაზე მეტს, რასაც ღებულობს და ერიდება იმ შესუღლებების გამოხატვას, რომელსაც, იცის, ცუდად გაუგებენ.

სკოლა თავისი მკვიდრი ტრადიციებით, ხმაურიანი და ნათელი ცხოვრებით, განრიგით, მოთხოვნილებებითა და საზრუნავით, დამარცხებებითა და გამარჯვებებით, მეგობარი წიგნით — აი, შინაარსი მისი ცხოვრებისა. ფაქტებისდა კვალად აღარ რჩება დრო უსაგნო ჩხირკედელაობისთვის.

ბაღღმა უკვე იცის. იცის, რომ ამ ქვეყნად არ არის ყველაფერი კარგად, არის სიკეთე და ბოროტება, ცოდნა და უმეცრება, სამართლიანობა და უსამართლობა, თავისუფლება და დამოკიდებულება. არ ესმის და ნუ ესმის, ბოლოს და ბოლოს ამასთან რა ხელი უნდა ჰქონდეს? ის შეეგუება და დინებას მიჰყვება.

დმერთი? უნდა ილოცოს, საეჭვო შემთხვევებში ლოცვას უნდა დაუმატოს მოწყალებაც, ყველა ასე შვრება. ცოდვა? მოინანიებს და უფალი შეიწყალებს.

სიკვდილი? უნდა იტირონ და იქვითინონ, შავები ჩაიცვან, მოიხსენიონ ხვნეშა-ვაებით — ყველა ასე შვრება.

მოითხოვენ, რომ იყოს სამაგალითო, მხიარული, უზაკველი და მშობლების მაღლობელი? კი ბატონო, როგორც გენებოთ!

„სიამოვნებით, გმადლობთ, მაპატიეთ, დედიკო მოკითხვას გითვლით, გისურვებთ გულითა და სულით (არა სანახევროდ)“ — ასე მა-

რტივია ეს, ადვილიც და იმსახურებს ქებას, სიმშვიდის მომნიჭებელია.

იცის, როდის და ვის, რა თხოვნით უნდა მიმართოს, რა პასუხად დაუსხლტეს უხერხულობას, როგორ, ვის და რით ასიაშოვნოს, მხოლოდ უნდა აწონ-დაწონოს, „ნეტავი თუ ღირს?“.

კარგი გუნება-განწყობილება და ფიზიკური კეთილდღეობის მიზეზი მისი თავმოდრეკილობისა და მოთმინების: მშობლები რა გულკეთილნი არიან, საერთოდაც ეს ქვეყანა რა სასიაშოვნოა, საამურიც სიცოცხლე, წვრილმანებს ნულარ გავისხენებთ.

სსენებული ეტაპი ახალი ამოცანების შესასრულებლად შეიძლება მშობლებმა გამოიყენონ თავისთვის და ბავშვისთვისაც, ეს არის უამრავი სიმშვიდისა და აუმღვრეველი განცხრომის.

„გვიშველა დარიშხანმა ან რკინამ, კარგმა მასწავლებელმა, საციგურაო მოედანმა, აგარაკზე ყოფნამ, აღსარებამ, დედობრივმა რჩევა-დარიგებამ“.

და მშობლებიცა და ბავშვიც იმ ილუზიების ტყვეობაში არიან, რომ უკვე ნახეს საერთო ენა, განსაცდელი გაიარეს; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, სიმადლის მომატებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა თანამედროვე ადამიანისთვის ნაკლებად მორჩილი გამრავლების ფუნქცია სულ მალე დაიწყებს ინდივიდის ჯერ კიდევ მიმდინარე განვითარების ფუნქციის ტრაგიკულ გართულებას — სულს აუმღვრევს და იერიშს მიიტანს სხეულზე.

104. და კვლავ მხოლოდ მცდელობა, სიმართლეს გვერდი ავუაროთ; მართალია, კი მოვიპოვეთ მცირეოდენი შვება, რომ თითქოსდა ჩავხვდით ამ სიმართლეს, მაგრამ შეცდომის წინაშე ვართ, ჭეშმარიტება მიკვლეული გვეგონია და ის ჯერ კიდევ ძლივსღაა გამოხატული.

და სიმტკიცის უქონლობისა და უწონასწორობის პერიოდი მოვლენის ახსნა კი არ არის, არამედ მისი პოპულარული სახელიღაა. შეცნობის საიდუმლოს ჩვენ ვწერთ ვითარცა ობიექტურ მათემატიკურ ფორმულებს; სხვანი კი, რომლის წინაშეც ხელდაკრეფილნი ვართ, გვაშინებენ და გვანრისხებენ. ხანძარი, წყალდიდობა, სეტყვა — განსაცდელია, მაგრამ მხოლოდ ზარალის მოყენების თვალსაზრისით; ჩვენ ვქმნით სახანძრო სამსახურს, ვაშენებთ ჯებირებს, ვაზღვევთ, ვუფრთხილდებით. გაზაფხულისა და შემოდგომის მიმართ უკვე შეგუებულნი ვართ და ასე თუ ისე ვუმკლავდებით ძნელბედობის ხანას. ადამიანს კი უშედეგოდ ვებრძვიით, რადგანაც არ ვიცნობთ მას, არც შეგვიძლია შეთანხმებული ცხოვრება.

ასი დღეა გაზაფხულამდე. არც ერთი ბუსუსი, არც ერთი ყლორტი, მაგრამ მიწასა და ფესვებს უკვე ეტყობა სუნთქვა გაზაფხულისა, რომელიც საფარშია შემალული, ფეთქავს, მოელის, ღონეს იკრებს თოვლქვეშ, შიშველ ტოტებსა და ყინვამოძალეებულ ქარში, რათა უეცრად აელვარდეს და გაიფურჩქნოს. მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ დაინახავს მარტისთვის ჭირვეულობას — იქ, ღრმად არის რაღაც, რაც თანდათანობით, ყოველ საათს ძალამოსილი ხდება, მწიფდება, მწკრივში დგება; ოღონდ ეს არის, ასტრონომიული წელიწადის რკინის კანონს

ჩვენ არ ვაცალკევებთ შემთხვევითი და მსწრაფლ შერწყმული კანონისაგან, ნაკლებად ცნობილი ან სულაც უცნობი რომ არის.

სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდებს შორის არ არის სასაზღვრო ზოძები, ჩვენ მათ ვდვამთ სწორედ ისევე, როგორც მრავალზაირ ფერად შევლებეთ მსოფლიოს რუკა, ხელოვნურად დაჯგუფებულ სხელმწიფოთა საზღვრები და კიდევაც ვცვლით ყოველ რამდენიმე წელსწადში.

„ის გაიზრდება, შეიცვლება, გარდამავალ ასაკშია, ჯერ კიდევ არის დრო“, — და გამზრდელი მოწყალე ღიმილით ელოდება, ბედნიერი შემთხვევა მოაგვარებსო ყველაფერს!

ყოველ მკვლევარს უყვარს თავისი შრომა ძიებათა, ტანჯვა-ვაებისა და მოსალოდნელი ბრძოლის გამო, მაგრამ კეთილსინდისიერს კიდევაც ეზიზდება იგი — ვაითუ, შეცდომები მომივიდეს, ამის საშიშროება სუყოველთვის არის, და ვაითუ, ცრუ შედეგები მივილო საბოლოოდ.

ყოველ ბაღს აქვს პერიოდები ბებრული სიძაბუნისა და სრული ცხოვრებისეული მჩქეფარე მოღვაწეობის; ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავუთმობთ და გავუფრთხილდეთ, თუმც არც იმას ნიშნავს, რომ გადავხნათ და გამოვაწრთოთ. გული ვერ უთანაბრდება ზრდას, ესე იგი, დასვენების საშუალება უნდა მივცეთ ან, იქნებ, მოსალოდნეობლად ჩავაგონოთ, უფრო ცოცხალ მოღვაწეობას შეუდგეს? ხსენებული პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მოცემული შემთხვევის და მომენტისა და კვალად შესაძლებელი; ოღონდ საჭიროა, რომ ბავშვის გული მოვიგოთ და თავად ის ნდობას იმსახურებდეს.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ცოდნის ცოდნა.

105. საფუძვლიანად უნდა გადავხედოთ ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ მომწიფების პერიოდს მივაწერთ და რასაც სერიოზულობით ვეკიდებით და სწორიცაა, ასე რომ ვეკიდებით, მხოლოდ ხომ არ ვაჭარბებთ, ცალმხრივი ხომ არა ვართ, როცა, მთავარი ეს უნდა იყოს, მისი განმაპირობებელი ფაქტორების დიფერენცირებას მივმართავთ? იქნებ განვითარების წინა ეტაპების ცოდნა ობიექტური დაკვირვებების საშუალებას გვაძლევს და უკვე შეგვიძლია ბავშვის წონასწორობაზე მიმძლავრებულ ამ ახალ, მრავალთაგან კიდევ ერთი პერიოდის შესახებ (რომელსაც აქვს იმასთან საერთო ნიშნები) უფრო მეტი გავიგოთ და ასე მოვიცილოთ არაჯანსაღი, იდუმალი გამორჩეულობის ბეჭედი? ჩვენ იქნებ (რამდენადმე ხელოვნურად) მომწიფების ხანაში გადასულ სიყმაწვილეს წონასწორობის უქონლობისა და შფოთიანობის სამოსელი მოვარგეთ, ისევე, როგორც ბავშვი სულიერი სინათლისა და უღარდულობის სამოსლით შევმოსეთ და იქნებ გარკვეულწილად ამ შთაგონების ტყვეობაში ვართ? ჩვენი უილაჯობა გახდა იქნებ ამ ბოზოქარი პროცესის მიზეზი? იქნებ ბევრს ვლაპარაკობთ ცხოვრების ღვიძილის დასაწყისის ამ ხანაზე, განთიადზე, გაზაფხულზე, ლტოლვათა შესახებ და ფაქტობრივი მასალები კი ცოტა მოგვეპოვება?

რა უფრო გადაწონის: საერთო ზრდის დელვატეხილობა თუ ცალკეული ორგანოების განვითარება? რა არის დამოკიდებული სისხლძარღვთა სისტემაზე, გულსა და კაპილარებზე, თავის ტვინის კვებისა და უანგვის ხარისხობრივ ცვლილებაზე და რა ჯირყვლების მომწიფებაზე?

თუკი ზოგიერთი მოვლენა ხდება ახალგაზრდის პანიკის, სულიერი გვემა-წამების საფუძველი და მსხვერპლის დიდ მოსავალს იმკის, ანგრევს და თელავს იმათ რიგებს, — არა იმიტომ, რომ ასეც უნდა იყოს, არამედ ამიტომ, ასეა თანამედროვე სოციალური პირობების გამო, სადაც ყოველივე ხელს უწყობს ასეთი მდგომარეობის შექმნას. ამ მოვლენების ცხოვრებისეულ მოსაბრუნზე.

დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცი სულ ადვილად მიეცემა პანიკას; კიდევ უფრო მეტად მაშინ, როდესაც მეტაურების ნდობა აქვს დაკარგული და ლალატის ეჭვი აქვს; და კიდევ უფრო მეტად მაშინ, როდესაც შფოთსავსემ არ იცის, სად იმყოფება, იმის წინ, იმის გვერდით და იმის უკან რა არის; მაგრამ ყველაზე უფრო მეტად იმ დროს, როდესაც იერიში სრულიად მოულოდნელად დაატყდება თავს. მარტოობა პანიკის ხელშემწყობია, ხოლო მხარდამხარ, თანამებრძოლების გვერდით დგომა აუმღვრეველი სიმამაცის მომნიჭებელია.

ზრდით ძალგამოღებული, მარტოსული, გონიერ ხელმძღვანელობას მოკლებული, ცხოვრებისეული პრობლემების ლაბირინთში მოხეტიალე ახალგაზრდობა უეცრად მტერს გადაეყრება, ვის გამანადგურებელ ძალაზეც მეტად დიდი წარმოდგენა აქვს და არ იცის, საიდან გამოტყვრა, თავშესაფარი სად ნახოს და როგორ მოიგერიოს.

კიდევ ერთი საკითხი:

ჩვენ იქნებ მომწიფების ხანის პათოლოგიას ფიზიოლოგიას ვუკავშირებთ? და იქნებ ჩვენი ეს შეხედულება შეგვიქმნეს ექიმებმა, რომლებიც მხოლოდ *maturitas difficilis* ხედავენ, მომწიფებას ძნელსა და არანორმალურს. ჩვენ იქნებ ასი წლის წინანდელ შეცდომებს ვიპოვებთ, როდესაც სამ წლამდე ბავშვებში არასასურველ მოვლენებს კბილების გამოჭრას ვაბრალებდით? „კიჭების“ შესახებ ლეგენდიდან დღეს რაც დარჩა, იქნებ ისევე დარჩეს ასი წლის შემდეგ დღევანდელი ლეგენდიდან „სქესობრივი მომწიფების“ შესახებ.

106. ბავშვების სქესობრივ ცხოვრებაზე ფროიდის გამოკვლევებმა ჩრდილი მიაყენეს ბავშვობას, მაგრამ ამით იქნებ სიყმაწვილე განწმინდეს? ნალოლიავეებმა ილუზიამ ბავშვის ნათელი უმანკოების შესახებ შვა შემზარავი ილუზია: ვაითუ „იმაში გაიდვიძოს ცხოველმა და ტალახში ამოაყოფინოს თავი“. მე მომყავს ეს გავრცელებული თქმა, რათა ნიშანდობლივ აღვნიშნო, ფატალურობით არის აღბეჭდილი ჩვენი შეხედულება სქესობრივ ლტოლვაზე, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლესთან, ასევეა ზრდაც.

არა, სასირცხვილო ლაქა არ არის — გრძნობათა ეს ნისლოვანება, რომელსაც მხოლოდ გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი გარყვნილება ნაადრევად ანიჭებს განსაზღვრულ ფორმას; არა სასირცხვილო ლაქა და ის ბუნდოვანი „რალაც“, რომელიც თანდათანობით, რამდენიმე წლის განმავლობაში, სულ უფრო ცხადლივ ხორცს შეასხამს ორი სქესის გრძნობებს, რათა სქესობრივი ლტოლვის მომწიფებისას და სქესობრივი ორგანოების სრული სიმწიფის დადგომის ხანს ჩაისახოს ახალი არსება. მემკვიდრე მთელი თაობებისა.

სქესობრივი სიმწიფე: ორგანიზმი მზადაა თავისათვის ზიანის მიუყენებლად მოგვცეს ჯანსაღი შთამომავლობა.

სიმწიფე სქესობრივი ლტოლვისა: ნათლად ჩამოყალიბებული საპირისპირო სქესის ინდივიდთან თანაყოფის სურვილი.

ყმაწვილკაცთა სქესობრივი ცხოვრება ხანდახან უფრო ადრე იწყება, ვიდრე ლტოლვა მომწიფდებოდეს; ქალიშვილებში რთულდება გათხოვებისა და გაუპატიურებისა კვალად.

პრობლემა ძნელია, მაგრამ მით უფრო მიუტევებელია უსარდულო-ბა, როდესაც ბაღბა არაფერი არ იცის, და უკმაყოფილება, როდესაც ის რაღაცას მიმხვდარია.

სულ ყოველთვის იქნებ ხელს მაშინაც ვკრავთ უხეშად, როდესაც მისი შეკითხვები აკრძალულ სფეროში უნდა შემოიჭრას, რათა სამომავლოდ ვერც კი გაბედოს მოგვემართოს, როდესაც არა მარტო წინათგრძნობა ააფორიაქებს, არამედ გრძნობაც?

107. სიყვარული. ხელოვნებამ დაივირა ვა იგი, ფრთები გამოაბა და დასამშვიდებელი პერანგი ჩამოაცვა, ხან მუხლს მოიყრიდა იმის წინაშე და ხან სახეში გაულაწუნებდა, ტახტზე დასვამდა და ქვეყნის თვალწინ გამოიყვანდა — ჭკუამიუტანებლად ათასნაირად გასაღმერთებლად ან მოსაყივნებლად. ხოლო კბილებჩაცვივნიული მეცნიერება ცხვირზე სათვალეს დაიდებდა და მაშინ ჩათვლიდა ყურადღების ღირსად, როდესაც იმისი ჩირქოვანი ადგილების შესწავლა შეეძლო. სიყვარულის ფიზიოლოგიას ცალმხრივი დანიშნულება აქვს, „სახეობის შენარჩუნებას უნდა მსახურებდეს“. მცირეოდენია! მწირია! ასტრონომიამ იმაზე უფრო მეტი იცის, ვიდრე ის, რომ მზე გვანათებს და გვათბობს.

ჰოდა, მივიღეთ ის, რომ საერთოდ სიყვარული სიბინძურეა და სიშლეგითაა აღბეჭდილი, და სულ ყოველთვის ეჭვის საგანია და სასაცილო. პატივისცემის ღირსი ის სიახლოვეა, რომელიც ერთობლივი ცხოვრების, ბავშვის გაჩენის შემდეგ მოდის.

ამიტომ გვეცინება, როდესაც ექვსი წლის ბიჭუნა თავისი ნამცხვრის ნახევარს აძლევს გოგოს; გვეცინება, როდესაც ბიჭი თანაკლასელ გოგოს თავს დაუკრავს და ის სახეაღწილი გამოხედავს. მოწაფეს დაგუდარაჯღებით და გვეცინება, როდესაც „მისი“ ფოტოსურათით ტკბება; გვეცინება, როდესაც გოგონა კართან მიიჭრება და უნდა რეპეტიტორის ძმას გაუღოს.

მაგრამ შუბლი შეგვეჭმუნება, როდესაც ბიჭი და გოგო რაღაც მეტად ჩუმად თამაშობენ ან ჭიღაობას დაიწყებენ აქოშინებულნი და იატაკზე დაგორებულნი. მაგრამ გამძვინვარებული ვართ, როდესაც ვაჟის ან ასულის სიყვარული ჩვენს გეგმებს დაემუქრება.

გვეცინება, რადგანაც შორსაა, ვიბლვირებით, რადგანაც მოახლოებულია, ვჯავრობით, როდესაც დავთრები უნდა აგვერიოს. ბავშვებს გული უნდა ვატკინოთ დაცინვითა და ეჭვებით, შევურაცხყოფთ იმ გრძნობას, რომელიც უშემოსავლო ჩანს.

ბავშვები ამიტომაც იმალებიან, მაგრამ ერთმანეთი უყვართ.

ბიჭს გოგო იმიტომ უყვარს, რომ სხვასავით დედისკოს შვილი არ არის, გულმხიარულია, ჩხუბს ერიდება, თმაჩამოშლილი დადის, რომ მამა არა ჰყავს, და ასეთი კარგია.

გოგოს იმიტომ უყვარს ბიჭი, რომ ის სხვებივით არ არის, არც ხულიგანია, იმიტომ, რომ ასეთი სასაცილოა, თვალმოცინციმეა, ლამაზი სახელი ჰქვია, და ასეთი კარგია. იმალებიან და ერთმანეთი უყვართ.

ბიჭს იმიტომ უყვარს გოგო, რომ ანგელოზს ჰგავს, საკურთხევლის ხელმარჯვნივ ფრთაზე ნახატს, რომ ასეთი უბრალოა და ისიც საგანგებოდ სულ იმ ქუჩაზე დადის, უნდა ჭიშკართან სწორედ „ასეთ“ დაინახოს.

გოგოს ბიჭი იმიტომ უყვარს, რომ ის თანახმა იქნებოდა დაქორწინებულყოფილ იმაზე ამ ერთადერთი პირობით: იმასთან ერთად დაინახოს. მხოლოდ წელიწადში ორჯერ აკოცებდა ხელზე და მხოლოდ ერთხელ ისე, როგორც უნდა.

სიყვარულის ყოველ გრძნობას განიცდიან, გარდა ერთისა, უხეში ეჭვით აღბეჭდილს, რომელიც ასე გამოითქმის მკაცრად:

„იმის მაგივრად, რომანებით თავი რომ გაქვს გამოჭედილი, ხომ არ აჯობებდა... იმის მაგივრად, სიყვარულით რომ გაქვს თავი გამოჭედილი, ხომ არ აჯობებდა...“

რატომ მოაგნეს და ღვენიან.

განა ეს ცუდია, რომ ერთმანეთი უყვართ? უბრალოდ შეყვარებულნი კი არ არიან, სწორედაც ძალიან, ძალიან უყვართ ერთმანეთი? მშობლებზე უფრო მეტადაც? და იქნებ ეს არის ცოდვა?

და იმათთან რომელიმე რომ მოკვდეს?.. ღმერთო ჩემო, ჯანმრთელად და კარგად იყოს სუყველა.

სიყვარული სიმწიფის ხანაში არ არის რაღაც ახალი. ერთნი ჯერ კიდევ ბავშვობაში არიან შეყვარებულნი, მეორენი კი უკვე ბავშვობიდანვე დასცინიან სიყვარულს.

— რაო, გული შეგივარდა იმ გოგოზე? რაო, დაგანახვა უკვე?

და ბიჭს უნდა რომ დაამტკიცოს, არც არავისზე შევარდნია გული, გოგოს ფეხს დაუდებს და მტკივნეულად მოუჭაჩავს ნაწნავს.

ნაადრევი სიყვარული რომ გვინდა გამოვუნელოთ თავიდან, იქნებ ამით ნაადრევ გარყვნილებას შევაჩევთ?

108. მომწიფების პერიოდი — თითქოსდა სუყველა წინამორბედი არც ყოფილიყო, მომწიფება თანდათანობით, ხან შენელებული, ხან სწრაფი; დავაკვირდეთ წონის ტენილს და მივხვდებით, თუ რა არის ეს დაღლილობა, უხერხული მოძრაობები, სიზანტე, ნახევრად მძინარის ფიქრიანობა, სიცერცეტე, უფერულობა, მოშვებულობა, უნებისყოფობა, ჭირვეულობა და უმტკიცობა, ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ვთქვათ, დიდი „უქონლობა წონასწორობისა“ ადრეულ მცირეთაგან სხვაგვებით.

ზრდა — შრომაა, უმძიმესი სამუშაო ორგანიზმისთვის, მაგრამ ცხოვრების პირობები არ ანებებს მას დაუთმოს არც ერთი საათი სკოლაში, არც ერთი დღე ფაბრიკაში და ხშირად ზრდა თითქმის ავადმყოფობაა — ნაადრევი, მეტად ბოზოქარი, ნორმაში ვერმოქცეული!

პირველი მენსტრუაცია — ტრაგედია გოგონასთვის, სისხლის ემინია, ასეა გაზრდილი. მკერდის განუითარებისას სევდა მოეძალება, თავისი სქესის შიშიც აქვს, მკერდი გათქვამს, ყველანი დაინახავენ, ის გოგოა.

ბიჭი ფიზიოლოგიურად იმავეს განიცდის, თუმცა ფსიქიკურად სხვანაირად გამოხატავს. მოუთმენლად ელოდება პირველ ღინდლს ტუჩს ზემოთ, მისთვის ეს მრავლის მაუწყებელია, პირდება რაღაცას და მამა-

ლივით ხრინწი მოერევა და ხელები ჩამოწოწილი აქვს, იმიტომ რცხვენია, რომ ის ჯერ მზად არ არის, უნდა დაიცადოს.

თქვენ იქნებ შეამჩნევდით, ბედკრულ, ბეჩავ გოგონებს შურთ და სძულთ პრივილეგიებული ბიჭები? დიას, ადრე რომ სჯიდნენ, კი იყო რალაც დანაშაულის ჩრდილი, ახლა კი რა მისი ბრალაა, რომ ბიჭი არ არის?

გოგონები ადრე ყალიბდებიან და სიხარულითაც წარმოაჩენენ ამ თავის უპირატესობას.

„მე თითქმის უკვე დიდი ვარ, შენ კი ცხვირმოუხოცავი. სამი წლის შემდეგ შემიძლია გავთხოვდე კიდეც, შენ კი წიგნს არ მოგაცილებენ“.

ბავშვური თამაშების საყვარელი ამხანაგი ასე პასუხობს იქედნური ღიმილით.

— მერედა მიღი და გათხოვდი. დიდი ამბავი, მაინც ჩემი იქნები.

გოგო ადრე მწიფდება სასიყვარულოდ, ბიჭი კი — მზაკვრობისთვის, გოგო — მეუღლეობისთვის, ბიჭი — სამეძაჱო სახლში სასიარულოდ, გოგო — დედობისთვის, ბიჭი — თანაყოფისთვის: „ვითარცა ორნი ბუზნი, — როგორც კუპრინი ამბობს, — წამით რომ გადაინასკვებიან სარკმლის რაფაზე, მერე სულელურად გაოცებულნი ფრთებს გაისწორებენ და ერთმანეთს სამუდამოდ დაცილდებიან“.

ორი სქესის ოდინდელი ურთიერთშეძაგება ამჯერად ახალ ელფერს ღებულობს, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შეიცვალოს სახე, როდესაც ქალი დასხლტომას ცდილობს და კაცი იმაზე ნადირობს, რათა ბოლოს და ბოლოს განმტკიცდეს მეუღლისადმი მტრული დამოკიდებულება; ქალი კაცისთვის ტვირთი ხდება, პრივილეგიებს წარსტაცებს მას და თავად კი მოიპოვებს.

109. ფატალურ შეფერილობას ღებულობს ოდინდელი იდუმალი სიძულვილი გარეშემო დიდების მიმართ.

ხშირად ხდება: ბავშვმა დააშავა, გატეხა სარკმელი. დამნაშავე ვარო, უნდა გრძნობდეს. სამართლიანად რომ გაკიცხავ, მონანიებას იშვიათად დაინახავ, ხშირად — ჯანყი, მრისხანედ შეჭმუხვნილი წარბები. ბავშვს უნდა, გამზრდელი სწორედ მაშინ იყოს კეთილგანწყობილი, როდესაც ის დამნაშავეა, როდესაც ის ცუდია, როდესაც უბედურება მოუვიდა. მინა გატყუა, მეღანი დაიღვარა, გაიხია კაბა — სუყველაფერი ეს ხელმოცარული წამოწყებაა, რომელიც გაფრთხილების მაგივრად მაინც იყო ჩაფიქრებული. ხოლო დიდები გარიგებისას რომ შეცდნენ და მოტყუდნენ, როგორ შესვდებიან პრეტენზიებს, მძვინვარებასა და ლანძღვას?

ხსენებული სიძულვილი მკაცრი და დაუნდობელი ბატონების მიმართ მაშინაც არის, როდესაც ბავშვის თვალში დიდები უმაღლესი არსებებია.

„ოჰო, ესე იგი, ასეა, აი, ეს თქვენი საიდუმლო, ესე იგი, თქვენ მაღავდით, მაგრამ ხომ არის, რისიც უნდა გრცხვენოდეთ“.

ბავშვს ადრეც ჰქონდა გავონილი, მაგრამ არ სჯეროდა, მერყობდა, ეს მას არ ეხებოდა. ახლა კი უნდა მტკიცედ იცოდეს, არის ისეთიც, ვისგანაც შეუძლია გაიგოს, ეს ცნობები იმათთან, დიდებთან საბრძოლ-

ველად სჭირდება, ის გრძნობს, რომ თავადაცაა გარეული ამ საქმეში. ადრე კი ასე არ იყო: „მე ეს არ ვიცი, ის კი ვიცი ნამდვილად“, ახლა კი ძისთვის უკვე ყველაფერი ნათელია.

„ესე იგი, შეიძლება გსურდეს და არ გყავდეს ბავშვები, ესე იგი, ქალიშვილსაც შეიძლება ჰყავდეს ბავშვი, ესე იგი, შეიძლება არც გააჩინოს, თუკი არ უნდა, ესე იგი, ფულის გულისთვის, მსაქმე უნდა ყოფილიყო, ესე იგი, შორჩა, გათავდა?!“

და ისინი ცხოვრობენ, და არც არაფერი, ერთმანეთის არც რცხვენიათ.

მათი ღიმილი და გამოხედვა, შიშინანობა და აკრძალვები, შეჩქვიფება და გამოუთქმელობა, ყოველივე ის, რაც ადრე ბუნდოვანი იყო, ახლა ნათელი ხდება და გულშესაზარად ცხადი.

„კარგი, კარგი, აბა ვნახოთ“.

პოლონური ენის მასწავლებელი ქალი, თვალს არ აცილებს მათემატიკოსს.

„მოდი აქ, ყურში რაღაცას გეტყვი“.

და სიცილი ბოროტი ზარ-ზეიმისა, და თვალთვალი გასაღების ღრიჭოში, და ისრით განგმირული გულის გამოსახულება საშრობ ქალღალღზე ან საკლასო დაფაზე.

ბერიქალი გამოეწყო. ბერიკაცი ცელქობს. ბიძია ნიკაპზე ხელს წაავლებს და ამბობს: „ო-ო, ჯერ დედის რძე არ შეშრობია...“

არა, დედის რძე კი არ შეშრობია, არამედ, „მე ვიცი“.

ისინი, დიდები, ჯერ კიდევ თავს იკატუნებენ. ჯერ კიდევ ცდილობენ მოიტყუონ, — ესე იგი, დევნაა საჭირო, მატყუარები უნდა გამოაშკარავონ, შურისძიება ამდენი წლების მონობის, ნაპარავი ნდობის გამო, არ უნდა შერჩეთ, მოფერებას, აღიარებას, პატივისცემას რომ სთხოვდნენ.

პატივისცემა?! არა, სიძულვილი, დაცინვა და არდავიწყება. ბრძოლაა საჭირო საზიზღარი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

„მე ბავშვი აღარ ვარ, ჩემი საქმეა, რასაც ვფიქრობ. არ უნდა გაგეჩინეთ. გშურს ჩემი, დედა? არც ისეთი ანგელოზებია დიდები“.

ან იქნებ თავი უნდა მოიკატუნო, რომ არ იცი, ამით ისარგებლო, პირდაპირ თქმას ვერ გაბუდავენ, მხოლოდ დაცინვით გამოგხედავენ, ცალყბად გაღიმებულნი გეტყვიან: „ვიცი“, როცა ტუჩები ამას მეტყველებენ: „არ ვიცი, ამაში ცუდი რა არის, მე არ ვიცი, ჩემგან რა გინდათ“.

110. უნდა გვახსოვდეს, ბავშვი არადისციპლინირებული და გაბოროტებულია არა იმიტომ, რომ „იცის“, არამედ იმიტომ, რომ იტანჯება. მშვიდობიანი კეთილდღეობა მოწყალეა, ხოლო შფოთსავსე დაღლილობა აგრესიული და წვრილმანი.

შეცდომაა, რადგან იცი, თითქოსდა ამით შეგიძლია სირთულეები თავიდან აიცილო; რამდენჯერ უნდა დაიხშოს თანაღმობით შეძრულმა გამზრდელმა საკუთარივე კეთილი გრძნობა. დისციპლინის დაცვის მიზნით უნდა აღაგმოს მისი სულისთვის უცხო ბავშვური გამოხდომები; დიდი განსწავლულობა, გამოცდილება, სულიერი წონასწორობა აქ დიდი განსაცდელის წინაშეა.

„მე კი მესმის და უნდა ვაპატიო, მაგრამ ხალხი, ქვეყანა მე არ მაპატიებს“.

„ქუჩაში უნდა წესიერად იქცეოდე, დაიოკო ბობოქარი სიხარული, მძვინვარება, თავი უნდა შეიკავო შენიშვნებისა და გაკიცხვისგან, პატივს უნდა სცემდე დიდებს“.

თუნდაც კეთილი ნებისა და სურვილის მქონეთ ^{ქვეყნის} ~~ქვეყნის~~ ^{ქუჩაში} ~~ქუჩაში~~; ყოველთვის ეკიდებიან კი მამისეულ სახლში ბაღს მიუკერძოებლობით?

16 წლის რომ ხარ, ამ დროს მშობლები ორმოცი და მეტი წლისანი არიან. ეს ასაკი სევდის მომგვრელი ფიქრების დროა, ზოგჯერ საკუთარი ცხოვრების უკანასკნელი პროტესტი, წუთები, როდესაც წარსულისკენ მიმართული მოსაზრებანი ცხადლივ გვიჩვენებს უკმარისობას.

— რა მაქვს ცხოვრებაში? — ამბობს ბავშვი.

— მე კი რა მქონდა?

წინათგრძნობა გვამცნობს, ის ვერ მოიგებს ცხოვრებისეულ ლატარიას, მაგრამ ჩვენ უკვე წავაგეთ, იმას კი აქვს იმედი და ამ მქრქალი იმედის გულისთვის ძალუმაღ მიელტვის მომავალს, ვერ ამჩნევს — გულგრილი — გვმარხავს ჩვენ.

გახსოვთ, როდის გაგაღვიძათ დილაადრიან ბავშვის ტიტინმა? მაშინ კოცნა იყო თქვენი შრომის საზღაური. დიახ, დიახ, თაფლაკვერის სანაცვლოდ თქვენ მიიღეთ მაღლიერების ღიმილის საგანძური. ფაჩუჩები, ჩაჩი და სანერწყვული — სუყველაფერი ეს რა იაფი იყო, საყვარელი, ახალი, თავშესაქცევი. ახლა კი სუყველაფერი რა ძვირია, მალე იხევა და სანაცვლოდ არც არაფერი, ტკბილ სიტყვასაც არ გეუბნებათ... და რამდენი ლანჩა გაცვითა იდეალს დაღვენებულმა და რა მალე უპატარავდება ტანსაცმელი, არ სურს ჩაიცვას თავისი ზომისთვის შეუფერებელი.

— აი, შენ ცოტაოდენი სახარჯოდ...

მას კი გართობა უნდა; პატარა რაღაც მოთხოვნილებები აქვს. მაგრამ გამოგართმევთ გულცივად, ძალისძალად, თითქოსდა მტრისგან ნაწყალობევს.

ბავშვის გასაჭირი მშობლების გულის სიმს ჩამოჰკრავს, მშობლების ტანჯვა-ვაება განურჩევლად ურტყამს ბავშვსაც. კონფლიქტი რახან ასე მძლავრია, რამდენად უფრო ძლიერი იქნებოდა, თუკი ბავშვი, საწინააღმდეგოდ ჩვენი ნებისა, თავად, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით არ შეამზადებდა შეუმჩნეველად თავს იმისთვის, რომ ჩვენ არ ვართ ყოვლისშემძლენი, ყოვლისმცოდნენი და სრულქმნილნი.

111. თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით არა ამ საუკუნის ბავშვების სულის ნაკრებს, არამედ იმის შემადგენელ ნაწილებს, მასებს კი არა, ინდივიდებს, ჩვენ კვლავ დავინახავთ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სულიერ ორგანიზაციას. ჩვენ დავინახეთ, ის, ვინც ჩუმაღ ტიროდა აკვანში, ნელ-ნელა იკრებდა ძალას, მორჩილად შეეღეოდა ნამცხვარს, შორიდან უმზერდა სათამაშოდ გამოსულ წრეზე მდგომარე ბავშვებს, ახლა კი თავის გულისტკივილსა და ჯანყს გამოხატავს ცრემლჩამომდინარი, რასაც ვერავინ ხედავს ლამლამობით.

ჩვენ დავინახეთ, სხვა კი, ვინც ჩალურჯებამდე ტიროდა და ვისაც ერთი წუთითაც მარტოდ ვერ დატოვებდი, ბურთს სტაცებდა თანატოლს და განკარგულებას იძლეოდა: „თამაში თუ გინდათ, ხელი ხელს ჩაჰკიდეთ, ჩქარა“, — ახლა ყველაფერი აქვს აკლებული, ჯანყისთავია, თანატოლებისა და საზოგადოების შემაწუხარი შექაილა.

გულითა და სულით მინდოდა მე ამეხსნა ეს მტყუნაფუიგმყოფი, რატომაა ახალგაზრდობასა და დიდებშიც, რომ პატიოსანი ფიქრი ჩუმად უნდა იყოს და ნახევარხმით ამოთქვამდეს, ხოლო მედიდურობა ტონის მიმცემი და მყვირალაა? და რატომაა გულკეთილი — სინონიმი რეგვენისა და უილაჯოსი? რა ხშირადაა გონებაგახსნილი საზოგადოებრივი მოღვაწე და პატიოსანი პოლიტიკოსი იძულებული, თავადაც არ იცის, ისე, უკან დაიხიოს; ამის ახსნა ელენტას სიტყვებითაა შესაძლებელი:

„საკმაოდ ენაბილწი ვერა ვარ, რომ შევეპასუხო იმათ იქედნურ მრავალსიტყვაობას და ვილაპარაკო, ვიმსჯელო იმათთან, რომლებსაც სუყველაფერზე აქვთ თავხედური პასუხი ალფონსისა, — არ ვიცი“.

რა უნდა ვქნათ იმისთვის, რომ ნაკრები ორგანიზმის წევნების დუღილში თანაბარი უფლებებისა იყვნენ პიროვნებები აქტიურნიცა და პასიურნიც და თავისუფლად იძვროდნენ იმაში ელემენტები ყველა აღმზრდელობითი სფეროებისა?

„ამას ველარ გაპატიებ. მე ვიცი, რასაც ვიზამ. მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, მორჩა, გათავდა“, — ასე მეტყველებს აქტიური ჯანყი.

„ვშიშობ. აბა რად გინდა? იქნებ გეჩვენება მხოლოდ“.

პატიოსანი მერყეობისა და გულუბრყვილო მორჩილების გამომხატველი ეს უბრალო სიტყვები დამაწყნარებლად მოქმედებს, იმაზე უფრო დიდი დამაჯერებლობის უნარი აქვს, ვიდრე ტირანიის დახვეწილ ფრაზეოლოგიას, ჩვენ, დიდები რომ ვქმნით, რადგანაც გვინდა კაბალაში გვყვავდეს ბაღლები. თანატოლს შეიძლება ყური დაუგდოთ, სირცხვილი არ არის, მაგრამ დიდებს ამის ნება რომ მივცეთ, მით უმეტეს, გული რომ აგვიჩუყოს — ეს ნიშნავს, თავი გავაცურებინოთ, მოვატყუებინოთ, ჩვენი არარაობა დავამტკიცოთ; სამწუხაროდ, არც სცდებიან ბავშვები, ჩვენ რომ არ გვენდობიან.

მაგრამ, ვიმეორებ, როგორ უნდა დავიცვათ ფიქრი გაუმაძღარი პატივმოყვარეობისგან, წყნარი მსჯელობა — მყვირალა არგუმენტისგან; როგორ უნდა ვისწავლოთ „იდეის“ გარჩევა „ზედაპირული ბრწყინვალეებისა და კარიერისგან“; როგორ უნდა დავიცვათ დოგმატი აბუჩად აგდებისგან, ხოლო ყმაწვილი იდეა მრავალნაცადი გამცემლური დემაგოგიისგან?

ბავშვი ნაბიჯს წინ გადადგამს და ფეხს შედგამს — არა სქესობრივ ცხოვრებაში! — ის მომწიფდება, ოღონდ არა მხოლოდ სქესობრივად.

თუ შენ გესმის, ვერავითარ საკითხს ვერ გადაჭრი მარტოდ, მათი მონაწილეობის გარეშე; თუ შენ ეტყვი ყოველივეს, რაც აქ ითქვა, და თუ კრების შემდეგ გაიგონებ:

„აბა, პასიურნო, სახლში წავიდეთ! — ასეთი აქტიური ნუ იქნები, თორემ მიიღებ. — ეი, შენ, დოგმატიკურო გარემოვ, შენ ჩემი ქუდი აიღე“, — ნუ იფიქრებ, რომ დავციხიან, ნუ იტყვი, არ ღირსო.

112. ოცნება.

რობინზონობანას თამაში შეცვალა ოცნებამ მოგზაურობაზე, ყაჩაღობანას კი — ოცნებამ თავგადასავალზე.

ცხოვრება ისევ არ აკმაყოფილებს, ოცნება — ცხოვრებიდან გამოქცევაა. ფიქრისთვის საზრდო არ არის — პოეტური ფორმა გამოჩნდება მათი. ოცნებაში პოულობს გამოსავალს დაგროვებული ტრძნობები. ოცნება — პროგრამაა ცხოვრების. ჩვენ იმათი გაშიფვრა რომ შეგვეძლოს, დავინახავდით, ოცნებები სრულდება.

თუ მღაბიო წარმომავლობის ბიჭი ექიმობაზე ოცნებობს და სანიტარი გამოვა, მას შეუსრულებია თავისი ცხოვრებისეული პროგრამა; თუ ის სიმდიდრეზე ოცნებობს, დაბოლოს, სადღაც კვდება შიშველ ლეიბზე დაგდებული, მაშინ ოცნება შესრულებულა მხოლოდ გარეგნულად: მისი ოცნება ხომ ის კი არ იყო, პიროფლიანმა გაელიოთ გზა, არამედ დროსტარება და ფულის ფანტვა; შამპანური იქნებაო ჩემი სასმელი, ოცნებობდა იგი, სახლში გამოხდილი არყით გამომტყვრალი კი დადიოდა; სალონებზე ოცნებობდა და სამიკიტნოებში კი მართავდა ღრეობას, ოცნებობდა, ოქროსო დავურიგებო სუყველა შემხვედრს, მაგრამ გროშების გაცემალა შეეძლო.

მეორე მღვდლობაზე ოცნებობდა და მასწავლებელი გახდა ან უბრალო დარაჯი, მაგრამ მასწავლებელი რომ იყო, მღვდელი შეიქნა, ასევე, დარაჯად მუშაობდა და მღვდლად კურთხევას მოესწრო.

მრისხანე დედოფლობაზე მეოცნებე გოგო ანწუსზე აცმევდა ქმარშვილს, როდესაც წვრილი ჩინოსნის ცოლობა გახდა მისი ხვედრი. ერთს კი ყველასთვის საყვარელი დედოფლობა სურდა, და მართლაც მეფობა მოუხდა სახალხო სკოლაში. მესამემ კი, სახელმოსხვეჭილ დედოფლობაზე რომ ოცნებობდა, მართლაც გაითქვა სახელი, სახელი შესანიშნავი მკერავისა და მეურნე ქალის.

ბოჭემურ ცხოვრებას რატომ ეტანება ახალგაზრდობა? ერთნი — შებოჭილობას გაურბიან, სხვანი მიელტვიან ეგზოტიკას, მესამენი — არიან შემტევნი, პატივცემულნი, კარიერით დაინტერესებულნი; და მხოლოდ მას, ერთადერთი, ხელოვნება უყვარს, არტისტულ სამყაროში ის არის მართლაცდა მხატვარი, მწერალი, მუსიკოსი, ხელოვნებას ვერა და ვერ უღალატა; და მოკვდა სილატაკეში, უსახელოდ, მაგრამ ის ხომ ოქროსა და პატივზე არ ოცნებობდა, არამედ გამარჯვებაზე. წაიკითხეთ ზოლას „შემოქმედება“; ცხოვრება უფრო მეტადაა ლოგიკური, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ.

გოგო მონასტერზე ოცნებობდა და საროსკიპოში მოუხდა თავის შეფარება, იქაც შეიქნა მოწყალეების დაი, ვინც თავისუფალ დროს, მიღების საათები რომ არ ჰქონდა, უვლიდა ავადმყოფებს, ისეთივე გაუბედურებულ დაქალებს, იყო მათი მწე და მშველელი. მეორე მხიარულებას მიელტვოდა და მართლაც სრულად მოუხდა თავისი ხასიათის წარმოჩენა კიბოიანების თავშესაფარში — მომაკვდავსაც მოერეოდა ხოლმე ღიმილი, როდესაც იმის ტიკტიკს ისმენდა და იმის ნათელ სახეს უმზერდა თვალეზნაცვივნიული.

მათხოვრობა.

სწავლული ფიქრობს ამის შესახებ, აქვს პროექტები, თეორიები

და პიპოტეზები; ყმაწვილი კი ოცნებობს, რომ ააშენებს საავადმყოფოებს და გაიღებს მოწყალებას.

ბავშვურ ოცნებებში არის ეროსი, მაგრამ რაღაც დრომდე არ არის ვენერა. ცალმხრივი ფორმულა, რომ სიყვარული სახეობის ეგოიზმია, მომაკვდინებელია. ბავშვებს უყვართ თავისივე სქესის ^{ქანდაკეები} ~~ქანდაკეები~~, უყვართ მოხუცები და ისინიც, ვინც თვალითაც არ უნახავთ, ვინც კი საერთოდ არ არის ამ ქვეყნად. სქესობრივ ლტოლვასაც რომ განიცდიან, ბავშვებს დიდხანს უყვართ იდეალი და არა სხეული.

მოთხოვნილება ბრძოლის, სიწყნარისა და ხმაურის, შრომისა და მსხვერპლად მისვლის; ლტოლვა მფლობელობისა, მოხმარების, ძიების; ამბიციის, პასიური მიმბაძველობა — ფორმისგან დამოუკიდებლად სუყველაფერი ეს ოცნებითაა ხორცშესხმული.

ცხოვრება ოცნების შემოქმედია, სიყმაწვილის ასეულობით ოცნებისგან ძერწავს სინამდვილის ერთ მთლიან ქანდაკებას.

113. მომწიფების პერიოდის პირველი სტადია. ვიცი, მაგრამ ჯერ კიდევ თავად ვერ ვგრძნობ, ვგრძნობ, მაგრამ თავად ჯერ კიდევ არ მჯერა, ვკიცხავ იმას, რასაც ბუნება იქმნის სხვათა მიმართ; ვიტანჯები, რადგანაც დარწმუნებული არა ვარ, რომ თავად ავიცილებ ამას. მაგრამ უდანაშაულო ვარ; მძულს ისინი, თავის შიში მაქვს.

მეორე სტადია: სიზმარში, ნახევრად სიზმარში, ოცნებებში, თამაშით წამოგზნებულ წუთში, მიუხედავად შინაგანი პროტესტისა, ზიზღი და სინდისი ხმის, სულ უფრო ხშირად და მკაფიოდ გამომზეურდება ის გრძნობა, რომელიც გარესამყაროსთან გაუსაძლის კონფლიქტს უმატებს კირთებს კონფლიქტებისას საკუთარ თავთან. ფიქრს იცილებ, ის კი ისე დაგივლის, ვითარცა ავადობის მაუწყებელი შემცივნება. სექსუალურ შეგრძნებათა ინკუბაციური პერიოდი არსებობს, ჯერ რომ გაოცებისა და შიშის წყაროა, მერე კი შემზარაობისა და სასოწარკვეთილების.

ყურში ჩურჩულისა და ხითხითის ეპიდემია ქრება, გონის ამმღვრევი პიკანტურობა მომხიბლაობას კარგავს, — ბავშვი შეაბიჯებს ურთიერთადიარების პერიოდში; მტკიცდება მეგობრობა, დიდებული მეგობრობა ცხოვრების ხეივანში გზააბნეული ობლებისა, რომლებიც ერთმანეთს ეფიცებიან, არ მიგატოვებო, შენთან ვიქნები, შენს ჭირსა და ღზინს გავიზიარებო.

ბავშვი, თავად უბედური, უკვე აღარ უყურებს შფოთითა და ზარით, პირქუში გაოცებით, დასწავლილი სიტყვებით სხვის უბედურებას, ტანჯვა-ვაებასა და გაჭირვებას, არამედ ცოცხლად თანაუგრძნობს. მეტად დაკავებული და დადარდიანებულია საკუთარი თავით, აღარ შეუძლია სხვათა გამო ცრემლისღვრა, მაგრამ ცრემლისღვრის დროს ნახავს გადაცდენილი და მიტოვებული გოგოსთვის, ნაცემი ბავშვისთვის, ხუნდებგაყრილი პატომრისთვის.

ყოველი ახალი მოწოდება, იდეა, იმის სახით პოულობს ყურადღებობას მსმენელსა და მხურვალე მომხრეს. წიგნებს ის არ კითხულობს, ყლაპავს, სასწაულს ეაჯება ღმერთს. ბავშვის კერპია — ზღაპარი, მერე — ღმერთი, თავიდათავი მისი ყოველი განსაცდელისა, პირველწყა

რო უბედურებისა და დანაშაულის, ის, ვისაც შეუძლია და არ უნდა, სდება მისთვის ღმერთი დიდი საიდუმლოსი. ღმერთი ყოვლისმპატიებელი, ღმერთი — გონება ადამიანის ფიქრზე ზეადმატებელი, ღმერთი — ნავთსაყუდარი ქარიშხლის ხანს.

ადრე: „თუკი დიდები აიძულებენ ლოცვას, მაშინ ლოცვაც — სიცრუეა; თუკი მეგობარს კიცხავენ, ჩანს, სწორედ ის მიჩვენებს გზას“, რადგანაც მაშინ მათ როგორღა უნდა დავუჯეროთ? ახლა კი სხვანაირადაა: ზიზღნარევი მტრობა ადვილს უთმობს თანაღმობას. განსაზღვრება „სიბინძურე“ საკმარისი არ არის; აქ უნდა იმალებოდეს უსაზღვროდ რთული რამ. მაინც რა? წიგნი, ერთი შესედეით, წუთითღა გაფანტავს ბურუსს, ხოლო თანატოლი თავადაა სუსტი და ბეჩავი. არის წუთები, როდესაც შესაძლებელია კვლავ შეძენა ბავშვისა — ის ელოდება, უნდა მოგისძინოს.

რა უნდა ვუთხრა? მხოლოდ არა ის, თუ როგორ უნდა განაყოფიერდეს ყვავილები, როგორ მრავლდებიან ჰიპოპოტამები და რომ ონანიზმი მავნეა. ბავშვი გრძნობს, რომ აქ თავიდათავი უნდა იყოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ესაა თითებისა და ზეწრის სისუფთავე, აქ უნდა გადაწყდეს ბედი მისი სულიერი საძირკვლისა — ცხოვრებისადმი პასუხისმგებლობით რომ არის გამსჭვალული ძირითადად.

ჰე, ისევ გახდეს უმწიკვლო ბაღი, ვისაც სჯერა და ნდობა აქვს შეუვალი!

ჰე, ბოლოს და ბოლოს, დიდი გახდეს, დაუსხლტეს გარდამავალ ასაკს და ისეთი იყოს, როგორიც ისინი.

მონასტერი, მყუდროება, კეთილმსახურებითი ფიქრები.

არა, დიდება, საქმენი საგმირონი.

მოგზაურობა, შთაბეჭდილებათა ცვლა.

ცეკვა, თამაში, ზღვა, მთა.

სიკვდილი სჯობს სუყველაფერს; სიცოცხლე წამებაა.

გამზრდელმა იმისდა კვალად, თუ როგორ მოამზადა ამ წუთისთვის იმ წლების მანძილზე, როდესაც ყურადღებით აკვირდებოდა ბავშვს, შეიძლება მოქმედების გეგმა დაუსახოს — თავი როგორ შეიმეცნოს, როგორ აჯობოს თავს, რა ღონეს მიმართოს, როგორ გაიკაფოს ცხოვრების გზა.

114. ბობოქარი თავნებობა, სიცილი უგულო, სიყმაწვილის მხიარულება.

ღიას, მხიარულება ყოვლისადმი, ზარ-ზეიმი სიზმარში ნანახი გამარჯვებებისა, აფეთქება გამოუცდელი რწმენისა, რომ სინამდვილის საპირისპიროდ სამყაროს ამოტრიალება შეიძლება.

რამდენი ვართ, რამდენი ნორჩი სახეა, მუშტებშეკრულნი, რამდენი ჯანსაღი ეშვია, არ დავმორჩილდებით!

პატარა ჭიქა ან კათხა დარჩენილ ეჭვებს გაფანტავს.

სიკვდილი სამყაროს ძველს, ახალ ცხოვრებას — ვაშა!

ველარ ამჩნევს იმას, ვინც დამცინავად თვალამოკუსული ამცნობს: „სისულელეა“, ვერ ხედავს სხვას, რომლის სევდიან გამოსხედაში შევიძლია ამოიკითხო: „ბედშავნი“, ვერც მესამეს ხედავს, ვინც წუთს და-

დარაჯებულმა უნდა სათავე დაუდოს რაღაცას, ფიცი წარმოთქვას, რათა კეთილშობილური ალტყინება ღრეობაში არ შთაინთქას, აზრმოკლებულმა შეძახილებმა არ წარხოცოს.

ხშირად მასობრივი მხიარულება გარდამეტებული ენერჯია/გვეგონია, მაშინ, როდესაც ეს მხოლოდ გაღიზიანებული დაღლილ-დაქანცულობის გამოხატულებაა, რომელიც რაღაც წამით სულელთა მსგავსი გრძობელი მაცდუნებელ ალტყინებას მიეცემა. თუ გახსოვთ ბავშვის მხიარულება მატარებელში, როდესაც ბავშვმა არ იცის, სად მიდის და რამდენ ხანს იქნება გზაში, თითქოსდა კმაყოფილი ახალი შთაბეჭდილებებით, გრძობამოჭარბებული ჭირვეულობს, წამონთებული იმისი მოლოდინით, რომ რაღაც იქნება და მხიარული სიცილ-კისკისი მწარე ცრემლებით უნდა გასრულდეს.

ახსნა უნდა, დიდების ყოფნა რატომ „გააფუჭებს თამაშს“, შემოჭველია, უხერხულობას ქმნის...

ზარ-ზეიმი, პომპეზურობა, სუყველა ხასიათზეა, დიდები ისე მოხერხებულად აღელვებულან, ისე შესისხლსორცებული აქვთ როლები, ეს ორნი კი ერთმანეთს გადახედავენ და სუნთქვაშეკრულები, სიცილით დაოსებულები, ცრემლებიც კი მოსდით ხითხითი რომ არ წასკდეთ და ვეღარ იკაფებენ მაცდუნებელ სურვილს იდაყვი გაკრა, რაღაცა ჩაიჩურჩულონ იქედნურად და აახლოვებენ აყალმაყალის საშიშროებას.

„მხოლოდ ნუ გაიცინებ, მხოლოდ ასე ნუ მიყურებ. მხოლოდ არ გამაცინო იცოდე“.

ზარ-ზეიმის შემდეგ კი:

„რა ცხვირგაწითლებული იყო! პალსტუხი გვერდზე მოქცეოდა. აბა ერთი მიჩვენე, რა კარგად აკეთებ...“

რა გაუთავებელი თხრობა, რა სასაცილო იყო.

და კიდევ ერთი:

„ფიქრობენ, რომ მიხარია. მერედა იფიქრონ. კიდევ ერთი მტკიცება, რომ იმათ ჩვენი არ ესმით...“

შთავონებითი შრომა სიყმაწვილისა. მზადდება რაღაც, დიდი ძალისხმევა, მკვეთრად გამოხატული სამოქმედო გეგმა, როდესაც საჭიროა მარჯვე ხელი და გახსნილი ჭკუა. ახალგაზრდობა აქ თავის სტიქიონშია, აქ დაინახავთ ჯანსაღ სიმხიარულესა და ნათელ ალტყინებას.

გეგმის ჩამოყალიბება, გადაწყვეტილების მიღება, თავის დადება და შესრულება, მერე კი სიცილი წარუმატებელ ცდებსა და დაძლეულ სიძნელეებზე.

115. სიყმაწვილე კეთილშობილია.

თუკი თქვენ ამას გამბედაობას დაარქმევთ, როდესაც ბავშვს თავის გამოყოფის არ ეშინია მეხუთე სართულის სარკმლიდან; თუკი თქვენ ამას სიკეთეს დაარქმევთ, როდესაც ბავშვი თაროზე დედის დატოვებულ ოქროს საათს აიღებს და ფეხებმოქცეულ მათხოვარს მისცემს; თუკი თქვენ დანაშაულს დაარქმევთ იმას, რომ ბავშვმა ძმას დანა გაუქნია და თვალი წამოუგდო, — კარგი, მე უნდა დაგეთანხმოთ; ახალგაზრდობა კეთილშობილია, ამ დარგებში გამოცდილება არა აქვს — დიდზე დიდი, იმ სიდიდისა, ადამიანის ნახევარ ცხოვრებას რომ გასწვდება, ვითარცა

შრომა ხელშეკრულებით, სოციალური იერარქია და საზოგადოების კანონები.

გამოუცდელი ხალხის შეხედულებით, შეიძლება მეგობრობის ან სიძულვილის, პატივისცემისა და უპატივცემულობის გამოხატულება განცდილი გრძნობებისა და კვალად.

გამოუცდელი ხალხის შეხედულებით, შეიძლება მშობლიულობით დამოკიდებულების გაბმა ან გაწყვეტა, შეგუება ან ვერ შეგუება გავრცელებული ფორმებისადმი, დაცვა ან დარღვევა თანაცხოვრების წესებისა.

„სულ ფეხებზე მკიდია, თქვან რაც უნდათ, არ მინდა და მორჩა, გათავდა, მე რა ხელი მაქვს?“

ძლივს სული მოითქვა, ძლივს ასე თუ ისე დაუსხლტა მშობლების ხუნდებს, ჰოდა, ახლა თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი, გასაოცარია სწორედ!

იმიტომ, რომ ვილაც მდიდარი ან გავლენიანია, იმიტომ, რომ სადღაც ვილაცამ შეიძლება რაღაც იფიქროს ან თქვას?

ჩვენთაგან ვინ ასწავლის ახალგაზრდობას, რა კომპრომისებია საჭირო თუ ცხოვრების აუცილებლობა მოითხოვს, თავის დაღწევა რისგან შეიძლება. რა ფასად? რომელი შეიძლება მტანჯავი იყოს, მაგრამ სულს ვერ გასვრის და რომელი გამრყენელია? ვინ გვიჩვენებს საზღვრებს, რომელშიც პირფერობა — გაზრდილობაა (ამის მაგვარი, იატაკზე არ დააფურთხებ და მაგიდის გადასაფარებელზე ცხვირს არ დაახოცავ) და არა დანაშაული?

ჩვენ ბავშვს ვეუბნებოდით, დაგცინებენ.

ახლა კი უნდა დავუმატოთ, შიმშილით მოგკლავენ.

თქვენ ამბობთ: ახალგაზრდობის იდეალიზმი. იმის ილუზია, რომ სულ ყოველთვის შეიძლება დარწმუნება და გამოსწორება.

ამ კეთილშობილებას კი რაღა უნდა უყოთ? თქვენს ბავშვებში ძირფესვიანად უნდა ამოძირკვოთ, ტკბილად შეღულუნებთ იდეალიზმს, მხიარულებას; უსახელო „ახალგაზრდობის“ თავისუფლებას, ისე, როგორც ადრე უბიწოებას, სილამაზეს, თქვენი ბავშვების სიყვარულს. და ასე იქმნება იმის ილუზია, რომ იდეალი ისეთივე ასაკობრივი ავადმყოფობაა, როგორც ქუნთრუშა ან ჩუტყვავილა — რაღაც უწყინარი ვაღდებულება, მსგავსად სურათების გალერეის ნახვისა საქორწინო მოგზაურობის ხანა.

„მეც ვიყავი ფარისი. რუბენსი მაქვს ნანახი.“

კეთილშობილება არ შეიძლება იყოს განთიადის ბინდბუნდი, სხივ-მომფინარეა იგი. თუკი ჩვენ ვერ ვწვდებით ამას, მაშინ მოდით, უბრალოდ პატიოსანი ადამიანები აღვზარდოთ.

116. ბედნიერია ავტორი შრომის გასრულების დროს, ვინც გრძნობს, თქვა ის, რაც იცოდა, ამოიკითხა და შეათასა თანახმად მიღებული ნიმუშებისა. დასაბეჭდად რომ მიაქვს თავისი ნაშრომი, ჩუმ კმაყოფილებას გრძნობს, რადგანაც ცხოვრება მიაწვდის სიცოცხლისუნარიან შვილს. თუმცა სხვაგვარად არის: ავტორი ვერ ხედავს იმ მკითხველს, ვინც იმისგან მოითხოვს ჩვეულებრივ ცოდნას თავისი მზა რეცეპტები-

თა და გამოყენების წესებით. სხვანაირია აქ შემოქმედებითი პროცესი: ყურისგდება საკუთარი ჯერ ვერ ჩამოყალიბებული და უეცრად დაბადებული აზრებისა. შრომის გასრულება აქ — ცივი შედეგია, შოთიანი გამოღვიძება. ყოველი თავი საყვედურის წარმომჩენია: „ჯერ არ დამიმთავრებია, ისე მიმატოვეს!“ მთლიანობის დამაგვირგვინებელი არ არის წიგნის უკანასკნელი აზრი, არამედ გამოაცხადებული უკვე? და არც არაფერი მეტი?“

ესე იგი, დასამატებელია? ეს კი ნიშნავს, კიდევ ერთხელ თავიდან დავიწყოთ, უკუვაგდოთ ის, რაც ვიცით, შევეჭიდოთ ახალ პრობლემებს, რომლის გამოც წარმოდგენალა გვაქვს; დავწეროთ ასევე დაუმთავრებელი წიგნი.

* * *

ბავშვს დედის ცხოვრებაში შემოაქვს სიჩუმის მშვენიერი სიმღერა. იმ საათების რაოდენობაზე, დედა რომ იმის გვერდითაა, როცა ის თავად არც არაფერს მიელტვის, არამედ ცოცხლობს, იმ ფიქრებზე, რომლითაც მას რუღუნებით ახვევენ, დამოკიდებულია მისი შინაარსი, საქმნელ-გასაკეთებელი, ძალა და შემოქმედება; მდუმარედ რომ შესციცინებს, დედა მწიფდება იმ შთაგონებისთვის, რომელსაც აღმზრდელობითი შრომა მოითხოვს არა წიგნებიდან, არამედ საკუთარი თავიდან. მაშინ ყოველი წიგნი გაუფასურდება, და თუკი ეს დაამტკიცა, ჩემსას თავისი ამოცანა შეუსრულებია.

ბრძნული მარტოობის უამს იყავი ფხიზლად...





ზოგიერთი მოსაზრება „ჰამლეტის“ ცალკეული ადგილების თარგმნის შესახებ

„ჰამლეტზე“ მუშაობის პროცესში მე წავაწყდი რამდენიმე პრინციპული ადგილის თარგმნის პრობლემას. ზოგი ადგილი მომეწონა მაჩაბელთან, ზოგიც რუს მთარგმნელებთან, ხოლო ზოგიერთი ადგილის თარგმანმა არსად არ დამაკმაყოფილა. არადა „ჰამლეტის“ ტექსტის სირთულე მოითხოვს ზუსტ, გააზრებულ თარგმანს, რადგანაც მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიესის სწორი გაგება, გააზრება. ამიტომ გადავწყვიტე ორიგინალიდან თვითონ მეთარგმნა ცალკეული ადგილები. უმეტესწილად ისინი დაემთხვა ძალიან ცნობილ, მოარულ გამონათქვამებად ქცეულ ადგილებს, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ სწორედ თავისი სიძლიერის გამო ეს ადგილები დაახლოებით ერთი ძალით, თანაბრად ძლიერად მოქმედებს ყველა ადამიანზე და ამიტომ გახდნენ ისინი ასე პოპულარულნი! გარდა ამისა, შერჩეული მაქვს ისეთი ადგილებიც, რომლებიც ჩემი აზრით, შედარებით სუსტია მაჩაბელთან, ასევე რუს მთარგმნელებთან. ძირითადად, ეს არის პიესის გმირების ცალკეული მიმართვები, ფრაზები და ისინი პროზაულად არის ნათარგმნი (თუმცა ზოგან პროზაულია თვით ორიგინალიც და ამ საკითხს ქვემოთ კიდევ შევხებით). გადავწყვიტე ეს ადგილები პოეტურად მეთარგმნა (რამდენად მივალწიე მიზანს, ამას მკითხველი შეაფასებს!)

რა თქმა უნდა, ჩემი ამოცანა გაცილებით მარტივია, ვიდრე მთელი პიესის თარგმნა, რადგანაც ასე შეიძლება მოხერხდეს ცალკეული ადგილების პოეტური თარგმნა, მაგრამ მთლიანმა ტექსტმა მოითხოვოს მათი სულ სხვანაირი თარგმნა. მაგრამ მე შერჩეული მაქვს ისეთი ადგილები, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული „ავტონომია“. ეს უმეტესწილად აფორისტული, განზოგადებული მსჯელობებია და სწორედ ამიტომ ისინი ნაკლებად არიან დამოკიდებულნი მთლიან კონტექსტზე. ასეთივე „ავტონომია“ გააჩნიათ ზემოთ აღნიშნულ პიესის გმირების ცალკეულ ფრაზებს, მიმართვებს.

აქვე მინდა შევეხო თვით ორიგინალის გადმოცემის ფორმის საკითხსაც. „ჰამლეტში“ (და არა მარტო აქ!) შექსპირი „არათანმიმდევრულია“: ზოგი ადგილი პროზად არის მოცემული, ზოგიც პოეტური ფორმითაა გადმოცემული. მე დიდხანს ვფიქრობდი ამ „უცნაური“ მოვლენის შესახებ და მოვიფიქრე ასეთი შესაძლო ახსნა (თუმცა იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ ფენომენში, მოგვიწევს ცოტათი შორიდან დაწყება!): თვით პოეტური ფორმით — რითმებით აზრის გადმოცემა არასტანდარტული, „გაუგებარი“ ფორმით აზროვნებისა და ასეთი რამ

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია — ადამიანს შეუძლია საკუთარი ემოცია, აზრი გამოსატოს რითმების საშუალებით, რაც შემდგომ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ „გაურკვეველი მიზეზების გამო“ მოგვწონს, გვიზიდავს! მაგრამ ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ შეიძლება დიდი მოცულობის ლექსის (ანუ პოემის ან რომანის ლექსად) დაწერა. გასაგებია თუ როგორ იწერება ჩვეულებრივი, შედარებით მცირე მოცულობის ლექსი — პოეტი დაჯილდოებულია რითმებით აზროვნების უნარით, იგი ცხოვრებაში ლებულობს გარკვეულ შთაბეჭდილებებს და მათ გადმოსცემს ლექსის სახით, მაგრამ ეს შთაბეჭდილებები „ერთჯერადია“, სხვადასხვა მომენტში ადამიანი სხვადასხვა შთაბეჭდილებას იღებს, შესაბამისად განსხვავებულ განწყობაზე და ამ განწყობას შესაბამისი რითმით, ლექსით გადმოსცემს. ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ როგორ იწერება პოემა, რომანი ლექსად? აქ ხომ პოეტს დასახული აქვს ზეამოცანა, ასეთი დიდი „ტევადობის“ ნაწარმოები ძაინცდამაინც პოეტური ფორმით დაწეროს, ანუ იგი წინასწარ გეგმავს, რომ დროის სხვადასხვა მომენტში იგი დაახლოებით ერთნაირ პოეტურ განწყობაზე იქნება (ასეთი ერთნაირი განწყობა იმისათვის არის აუცილებელი, რომ პოემაში ერთი მთავარი საზი იგრძნობოდეს!) და სწორედ ეს მიმაჩნია საკუთარ თავზე ძალდატანების, საკუთარი შემოქმედებითი პროცესის წინასწარი დაგეგმვის ფაქტად, რაც ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. სხვათაშორის, სწორედ ამის გამო, მე მგონი, პოეტებს ძალიან ხშირად უხდებათ ხოლმე უკვე დაწერილი ადგილების მრავალჯერ გადაკეთება. გასაგებია თუ რატომ ხდება ასე — სწორედ ასეთი ძალდატანების გამო პოემაში (მითუმეტეს რომანში ლექსად!) აუცილებლად იქნება „სუსტი“ ადგილები, რომლებიც არ „ჯდება“ საერთო რითმულობაში და პოეტი იძულებულია თავიდან გარითმოს ისინი. იგივე მოვლენა შემინიშნავს ოპერის მოსმენისასაც. იქაც ძლიერი ცალკეული ადგილების (მაგალითად, არიების) შემდეგ გვხვდება ამკარად სუსტი მუსიკალური ადგილები — მაგალითად, რეჩიტატივები ოპერის გმირებს შორის. ეს მოვლენაც გასაგებია — აქაც კომპოზიტორმა საკუთარ თავს დაუსახა ზეამოცანა მთელი პიესა მუსიკით გადმოეცა (სხვაგვარად შეუძლებელია თვით ოპერის განმარტებიდან გამომდინარე!) და ამან განაპირობა ამ სუსტი ადგილების წარმოშობა. რაც შეეხება შექსპირს, იგი შეიძლება არ ატანდა თავს ძალას, ბუნებრივი იყო და საკუთარ აზრს, ემოციას იმ ფორმით გადმოცემდა, რა განწყობაზეც იყო მოცემულ მომენტში — თუ პოეტური „მუზა“ ეწვეოდა — გადმოცემდა თავის სათქმელს ლექსად, თუ არა — მაშინ პროზას მიმართავდა და მისმა ამგვარმა ბუნებრივმა ქცევამ მოგვცა პიესები იმ სახით, რომლებსაც ჩვენ ამჟამად ვიცნობთ (ალბათ ეს ბუნებრივობაც არის მისი სიდიადის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი!). შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ შექსპირი თავად ხელმძღვანელობდა „გლობუსს“,¹ თვითონ იყო რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი და ამიტომ ვერ იცლიდა შემდგომ გაერთიანებულ პროზაული ადგილები, მაგრამ, მე მგონი, ეს ფაქტორი ნაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს! ასეთმა მიდგომამ შეიძლება მოგვცეს სრულიად

1. თეატრის სახელწოდება (მთარგმნ. შენ.).

ახალი, მანამდე უცნობი ფორმის ნაწარმოებები: ავტორი არ იზღუდავს თავს, თუ როგორ (პროზით, პოეზიით თუ სხვა დღემდე უცნობი ფორმით) გადმოსცეს საკუთარი ემოცია, აზრი და ღრობის ყოველ მომენტში ის ამას აკეთებს იმ ფორმით, რაც მისთვის იმ მომენტში ყველაზე ხელსაყრელია (რა განწყობაზეცაა ავტორი იმ მომენტში!) ამგვარი მიდგომით შეიძლება გავიგოთ XX საუკუნის სხვადასხვა ეგზოტრიკული, მოდერნისტული მიმართულებების გაჩენა ხელოვნებაში, ლიტერატურაში (მაგალითად, „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი ფოლკნერთან, კაფკასთან და ა. შ.). ასე რომ, ასეთმა ბუნებრიობამ ჩვენ შეიძლება მიგვიყვანოს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აზრის, ემოციის გადმოცემის სრულიად ახალ, კომბინირებულ ფორმებამდე.

დავუბრუნდეთ თარგმანის პრობლემებს. იმის გამო, რომ შეუძლებელია დააკვირდე საკუთარ მეტყველებას, აზროვნებას, საერთოდ შემოქმედებით პროცესს (ეს არის ატომურ ფიზიკაში ნილს ბორის მიერ აღმოჩენილი დამატებითობის პრინციპის განზოგადება, გამოვლენა ფსიქოლოგიაში!), ამიტომ მთავარი სირთულე აზრის, ემოციის გადმოცემისა აკისრია, რა თქმა უნდა, მწერალს, პოეტს. მას შემდეგ რაც ეს აზრი, ემოცია დაფიქსირდება, უკვე შედარებით ადვილია ამ „გაყინულ მასალაზე“ სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარება. მთარგმნელი იმყოფება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავტორის „ველში“. ავტორის აზრი უკვე მოცემულია და მთარგმნელს მეტი თავისუფლება გააჩნია, რა ფორმითაც თვითონ სურს, ისე თარგმნოს ეს აზრი. შეიძლება ასეთ საინტერესო მოვლენასთან გვქონდეს საქმე: ავტორი იმ მომენტში არ იყო სათანადოდ კარგ პოეტურ განწყობაზე და ეს გამოიხატა იმაში, რომ ამ განწყობის შესაბამისი ადგილი მოცემულია ნაკლებ წარმატებული რიტმის სახით, თეთრი ლექსით ან სულაც პროზაულად, მაგრამ მე (მთარგმნელი) იმ მომენტში ვარ პოეტურ განწყობაზე, ვნახე ეს ადგილი ავტორთან, ამან გამოიწვია სათანადო ემოცია ჩემში და შევასრულე ამ ადგილის პოეტურ თარგმანს. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს — პოეტური ადგილი პროზაულად ვთარგმნო. აქაც იგივე პრობლემაა, რაც ზემოთ აღვნიშნე — მთარგმნელმაც არ უნდა დაატანოს საკუთარ თავს ძალა. დამატებით სტიმულს პოეტური განწყობისათვის ისიც მაძლევდა, რომ ორგინალის შემდეგ, მაჩაბლის თარგმანთან ერთად, გავეცანი რუსულ თარგმანებსაც (ბ. პასტერნაკის, მ. ლოზინსკის, ნ. პოლევოის და ა. კრონებერგის), რაც დამეხმარა უკეთ გამოკვეთილიყო ორიგინალის შედარებით რთულად გასაგები ადგილები (ერთი და იგივე აზრი რამოდენიმეჯერ სხვადასხვანაირად „დამიტრიალდა“ თავში!) და ამ პროცედურის შემდგომ ჩემში „გაიღვიძა“ პოეტურმა განწყობამ.

აქვე მინდა კიდევ ორი ზოგადი მოსაზრება გამოვთქვა საერთოდ თარგმანის შესახებ. პირველი — ჩვენ ხშირად „უბრალო“ მეტყველებისას, წერისას ვიმეორებთ ერთი და იგივე სიტყვებს. ეს ალბათ აზროვნების ინერციის ბრალია — მას შემდეგ რაც მივაგნებთ ამა თუ იმ „კარგ“ სიტყვას, ტვინი იმახსოვრებს მას და შემდგომშიც კვლავ ამ სიტყვას გვთავაზობს სათქმელად. ეს აზრი კარგად აქვს ჩამოყალიბებული ბლევ პასკალს თავის „აზრებში“. ამგვარი გამეორება ხშირად იწვევს გარკვეული უკმაყოფილების შეგრძნებას და ჩვენ ხშირად წერი-

ლის (განცხადების) გადაკითხვისას ასეთ სიტყვებს სხვა სიტყვებით ვცვლით, მაგრამ, როგორც ჩანს, არის ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი გამეორება სასურველია და ეს არის სწორედ პოეზიის „შემადგენელი“ ერთ-ერთი კომპონენტი — ეს ქმნის გარკვეული რიტმის შეგრძნებას.

მეორე — ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვა ანალოგიებით გადმოვცეთ და თარგმანში ზოგიერთ ადგილას ხდება სწორედ ასეთი ანალოგიების „დაჭერა“. მაგალითად, ასეთი აზრი: ჯერ ერთი საქმე უნდა დაამთავრო, ხოლო შემდეგ სხვა საქმეს უნდა მოკიდო ხელი, შექსპირის „რიჩარდ III“-ში მაჩაბელმა ასე შესანიშნავად გადმოვცა:

ორიგინალი: *Why I run before my horse into the market?*

პწკარედი: რატომ მივრბივარ ჩემს ცხენზე წინ ბაზარში?

მაჩაბელი: ხარებს ურემს უკან რად ვუბამ?

რუსთაველის თეატრის სახელგანთქმულ სპექტაკლში ეს ადგილი ასეა ნათარგმნი: ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო (თარგმანი რ. სტურუასი და ლ. ფოფხაძის).

შეიძლება ასეც მოხდეს: მე, მთარგმნელი, ვიგებ იმ მთავარ აზრს, რამაც მწერალს დააწერინა ესა თუ ის ადგილი ნაწარმოებში და ვადარებ ჩემს განცდილს ამ მოვლენის შესახებ. მწერალმა ჩემზე ადრე თქვა ჩემი სათქმელი, ახლა მე ვცდილობ თარგმანში ეს სიტუაცია „გამოვასწორო“ და ეს აზრი მე თვითონ გამოვთქვა. ასეთი რამ განსაკუთრებით ცხადად ვიგრძენი „*Time is out of joint...*“, „დროთა კავშირი დაირღვა...“ (მაჩაბელი) თარგმნისას. პირველად ეს ფრაზა შემხვდა ჯერ კიდევ სკოლაში აინშტაინის ფარდობითობის თეორიის პირველი გაცნობისას (ეპიგრამად ჰქონდა წამძღვარებული ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოს). როგორც ცნობილია აინშტაინმა „დაამსხვრია“ ნიუტონისეული აბსოლუტური დროის ცნება და აჩვენა, რომ დრო ფარდობითი სიდიდეა (დამოკიდებულია ათვლის სისტემაზე — მოძრავ სისტემაში დრო უფრო ნელა მიდის, ვიდრე უძრავში!) და სწორედ ეს იყო დროის (საერთოდ სამყაროს!) შესახებ წარმოდგენების გადატრიალება. ამ გაგებით, შეიძლება ხატოვნად ითქვას, რომ დრო „ნალრძობია!“

აქ მინდა ცოტა უფრო ღრმად გამოვკვეთო ანალოგიების როლი ჩვენს აზროვნებაში. ანალოგიების გავლების საშუალება სინამდვილის სხვადასხვა სფეროებში ძალიან ღრმა მოვლენაა თავისი შინაარსით. ეს ჩვენი აზირება, კაპრიზი კი არ არის, არამედ შესაძლოა იმის გამოსატულება იყოს, რომ სამყარო ერთიანია, მის სხვადასხვა ნაწილებში არის მსგავსი (ანალოგიური) მოვლენები და ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ჯერ იყო ერთი მთავარი საწყისი (ამას ეთანადება თანამედროვე ფიზიკის „დიდი აფეთქების“ თეორიაც სამყაროს წარმოშობის შესახებ). შემდგომ ეს მთავარი გართულდა, მიიღო სხვადასხვა ფორმები, მაგრამ „კვალი“ მაინც დარჩა იმ პირველი მთავარი საწყისის (მთავარს „ახსოვს“ თუ საიდან მოდის ის!) და ეს „კვალია“ სწორედ ის საერთო, რაც სხვადასხვა მოვლენებს ახასიათებს. ამიტომ ადამიანი უნდა შეეცადოს ეს საერთო (ანალოგი) იპოვოს, რაც შეიძლება მეტ სხვადასხვა მოვლენას შორის და ამ საქმიანობამ იგი შეიძლება მიიყვანოს იმ „იდუმალი“ მთავარი საწყისის პოვნამდე!

ამ საკმარისად ვრცელი, მაგრამ აუცილებელი შესავლის („მოთელვის“) შემდგომ, ქვემოთ მომყავს „ჰამლეტის“ ცალკეული ადგილების მაჩაბლისეული და ჩემეული თარგმანები ზოგიერთი რთული ადგილის ჩემი კომენტარებითურთ. ზოგან მაქვს ერთი და იგივე ადგილის რამოდენიმე თარგმანი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქართული ძალზედ მდიდარი და მოქნილი ენაა (სწორედ ეს იძლევა მრავალ თარგმანის გაკეთების საშუალებას!) და მე ვერ „გავექეცი“ ამ სიმდიდრეს და მოქნილობას! (ჯერ მომყავს ჩემი აზრით ჩემეული საუკეთესო თარგმანი, შემდგომ ნაკლები „ღირებულების“ და ა. შ., თუმცა მკითხველმა შეიძლება ისინი თავისთვის სხვანაირად დააღაგოს!).

ჰამლეტი:

1. ოჰ, ღმერთო ჩემო! მე თუნდა კაკლის ნაჭუჭში მოქცეული ვიყო, ჩემი თავი დაუსრულებელი სივრცის მფლობელი მეგონებოდა, ოღონდ ცუდ სიზმრებს არა ვხედავდე! — ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეორე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ო, ღმერთო ჩემო! რომ არ მტანჯავდეს ჩემი სიზმრები, კაკლის ნაჭუჭის ტყვეობაშიც კი წარმოვიდგენდი მე საკუთარ თავს უკიდევანო სივრცის მფლობელად!

2. ო, ღმერთო ჩემო! რომ არ მტანჯავდეს ჩემი სიზმრები, კაკლის ნაჭუჭის ტყვეობაშიც კი მეგონებოდა ჩემი თავი უსასრულო სივრცის მფლობელი!

ჰამლეტი:

ამ დღიდან ფიქრს სისხლს გამოვრწყობ, ან მოვსპობ სრულად — ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ო, ამის შემდგომ, ჩემო ფიქრებო, სისხლიანი ხართ ან არაფერი!

2. ამიერიდან, ჩემო ფიქრებო, სისხლიანი ხართ ან არაფერი!

კლაუდიუსი:

სიტყვა მიფრინავს, მაგრამ ფიქრი აქ, დაბლა, მრჩება, უფიქროდ სიტყვა ვერ მისწვდება ცას ვერასოდეს! — ი. მაჩაბელი.
მოქმედება მეოთხე, სურათი მეოთხე.

ჩემი თარგმანები:

კლაუდიუსი:

1. ჩემი სიტყვები მალლა მიფრინავს, მაგრამ ფიქრები აქ, დაბლა მრჩება,

ხოლო სიტყვები ფიქრის გარეშე ცისკენ ვერასდროს ვერ მიტრება!

2. ჩემი სიტყვები მალლა მიფრინავს, ჩემი ფიქრები კი დაბლა მრჩება,

მაგრამ სიტყვები ფიქრის გარეშე ცისკენ ვერასდროს ვერ მიტრება!

მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ლაერტი:

ეს უაზრო ლაპარაკი აზრიანსა სჯობს! — ი. მაჩაბელი.

ჩემი თარგმანი:

ლაერტი:

ამ უაზრობას მეტი აზრი აქვს, ვიდრე თვით აზრსა!

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

ჰამლეტი:

ყინულსავით რომ უმანკო იყო და თოვლსავით წმინდა, მაინც ცილისწამება არ აგცდება! — ი. მაჩაბელი.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

თუგინდ გცხებოდეს ყინულთ სიწმინდე,

ან კი თოვლისა უმანკოება

მაინც ჩირქს მოგცხებს ცილისწამება!

მოქმედება პირველი, სურათი მეხუთე.

ჰორაციო:

დღისა და ღამის გაყრას ვფიცავ, რომ ეს ამბავი გასაოცრად უცხო არის.

ჰამლეტი:

თუ გეუცხოვა ისე მიიღე ვით უცხოს შეეფერება

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,

რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიან — ი. მაჩაბელი.

ჩემი თარგმანები:

1. ჰორაციო:

ო, დღე და ღამეც, ეს გასაოცრად უცხო რამაა

ჰამლეტი:

თუკი უცხოა, ისე მიიღე, როგორც უცხო რამ,

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცაშიც, დაბლაც

რაც ფილოსოფოსთ ფიქრშიც კი არ აქვთ!

2. ჰორაციო:

ო, დღე და ღამე, ეს გასაოცრად უცხო რამაა

ჰამლეტი:

თუკი უცხოა, შენც ისე შეხვდი, როგორც უცხოა, ბევრ რამეს იტანს, ჰორაციო, მიწაც და ზეცაც რაც გუნებაშიც კი არა აქვთ ფილოსოფოსებს!



3. ჰორაციო:

ო, დღე და ღამე, ეს გასაოცრად უცხო რამაა

ჰამლეტი:

თუკი უცხოა, შენც ისე შეხვდი, როგორც უცხოა, ბევრი რამაა, ჰორაციო, ზეცაშიც, დაბლაც რის გაფიქრებაც კი არ ძალუძთ ჩვენს ფილოსოფოსთ!

ჰამლეტი:

მისი მსგავსი მხოლოდ იმისივე სარკეა და ვინც მისდამი მიბაძვას მოინდომებს, იგი მხოლოდ იმის ჩრდილი შეიქმნება — ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეხუთე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

მისი სადარი მხოლოდ მისი ანარეკლია, და მხოლოდ ჩრდილი მის მიმბაძავი, სხვა არაფერი!

ჰამლეტი:

ოჰ, ნულარას ნუ მაგონდები! არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ! — ი. მაჩაბელი.

მოქმედება პირველი, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. თავს რად ვიტანჯავ ამაზე ფიქრით: ცვალებადობავ, შენი სახელი დედაკაცია!

2. შენ, თავო ჩემო, ნება მომეცი აღარ ვიფიქრო ამაზე მეტი: ამაოებავ შენი სახელი დედაკაცია!

ჩემი კომენტარი:

სიტყვა *think*, მე მგონი, არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც მაგონდები (*remember*). გარდა ამისა *Frailty* ითარგმნება როგორც სისუსტე, ცვალებადობა, არამუდმივობა, ამაოება, სიმყიფე, სინაზე. ამიტომ

მისი არარაობად (*nonentity, worthless*) თარგმნა საკმარისად გაძლიერებაა ამ სიტყვის. მე მგონი უმჯობესია *Frailty* კონტექსტიდან გამომდინარე, ითარგმნოს როგორც ცვალებადობა, რადგანაც ამ მონოლოგში ჰამლეტი აღნიშნავს, რომ ძალიან მალე მოხდა კლაუდიუსის და გერტრუდას ქორწინება — ერთი თვეც კი არ გასულა რაც მოკვდა ჰამლეტის მამა და ამიტომ უფრო უპრიანია აღნიშნოს გერტრუდას ხასიათის ცვალებადობა. ალბათ მაჩაბელიც გრძნობდა იმას, რომ არარაობა ძალიან ძლიერი ფორმაა და ამიტომ დაამატა „უნდა გერქვას“, თუმცა ორიგინალში უნდა (*must*) არ არის! მახსენდება, რომ ბ-ნმა აკაკი ბაქრაძემ ხელნაწერის წაკითხვისას გამოთქვა ვარაუდი, რომ *Frailty* მეთარგმნა როგორც „გაუტანლობავ“. მე მგონი, ესეც კარგი თარგმანია!

ჰამლეტი:

თუნდ ნუ ენდობი ვარსკვლავთ სინათლეს,
ნურც ცის სფერაში ტრიალსა მზისას,
თუნდ ნუ ენდობი მართალთ სიმართლეს
ენდე ძალს ჩემი სიყვარულისას!

ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეორე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ნუ მიენდობი ვარსკვლავთ ნათებას,
ნუ მიენდობი მზის მოძრაობას,
ბრმად ნუ ენდობი ჭეშმარიტებას,
მიენდე მხოლოდ ჩემს წმინდა გრძნობას!

2. ნუ მიენდობი ვარსკვლავთ ნათებას,
ცის კამარაზე მზის მოძრაობას.

ბრმად ნუ ენდობი ჭეშმარიტებას,
მიენდე მხოლოდ ჩემს წმინდა გრძნობას!

ჰამლეტი:

კაცი სხვას კარგად ვერ გაიცნობს, თუ თავის თავსაც არ იცნობს! —

ი. მაჩაბელი

მოქმედება მეხუთე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

სხვის შესაცნობად შენი თავი შეიცან კარგად!

მოქმედება პირველი, სურათი მეხუთე.

ჰამლეტი:

დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა! — ი. მაჩაბელი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. დრო ნაღრძობია; წყეულო ბედო,

მე რად მარგუნე მისი განკურნვა!

2. დროს აღარ უნდა იყოს დროება; რა დაგიშავე წყეულო ბედო,

მე რად მარგუნე მისი მოქცევა!

3. დროს აღარ უნდა მიყვეს ჟამთასვლას; რით განგარისხე, წყეულო ბედო,

რად გამაჩინე მის მოსაქცევად!

ლაერტი:

შენი ჭკუა რომ შევრჩენოდა და გექადაგნა

შურისძიება, ვერ გასჭრიდა ეგრე ძლიერად!

ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანები:

ლაერტი:

1. ვერ მომნუსხავდა ასე ძლიერად რომ შევრჩენოდა

შენი გონება და გექადაგა შურისძიება!

2. ვერ მომნუსხავდა ასე ძლიერად

შენ რომ გქონოდა შენი გონება და გექადაგა შურისძიება!

მარცელიუსი:

მგონი დანიას ელის უბედურება! — ი. მაჩაბელი.

მოქმედება პირველი, სურათი მეოთხე.

ჩემი თარგმანი:

რალაც ჩამპალა დანიის სამეფოში!

ჩემი კომენტარი:

ი. მაჩაბელის თარგმანში წინა პლანზეა წამოწეული შედეგი — ის, რომ დანიას ელის უბედურება, ხოლო მიზეზი ისაა, რომ დანიაში რალაც ლპება (rotten). მაგრამ ხომ შეიძლება რალაც ცუდი, უვარგისი ლპებოდეს — მაშინ შედეგი ხომ სასურველი იქნება! ამიტომ, მე მგონი, აუცილებელია ზუსტად მივყვეთ ორიგინალს და გამოვყოთ რაც მიზეზია (შედეგის მიუხედავად!) — ის, რომ რალაც ლპება. მე ვიხმარე სიტყვა „ჩალპა“. ალბათ უმჯობესია ამგვარი გაძლიერება. ეს კარგი იქნება სცენაზეც — როცა მსახიობი ამ სიტყვას იტყვის, ამას უფრო მეტი ემოციური დატვირთვა ექნება!

პორაციო:

ჩვეულება კაცს გულცივობასაც ადვილად შეუთვისებს.

ჰამლეტი:

ეგ მართალია. ვინც კი ხელებს ნაკლებად ამუშავებს, მას გრძნობა უფრო მღვიძარე აქვს.
ი. მაჩაბელი

მოქმედება მეხუთე, სურათი პირველი.
ჩემი თარგმანი:

პორაციო:

ჩვეულებამ მას გრძნობა წაართვა.

ჰამლეტი:

მართლაც ასეა. უშრომელ ხელში გრძნობა მეტია.

ჰამლეტი:

თუ სასტიკი ვარ, ეს სიკეთის ნაყოფი არის
ცუდს შევხვდი კიდევ და უარესს წინ შევეყრებით.
ი. მაჩაბელი

მოქმედება მესამე, სურათი მეოთხე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. მე სასტიკი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყო კარგი, რადგან ცუდი რამ უკვე შეგვემთხვა და უარესიც მალე მოგველის!
2. მე სასტიკი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყო კარგი, რადგან ცუდი რამ დაწყებულია და უარესი წინ გველოდება!

კლაუდიუსი:

რა სნეულება განწირულსა სახეს მიიღებს
მის განკურნება ძალუძს მხოლოდ
გამწირველ წამალს

ი. მაჩაბელი

მოქმედება მეოთხე, სურათი მესამე.

ჩემი თარგმანი:

კლაუდიუსი:

ძლიერი სენი ძლიერი წამლით განიკურნება, სხვა ვერაფერით!

ჩემი კომენტარი:

გაუგებარია რას ნიშნავს გამწირველი წამალი — ეს, ალბათ მაჩაბელს რითმისთვის დასჭირდა.

გერტრუდა:

სიტყვა სუნთქვაა, სუნთქვას კიდევ სიცოცხლე მოსდევს, და მე მომესპოს როგორც სუნთქვა, ისე სიცოცხლე, შენი ნათქვამი საიდუმლო თუ გავამხილო.

ი. მაჩაბელი



მოქმედება მესამე, სურათი მეოთხე.

ჩემი თარგმანი:

გერტრუდა:

მშვიდად იყავი, რადგან სიტყვები თან ახლავს სუნთქვას, სუნთქვის თანმხლები კი სიცოცხლეა, სიცოცხლეს ჩემსას შეუწყდეს სუნთქვა თუკი არგათქმა არ შემიძლია.

კლაუდიუსი:

დიდკაცთ სიგიჟეს ეჭირვება მუდამ სიფრთხილე! —

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

კლაუდიუსი:

1. წარჩინებულის სულთაშლილობა არ უნდა დარჩეს უმეთვალყუროდ!

2. დიდებულების ჭკუიდან შეშლა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ!

გერტრუდა:

ეს ყოფილა ცოდვის ბუნება:

შემთხვევა მცირე, უმნიშვნელო, ჩემს დატანჯულ სულს ჰგონია დიდის ხიფათისა წინამორბედი, და დანაშაულს ეს სასჯელი ჰგონია ჭირად, რომ არ-გამხელის მორიდება თვითვე ამხილებს!

ი. მაჩაბელი

მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანი:

გერტრუდა:

ბიწიერების ნამდვილ ბუნებას როგორც შეჭფერის, ჩემს დაქანცულ სულს ყოველნაირი მცირე შემთხვევა დიდი ხიფათის წინამორბედად წარმოუდგება, ისე სავსეა დანაშაული მიამიტ იჭვით, რომ არ გამხელის მოშიშარობა თვითონვე ამხელს!

ჩემი კომენტარები:

1. სიტყვა *sick* ითარგმნება როგორც დარდი, ნალველი, დაქანცლობა, დატანჯულობა, დაღლილობა. ამ მონოლოგს დედოფალი წარმოთქვამს ჰამლეტთან შეხვედრის შემდეგ, სადაც ჰამლეტი დაანახვებს მას მის მიერ ჩადენილ ცოდვას (თუმცა ჰამლეტი რწმუნდება, რომ გერტრუდამ არ იცოდა ქმრის მკვლელობის ამბავი!) და სთხოვს დედას აღარ დაუბრუნდეს კლაუდიუსს, მაგრამ დედოფალი მაინც უბრუნდება „გარყვნილების ბუნავს“ — (ი. მაჩაბელი). ასე, რომ პიესის ამ ადგილას გერტრუდა შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დაქანცულ, დაღლილ (და არა დატანჯულ!) ადამიანად!

2. ი. მაჩაბელთან — „და დანაშაულს ეს სასჯელი ჰქონია ჭირად“ — აქაც, ისევე როგორც „მგონი დანიას ელის უბედურება“ — შედეგი წინა პლანზეა წამოწეული. იმიტომ აქვს დანაშაულს სასჯელი ჭირად, რომ სწორედ“ დანაშაული ისე სავსეა მიამიტ იჭვით“ და სწორედ ამის გამო დანაშაული თავის თავს ადვილად ვასცემს. ასე, რომ აქ მიზეზია ის, რომ დანაშაული სავსეა იჭვით და ამის შედეგია ის ჭირი, რომელიც მას ახლავს — დანაშაული ადვილად სამხელია! იმიტომ, მე მგონი, უმჯობესია ითარგმნოს თვით მიზეზი, როგორც ეს ორიგინალშია (და არა შედეგი — შედეგი ხომ შეიძლება ცალსახა არ იყოს!).

ოფელია:

მდიდარს საჩუქარს სულგრძელისა მიმღებისათვის
ფასი აღარ აქვს, თუკი გამცემი გაგულცივდება!
ი. მაჩაბელი

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანები:

ოფელია:

1. მდიდარი ძღვენი ნატიფ სულისთვის „ღარიბი“ ხდება
თუკი გამცემი გულქვა გახდება!
2. ნატიფ სულისთვის ძვირფასი ძღვენი თავის ფასს კარგავს
თუკი გამცემი გულქვა იქნება!

ლაერტი:

გიჟია, მაგრამ სიგიჟეშიც ჭკუა შერჩენია, სულ დავიწყებაზე და მოგონებაზედ პფიქრობს! — ი. მაჩაბელი
მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანები:

ლაერტი:

1. ფიქრებისა და მოგონებების ურთიერთშერწყმა — ეს უტყუარი საბუთი არის სულის აღრევის!

2. ფიქრებისა და მოგონებების ურთიერთშერწყმა — ეს უტყუარი საბუთია სულთაშლილობის!

ჰამლეტი:



დაილოცოს იგი სიჩქარე... ეს უნდა გითხრა, ~~ქორწინებ~~ ხშირად განზრახვა მოფიქრებული ყოველის მხრით უქმად ~~ჩაგვივლის~~ და გვშველის მხოლოდ აჩქარებით საქმის დაჭერა. ეს მოასწავებს, რომ განგება თვით აწყობს საქმეს, რა გზასაც უნდა ავირჩევდეთ.

ი. მაჩაბელი

მოქმედება მეხუთე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

უცბად წამოვხტი — კურთხეულ იყოს ეს აჩქარება!
ეს კი იცოდე, რომ ხანდახან აჩქარებული ნაბიჯი ჩვენი, ჩვენ ძალზედ გვშველის,
მაშინ როდესაც კარგად ნაფიქრი ჩვენი განზრახვა დამარცხებისთვის განწირულია და ეს გვასწავლის, რომ განგება ადამიანთა მოუქნელ ზრახვებს დასრულებულსა სახესა აძლევს.

ლაერტი:

პოი, ზეცავ, ყმაწვილის ქალის ჭკუა-გონება განა ისე წარმავალია, როგორც სიცოცხლე მოხუცებულ ადამიანის?! — ი. მაჩაბელი
მოქმედება მეოთხე, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანი:

ლაერტი:

ო, ღმერთო ჩემო, შეიძლება კი ქალწულის ჭკუა ისევე ჩაქრეს და მიილიოს, როგორც სიცოცხლე ბერიკაცისა?!

ჰამლეტი:

ჩქარა მაცნობე, ფრთებს შევისხამ ფიქრზედ უსწრაფესს და ვით არშიყი გავფრინდები შურისძიებად. — ი. მაჩაბელი

მოქმედება პირველი, სურათი მეხუთე.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

ნულარ აყოვნებ, სწრაფად მითხარი, რომ ჩემმა ფრთებმა როგორც ნამგალამ,

როგორც ფიქრმა, როგორც ზმანებამ სიყვარულისა, მე წარმიტაცოს შურისსაგებად.

ჩემი კომენტარი:



ეროვნული

მამის აჩრდილისადმი ამ მიმართვაში ჰამლეტი ძუღლი სურველი-თაა შეპყრობილი — მას სურს გაიგოს თუ რა მოხდა, რა არის მამის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ამიტომ შექსპირი თანდათანობით აძლიერებს ეფექტს, ადარებს რა იმ ფრთებს, რომლითაც იგი შურის საძიებლად „გაფრინდება“, ჯერ ძალიან სწრაფ ჩიტს ნამგალას (სიტყვა *swift*-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა, როგორც არსებითი სახელისა), შემდეგ ფიქრს და ბოლოს სიყვარულის ზმანებას.

ჰამლეტი:

ოჰ, მომიტევე მისწრაფება სიმართლისაკენ,

მართლაც, ამ მურტალს და სიმსუქნით დამპალსა დროსა

ხომ სათნოება მუსლმოდრეკით

ბიწის წინაშე კეთილის ქმნისა ნებას უნდა გამოითხოვდეს —

ი. მაჩაბელი.

მოქმედება მესამე, სურათი მეოთხე.

ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

გთხოვ მომიტევო ეს სიმამაცე,

რადგან სიმსუქნით გათქვირულ დროსა,

უმანკოება უკეთურობას პატიებას სთხოვს

და უფრო მეტიც, ბორკილგაყრილი, სიკეთის თესვის ნებართვას ითხოვს.

ჩემი კომენტარები:

1. სიტყვა „*Vitue*“-ს აქვს მრავალი მნიშვნელობა: ეს არის სათნოება, ზნეობა, უბიწოება, უმანკოება, უმწიკველობა, მამაცობა, ვაჟკაცობა, გმირობა. ჩემს თარგმანში პირველ შემთხვევაში მე ვიხმარე სიტყვა „სიმამაცე“. ჰამლეტი ამ მონოლოგში დედას ეუბნება სიმართლეს (კერძოდ, იმას, რომ იგი თავს იგიუიანებს და კლაუდიუსმა მოკლა საკუთარი ძმა!), რაც გარკვეული რისკია ჰამლეტის მხრიდან, რადგანაც გერტრუდა დედოფალია, მას სახელმწიფოებრივი ინტერესები გააჩნია და შეიძლება მეფემ ყველაფერი გაიგოს. გერტრუდამ, ჰამლეტის ბიძასთან ქორწინებით, გარკვეული აზრით თვითონ თქვა უარი დედობაზე და დედის ცნება ჰამლეტისათვის თავიდან მოითხოვს გააზრებას! ამიტომ სიმართლის თქმა მოითხოვს გამბედაობას, სიმამაცეს და ამ ფაქტის აღნიშვნა თავად ჰამლეტის მიერ, აძლიერებს ეფექტს! მეორე შემთხვევაში

გამოვიყენე სიტყვა „უმანკოება“, რადგანაც აქ უკვე ამ კონკრეტული კონტექსტისაგან დამოუკიდებელი დახასიათებაა იმდროინდელი დროის (და არა მარტო იმდროინდელის!).

2. მაჩაბელთან და რუსულ თარგმანებში არ არის სიტყვა „Yea“ — რაც ქართულად ნიშნავს „უფრო მეტს“. არადა ამ სიტყვით შექსპირი კვლავ ძლიერებს ეფექტს, რადგანაც უმანკოება, უბიწოება, იძულებულია ბორკილგაყრილმა, ლაგამამოდებულმა, უკეთურობას, მანკიერებას ნებართვა „გამოსტყუოს“ თავისი ბუნებრივი ფუნქციის — სიკეთის კეთებისათვის!

ხელმწიფე:

გთხოვთ, რომ სამგზავროდ მოემზადოთ დაუყოვნებლივ, სჯობს, ამ შიშს მალე გაუყაროთ ფეხში ბორკილი და თავისუფლად უწინდელეზრ აღარ ვატაროთ. — ი. მაჩაბელი მოქმედება მესამე, სურათი მესამე.

ჩემი თარგმანი:

ხელმწიფე:

გთხოვთ, მოემზადოთ ამ სასწრაფო მგზავრობისათვის, ჩვენ ამ ქმედებით ბორკილს დავადებთ იმ შიშის გრძნობას, რომელიც ახლა დანავარდობს ხელ-ფეხ ახსნილი.

ხელმწიფე:

ლაერტ, ეს მითხარი, მამაშენი მართლა გიყვარდა, თუ ჰგავხარ სურათს მწუხარების გამომხატველსა, მაგრამ უგულოს?

ლაერტ:

მაგას, აბა, როგორ მკითხავთ!

ხელმწიფე:

არა იმისთვის, შენ სიყვარულს ვითომ ვეჭვობდე, მაგრამ ეს ვიცი, სიყვარული დროს ნაყოფია და მას ამტკიცებს მაგალითიც, გამოცდილებაც, რომ დრო ასუსტებს მისგან ნაკვესს ცეცხლს და ნაპერწკალს. თვით სიყვარულის აღში არის პატრუქი, ნამწვი, რაიც სპობს იმის ბრწყინვალეობას, მის ძლიერებას. ვერას უწოდებთ გამუდმებით თანაბრად კარგსა, რადგან სიკეთეს მოსპობს ხშირად მისი ჭარბობა. რაკი საქმესა რომელსამე გულს განვიზრახავთ, მაშინვე უნდა შევასრულოთ; თორემ განზრახვა

ანუ უქმდება, ან იმდენ გზის სახესაც ცვლილობს,
რამდენ ენასაც, ხელს, შემთხვევას იგი შეხვდება;
მაშინ სურვილი ეგვანება მხარჯავ კაცთ ოხვრას
და უფრო მეტი ვნება მოაქვს შემსუბუქებით.

ი. მაჩაბელი



მოქმედება მეორე, სურათი მეშვიდე.

ჩემი თარგმანი:

მეფე:

ძვირფასი იყო შენთვის, ლაერტი, მშობელი შენი,
თუ მწუხარების გამომხატველი სურათის მსგავსად
შენც მჭმუნვარე ხარ, თუმც კი უგულოდ?

ლაერტი:

მაგას რად მკითხავთ?

მეფე:

იმას არ ვფიქრობ შენ არ გიყვარდა მშობელი მამა,
მაგრამ ვიცი რომ სიყვარული დროის პირმშოა
და როგორც ვხედავ საკუთარი გამოცდილებით
დრო ზომიერს ხდის თავისსავე ცეცხლს და ნაპერწკალს.
თვით სიყვარულის ალში ბინადრობს რაღაც სხვა ჯურის ნამწვი,

პატრუქი,

რომელიც შემდგომ მის ელვარებას თანდათან აქრობს.

არაფერია ამ სამყაროში მუდმივად კარგი

რადგან სიკეთე თავისთავს ღუპავს სიჭარბისაკენ მისწრაფებაში.

თუ განვიზრახავთ რაიმე საქმეს, მაშინვე უნდა მას აღსრულება

რადგან სურვილი ჭორის, შემთხვევის, ჩარევის გამო

დროში იცვლება ან კი სუსტდება, სულაც ისპობა,

ხოლო შემდგომ კი სურვილი ჩვენი მფლანგველი კაცის ოხვრას

გვაგონებს

რომელიც მხოლოდ ზიანს გვაყენებს მოჩვენებითი შემსუბუქებით.

ჰამლეტი:

ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის. — ი. მაჩაბელი

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ყოფნა? არ ყოფნა?.. საკითხავი მხოლოდ ეს არის.

ჩემი კომენტარი:

მე აქ დავუმატე სიტყვა „მხოლოდ“, რომელიც ორიგინალში (only) არ არის, მაგრამ არის *that* — ეს, ამ, ის, იგი, იმ. მე გგონია ასეთი დამატება აზრობრივად სწორია, რადგანაც ყველაზე მთავარი, ფუნდამენტალური კითხვა არის — ვართ თუ არა? თუ ვართ მაშინ შეგვიძლია დავსვათ სხვა დანარჩენი კითხვებიც. ამიტომ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჯერ გავარკვიოთ, ვართ თუ არა ჩვენ და ამისი გასარკვევი კითხვა უნდა გამოიყოს სხვა მისგან გამომდინარე კითხვებიდან. სწორედ ეს მიიღწევა სიტყვა „მხოლოდ“-ის დამატებით (სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მართლაც ეს არ არის შეკითხვა, მაგრამ მისი ფუნდამენტალური, განსაკუთრებული როლის გამოკვეთა შეიძლება ასეთი დამატებით!). ასე რომ, მე მოვანდინე მაჩაბლისეული „აი“-ს გაძლიერება „მხოლოდ“-ით.

2. ჰამლეტი:

ვარ(თ) თუ არა ვარ(თ)? საკითხავი მხოლოდ ეს არის.

ჰამლეტი:

3. ვიყო(თ)?.. არ ვიყო(თ) საკითხავი მხოლოდ ეს არის.

ჩემი კომენტარი:

მაჩაბელთან და ჩემთან პირველ თარგმანში „to be“ თარგმნილია როგორც „ყოფნა“. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძლიერი „გლობალური“ სიტყვაა (ამიტომაც იმსახურებს ასეთ მოწონებას იგი უკვე საუკუნეზე მეტია!), მაგრამ ყოფნა მაინც შედარებით განყენებული, ზოგადი ცნებაა, და არ ჩანს თუ ვის ყოფნაზეა ლაპარაკი, არ არის გამოკვეთილი ადამიანი (ჰამლეტი ჩვენს შემთხვევაში). როგორც მონოლოგის შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, ლაპარაკია მხოლოდ ჰამლეტის არსებობაზე — მოისპოს სიცოცხლე? მიიძინოს მან? თითოეული ადამიანი ინდივიდუალურად წყვეტს, მოიკლას თუ არა თავი. ამიტომ უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს, რომ ლაპარაკია ჰამლეტზე, რის საშუალებასაც გვაძლევს „to be“-ს პირველი პირის ფორმა „am“ — ვარ(ვიყო). ამიტომ მომყავს მეორე და მესამე თარგმანებიც. თუმცა იგივე მონოლოგი განზოგადების საშუალებასაც იძლევა — შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ლაპარაკია საერთოდ ადამიანზე (მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ადამიანი თვითონ წყვეტს საკუთარი სიცოცხლის პრობლემას) და ამიტომ დავუმატე „ვარ“-ს „ვართ“ ფორმა, „ვიყო“-ს „ვიყოთ“ ფორმა.

როგორც ჰამლეტი ამ მონოლოგში აღნიშნავს, სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით, რა მოგველის სიკვდილის შემდგომ („რა სიზმრები მოგველანდება“ — ი. მაჩაბელი), ამიტომ ეს გვაიძულებს ავიტანოთ უამრავი დამცირება და განვაგრძოთ ცხოვრება. მაგრამ თუ ცხოვრება

აუტანელი ხდება, თუ ყოველგვარ ზღვარს გადადის ადამიანის დამცირება, მაშინ ადამიანმა შეიძლება დასძლიოს სიკვდილის შიში (იმ უცნობი სამყაროსადმი შიში, რაც სიკვდილის შემდგომ მოგველის) და თავი მოიკლას ან ასეც შეიძლება ითქვას: ადამიანმა შეიძლება იარსებო (და არა იცხოვრო!), შეიძლება მთავარი პრინციპული დასაბამი, მაგრამ აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას? ამის გამოსატულებაა რუსთაველის უკვდავი აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ იგივე აზრი შექსპირსაც აქვს გამოსატული „ჰენრი VI“-ის მესამე ნაწილში — „საშინელ ომში გიჯობდა, რომ დაღუპულიყავ, ვიდრე ცოცხლობდე მიგდებული და ლაფდასხმული“ — თარგმანი გ. ჯაბაშვილის.

ჰამლეტი:

ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს. — ი. მაჩაბელი.

მოქმედება პირველი, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ვერ გაექცევა ავი საქმენი მავანის მზერას,
თუნდ მოინდომოს მათი დამალვა თვით დედამიწამ.

ჰამლეტი:

2. ვერ გაექცევა ავი საქმენი მავანის მზერას,
თუნდ მოინდომოს მათი დამალვა მთელმა პლანეტამ.

გილდესტენი:

ბედნიერი ვართ იმით რომ მეტისმეტად ბედნიერი არა ვართ და
ბედს მალლა ქოჩრის წვერზე არ ვაზივართ. — ი. მაჩაბელი

მოქმედება მეორე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

გილდესტენი:

1. ჩვენ იმითა ვართ ბედნიერები, რომ არ ვართ ბედის ნებიერები
და არც კენწერო ბედ-იღბლის ქუდზე.

გილდესტენი:

2. ჩვენ იმითა ვართ ბედნიერები, რომ არ ვართ ბედის ნებიერები
და არც კოპი ვართ ბედ-იღბლის თხემზე.

ჩემი კომენტარები:

1. გილდესტენის ეს მოსწრებული პასუხი კლასიკური ნიმუშია შექ-

სპირის მჭევრმეტყველებისა. მასთან მეორეხარისხოვანი გმირებიც კი ძალზედ ბრძნულად მეტყველებენ, რამაც შეიძლება დატოვოს ხელოვნურობის, არაბუნებრივობის შთაბეჭდილება (სწორედ ეს აღიზიანებდა ლევ ტოლსტოის, რომელიც შექსპირის ბევრ პიესას ხელოვნურს უწოდებდა), მაგრამ ეს მოვლენა იმით შეიძლება აიხსნას, რომ დრამატურგს პიესაში არ აქვს საშუალება ყველაფერი გადმოსცეს თვით სპექტაკლის სპეციფიკის გამო, რადგან სცენაზე მსახიობი მაყურებლის წინაშე წარსდგება მხოლოდ მეტყველების საშუალებით (დრამატურგს, მწერლისაგან განსხვავებით, არ შეუძლია გადმოსცეს გმირის ფიქრები, გააკეთოს დროში წანაცვლებები და ა. შ.). არადა შექსპირს როგორც გენიოსს, ცხოვრებაში აუცილებლად ექნებოდა უამრავი დაკვირვება, მიგნება და მას ენანებოდა ისინი არ დაეფიქსირებინა პიესაში, რის გამოც ეს მიგნებები და დაკვირვებები „მიმოფანტულია“ მეორეხარისხოვანი გმირების მეტყველებაში. კერძოდ, გილდესტენის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მას კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი ადგილი სამეფო კარის იერარქიაში და აგრეთვე ისიც იცის, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, რადგანაც „ზედმეტმა“ ბედნიერებამ შეიძლება უბედურებაც კი მოიტანოს!

2. პირველი თარგმანი უფრო ახლოს არის ორიგინალთან, რადგანაც სიტყვა „cap“ ნიშნავს „ქუდს“, ხოლო სიტყვა „button“ ნიშნავს წვეროს, კენწეროს. მეორე თარგმანი ოდნავ დაშორებულია ორიგინალს, მაგრამ აზრობრივად ისიც სწორია. მართლაც, ბედ-იღბლის ქუდზე წვერო, კენწერო იმით არის გამოწვეული რომ ბედ-იღბალს თხემზე კოპი აზის (სიტყვა „button“ კოპსაც ნიშნავს!).

აქტორი — ხელმწიფე:

სურვილი ჩვენი და ბედი ერთს არ მისდევს გზასა,
და ხშირად განზრახული რჩება განზრახვად — ი. მაჩაბელი.

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანი:

მსახიობი — ხელმწიფე:

ჩვენი წადილი და ბედი ჩვენი განსხვავებულ გზებს მისდევენ მუდამ
და ამიტომაც ჩვენი ზრახვანი დამარცხებისთვის განწირულია —
ფიქრის სათავე ხელში გვიჭირავს, მაგრამ ბოლო კი დაკარგულია.

პოლონიუსი:

სიცრუის ჩანგლით შენ დაიჭერ სიმართლის თევზსა,
ვისაც გონება გვიჭრის, ყველა ასე ვიქცევით,
მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ, ოღროჩოღრო გზით
სწორს და პირდაპირ კვალს მივაგნებთ. — ი. მაჩაბელი.

მოქმედება მეორე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანები:

პოლონიუსი:

1. შენ ამ სიცრუის სატყუარათი სწრაფად დაიჭერ სიმართლის თევზსა,

ჩვენც ხომ ყველანი, ბრძენნიც, შორსმჭვრეტნიც

მიკიბ-მოკიბულ, ირიბი გზებით

ხშირად შევიტყობთ იმას რაც გვინდა.

პოლონიუსი:

2. შენ ამ ანკესზე წამოგებული სიცრუის მატლით

სწრაფად დაიჭერ სიმართლის კობრსა,

ჩვენც ხომ ყველანი, ბრძენნიც, შორსმჭვრეტნიც

მიკიბ-მოკიბულ, ირიბი გზებით

ხშირად ვპოულობთ ჭეშმარიტებას.

ჩემი კომენტარი:

აქ პოლონიუსი ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ იქცევა მისი ვაჟი ლაერტი პარიზში, რის გასაგებადაც რეინალდოს სათანადო დავალებას აძლევს. ასე, რომ ეს ადგილი შეიძლება გავიგოთ, როგორც კონკრეტულ კონტექსტში, ასევე ზოგადადაც — ჭეშმარიტების დადგენა (განსაკუთრებით მეცნიერებაში!) ხშირად მხოლოდ ხომ არაპირდაპირი, ირიბი გზითაა შესაძლებელი! (ამიტომ მომყავს მეორე თარგმანიც).

ჰორაციო:

მე გაახელით მამითქვენის დამარხვისათვის.

ჰამლეტი:

ნუკი დამცინი, მეგობარო! მე ეს მგონია

შენ დედაჩემის ქორწილისათვის უფრო მოხვედი.

ჰორაციო:

ერთი მეორეს, მართალს ბრძანებთ, თითქმის თან მოჰყვა.

ჰამლეტი:

თავიანთ სარჩოს, ჰორაციო, უფრო ხილდებიან:

მომზადებული დასამარხად საჭმელ-სასმელი

ცივად მიართვეს ქორწილის დღეს; — ოჰ, ნეტა ის დღე

მე არ მენახა და თუნდ ზეცად თვით ჩემს მოსისხლე

მტერს შევხვედროდი.

ი. მაჩაბელი

მოქმედება პირველი, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანები:

პორაციო:

1. ჩემო მეუფევ, აქ ჩამოვედი მამათქვენის დაქრძალვისათვის!

ჰამლეტი:

გთხოვ ნუ დამცინი მეგობარო სტუდენტობისა,
რადგან მე ვფიქრობ უფრო გინდოდა დედაჩემის ქორწილის ხილვა.

პორაციო:

მართლაც ასეა, გადაეჯაჭვა გლოვა და ლხენა.

ჰამლეტი:

მომჭირნეობა, პორაციო, მომჭირნეობა!
გაციებული საქელესო სასმელ-საჭმელი
უხვად მიირთვეს ქორწილის დღესაც!
ზეცად ასული, ნეტავ შევყროდი უბოროტეს მტერს
ვიდრე მენახა, პორაციო, ეგ წყეული დღე.

ჩემი კომენტარი:

ჰამლეტის ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს მისი სარკაზმი — ჰამლეტი განიცდის დედამისის გათხოვებას (თანაც ვისზე — ქმრის ძმაზე!). ამასთანავე ქორწინება ძალიან მალე მოხდა, ისე მალე, (შექსპირი აძლიერებს ეფექტს!), რომ ქელესის სასმელ-საჭმელმა მხოლოდ გაციება მოასწრო (და არა გაფუჭება!) და იგი ქორწილშიც გამოიყენეს!

აქტორი — ხელმწიფე:

დიდკაცს დამხობილს მეგობრები შემოეცლება
ზე აღწეული იმეგობრებს მოსისხლე მტერსა.

ი. მაჩაბელი

მოქმედება მესამე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანები:

1. მსახიობი — ხელმწიფე:

დანარცხებული დიდებული კარგავს მეგობრებს,
აღზევეებული მდაბიო კი მტრებს იმეგობრებს.

2. მსახიობი — ხელმწიფე:

წარჩინებული, ჩინდაკარული, კარგავს მეგობრებს,
აღზევეებული მდაბიო კი მტრებს იმეგობრებს.

ჰამლეტი:

თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი
და სახლთ სალესად ხმარობენ მას, მას ქვეყნის მზარავს!
ის, ვის წინაშეც შიშით ძრწოდა ურიცხვი ერი,
ზამთრის სუსხისგან უბრალო ქოხს ეხლა იფარავს.

ი. მაჩაბელი



მოქმედება მეხუთე, სურათი პირველი.

ჩემი თარგმანები:

ჰამლეტი:

1. ძღვეამოსილი კეისარი გარდაიცვალა და იქცა თიხად
და ახლა ხვრელი, ამ თიხით სავსე, აკავებს გრიგალს.
ო, სწორედ იმან, ვინც თავზარს სცემდა მთელ დედამიწას
უნდა დაგვიცვას საკუთარ სახლში ზამთრის ბუქისგან.

ჰამლეტი:

2. ძღვეამოსილი კეისარი გარდაიცვალა და იქცა თიხად
და ახლა ხვრელში გაჩხერილი აკავებს გრიგალს.
ო, სწორედ იმან, ვისი წინაშეც მთელი სამყარო შიშისგან თრთოდა
უნდა დაგვიცვას ჩვენ ჩვენს სახლებში ზამთრის ბუქისგან.

ლაერტი:

მარტო მთვარეს რომ გადუშალოს ქალმა გულმკერდი
უბიწოებას თვისას იგი მითაც შებლალავს, —
თვით სათნოებას ვერ ასცდება ცილისწამება.
გაზაფხულისა ყვავილთ მატლი ხშირად მაშინ ღრღნის,
როდესაც ნორჩნი კოკორნი ჯერ არ გაფურჩქვნიათ
და სიყმაწვილის დილის უამსა ზეციერს ნამზედ
უფრო მავნეა გესლიანის ქარისა ბერვა.
შიშობდე-მეთქი, შიშს თან მოსდევს უდარდებობა,
და სიყმაწვილე, თუ სხვა არ მტრობს, თავის თავს ებრძვის.

ი. მაჩაბელი

მოქმედება პირველი, სურათი მესამე.

ჩემი თარგმანი:

ლაერტი:

უმანკო ქალის უბიწოებას ისიც კი ავნებს
თუკი გაანდობს თავის მშვენებას მთვარის სინათლეს —

ცილისწამების უღმობელ დარტყმებს
სათნოებაც კი ვერ გადურჩება.

გაზაფხულს შობილთ ყვავილთ კოკრებს

მატლი მაშინ ღრღნის, როცა ისინი არც კი გაშლილან,
წუთისოფელის გარიჟრაჟზე კი, ახალგაზრდობის უმწიფარ ხანას,
ძლიერ მავნეა ავყია ქარის შლეგური ქროლვა

და ამიტომაც იყავი ფრთხილად; საუკეთესო თავშესაფარი შიშშია

მხოლოდ:

ყმაწვილი კაცი საკუთარ თავს მტრობს, თუნდაც სხვა არვინ
ემტერებოდეს.

ლაერტი:

მშვიდობით დაო, რაც კი გითხარ, არ დაივიწყო.

ოფელია:

ლაერტ, რაც მითხარ, გულში მაქვს მე ღრმად ჩაკეტილი
და მის გასაღებს თან გაგატან.

ი. მაჩაბელი

მოქმედება პირველი, სურათი მესამე.

ჩემი თარგმანები:

ლაერტი:

1. მშვიდობით, ჩემო ოფელია და ამასა გთხოვ
კარგად გახსოვდეს ჩემი სიტყვები.

ოფელია:

მე ეგ სიტყვები მაგრად ჩავრაზე მესსიერების ყველა კუნჭულში
და მათ გასაღებს შენ თან გაგატან, სხვას ვერვის ვანდობ.

ლაერტი:

2. მშვიდობით, ჩემო ოფელია და ამასა გთხოვ
კარგად გახსოვდეს ის რაც გითხარი.

ოფელია:

შენი სიტყვები მაგრად ჩავრაზე მესსიერების ყველა კუნჭულში
და მათ გასაღებს შენ თან გაგატან, სხვას ვერვის ვანდობ.

დედოფალი:

ერთი მეორეს მწუხარება ფეხდაფეხ მოსდევს
ლაერტ, შენი და, ოფელია წყალში დაიღრჩო.

ლაერტი:

რაო, დაიღრჩო?.. ოჰ, სად, როგორ?!

დედოფალი:

მდინარის პირად

ერთი ტირიფი დგას მკრთალ ფოთოლთ წყალში მჩინარე;

იქ მისულიყო ოფელია და მოეგროვა

ჭინჭარ-ბალახი, გულისაბა, ჭრელი ბალახი,

რომელსაც მწყემსნი ენამეტნი ცუდს სახელს სდებენ

და ჩვენნი მორცხვნი სოფლის ქალნი უხმობენ ჯიკას.

დაუწნავს მათგან გვირგვინები სხვადასხვა ფერი,

ასულა ხეზედ, იქ ნდომია მათ დაკიდება,

მაგრამ უეტრად მოტეხილა ბედკრული ხის შტო

და ოფელიაც ყვაფილებით თან ჩაჰყოლია.

წყალზედ სამოსი გარდაშლია, არ ჩაუძირავს,

და სირინოზის მზგავსად იგი ძველსა სიმღერებს,

თვის ბედშაობის უგრძნობელი, ამბობდა თურმე; —

იგი ჰგავდაო წყალში აღზრდილს მდინარის შვილსა,

მაგრამ როდესაც გაჟღენთია ტანთ-სამკაული,

საცოდავს უცბად შესწყვეტია ტკბილი გალობა

და შლამიანს ფსკერს მიუზიდავს უსულო გვამი

ლაერტი:

ნუთუ დაიღრჩო და საშველი არა არის-რა?!

დედოფალი:

მკვდარია იგი.

ლაერტი:

ოფელია, წყალმა გიმსხვერპლა, —

რა საჭიროა კიდევ ჩემი წყალწყალა ცრემლი?!

მაგრამ ბუნება ეს ყოფილა და ჩვეულებას

იგი თავისას ვერ გადავა. დეე, გამკიცხონ!

რაკი დავაფრქვევ ამ ცრემლთ, კიდევ გავვაჟკაცდები,

მშვიდობით, მეფევ; თვალის წყალს რომ არ გაენელა,

გულით სახმილებრ მწვავსა სიტყვებს ამოვანთხევდი.

(გადის)

ხელმწიფე:

გავყვეთ, გერტრუდავ, ძლივს რაგვარ
და ვშიშობ კიდევ, ამ ამბავმა არ ააღელვოს.

(გადიან)

ი. მაჩაბელი



მოქმედება მეოთხე, სურათი მეშვიდე.

ჩემი თარგმანები:

დედოფალი:

1. უბედურებას უბედურება კვალდაკვალ მოსდევს —
ლაერტი, შენი და... წყალმა იმსხვერპლა!

ლაერტი:

დაიხრჩო?!.. სად? როგორ?

დედოფალი:

მდინარის პირას ირიბად მდგარი ტირიფის ფოთლებს
ხარბად ირეკლავს კამკამა წყალი
და ამ ადგილას საცოდავ შენს დას
ხელით დაუწნავს ულამაზესი გირლიანდები
გვირილის, ჭინჭრის და ბაიასი,
რომელთაც მწყემსნი ენაკვიმატნი ერთობ აუგად იხსენიებენ,
ხოლო გულცივი ქალწულნი ჩვენნი, მიცვალებულის თითებად
რაცხენ და განუზრახავს, საბრალო ასულს, ამ სამკაულით ტირიფის
მორთვა,

მაგრამ წყეული ჩაუტყდა ტოტი
და სარეველა დავლასთან ერთად
მომტირალ წყალში ჩავარდა თავად.
მისი სამოსი ფართოდ გაშლილა
არ ჩაძირულა იგი უეცრად
და სირინოზის მსგავსი არსება
გალობდა ჰანგებს ძველი ჰიმნების —
ვერ გრძნობდა ხიფათს შეშლილი სული
ან თითქოს იყო წყლის შვილობილი,
მაგრამ ეს დიდხანს ველარ გასტანდა
და სამოსელმა დამძიმებულმა უხვი სითხეთი,
შეაწყვეტინა ბედშავს გალობა
და წარიტაცა მღვრიე ფსკერისკენ განსასვენებლად.

ლაერტი:

ო, ღმერთო ჩემო, მაშ ის დაიხრჩო?!

დედოფალი:

დაიხრჩო ლაერტი, წავიდა ჩვენგან!

ლაერტი:

საკმაო წყლით ხარ შენ გაუღენთილი, საბრალო დაო
და ამიტომაც წყალს არ შეგმატებ მე ჩემი ცრემლით!
მაგრამ ვაი, რომ ეს წესია ჩვენი ცხოვრების
და ვერ გარდუვალთ ჩვენ ბუნების დადგენილ კანონს
და ამიტომაც მე არ მრცხვენია ჩემი ცრემლების,
რომელთა დაღვრით ჩემგან გავდევნი ჩვევას დიაცურს.
მშვიდობით მეფევ; ჩემში ბუდობდა ამოსაფრქვევად გამზადებული
სიტყვის ვულკანი, მაგრამ ამ ჩემმა უგნურმა მოთქმამ ჩააქრო იგი.

(გადის)

ხელმწიფე:

მრავალი ხრიკით ძლივს მოვახერხე მისი სიშმაგის დაშოშმინება
და ახლა ვშიშობ, დაღუპვამ დისა არ გააღვიძოს ეს გაშმაგება
და ამიტომაც, მოდით მას გავყვეთ!

(გადიან)

2. დედოფალი:

უბედურებას უმაღლეს თან მოსდევს უბედურება —
ლაერტი, შენი და... წყალმა იმსხვერპლა!

ლაერტი:

დაიხრჩო?!. სად? როგორ?

დედოფალი:

მდინარის პირას ირიბად მდგარი ტირიფის ფოთლებს
ხარბად ირეკლავს კამკამა წყალი
და ამ ადგილას საცოდავ შენს დას
ხელით დაუწნავს ულამაზესი გირლიანდები
გვირილის, ჭინჭრის და ბაიასი,
რომელთაც მწყემსნი ენაკვიმატნი ერთობ აუგად იხსენიებენ,
ხოლო გულცივი ქალწულნი ჩვენნი მიცვალებულის თითებად
რაცხენ და განუზრახავს საბრალო ასულს ამ სამკაულით ტირიფის
მორთვა, მაგრამ წყეული ჩაუტყდა ტოტი
და სარეველა დავლასთან ერთად
მომტირალ წყალში ჩავარდა იგი.
მისი სამოსი ფართოდ გაშლილა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ჩაძირულა იგი მცირე ხანს
და სირინოზის მსგავსი არსება
მღეროდა ჰანგებს ძველი ჰიმნების —
ვერ გრძნობდა ხიფათს შეშლილი სული
ან თითქოს იყო წყლის შვილობილი,
მაგრამ ეს დიდხანს ველარ გასტანდა
და სამოსელმა, დამძიმებულმა უხვი სითხეთი,
შეაწყვეტინა ბედშავს გალობა
და წარიტაცა მღვრიე ფსკერისკენ განსასვენებლად.



ლაერტი:

ო, ღმერთო ჩემო, მაშ ის დაიხრჩო?!

დედოფალი:

დაიხრჩო ლაერტი, წავიდა ჩვენგან!

ლაერტი:

საკმაოდ სარ წყლით გაჟღენთილი, საბრალო დაო
და ამიტომაც წყალს არ შეგმატებ მე ჩემი ცრემლით!
მაგრამ ვაი, რომ ეს წესია ჩვენი ცხოვრების
და ვერ გარდუვალთ ჩვენ ბუნების დადგენილ კანონს
და ამიტომაც არ მცხვენია ჩემი ცრემლების,
და მათი დაღვრით ჩემგან გავდევნი ყოველგვარ ქალურს.

მშვიდობით მეფევ; ჩემში ბუდობდა ამოსაფრქვევად გამზადებული
სიტყვის ვულკანი, მაგრამ ამ ჩემმა უგნურმა მოთქმამ ჩააქრო იგი.

(გადის)

ხელმწიფე:

მრავალი ხრიკით ძლივს მოვახერხე მისი სიშმაგის დაშოშმინება
და ახლა ვშიშობ, დაკარგვამ დისა, არ გააღვიძოს ეს გაშმაგება
და ამიტომაც, მოდიოთ მას გავყვეთ!

(გადიან)

ჩემი კომენტარი:

აქ გადმოცემულია შექსპირისათვის დამახასიათებელი უბადლო დე-
ტალებით აღწერილი (შექსპირი ხომ დეტალების „მეფეა“!) ოფელიას
დაღუპვის შემზარავი სცენა და ლაერტის პირველი ემოცია. შეუძლებე-
ლია ადამიანი გულგრილი დარჩეს ამ ამბის გამგონე, მითუმეტეს თუ ეს
ადამიანი ძმია! ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ლაერტის განცდის
გადმოცემა. აქ უნდა გამოვყოთ ორი მომენტი; ლაერტის პირველი შე-
ძახილი: „დაიხრჩო?!.. სად? როგორ?“, მართლაც მისი სულ პირველი
სასოწარკვეთილი ემოციაა, ხოლო დედოფლის მონათხრობის შემდგომ,

უკვე ბედს შეგუებული, უზომოდ დამწუხრებული ვაჟკაცის მონოლოგია!

ჰამლეტი:

სხვა რაღა დარჩა საუკუნო სიჩუმე მხოლოდ! — მოქმედება მეხუთე, სურათი მეორე.



ჩემი თარგმანი:

ჰამლეტი:

შემდგომ დუმილი, სხვა არაფერი!

ჩემი კომენტარი:

ეს სიტყვები პიესის შემაჯამებელი ჰამლეტის ბოლო სიტყვებია (სამწუხაროდ თვითონ ორიგინალში დაკარგულია ჰამლეტის წინა სიტყვები). სიტყვა „silence“ აქვს სამი მნიშვნელობა: დუმილი, სიჩუმე და დავიწყება. გასარკვევია, რომელი მათგანი უნდა ვინმაროთ. ადამიანი სიკვდილის წინ ამბობს თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან რამეს (ფსიქოლოგიაში ცნობილია რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანს წამების განმავლობაში მთლიანად წარმოუდგება განვლილი ცხოვრება და ამიტომ იგი იძლევა მის მეტ-ნაკლებად ობიექტურ შეფასებას!). ამ კონტექსტში გასარკვევია თუ რა ენანება ჰამლეტს: ის რომ დუმდება სამყაროს მიმართ, თუ ის რომ სამყარო მოდის სიჩუმის მდგომარეობაში მის მიმართ! (რასაც ჩვენ სიკვდილს ვუწოდებთ!). როგორც მთელი პიესის ანალიზი გვიჩვენებს, ჰამლეტის „უმოქმედობა“ გამოწვეული იყო იმით, რომ იგი იკვლევდა არამუნებრივ, პარადოქსალურ მოვლენას (ძიებას დრო სჭირდება და ამიტომ ჰამლეტი გარეგნულად, ფიზიკურად არ მოქმედებს, რაც იწვევს მისი „უმოქმედობის“ მცდარ გაგებას მრავალ შექსპიროლოგთან!): ბიძის მიერ საკუთარი ძმის, ჰამლეტის მამის მკვლელობას და დედამისის ღალატს. ბოლოს და ბოლოს ჰამლეტმა აღასრულა მამის აჩრდილის დანაპირები, დაამარცხა ბოროტება და მაშინ, როცა უნდა აღედგინა მსოფლიო წესრიგი (უნდა „განეკურნა“ დრო), იგი უნდა მოკვდეს — ლაერტისაგან ჰამლეტმა შეიტყო, რომ ხმალი, რომლითაც იგი დაიჭრა, მოწამლული იყო! ამიტომ, მე მგონი, ჰამლეტს ენანება სწორედ ის, რომ იგი უნდა დადუმდეს სამყაროს მიმართ (ამიტომ იგი ველარაფერს ველარ შეცვლის) და არა ის, რომ სამყარო გაჩუმებული იქნება მის მიმართ. გარდა ამისა, აგრეთვე უნდა აღინიშნოს ჰამლეტის სურვილი, პორაციო ხალხს მოუყვეს ნამდვილ ამბავს ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა — მითუმეტეს, ხალხს უყვარდა ჰამლეტი, როგორც ეს არაერთგზის ჩანს კლაუდიუსის სიტყვებიდან და ესეც ამტკიცებს, რომ აქ დუმილი უნდა იყოს (თვითონ ჰამლეტს აღარ აქვს საშუალება ხალხს აუწყოს სიმართლე, რადგანაც იგი უნდა დადუმდეს). ასე რომ, მთელი პიესის კონტექსტიდან გამომდინარეობს ზემოთ მოყვანილი თარგმანი.

ფორტინბრასი:

უბრძანეთ ოთხმა ასისტავმა ჰამლეტის გვამი
მალლა საკაციტთ აასვენონ, როგორც სარდალი,
მას რომ ხელმწიფედ ტახტზე ჯდომა დასცალეობდა.
ეჭვი არ არის განაგებდა დიდებულებით.
უნდა მიაგონ დამარხვის ჟამს მხედართ პატივი
და სამარემდე გააცილონ გლოვის მუსიკით.

ი. მაჩაბელი

მოქმედება მეხუთე, სურათი მეორე.

ჩემი თარგმანი:

ფორტინბრასი:

ჰამლეტი, როგორც სარდალს შეჰფერის
ოთხ კაპიტანმა ასწიეთ მალლა
უეჭველია ის იქნებოდა ბრძენი ხელმწიფე
რომ ღირსებოდა მას ტახტზე ასვლა.
და ვბრძანებ კიდევ, გასვენების ჟამს,
მის ხსოვნის ნიშნად ხმამაღლა უღერდეს
საბრძოლო მარში და რიტუალი.

ჩემი კომენტარი:

ღიან, ჰამლეტი აზრის, სინდისის ჯარისკაცი, სარდალი განლაგეთ
(იგი მთელი პიესის განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში
იყო ჩაბმული (რათა „ნაღრძობი“ დრო განეკურნა!) და მას როგორც
სარდალს ისე ასაფლავებენ!



მამა სერაფიმე (როუზის) კლასიკური წიგნიდან,
„არა ამ სოფლისაგან“



თარგმნა თინათინ ღობსაძემ

„ახალგაზრდა სულის ჩამოყალიბება“

ცხოვრების დიდ ბრძოლაში ჩაბმისას გვერდს ვერ აუვლი ცოდნის ვერც ერთ წყაროს. წარმართი მწერლების სწორმა შემეცნებამაც შეიძლება მოგვცეს სარგებელი. თვით მოსეც კი ეგვიპტელთა მეცნიერებით სრულყოფდა გონებას და ამგვარად მივიდა ღმერთის შეცნობამდე.

მოგვიანებით დანიელი წარუმატებოდა ქალდეველთა ფილოსოფიაში, საუკეთესოდ ესმოდა ღვთიური დარიგება...

ჩვენ ყველაფერი განურჩევლად კი არა, მხოლოდ სულისათვის სასარგებლო უნდა მივიღოთ. როგორც მაწყინარ საკვებზე უნდა თქვას ადამიანმა უარი, ასევე უნდა გაურბოდეს სულისათვის უსარგებლო გაკვეთილებს. მთის აბოზოქრებული მდინარეც ხომ ყოველივეს წალეკვით ემუქრება თავის გზაზე, ის არაფერს ინდობს.

წმ. ბასილი დიდი (+379)

ასწავლეთ ბავშვებს ნამდვილი მუსიკა და არა უბრალოდ ცეკვები და სიმღერები. მუსიკა დაეხმარება სულიერი ცხოვრების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, სული უფრო დაეხვეწებათ, და იწყებენ სულიერი მუსიკის აღქმასაც.

ღირსი ბარსანუფი ოპტინელი (+1913)

არცთუისე დიდი ხნის წინ, ახალგაზრდა ღვთის გზის მაძიებელი ათონის მთაზე მონასტერში წავიდა, სადაც მოგვიანებით დარჩენა გადაწყვიტა. წინამძღვარს განუცხადა: „მამაო, გული მაქვს ანთებული სულიერი ცხოვრების, განდევილობის, ღმერთთან განუწყვეტელი ზიარებისა და მორჩილებისათვის. დამმოძღვრე, რათა სულიერად წარუმატო“, მონასტრის ილუმენმა წიგნების თაროდან ჩარლზ დიკენსის „დავით კოფერფილდი“ გადმოიღო. — „აი, ეს წაიკითხე შეილო“, — „კი მაგრამ, მამაო“. — შეშფოთდა ახალგაზრდა! „ეს ხომ ორთოდოქსული, ვიქტორიანული სენტემენტალობაა, დასავლური ტყვეობის პროდუქტი! მე ისეთი წიგნები მჭირდება, რომელიც სულიერებას მასწავლის“. ილუმენმა გაიღიმა და უთხრა: ვიდრე ნორმალურ, ადამიანურ, ქრისტიანულ გრძნობებს არ განვიითარებ და არ ისწავლი პატარა დავითის თვალთ შეხედო ცხოვრებას—მარტივად, სიკეთით, სითბოთი და მი-

ტევებით — მთელი ორთოდოქსალური „სულიერება“, წმინდა მამათა ნაშრომები, არა თუ სარგებლობას მოგცემს — არამედ „სულიერ ურჩხულად“ გაქცევს და გაანადგურებს შენს სულს.

მამა გერმანეს სატრაპეზო მაგიდასთან უყვარდა ზოლმე ძმებისთვის ამ ამბის მოყოლა, რომელიც მართლა მომხდარა. თვითონაც იგივე გადახდომია თავს, როდესაც 19 წლის ჭაბუკს, მამა ადრიანმა კლასიკოსთა რომანები წააკითხა. მაშინ, როდესაც „სულიერებაზე“ სურდა საუბარი, მამა ადრიანი, დოსტოევსკის, გონჩაროვის და სხვათა გმირებსა და იდეებზე ელაპარაკებოდა.

მამა სერაფიმემ, დიდად შეაფასა მამა ადრიანისა და ათონელი ილუმენის ბრძნული მიდგომა. თავის ნარკვევში — „სულის ჩამოყალიბება“ დაწვრილებით და ნათლად, მართლმადიდებლური ფილოსოფიური მიდგომით ჩამოაყალიბა ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასწორ ქრისტიანულ ცხოვრებას: კატასტროფულად არასაკმარისია თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდების განათლება პუმიანური ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის სფეროში. ალაღბედზე, უსისტემოდ ყალიბდება, ტელევიზიის, როკ-მუსიკის, კულტურის (თუ ანტი-კულტურის) გავლენით, მშობლებისა და მასწავლებლების უმრავლესობას არა აქვს გაცნობიერებული ქრისტიანული ცხოვრების არსი. შედეგად სული, რომელიც შედის დედობაში, ემსგავსება ემოციურ ყამირს. საუკეთესო შემთხვევაში ცხოვრების მიმართ უჩნდება უკმარისობის გრძნობა.

დღეს მცირედს შეუძლია ნათლად გამოხატოს ემოციები, აზრები, ჯიროვნად შეაფასოს ისინი. ბევრმა ისიც არ იცის, რა ხდება საკუთარ გონებაში. ცხოვრება ხელოვნურად დაყოფილია „სამსახურად“, რომელსაც უმცირესობა თუ ასრულებს გულით და სულით. სამსახური თითქმის ყველასთვის „უმრალოდ ფულისთვისაა“, თამაშია (რომელშიც ბევრი ცხოვრების „ნამდვილ აზრს“ ხედავს), რელიგია (არა უმეტეს, ერთი ან ორი საათისა კვირაში, და ასეთები). მათ ერთიანობა არ უდევთ საფუძვლად, რაც ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. ბევრი, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში სიამეს ვერ ხედავენ, ცდილობენ თავისსავე შექმნილ ვირტუალურ სამყაროში იცხოვრონ (ასეთ ვითარებას ცდილობენ რელიგიაც მოარგონ). თანამედროვე კულტურის საფუძვლის საერთო ნიშანი საკუთარი თავისა და კეთილდღეობის (კომფორტის) თაყვანისცემაა. ეს მომაკვდინებელია სულიერი ცხოვრების ნებისმიერი იდეისადმი.

ასეთია ის ფონი და „კულტურული ტვირთი“, რომელიც პიროვნებას ახლავს მართლმადიდებლურ ცხოვრებაში მოსვლისას. რა თქმა უნდა, არიან ისეთები, ვინც მიუხედავად მათი სულიერი ფონისა, მართლმადიდებლურად რჩებიან; ზოგი მათგანი კი, სულიერ კრახს განიცდის, ბევრი დამახინჯებული ან სულიერად განუფითარებელი რჩება, რადგან მოუშადრებლები არიან, ან არა აქვთ გაცნობიერებული სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტი მოთხოვნები.

აღამიანები ცდილობენ დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნილებები (რომელიც უფრო სულიერია), როდესაც ჯერ კიდევ გაურკვეველნი არიან თავიანთ ფსიქოლოგიურ და გრძნობად მოთხოვნებში, ან შეიძლება უფრო უარესი: თავიანთი გრძნობების დაკმაყოფილების თვა-

ლსაზრისით არასწორ მიმართებაში არიან რელიგიასთან, ასეთი ადამიანების ცხოვრებაში რელიგია ხელოვნური მოვლენაა, რომელსაც მათი სულის სიღრმეები ჯერ არ დაუკავებია. ხშირად საკმარისია მცირეოდენი ცხოვრებისეული არასასიამოვნო შემთხვევა, ან ამქვეყნიური მიმზიდველობისკენ გადახრა, რომ მათი პლასტიკური კამყარვე ძრწვევა და ისინი განეშორებიან რელიგიას. უბრალო გამოცდილებისთანავე ასეთი ადამიანები ზოგჯერ უბრუნდებიან მას, უფრო ხშირად კი დაკარგულ სულებად ითვლებიან, ან უკეთეს შემთხვევაში, დამახინჯებულნი და უნაყოფონი რჩებიან.

ამის დამადასტურებლად პლატინის მონასტერში ერთი მოღვაწის მაგალითი შეგვიძლია გამოვიყენოთ. იგი ამერიკის, ერთ-ერთი მონასტრიდან ჩამოვიდა. მამა სერაფიმეს თვალთანედვით, მისი რელიგიისადმი მიდგომა მეტად „პლასტიკური“ იყო. გამუდმებით საუბრობდა წმინდა მამებზე, იესოს ლოცვაზე, ჭეშმარიტ მონაზვნობაზე, განდეგილობაზე. ერთ დღეს მამა სერაფიმემ იგი როკის სიმღერებით გართული, მოხასტრის გარშემო მოსიარულე დაინახა, ახალგაზრდა თითებს ათამაშებდა და რიტმულად ხტოდა. მამა სერაფიმე გაოცებული შეეკითხა, უფიქრია თუ არა, რომ ეს მოქმედება მისი სულიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ შეიძლება მიმართულიყო. ახალგაზრდამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და უპასუხა: „არავითარი წინააღმდეგობრიობა ამაში არ არის, მე მხოლოდ კასეტას გამოვცვლი“, — ანუ ის როკის მაგივრად მოუსმენდა წმ. მამათა გადმოცემებს.

ახალგაზრდაში ასეთი მკვეთრი დაპირისპირებულობის არსებობის ფაქტმა მამა სერაფიმეს დაანახა, რომ ახალგაზრდის სულიერი ჩამოყალიბების სათავეშივე რაღაც იყო დაკარგული.

დღეს, ადამიანის პარმონიული ცხოვრების უმთავრეს დანაკლისს, სულის ემოციონალური განვითარების დეფიციტი წარმოადგენს. მას ჰგონია, რომ სწყურია სულიერი ბრძოლა, მაღალი ლოცვითი მდგომარეობა და ა. შ. თუმცა მეგობრობა და სიყვარული რიგიანად არ უსწავლია: „უკეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაჲ თვისი სძულდეს, მტყუვარ არს, რამეთუ რომელსა არა უყვარდეს ძმაჲ თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?“ (1 იოანე, 4,20).





გარეკანის გვერდებზე იბეჭდება
ელგუჯა ამაშუკელის
ნამუშევრები

ფოტოგრაფია მურმან ჩაჩუასი




ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 2.09.2005 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.12.2005 წ., ქალაქის ზომა 70x108^{1/16}, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 276.

შ. პ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.



ქართული
ზიზღიწიწიწი



ფანი 3 ლარი

63/10

F 749
2005



საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის მნიშვნელოვანი ძეგლებიდან ერთ-ერთია ეს ქვითი რელიეფი. მისი თემატიკა და ავტორი უცნობია, თუმცა ის წარმოადგენს ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშს. რელიეფი მოქმედებს როგორც დეკორატიული ელემენტი და ასევე, ის შეიძლება შეიცავდეს ისტორიულ ინფორმაციას. მისი აღმოჩენის ადგილია...